UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2018 / 2 / (28)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2018



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

მადლის მთესველო უნეტარესო

მ — ადლის მთესველო უნეტარესო,
ა — მომავალი სხივის ნაწილო,
დ — ედო სულისავ, უბრწყინვალესო,
ლ — ამის სიცოცხლე გაგინაწილო.
ი — ის სურნელით იფრქვევი მრევლში,
ს — ასწაულს ახდენ, სიმშვიდის წყაროვ,
მ — ინდა მოვიდე, აქ ყოველ წელში,
თ — ბილი სიტყვებით მეც გაგახარო.
ე — ს იმიტომ, რომ თქვენში დარია,
ს — იწმინდის სულის მატარებელი,
ვ — იცი დამცველად ცა გაფარია,
ე — რის და ბერის გამხარებელი.
ლ — ამაზად მინდა გითხრა სიტყვები,
ო, — უწმინდესო, გეალერსები,
უ — ნეტარესო, გამოგიტყდები,
ნ — აკაწრი გულით ვწერე ლექსები,
ე — ხლა ის დროა, რომ ვთქვა ცოდვები,
ტ — კივილიც უკვე აღარ დავმალო,
ა — მ სავანეში ვდგავარ ლოცვებით,
რ — ამდენჯერ მშველის რწმენის მალამო.
ე — ს საუკუნე მინდა რომ იყოს
ს — აქართველოსთვის მშვიდობიანი,
ო — სი-აფხაზი არ გაირიყოს,
ყველგან ვეძებოთ ადამიანი.
დაისის მზეა გადარწეული,
თქვენ მნათობივით ცამდე მაღლდებით.
გერგოთ სიცოცხლე ათასწლეულის,
რომც გარდიცვალოთ, ისევ აღდგებით.

გულნაზ ხარაიშვილი

მამა გაბრიელი

ჯი დავიმსგავსე თავთავს მოყვეველს...
ნმინდანო, შენით ფიშვი მეოხეთ,
ჩემი სიმდიდრის ბადის მოშყვემო,
ხიყოყხვლ შენით გავიმეოხე.

გოდაბ ხორაიშვილი



წმინდა გიორგი
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე**



გზობა

ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე**

ხარება

ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე**



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

იმედის სპეკვ
ასე მკონია ხალხისა გაკვირვ,
ლ ეს გაბაგხონონ ხოგორც კოკოდნის...
შენა ხარ, ჩემი იმედის სპეკვ,
ხანაგ ვიცოცხლ გულში შეგფოთინი.

გულან ხარაიშვილი



მაცა მერიაბი

შენ დამიბერე ხაფი ოთახის,
გამაღლებთ აქისთვის, მაცა მერიაბი.
სული გამიხდა თავისუფალი,
დაქრის სიმრავლეში როგორც მრავნი.
ნაკლოთ ხაფს ვთხოვე მომშვიდობოდა,
ოჯახისათვის შეიბა მოეცა,
მე ხოგორც ღრუბელ მეფალობოდა,
უვიდანაირად შეფილი დამეცვა.
მეორე ღღესვე ზონა ფიყიდეთ,
კარე ადგილზე და კარი ფერითითაც...
ვაშის ხეაშალლა მინდა ავყვირიდე,
საამაყო ხარ მაამავ, აქითაც,
სასნაულების მომსწე გამხადე,
ხეაშალლა ფიყვი სასწაულიან,
იმ ხაფში ფიქრის სახლი დაეხაფე,
იმ ხაფში მამავ, ჩემი სულიან.

გულნარ ხარაიშვილი

სიმშვიდის მამავ
(მამა გიორგი თეთრუაშვილს)

კრძალვით მოგმართავ სიმშვიდის მამავ,
გულით გირწმუნე ერის მლოცველო.
უსამართლობით რომ ვკარგავთ სამანს,
გვმოძღვრავ, იმედი სულ არ მოვცელოთ.
თქვენს ეკლესიის ყველა აგურში,
ჩაწურულია ღვთიური მადლი...
უცნაურ დროის აურზაურში,
სანთლის ხანძარი ზეცამდე ადის.
თქვენი ირწმუნა მამაო მრევლმა,
საყდარს სადგურობს სიმშვიდის არე,
სიკეთის ხიბლმა მშვიდმა და წრფელმა,
გამოაბრწყინა ღვთის არემარე.
სიმშვიდის მამავ, გამოგარჩიე,
გავარდისფერდა დროთა ბორბალი,
ფიქრი იმედებს მივაჩვიე და ...
მომავლისათვის დავფქვი ხორბალი.
ვინ აღარ იყო ეკლესიაში,
დიდი, პატარა, ღვთის გზით მავალი,
მოხუციც ვნახე მრევლის სიაში
და რწმენა გახდა გულის წამალი.

გულნაზ ხარაიშვილი

სიკეთის წყარო
(მამა ამირან ამირანაშვილს)

მამა ამირან, სიკეთის და იმედის წყაროვ,
დაბადებულხარ გაზაფხულზე 24 აპრილს.
მოხდა წყალობა, ზეიმია, თბილა და დარობს,
ზღვის ტალღას მისდევ, მწამს გააღწევ
სიკეთის ნაპირს.
მზის პენი დაკრავს იმ განვლილ წლებს,
დროთა გაცვეთილს,
აზეიმდა და აფაქიზდა, ციურ ნათებად,
თქვენ შეისწავლით შეუცდომლად,
უფლის გაკვეთილს,
ამზიანდები, აბრწყინდები, ათინათებათ...
მყავდა მეუფე მირიანი სულის მკურნალად,
გამოჩნდი მაშინ, ის როდესაც გარდამეცვალა,
ლამის გაქციო „ათინათის“ ლამაზ ჟურნალად,
როს შემოფრინდი, გაზაფხულის ლამაზ მერცხალად.
მამა ამირან, დას მიწოდებ, გმადლობ ამისთვის,
ბედნიერი ვარ, ამ სიმდიდრეს გაუფრთხილდები...
ქვის ნატეხი ვარ, გამიძლია დროთა-ჟამისთვის,
მიხმე მამაო, თუ ოდესმე მეც დაგჭირდები!

გულნაზ ხარაიშვილი



„ათინათო"

ოცდაშვიდი დაიბადები ათინათო,
ოცდაშვიდი ამოიდგეთ ფრთა...
სამეთვალო იქნებ სოფლისთვის გვაჩინათო,
იქნებ მგზისაც დაამაგინოს წყენა.
ამიჩა შეგიხმინო შენი მადლი სადაც მიხვალ—
მადლიანო, ხიყვავხოლითი ზნათო...
ბევრივლები ნაშოკრიფეი მისკენ-მისკენ—
ადამიას დანერილი ხიდი.

გოდინან ხარაიშვილი.

ჟურნალ „ათინათის" მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

წმიდა გიორგისადმი

იდიდოს შენი სახელი
ყოვლთა ბოროტთა მლახვრელი

წმიდავ გიორგი, ჰფარავდე
კეთილსა ქვეყანასაო,
გულდაწყლულებულს ჰკურნავდე,
თვალს აუხელდე ბრმასაო,
დააჯერებდე მოკვდავთა –
მთაზე შეადგამ მთასაო,
ვინც ვერა იცნას კეთილი
დააბრალებდეს თავსაო.
სიკეთის ზღვაში კეთილად
დააცურებდე ნავსაო,
ჭეშმარიტება მაღალი
გაგვინათებდეს გზასაო,
წმიდავ გიორგი, ჰფარვიდე
ქართველთა ქვეყანასაო.

1973წ.

***

მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების,
წმინდაა მარად სახელი და დიდება შენი,
ყოვლისმყრობელო, უკვდავების ნათელი გშვენის.
მამაო ჩვენო, საკვირველად მსუფევო ცაში,
მოველ ამ ქვეყნად სურნელოვან ვარდების გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმაკნო ბავშვის,
ესაა ფრთები და ამ ფრთებით იფრენენ მაშინ
სასუფეველის სიხარულში და დიდებაში.

დიდებული უწმინდესს

გულთა მცნობელო, გულთა მხილავო,
წმინდა ჭურჭელო სული წმინდისა,
მამულზე ლოცვით ღამეთ მხმილავო,
გამფანტველი ხარ სოფლის ბინდისა.
შენთა საქმეთა მოთვლა ძნელია
რამდენს იღწვი და რამდენს მუშაკობ...
შემწე დიდი გყავს – წმინდა ელია
შენ საქართველოს მფარველ-გუშაგო...
ჭეშმარიტების მადლით მოცულო,
ღირსო დიდების – ტკბილად „აქსიოს“...
ერი კი, შენი, შენზე ლოცულობს,
მარადისობის მზედ რომ გაქციოს.
დიდ წინაპართა ნათელში ბრწყინავ,
ქართვლის სიწმინდის დროშად ქცეული...
საქრისტიანოს მიუძღვი წინა,
გლოცავს მესამე ათასწლეული.

მოკრძალებული და შვილური სიყვარულით
25. 12. 2012.

***

ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდო, ღმერთო მაღალო,
რომელმაც შეჰქმენ ცა და მიწა, სრულად სამყარო,
შემიწყალებდე არა ღირსსა, შესაწყალებელს,
სული და ხორცი ჩემი ოდეს ერთურთს გაჰყარო...
შენი სიცოცხლე ერს უხარია

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა

უწმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.

2001წ. 1 აპრილი

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

მთები

მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები
მგონია მთები.
ჩემო წმიდა ხატო
შენ ხარ ჩემი მზე და ჩემი სიხარული,
შენი მზე მათბობს და მიჩრდილებს ჩერო,
ჩემო წმიდა ხატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო – მამულო ჩემო.
შეხე შენს იარებს, რა გზებით იარე,
მაინც არ გატყდი და სიმაღლეს ჩემობ.
სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიარებს,
იმედით ცოცხლობდი – მამულო ჩემო.
დღე იყო დარით თუ ავდარით დამთვრალი,
სუსხი იანვრისა თუ ხვატი მკათათვის,
აკვანში გეწვინა ბევრი მზე და მთვარე,
ნანას ღიღინებდი ცეცხლოვან ყრმათათვის.

1973წ.



მამა ამირან ამირანაშვილი

გულნაზ ხარაიშვილს

მობრძანდა ხუთი მაისი
თვე ვარდობის და მზეობის.
გვაჩუქა დედა გულნაზი,
მაგალითია ზნეობით.
აკადემიის გვირგვინი,
უფლისგან რომ აქვს დადგმული,
ლეჟავას ნდობით, თხოვნითაც,
ბრძანდება ბეჭედ დასმული.
ბევრ მამაკაცს შეშურდება,
მისი მტკიცე ხასიათი.
პოეტია, პრეზიდენტიც,
უყვარს თავის ათინათი.
ოთარაანთ ქვრივს ვადარებ,
ზოგჯერ მაია წყნეთელსაც,
ხმალივით უჭრის კალამი,
და ქმნის უამრავ შედევრსაც.
ვუყურებ ხელში წიგნებით,
მტკიცე სულით და იმედით...
სულ წინ იაროს ერისთვის,
გამარჯვებით და დიდებით.
წმინდა ადგილს ერთდროულად,
გაიფურჩქნა ხუთი ვარდი...
მთელ სამყაროს მოეფინა
ამაღლების წმინდა მადლი.

შვილო ჰაატა

შენ საქართველოს მწარე ტკივილო,
მუდამ დარჩები სალოცავ შვილად.
დღესაც ჭაბუკებს ვარქმევთ შენს სახელს,
რომ სამშობლოსთვის გავზარდოთ გმირად.
სიამაყე ხარ ქართველი ერის,
სამშობლოსათვის გიძგერდა გული.
ბედნიერება სიკვდილში ჰპოვე
ხალხმა გიწოდა თავგანწირული.
მამა აბრამის გმირო ბატკანო,
„გეფერებოდა ბოროტი შახი“.
აბრამის შვილი უფალმა იხსნა
შენ განსაცდელი გელოდა ავი.
სილაღით შეხვდი თავის მოკვეთას,
გაღიმებული დაბრუნდი ქართლში...
გულში ჩაგიკრა მშობლიურ მიწამ,
ყველა გლოვობდა მთაში და ბარში.
სალოცავ ხატად გადაიქეცი,
დრომ ვერ ჩააქრო შენი ნათელი.
მჯერა წმინდანად შეგრიცხავს ერი,
შენზე ილოცებს ყველა ქართველი.
წინ გაგვიძღვები სამოთხისაკენ
მარად ჭაბუკო „შვილო პაატა“.
აკვნიდან ვიდრე აღსასრულამდე
ბევრჯერ მოგველის ავის ატანა.
ჩვენს შვილიშვილებს დიდებს, პატარებს,
ცოცხლებს წარსულებს, ეს სულ ერთია,
სამშობლოსათვის გავწიროთ თავი
რადგან იესო ჩვენი ღმერთია.

72-ე შემოფეთება

შემომეფეთა ჩემი აპრილი.
მთელი წელია არ მინახია.
შემომაყარა ვარდ-ყვავილები,
ზამთრის ძონძები შემომახია.

გაზაფხულდაო! შემომაძახა,
წელზე ტოტები შემომახვია.
ჭერმის, ატმის და ტყემლის სურნელმა
სიხარულისგან თავბრუ მახვია.

როგორ მიყვარხარ ნაზო აპრილო,
როცა შენ გხვდები ბიჭად ვიქცევი.
თუნდაც მიმაბან კლდეზე ჯაჭვებით,
მე ამირანად გადავიქცევი.

ისევ დამკორტნის ყვავი-ყორანი,
თავზე დამწივის სვავი, არწივი,
ყველას სურს ჩემი ხორცი იგემოს,
მე კი ვგუგუნებ, მაინც არ ვწივი.

და ვინც წიოდა ამაღლებულა,
ვინც, რომ ხოხავდა ადგას გვირგვინი.
ყველა სრიალა მოაჯდა ტახტებს,
მათ ხომ არა აქვთ სული და ტვინი.

უფალო, კიდევ თუ მეღირსება,
აყვავებული ვნახო ხევები,
აპრილისაგან მივიღებ ძალას,
დავლეწო ჯაჭვი, დავსცე დევები.

ჩემი ქვეყანა გამაწმენდინე,
მხოხავ სრიალა მწვალებლებისგან,
უფალო იხსენ ჩვენი სამშობლო
და დაგვიფარე განსაცდელისგან.

გიორგი სსაკაძეს

დიდო მოურავო, შეგვინდე ყოველთა,
სრულად ვერ შეფასდა შენი თავდადება.
ძეგლებიც აგიგეს, წიგნებიც მოგიძღვნეს,
გვჯერა შენი სული უფალთან ბრძანდება.

დიდო გმირთაგმირო, უკვდავო სარდალო,
ბასრი ხმალი იყო შენი თანამგზავრი.
ამდენი ომები ვინ უნდა დათვალოს
შენ ხომ ბრძოლის ველზე არ გყავდა ბადალი.

დღესაც ვერ გივიწყებს მარტყოფი, მარაბდა...
მიწა ზანზარებდა, რომელსაც იცავდი.
ცხენთა თქარათქური მტერმოყვარის სისხლში,
რკინის პერანგებზე უფლის ჯაჭვს იცვამდი.

სისხლით და ბრძოლებით დაიპყარ ალეპო,
ხშირად თავსაბური არ გქონდა ქართული.
იბრძოდი ოჯახით, ცოლით და შვილებით
სხვა ქვეყნის დროშებიც გქონდა აღმართული.

ურჩი ქართველების დასამორჩილებლად
ჯარი რომ მოეცა შახი დაარწმუნე.
ლომის გალეაში დატოვე პაატა,
ომი მოიგე და საქმე გაართულე.

ჯარი ზეიმობდა, შენი რუსუდანიც...
გიჟივით ელოდი შახისგან „საჩუქარს“,
გამოჩნდა მსტოვარი უძვირფასეს განძით
აცახცახებული ემსგავსე ქარიშხალს,

შევარდი კარავში, მუხლებმოკვეთილი,
შვილის შეხებაზე აგმოგხდა ღრიალი,
გულში ჩაიკარი ნანატრი პაატა,
სამყარო შეიძრა ზარების გრიალით.

მოუხმეს რუსუდანს, მიართვეს ზარდახშა,
ნადიმი შესცვალა პაატას საკურთხმა...
ზეციდან გაისმა ანგელოზთ გალობა,
უფალმა პაატა წმინდანად აკურთხა.

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

ვესტერნი

ორი უყურებს ქუშად ერთმანეთს.
თავზე – სომბრერო, პირში – სიგარა...
ორივემ ალბათ რაღაც მიქარა.
ორი ტყუილი ზვერავს ერთმანეთს.
მერე – გასროლა, და ჩნდება სისხლი,
ერთ-ერთს ეტყობა მძიმე იარა,
ბუდიდან მაინც იღებს იარაღს,
მაგრამ არ ისვრის.
არა, არ ისვრის...
ის ნელა მიდის უკვდავებისკენ
ის გაუყვება გზებს და იალაღს...

სიშორის წაშლა

შენ – არეკლილი ჩემს თვალებში,
შენა ხარ შორი,
თანაც ხარ ახლო, რადგან ახლა
მე ფიქრით გიმზერ,
და მანძილია შენს მზერამდე
ათასჯერ ორი
კილომეტრი და...
ჰგავს, დროება, გადაღლილ ქრისტეს...
ხარ გაზაფხულად, გაფიქრებად,
ფოთლებად, ქარად,
და ჩემს თვალებში
სამუდამო სურათად რჩები,
რადგანაც გრძნობა, უშენობით,
მეგულვის არად,
რადგანაც ახლა ფრენა მინდა
პოეტურ ფრთებით.
იწყება გზები, და ეს გზები
მთავრდება აღარ,
ამ გზა-ბილიკებს
უსასრულოდ მივყვები, მივდევ,
მზე თუ ამოვა,
ის ამოვა მთებზედაც მაღლა,
მზე თუ ამოვა, ეგებ იმ მზეს
ჩვენ ორნი მივწვდეთ.
მაგრამ სადა ხარ!
მენატრები სამყაროს იქით,
რადგან სამყარო ამ დიდ სურვილს
ვერაფრით იტევს!
წევს ეს ცხოვრება,
როგორც ცივი, ვეება ხვლიკი,
და არ უყვარხარ,
რადგან პოეტს იხსენებ ქრისტედ...
მაგ ქალწულებრივ სილამაზეს
ვერარა წაშლის,
კვლავ ირეკლები ჩემს თვალებში,
თუმცა ხარ შორი,
მე მენატრები, ვით სიმბოლო
ქალის და ბავშვის...
ხოდა მოკვდება ეს მანძილი —
ათასჯერ ორი...

სევდით სნეულო

სევდით სნეულო, ის გაიხსენე
ვინც შენთვის ნათობს, ვინც სანთლად იწვის,
თუ მთელს ცხოვრებას ვერ გაგითენებს,
მაინც გასწავლის გულიან სიცილს,
რაღაცა დროით ხომ დაგავიწყებს
მას, რომ სიცოცხლე ძალიან გიმძიმს...

ლეგენდა – ნანა

ასოცირდება, წვიმასთან, ნანა,
ზეცა რომ სევდობს, ზეცა რომ ტირის,
ან როცა ქარით დაიწყებს ქანავს
ეს ცა, ან ჩნდება ნათელი დილის.

ასოცირდება, ყველასთან, ნანა,
და ყველაფერთან, ვინც, რაიც მომწონს,
შენთან და ცასთან, ყვავილთან, მზესთან...
მე ახლა ვუმზერ ჭადრის ხმელ ფოთოლს.

ასოცირდება, ფოთლებთან, ნანა,
ფოთოლცვენასთან ასოცირდება...
და ცა დიდია, სამყაროსთანა,
და ხელის გულზე ცაც ხომ მცირდება...

ასოცირდება, ამ გულთან,
ნანა,
გული, ჩიტივით,
ცად აფრინდება...

სიტყვა

მე მინდა ვიყო ოცნების ბაღში,
სადაც უამრავ ჭიამაიას
დასდევს უმანკო, პატარა ბავშვი,
რომელიც მერე დიდ გზას გაიარს.

ის ციცქნა თითებს შეახებს თვალებს,
ჰყურობს ყვავილებს ლურჯი თვალები,
– "ჭიამაიავ", – იტყვის, – „გესმოდეს:
ნუ მემალები... ნუ მემალები..."

სადღაც გაფრინდა პეპლების გუნდი,
ვით დაცვენილი ლამაზი წლები,
და ოცნებიდან როცა დავბრუნდი,
მივხვდი – წარსულში ვერ დავბრუნდები.

დიახ, მე ვიყავ ოცნების ბაღში,
სადაც უამრავ ჭიამაიას
დავსდევდი ერთი პატარა ბავშვი,
რომელიც მერე დიდ გზას გაიარს...
მე მინდა დავრჩე ერთ ლამაზ სევდად,
ერთ ლამაზ ფიქრად, სიტყვად...

კახა ბაციკაძე

ხხვა სიცოცხლე

ღამე ვარ, ჰოდა, არ მასვენებს შენზე ფიქრები,
რომლებიც ჰგვანან ფოსფორისფერ ციცინათელებს,
ღამე ვარ, შენზე ოცნებებით ვიწვი, ვფრინდები
და საკუთარ თავს ცეცხლისფერი ფრთებით ვათენებ...
სიტყვა ვარ, უნდა მიმოვქარგო ლექსის სტრიქონი,
რომელიც გრძნობის ლურჯ მოსასხამს მხრებზე შემოგხვევს,
გულით იკითხე, სიტყვებს შორის ისე მიპოვნი,
ამ ლექსისა და სიყვარულის მარად შემოქმედს.
გზა ვარ, რომელიც პოეზიის ზღვასთან მიგიყვანს...
მზე ვარ ამ ჩემი გულის ბაღს რომ ასე სჭირდები!..
შენს ღრმა თვალებში აგებული ტაძრები მიყვარს,
მათ წინ შეშლილი მლოცველივით ჩუმად ვფითრდები...
ღმერთი ვარ, სიყვარულის ჯვარზე უღვთოდ გაკრული,
სამი დღის მერეც შენთან მოვალ, როცა აღვსდგები,
მე პოეზიით დავამსხვრიე ბედი მზაკვრული
და ამ სამყაროს გულისგულში ასე ვმაღლდები!
ღამე ვარ, ჰოდა არ მასვენებს შენზე ფიქრები,
რომლებიც ჰგვანან ფოსფორისფერ ციცინათელებს,
ღამე ვარ, შენზე ოცნებებით ვიწვი, ვფრინდები
და საკუთარ თავს ცეცხლისფერი ფრთებით ვათენებ...

ხლებური მუხამბაზი

დამალევინე დასალევი დამწვარ-დადაგულს,
დამაკრეფინე გულს ხელები და დამასვენე.
დაალეწინე ოცნებების სარკე დამწვარ გულს,
რომ სიყვარული არ არსებობს, – მას ათქმევინე!
განა გაწუხებს? – გათელილი გული განძია,
რა დააშავა, სიყვარული რომ ვერ დასძლია.
მოდი ძვირფასო, მოეფერე, ნუ ემდურები,
ნუ ხართ ქალები ასე ცუდი, უმადურები.
ვერას დამაკლებ... დავილევი შენს სიყვარულში,
კვლავ ვიოცნებებ, კაეშანი შემსუბუქდება...
ვაი ისევ შენ, - რომ ვერ ხვდები და ჰკლავ თვით იმ გულს...
შენთვის იძგერებს, არასოდეს არ დაიღლება.
მუხამბაზურად მოვეფერო, მინდა, მაგ თვალებს,
რომ მიყურებენ, არც იციან, რარიგ მცხრილავენ,
მუხამბაზურად შენთვის მსურდა მეთქვა ეს ლექსი.
მოწმედ მოვიხმობ თუ არ გჯერა თვით ათინათებს.
და შემიყვარე!.. თუ არა და...
დამალევინე დასალევი დამწვარ-დადაგულს,
დამაკრეფინე გულს ხელები და დამასვენე.
დაალეწინე ოცნებების სარკე დამწვარ გულს,
რომ სიყვარული არ არსებობს, მას ათქმევინე!

სევდა

საღამოს, სტუმრად, სევდა მეწვია,
მეტყვის, – ქუჩაში ძალიან ყინავს,
ქვეყნად არავინ არ შემიფარა,
შენს გულში მაინც მომეცი ბინა.

შემეცოდება სევდა მწუხარე,
როგორც პატარა, ობოლი ბავშვი,
და მე გავუღებ მას გულის კარებს,
ვეტყვი, – თუ გინდა სულ ჩემთან დარჩი...

გიორგი ზუხბაია

მზის ცეცხლი ბრძოლაც არა ღირს

(თუმცა, რატომღაც მე მაინც ვიბრძვი)...

მე ვხატავ მზესთან ხელის შეხებას,
და გზას, არსაით მიმავალს, ვერ ვშლი.
სიცოცხლე? არა, არ მეხერხება,
თუმცა ეს გული კვლავ ფეთქავს ჩემში.

როგორც ლექსიდან სისხლის დადენა
ანდა გაჩენა შეშლილის გრძნობად,
მე არ ვარსებობ სულაც, ამდენად, –
არ ღირს გაქცევა, და არ ღირს ბრძოლაც...

მე ვხატავ ცისგან ფიქრთა შერხევას,
მე ვგავარ უფალს, დარჩენილს კენტად...
სიკვდილი? ისიც არ მეხერხება,
დავბადებულვარ, რადგან პოეტად...

წლების ცხედრებით ეს მზე სავსეა,
და მზე თავის ცეცხლს სულზე მომახლის...
მე არ ვარსებობ, ვიცი, ასეა!
ცარიელია ჩემი ოთახი...

მე აქ არა ვარ!!!...

ერთდროულად დაწერილი ორი ლექსი

1. უწყვეტად და არასოდეს

დღე დაიბადა და მზერას მოლევს
დრო – დასასრული და მომირაჟე.
მე ერთდროულად ვწერ, ახლა, ორ ლექსს,
და თითქოს ვდგავარ ღმერთის წინაშე.

ზეცა კალამის წვერზე დავტიო,
და იქნებ მივხვდე, რომ მე არა ვარ...
ახლა ვწერ ორ ლექსს, გთხოვთ მაპატიოთ,
უკვე მეორე ლექსზე გადავალ...

ისევ დავბრუნდი... თვალების ნაპრალს
ოცნებებისგან სიბრმავე ელის.
დღე მომაგონებს გიგანტურ არფას,
ეხება, სიმებს, ჰაერის ხელი.

გზა არასოდეს არ იყო სრული,
და მე უბრალო ფიქრიც კი შემშლის.
ვისმენ მუსიკას, და ჩემი გული
იარაღივით მიჭირავს ხელში.

ფიქრი არაფერს არ ამარტივებს,
და მეც, არაფერს, ბოლომდე ვუცდი...
მე ვწერდი ორ ლექსს, და მაპატიეთ,
რომ გამოვიდა ორივე სუსტი...

2. ლექსი და წერტილი

აქ ყვავილები მოჰგვანან ცხედრებს
და წყვდიადისგან რჩება იმედი,
მაგრამ იმედის სიკვდილის შემდეგ
მე თვითმკვლელობას მარად ვითმენდი.
და როცა რატომ მოიკლა თავი,
გაჩნდა ცამეტი, სულზე, ჭრილობა...
მე ვფიქრობ, ფიქრი-თეთრი და შავი,
ამოუხსნელის ახსნას ცდილობდა...
მე ერთდროულად ვწერ, ახლა, ორ ლექსს,
და მალე პირველ ლექსზე გადავალ...
მაგრამ დავბრუნდი... და თითქოს მომკლეს,
მე თითქოს ვდგავარ, ახლა, საფლავთან.
საკუთარ თავის საფლავთან ვდგავარ,
ქვაზე წერია ჩემი სახელი,
და ვგრძნობ, – ეს გზები სინათლემდეა,
მაგრამ – წყვდიადის, მხოლოდ, მნახველი.
და სიხარული არაა ჩემში,
რადგან ოცნებამ სათქმელი ვერ თქვა...
ამასობაში, პირველი ლექსი,
რომელსაც ვწერდი ამ ლექსთან ერთად,
და რომ ზეცამდე თითქმის ასულა,
სხვა უკვდავებით გულს რომ აბრუებს,
ქვის სიზმარივით უცებ დასრულდა...
ვფიქრობ, – ეს ლექსიც დროა დასრულდეს...
და ვიწყებ ბოლო კუპლეტის წერას,
თითქოს არც მქონდა გადაწყვეტილი...
ლექსიც მთავრდება და გულის ძგერას,
ვწერ ბოლო სიტყვებს... აი წერტილიც.

ერთხელ...

(ლექსი ეძღვნება რატი (ტატო) ნინუას – თბილისელ პოეტს, რომელმაც ძალიან ადრე დატოვა წუთისოფელი, ეტყობა, მარადისობა არჩია)...

სერგის ლექსივით დასრულდა მარტი –
მე ვიგონებდი. ზეცამ იფიქრა...
გუშინ, ქუჩაში, მე შევხვდი რატის,
ჩვენ არაფერი არ გაგვიკვირდა.
არ გაგვიკვირდა დროის არცოდნა,
არც ის, რომ ყოფნა გამოდგა ავი...
რადგანაც რატის აღარ ახსოვდა,
რომ ერთხელ, ადრე, მოიკლა თავი...
და იყო ფიქრი, მე კარგად მესმის, –
შეხვედრის წამი იყო პოეტი...
თავისი წიგნი ეჭირა ხელში,
ეს იყო ერთხელ, როგორც ყოველთვის...
დღე ჰგავდა ყველა სიცოცხლის ბოლოს...
ის იღიმოდა, ვით ადრე, დარდით...
მეც არ ვუთხარი, და ვკითხე მხოლოდ:
„ამდენი ხანი რატომ არ ჩანდი?"
და დადგა ღამე. ვიღაცამ, ეხლა,
თითქოს იხილა გზა ზეცის იქით,
და ვარსკვლავების თრთოლვა და ღელვა
წამით გაცოცხლდა წყვდიადის შიგნით...
და მიპასუხა დუმილის ბოლოს,
(სანთელმა იცის, რომ უნდა ჩაქრეს), –
„არ ვჩანდი, რადგან ლექსებში ვცხოვრობ,
და იშვიათად ვბრუნდები აქეთ"...
გვხედავდა ღამე ერთურთის მხედველთ...
ის უკვე სდუმდა, წლებივით სდუმდა,
თავისი წიგნი მან გახსნა შემდეგ,
და შემდეგ თავის წიგნში დაბრუნდა...
სერგის ლექსივით დასრულდა მარტი...
ეს იყო ერთხელ... მე შევხვდი რატის...



გერონტი მესხი
(სამაჩაბლოს ბულბული)

მოსაგონარი
(ალექსი ტატუნაშვილს
და ბეგლარ კასრაძეს)

მზე იღვენთება, როგორც სანთელი
და იმპულსურად ათბობს მიდამოს.
ხსოვნებში რჩება კორიანტელი,
თუმცა ბევრს არ სურს, გამოიდაროს.
ერო, ტანჯულო ჩემო, ომებით,
შენი ცისკარი ჯერ ვერ გაიხსნა.
ისე გარბიან შემოდგომები,
ხმება ძმობის ხე, ნაყოფს არ ისხამს.
ვინ გაბედავდა ნეტავ სხვა ამდენს,
ჭრილობას უჩანს პირი სისხლმდენი...
რამდენ ქართველსაც ხელი დაადეს,
გამოიკვეთა გმირი იმდენი.
აბორიგენის ბედი ეგ არის,
ქცეულან ჯაყოს გამო ხიზნებად...
სხვის ხელით მოკლულ არჩილ-ბეგლარის
ადგილზე ასი წამოიზრდება.
მაჩაბლის მიწა-ქართლის არწივი...
სხვას შეხიზნულნი დევნილ-ობლები...
... მალე შეგვევსოს ბეგლარ-არჩილით
ლიახვის, ფრონის და ქსნის სოფლები...

ვჰრიდი

სიყვარულის სურნელი სდის მიდამოს,
ჯადოსნური
ფერი დაჰკრავთ მთა–გორებს.
აფროდიტე
დაშვებულა ციდან და
ყვავილთ წყება
შენს მაყრიონს მაგონებს.
მაშინაც ხომ ფლორა ასე ყვაოდა...
გახსოვს?..
გვსურდა ზღვები გადაგველახა...
იმ ღამით ხომ სიზმრად განახე...
რაო, და,
თუ მაკოცებ,
მოგიყვები ხელახლა...
დღესაც არე ამურისგან დაჭრილა,
დაუმუხტავს
სივრცე არსთა გამრიგეს.
აპრილი ხომ
რჩება კეთილ აპრილად:
არ თხოვენ და
კვლავ „ნასესხებს“ არიგებს.
ვნება სულში
ნაკადულად მოჩქროლავს,
ლაბირინთებს
რიგ-რიგობით
ჩაივლის.
ეფერება,
როგორც ძუძუს–ბოჩოლა,
სიო-კვირტს და
ფიფქად ცვივა ყვავილი.
ედემივით გადაშლილან ეზონი,
გრძნობას ცურვის ასპარეზად
ზღვა უდგას...
სიყვარულის
ჩამომდგარა
სეზონი,
მყინვარწვერსაც
თეთრი ფატა დაუდგამს...

2015 წ.

იბერთა მოდგმავ!

ტონის მიმცემი ძირძველ ტომებში,
მამულის სვე-ბედს გადაგებული.
გამობრძმედილი ფიცხელ ომებში,
რწმენისთვის გულ- და თავდადებული.
მახვილი გედგა კვალში სატანის,
ჩქეფდა ნაჭდევი ღრმა და სისხლმდენი.
რაც შენ ბრძოლა გაქვს გადანატანი,
მტერს ღვარძლი სწვავდა ასჯერ იმდენი.
მტრისგან თესილა აქ სიტყვა „შუღლი",
აქ, სად სამშობლო დგას თავზე მაღლა.
სინქრონიზება ხმალის და უღლის
თანშეზრდილია ქართველში ახლაც.
ბევრ ხალხთან ისე გადასდე ხიდი,
ზოგს საკუთართან არ ჰქონდა გზები...
როცა შენ ღვთიურ ანა-ბანს ჰქმნიდი,
პირველ სამოსელს ირგებდნენ სხვები.
შენი ღაღადი აღწევდა ცამდე, –
უფალს სატახტო სადგომად რომ აქვს...
შენ როცა ღვთიურ ვაზის წვენს სვამდი,
სხვას ცხარე რახი უწვავდა სტომაქს...
იბერთა მოდგმავ!.. მამულზე სწორდი!..
ერს სხვას ვერ ნახავ მსგავსი ბედისას.
ჩვენ ხომ ნიადაგ ორ ძუძუს ვწოვდით:
ერთს სამშობლოსას, ერთს კი-დედისას!
შენ გაქვს სამოთხე, სულ წინ რომელზეც
იშვა და იწყო სიცოცხლემ რწევა,
თუმც, „ამირანი" იქცა „პრომეთედ",
„ზეზვა და მზია"- „ადამ და ევად"...
მემატიანევ, შენც მათთვის წერე,
შეღმართს ვინც სძლიოს-ვაჟმა, თუ ქალმა.
იბერია ხომ შეღმართის მერე
გაბრწყინებისთვის შექმნა უფალმა...

2014წ.

ნაცურმორცი

სუფრა... ირგვლივ ყისმათს დანამდურები
„სამფეხები", მარნის უხმო მდგმურები...
სინზე–გოჭი, დაცქვეტილი ყურებით...
გუდის ყველი... „დედას ცხელი პურები"...
ღვინო–ცივი... დაორთქლილი სურები...
მწვანილები, ცინცხლად ცვარნაპკურები...
მოხდილი და მოუხდელი ჭურები...
ქვევრის ირგვლივ სველი ნაფეხურები...
სარზე მოჩანს სქლადამოვლებულები
ჩურჩხელები, ნიგვზიანი გულებით...
ყურს ჭრის მწყემსის ცხენის თქარათქურები,
შარაგზაზე რომ მოუდის ფურები,
მინდვრის ხვავით გატიკნილი ცურებით...
მარნის ფონზე კართან მოჩანს ურემი
უღლითა და სელის აპეურებით...
ჭერს წვდენილი ყანწის თვრები ყურებით,
ზომით–ტოლის მომლოდინე სტუმრების,
მოლოდინში ჩამოყრილი ყურებით...
...მარნის ხვავი წმინდაა და ულევი,
როგორც წყალი ტერმინალთან, ყულევის...

2018 წ.

ნაწვიმარზე

ცაცხვებთან, მოლზე, ვიდექით ორნი
გულებით, მზეზე უფრო ცხელებით...
მე – ჯადოსნური ტიტების კონით,
შენ – ტიტებისკენ გაწვდილ ხელებით...
ორთქლი სდიოდათ ცაცხვებს, თუ ნაძვებს,
ირგვლივ ყოველი ვნებით იწვოდა.
ღიმილად აჩნდათ შეფაკლულ ღაწვებს
ნატიფი გრძნობის მარადისობა.
ჩვენს შორის მანძილს ავართვით სიგრძე...
უხმოდ შრებოდნენ ფეხქვეშ ქუჩები...
მზემ ჩაიცინა, როცა მე ვიგრძენ
უძღები გემო შენი ტუჩების...

2018 წ.

თეა კანდელაკი

და იწვა ქალი, ვით ანგელოზი

ღამით ძლიერად დაჰბერა ქარმა
და სადღაც შორით ჩამოჰკრეს ზარი.
ქარმა წარსტაცა ქალს სილამაზე,
სიცოცხლეც თითქოს შეჩერდა წამით.
შემოეხეტა ფიქრებით მთვრალი,
დრო ულმობელი და ნაწამები.
ჩამოიფერფლა დაღლილობისგან,
ვით, ნაკვერჩხალი დანაცარები
და ელვის კვერთხმა გაჰკვეთა ზეცა,
თითქოს, ღვთის რისხვა დაატყდაო- ჩამოჰკრეს ზარი.
გამოსცა ექომ: - „მის ულმობლობას ვერ გაუძლო
და მარტოსული მოკვდაო ქალი„.
სულს აღარა სურს ქვეყნად არავინ,
ირგვლივ ყველაფერს სუსხი ეფინა
და მის გარეშე ირგვლივ ქვეყანას
შავი სუდარა გადაეფინა.
შემოეხეტა ფიქრებით მთვრალი,
დრო- ულმობელი და ნაწამები.
ჩამოიფერფლა და მუხლმოდრეკით
ქალთან მდუმარედ დახარა თავი.
ის იყო თეთრი, ვით მარმარილო ალვის ხედ თლილი,
ყელი- ვით გედის,
თვალები- შველის,
თითები- თლილი...
და იწვა ქალი- ვით ანგელოზი
ღვთისაგან ქმნილი.

10.17.1995

***

ვაღმერთებ – უფალს,
სამ სახედ ქმნილს და არსებით – ერთის!
ვაღმერთებ – თვალებს, რადგან მასში სჩანს სულის სიწმინდე –
კაცის და ერის.

1997

საღამო არის საოცარი

საღამო არის საოცარი,
მშვიდი საკმაოდ.
მინდა გავექცე აბეზარ ფიქრებს,
მაგრამ ამაოდ.
ხეთა ჩრდილებში მიმალულთა
მართობს გალობა,
სხეულზე ნაზად ცის ცრემლები
ჩამომაგორდა.
წვიმა დანამავს ალბათ
მწვანედ გაშლილ ლელიანს,
იქ, სადაც ციდა ყვავილები
მზეს უმღერიან.
ლამპიონები ხეთა ჩრდილებს
დეგნის ამაოდ,
საღამო არის საოცარი,
მშვიდი საკმაოდ.
მივყვები ქუჩებს, ცარიელ ქუჩებს
და ფიქრი მათრობს,
ასე მინდოდა მეხეტიალა
სულ მარტოდ-მარტოს.

09.28.1998

***

მე შენს წინაშე, თუ რამ ცოდვა ჩამიდენია
მხოლოდ შენ გვედრი.
ო, მაცხოვარო, მომიტევე ცოდვანი ჩემნი.

04.21.1998

გულახდილი საუბარი ღმერთთან

ისე ბობოქრობს სული ეული ვით მტკვრის ზვირთები.
ამ ხმისგან მერე გაოგნებული გავირინდები

და ყურს მივუგდებ სულის ძახილს, ვის უხმობს ნეტავ,
რით ვერ განელდა ეს მონატრება გარდასულ დღეთა.

სიყვარული – მე ვიცი უსაზღვრო და უსაშველო,
მაგრამ, უფალო, მე არ ვიცი სულს რით ვუშველო,

შენ, ზიარებით ვიცი სიმშვიდეს გამინაწილებ,
მეკრძალვის მაინც, რომ შევეხო ღვთიურ ნაწილებს.

ფუჭი ფიქრით და ოცნებებით არვის ვაწუხებ
და ამ კითხვისთვის ნუ გამკიცხავ, ნუ დამამწუხრებ,

თუ სიყვარული ღმერთი არის – გულს რად ამწუხრებს?!
ხშირად მის ირგვლივ– ათასმაგვარს ვისმენ პასუხებს.

გზის დასალიერს, მაინც ყველა შენ გიხმობს, ღმერთო.
ნუთუ, ღაღადისს არ შეისმენ?! შენ ერთად–ერთო!

ვიღაც მწყურვალი თუ ეწაფვის თასიდან ეროსს,
შენ, ამ ფიალას როგორ აცლი ხელიდან, ღმერთო!...

... მე საყვედური არ მითქვია ამ სიტყვით შენი,
მადლობის მეტი რა შეგკადრო, ჩემი ხარ მხსნელი,

თუ შენ მოგიხმე – ვუხმობ სიყვარულს, მწერალო ბედის,
მე ბაგეთაგან არ დამცდება სხვა– ხოტბის მეტი.

თუ ნებას დამრთავ, შევსვამ ფიალას, სავსეს ეროსით,
შენს წმინდა ნაწილს ვეზიარები მადლით შემოსილს.

11.21.1997
მთავარანგელოზის დღე

სიყვარული ასე მწამს

თუნდ, პასუხი ვერ მოვძებნო,
სიყვარული ღმერთსა ჰგავს.
იდუმალი ღვთაებაა,
ასე მჯერავს!
ასე მწამს!
ფაფარაშლილ რაშს მაგონებს,
მძვინვარებით მუსონს ჰგავს,
ფსკერზე ითრევს გზაზე შემხვდურს,
ასე მჯერავს!
ასე მწამს!
თუნდ, ჩიტს ჰგავდეს
ფრთამოტეხილს,
სათნოებით მტრედსა ჰგავს.
სულს სიმშვიდეს მოანიჭებს,
ასე მჯერავს!
ასე მწამს!
ზოგჯერ ტკბილი მაჭარია,
ზედაშეა, წყურვილს ჰკლავს,
თილისმაა, დაგატყვევებს,
ასე მჯერავს!
ასე მწამს!
ზოგი მისით იბადება,
სიცოცხლეა, ზღაპარს ჰგავს.
ზოგში სახლობს ვით დემონი,

ასეც მჯერავს!
ასეც მწამს!
ვერ გავიგე რა ყოფილა,
აცოცხლებს, თუ, კაცსა ჰკლავს,
ალბათ, თავად ბედი არის,
თვით, უხილავ ღმერთსა ჰგავს,
ჩემში – სულიწმიდით სახლობს!
ასე მჯერავს!
ასე მწამს!

01.29.1998

ლალი ასაბაშვილი

აფხაზეთო !!!

აფხაზეთო, ვერ გივიწყებ ვერაფრით,
ჩემი ცრემლი შევუერთე რიწას..
ღმერთო, ისე ნუ წამიყვან ქვეყნიდან,
არ ვემთხვიო ჩვენს დაკარგულ მიწას..

მენატრება თეთრი მაგნოლიები,
თოლიების ზღვის ნაპირზე ფრენა..
ბავშვობა და ზღვის ტალღებთან თამაში,
სიცილი და ცაში აღმაფრენა..

მენატრება სოხუმი და ათონი,
ანდა როგორ დავივიწყო გაგრა..
ვიცი კვლავაც ისევ ერთად ვიქნებით,
ეს სურვილი არასდროს არ გაქრა..

აფხაზეთო, როგორ მომნატრებიხარ,
მწვანე მთების ზურმუხტი ხარ რიწა..
ღმერთმა მალე შეგვახედროს ერთმანეთს,
დავაბიჯოთ ჩვენს დაკარგულ მიწას..

საქართველო!!!

საქართველოვ იდღეგრძელე მარადის,
დაგელოცოს შინდისფერი დროშა..
რაც ეწამე და რაც სისხლი დაღვარე,
ეს ტკივილი გაგინელდეს დროჟამს..

იფრიალოს –
დროშამ თავისუფლების,
ქართვლის დედას დავულოცავ კალთას,
ვისაც გული სამშობლოსთვის
უფეთქავს,
თავისუფალ უტყუარ გზით მართავს..

გაზაფხული !!!
****

შეხეთ ხეებს, დასკდომიათ კვირტი,
ხეში წყალი რა ხანია ჩადგა,
ატმის, ტყემლის აყვავებულ ტოტებს,
მზის სხივების ათინათი ადგას...
ყოჩივარდებს, ენძელებს და იებს,
მახსოვს, როგორ ვიხუტებდი გუშინ,
ბევრმა წელმა ჩაიარა მაგრამ,
გაზაფხული კვლავ დამრჩება გულში...
გაზაფხული მწვანე კაბას კერავს,
იმოსება მთა - ბარი და მდელო,
მინდა, კვლავაც ჩემი თვალით ვნახო,
როგორ ყვავის, ჩემი საქართველო...
ლალი ასაბაშვილი

კარგ მეგობარს !!!

ბნელ ღამეში მოგიხატავთ ვარსკვლავებს,
მბჟუტავ მთვარეს სიკაშკაშეს მივცემ..
კარგ მეგობარს გულის კარებს გავუღებ,
გული მუდამ სიყვარულით მიცემს..

ცისარტყელას გამოვსახავ ზეცაზე,
ამოგივსებთ მზის სხივებით კალთას..
მეგობრისთვის სულსაც არ დავიშურებ,
მის საშველად გადავლახავ ცხრა მთას..

ბნელ ღამეში სანთლის შუქად ვიქცევი,
ალიონზე ცას ღრუბლებსაც ავყრი..
მეგობრისთვის შევძლებ თავის გაწირვას,
მე კედელს ცერცვს არასოდეს ვაყრი..

გასაჭირში აგენთებით კელაპტრად,
მთვარის შუქზე მოგიყვებით ამბებს..
კარგ მეგობარს გულით ღრმად თუ ვიწამებ,
არასოდეს მივუხურავ კარებს..

გვირილებით მოგიქარგავთ სამყაროს,
მდინარეზე გავედები ხიდად..
სიყვარულით ვიცოცხლებ და როს წავალ
– არ წავიღებ არვის წყენას ხინჯად..

იზო სანთელაძე

იასამანი

გაზაფხულია ახლა მთაში, ტყე შეიფოთლა,
ალბათ, ბარშიაც აყვავილდა იასამანი,
თეთრად ანათებს აკაცია, ხე, რომლის ჩრდილშიც,
გამოინასკვა ბედი ჩვენი- რთულად სავალი...
წამით ვინატრე ის დღეები ალმოდებული,
გული საგულეს ვერ ისვენებს, სულს ფრენა უნდა,
შემომატარა ყველა კუთხე, ყველა კუნჭული,
გარდასულ დღეთა სიხალისე კვლავ დამიბრუნა...
აქ, ისევ ისე მოჩუხჩუხებს წყარო ანკარა,
საგულდაგულოდ ბუდეს აგებს ჩიტი მზეწვია,
გთხოვ, უბით ნაზად წამომიღე იასამანი ,
მაგრძნობინე, რომ გაზაფხული ისევ გვეწვია...

კვლავ ბავშვად ვრჩები...

ო, როგორ მინდა ძველებურად ისევ გიყვარდე
და ისევ ისე, სიყვარულით მაფრქვევდე ღიმილს.
-არ გიყვარვარო, ჩემზე მეტადო გიყვარს ია,-
გულში მიკრავდე, აგრძელებდე ბავშვურად ჩივილს...
ო, ნეტავ, დიდხანს ჩამესმოდეს მაგ გულის ძგერა,
გულის, რომელიც ჩემი თავის სასთუმალია,
გულის, რომელიც ახლა ძლიერ არის დაღლილი,
გულის, რომელმაც სიყვარულით ყველაფერს სძლია...
შენ ახლა თოვლში ამოღერილ იებს აგროვებ,
გიკვირს, თოვლის ქვეშ მიწა სითბოს როგორ ინახავს,
იებთან ერთად, კონად შეგიკრავს ფირისულები,
მეჩვენება თუ ცხადად ჩამესმის-ძლიერ მიყვარხარ!...
და ახლა ვცდილობ, ცხადი სიზმრისგან გამოვარჩიო,
დრო არ იცდის და ჩემთან ერთად მიდიან წლები,
იცი, მე ისევ ზამთარს ძლეული იები მიყვარს,
მიხარია, რომ ხანდაზმულიც კვლავ ბავშვად ვრჩები...

სოხუმს

შენ ახლა ისე შორსა ხარ ჩემგან
და ვიცი, მომკლავს შენზე ოცნება,
შენს სიყვარულში ჩემო ქალაქო,
ეს ცა და მიწა დამემოწმება...
ხილვებში გხედავ, შემოეჯარა
ხეებს კვირტები მაგნოლიების,
მე ყოველ დილით ზღვის ნაპირს
ვსტუმრობ,
ჟრიამულს ვისმენ თეთრ თოლიების...
ღამით კი, როცა მთვარე კვლავ ტირის,
მალამოს ვაცხებ იმ ძველ იარებს,
შენი ტკივილი ჩემად ვიგულვე
და შენი ტანჯვაც გავიზიარე...
მოვდიარ შენთან - ახალ ზღაპარში,
ვემთხვევი მიწას, დავხრი წამწამებს,
მზის ოქროსსხივით გადანაფარჩი,
მჯერა ზღვა ისევ ლურჯად კამკამებს...
ცისმარე დილას ვიწყებ მე ლოცვით,
ვავედრებ უფალს ღვთისმშობლის მიწას,
მიწას, რომელსაც ჯერ ისევ სტკივა
და რომლის ხილვაც -ოცნებად იქცა...

მე შენ გაგცვალე მარტის წვიმაში

შენ თბილი სიტყვაც ვერ გაიმეტე,
მარტის წვიმა კი მიწერს პოემას,
ჯერ თმას მისველებს, ჩამოდის ღაწვზე
და სახურავზე მითქვამს პაემანს...
მერე, მიწაზე მიმიპატიჟებს,
ბალახებს უმღერს ახლადაღერილს,
ხის ძირას კოცნით მინამავს თვალებს,
იებს კონებად მხრებზე დამაყრის...
შემდეგ, მზეს უხმობს და ჩემს სველ კაბას,
ნაზად შემომხსნის, მზის გულზე გაშლის,
ზამთრის სუსხისგან აბუზულ ჩიტებს,
ბუმბულს ჩამობანს, მერე დავარცხნის...
როცა მზის სხივთან დამიგულგულებს,
გულანთებულს და სახეაფაკლულს,
მე ვხდები უტყვი, წვიმა მეტყველი,
შხეფებათ მაფრქვევს ულევ სიხარულს...
და უკვე ვიცი, რომ მე და წვიმა,
ერთმანეთს ვგავართ მზისკენ სწრაფვაში,
იცი, ზამთარო, აღარ მჭირდები,
მე შენ გაგცვალე მარტის წვიმაში ...

ნაირა ნიჟარაძე

ლორდი ბაირონი და ქართველი გოგონა 1810 წ

ლორდ ბაირონი ძალზე ადრიან
სტუმრად ეწვია ალექსანდრიას,
გზად გაიარა მონათ ბაზარზე,
და შეეფეთა ამბავს ამაზრზენს.
ტიროდა გოგო, ძალზე ჩიოდა,
ლამაზ ღაწვებზე ცრემლი სდიოდა.
გაოცდა კაცი, გული დაეწვა,
აღარ იცოდა, როგორ დაეცვა.
წამიყვანეთო ჩემს სამშობლოში,
ახლა ჩამაგდეს შავბნელ ორმოში,
ჩემი ქვეყანა არის თბილისი,
თუ გაგიგიათ, ალბათ, არ იცით.
მე ვთამაშობდი თეთრ ცხვრებთან ერთად,
ამ დროს მოვარდა ავკაცი მხეცად,
დამტაცა ხელი, გამომიტაცა,
და ამ ბაზარზე წამომიყვანა.
უნდა გამყიდოს სხვა ქვეყანაში
და გადამაგდოს სადმე ტალახში.
იქნებ მიშველოთ, გადამარჩინოთ,
ჩემი სამშობლო ისევ მაჩვენოთ.
იგი მოთქვამდა ქართულ ენაზე,
და წუხდა თავის ბედისწერაზე.
ბევრსაც ესმოდა მისი წუხილი,
როგორც გაისმის ჭექა-ქუხილი...
სამ წელიწადში, თურმე, ქარავანს,
მიაქვს სავაჭრო თბილის-გალავანს,
მიაქვს შალი და აბრეშუმები,
არ ეშინია მთების, ბუნების.
ირლანდიელი იყო ვაჭარი,
დიდ ფულს იღებდა კაცი მაღალი,
ის ახლა, როგორც მამინაცვალი,
ტყვეებს ყიდიდა, როგორც თათარი.
ოცდასამი წლის იყო პოეტი,
მას ეუცხოვა მიეთ-მოეთი,
თან შეეცოდა გოგო ლამაზი,
გული უძგერდა მეტად ხალასი.
არ დაინანა დიდძალი ფული,
გამოისყიდა გოგონა გულით,
თან დაავალა – თბილისში წაყვეს,
მშობლებს მიჰგვაროს, არავის აჰყვეს.
ვაჭარმა ქალი აქცია ხასად,
არ წაიყვანა ქარავნით არსად,
ფული აიღო, სახლში წაიღო,
ცრუ და ბოროტი, თითქოს ქვა იყო.
როცა ფრეგატმა ღუზა ჩაუშვა,
პოეტი ნავით ნაპირს გაუყვა,
მან მოიკითხა გოგო ლამაზი,
მას დაუტოვა ბევრი ალმასი.
გამწარებული მოგლიჯა ბებერს,
გამოაშორა ცრუს და მწვალებელს
იგრძნო, რომ ქალი პოეტს აღმერთებს,
და წაიყვანა იგი საბერძნეთს.
ის საბერძნეთის ელჩთან დატოვა,
თქვა: დავბრუნდები, მალე ჩამოვალ,
გოგონა დიდხანს ელოდებოდა
და დარდისაგან ჩუმად დნებოდა.
დრო კი გარბოდა, სწრაფად, ჩქარი სვლით,
ის ჩამობრუნდა ტრფობით, ხალისით,
მაგრამ გოგონა გარდაცვლილიყო,
არვინ იცოდა იგი ვინ იყო.
კუნძულ კრეტაზე უცხო დაკრძალეს,
ირაკლიონში მიწა აჰყარეს.
დაასაფლავეს ერთი მამლუქი,
ქართველი ერი, ნაზი, სალუქი.
მას ბაირონმა დაუდგა ძეგლი,
აქციეს მონად, ის ერთადერთი.
ზედ წააწერეს სახელი, გვარი,
არავინ იყო ახლოს იმგვარი.
პოეტს გაუჩნდა გულში იარა,
თითქმის მსოფლიო შემოიარა,
მერე დაწერა ლექსი მწუხარე,
გულს რომ არავის არ გაუხარებს:
„თუმც ნათქვამია, დრო განკურნავს ყველა იარას,
გული ეს ჩემი ძველებურად აღარ ხალისობს,
და თუ იმედი სულ დაიმსხვრა და დაინაცრა,
მე ხსოვნა შენი გადამირჩა სამარადისოდ...“

გაზაფხული

შავრა ცხენი გზას მანქანას უთმობს,
შაშვი მაღალ აივნიდან ჩნდება,
შავფაფარა შავყვითელას უხმობს,
გაზაფხული შაიდიშით ჩნდება.

ნიავია, შალშიაც კი გრილა,
შალანები, ლურჯთვალება კრთიან,
ეზოს ბოლოს ხარობს შამბალილა,
სახლებს ირგვლივ, ფანჯრები აქვთ ღია.

მთას დაადგა თავზე შარავანდი,
სულ არ იყო ასეთი მზე შარშან,
შაშვი ცაცხვის კენწეროზე ადის,
თან ჭიკჭიკებს აფრენილი ცასთან.

შავი შურთხი არ შეშინდეს ქარით,
ჩვენს ეზოში შემოსულა შორით,
გამოაღეთ ფანჯარა და კარი,
გაზაფხული გვიღიმის და მოდის!

ჯიხაიში

იმერეთშია მეტად მდიდრული,
ცაცხვებით სავსე და მოჩითული,
ხალხი მშრომელი, ღიმილიანი,
მარადმწვანე და მარად მზიანი.

ფაიტონები, ცხენი ფრუტუნა,
მეეტლე კაცი, ფაფახი ქუდით,
ჩაგვსვამდნენ ბავშვებს, ნისლის უჩუმრად,
გზა ქვანაყარი იყო და მრუდი.

გზაზე გვხვდებოდა ბაღი გაშლილი,
სასახლე ქვისა, ხეები შინდის,
ნიკოლაძეთა აქ გაჩნდა შვილი,
მოქანდაკეთა ოჯახში თბილი.

ჯუმბერ ლეჟავა, გმირი, რაინდი,
და მოგზაური მსოფლიოს ირგვლივ,
ველოსიპეტით ქროდა ხალისით,
გადაუვლია მთები და ხიდი.

მან გააოცა ევროპელები,
დიდი ნობელის მისცეს პრემია,
ერთი უბრალო ჯიხაიშელი,
რა მომხიბვლელი ფიქრის მგვრელია!

მომაგონდება ჩქარი მდინარე,
გუბისწყალი რომ ჰქვია სახელად,
დავტყაპუნობდით მასში მდინარე,
და აქ ვისწავლეთ თვალის გახელა.

სწორედ ამ წყალმა, სოფელს რომ უვლის,
ჩვენ გამოგვზარდა ცხოვრებით რთულით,
გულს ჩაგვინერგა სპეტაკი სული,
ზღვა სიყვარული – მიწის, მამულის!

მანანა თარაშვილი

*** * ***

აღარაფერი მაკვირვებს
გასაკვირალის გარდა,
დღეს ქართველობას რად არ აქვს
თვისი სამშობლოს განცდა,
თვალს რატომ ჩამოიფარეს
გაუცხოების ფარდა,
რად აღარ მოსწონთ თავისი
ზღვა, მინდორ-ველი, მთა და...
დაუნანებლად გარბიან,
სხვებს აჩეჩებენ მიწას,
მათ დანატოვარს ვინ აღარ
ისაკუთრებენ იმ წამს,
თავად კი სხვის აშენებულს
შესციცინებენ ნდომით,
აბა რა, შენი აშენო,
ამას ხომ უნდა გონი.
სხვა ქვეყნის ხიბლის მახეში
გაებნენ, როგორც გნოლი,
ღარიბ-ღატაკი სამშობლო
აითვალწუნეს მგონი.
აქ თითსაც არ გაანძრევენ,
სხვაგან კი უწევთ გარჯა,
იცლება მთლად საქართველო,
ყიდიან რაც კი დარჩა.
აღარაფერი მაკვირვებს
გასაკვირალის გარდა
დღეს ქართველობამ დაკარგა
თვისი სამშობლოს განცდა...

ვღხვრება

ტკბილი ხარ და ახლობელი, შენ, იესო,
ჩვენი მწე და ერთადერთი პატრონი,
გვაპატიე უგუნურებს უღმერთობა,
მოგვიტევე ცოდვის გზაზე გაყოლილთ;

ათი მცნება დავიყვანეთ ერთ მცნებაზე,
„ღმერთი გვწამსო“, – ესღა შერჩა ბაგეებს,
გარდა ჩვენი სულიერი განწმენდისა,
მგონი მართლა ყველაფერი გვაღელვებს;

ჰო, ვლოცულობთ, ფიქრით ქარის მხედრები ვართ,
ვერ ვცილდებით ამა ქვეყნის სიამეს,
ვერ ვიაზრებთ, რომ შენია მეუფება,
შენს გარეშე ჟამი გაგვატიალებს;

პანტას ვეძებთ უცხოეთის ბერწ მიწაზე,
მოვიყირჭეთ ჩვენი თურაშაული,
რას არ ვიზამთ, ვიკადრებთ და ვიუღირსებთ,
ოღონდ სახლში შევიტანოთ შაური;

ოცდაათი გაბნეული ვერცხლის ფასად
დაუნდობლად იყიდება მოყვასი,
ბოღმის ბუშტებს ვეღარ იტევს ცისქვეშეთი,
ღრენა, კბენა, ფლეთვა არის მოდაში;

სიყვარული ჯვარს ვაცვით და ღრმად დავმარხეთ,
უგულობით ხან მტერსაც კი ვაოცებთ,
უზნეობის პიკი დაგვიყენებია
და ვშორდებით ნაბიჯ-ნაბიჯ სამოთხეს;

ვაჟკაცობენ ტიტკიკანა ქალები და
კაცებს პრანჭვით მოურგიათ ლეჩაქი,
არც კი ვცდილობთ, რომ მამული ვაძლიეროთ,
მშველელს ჩვენსას ცხრა მთას იქით ვეძახით;

გადმოგვხედე, რომ დალაგდეს აწეწილი,
გონის თვალი მოგვეც ოხერ-ტიელთო,
საქართველო შენი მშობლის წილხვედრია,
შეგვეწიე, დაგვიფარე იესო!

გულნაზი ხარაიშვილს

გ – ულით ნაზი და სულით ძლიერი,
ულ – დავოდ ხვდება ყველას ხვაშიადს,
ლ – ეჟავას სახელს ზედ დაჰფოფინებს,
ნ – იჭიერებას უწყობს განთიადს.
ა – დამიანებს კრუხივით უვლის,
ზ – რუნვა და სითბო მის ყოფას შვენის,
ი – დღემზეგრძელოს ყველას ქომაგმა
ს – იყვარულითა უფლისა ჩვენის.

გიორგი სვაკაძეს

შაჰის მახვილზე აირეკლა შენი სიმწარე,
და ქართველობა შენი, გმირო, მითაც ვიწამეთ,
რთულ არჩევანში ფსონი დადე ქართულ მიწაზე,
მხოლოდ უფალმა იცის, ამით როგორ იტანჯე.

დიდო ქართველო, მძიმე ჟამი გერგო განგებით,
მოღალატეებს შეაგებე სულის დამბები,
ციხე შიგნიდან გაგიტეხეს შადიმანებმა,
გაგაქციეს და სამშობლოც კი გექცა ზმანებად.

მტარვალთ მიწაზე საქართველო გულით ატარე,
ბოლომდე მტკიცედ დარაჯობდი გულის გასაღებს,
ვერ აქიცინე კუდი შაჰის მოსაწონებლად,
არ გაუხადე ქართველები ყმად და მონებად.

მამულისათვის თავდადებით მტერი გაავდა,
შენს დასასჯელად დაადუმეს შენი პაატა,
დღესაც თავზარს გვცემს მისი თავი სისხლგამდინარე,
რჩეული მამის მსხვერპლშეწირვა ვისიგრძეგანეთ.

...რთულ არჩევანში ფსონი დადე ქართულ მიწაზე
და შაჰის მახვილს აერეკლა შენი სიმწარე.

მეუღლეს

დაკარგული ბავშვობიდან გზად შენ შემოგიერთდი,
შენმა სუნთქვამ დამილაგა მოეთი და მიეთი,
დედის სითბო, მამის ზრუნვა შენში გავითავისე,
სიხარული ვათვლევინე აპრილებს და მაისებს.

თუმც დაღმართმა გადაჯაბნა აღმართების სიმრავლე,
წვეთ-წვეთობით მიქურდავდნენ სიმხნევეს თუ სინაზეს,
ვერ მომსრეს და ვერ მომშანთეს ტკივილების გაჩენით,
ღმერთო, რამდენს გავუძელი სიყვარულის სახელით...

შორენა სამხარაძე

ბებია
(მაშოს)

გამოვიცვალე აღარ ვარ ბავშვი,
წვიმა ცრემლებად ითვლის ნაბიჯებს.
თურმე რამდენი გამომივლია და
წლები კიდევ რამდენს მაპირებს?!
სადღაც შორს მოსჩანს სიმარტოვისგან,
დაღონებული, დაცლილი ეზო,
იქაც გეძებდი და გეძახოდი
სახლის კედლები, მაძლევდა ექოს.
ვერ ვიჯერებდი, არ დამხვდებოდა
შენი ჭარარა თმების სურნელი,
ოღონდ მენახე სულ ერთი წამით
თავს ვიტანჯავდი ოხ, მე სულელი...
წარსულს ჩავხედე უცბად თვალებში
სულმა დამიწყო დამარცვალება...
პასუხი იყო ჩემთვის მოსული
აი ეს არის გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბა.
13/03/2017

მონატრება +

იქნებ მოგონებამ თავი შემახსენა,
წარსულს, რომ მანატრებს ახლა.
იცი; როგორ მინდა შენთან ჩახუტება..
ბედი ირონიას ხლართავს..
თვალებამღვრეული შორით გზას გავყურებ
ქარი საფეხურებს ხაზავს.
უკან მიხედვისას ისევ გამახსენდი,
თურმე იქ ყოფილხარ სადღაც.
ახლა რა ვიფიქრო , რომ გამოგიგონო,
როგორ დაგიბრუნო კვლავაც,
იცი; ისევ მინდა შენთან საუბარი,
შენი მონატრება მტანჯავს.
2015

სიმარტოვე

ვზივარ გარინდული ტახტზე,
თავთან სანათური ბჟუტავს,
იქვე ნაკვერჩხალით სავსე
ბუხრის უჩვეულო სუნთქვა.
ფიქრებს თან ვაყოლებ ოხვრას,
სადღაც სიმარტოვე სუფევს,
თითქოს დაღონებულ ოთახს
იმედები ღამეს უთევს.
კედლის ბნელ კუთხეში ბზინავს,
დედაღვთისმშობელის ხატი
ჩუმად მოვუყევი, სიზმრად
გულზე დაკერილი დარდი.
რაღაც უცნაური ღამე,
კარებს აკაკუნებს ქარი,
გარეთ გაბუტული მთვარე,
სახლში მოწყენილი ქალი...
2017

ჩემი საქართველოა

ვდგავარ იქ სადაც საქართველოა,
მე ჩემი ხალხის სუნთქვა მაცოცხლებს,
რად მეჯიბრებით და რას მაფიცებთ
სხვა ქვეყნით ვერა ვერ გამაოცებთ.
წმინდა მიწაზე გვიდგას ფესვები,
სიძველის ნიში ითვლის ნაბიჯებს,
საუკუნეებს ვერა და ვერვთვლი,
წმინდა გიორგი აქ დააბიჯებს!
აქ მთაც სიმღერით იწყებს გალობას,
და უსასრულოდ მოდის სიკეთე,
და თუ რამ კარგი დაგაგვიანდა
მადლი ჰქმენ ძმაო გამოიმეტე.
ამ მადლიან და ნაკურთხ მიწაზე
ანკარა წყარო სიცოცხლით ხარობს,
ტაძრის კედელთან მდგარი ქართველი
ჩემო სამშობლო მიყვარხარ! ამბობს.
ჯვარი ვაზისა ისევ ვაზისობს,
და გაზაფხული მოვა მაისად.
იცით რა არის ჩემი სამშობლო?
იმედი, რწმენა, ფიქრი ხვალისა.
2015

იხარეთ მართალნო +

იხარეთ მართალნო უფალში,
გულწრფელებს შეშვენის შექება,
თვალთმაქცის მაცდური თვალების ,
არმინდა,არმინდა შეხედვა.
ადამის მოდგმიდან მოვდივართ,
ღმერთია სამყაროს მფლობელი,
უფალო! შეგვინდე მოკვდავებს,
ამრავლე სიკეთის მლოცველნი.

9 აპრილი

ცხრა აპრილის დღეა,
ქარი არხევს ფოთლებს,
დედა, ეს რა მოხდა!!!
საქართველო გოდებს.
შემოსილან შავით
წიფელი და ვერხვი,
სად ხართ! თამარ! შალვა!
რამდენი ხართ,
ვერ გთვლით.
ამ ტრაგიკულ ღამეს
ჯალათებმა დაგვცხეს,
საქართველოს გულში
სისხლის ტყვია ჩასცეს.
ქალი, კაცი, ბავშვი,
ორსულიც არ დასთმეს,
ოცდაერთი სული
სამუდამოდ გასცეს.
ვერ ვივიწყებთ წარსულს,
აპრილს სისხლით ნაცემს,
ტაძრის ბნელ კუთხეში
სანთლებს თქვენთვის ვანთებთ!
ცხრა აპრილის დღეა,
ქარი არხევს ფოთლებს,
დედა, ეს რა მოხდა!
საქართველო გოდებს!

მერე

მინდა ციდან წვიმა მოდიოდეს,
ზეცამ დაიბერტყოს კალათა,
ვიდგეთ დედამიწის შუაგულში
მხოლოდ ერთმანეთის ამარა.
მერე ნოემბერი მოდიოდეს,
ლოდინს თითქოს წლები გაათბობს,
მერე სიყვარულის პაემანზე
კვლავაც თეთრი თოვლი დაგვათოვს.
მერე ისევ გულში ჩაგიკრავ და
მოდი, ერთმანეთი გავათბოთ...
მერე არ გამიშვა ხელი, თორემ
წლები ჩვენს სიყვარულ გაადნობს.
მერე ნაჩუქარი ყვავილები,
მხოლოდ სასთუმალთან დააწყეთ.
მერე გადაღლილი ცხოვრებისგან
უფლის სავალ ბილიკს დავადგეთ!

ქრისტეშობა

ო, რა ლამაზი დღე მოდის
და რა ლამაზად თოვს,
ქრისტეშობიდან მოსული
წლები სიხარულს მთხოვს.
დაგბედებოდეთ ულევი
ბედნიერება მუდამ,
ხვავი, ბარაქა, დოვლათი
თქვენს საშობაო სუფრას.
ერი და ბერი გვემრავლოს,
ღმერთო, მაღალთა შინა,
ქრისტე მოსულა ბეთლემსა!
ჩვენთვის მესია ღვთისა!

როდემდე შევძლო

ვიღაცას ვიღაც არ უყვარს,
ვინმე ვიღაცას სძულს,
ვიღაც ვიღაცას ბოროტობს,
სულ მთლად უტანჯავს სულს.
ვიღაც ატყუებს მეგობარს,
ორგულობს, როგორც სურს.
სული გაძარცვეს კეთილის,
გზა დაურაზეს სულ.
როდემდე შევძლო ამდენი...
რად გვიგინებენ რჯულს?!
სად დაიკარგა იმედი,
თავისუფლება სულს!
ო, რა ძნელია იფიქრო
დაუსრულებლად სულ,
ვიღაც ვიღაცას არ უყვარს,
ვინმე ვიღაცას სძულს.

რად დაღვრემიღხარ სულო ჩემო +

ან რად დამკვნესი..

გულო არ იტირო, არ მოჰყვე მოთქმას
ღმერთი მოწყალეა არ სჩადის ცოდვას.
თვალი მაცდურია... წარმოსთქვი ლოცვა!
სიტყვა მლიქვნელია, რად გინდა ბოდვა..
ხელი მოიჭერი და თუ გაცდენს, მორჩა,
არ გვინდა ტყული!კბილების ღრჭენა....
ნაბიჯ და ნაბიჯ ცრემლების ცვენა.
გულო, არ იტირო, არ მოჰყვე მოთქმას,
ღმერთი მოწყალეა არ სჩადის ცოდვას!

მარიამ მოგელაშვილი

* * *

ჩემი ფანჯრის წინ ეფიცხება
მზეს სექტემბერი
და ზაფხულისგან სესხად იღებს
სხივებს ვნებიანს,
უკვე რამდენჯერ დაგივიწყე
და ვერ შევძელი,
შენზე ფიქრების აღარ ფიქრი –
არ შემძლებია...
ჩემი გულისთქმა შემოდგომას
უნდა გავანდო,
მესაიდუმლედ დამიდგება,
გრძნობის თავდებად,
სანამ კვლავ თბილა – გაყინული
უნდა გაგალღვო,
თორემ, დარდი დარდს ეკირება
და არ თავდება...
თორემ, გადასკდა გული, როგორც
ალადასტური,
ბეღურებისგან დაკენკილი
და დახლეჩილი,
კოცნის ნებას გთხოვ – არ მჭირდება
შენი დასტური!
მერე.... ქარიშხალს შევერევი,
ხმაჩახლეჩილი...
და ....სევდიანი, ნაწვიმარის
მსგავსი თვალებით,
ისევ მოგძებნი,გასცემს როცა
მზე სხივს – ვნებიანს...
და როს გიპოვნი, ერთ სუნთქვაში,
გულაჩქარებით,
გეტყვი რომ შენზე აღარფიქრი-
არ შემძლებია!.....

* * *

როგორ გაილია წუთები,
დრო კი უშენობით
ჩერდება...
სხივი მეჩვენება
ღრუბლებად,
ისე ულიმღამოდ
თენდება!...
გული მონატრებით
აძგერდა,
ღელავს – მარტოობას
ჩვეული,
დილა უსიზმრებოდ
გათენდა,
ფიქრი არ მასვენებს
გრძნეული...
როგორ გაფრენილა
დღეები...
ვხვდები, მოლოდინით
ვიღლები,
წვიმამ დამიტოვა
ცრემლები,
ახლა ჰაერივით
მჭირდები!...

* * *

გარეთ სველი მაისია,
მარტის საქციელებით,
ცამ თვალები დაისია –
არამყარი ნერვებით...
ვიდრე თავსხმა გადაიღებს,
სანამ თქეში მოვა გონს,
ღრუბლის ცრემლად წარმოგიდგენ,
ფიქრის მიღმა მონაგონს...
თვალებს ისე დავხუჭავ,რომ
მარტო დავრჩეთ წვიმასთან,
გუბეებში ბავშვობანა
ვითამაშოთ... და ცასთან,
როცა გამოისახება
ცისარტყელის ფერები,
გადავახტეთ!.. ოღონდ ერთურთს,
არ გავუშვათ ხელები....
ღრუბლის ცრემლად წარმოგიდგენ,
ფიქრის მიღმა მონაგონს,
სანამ თავსხმა გადაიღებს,
ვიდრე წვიმა მოვა გონს,
ცამ თვალები დაისია,
სანამ სუსტი ნერვებით,
ვიდრე გარეთ მაისია –
მარტის საქციელებით...

***

სანამ მოლოდინს სული ამოხდეს
და საგულედან გული ამოხტეს...
სანამ გელიან ჩემი თვალები
და კვლავ ღიაა გრძნობის კარები...
სანამ გაზაფხულს თან სდევს ხალისი
და ველებურად მხიბლავს აისი,
სანამ მზის გულზე თბება მაისი –
მოდი მანამდე,თორემ რა იცი –
ხვალ, შეიძლება იყოს გვიანი,
ხიბლდაკარგული გაქრეს ტრფიალი,
გაჩნდეს დარდების ორომტრიალი,
ბედმა უკუღმა იწყოს ტრიალი...
საკუთარ თავთან,დარჩე მარტო
როს – სევდის ზვირთებმა დაგიმარტოვოს!
არაფრად ღირდეს ნატვრის ახსენა,
გულში მოკლული გრძნობის გამხელა!
მოდი მანამდე,სანამ დროა და
სანამ შენს ნაცვლად ვიღაც მოვა
და – ფიქრში მალულად ჩამისახლდება,
ჩემი ცხოვრების აზრი გახდება!..
სანამ მოლოდინს სული ამოხდეს
და საგულედან გული ამოხტეს,
სანამ გელიან ჩემი თვალები
და კვლავ ღიაა გრძნობის კარები –
მანამდე მოდი,თორემ ტრფიალი,
ხვალ შეიძლება იყოს გვიანი!

***

დღეს მოსვენება დამიკარგე,
ფიქრი წამართვი,
მერე...კვირტებად შემომასკდა
ლექსად სიტყვები,
ქედმაღალ გრძნობებს თუ როგორმე
თავი გავართვი,
ოდესმე გეტყვი, ვით მწადიხარ,
როგორ მჭირდები...
გეტყვი, შენამდე ნაბიჯები
კრძალვით გადმოვდგი,
დროა,ავწიოთ სიყვარულის
შავი ფარდები,
ამ ქარაფშუტა გაზაფხულზე
თვალი დაგადგი
და შემოდგომის მიწურულზე
შემიყვარდები!
...თუ მოსვენება დამიკარგე,
ფიქრი წამართვი,
ღვინობის თვეში, თუ მოვქარგე
ლექსად სიტყვები,
და სიამაყეს თუ როგორმე
თავი გავართვი –
მთვარიან ღამეს მოგიყვები,
როგორ მჭირდები!...

***

მოდი, იანვარს გავატანოთ გულის ყინული,
თებერვლის გავლით, გიჟმაჟური მარტი დადგება...
შენზე ოცნება გახდა ჩემი ძილისპირული,
ერთი სული მაქვს, შენს გრძნობებშიც როდის დათბება...

ზამთარს გავუძლებ, გაზაფხულის მოსვლის იმედით,
იები მინდა – დაკრეფილი, შენი ხელებით,
თუ აპრილამდე სიყვარულის ზღვარზე მივედით,
არსად გაგიშვებ! სუნთქვაშეკვრით და გახელებით.

გულში ჩაგიკრავ! დაგიჩემებ! და მერე თუნდაც,
შენს სიყვარულში მომედაოს მთელი სამყარო,
ჩემში დაგიტოვ! წვიმად ვაქცევ დარდების გუნდას,
თვით განგებასაც შევავედრებ – აღარ გაგვყაროს...

ერთი სული მაქვს, შენს გრძნობებში, როდის დათბება,
მოდი, იანვარს გავატანოთ გულის ყინული,
ჩემი ჰაერი, სანამ შენი სუნთქვა გახდება –
შენზე ოცნება არის ჩემი ძილისპირული....

გურა-ანგურა (გურამ გედევანიშვილი)

ჯაზმა მძლავრ შეჰკივლა კოსმოსის ერას

ჯაზმა მძლავრ შეჰკივლა კოსმოსის ერას,
როგორც რაკეტებმა მოჩვენებითობას,
მე, შენ გწერ მარსიდან, ძვირფასო, ვერა,
გადაეც მოკითხვა მართას დით, თომას.

როგორ ხარ დაიკო, რასა იქ, რას შობი?
ვინა გყავს, ამჟამად ალერსის საგანი,
რა, უცაბედობის ლოდინით დავშორდით,
თითქოს და სოფლამდის გზა გვქონდა სავალი.

ვნატრულობ შენს თვალებს, მკლავების მუსიკას,
გულს უნდა, ზამბარათ ნაჭიმი ბგერები,
შენი ხმის ნათელით, მოსული მწუხრიდან
და ფენა ზღაპრული, ვნებიერ ფერების.

სხვა, აბა მითხარი... რა გამცნო, რა გითხრა,
როგორ მოგიკითხო, რითი გითილისმო,
ზურმუხტის ტალღები, შავი ზღვის ნაპირთან,
შენი გორაკების თავებთან ქილიკობს.

ნეტავ მათ, ნეტარებას, მათობა მეც მსურს,
მაგრამ გზა – შარების უკუღმა ტრიალმა
დროთა პარალელებს აპნია ქარბუქით,
ნისლები ნაწენი, ფანტელი ფრიალა.

ახლა, აქაურის ამბებს მოგიყვები;
მარსის უცნაური ამინდის შესახებ;
აქაც, იგივეა, სევდათ მობინდების
სულ სხვა მზე ეშვება ჟამრინდის ზეგანზე.

ვწვალობდით "მარსელნი" ადაბტაციებით,
ჩვეულნი მიწიერ "გრიგალთა" ალერსებს,
ვმარცვლავდით სიმღერებს, ხმაში ნაციები
და მერე, ვტიროდით თავთუხის თაველზე.

ნამდვილ მარსელებთან გვიჭირდა კონტაქტი,
მოვგავდით წყვდიადში მოარულ არსებათ,
მარსელნი ცდილობდნენ შეექმნათ მომსგავსი,
ჩვენულ იერის კაცური სახება.

შუშის პირამიდულ იზოლატორებით,
იზოლდა, ლადო და მცინარა ტარია,
თუ, ფრესკის სკაფანდრათ ფრენა გაგონდების,
სწორედ იმ სურათთა მსგავს – მიმდაგვარია.

შენ გრძნობდი, მომწონდი, მჩუქნიდი ინტიმებს,
მე, ბევრჯერ ვიტირე ფერიის კალთებთან,
მოვგავდი მთვარეულს, ვეტრფოდი ცისკიდეს,
ნეტარულ ნიმფიებს, შორეულ ქალდეას.

აქ წარმოსახვათა ფონდები შევქმენით;
ნახატით, ლექსებით, სიმღერით, დილ-დილად,
ფრინველნი გვართობენ, (ჩვენეულ მერცხლების
მენატვრის ლაღობა) და ცაში მივრბივარ.

ვინ იცის, გვიხმობენ კოლონიზატორებს...
(დათოვეს ფანტელთა კავკასიის ქედები.. ?)
თუ, გახსოვს სოფელი, მთაში როს დავტოვეთ
ირმებით, ყანებით, ქორით და ძერებით..?

ჩვენეულ შეკრების შუქ-ჩრდილი მაჟრჟოლებს,
ტანგოებს ლეილა ცეკვავდა კაეშნით,
პი – პი – ხი სჩვეოდათ ღამეულ ავტორებს
და პროსპექტს ხალხმრავალს სეირნი ღამეში.

მხიბლავდა შეხებად წამები გრძნეული,
თითებში ელდენის სწრაფვა უმალესი,
სულ შენზე, ლექსებით აღვსილი რვეული,
ვით ფითრი ეთერის, ჩუმი უარებით.

ელექტრომაგნიტურ მუხტების კრებულით,
მარსელნი ნათობენ არგონის ციმციმით,
მრგვალი აქვთ გარსაკრი, დრეკადად რხეულნი
და მათი თვალები მარადის იცინის.

იციან ქიწნები და ქიწმაწურებიც,
ურგები ქოთანის ანდაზაც უწყიან,
სუფრაზე ქიმიის აწყვია “პურები“,
თითოზე გირვანქა და ათი უნცია.

ლოკალიზებულნი, ლეკალოთ მრუდეებს,
ბრუნდული ბზრიალით, სივრცეში აგებენ,
გამგებნი გაიგებს, გინდ ბევრჯერ უმზერდე,
გინდ ბევრიც, ისმინო დემონურ გამებზე.



თბილისი

„ინდუსტრიალური ქუჩებიდან".
ნახატი გაკრავ გელოვანიშვილისა.

შორეულ წერტილში მკვრივდება რიტმებით,
ტალღური ნაკადის რითმული რხევები,
მოდიან ჭოგრიტის პე – პერსპექტივებით,
ნანატრი სულები, აპრილის ედემი.

ჰო, კიდევ რაი გსურს გასმინო ჭირიმე;
მიმორგე ბაღებში ატმების ხეხილი?
“მარსელზე“ ფიქრებით გზად შემოირბენდე
და მერე იბრუნე ვენერას წრეწირით.

არმსტრონგ – პიტერსონით და მის ამერიკით,
ჯაზმა კვლავ შეჰკივლა კოსმოსის ერას,
მომესმის ლილეო მარსზე განფენილი,
მშვიდობით, ნახვამდის, ძვირფასო ვერა.

ქალს სამფერად დასდებოდა მზე

ქალს სამფერად დასდებოდა მზე;
მზე სულეთის, მზე სკნელის და ცის,
იცინოდა, ჟღერადობდა დღე,
იძახოდა: - მცინა, მცინა, მცინ!

მოდიოდა ფერში სივრცის ტბა,
შორეული, ვით ქარების ტყე,
იდუმალი, იმ ქარების ხმად
და ვიყავი მეც ქარების ტყვე.

მომენატრე მომეწყურე ...ლი,

მომენატრე მომეწყურე ...ლი,
გაზაფხული ფერადებით ჟღერს,
ვით ყვავილი, ცად მერცხალი კრთის
და ველ-მინდვრებს ეფერება მზე.

ყაზახები მოსდებია კორდს,
ვით სილურჯე, ლაჟვარდების ლილს,
ღიმილებით იკარგები შორს
და ზამბახი გრძელ თითებსა სთლის.

ასე იციან ყვავილებმა

ბაბუ, იყიდე ყვავილები, გაზაფხულია;
აგერ იები, ყოჩივარდა, ყაზახათ ვნება,
უყვავილებოდ ეს ქვეყანა დაღუპულია
და გოგონათა კოკრებივით მკერდების ცვენა.

მოღრუბლულ ზეცას ანათებენ როგორც მზეები:
მზია, მზევინარ, ცისო, ცისია
მშვენებათ მოჰყავთ მშვენიერი თეთრი დღეები,
სულ მაგათია, არცა ვისი, არცა ვისია.

ბიჭი იყიდის იების კონას,
იების კონას მიართმევს გოგოს
და ვით ყაყაჩო გაწითლდება იგი გოგონა
მაშ, როგორ გინდა, ან მითხარ ... როგორ ...?

ბაბუს სიამით გულში თბილად ჩაეღიმება,
ასე იციან ყვავილებმა, ასე იციან,
ბუჩქის ძირიდან შემოსცინეს ლურჯმა იებმა,
იმ წარსულიდან, იმ ხილვებიდან.

თეზისები. „ვლოსიუტგეზის ეპოქა". ოჯახი.
ნახატი გაკეთებულია ვლოვანიშვილის.

„ვერის უბნის ზმანებანი"

მე, თქვენ მაჩუქეთ მშვენიერი წუთები ყოფის,
ჩემგან მიიღეთ, სამახსოვროდ, ნაზი ღიმილი,
მოგონებებში, გაზაფხული იებით მოდის
და მოაქვს არე-მიდამონი ძველი თბილისის.

თავდება ქუჩა, ხეივანი ხეივანს ერთვის,
მალე, სურნელი აფეთქდება თაღედის თავზე,
აკაციები, ... აკაციები ... ლაღი და თეთრი,
ალუბლის კაბა, ცისფერი მკერდი, გალობის მახე

და თქვენ სუბუქი ბუმბულივით კვირიონისა,
ვერეს უბანში, ჩალამბული სახლების მიღმა,
ციცქნა ეზოთა მზებუდარა ჩიტი დილისა,
რასაც ვგულისხმობთ, რაიც იყო დ არც არ ითქვა.

დიახ ...; მაჩუქეთ სიყმაწვილის მაღალი ვნება;
ყელი ზამბახის, ტანი ვერხვის, მკლავნი ლელწისა,
ოცნება მოღლის, ფიქრი ნისლთა, ტკივილი ფერთა,
დრონი, სივრცეთა ცვალებადი დანებებისა.

რაც იყო, იყო არა ვნანობ, ვღიღინებ სიოს,
ვღიღინებ ნაკადს, ქარ-მდინარის მიმქროლად ჩავლილს,
მიყვარდი ... გახსოვს? ... თუ არ გახსოვს, აზრი აქვს ვითომ ...?
ეხლა გასწიო წარსულ დარდზე, ახალი დარდი.

ჩვენს მოგონებებს ეკარგება აზრი ... გონება,
ვერც კი იხსენებს მშვენიერის და უდარდელ წუთებს,
ფორმებს გადაშლილს ვეღარ აღდგენს დამახსოვრება.
ასე ყოფილა, ყოვლი წარსულს ბარდება, თურმე.

მივალ ქალაქში, მეზმანება ქუჩათ მოკონვა,
ქუჩა იცინის, მიმითითებს ღია სარკმლისკენ,
აგერ, ჭაბუკი და ლამაზი მისი გოგონა,
აკაციების სითეთრით რომ შემოაბიჯეს.

გადმოიხედეს ვარდისფერმა ატმის რტოებმა,
ცისფერმა ზეცამ ალუბალი მკერდს დაიბნია,
თქვენი ღიმილი, მე, მარადის მომაგონდება,
თბილისმა კრძალვით ცვარ ნამად რომ გადაიფრქვია.

მე, თქვენ მაჩუქეთ მშვენიერი წუთები ყოფის,
ჩემგან მიიღეთ, სამახსოვროდ, ნაზი ღიმილი,
მოგონებებში, გაზაფხული იებით მოდის
და მოაქვს არე-მიდამონი ძველი თბილისის.

ძველი თბილისი „ყვავილების გამყიდველი".
ნახატი გურამ გელეგანიშვილისა.

ჰარმონია ჩელოების

ჰარმონია ჩელოების;
საქანელა, საქანელა...
კარუსელთან გელოდები,
მოგონების მკვნესარებავ.

სიმებს იბსკვნის ვიოლინო,
მაღალ ყელთან მღელვარებით,
მელოდიებს ქარი მითმობს,
მე კი ქარებს ვემალები.

აპრილივით შემოვარდა გოგო

აპრილივით შემოვარდა გოგო ...
ოჰო-ჰო-ჰო... ოჰო-ჰო-ჰო... ჰო-ჰო...
ყოჩივარდად აბრიალდა გორ-გორ
და ფერდობნი ფურისულით მორთო.

ცის სილურჯით უბრწყინავდა თვალნი,
ნანი, ნელი, მთის ნინველი ნიავს
მოცაურით ცისავარო, ლალი,
თინათინი, სამძივარი მზია

და მოხატა ცხრა სამყაროს კიდე,
ცხრა მთის იქით,
ცხრა წყაროთა ჭალა,
ნაპრალების უსამანო ციერს
მზე დააცხრა და მზე გაფერმკრთალდა.

მხოლოდ იგი ანათებდა ნათელს,
ვით ნათია, ვით ხატია, ნათო,
ო, სულ, ძველად,
ო, ახლახანს, მალეც
ლალისფერით აჟღერებდა ტატნობს.

ქაოსებით ბრუალებდა ფენა,
ატმოსფერო-ბიოსფეროთ კონა,
პეპელათა ნაკადების ფრენა
და წვიმების ჟუჟუნებად ბროლვა.

ცავედრების – ხავერდების ხმებით,
თმები, თმები გაბნეული სხივად,
ველ-მინდვრები,
დათოვლილი მთები,
ყვავილებით აფხიზლებდნენ მძინარს.

გალაქტიკით რჩეულების გუნდში
ის მზეობდა... თვით, კოსმიურ გრძნობად,
ხვეულები ბზრიალები უხვი
სიყვარულით, სად არ არის მტრობა.

აპრილივით შემოვარდა გოგო,
ცა-მანძილითᲥ მოკრიალდა არე,
ნია, თია, ენძელა და დოდო,
ვით ოცნების სანეტარო მხარე.

ოჰო-ჰო-ჰო... ოჰო-ჰო-ჰო... ჰო-ჰო...
რა ლერწამი
რა ალვის ხე, ქარით,
ნაკადული ჟღურტულებდა თოთო
და სტიროდა ტყემლის ნაფერთალი.

ძველი თბილისი. ვერეს ყუჩანი. „ქართველის" გამყიდველი. ნახატი. გურამ გელოვანი-ფოტილისა.



ნიკო ბაღაშვილი

ღვთაებრივი ლერწამი

მარტომ გავხედნე
წუთისოფელი,
მზეს გავატანე
ჩემი იარა,
გულში კი დამრჩა
ბერდანის ტყვია,
რამაც ჩემს გზაზე
ცრემლად იარა.

ამოვთქვამ დარდში
ჩემს გულის წადილს,
ფრთამალი ფიქრი
დროს დაანაცრებს,
აბიბინდება ველად
შროშანი,
ხოხობი მზისკენ
გაინავარდებს.

უენო ხარი დავრჩები
ქვეყნად.
რადგან დროება მე
თქვენ გაცალეთ,
გზაზე დაგიფენთ
ღვთაებრივ ლერწამს
ოღონდ გიყვარდეთ!!!
თქვენ გენაცვალეთ!!!

მანანა ზაზიკაშვილი

საქართველო ვერ გაიყვეს

საქართველო ვერ გაიყვეს
პუტინმა და ბაიდენმა,
აფხაზეთი წაგვაგლიჯეს,
სამაჩაბლოც, ვაი, დედა!
მიდი-მოდის ბაიდენი,
სულში ხელებს გვიფათურებს,
ევროპულად მოუნათლავთ
საქართველო,
უკვე, თურმე!!!

სანთელივით ნელა ვიწვი

ვაზის ძირში სუფრას გავშლი,
სამეზობლო მიჯნას წავშლი,
მზეს დავასწრებ ამოწვერას
და დავიპყრობ ყველა მწვერვალს.
გადავივლი ყველა ბექობს,
ვერ შემაკრთობს ქარაფები,
ჩემი ქვეყნის ზეცა მიყვარს,
მზის სხივებით დანაფერი.
მამულისთვის თავს გავწირავ,
ძალა მომეც ოღონდ, ღმერთო,
სანთელივით ნელა ვიწვი,
მე მზესავით მინდა ვენთო!!!

მე შენ გაღმერთებ ისევა

ატენის ჰაერს ვსუნთქავდი,
პირზე ღიმილი მეფინა,
ამაღლებული ზეცამდე,
მზად ვიყავ ცაში მეფრინა.
გვერდით შენ მეგულებოდი,
არ მცირდებოდა მანძილი,
ოცნების კოშკებს ვიგებდი,
მშვენოდა თეთრი მანდილი.
ნამგალა მთვარე ატენში
გულს სიხარულით მივსებდა,
შენ სხვას შეაბი ეჟვანი,
მე-შენ გაღმერთებ ისევა!



ნუკრი ლობჟანიძე



ვინ ვარ მე შენთვის?!
ყვავის მიტოვები ფრთა,
ხან დაჩდები საფეხ,
ხან ფიქრიანი ,ლეღვით,
ტოტები სიმღერის ჩემი მაბეჭდი კარი...
ან მიმაფრენდი შენს წყალს, ძირს და ახლს...
ცხოვრება ჩემი ნიფლი ჩაცოცალი სიცოცხლე
შენს სიყვარულში თუ ეს დაფიქრა ისე,
ვით ინტერესებლ: ვალა, ილია, ფალი...
ვინც ალბომი მიეცა ძმელი ლიხე...
წინაპრების ხსოვნის ბალიკი ეს ცე ეფეს,
სიტყვის წაწყვეტილის, ამაღლების ნიშნავს,
მაბეჭდი შენთვის თუკი მიგსოლვარ
ფიფალი,
ახლა შენს ეფიქრეს,
შენს ფიქრების ქოლგიან ვნიდეთ...
ალბალ ვინა ვარ,
ან ხარ ვალეფრ შენთვის?!
-ხან ფიქრიანი, ხან ფიქრიანი ბინეფში,
შენი ფიქრიფ ვარ და შენი ძმაბის
ბინეფი.
ბაბეფდი ჩემი შენი ფალეთა მიეფ...



შეშინდებისას შენთან,
გათენებისას ბაინფ...
ეს ფიქრის ნიუანსი ჩემი,
ჩემს ფალან ფიფეფს ანთებს...
...და ფალეფაინა ბნეფალს
ფენი ეჩვეფფეფ ეანების.
ნეფების ვარი ცვალს ეფხი,
ეანის-თოვა, თოვის. ფინი...
ნაფეფი ანჩვინიფ ეცალ,
ნეფეფი ალეანიალს ალფეფ...
შენ შენისა ანბინ ბალ,
ეს ფიქრ ალეშინდალს ან ჩალეს...
ბალეშალა ნეფანით ალეფ
ალფანით ნაბანის ფალეანა,
ჩვენ ეს ალანფანი ვალალანით
ფ ბიფალ ფინანების ალეანფალეთ...
ანიალანება ბანცალალ,
ფალანა ეანალ ფალ ალანი,
შენ შენისა ანბინ ბალ,
შენ ჩემს ალეფში ალანს ფანფალ...
შეშინდებისას შენთან,
გათენებისას ბანფ...



ნასახლარებზე

ნასახლარებზე ფიქრები თოვდეს,
ფ შეფოდებია ნაბადალალ ანალ...
ჩაცხრილულს ფალ ალეანი ინანიბენ,
ალიფალ ფალეფალ, ხან ფალეფალ
ან ჩალეს!
ნასახლარებზე ჩალეფი ალალეფენ,
ალალა ბალფალ ფალანალალ ანა,
ხალეფ ბალფალა ალეფალ
ფალანალალ,
ალალ ბალეფალა ბალ ბალ ბალალალ...
ნასახლარებზე ფალეფენ თოვდეს,
ალალ ფალ, ხან ფალეფალ
ან ჩალეს!...



ბალალეფალა ფალალ ალალ ალალა,
ალალალ ფალალალ ფალალალ ალალ,
ნალალალ ალალ ბალალალ ალალ,
ფ ალალალ ალალ ალალალ ალალ...
ალალ ალალ ალალ ალალ ალალ,
ალალ ალალ ალალ ალალ ალალ...
ალალ ალალ ალალ ალალ ალალ,
ალალ ალალ ალალ ალალ ალალ...
ალალ ალალ ალალ ალალ ალალ,
ალალ ალალ ალალ ალალ ალალ...
ალალ ალალ ალალ ალალ ალალ,
ალალ ალალ ალალ ალალ ალალ...

ნიჭისადმი

ნიჭის მიუტანს ანწკარეს,
ანწკარეს და ანწკარეს...
ზღვაა სიახლეთა წვეთებში ჩადგა,
ეხება ლაკონური ხაზოვანების ლინდი,
ანდა ნიჭისადმი მიმიჩქარეთ.
წვეთის და მიუტანელად მიგიხედავს ნისლი,
ნიჭში წვეთი ეს ეხვეოთ ძალუნ...
ტუტუნი ისე ლაპარაკად მიდის,
თითქ ამ წვეთებშიც მე ბისკენ ფიწლა...
ნიჭის მიუტანს ანწკარეს,
ლაპარაკად ანწკარეს,
ეს ბოლოდ მთიდან მიაფენენ ციხე...
ნიჭში მივალ... ძალუნ მაპატეს,
ჩემი მაპატეს თუ ვინ ისევ...

...

ვდგავარ მინდორში... მარწყვითი
ცრემლები სძინავთ ბალახს.
ფოთლებზე სუნი დაბეჭილებს
და გაძაბულა ხმა ვგავარ...
ვდგავარ მინდორში... ანდა ეს
ბალახის სუნი მოვალ;
ალბათ ეს ბალახს თეთრად,
ცოდის ხმაც ისმის ლოდინ...
მაპატიეს მზის ჭვავს ვდგავარ,
ვდგავარ და ნიჭიან? ნისლთან?
ალბათ ზაფხულის მზე მიყვარს,
ალბათ ეს ვიდე სუნდელს...
ვარ სითეთრეთ ავსილი,
ვარ თეთრებრეშის ბალეტს...
მინდორში ვდგავარ... მარწყვითი
ცრემლები სძინავთ ბალახს...

...

მე ჩემი მინდა საკუთარ ტუჩები,
თეთრებიდან ტუჩები ფაფუკებით საკმე...
მე ჩემი მინდა ყინა და ზაფხი,
ვარისკვლავებიც მინდა მეტეორიდან ცაზე...
მე ჩემი მინდა ბუნება და ეროვნება,
ფაფუცა და ანთება, საფაფ-საფეხური...
ჩემთვის ფაძახილ ერთს ვეფერი
ზმანებს, ანაყი და მეფეების ფანტაზიები,
მოყვარეს ერთს ფიფქი ფეფქვებს,
ფაფუცაზეებისადმი თუ ან საფეხურ...
მე ჩემი მინდა სიფაფაც ანგელოზი,
სიფაფა, თუ სუნთქავ ბოლოს ბოლამდეს...
თუ ვინდა ბალეტს, ხოლ ან ფიფქი,
ეს ეს ერთი ერთს ფეფქვის საკმე,
მე ჩემი მინდა ხახუნი ფიფქ
და საფეთანი თავეზისადანია...

...

ვინა ვარ?!
სიდან მოვედიან?!
ეს კითხვა ბევრან ბაძვალებს...
სიდან აწყვეს ჩემი ფანა,
ჩემი ცხოვრების სათავე...
საით მივყავართ ამ ბილეს,
ალბა, ხოლ მისდევს ეზოებიდან...
ბევრი ბალეტებზე ფიფქანი,
ვინ ტიტანებს ქარი-წვიმებს...
ნა ინის ჩემი ცხოვრება?!
ზრძილ და ფაფა ბალეტი.
ამ მიწის ნაფეხი ეკვეთ ვარ
ამ მიწის ეკვეთებიანი...

დათო ყანდაშვილი

ლოგიკ

ხანდახან სჯობს დაკარგო ის, რაც გიპოვია თუ ნაპოვნმა დაგავიწყა ის, თუ რისთვის ეძიე.

მე ვეძებდი რისთვის ვისუნთქო,
მსურდა გამეგო რად ვარ შობილი,
ვინ განმისაზღვრა, რომ ეს გარემო
იქნება ჩემთვის გამოყოფილი.
მე ვიხსენებდი, ისე გულდასმით,
მაგრამ ვერაფრით ვერ გავიხსენე
და იმას, ვინც ეს აწმყო მარგუნა
ჩემს შიგნით „მე“-ში ღმერთი ვუწოდე.
დილით და ღამით, ზოგჯერ სიზმარშიც,
ვევედრებოდი გამოცხადებას,
თუმც ეს შეხვედრა რეალობაში,
შიშს და მოკრძალვას ღმრთის მიმატებდა.
ადამიანთა მოდგმის სურვილი
სულ უფრო ნაკლებ მეძალებოდა,
მაგრამ ხანდახან ჩემი ნახევრის
პოვნის ზღაპარი მელანდებოდა.
ეს მცდელობებიც დამთავრდა მათზე,
ვინც ჩემს სულს თურმე ვერა ხვდებოდა,
მე მათ ჩემს სულის ნახევრად ვრაცხდი,
მათ კი, ეს გულზეც არა ხვდებოდათ,
სულ მთლად უბრალო მიზეზის გამო,
მათ სულს სინათლე ვეღარ სწვდებოდა.

ამსტრაქტული და რთული ლექსები სულიერებაზე

სულსნრაგობა

დავწერო? რისთვის, ჩამითრევს ფიქრი,
გამშიფრავს ძვლიან-ნაწლავიანად,
მას გამახსენებს, რაც შიგნით იწვის,
მის ოქროს თმიან-ნაწნავიანად.
ჯერ გამახელებს, ლურჯ ფრთას შემასხამს,
ამწევს, ამიტანს ღვთაების კართან
და თუ, თუნდც ერთი სიტყვაც დამაკლდეს,
ვერ ამაცილებს ვერავინ ჯვარცმას.
და მეტისმეტად ზემოთ ასული
ჩამოვვარდები დამტვრეულ ფრთებით,
ვისაც უნდოდა მეფის ასული,
იმას აჩუქეს ასული გლეხის.
ზემოთ როცა ხარ უნდა გესმოდეს,
მუსიკა უკრავს ზეურ-ღვთიური,
იქ მხოლოდ მასზე უნდა იფიქრო,
სხვისთვის როგორ ჰქმნა შუქი ციური.
ძნელია ბუხარს მოსთხოვო სითბო,
თუ მის კედლებში ნესტის სუნია,
ანდა ინდომო ლამაზი იყო,
თუ გულის ფეთქვის ტაქტში შურია.
ბევრჯერ დავეცი, კიდევ დავეცე,
ფრენა ისეთი სასწაულია,
სამაგიეროდ თითო დაცემის
მიზეზი შემდგომ განსწავლულია.
განა ვიცოდი, თურმე რას ვშვრები,
თვით უფალ ღმერთთან ვამპარტავნობდი,
ვეჯიბრებოდი, ვეომებოდი, ვეჯიქებოდი,
მერე ვამბობდი, ღმერთო მიშველე... და ა. შ.

სულიწმიდას

ბედის ქალღმერთო, მეუღლევ ღვთისა,
თითქოს წყალობა შენი მეღირსა,
წარმოვიდგინე რომ შესთავაზე
მას გასწორება ჩემი ბედისა.
ბედის ქალღმერთო, სიცოცხლის წყაროვ,
წყაროვ, უსაზღვრო სათნოებისა,
მადლობა ღმერთს რომ ჩემს უმეცრებას
შენი მშვენების აღქმა ეღირსა.
ბედის ქალღმერთო, გთხოვ, პატიებას,
ალბათ, ძალიან ბევრ ცოდვებისას,
ბრმა უვიცობით, ყრუ ქედმაღლობით
და ავსიტყვობით რომ დამეკისრა.
გთხოვ, პატიებას პირადად შენთან,
პატივისცემით არ მოქცევისას,
ალბათ, მათ გამო არ მყოფნის ძალა
დედამიწიდან გამოქცევისა.
ცოლი და ქმარი პირადად, ჩემთვის
ორნი არიან ერთი მთელისა,
რაც შეეხება თქვენს ოჯახს, ღმერთნო
თქვენ, სამყარო ხართ ნეტარებისა.
ჯილდო არ არის იმაზე დიდი,
თუ ყურადღება თქვენი მეღირსა.

სადღეგრძელო

მე ჩემი სულის სადღეგრძელო მინდა დავლიო,
დიახ, ცოცხალმა, რომ ამ ხორცმა იგრძნოს საქმნელი.
მარადიულის სადღეგრძელო მინდა დავლიო,
რომ დროებითმა არ შეირცხვინოს ღმერთთან სახელი.
სადღეგრძელო ხომ დღის გრძელობის სალოცავია,
მარადიულს არ სჭირდება დღის გაგრძელება,
მაგრამ ვიდრემდის მარადიული დროებითშია,
არა მგონია ზედმეტი იყოს ამის ხსენება.
დიახ, ამ ჭიქით ჩემი სული მინდა დავლოცო
ჩემს არსებაში ის ყველაფრის ღვიძლი მამაა,
როცა მეტყვიან ეს სხეული უნდა დასტოვო,
სხეულის მამა არ მსურს შერცხვეს ზეცის მამასთან.
მე ყველას სულის სადღეგრძელო მინდა დავლიო,
რომ ყველას გულში ჩადგეს თაფლის სანთლის სურნელი.
ეს სადღეგრძელო თქვენი სულის ლოცვით გავლიო,
არა, აღარ მწყინს როცა ფიქრობთ აი, სულელი!
აბა დავლიოთ!

ფაქტი ჭიო�o

საოცარია, ასე მეგონა ამპარტავნობამ გადამიარა,
მაგრამ პატარა წარმატებაზე გიჟმაჟმა გრძნობამ წამომიარა.
ვერ გადავლახე, ვერ მოვერიე, რა ძლიერია, კიდევ მაჯობა?!
ახლაც თუ ვერა, სჩანს რომ ვერ შევძლებ, ერთად ვიგრძენი ყველა იარა.
არადა იცით რამდენს ვწვალობდი, რომ გამენათლა ჩემი სხეული,
ახლა კი, ისევ სარკის ბოლოში მიმზერს თვალები გადარეული.
ბიჭო, რა იყო, რა გემართება, რამ ჩააბნელა შენში სინათლე,
არა უშავს რა, კიდევ ვიბრძოლებ, კიდევ გავუძლებ და გავიმარჯვებ.
როგორც კი ქვეყნის მადლი მეხება სულის სიწმინდე რატომ მერთმევა,
რა არ მეთმობა, რა არ მნებდება და გულში ისევ დარდი მედება.
ჭკუა ვიღაცას ისევ ედრება, ისევ სურვილთა ალი მედება,
ისევ შური და ამპარტავნება მესტუმრებიან ვითომ მედდებად?

საოცარია, ასე მეგონა ამპარტავნებამ გადამიარა.

სასოება

მე ღარიბი ვარ, როგორც იესო,
ჩემთვის სიმართლე მოჰგავს იარაღს,
ჩემმა მოძღვრებამ ყურების ეზო
ენის დაცინვით გამოიარა.
მე ღარიბი ვარ, როგორც იესო,
ამ სიღარიბემ ღმერთს მაზიარა,
ამპარტავნობსო, რა არის ესო,
მღვდლის და ცოდვილის აზრში იარა.
მე ღარიბი ვარ, როგორც იესო,
მსურდა მიმეცა ცოდნა ზიარად,
და როცა ამის ქმნასა ვცდილობდი,
სწორედ რომ ამან დამაზიანა.
მამაო ღმერთო, ძეო იესო,
თქვენს მიერ არის, ჩემგან კი არა
და დღეს ერთი რამ ვერ გამიგია,
ის, რაც მაქვს თქვენგან დარჩეს ტიალად?
ვიცი ამ ქოთნის დამტვრევის დროა,
მოიზილება თიხა ხელახლად,
გაჩნდება სულ სხვა ფორმის ქოთანი
და შეეჩვევა ეს მოდგმა ახალს.

ლეილა გაფრინდაშვილი

ვიტირე!

ვიტირე! ვიყვირე! ვიჩხუბე! ვიომე!
ვიღაცამ გამლანძღა: შენ ხარო მოცლილი,
ვიღაცა ნაჭუჭში ჩაძვრა, ჩაიკეტა-
 შედგა აჩიკოს და მალხაზის ქორწილი.
ზნეობის, სიწმინდის დედა სიმწრისგან დუმს,
ამას რას მოვესწარ, ატირდა მამიდა,
რომ ველარ გაუძლო გარყვნას და სიბილწეს,
მზე გულჩათუთქული ზონიდან გავიდა.
ჩვილის მოლოდინში აკვანს ჩაეძინა,
სადღაა სიცოცხლე, სადღაა ბავშვი,
ქეთის და თამარის ჯვრისწერაც თუ შედგა,
მართვე მომავლისა ფრთებს როგორ გაშლის?
გარყვნილების მხილველს,გული დამეშანთა,
პულსი ამერია, დამიწყო თამაში,
“ეგ შენი ღრიალი ქისას დამიცლისო“-
არასამთავრობომ ატეხა განგაში!
ვ ი ტ ი რ ე !.....

რაჭას ვსტუმრობ

რიჟრაჟია,
რაჭას ვსტუმრობ ოცნებებში,
მკერდს საკინძე შემიბნიეს ენძელებმა,
გვირილებმა კაბის კალთა მომიხატეს,
სამოთხეა, განშორება მეძნელება.
ცივ წყაროს წვეთს
მარგალიტის მძივად ვკინძავ,
გუდასტვირის ხმა ჩამესმის, მემღერება....
მოვიარე გლოლა, შოვი, მრავალძალი,
ლებანიძის პოეზია მეგებება.
კალმით ხელში
რაჭის სიოს რითმებს ვტაცებ,
ჩემი გრძნობა სიყვარულის ზიარია,
''ციცო'', ''ხეჭეჭური ქვაზე დასათხლეში'',
''გაზაფხული“,“ლენ,“ “ჩიტების რია-რია''.
ნიკორწმინდის ზარს შემოჰკრეს რაჭველებმა,
აწკრიალდა, არემარე გააყრუა,
რიონს მოსდევს მთის ჰანგების ჰარმონია,
''ბალახს ქალის სუნი ასდის''-გამაბრუა.
ყოჩივარდამ თმები ბაბთით დამიმშვენა
მკერდს საკინძე შემიბნიეს ენძელებმა,
რითმებს ვანდობ ჩემი გულის ამოძახილს
რაჭას ვსტუმრობ, განშორება მეძნელება!

მხატვარი

გამორჩეული ხარ,
შენი თვალთახედვა ცამდე აფრენილა,
სხვენზე მოგიწყვია მხატვრის სახელოსნო,
 ტილო გაფენილა.
ამ გალერეაში
გული დარჩენას მთხოვს, წასვლა აღარ უნდა,
მივხვდი და შევიგრძენ,
ზოგიც ვერ გავიგე შენი აბდაუბდა....
ფუნჯი, აკვარელი, თიხა, მინანქარი,
გიჟური სამყარო.....
მხატვარო მშფოთვარე,
ზეცისა და მიწის ქორწილის მაყარო!
სიღრმისეულ ხედვით შორეთს იცქირებით,
ამდიდრებ პალიტრას,
შენ უცნაურობას ყველა ვერ გაგიგებს,
პოეტი აიტანს.
ფრესკა, ნატურმორტი,პორტრეტ-პეიზაჟი,
გიჟმაჟი ფერები....
შინაარსიანმა, ხელქმნილმა გმირებმა
 ჩამჭიდეს ხელები.
მაგიური ენით,
 ჩურჩულით ფუნჯების ენაზე საუბრობ,
ზეციდან მართული,
ღვთიური სამოსით წარდგები საუფლოს!

წარსულის ექო!...

განვლილი წლების ექო
ყურში ჩამესმა უცბად ,
მერე, რითმებიდ ვკინძე,
გადავიტანე ფურცელად.
ჩემი წარსულის წიგნი
ვფურცლე და ვფურცლე წუხელ,
ბევრი სიამე ვიგრძენ,
ბევრიც მეჩვენა მწუთხე.
რა ერთგულებით მჭედდნენ
მოამაგენნი ჩემი,
ზნეობის ლიანდაგზე
ჩამომარცვლილა დღენი.
თვალწინ მოვხაზე რუქა,
გზებს მისხალ-მისხალ ვწონი,
გონებით გავაშუქე
მრუდ-კლაკნილი და სწორი.
შეცდომები და ბზარი
აღვნიშნე წითელ ხაზად,
სასიკეთო და ნაღდი
ხელზე დავიდე ნაზად.
ვქექე და ვჩხრიკე წუხელ
ჩემი წარსულის დღენი,
ქებად რომ მიღირს ვპოვე
შეცდომაც ვნახე ბევრი,
დროის ჟიური განსჯის
თუ გზას სიმართლე ვანდე,
და ავტოგრაფი ჩემი
სიკეთის კვალზე დავდე!...

* * *

ლექსის სახლის კარს გაჰყურებს,
ჩემი ოთახის ფანჯარა,
ცქერა იმ სახლის კარისკენ,
თვალის ბუდეში ჩამჯდარა.
კლიტ!... სახლის კარიც გაიღო
და გამოფრინდნენ რითმები,
ფანჯარის რაფაზე მოაწყდნენ...
ჩამოვითვალე თითები....
ერთი... ორი თუ სამიო....
ჯარი დამაცხრა თავზედა,
ამიყოლიეს ანცებმა,
ვმღერი მათსავე ხმაზედა.....
იმდენი მოგროვებულან
თმა რომ არა მაქვს თავზედა!
საქმეზე წასვლას ვჩქარობდი,
ამაგეს თვისსა ჯვარზედა.
მივაგდე ყველა საქმენი,
სულაც არა ვარ ჯავრზედა...
უდარდელობა შემყრია,
ვღიღინებ ლექსის ხმაზედა!

ქალი, ყველაზე ლამაზი

ქალი მინახავს კოპწია,
ბროლბაგე, ციმციმწამწამა,
სახეხატულა, შვლისფეხა,
მკერდბორცვა,გიშრისნაწნავა.
შემოვიარე ქვეყანა....
მცხეთა... თბილისი... არმაზი....
და ვერსად ვერ მოვიძიე
ქალი, ორსულზე ლამაზი!

ახალგაზრდებო

ცის გამგებელი როს შეადგენს წამსვლელთა სიას:
პირველს.... მეორეს... მეც ოდესღაც მიმიჩენს ადგილს.
გადაგაბარებთ ქვეყნის სვე-ბედს ახალგაზრდებო!
მოსავლელად და მოსაფერებლად,არც ისე ადვილს.
მერე მე წავალ,დაღლილი ძვლები შეწყვეტენ ღრჭიალს
დაბლა დამიშვით, მიწის გულზე თავი დავხარო,
ალერსით ხელი გადავუსვა მინდორ-ლელიანს....
სული ხომ მაინც აფრინდება ციურ სამყაროს!
კვლავ მობრძანდება გაზაფხული მდიდრული კაბით,
მიმოფენს ველზე ფირუსულას, იას, ღიღილოს,
სხვათა და სხვათა, შეიყნოსეთ მიწის სურნელი
თქვენ ილაღობეთ, მერე რა, თუ მე ვერ ვიხილო....
შემოფრინდება გაზაფხული შრიალა კაბით,
კვლავ მოიყოლებს აპრილის თვე იას, ენძელას,
სხეულზე მამულს თქვენ მოახვევთ ოქროსფერ ფარჩას,
რაც მე ვერ შევძელ, დავიზარე, ან და მეძნელა.

ხაშურელი პოეტები

გივი გელაშვილი

რით განვსხვავდებით

რით განვსხვავდებით ძაღლო მე და შენ?
სარჩოდ ორივეს პური და წყალი,
მეც ხომ ლუკმისთვის დავრძნი შენსავით
და კიდით-კიდე მიწევს წანწალი!..

ლუკმის ლოდინში შენ კუდს აწვალებ,
მე ნიღაბს ვირგებ როცა ვიცინი
და ამ ცვოვრებამ მეც ხომ მასწავლა
შენებრ ლაქუცი, კუდის ქიცინი.

მეც ხომ შენსავით მტანჯავს ცხოვრება,
მეც ხომ შენსავით ვღრინავ და ვყეფავ,
მეც ხომ სამადლოდ მიგდებენ ლუკმას
და განსხვავება რაღაა ნეტა?

ხამშობლო

დამიბრუნეთ ჩემი
საქართველო,
ჩემი სიყვარული,
ჩემი სასიმღერო,
დამიბრუნეთ
ამაყი, მომღიმარი
ჩემი საოცნებო
საქართველო!
არ მსურს მშივრების,
დევნილების,
არ მსურს ობლების
საქართველო!
არ მსურს მეძავების,
არ მსურს ცისფერების,
გამცემების
საქართველო!
დამიბრუნეთ
ჩემი სიხარული,
ჩემი საოცნებო
საქართველო!
2010წელი

მზია მაღალდაძე

ო, პოსეიდონ

ო, პოსეიდონ, გულში ტკივილებს
შენ არასოდეს მალავ,
ღელავ, ბობოქრობ, ქარიშხლიანობ,
ანთხევ ბოღმას და ვარამს.
ფერად კენჭებით ქარგავ ნაპირებს,
ლამაზთვალება კოლხთა,
ო, დედამიწავ, რას ჯავრიანობ,
ნეტავ ასე რას ოხრავ?
ხომ არ მოუხმობ სატანის შვილებს?
ომის ქარ-ცეცხლის დრო-ჟამს?
ო, პოსეიდონ! ეს სილამაზე
ხომ არ დაგვრჩება ოხრად?
ზევსამდე ადის ტალღები შენი
სამდურავის და კვნესის,
ო, პოსეიდონ, სცადე დაცხრობა,
შეწყვიტე ნთხევა გესლის!
ისე ბნელია სამყარო შენი, მაინც არავის ეს-
მის.

შოთა დარბუაშვილი

* * *

დრო, უდროობით
ხან დემონია,
ვინ პლატონია?
ვინ ნობელია?
აქ, ძალაშია
სხვა თეორია:
ჩვენში, ქელეხი
პ ა ნ თ ე ო ნ ი ა...
მე ახლა მფარავს
ცაცხვების ჩრდილი
და დგას სამყარო
სახეცვლილებით,
შენ მეკითხები:
„ვინ რომელია?“
აქაც და იქაც
გარდაცვლილები...
ნიავის ცერზე
ქანაობს ქარი
და ვეღარ ვამჩნევ
სხვის კარზე მდგარი,
რომ ამ ცხოვრებამ
ისე დამღალა,
როგორც დაღალა
ერთი და ორი...
მდინარე მიდის
და ტალღის შხუილს
ყურს უგდებს ღამე -
ბედი მდევარი,
გუბეში გდია
ნასვამი მთვარე -
ცას მოწყვეტილი
ურჩი მძევალი...

ჟუჟუნა ცენგირაშვილი-ქვრივიშვილი

ორი

ფარვანასავით შემირუჯა
ვიღაცამ ფრთები
და მიწყობს ოინს...
ბავშვობაში რომ არ მიყვარდა
რიცხვს ერქვა ცუდი.
არ ამაცილეს ეს რიცხვი-ორი...
ორი ძმა,
ორი შვილი,
ორი შვილიშვილი,
ორი შვილთაშვილი.
ჩემი ბრალია?!
თუ არის სხვისი?!
იქნებ ვისჯები იმისათვის
მე რომ ვერ ვხვდები?!
იქნებ დამცინის
მსახვრალი ბედი?

სევდა

უფსკრულის პირზე
თვალახვეულს
ბევრჯერ მივლია,
მინდვრად გასული
შევტიროდი
ცვრიან ბალახებს,
სამშობლოს სევდას
ტანზე ვირგებ
ვით გიჟის პერანგს,
(შვილების ბედიც
ისევ მადარდებს).
ის მავთულხლართი
გოჯ-გოჯობით
მამულს რომ მპარავს,
მიკაწრავს სხეულს,
ჩემს გულზე გადის....

თინათინ კაპანაძე

დედას

დე, გაზაფხული მოდის და თმაში იებად ჩაგიწნავ
ყველა იმ ბედნიერებას, რაც თებერვალმა წაგგლიჯა,
გვირილებთან კი ბოდიში, იები შენ თავს ვამსგავსე,
შენ სულს, სიმშვიდეს დედა და ვერავის ვერ მიგამსგავსე.
დე, გაზაფხული მოდის და ახალ სინათლეს გაჩუქებს,
გადაგავიწყებს ცივ დღეებს, სითბოდ მზის სხივებს მოგიტანს,
დე, გაზაფხული ხომ იცი, სულ ყველა ტკივილს აყუჩებს
და თუკი ასე არ მოხდა, მე ჩემი ხელით მოგიტან –
ყველა იმ ბედნიერებას, რაც წლებმა შემოგაცალეს,
სულ სათითაოდ მოვძებნი, რა სად და როგორ გამოგრჩა,
მხოლოდ იმიტომ დედი, რომ არაფერში არ გაგვცვალე,
რომ ჩვენ წარსულში უშენოდ ერთი დღეც კი არ გამოჩნდა.
დე, გაზაფხული მოდის და წავიდეთ ყოჩივარდებზე,
დე, ზუსტად ისე ხომ გახსოვს? ბავშვობაში რომ დაგყავდი,
მაგრამ ამჯერზე, დედიკო, ხელი მე უნდა ჩაგკიდო
და დაგანახო სხვა გზები, ისე როგორც შენ მასწავლე.
მერე დავკრიფოთ იები, ყოჩივარდები დავკრიფოთ,
დე, გახსოვს? ცხეთიჯვრის ტყეში როგორ დავყავდით მამიკოს,
იქ, სადაც ასეთ სეზონზე, ძალა იგრძნობა უფლისა,
შენ ამბობდი, რომ ყვავილის სარკეა კაცის სულისა,
დე, გაზაფხული მოდის და, მინდა იები ჩაგიწნა
თმაში და შენ სისპეტაკეს, მსურს ენძელები ვაძლიო,
ყოჩივარდები დავკრიფოთ, ფირისულები დედი და
ამ გაზაფხულის სურნელით ყველა ტკივილი დავძლიოთ!

მაია წიქარიშვილი

გეჩურჩულები

გეჩურჩულები არ შეგეშინდეს,
ხელის გულით შენახული სიყვარულისა...
თუ ვერ დაიტევ ნუ შეიცხადებ,
ეს სიყვარული ჩემმა გულმაც ვერ დაიტია...

***

ხან სულელივით ვიცინი ჩემთვის,
ხან ვაკვირდები ნაირ-ნაირ ხაზებს სახეზე,
შავი ფარდასავით გრძელს და იდუმალს...
და ერთს ვოცნებობ,
ნეტავ ერთხელ მაინც განახა,
როგორ დნება შენს თვალებში ნაზი ლითონი ...

* * *

ცის ყურებაში,
მზის ყურებაში,
ყვავილების თვლაში,
მთვარესთან საუბარში,
ქართან საუბარში,
ღრუბლებთან თამაშში,
სხივებთან-თამაშში,
დრო გაქვავდა...
როგორც ვქვავდები
იმ ადამიანის დანახვისას,
რომლის მოფერებაში,
რომლის გაღიმებაში,
რომელთანაც ღიღინში,
ჭირში ტირილში,
ლხინში სიცილში,
გული დაიწურა
ყურძნის მტევანივით.

ნატო ღონიკიშვილი

***

სიყვარული ღვთისადმი ცრემლმომდინარი აღსარებაა, ადამიანისთვის კი-სულის სალბუნი.

***

სიბრძნე და სიქველეა მხოლოდ ადამიანის სულის მასაზრდოებელი.

***

ამ ფორიაქა სამყაროში თავი ოჯახს-შვების ტაძარს შეაფარე.

***

უსაფრთხოდ და მშვიდად მხოლოდ ღვთის უბეში იქნები.

***

სიყვარულს ფარვანასავით მსუბუქი ფრთები აქვს, უფერული ყოფიერებით ნუ დაამძიმებ.

***

პოეზია თუ არ შემოგენთო, ვერ აალდები, თუ სიყვარული არ შეუნთე, ჩაქრები.

***

და–ძმას თუ ერთმანეთი არ უყვარს, სხვათა შეყვარებას ვით შეძლებენ?!

***

ხორცს ნუ დაემონები, სული აგიჯანყდება.

***

გულისკარს ყველას ნუ გაუღებ, რა იცი, კარს უკან ვინ დგას.

***

სიყვარული სიცოცხლის აზრი და ძვირფასი სამკაულია, გაუფრთხილდი, ნუ დაკარგავ.

***

სიყვარულში მთავარი ნდობაა.

***

მეგზურად სიყვარული აირჩიე, თუ გინდა, გადარჩე.

***

სიყვარული ფორიაქა გულის ფეთქვა და სულის დღესასწაულია.

***

ცულისტარზე დატეული ბევრი მოყვარული ცოლ-ქმარი მინახავს, სრასასახლეში კი ცოტა.

***

მეგობრის არჩევისას მარტო გულს ნუ ენდობი, გონებას მოუხმე.

***

როცა გიყვარს, აჰყევ გულისთქმას და არა ხალხის ხმას.

მანანა მიქაძე

წმინდა ნინოს!

შენ მოდიოდი... საქართველოსკენ
განსწავლული ქრისტეს მოძღვრებით,
ლაღი, ნათელი რწმენით,
აზრიანი და შეგრძნებული.

მოდიოდი... სულის სიწმინდით,
ულამაზესი, ჯვრით ხელში, არგნით.
ღვთის დალოცვილო, მანდილმოსილი
გფრიალებდა ქარში, ავდარში.

შენ სვლასთან ... ქარი კეკლუცობდა
ნიავი გხვევდა სიოს ლამუნში
მონარნარებდი ეულად მთებში,
მესასწაულე აქიმ-მკურნალი.

მოაბიჯებდი...
ხან ფეხზე ხამლით,
ხან ფეხშიშველი ველებში, ტყეში,
დამშრალ, დახრუკულ ნაჭაობარზე
ნატერფალები დაგრჩა იმ გზებზე,
სადაც გივლია შიშველი ტერფით
და მოადექი საქართველოს –
ზეგარდმო ნიშნით ჯავახეთის მხრით,
ჯერ არნახული სიმშვენიერით.

მოგხიბლა მთებმა თეთრი ნაბდებით
თავფარავნის ტბას ესტუმრე კრძალვით
ჩაიმუხლე და იქ დაივანე.
გაოცებულმა მწყემსთან სტუმრობით
კერპებზე ლოცვა ისმინე, ზორვა.
უცხო ქალწულმა დამხვდურთ აჩვენე
ლოცვა ცრემლების ნთხევით, ვედრებით
... და მცხეთისაკენ წამოსულ ასულს
გეგებებოდა განთიადი
მტედისფერ ზეცით გაბრწყინებული
გზად ქრისტეს რწმენით შემოსე,
ქართველის სული გააძლიერე.
მაყვლის ბუჩქებთან მცხეთას შეჰკარი
ვაზის რქათაგან ნასხლავი ჯვარი.
ნანა დედოფლის კურნებამ
მირიან მეფეს შეუძრა სული.
კაბადოკიის შვილის ლოცვებით
ქრისტეს ჯვრითა და უზადო რწმენით
ზეცამ ამსხვრია კერპი „არმაზის“
შენ ერთად ერთო, ნინო სიწმინდით,
ქართველი ერი დალოცე სიბრძნით,
და ბოდბის წიაღში მიებარე
უფლის რწმენაში მგზნებარე გულით.

ავთო ხარაიშვილი

***

ცაზე ვარსკვლავო
მნათობო ერთო,
შენ ერდადერთო
ფერთა ჩემო
მზედა მზის სხივი
ლამაზო მზეო,
მიუწვდომელი
და მრავლის მთქმელო.
ვარსკვლავთ მნათობო
ღამის გამრთობო,
ჩემთვის საამო
სხვისთვის საღამო.
ნისლო მაღალო,
ტანო ტატანო,
ფიქრებ წარმტანო,
გულთა მალამო,
სულის ალამო,
გულში დაგმალო
ჩემო წამალო,
სიოვ საამო.

11.06.2015

მამა და ვაზი

შემოდგომისას დაიკრიფება
ვენახი ვაზის,
ყურძენი დილით დაიწურება
ქვევრში მადლით.
მე მახსენდება მამაჩემი
სასხლავით ხელში,
როგორ მიდის და მიემართება
ვენახის კვლებში.
იქვე კუთხეში ჩაწურულა
ლერწამის ვაზის,
და ცრემლი მოსდის ისევ გლოვობს
დანაკრეფ ყურძენს.
უახლოვდება მამაჩემი
ვედრებით ხელში,
და ისიც იქვე ჩაიჩოქებს
ლერწამის გვერდით.

21.07.2015

აღსარება

მოძღვარო ჩემო,მამაო ღმერთო
აღსარება მაქვს სათქმელი დღეო,
გთხოვ,რომ შემინდო ჩემი ცოდვები,
და შანსი მომცე,შანსი დროების.
გისმენ ცოდვილო და შვილი ჩემო,
აღსარებისთვის მოხვედი დღესო,
მუხჩამოყრილი წარსდექი ჩემს წინ
და გინდა ცოდვა შეგინდო მწირსო...
მამაო ჩემო,ცოდვა მაქვს დიდი,
დღეს რომ წავრსდექი მე შენს წინაშე,
მუხლმოდრეკილი ურცხვი იერით,
ესაა ჩემი ნამდვილი სახე,
რომლითაც ვმალავ ჩემ ცოდვებს მამულს.
ვმალავ და თავზე მექცევა ზეცა
ფეხქვეშ მეცლება მიწა და წყალი,
მინდა შევიგრძნო ისევე მიწა,
მინდა შევიგრძნო ისევე წყალი...
მე არ მომიკლავს,არ მომიპარავს,
მაგრამ ცოდვილის ფერი მაქვს მაინც,
იმ ძარღვებში კი სიცოცხლე ფეთქავს
ფეთქავს და ამ გულს მაწვება დარდი.
შენ შვილო ჩემო ვერ არჩევ მართალს
რა არის სწორი,რა არასწორი,
ცოდვა არაა მხოლოდ მკვლელობა
ცოდვაში არ დგას მხოლოდ გლახაკი.
მაშინ მითხარი მამაო ჩემო,
რა არის სწორი,რა არასწორი,
და თუ ვერ ვარჩევ სიცრუეს ცხადში
დაე დამსაჯე უბრალო ბრალით.
უფალმა ერთი შემოკრა ტაში,
და ჩემ წინ გაჩბდა ჩანთა და თასი,
შევხედე ჩანთას არ უჩანს თავი
თასში რომ ჩადგა ნაწვიმი წყალი.
შენ შვილო ჩემო, უმცროსო ძეო,
ჩახედე თასში რას ხედავ მასში.
და თუ შენ მხოლოდ მასში წყალს დაინახავ
შენი ცხოვრება წმინდაა მაშინ.
მივუახლოვდი ჩავხედე თასში,
და წყალში დამხვდა სიმუხთლე ჟამის,
თასის ბსკერს ჩემი ანარეკლია
და ჩემსვე სახეს ვუყურებ მასში.
მამაო ჩემო უფალო ღმერთო,
ჩემს სახეს ვხედავ, ცოდვილს და დაღლილს,
თვალებზე ცრემლი მომდგომია
და თავს მე ისევ ვიკავებ ძალით.
მამაო ჩემო ჩანთაში რა დევს?
მე მასში შენი სიკეთე ჩავდე,
გავხსენი ღელვით და ღმერთს მივუგე,
როგორ ჩანთაში არაფერი დევს?
ნუთუ სიკეთე არ გავაკეთე?!
მას,ჩემს ცხოვებას რაღა აზრი აქვს
დაე დამსაჯე აგერ ვარ შენს წინ,
მუხლჩამოყრილი ცოდვილი სახით...

20.03.2015

გოგოვ ჩემში შემოიჭერ

გოგოვ, ჩემში შემოიჭერ,
მომიმატე გულში დარდი,
ყოველ წუთას შენზე ვფიქრობ,
არ მელევა საფიქრალი.
უშენობა სიკვდილია,
დროს მიჩერებ წუთში, წამში.
ადრე მხოლოდ გულში მყავდი,
ახლა სულშიც გამიმრავლდი.
მომემატა ოცნებები
შენთან ყოფნის ზმანებაში,
ვნების ჯარი, რომ გავუშვი
ჩამივარდი ოცნებაში.
აღარ მინდა მარტო ვიყო,
არ გამწირო ჩემთან დარჩი,
მინდა შენთვის გადავქსოვო
ძეცა ლურჯი, ზეცა მარდი.
სიყვარულის წვეთის ნავში
გრძნობა გქონდეს წმინდა სახით,
ზღვის ტალღებში შევეჭიდოთ
ბგერებს თუნდაც ერთი წამით.
შენზე ფიქრით დღე იზრდება,
უკვე ოცდათორმეტის გავხდი,
თორმეტი თვე აღარა მაქვს
ცამეტი მაქვს ისიც თარსი.
დამემატა ეს ერთი თვე
შენი ხასიათის მსგავსი,
სიყვარულს,რომ გეფიცები
მაშინა აქვს ამ თვეს ფასი.
შენ თუ შემთხოვ ცისარტყელას
შვიდ ფერს ნაცვლად ას ფერს გავხდი.
ყველაფერი შენთვის მინდა
აირჩიე ფერი ასი.
და თუ ახლა მაინც წახვალ
და დამტოვებ ისევ მარტდ,
მაშინ შენზე ახია და
პირველი ხარ გეტყვი მარტო.
სიყვარული არ გცოდნია
და გრძნობებს ხიე ტანგო
დრო გავა და დაინახავ
თუ რა იყო სწორი კარგო...

06.03.2015

ვერ შეველევი

მე არ მსურს ერთხელ და ისიც სხვაგან,
ვერ შეველევი ამ ქვეყნის ჰავას
რა შეედრება ბუნებას ჩვენსას
დილით როდესაც მხე გაშლის დალალს.
შემოანათებს მზის სხივი ოთახს,
და შემოიტანს სითბოს და ლაზათს
მაშინ,როდესაც მინდორში გახვალ
და შევხვდები დანამულ ბალახს.
დაჰბერავს სიო სათუთად ნახად,
და შემაჟრჟოლებას დამბურძგლავს მზარავს,
ცხოვრება მაშინ მინდება მეტად,
როდესაც ვიგრძნობ ამ ქვეყნის ჰავას.
აქ უფრო მეტად და უფრო მძაფრად,
შევიგრძნობ სურნელს მონატან ქარს,
არ მომინდება გახედვა სხვაგან,
და ერთხელ კიდევ შევსძახებ მაშინ.
ეს მხარე ჩემი საქართველოა,
ნაბოძი ღვთისგან და დალოცვილი,
და თუნდაც მომკლან დამშათონ დამწვან
ვერ შეველები ამ ქვეყნის ჰავას.

6.06.2015

იქნებ მე ის ბიჭი ვარ

იქნებ მე ის ბიჭი ვარ?!
სიყვარულს რომ განიცდის
იქნებ მე ის ბიჭი ვარ
შენს ფანჯარას რომ უცქერს.
იქნებ მე ის ბიჭი ვარ
ყვავილებს რომ გიგზავნის.
იქნებ მე ის ბიჭი ვარ?!
სიცოცხლეს,რომ მოგიძღვნის.
იქნებ მე ის ბიჭი ვარ?!
მუდამ შენს,რომ მოგიცდის.
იქნებ მე ის ბიჭი ვაე?!
შენს კარებთან რომ გიცდის.
იქნებ მე ის ბიჭი ვარ?!
გზაზე რომ გადაგიდგა.
იქნებ მე ის ბიჭი ვარ?!
თვალი რომ აგიხილა
იქნებ მე ის ბიჭი ვარ?!
გრძნობა რომ გაგიმხილა.
ალბათ მე ის ბიჭი ვარ!
ცეცხლის ალში რომ იწვის
სიყვარულის სენი ჭირს
უმკურნალე შენ გიცდის.

11.29.2015

ზურაბ ჯაფარიძე

არაგვს

თუმცა კლდეები
ბეჭებს გიკაწრავს,
მაინც სიმღერით
კვდები, არაგვო,
დღეს დაცემული
თუ ხარ კლდეებში,
ხვალ ღმერთებს უნდა
ელაპარაკო.
ვიცი, დარჩება
შენი კურთხევა,
ჩუქურთმა სულში
დამათოველი,
მოჭრილი მკლავი
თუ არ ხორცდება,
ამაყად ხომ დგას
სვეტიცხოველი.
ვიცი, მეც მელის
არაგვის ბედი
და თაობები
ლექსს გახედნიან,
რა არის ერთი
პოეტის სისხლი,
საუკუნენი
როცა კვდებიან.

* * *

ჩემს ქეთის გურამ რჩეულიშვილის პრემია მიანიჭეს. 1995 წლის 25 ივნისს არიშკის სანადიროში გურამ რჩეულიშვილის სახელზე ჯიხვი მოვკალი.

ქაჯეთის ციხედ მუცო მეზმანა,
ეთერი დიდხანს პურებს აცხობდა,
გზას დავადექით მე და ბეჟანა
და ვარსკვლავებით ღამე გვათოვდა.

ლითონიიდან ჩავხედეთ ჯიხვებს,
მივყევით კვალს და კლდესთან შევჩერდით,
ორი გამოჩნდა, დალი გვწყალობდა,
ცას დაეფერა ზეცა ჩეჩნეთის.

ვუმიზნე, კლდეში აწივლდა ტყვია,
მითხოს, ჯარეგას ექო დაჰქროდა,
სიკვდილის შემდეგ ქისტეთის მთებში
რჩეულიშვილმა ჯიხვი დაკოდა.

დავმგლოვიარდით და ვწუხდით ორნი
და მერე მთებმა აღარ მაცალეს,
წამოიმართნენ და ჯიხვის რქაში,
როგორც ფიცვერცხლი მთვარე ჩათალეს.

და გვაძმობილეს მე და არიშკა,
ნადირთპატრონმა გამნათლა სისხლით,
ტაბლას ვუსხედით მე და ბეჟანა,
საჯიხვეებმა დასწურეს ნისლი.

მთვარე დაიწვა, როგორც სანთელი,
ხეობის ქარით ყინვა გვეფინა,
ქისტეთის მთებში ვიწექით თოვლში
და ვარსკვლავებთან ერთად გვეძინა.

***

ბაჟახის ძირში ვარ, ვიცანი სიცოცხლე,
სუფრაზე იჭრება წყაროს წყლის ხმაური,
არჭილოს მირეკავს მოპარულ ულაყებს
ალი მახაური...

ოტოსთან ვძმობილობ, წესს გვიგებს ბაბუა,
ვაჟასთან ვძმობილობ, ცით მთვარე ჩამოდის,
ბაჟახის ძირია, გატეხილ ახოა,
სიკვდილი მამკვდარა, სიცოცხლე შამოდის!

ქეთევან დოლიძე

უფალო

რა ერქვა იმ განცდას, ძვლები რომ ჩამიფქვა?!.
არ ვიცი, ვინ ვიყავ, არ მახსოვს, რა მერქვა...
მახსოვს, რომ სული და სხეული კიოდა
და შენი ნალურსმი ხელები მტკიოდა...
უსუსურ მინის მტვერს, სუსტსა და ფეხშველას
რარიგად მინდოდა, რომ შენთვის მეშველა...
არა ვარ, უფალო, ხორბალი საყანე,
თუ გინდა სხეულის ბორკილი ამყარე.
ცოდვების უფსკრულმა მიშვილა კინაღამ...
ზეციურ საუნჯეს გულში რომ ვინახავ,–
ეს შენ ხარ, უფალო... არ მინდა დიდობა...
ვიცი, რომ მოხვალ და... რომ იტყვი – მშვიდობა...

...და მერე კვართის პატრონიც მოვა

"იბერიის ქვეყანაში ეშმაკი ვერ დაჯდება..."
წმიდა ლავრენტი ჩერნიგოველი

ვინ შეებმება მახინჯთა ხროვას?!
ვინ გაიმზადა სულის საგზალი?!
ბებერო ერო, რამ დაგაღონა,
შენთან უფალი დედას აგზავნის.
რისხვა ეშმაკის სუნთქვას გიგუდავს,
ხმა კრეტსაბმელის შეგაზანზარებს...
დღესაც გაჰფანტავს ვერცხლებს იუდა...
შენ კი აღსდგები, როგორც ლაზარე.
მერე რაა, რომ ხალხი გიჟდება,
მერე რაა, რომ „ხალხი იცინის"...
თუმცა სიცოცხლის ფასად გვიჯდება,
რომ გაგვასხვისეს ლიწინ-ლიწინით.
სისხლი აწვება წვერებს ინიანს...
არ გაყიდულა ჯერ კიდევ ფხოვი...
ნუ გეშინია, ნუ გეშინია,
ნუ გეშინია მახინჯთა ხროვის!
არავითარი „ჩიპი" და კოდი!
მოეღოს ბოლო თარეშს და გლოვას!..
დედა უფლისა მცხეთისკენ მოდის...
და მერე კვართის პატრონიც მოვა...

ღაზარეს აღდგინება

უფალი ტიროდა მეგობრის დაკარგვას,
–როგორ ჰყვარებია...– ისმოდა ჩურჩული,
მუხლები უთრთოდა მარიამს და მართას,
სიკვდილი კუთხეში იყო მიკუნჭული.
ოთხი დღის მკვდარიო, – ამბობდა ვიღაცა
და არ ანცვიფრებდა უფალი ნანახი,
რომელმაც ტაძარში დახლები მილეწა...
სასწაულს ელოდა მდუმარე სამარხი.
– აღსდექი, ლაზარე! – გიბრძანა უფალმა,
გამოდი, ლაზარე, სიკვდილი განაგდე!..
ძირს წელისმოწყვეტით დაეცა სუდარა,
ლაზარე გამოდის და თეთრად ანათებს.
– მოხსენით სახვევი, საჭმელი მიეცით...
სასწაულს შეეპყრო მთელი ბეთანია...
ჩემი სამშობლოა ლაზარე, რომელმაც
წყალი უწმიდესი პეშვიდან დალია...
ვიფხიზლოთ... ვიფრთხილოთ
ცოდვების ქარაფთან...
როგორ ჰყვარებია... – ისმოდა ჩურჩული,
მუხლები უთრთოდა მარიამს და მართას,
სიკვდილი კუთხეში ეგდო მიკუნჭული.

ქეთევან

რამდენი შეშლილი ღამეა შველამდე,
თავზე რომ მეთევა,
იქნება ჩემი ხმა მოვიდეს შენამდე,
ქეთევან, ქეთევან...
კახეთის გვირგვინო... მსხვრეულა წელამდე
ქართველთა სამეფო...
გამქრალა სინდისი – მისულა ცელამდე,
გულები გაგვეპო...
ქრისტეს დედოფალო, გვიკურთხე უღირსებს
ნაგლეჯი ღირსება...
გვაქციე, თუ გინდა პატარა მუხისებრ,
მადლით რომ ივსება.
სამართლის ნატრულებს გვაცილე მაცილი,
რომ აღარ გველევა,
უწმინდეს ცრემლების ცვარ-ნამი გვაწვიმე,
იტირე, ქეთევან...
იქნება მესიის მახვილი აგვეღო
კოჭების გორებას?!
იქნება უძველეს ცრემლებმა გაგვილღოს
ქვა-ლოდი გონება?!

რამდენი შეშლილი ღამეა შველამდე,
თავზე რომ მეთევა,
იქნება ჩემი ხმა მოვიდეს შენამდე,
ქეთევან...

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ჩემი ლექსების პირველ მასწავლებელს ბატონ, რეზო მიშველაძეს!

მოულოდნელი სიურპრიზი, რომელიც მე უფალმა მარგუნა, და რომელიც ჩემი ბავშვური ოცნების განხორციელება იყო. – ეს მოხდა დღეს 5 მაისს 2018 წლისა, როცა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალდარგოვანი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებით საღამოზე, მოულოდნელად შევხვდი, ბატონ რეზო მიშველაძეს.

ასპინძაში, გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა ახალგაზრდა მწერალთა და პოეტთა ჯგუფი ჩვენს კულტურის სახლში, რაინდული საზოგადოებისა და საშუალო სკოლის წინაშე გამოდიოდა, ერთ კუთხეში მეც ვიჯექი და ვოცნებობდი: როგორ გავმხდარიყავი მწერალი, და როცა რ. ინანიაშვილმა და თქვენ, ბატონო – რეზო მიშველაძემ თქვენი ნაწარმოებები წაიკითხეთ, აცრემლებულმა ჩემი პირველი ლექსი დავწერე და თქვენთვის მინდოდა გადმომეცა, მაგრამ ვერ გავბედე.

ახლა კი ვბედავ და შემოწირულობასავით გადმოგცემთ ჩემს ბავშვურ სიამაყეს, ბატონო რეზო!

საოცარია ჩემთვის მწერლობა –
გონების ჭვრეტა იდეალური,
მაგრამ ყველაზე უფრო მე მტანჯავს,
ჩემი სიმდაბლე, ოდენ ფარული.

როდემდის ვიყო თევზივით მუნჯი,
როდემდის მეყოს მე მოთმინება?
გავაღო პირი და ვთქვა სათქმელი,
ის რაც ბუნებამ ჩემში ინება?...

გულისწყრომით თუ ავისხამ აბჯარს,
მე მგონი ყველას ეს ეწყინება,
როცა მდინარე ქუხილით მოდის,
შენ დაამდვრე მისი დინება...

მქუხარე ტაშმა რომ შემარყია, ვფიქრობ, ეს არის ჩემი მიგნება,
მიშველაძე თუ მოთხრობებს დაწერს, მე ლექსით შევძლებ წარმოჩინებას!
მაპატიეთ, ბატონო რეზო, ჩემი უშუალო ბავშვური გულახდილობა,
მაგრამ არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ თქვენ ხართ ჩემი ლექსების პირველი.

***

მე მენატრება ახალგაზრდობა – თავისუფლება ამქვეყნიური,
ყველაზე ნაზი, ყველაზე ფრთხილი, შეუპოვარი აზრის ღვთიურის,
მემენატრება გაშლილ წიაღში, დიდი სამყარო ყოველდღიური,
სულის გოდება და განთიადზე ლაღი ტრფიალი, ტურფა, მზიური...
ცხოვრება ისე ცოტა დროს გვიძღვნის, ნატვრისთვისაც კი არა გვცალია,
ისე მოგვაშთობს, წაგვართმევს სიბრძნის სიღრმის შეგრძნებას, გულს გვწყვეტს ძალიან...
ეჰ, სათნოებავ, რატომ გვცდი ამდენს, ნუთუ ამ ქვეყნად ყველა ვალია?...
არა, სიყვარულს, შენ ვერ წაგვართმევ, ის ჩვენი დიდი მომავალია.

გარეჯი - ბაცონ რეზო მიშველაძეს!

მთებს შეუკაზმავთ ქვაბი გარეჯის, იბერთა აკვნად წარმოუსახავთ,
შემოუბურავს ქარს კლდე ფარაჯით, და საიდუმლოს გულში ინახავს...
საოცარია კლდეთა განრიგი; ქარებს ხვატი ცვლის, კლდე დაზვინულა,
დრო ისე სწრაფად იცვლის სამოსელს – ფიქრები კლდეთა ზედ დაყინულა,
და არეულა ფერთა თრიმვალში, ცისარტყელების ზოლად ჩენილა,
ზედ დაფენილა ღრუბელთ მარმაში, მკერდსავსე მთები გამოჩენილა...
იღვრება სიოს ნაზი რხევებით, ცის დიდი მადლი, ცვრად რომ ქცეულა,
წმინდა გარეჯი, სათნოდ ნაგები, იბერთა მოდგმის ცისკრად თეულა.
და საქართველოს ძირძველ მიწაზე, შადრევნად ლოცვა ამოფრქვეულა,
ნათლის მტვრევაში ჩაძინებული, ღრმა სილამაზე წამოწეულა,
შეხმატკბილებულ კლდეთ, მთათ, ველებზე, ღვთიური სიბრძნე რომ არჩეულა,
თავს ვერ ვანებებ მშვენიერებას, ჩემს გულის წუხილს, რომ შეჩვეულა...
და ვფრინავ ცაში, როგორც არწივი, კავკასიური სიბრძნით ჩვეულად,
ლაჟვარდ სივრცეში გარეჯთან ერთად, არწივთ სიმძლავრე გამორჩეულა,
რა მადლმა გმოსა ღვთიური არსი, ფიქალთა მტვერი ნოსად რხეულა,
რამდენი სიბრძნე შენთ ნათელთ მსგავსი, აზრის ზოდებად გარდმოთხეულა,
– თქვენ გარეჯი ხართ! – საუკუნეებს შემატებული სიტყვა ლაზათი,
როგორც წინაპართ, თქვენც გევალებათ: იბერიული ლოცვა მამათი!

ვუძღვნი გულნაზ ხარაიშვილს, მის შემოქმედებით საღამოზე, შენი და მზიური.

ჩვენთვის აღმართა გოლგოთა ბედმა, დაო, რა გითხრა ამაზე მეტი?
შეუმჩნეველად იმღერა გედმა, ეს მოთქმა იყო წვის ნიშანსვეტი.
ჯვარცმას ვემთხვიეთ, ვთხოვეთ შენდობა, ცრემლით გავჟღინთეთ გამხმარი ბელტი,
გულის სიწრფელეს ღმერთი ენდობა, სულის ცხონებას ლოცვებით ველტვით.
სად სოფლისავით გაშენებულა, მადლმომართულთა წყალობას ვხვეტდით,
ის უღებს კარებს ყველა გულწრფელთა, სად ანგარების არ ღვივის ცენტი.
დარწმუნებულნი გულწრფელობაში, ჩვენი შვილების, გვასწავლის ღმერთი,
ტკბილ იავნანით მოფერებაში, ვევედროთ უფალს გრძნობაგაჟღენთით...
თუ ერთი ბედი მოგვიძღვნა ზენამ, გაგვყარა გრძნობებს სამარადისოდ,
უფლება მოგვცა წარმოთქვას უნამ, და გაცოცხლება მათი გვაღირსოს.
დარდს შეეწირა შენი ქალობა, მადლი აპნიე ქმარ-შვილის კვალად,
ცას შეეთვისა შენი ცალობა, წვის პირამიდა აშენე მყარად...
შენი ქალობა ვადარე ქალღმერთს-ნარიყალაზე მლოცველს ცხრა ძმისა,
მის მანდილისქვეშ გამოწვდილ თასში, ელავს სისხლმწვეთი პირი ხმალისა,
და თუ ფიალა გვერგო და ამ გზად, ღმერთმა შეგვყარა ერთბედისანი,
მანდილი დროშა საქართველოსი – ვუწოდოთ შვილებს – ფარი ხმლისანი!
ჩვენი ქმარშვილის ბადლად იზარდონ: ვეფხვნი და ლომნი მძლენი კლდისანი,
როგორც ჩანჩქერი მომქუხარებდეს ნათელ-მირონი ქართველთ ძმისანი...
ხოტბას მოგიძღვნი ჩემო დაიკო, ახლა ხოტბისთვის მართლა გვცალია,
ცად მიგველიან სამარადისო სულები, ჩვენ რომ გვიყვარს ძალიან...
ზეცად გვიჭვრეტს თვალები ძეთა – ვაჟკაცნი გრძნობათმონათვალია,
გვივსებენ სასმისს სიმხნევით მწდეთა, – ეს სიყვარული დიდი ვალია...
ძეგლად შექმნილი ღამისთევებით, პირამიდების წვერთა ალია,
სიყვარულია დაუვიწყარი, ჩვენი გრძნობების ნატერფალია...
შენ სულ სხვა უცხო სამყარო შექმენ: გაკაფე ხნარცვი, ავლეკვალია,
სიმტკიცე მიეც მიტრალ დედათა, – წრფელნი ყოველთვის ღმერთთან არიან,
ხოტბას შეგასხამს ყველა სტრიქონი, ხელთა შენთაგან რომელ არიან
მტირალი გულით ამღერებულო, დღეს ძის წყალობა გაგიხარიან!
ლექსთა კასკადი ვერ შეწყვეტს იმ მადლს, რაც დედამ შვილებს მოუწილადე,
და ვერც გაზომავს შუბნატყორცნ დიდ ადლს, დიდი სიკეთის მკრეფი წყვილადვე,
ათინათივით დაგვხარი ყველას, კურნავ ჭრილობებს, როგორც მედეა,
ვერანაირი ცრუ ვერ მოგვცელავს, გვიცავ ვით დედა – დიდი დედე-ა!
შენ საქართველოს სუნთქვა გიხუტებს, დარდს გიმსუბუქებს ზეცა ნათელი,
გურამიშვილის წვა გათინათებს, დნები მასავით წმინდა სანთელი,
პაოლოსავით გიძგერს ეგ გული, ტიციანივით დამღერი კალამს,
ეთიმგურჯივით გულდადაგული, დილის საარზე ცას უძღვნი სალამს.
იწვი სანთელი, მაგრამ არ დნები, ხელთ აღგიპყრია დროშა რწმენისა,
დიდ საგანძურში ნაპოვნო სიბრძნე, შენ ხარ დიდება მოთმინებისა...
იქნებ მოხატა არე საწუთრომ – ეს ტრფიალია დიდი ნებისა,
და მოიძიე სამყარო ვრცელი, სად ყვავილობენ ნერგნი შვებისა...
შემოგციცინებს ეს გული ჩემი, დაო, ჭეშმარიტ აზრთა მცნებისა,
მე შენ გიყვარვარ, ვით ნოეს სემი – წრფელი სიწმინდე გრძნობათ კდემისა...
რეალურ გმირთა სანიშნედ მდგარი, გოლგოთამ გსახა ჯვარი თავისა,
გზამწმენდო, უფლის გზაზე შემდგარი, მთხზველთა სიცოცხლე შენით ჰყვავისა.

შორენა მამფორია

არსი ცხოვრების

მინდა გახსოვდეს – მე შენ მიყვარხარ
როგორც არ უნდა გიკვირდეს,
მე გადამარჩენს ეს სიყვარული –
როგორც არ უნდა მიჭირდეს,
დამადნობს, თუკი გეტკინა რამე,
არ მსურს რაიმე გიჭირდეს,
შენთვის მოკვდები, თუ დაგჭირდება,
როგორც არ უნდა გიკვირდეს!
მე გამალადებს შენი სილაღე,
მინდა სულ მუდამ გილხინდეს,
გამიხარდება – სატკივარს დაძლევ,
როგორც არ უნდა გიკვირდეს!
ანდა რად უნდა გიკვირდეს –
უშენოდ ძლიერ მიჭირდეს,
შენს არსებობას წყალობადა ვთვლი,
მე გადავრჩები, ოღონდ გილხინდეს!
ჩემთვის ლხინია – არსებობ,
ჩემთვის წყარო ხარ ცხოვრების,
წლები გავიდეს თუგინდ უშენოდ,
სიყვარულია არსი ცხოვრების.

14 აგვისტო, 2013 წელი.

და მაინც

როგორც რომ მზე და მთვარე –
როგორც არ უნდა ეცადონ,
ვერ იქნებიან ერთად,
როგორც არ უნდა ემზადონ,
გაჩენილია იმგვარად –
ერთმა მეორე შეცვალოს
და მომლოდინე ერთურთის
მარად მღვიძარეს ემსგავსონ...
ამგვარად ნება უფლისა
არა არს ერთობა ჩვენი,
ჩვენ ჩვენი გზებით გვივლია,
ვივლით აწიმცა ჩვენით!
და მაინც ოცნებას რა უდგას წინ,
გნატრობ ყოველ წუთს, ყოველ წამს,
დაგელოდები უკიდეგანოდ
დაველოდები ერთობის ჟამს.

26 სექტემბერი, 2013 წელი.

სულის ნარწყმედა ღვთისთვის
(ლოცვა)

მზად ვარ ვიცხოვრო შენით,
შენთვის წარვიწყმიდო სული,
კვლავ შენგან ვითხოვ შემწეობას
გამიკეთილშობილე სული.
მაკეთებინე საქმე,
საქმენი – სათნონი შენთვის,
სხვისთვის ცხოვრება შემაძლებინე,
მასწავლე სათნო შენთვის.
მზადა ვარ, რომ წარვიწყმიდო
სული – უკეთესი ჩემში,
წინ შენი გზებით ვიარო,
სიცოცხლე დავთმო ჩემი –
სიცოცხლე კეთილს ვანაცვალო,
მოწყლულს დავუამო სული,
სულის ჭრილობა მოვბანო,
შენთვის წარვიწყმიდო სული.
ჩემი დრო, ემოცია ჩემი
საშენო საქმეს ვახმარო,
კვლავ დავიხარჯო სიკეთისათვის,
შენი უღელი ვატარო.

4 მარტი, 2015 წ.

და თითქოს ჩაწყდაო ძარღვი

გულმა იუკადრისა
წლობით არად ჩაგდება,
ადგა და... გაიბზარა
საგულეს რითღა ჩადგება,
ყურადღება, ფერება
მასაც არ მოსწყენია,
ნაფერები მიატოვეს –
ეს რამდენი წელია!
შეხტა, შეკრთა ეული
სიტყვა მოისაკლისა –
საფერები, საამო
და ძარღვები ჩაუწყდა!
მერე სიტყვა მოფრინდა,
გული მისკენ იბრუნა
და გაწყვეტილ კაპილარს
ნემსით შემოურბინა!
კვლავ გაიდო ხიდები
სისხლმა კვლავ გაიარა
და ტკივილმა, ღიმილით
გზებზე გადაიარა.

19 მაისი, 2014 წელი.

უშანგი მოსიაშვილი

რატომ აჩქარდა წუთისოფელი

რატომ აჩქარდა წუთისოფელი,
დღეები სწრაფად გადის,
ბევრი უჯიშო და უგუნური
მაღალ კვარცხლბეკზე ადის.
მიხედვ-მოხედვას რომ ვერ მოასწრებ,
კვირეები ისე გადის,
ბავშვიც ესწრაფის წუთისოფელსა,
ცხრა თვისა უკვე დადის.
ეტყობა, მიწაც ჩქარა ტრიალებს,
კაცი მთვარეზე ადის,
უნდა რომ უფრო დიდხანს იცოცხლოს
ამას იმიტომ სჩადის.
ეტყობა, ღმერთსაც ვაწყინეთ რამე,
რომ ჩვენთან აღარ დადის,
თუ დააკვირდით საქართველოდან,
ყველა მეორე გადის.
თუ არ მოვედით მალე ჭკუაზე
და არ ვიწამეთ ღმერთი.
ალბათ, დარჩება ამ ქვეყანაში
გიჟი და თანაც ერთი?!

არ დავაფასეთ იმ კაცის ღვაწლი

გორი დაბომბეთ, გორი გაძარცვეთ,
უგუნურებო, არა გაქვთ გული,
კაცი, რომელიც თქვენ მანდ იხილეთ,
მან თქვენს ქვეყანას ჩაუდგა სული.
მან ბნელეთიდან გამოგიყვანათ,
მსოფლიო ხალხებს აჩვენა სახე,
მაგრამ ისიც ხომ თქვენვე მოკალით
და მის სამშობლოს დაუგეთ მახე.
კავის რუსეთი ააღორძინა
და ძლიერ ქვეყნებს მიმართა მკვახედ,
რომ საბჭოეთი უძლეველია
და რუსი ხალხი დიდი ერია.
არ დააფასეთ იმ კაცის ღვაწლი,
უხვად დაბომბეთ სამშობლო მისი,
ისიც გახსოვდეთ ვერ დააჩოქეთ
სტალინის მოდგმა, სტალინის ჯიში.
იცოდეთ, ღმერთი არ გაპატიებთ,
მოვა დრო, ალბათ, თქვენც აგებთ პასუხს,
დარჩებით სულ მთლად უბედურები,
და მოგკითხავენ სინდისს და ნამუსს.

სულელთან მეგობრობასა

სულელთან მეგობრობასა
სჯობს ომი გვქონდეს ჭკვიანთან,
რომ ქარაშოტთან ჭიდილსა
სჯობს პაექრობდე ნიავთან.
„ნუ უფრთხი წყენას,
ნუ მოელი გვირგვინს შენ ჯილდოდ
და სულელ კაცსაც
არასოდეს არ შეეჭიდო“.

საქართველოს გასაჭირი

უბედური ხარ შენ, საქართველო,
რომ არ გეღირსა კარგი ცხოვრება.
უცხო მტრისა თუ მოყვრის ჭიდილში –
არეული გაქვს მუდამ გონება.
არ ვიცი, ასე რად გტანჯავს ღმერთი,
შენ ხომ ამ ქვეყნად ხარ ერთადერთი,
შენებრ ლამაზი და სათაყვანო
მე არ მინახავს სხვაგან არც ერთი.
მუდამ ჭიდილი და კინკლაობა
ჩხუბში იმარჯვებს ყოველთვის ერთი,
იქნებ შევიკრათ და გავმთლიანდეთ
და ჩაერიოს ამაში ღმერთი.
ასეთი ქცევით თითოკაცობით
ჩვენ ჩვენ ქვეყანას დავასხით რეტი,
ქვეყანას ვანგრევთ, კი არ ვაშენებთ
რა გავაკეთეთ ამაზე მეტი?

ქართველი აღარ დარჩება

რა ქნას იმან, ვინც არ იცის
ინგლისური ენა?
ვინც ფეხით არ მოიარა
ლონდონი და ვენა...
განა ყველა შტერი არის?
და არა აქვთ გონი?
ცხოვრებას რომ არ აკარებთ,
ვერ გაცურა ფონი.

ასე ვარჩევთ დღეს მინისტრებს,
მიტომ არ აქვთ ფასი,
ერთეული ცხოვრობს კარგად,
მშიერია ასი.
და თუ დიდხანს ასე გასტანს,
ხალხს ვერ დავასაქმებთ,
ქართველი აღარ შერჩება
ჩვენს ქვეყანას ნაქებს.

ღამაზ ქალს

თმებში ჭაღარა შემომერია
და სახე უფრო გამიხდა მკრთალი.
რა კარგად მახსოვს, ოცი წლის წინათ –
გვერდით რომ მეჯდა ლამაზი ქალი.
მე ჩემს ჭაღარას კიდევ ავიტან,
გული გაუძლებს სიბერით ჭმუნვას,
მაგრამ შენს თავზე ჭაღარის კიაფს,
ველარ ავიტან და მიტომ ვდუმვარ.
მე შენს თვალებში ამომიკითხავს,
სიყვარული და სიბრძნე მრავალი,

ტყუილად ფიქრობ, რომ არ მიყვარხარ,
მუდამ შენს გვერდით მე ვარ მავალი.
შენი თვალების მზერა ირიბი, –
ჩემს სხეულს ტანზე ჟრუანტლად უვლის.
თუ შენს მღელვარე სულს არ გავათბობ,
მაშინ რად მინდა, მიძგერდეს გული.
ჩემო სულისთქმავ და სიხარულო,
მსურს, ამოგიშრო თვალი ალერსით.
და შენ გეკუთვნის, რაც მაბადია –
სიცოცხლე ჩემი – უმხურვალესი.

შურიან კაცს

მოგცეს უფლება, არ ნიშნავს იმას,
წერო ყოველი, რაც რომ თქვენ გჯერავთ,
შურით აღვსილ და ბოროტ სულიდან
გადმოანთხიო ნაღველი მთელად.
რომ სწერ იცოდე მაგ შენს ნაწერებს,
სადღაც უნდა ხომ ელოდეს ლხენა,
რომ სამომავლოდ შენმა ნაღველმა –
არ შეგახვედროს დიდ გზაზე წყენას.
თუმც ოდითგანვე სჩვევიათ მავანთ,
რომ ბოროტებით სძლიონ კეთილი,
მაგრამ ცხოვრება თავისას შვრება,
მათ ვერ უშველით თუნდაც ვექილი,
თუ ცხოვრებაში გზას ვერ დაადექ,
ვერ ჩადექ ძმათა ფერხულში შენა.
სხვისი ძაგება შენ რას მოგიტანს,
თუნდაც წიწკათი დაიწვა ენა.

და თუ შენ ასე ძლიერად გჯერა,
შენ შენი ნიჭის გაქვს დიდი რწმენა.
კარგი კაცობით უფრო აჯობებ,
თუ ვინმემ შენზე ცუდი დაწერა,
მაგრამ თუ სულში გიზის სატანა,
გაგიჭირდება კარგის ატანა.
თუ ასე ცხოვრობ, იცოდე, ყველას
გაუჭირდება შენი გატანა.
თუ დაიჯერებ, სჯობს, დაიხიო,
სულში ჩაიდო სიკეთე ქვეყნის,
რაც გიჯღაბნია, სულ მთლად დახიო,
კარგ კაცის სახელს ვერავინ შერყვნის.
როცა ვფიქრდები, მსურს, დავიჯერო,!
რომ ეშმაკი ხარ უფრო მელაზე.
თუ არ შეჩერდი, მალე გიხილავთ
ჩამოკიდებულს სახრჩობრლაზე.

ანზორ ჯაფარიძე

ხოტბა ვაზს

ბევრმა იცის ვაზის მადლი,
მისი ძალა საამო,
მინდა მაინც შეგახსენოთ,
ერთხელ კიდევ გაამოთ,
ეზო-კარი, მინდორ-ველი
ვაზით მოხატულია,
კახეთია თუ ქართლია,
იმერეთი, გურია.
საქართველოს ყველა კუთხე
ვაზით მოხატულია
უფრო კახეთს გადაშლია,
როგორც დედის გულია.
კახელ კაცს, რომ ისე ჰკითხო
რა გსურს, ან რა გწყურია?
ვაზის მადლსა დაიფიცებს
მისი სითბო სწყურია.
აღმოსავლეთ-დასავლეთში
ქვევრი აქვს თუ ჭურია,
ყველას ვაზი ენატრება,
ყველას ღვინო სწყურია.
კრაზანაა თუ სარცხია,
ორშიმო თუ ხაპირი,
ყურძენი ხომ სულ სხვა არის,
ვერ ედრება სხვა ხილი.
გოდორია, გიდელია,
ქვევრია თუ ჭურია,
ქართულია, სამამულო,
ყველა მშობლიურია.

ვაჟამ დაწერა ხიზანი

„ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა! –
გვეცლება ქართლი თვალდახელშუა"

მ. მაჭავარიანი

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ
ვაჯამ დაწერა ხიზანი,
ვერაფერს მივხვდით უვიცნი –
რა იყო მისი მიზანი.
გვმოძღვრავდა: უცხოს უგულოს,
ნუღარ გაუღებთ კარებსო,
„ხაზეინად" გაგიხდება,
ის შენ არ გაგახარებსო!
სადაც კი ქვა-ქვაზე დადო
არ გაახარა ქართველი,
ჩემია ყველაფერიო,
სად გაგიგიათ ამფერი.
ერო ამდენმა სიკეთემ
ლამის ერთიან დაგავსოს,
ვისაც გული გაუხსენი
მოგთხარა ლამის დაგავსოს:
სად გაგონილა, სიკეთეს
ასე ვერაგად მოვექცეთ,
სიბოროტ-უმადურობით
ლამის სამშობლო დაგვექცეს.
კაცმა კარები გაგიღოს,
გული გაჩვენოს ღიადა,
შენ გულში ჯიჯგნა დაუწყო
და ღალატობდე ნიადაგ!
გაკვირვებულმა, დევნილმა,
თავი შემოყოს როგორმე,
უმალ ღვარძლს და ბოღმას ანთხევ,
ცდილობთ, გაგვსრისოთ ბოლომდე!
იცოდეთ, ღმერთი დაგწყევლით,
რაც ნახეთ – თქვენთვის ღირსია,
თავს რომ აფარებთ სხვის მამულს –
მას პატრონი ჰყავს, მისია.

ბომბორა და ფისო

ჯერ არც ფისო მინახავს,
არც ბომბორა, ყურშა,
როცა ვნახავ ვემზადები,
საყვედური ვუთხრა.
სად იყავით, რატომ თვითონ
არა მნახეთ მალე,
მოფერება მინდოდა და
თქვენ კი დამემალეთ.

ფისო, ყურშა, ახლა მაინც,
აღარ დამემალოთ
მოდით, ერთად ვითამაშოთ,
ერთად გავიხაროთ.
ჯერ მე პაწია გოგო ვარ,
არც კი ვიცი კარგად,
როგორ უნდა მოგეფეროთ,
რომ არ დაგრჩეთ დარდად.

ჩემი ზვარე

ჩემი ზვარე მირჩევნია
ყველა ვარდს და ედემს,
ღატაკად თუ ვიარებით,
მიზეზს სადღა ვეძებთ?
ვაზი იყო ოდითგანვე
სიმდიდრე და ბარაქა,
თუ კი ვენახს ვუღალატებთ,
დიდმა ღმერთმა არა ქნას.
უკეთესი თუ რამეა,
ვაზი ჩემი სულია
საქართველო უზვროდ დარჩეს,
გამისკდება გულია.
არა, არა, არ შევეხოთ
ვაზს, ზვარს, უნდა ვეფეროთ,
მივუჩინოთ გულში ბინა,
ვით შეგვშვენის ეს ჩვენო.

ღმერთმა თვითონ გაგვიშენა
დალოცვილი ვენახი,
სისხლი ღვინოთ მოგვივლინა
მისი მსმელი ჩვენ გავხდით.
ღმერთმა მიწა მოგვცა წმინდა,
როგორც სისხლი, ხორცია,
ვინაც ვენახს შეგვიბილწავს
ჭკუას ვნება მოსვლია.
შენ ხარ ჩემი ვენახი და
ზვარი, მიქნილ-მოქნილი,
მოკრძალებით შემოგყურებს
სამყაროში სხვა ხილი.
გალობანი ჩვენ ბევრი გვაქვს
ვაზზე, ზვარზე ნამღერი,
მეც მინდა, რომ ვაზი ვლოცო,
გულს ვაშორო ნაღველი.

ჩემ სათვალურ კახეთს

კავკასიის გაშლილ ციდან,
თუ გომბორის მთებიდან,
ახატული, ჩახატული
ველარ ვძღები ცქერითა.
ალაზნის ველო გაშლილო,
მკერდი ხარ შენ დედისა
ცოტა ხნით ველარ გიხილე
და აი, ახლა მეღირსა.
გადმოგხედავ გომბორიდან,
კავკასიის მთებიდან,
გული სიამაყით მიდუღს
ვით მაჭარი ქვევრიდან.
არ მგონია ქვეყნად სადმე,
იყოს შენი სადარი,
მიტომა მაქვს ანთებული
სიყვარულის ღადარი.
მიყვარხარ და მიტომ ვერ ვგრძნობ,
თუ კი რამ გაქვს ნაკლია,
ვინც შეახო შენს გულს ხელი
სამუდამოდ ატყვია.

გაჰყოლია სინატიფე,
შენი შეუსადარი,
სხვა კახეთი, მითხარ ჩემო,
სად არსებობს, სად არის.
არც არის და არც იქნება,
სილამაზე სად არი.
დედის გულივით გაშლილი
სხვა კახეთი სად არის?
კაციც გულით, ველ-მინდორს ჰგავს,
არავისთან შესადარი,
გულღია და ლაღი ხალხი
კიდევ მითხარი სად არის?
გმირი კუთხემ გამიზარდა
მას არა ჰყავს სადარი,
მსოფლიოში მე ვერ ვნახე
მამული შესადარი.
ალაზანი თუ იორი,
დახატული მთა-ბარი,
ჩემი სამშობლოს გული ხარ
ბაჯაღლოს შესადარი.

ჯაფარიძენი

ცაში არწივი დაფრინავს,
ლომის ბოკვერი ბარადა,
ნიკა და ზურიკო გქვია
ჯაფარიძენი გვარადა.
ცას ვარსკვლავები ამშვენებს,
გვარს ქალის ხელი მარადა,
სახელად ცისანა მქვია,
ჯაფარიძე ვარ გვარადა.

ზურა და ნიკა მოვედი,
მე თქვენსა გასახარადა,
ჩავჭიდოთ ხელი და-ძმურად,
ერთად ვიაროთ მყარადა.
თქვენ და რომ გენატრებოდათ,
მე ძმები მყავხართ მარადა,
ჯაფარიძენი ვიზრდებით,
პაპიკოს გასახარადა.

ლეილა ვადაჭკორია

აქ დამაბრუნე უფალო

იქნება გარდავიცვალო
მოვიდე მინდვრის ბალახად,
თიბათვეს მოხვალ, მომცელავ,
წამიღებ თავლის ბარაქად,
იქნება ჩიტად მოვიდე
ვიფრინო ლაღად, ქარდაქარ,
ისეთი ტკბილი ხმა მქონდეს
სამოთხის ჩიტი დამარქვან,
იქნება წვიმის წვეთებად
ვეპკურებოდე ყვავილებს,
წყურვილს მოვუკლავ ბუნებას,
ხელ-პირსაც დავაბანინებ,
ან იქნებ ქარად ვიქროლო
დარდს გავუქარვებ ქვეყანას
ავსულსა კისერს მოვუგრეხ
თუ გზაზე გადამეყარა.
ოღონდაც უცხოს არ მიმცე
აქ დამაბრუნე უფალო,
რომ ჩემი ფარფატა სული
არ დამეკარგოს უკვალოდ.

ეული

იყო წარღვნა და დედამიწა
ბორგავდა მაშინ,
დაფარფატებდა პაწია ჩიტი
დამეხილ ცაში,
ასცდა კიდობანს და იღბალთან
დარჩა პირისპირ,
გადარჩა ჩიტი, მაგრამ მაინც
ვერ ჰპოვა შვება,
მოხდა პირიქით.
მთელი სიცოცხლე შეალია
თვისტომის ძებნას,
მოკვდა ეული და სხეული
დაკორტნა ძერამ.

ნისლო შენ მაინც დამინდე

ნისლო შენ მაინც დამინდე
არ დამელია ვარამი,
ნახე რა ავად მიყურებს
პირმოღებული წკვარამი.
შიშმა თვალებად მაქცია
ფეხი არ ამცდეს ბილიკზე,
მე არც წრიაპი მაცვია
ვერც ნისლო წელზე მიმიბნევ,
შენ მხოლოდ თვალი მარიდე
გზაზე არ გადამეღობო,
ხელი რომ გამომიწოდა
იმ ხავსთან დღესაც ვმეგობრობ.
კლდის იქეთ სიცოცხლე მიცდის
თვალაუხელი, ცინცხალი,
თავს ვანაცვალებ, ნუთუ შენ
აქამდე ვეღარ მიცანი.

გახსენი გული

გამომზეურდი, გაზაფხულის
დატკბი სურნელით,
ნახე, ნიბლია აფრენილა
დილით ბანიდან,
გახსენი გული, გაერიე
შენც მარაქაში,
თორემ ხომ ხედავ, ეს ზამთარიც
უმალ გავიდა.
ირწმუნე თავის და სიკეთეს
გაუდგი ფესვი,
დაარწყულე და გაამაგრე
ნერგი ნარგილით,
სიავე გულში არ გაივლო,
თორემ სამყარო,
იცოდე, უკან დაგიბრუნებს
ბუმერანგივით!

რაც ვარ, ესა ვარ

შენ გინდა ვიყო
ის, ვინც არა ვარ,
განა ცვილის ვარ
გამომძერწო როგორც ინებებ,
რაც ვარ, ესა ვარ
ჩემეული სულის ტაძარით,
რიდით,
პატივით,
რწმენითა და
ტრფობის ღადარით.

ოცნების კოშკის ავაგე

ოცნების კოშკი ავაგე
ზესკნელებს მივწვდი ცათაო,
ვარსკვლავთ ქიმები ვუთვალე
ღმერთო, საიდან სადაო.
მუხლის კეცვამდე ვიარე
ღრუბლებს ვაჩინე კვალიო,
მთვარეს ვეახელ თავისთან
ნამგალს უგავდა თავიო.
ზეცა დავლაშქრე, სურვილი
სულ ავიხდინე წამებში,
ნატვრის თვალს დადევნებული
ისევ მიწაზე დავეშვი.

გაორება

ვერ გაგიმეტე დასავიწყებლად
მიყვარხარ ისევ და მძულხარ კიდეც,
მინდვრად ყვავილებს შევავლე თვალი
და მერე შენთვის იები ვკრიფე,
ვერ გადაწონა ერთმა მეორე,
გაორებული გულის ხმას ვისმენ,
ცხადშიც, სიზმარშიც, ერთმანეთს ებრძვის
ორი არსება, ორი მე ისევ.
შენ ხარ მიზეზი ამ გაორების
არვიცი, რომელ დინებას ვერთვი,
ჯერ რომ სითბოთი ამივსებ გულს და
მერე შხამიან ისარს რო მესვრი.

სიყვარული მიანდერძეს

არც სასახლე მერგო წილად
არც სახსოვრად ოქროს თასი,
სიყვარული მიანდერძეს
აბა როგორ ვისვრი ზღვაში.
გავამრავლებ ერთი ასად
ფესვს გავუდგამ როგორც მუხას,
ჰოდა როცა მივიცვლები
გავიყოლებ ალალ კურცხალს.
თულის მეფევ მესმის შენი,
ერთგულება გულისწორის,
რომ ყველა განძს ამქვეყნიურს
სიყვარული გადაწონის.

ლექსი

ლექსი სულის ჩუმი სევდა,
ზოგჯერ ქარიშხალი, თოვა,
ზოგჯერ ჭირი გიბიძგებს და
ზოგჯერ სიყვარულით მოვა,
ხან ანკარა წყაროსავით
მორაკრაკე აზრთა წყება,
ხან კი ლურჯი ღრუბლის ქულად
ქარაფებზე ჩამოწვება.
ხან ნათელი მზის სხივია
ფერებს შეკრებს ცისარტყელად,
სიტყვის ძალას გაგრძნობინებს
ფრთებს შეგასხამს ასაფრენად.
ლექსი მაინც ღვთის ნებაა,
მოდის შენში ნება-ნება
და ფურცელზე მერამდენედ
შენი პირმშო იბადება.

***

რამდენი უნდა იბრძოლო
რომ დაიმკვიდრო კუთვნილი,
წყალს მიაქვს მთელი ქვეყანა
შენ მაინცა გკლავს წყურვილი.

***

ღრუბელს ნუ მოეფარები
მიწის სურნელებით მთვრალო,
განათებულ ცის ტატნობზე
ვარსკვლავები მინდა ვთვალო.

***

როგორ მწვანობდნენ, როგორ ლაღობდნენ,
დაშრიალებდნენ საამოდ ერთობ
დროის ცვლილებამ უცვალათ ფერი
ახლა კი ცდილობს აქციოს ნეშოდ.

მეც რახანია ხელს ჩავიქნევდი,
რომ არა შენი წყალობა
ღმერთო.

მზია ელიაძე

სიყვარულის ჰასუხი

(ბატონ გერონტ მესხს და ქალბატონ გუნაზ ხარაიშვილს)
04. 06. 2018.

გეთანხმებით, მუზა ლექსის მიჯნურია
მწველ კლდის ქიმზე მყოფსაც მარად გვერდით ჰყავს.
პროზაც მის წინ ასპარეზს თმობს, უძლურია
თვალზე ცრემლი უციაგებს საოცარს!

გეთანხმებით, რომ მუზაა „დამნაშავე“,
ჭკვა-გონს მორევს, ღრმა მორევში მიმათრევს,
წლები არის დღე-ღამეა, ღამე კი – დღე
რითმათ მტვერში უწყლოდ რომ მატრიალებს!..

თქვეს წინაშე თავს დავიდრეკ დიდი კრძალვით,
თავნებურად ლექსბწკარს თუ ვაწკრიალებ!
მეც მგონია ვჩარხავ, ვქარგავ ნაბიჯ-ნაბიჯ
პოეტებთან მეც ხომ ახლოს ვტრიალებ!..

ავივაკე კიბე-კიბე, ბილიკ-ბილიკ
თავხედობა მომიტევეთ, შემინდეთ!
თუკი თავში ლექსის მუზა ხატად მიზის
ცოდვილს, ცოდვად ნუ ჩაითვლით სიკეთეს!

03. 06. 18.

ქარაფს ჩამოსწყდა ზათქით, ზრიალით
ხევს ჩაილალა ქვა-კლდე ხრიალით.
ჩაკვდა, ჩაინთქა, ჩაქრა ტიალი
უცებ დადუმდა, გახდა ჭკვიანი!..

ეჰ, ჩახერგილი წეღან ქარაფი
ახლა გამხდარა ნაქარაფალი!
კაციც ასეა, ლაზათიანი
ხანი ტეხს, აჭკნობს, ხდება ხმიანი!..

01. 06. 18.

04. 06.

მიყვარს!

მიყვარს გაზაფხული ჭრელკაბიანი ყინვას ტოლს არ უდებს, არ ეპუება.
ყვავილთ დიდი ჯარი ფესვმადლიანი მზეს ეპრანჭება, ზამთარს ეურჩეება!..
მიყვარს ეკალთ გუნდი ვარდის დაცვის დროს, ფესურნელით მთვრალ მომხვდურს რომ რისხავს.
მიყვარს ხილთა კრთობა, ცვარ-ნამით ნათრობს რომ ჩაჰხვევია წრფელ გრძნობით რითმას!.
მიყვარს შემოდგომა ოქროფრთიანი, სურნელ-მშვენებით ზეცას რომ აბრუებს.
მიყვარს ვენახი ჩხრა-ჯაგნიანი ჩაწნულ-ჩახლართულ ტკბილ დედის უბეს!
მიყვარს ზამთარიც ყაბალახიანი ქათქათა, თეთრ ნაბადს ტანზე რომ ირგებს
მიყვარს ოთხივე დრო ღვთივმადლიანი, ოთხივეს ქარგ-ლამზავს სიმშვენ-სიკეთე!..

კონახური

ათქვირებულხარ, კონახურო ვნებით ვარჯ-ტოტზე
იწვი და დნები სიყვარულით, ნდომას ვერ მალავ.
ზეციურ ხილვას ეზმანები, ოცნებით დაჰფრენ
გრძნობის მორევში ღრმად ეფლობი, ლაბირინთს რომ ჰგავს!..
თუ ტორღიალი მოგწონს სუროს, ან უსურვაზის,
ნება შენია, არვინ გიშლის, ვერც დაგიშლიან...
ეს უსურვაზიც იკაზმება და თავს გაწონებს
ალისფერ კაბას ტანზე ირგებს, ხე-კლდეთ ეხვევა!..
ბნკართ ურცხვად, უშნოდ უფათურებს შიშველ სხეულზე
ო, მწარედ ბოჭავს, ეჭიდება, უსპობს სიცოცხლეს...
შენ, კონახურო, აქოჩრილო, ათქვირებულო
უსურვაზს უმზერ, ვნების ცეცხლი გიწვავს ნაზ სამოსს!..
ათქვირებულხარ, აგზნებულხარ ვნებით ვარჯ-ტოტზე
იწვი და დნები, ნელ-ნელა ქრები ღრმა ლაბირინთში;
დროზე მოეგე გონს, ძვირფასო, სანამ დრო არის,
თორემ მის უგვან ბრჭყალ-საცეცებს თავს ვერ დააღწევ!..

03. 06.

ბრონეული

(ბატონ სიმონს)

თუკი სურვილი მოგეძალება შენი მშვენების
ვერ შეგაჩერებს ვერა ძალა, კვლავ დამშვენდები.
ტუჩ-პირს მოირთავ მეწამელით და დამამუნჯებ
გაოცებული კონახურიც ვერ გაგაჩერებს!..
გოგოს გადარებ ნაზტუჩიანს ქორფას, აკოკრილის
და არა გლეხკაცს მკლავმადლიანს, არა დაკოჯრილის,
ბრონეული ხარ, ყველამ ვიცით; ვიცით, მაგრამ რა?
შენი მშვენება ირგვლივ იცის: ზეცამ, მიწამ, ცამ!..

2010 წ.

ვაჟს

ნეტავ, რარიგად გიხდება თოლები ნაღვლიანი,
როგორ გგავს შენი ალუდა, ვაჟკაცი ქორებიანი.
ფშავის გაჭედილ მთებშია დაბადებულო ვაჟაო,
იმიტომა ხარ კარგი, რომ დაიბადე მთასაო?!
გესმოდა ირემთ მყვირლობა წელიწად თორმეტ თვესაო,
მგელთ ხროვა, წიფლის ჩივილი და ნარჩიტაის ზრახვაო.
ჩემო ნეტარო, მგოსანო, ულამაზესო ვაჟკაცო.
შენით ამაყობს ყოველთვის ტკბილი სამშობლო მთისაო...
არაგვის დაჭრილასა ტანზე გამოზრდილი ხარ, ნეტარო,
ერი ამაყობს, – ჯალაბი სრულიად ქართველისაო!
ვამაყობთ, რომ ვართ ნაწილი ამ შენი ჯალაბისაო,
ამაყიც დავიარები, როცა ვარ შენსას მთისაო.
პირჩაშავებულ ხეობას ვუმზერ და გული სკდებაო,
ნეტავ, რარიგად მზიანობს ხშირს ტყესა მზე ცალთვალაო!
ჩემთ წინაპართ ვლოც დღენიად, რომ ვარ იმათი მოდგმაო,
ვაჟაო, ჩემო ნეტარო ძლიერ მწამს შენი ლოცვაო...
შენ რომ დაგცლოდა სიცოცხლე, ვინ იქნებოდა ნეტაი?
არ ჰყოფილიყავ ღარიბი, უქონელ-უპოვარაი...
ან რომ გქონოდა ცხოვრება კარგაი, მოსაწონარი,
ვინ იქნებოდა ნეტარა, ლუკაი? მაინც ვაჟაი?!.

ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი

ვუძღვნი ზეინაბ ასისტიშვილს

ზ – ეცას კაშკაში ამკობს ვარსკვლავთა
ე – ზოს ყვავილთა ჯარი
ი – ებს პატარა ბავშვის ხელები
ნ – იავს ჯეჯილი ყანის ...
ა – ს წელს იცოცხლეთ
ბ – ევრ შვილთა შვილთან...
ი – ცოცხლეთ, იხარეთ, ამინ...

„გიღოცავთ! სიყვარულით დამიბერდით"...

მ – ზის სხივი ღაწვებზე დაგფენიათ,
ა – მინდი, თქვენსავით ნათელია,
რ – ოგორც, მაისში ვარდის სურნელი...
ი – მფერი სურნელი გაფრქვევიათ...

ა – ტმის ყვავილივით ვარდისფერო!
მ – ინდა მრავალ-ჟამს იელფეროთ!...
ი – მედი გულში ჩამდებია,
ს – იტყვები არ მყოფნის, რამდენია!..
Თ – სიტყვოთ ვხედავ, გესმით ერთმანეთის...
Ლ – ივლივა წყალივით, სუფთა და წმინდა ხართ!
ა – სეთი უბრალო, ასეთი უნაკლო.
Შ – ვილებო! გჯეროდეთ, ასეთი გვიყვარხართ!
Ვ – ილოცებთ თქვენთვის, ყოველ წუთს, ყოველ წამს,
ი – ცოდეთ, იყავით მუდამ ამ იმედით
Ლ – ამაზი სიყვარულით, ლამაზად განვლეთ გზა!..
ი – ხარეთ, იმრავლეთ, ტკბილად დაგვიბერდით!

„იხარეთ, იბედნიერეთ ჩემო მარი და ცაცო"

გაიხარეთ და გამრავლდით,
ჩემო მარი და ტატო!..
ქარი არ ამოგივარდეთ...
მე მხოლოდ ამას ვნატრობ!

როგორც დღეს ეტრფით ერთმანეთს
უფალს ვთხოვ, წრფელი გულით
ასე ლამაზად გამყოფოთ,
იცოცხლეთ სუფთა სულით.

გიყვარდეთ, თქვენი მშობლები,
დღეს რომ ძალიან ხარობენ...
გული არასდროს ატკინოთ,
სჯობს ყველა ერთად ხარობდეთ.

სულ მხიარულად იცხოვრეთ
უფალი მუდამ გწყალობდეთ
ვინც თქვენზე ფიქრით ათენებს,
ღმერთი სუყველას სწყალობდეს!

„ბედნიერებას გილოცავთ"...

სიყვარულს დაგილოცავთ, ამ დღეს დაგილოცავთ,
გიყვარდეთ ერთმანეთი, უფალი გფარავდეთ!
გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს,
გისურვებთ წარმატებას, აწ და მარადის!..

ბედნიერი სიცოცხლით, იცოცხლეთ 100 წელი,
ღრუბელი, სიყვარულს ახლოს არ აკაროთ!..
იხარეთ, იმრავლეთ, აფრქვიეთ სხივები,
ლამაზი ცხოვრებით, დაიპყრათ სამყარო.

* * *

იღვიძეთ ხალხო, უსამართლობა
მეფობს ძალიან,
ეს კი ჩვენ წინსვლას გვიშლის.
რა დრო წასულა,
რა დრო წასულა,
აღარ სჩანს დილა წინსვლის,
მახსოვს ჭინჭველას
ფეხს არ ვადგამდით,
ლუკმას ვუყოფდით მშიერს,
მშობლები მუდამ ჩვენ გვარიგებდნენ,
სიცოცხლე უნდათ,
სუსტსა და ძლიერს.
ახლა რა ხდება ნეტავ ვიცოდე,
მტერს გვერდს უდგანან სანაპიროზე,
გეგმებს აწყობენ ძმის მოსაკლავად...
ცრემლის დინება მოჩქეფს თვალებზე.
ქვეყნად გვჭირდება,
კანონი, დაცვა,
რომ არ დაგვჩაგროს ცხოვრებამ
ერთობ,
უმექმედო და უმწეო რომ ვართ.
შველა გვჭირდება მაღლა ღმერთო.

გმადლობ უეცრად
რომ გაჩნდი ჩემთან,
როს მჭირდებოდი ყველაზე მეტად.
შენ მე შემმატე გამბედაობა
უფალო, სიტყვა
ლექსად რომ მეთქვა.
მინდა რომ ქვეყნად
ყველა ხარობდეს,
გულში სიწმინდე,
დანთლებად გვენთოს.
ცუდი საქმენი
ცუდი ზრახვები
გთხოვთ აგვაცილო
მაღალო ღმერთო...
უსინათლო რომ
თვალებს აახელს,
ეს რწმენა გულში შემომრჩენია
წინაპრის ანდერძს ნუ უღალატებთ
ხალხო იღვიძეთ ნუ ჩაგთვლემიათ.
სულს და სამშობლოს
მტერს ნუ მიჰყიდით
ჩვენი იყო და ისევ ჩვენია...

სიტყვა

სიტყვა მოგვკლავს და სიტყვა გაგვაცოცხლებს,
სიტყვა დაგვაღონებს, სიტყვა გაგვახარებს...
სიტყვას დაუკვირდით, ერთმანეთს გაუფრთხილდით,
სიტყვას ნუ ვიტყვით, თუ ის გაგვამწარებს...

ზეინაბ ასისტიშვილი

ჩამქრალი კერა

დიდი შრომისგან დაღლილი ხელით,
ლამაზი ეზო ამწვანებული,
აშენებული ლამაზი სახლი,
ყველა ყვავილი გახარებული.

მოჩხრიალებდა კამკამა წყალი,
თითქოს მღეროდა ყოველი წამი.
სტუმარი მუდამ გულით სტუმრობდა,
და ყველა ერთად მხიარულობდა.

ზამთრისთვის ხილი ინახებოდა,
ქვევრებში ღვინო იწმინდებოდა.
თბილი ბუხარი აინთებოდა,
ახალწლის სუფრა გაიშლებოდა.

შვილები მშობლებს გარს ეხვეოდა,
შვილიშვილებიც რომ ხალისობდა.
ამით ყოველი ლამაზდებოდა,
დღე ბედნიერი რომ თენდებოდა.

მერცხლის ჭიკჭიკი, ჩიტის გალობა,
მამლის ყივილი, ძროხის ბღავილი,
ქუჩაში ხალხის შეძახილები
დღე სიხარულით იბადებოდა.

ქოთნით ლობიო იხარშებოდა,
თონეში პური იბრაწებოდა.
გულუხვი იყო მასპინძელი და
მაგიდა უცებ გაიშლებოდა.

წალამზე მწვადი შეიწვებოდა,
მისი სურნელი ცას მისწვდებოდა,
სტუმრისთვის იყო ქათამი, გოჭი,
მაგიდა უცებ დამშვენდებოდა.

ეს ყველაფერი წარსულში დარჩა,
ეზო-კარს არ ჰყავს ძველი პატრონი,
სახლის სახურავს წყალი ჩამოსდის,
კედლებიც ტირის დავრჩით მარტონი.

ქარმა გაწეწა, ფარდა ფრიალებს,
სახლში არავინ აღარ ტრიალებს.
ოდეს საჭირო ძველი ნივთები.
მტვერმა შეჭამა, აღარ პრიალებს.

ჩაი აღარ დუღს, ყველა დამშრალა,
ნაფერები ხე უცებ გამხმარა,
ოი! სიცოცხლე უცებ წასულა,
ოხ! ეს ცხოვრება წამში გასულა.

ჩამტვრეულ მინას ქარი უბერავს,
ქარმა დალეწა ხეთა ტოტები,
აღარ იღება ეზოს კარები
აღარ იღვიძებს, ვარდის კოკრები.

აღარც მერცხალი იკეთებს ბუდეს
კატაც კნავილით ჩაუვლის კარსა,
სახლს არს ჭირდება დარაჯად ძაღლი,
გამვლელი ყველა არიდებს თვალსა.

თუმც მომავლები კარგები ყველა,
სახლს ვერ პატრონობს, ვერავინ ვერა;
ოჰ, რა ძნელია ჩამქრალი კერა,
შვილო! მოხედო იქნება შენა.

მშობლის ნაკვალევს ნუ მიატოვებ!
ყვაოდეს ია – იასამანი.
მშობლებს შენდობა, არდავიწყება,
თქვენ კი სიცოცხლე, წლები მრავალი...

ნაილი ხეთერელი-ხარაიშვილი

ძირულას ხევი

სტრადივარის ვიოლინოს, ჰარმონიის დედას,
ვარდისფერი ოცნებითაც ვერ შევახე ხელი,
მსურდა შემედარებინა ჟღერადობის გენად,
ოთხი სოფლის, – ოთხ სიმისთვის ჩამომესვა ხემი.

კაბადონზე არეკლილი ვერცხლისფერი გამით,
ძირულაზე შემომსხდარან ჯიშიანი ძმები,
ღოდორა და ძველი ლიჩი, ჭალოვანი, ხვანი,
კდემამოსილს და უზადოს, მათ შეხვედრას ველი.

მახსოვს, სოკო ეხვეოდა სანთელას ველს მძივად,
საბანელას ღელის შხეფი, მთის წვდებოდა წვეროს,
ეს უზადო ეგზოტიკა, ისე ძლიერ მხიბლავს,
მსურს კალმახის ასხლეტაზეც რამე დაიწეროს.

თეთრ ჯიქნებად დაკიდული აკაციის „გუნდა“,
ტყის სუნამო, – მოცვის ჩაი, სურნელს რომ აფრქვევდა,
ანგელოზებს თითქოს სულში ჩასახლება სურდათ,
აზიდული ნისლი ჰგავდა საკმეველის კმევას.

ხის ღობიდან ეჭვიანი მზერა კეკე ქალის,
საიდუმლო პაემანი და ბეჟანას ოდა,
ცივ წყაროსთან ანთებული სიყვარულის ალით,
თვით ბუნების სამლოცველო, – ვერხვი მიღიმოდა.

ეს ცხოვრება, ზეცისაგან, მოტანილი ქარით,
ჩვენი ლხინით, გლოვით, რიდით გადაჰყვება ნიავს,
კვლავ იქცევა ხევი ბავშვთა ურიამულის ქნარად,
თვალხატულა გოგოს, ბიჭი, კვლავ დაუკრეფს ქლიავს...

2014 წ.

შური

რათა ვემხილეთ ვარსკვლავებთან გათენებისთვის,
მაცდურმა შურმა განმკითხველის ირგო მანტია,
სულის სიღრმეში უზრუნველი მოფერებისთვის,
მწველ სიყვარულის გამარჯვება არ გვაპატია.

აელვარებულ აღტაცებას, – გონების ზრახვას,
და თავბრუდამხვევ სურნელებას თივის და ნამჯის,
განთიადებზე დამათრობელ სურნელის ნახვას,
ახალგაზრდობის უკვდავებას შური ვერ განსჯის.

საუკუნე კი დედამიწის გაღეღილ მკერდზე,
უმანკოების ნეტარებას რიტმულად ითვლის,
მთვარე აგვინთებს კელაპტარებს მთებზე და ველზე,
ფრთაშესხმულები გადავუფრენთ თაკარა ივლისს.

2016 წ.

სიტყვა

მზე მიიდრიკა. უჭვრეტელი იწყება ბინდი. უდაბურ ტევრში არ არის ხილვა. სასოწარკვეთილს, სწორ გზას მაჩვენებს, ზნეკეთილი და მართალი სიტყვა. თუ აქაფებულ მდინარის ზვირთი, მომხვევს მკლავებს და მაცდური, ჩამითრევს წიაღს. საწყაოს მადლით გადაუვსებს მოშურნე მტერსაც და განსაცდელში არ დამტოვებს მოწყალე სიტყვა. ზოგჯერ უზნეო საქციელის ავი კაცი, თუ გატეხს სიტყვას, გონს არ მოუხმობს და ვარდივით გადაშლილ დღეებს, ყრუ, უგზოუკვლო ჟამად გარდაქმნის, ასეთებს, ხშირად ეუბნებიან: – „უზრუნველობა, ღვინის სმა, თუნდაც მოწყენილობა, – ცრუ სიტყვებია“.

თვალისმომჭრელი, შემოდგომის ოქროს ფოთლები, მწვერვალებამდე წეროს აფრენა... მხიბლავს ლექსებში ამ სიტყვების გამოტარება. სწორედ სიტყვები აგვაცილებენ წარმავალი ცხოვრების ისრებს, გვაზიარებენ სხვა ნეტარებას. სიტყვა გვანახვებს მოქარგულ ზეცას, გარიჟრაჟის დილასთან შერწყმას. იგი აგვიხდენს ნატვრას ღვთისნიერს, – შემოგვაგებებს მიჯნურის მზერას... და თუ იქნება ის სევდიანი, მიმქრალი სხივი, უჩუმრად გულში ახმაურდება ელვარე სიტყვა და აგრძნობინებს სატრფოს, რომ სიტყვა, არს სიყვარული და ოცნებების გამოძახილი. სულში სიბნელეს აანთებს და ვიმეორებთ უფლის სიტყვებს: პირველი იყო და არის სიტყვა, მხოლოდ მართალი. ვით უთვალავი ავლა (სრულად აურაცხელი), მოყვარეს ბურავს მდიდრული, ჭრელ საბურველით. სიტყვისათვის აუტანელი ხდება მოძმის ცილისწამების გამოვლინება. ავი გულისთქმის საპასუხოდ, კარგავს უზადო მოთმინებას და უღირსობის, მკვლელადაც კი მოგვევლინება.

დაუვიწყარს და უდიდესს, თუ ველოდები სიყვარულს ჩემსას... გულთან მიიტანს, ალერსით მბოჭავს, მირჩევს ტკბილსიტყვის მეოხებით ვიაროთ ერთად.

მე მირჩევნია ჭეშმარიტების წიაღიდან გამოსული (არამაცდური), სიტყვა იყოს ჩემი მდევარი. უფლის ნების უსაზღვრობა დაამკვიდროს ჩემს ძუნწ სხეულში, ვიდრე დღითიდღე ფერთმოგუგუნე, ყალბი სიმდიდრის ვიყო სადგური.

მგვრგვინავ გრიგალში თვალები თუ დამებინდება, გაზაფხულის ყვავილობას ვეღარ შევამჩნევ, თუ გამიჭირდა გადაღლილი თვალის ახელა... გონს მომიყვანს და ცის კიდეებს მიმაწვდენინებს მხიარულ მღერას, მედგარი სიტყვის იმედიანი შემოძახება.

2016 წ.

* * *

სულ ერთი წუთით, მშვიდ სამყოფელს თუ მიატოვებ, აბობოქრებულ ცდუნებებზე გადაიქროლებ იალქანივით, – ყველა სტიქიონს დასძლევ ურყევ ცნობისწადილით და გამოსაცდელ ჟამს გააძრობ სიქას ძახილით: – აღარ იქნები ყოვლისმიმღები, არ მოიხვეჭ ხვავს, – არასმეტყველს, სიშორეს მოხსნი ყველა სამანს, იმ ყარიბ სულებს სცემ მეფურ თაყვანს, ვინაც გაექცა დედამიწის უგვანო წყენას და განერიდა საწუთროს მიერ ავაზაკურად შედგენილ სქემას...

როს შეიმეცნებ უსასრულობის ამ დიდ შარაგზას, ამოხსნი ჯერაც ამოუხსნელს კიდევ ქარაგმას.

2017 წ.

იზა ჭიკაიძე

ხხეი ხსმყროდან

წუხელ, სიზმრად, ვარსკვლავები მთვარის გაღმა გადაჰქონდათ,
მშვილდ–ისარი მოვამზადე ერთი მნათის დასაპყრობად.
წავიყვანო? რა საკვები მოვახმარო ამ დიდებულს?!
თვალებს ველარ ვუსწორებდი კითხვის ნიშნებს, დაკიდებულს.
გაქრა ძილი ... ვარსკვლავები მთვარის გაღმა გადაჰქონდათ,
ახალ ვარსკვლავს ველოდები, სულ ახალი სამყაროდან!

ობიანი პური და ფული

შეჭამე, შვილო, ობიანი პური,
ფულს იპოვიო, – თავს მახსენებს ბებოს ხმა . . .
მძულდა ობიანი პური, არც ფული მიყვარდა
და რა ვიცოდი, რომ პურის ობი პენიცილინს შეიცავდა,
ხოლო ფული – ძალაუფლებასა და თავისუფლებას!

სიასამურის მსგავსად მაცხოვრე

სიასამურის მსგავსად მაცხოვრე,
ჩემი სინაზის იმედი ჰქონდეთ,
ატალახებულ გუბეში ყოფნას სიკვდილი სჯობდეს!
და ღვთის შეწევნით, ყველასთან ერთად
გასაოცარი სიბერე მქონდეს, –
ერთგულისა და დიადის ღალატს სიკვდილი სჯობდეს!!

სამშობლოს როგორ მოეფერები

თუ ერთხელ მაინც არ გაგისინჯავს
ცრემლდადენილი ბალახის გემო,
სამშობლოს როგორ მოეფერები,
სიტყვით და კალმით რაც უნდა წერო!
თუ ერთხელ მაინც არ გადაგივლის
თავგადაკლული მდინარის ტალღა,
აფუებული მიწის სურნელი
თუ არ გასინჯე, ქართველიც არ ხარ!
თუ ერთხელ მაინც, სადღაც, ოდესღაც
ცრემლით არ ურევ მადლიან მიწას,
თუ ერთხელ გულში არ ჩაეკონე,
ქართველის ღირსად ვერ დაიფიცავ!
თუ ერთხელ მაინც არ გაიგონე
ჟღარუნის ხმები წინაპართ ძვლების,
ფერების რჩევა გაგიჭირდება
და მომავლის გზას ვაგლახ გაჰყვები!
თუ ერთხელ მაინც არ გაგისინჯავს
ოფლდადენილი ბალახის გემო,
მამულს სარგოდ ვერ მოეფერები,
რაც უნდა ბევრი იკითხო, წერო!

გაზაფხული

მთიული კაცის გულივით
აფეთქებულო მაისო,
დინჯი კახელის ოცნებავ,
თვალის გახელავ წამისო,
დარდებით ნავალი გზები
ღელე–ღორღებში დაივსო,
საგაზაფხულო ფიქრების
ლხენით ქვეყანა გაივსო
და ჩვილი ბავშვის ენაზე
გიმღერ, კაკლუცო მაისო!

ასე უბრალოდ არ დამთავრდები

ძილქუში მინდა დღითა და ღამით,
საშველს არ მაძლევს დრო ერთი წამით!
მოუცლელობამ დამრია ხელი,
წლებდატვირთულზე ცოტარას ვმღერი...
წამომეშველნენ ჭირვეულ ჟამთან
უძილო ღამის სერენადები...
სიცოცხლევ, ჩემი წლების ნათელო,
ასე უბრალოდ ვერ დამთავრდები!
სიკვდილო, ჩემო დღეთა გვირგვინო,
სიცოცხლის წლებით ნაავდარებო,
ჩემი ღირსების განზომილებავ,
კარგახანს შენ ვერ გაგიკარებო!
არ ჩავიმუხლავ, ლელოს გავიტან
ჭირვეულ დღეთა სერენადებით,
სიცოცხლევ, ჩემი წლების ნათელო,
ასე უბრალოდ არ დამთავრდები!

დედას პურები

როგორ მიზიდავს თონის გვერდებზე
გაპრანჭული დედას პურები!
ორთქლმოდენილ პურს მიტმასნილი ყველი გუდისო =
კახელი კაცის უგემრიელეს სადილს უდრისო!

თანამედროვე ადამს

სამოთხეში დაგაწყვილათ ღმერთმა,
შენ და ევა ნებივრობდით ერთად,
ედემიდან გამოგაგდეს, მაგრამ
უფლის წესებს ისევ არღვევ, ადამ,
ცოლად გინდა ნეკნი შენი სქესის,
მაპატიე, რომ შენი არ მესმის,
ძლიერს მხოლოდ შეებრძოლო უნდა,
თავი უნდა გაანებო „უკან“.
ეხვევი და ეტმასნები ურცხვად,
საფერებლად კი მოგეცა სულ სხვა,
მიკვირს, მიმძიმს, სიბრაზის ოფლს მასხამს,
ქალზე უარს როგორ ამბობ, ადამ!!!
ქალი – სუნთქვა, გამრავლების წყარო,
შენს მომავალს შენვე არა წყალობ,
ქალი – ღმერთის საჩუქარი შენთვის,
სიყვარულით მთელ ეპოქას შექმნის.
ნუ მოგვიწყობ სოდომსა და გომორს,
დედამიწა სტიქიებით გლოვობს,
სულ ტყუილად იმახინჯებ ქცევას,
მამრის ასო ვერ შეგიცვლის ევას.

ბედის ირონია

მახსენდება ძველი ხანა,
გაჭირვებამ აგვიტანა,
თოკზე ერთი შარვალი და
დაკემსილი ერთი კაბა...
პური გვქონდა?
ხანდიხანა,
გროშ-კაპიკი უფრო არა,
მაგრამ ჩვენი უქონლობა
ჩემს თვალებში ჩაიმალა.
გრძნობამ მეტად აგვიტანა,
გულს მიძღვნიდი მალიმალა,
შიმშილსაც და სიტიტვლესაც
ვუყურებდი ჰარიჰარად.
ბოლოს ჟამი შეიცვალა,
ბედის ირონიისგანა,
ქონას მოჰყვა სიმუხთლე და...
სიყვარული გაითვალა.

კვლავ ძველებურად

დიდი ხანია დაზამთრდა სულში,
ცხოვრება მკაცრი განაჩენია,
შევბედავ სტრიქონს გადავიწყებულს,
რომ ვიხსნა იგი, რაც დამრჩენია.
გული დასაკლავ ხარივით ბღავის,
ვერ იტევს ამდენ სევდას და ნაღველს,
და მაინც კიდევ და კიდევ მაინც
არ ვაქრობ დღემდე სიკეთის სანთელს,
კვლავ ძველებურად მივყვები ბილიკს,
რომ დავუჩოქო ყვავილებს ისევ,
ავად შევხედო მოყვასს ან დუშმანს,
არ გამითენოს უფალმა ის დღე!

ვაი-ჰაცრიოცებს!

„შენ ვინა გდიხარო,
შენ ვინა გკითხავსო,
მე ვარო თქვენს შორის ბრძენი“, –
ერთმანეთს ხოცავენ,
ერთმანეთს გესლავენ,
ქართველი ქართველსა დევნის.
გულში მჯიღს იცემენ,
ხატზე იფიცებენ:
„მე მიყვარსო სამშობლო მეტად“,
უგნური სიყვარულით
რომ ქვეყანას ღუპავენ,
ამას კი ვერავინ ხედავს.
ვაი, საქართველო,
ჩემო საყვარელო,
რა დღეში ჩაგაგდეს, ღმერთო!!!
ამ ტურფა მხარეში
მტრობის და ქიშპობის
ხანძარი რად უნდა ენთოს.
სამშობლოს რად უნდა
მყვირალა სიტყვები,
სიტყვები ჰაერში ქრება,
ვისაც მართლა უყვარს,
ჩუმად გაირჯება,
ხმაურში სიკეთე ჭკნება.

ხათუნა ჩიტაძე

* * *

ქარბუქისფერი მოდის ტალღები,
ფიქრის...
– ოცნება ახლა ძნელია!
მე, ჩემს სამყოფელს ისე გავცდები...
მხოლოდ ლექსები ვერ შემელია.
შვება არ მოდის,
ნეტავ და როდის,
ავცდი მზის სხივს და
ავცდი მზეწვისა,
შევრჩი ეული მე მხოლოდ ლოდინს!
სული თეთრია და ნაძერწია!

ეს დარდი ისე უნაპიროა...
მან ყველა გრძნობას აჯობა, გაცდა!
სიყვარულია...
და სიყვარულმა
თუ იცის მხოლოდ ასეთი განცდა!

იცი, ოცნება ახლა ძნელია,
ეს შენ ხარ ჩემი დარდის ფანჯრები!
გამოგაღებ და
იქაც მელიან!
ყველა სადარდელს წამში გავცდები....

* * *

გასავლელ გზებზე,
განვლილ გზების
სიმებს გააბამ
და ბელურები
შემოდგომის
ჩუმი ხიზნები,
განაბულები,
ფიქრის ტოტზე
ჩამოსხდებიან...

ლამპარი

მაქვს უქრობელი ლამპარი,
გზად რა მჭმუნვარიც მეხვია,
– ასეთი არსად არ არის,
ჩემი ლამპარი ერთია!
თუ ტვირთიც არ შემითალხეს,
თუ ტანჯვა სულის წრთობაა,
ცოდვა სულში თუ მიხლართეს!
– ეს ლოცვაც ცოდვის გმობაა!
ერთია ჩემი ლამპარი,
ფერი აქვს ცისკრის ნათელის,
მტრისათვის არის ლახვარი
და უქრობელი სანთელი.
ქარმა თუ ცოტა წაართვა,
სულის სიწმინდე, რჩეული,
მე აქ ვარ!
აქ ვარ, ტაძართან!
დათმენით გამორჩეული...
მე აქ ვარ, სადაც სიყვარულს,
ხარკად გულის სისხლს აწვდიან!
რადგან ოჯახის სიხარულს,
დედები მტერს არ ,,აცდიან!“
გვირგვინი მადგას, კუთვნილი,
ადამ-ევადან ნაკურთხი!
წყეულო!
ახლა ნუ სტირი!
ხარ მრუში სიზმრის ნაკუწი!
...ლამპარიც შენ ხარ,
სანთელიც,
ლახვარიც!
ლოცვაც!
იმედიც!
მე შენით მიდგას ნათელი!
უფალო!
შენი დიდებით! —
...მაქვს უქრობელი ლამპარი!.....

ნაქარგი

თქვენ ხედავთ მხოლოდ დაქარგულის წინარე მხარეს...
უკან კი მთელი ცხოვრებაა, ბორგავს, ტრიალებს,
წყდება, – იბმება,
წყდება, – კვლავ ვაბამ,
როგორ მაწამებს...
თქვენ ხედავთ მხოლოდ დაქარგულის წინარე მხარეს!

გმირებს

ყოველ დღე ჰკლავენ საქართველოს,
ყოველ დღე, გესმით?!
ასეა ახლაც,
ადრე და ხვალაც!
უთუოდ ვიცით,
მაგრამ და მაინც,
ვზივართ და გვესმის!
ვზივართ და ვიცდით!
არც რას ჩავდივართ,
არ გვანაღვლებს
ვითომ სხვის სისხლი!
არადა, ჩვენვე,
ჩვენი ნებით
ვზივართ და ვიცდით,
რომ არ შეგვცივდეს,
არ მოგვშივდეს,
არ დავიღუპოთ!
თუმცა კი ცხადში
კიდეც გვცივა
და გვშია კიდეც!
უთუოდ დროა თავგანწირვით
თავი ვიპუროთ!
...და ისევ მოჰკლეს საქართველო...
ისევ არ გვესმის.....

წვიმის ხმაური

ხმაურობს...
სულის ციალი,
ამ ხმის ლაბირინთს მიჰყვება...
ცხოვრების ორომ-ტრიალი,
გადამითარგმნეს სიტყვებმა!
მზე ცაზე ისევ ჰკიდია,
შავი ღრუბელი - მის ქვევით!
ტკივილი ისე დიდია...
მზე არ მწვავს,
თუმცაა მწველი!
ხმაურობს!
წვიმა წყაროა,
წყალი ჭუჭყს ისევ გადარეცხს!
ვერცხლის ცრემლები წამოვა....
მერე მოგითხრობთ დანარჩენს!
მზიან ამინდებს არ ველი,
ცა თითქოს სეტყვამ გააპო!
დღეს აღარსად ჩანს ,,ქართველი"!
მტერმა შხამ-გესლით დაათრო!
ხმაურობს...
სულის ციალი,
ამ ხმის ლაბირინთს მიჰყვება,
გული კვლავ მტკივა, მზიანი,
ვერ გამიმრთელეს სიტყვებმა!
ხმაურობს!
წვიმა ხმაურობს,
წყალი ჭუჭყს მალე გადარეცხს....

***

სხვათა ცოდვები მე უნდა ვზიდო...
დამდევს ღვთისმშობლის ხელდასმა!
გოლგოთას მთაზე ცოდვა ავზიდე,
სიარულს ვსწავლობ ხელახლა.
ჩემი ხელებით ბილიკს გაგიფენ,
ჭიგოც ვყოფილვარ საშენო...
ვმარხულობ შენთვის,
შენ რას გაიგებ
ჩემი ცხოვრების სამშვენო.
ვღაღადებ ლოცვას ტაძარში, უხმოდ,
ჩემს თავზე ვიდებ სადარდელს,

ბევრჯელ ვყოფილვარ უენო, უხმო,
ჰაერი ტკივილად მადევს...
მაგრამ, ვარ რკინა!
ყველაზე ხისტი!
და გალავანი, ურღვევი!
გულზე დამეცეს წყეული „ხიშტი"!
საწუთროს თუ ვერ ვუშველი!
ჩემს სევდას ოქროს ღიმილი ფარავს,
ცრემლებს, – ვარსკვლავთა ციალი,
ლოცვით ვუძღვები ჩემს მზეთა ფარას,
თავს დედამიწის ტრიალით!

ბეჟან ხარაიშვილი



* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის
მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

სიყვარული იწყებოდა ასე

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,

ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია –
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი –
მე და იმედს.

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაგნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

* * *

ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და
თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტარებით...
ახალი წელი კი დადგა, მაგრამ
ისევ ძველებურად მეყვარები!

გულნაზ ხარაიშვილი

მათი გზა არის

არ მეცოდება ურჩი არავინ,
მგლები, მელები, ქათმის პარია,
არც სხვისი დროის ურცხვად მპარავი,
უსაქმურად რომ ჩრდილში არიან.
მათი გზა არის მრუდე, ბნელეთი,
ქარიშხლის თქეში, თოვლი და წვიმა,
დადიან სადღაც ქვესკნელ-ლელეთში,
უბსკრულში სადაც მზე აღარ ბრწყინავს.

მე ჩემი მიყვარს

ო, როგორ მიყვარს, ტყის ვარდები,
ნაზი იები,
დილის რიჟრაჟზე, რომ
შემათრობს მინდვრის იელი.
მთვარე ჩავა და იღვიძებენ სულში მთიები,
მე ჩემი მიყვარს, არა უცხო გადამთიელის.

რუსუდან გრიგოლავას

თბილისის 36-ე საჯარო სკოლის
IV კლასის მოსწავლეს

შენს ალალ ცრემლებს რა დამავიწყებს,
მერხის რაფაზე უჩუმრად დაღვრილს.
გულზე ნაზ მძივებს ხელით აგიწყობ,
მზესაც მოგიყვან დღეღამით გაყრილს.
აღარ იტირო ჩემო პატარავ,
არ აიცრემლო ნაზი თვალები,
მემახსოვრები იმ დღის ავდარად,
გადაუხდელი ჩემი ვალებით.

ქალბატონ ციური ხუჭუას

თბილისის 36-ე საჯარო სკოლის პედაგოგს

შენ შემორჩები ამ ისტორიით,
ფაქიზი გულით აალებული.
შენი სულეთის ნაზ მისტერიით
დავრჩი ძალიან დავალებული.
მასწავლებელო გშვენის სიკეთე,
ნუგეში ნორჩთა, სიბრძნეთე კონა,
ისეთი ნეტავ რა გავაკეთე,
ჩემში ასეთი რა მოგეწონა?
შენთან დავსახლდი ახლა ამ წუთში,
მოგიახლოვდი თბილი სიტყვებით...
შენ გახდი ჩემი ამონასუნთქი,
გულს არ ეთმობი, გამოგიტყდები.

რა რისხვაა

რა რისხვაა, მორჩეს იქნებ,
გულს ვერაფრით ვეღარ ვწამლობ,
ჩამეხირგა გზა ვერ ვიგნებ,
ბარბაროსების გამო.
ნერგებს კაფენ უმწიკვლოებს,
ბოროტების ბუმი დადგა.
შეესიენ თოთო რტოებს,
ქარი აღარაფრით ჩადგა.
დარგულ ნერგებს რით ვუშველო,
ვის მივმართო, აღარ ვიცი...
თითქოს გახდა უსაშველო,
ერთგულების დანაფიცი.

ზღვათა შტორმები

ზღვამ მე სახეში შემაფეთა, თავის შტორმები,
ზურგი ვაქციე, რადგან მეც ვერ გავმხეცდებოდი...
ოდნავ ახლოს ვარ, სულ უბრალოდ, ხელის შეხებით,
რომ ავყოლოდი ზღვის ჰორიზონტს გადავცდებოდი.
შეუბრალებლად მიმსილავდა ლამში ნაპირზე,
მებრძოლ ნაბიჯებს მიწონებენ თანატოლებიც.
წელს წვიმებია, და გავბრაზდი ისევ აპრილზე,
ისიც ზღვას აჰყვა გული მით მაქვს დანატორები.

ნინოს სახელი

(ვანო შუშტაკაშვილის მეუღლეს)

ჩემში ისეა ნინოს სახელი,
ვით წმინდანების ხატთა ხილვები.
იყოს რაჭველი, იყოს კახელი,
ყველა ნინოა გულით თბილები.
ყველა ნინოა უფლის რჩეული,
მათ სხეულშია მადლის ნათება...
ყინვაშიც სითბოდ გადაქცეულნი,
მზის ათინათის გამონათება.

მადლობის ნიშნად

(ტიტე მოსიას)

ლექსში ჩატვირთეთ, თქვენ ბეჟანის ყოფა-ცხოვრება
პოეზია და მოგონების წლების არმია...
ო, ეს სიკეთე სულ მუდამჟამს მემახსოვრება,
უკვე შევიშრობ, სიმწრით ნაწვიმს, თვალებს ნამიანს...

მთათა პოეტის გული ყორნებს, რომ უძიძგნია,
ნათოვლარ ბედმა აგაცრემლა თქვენ მეცნიერი,
ჩემი ბეჟანის ტკივილი, რომ გულით გიგრძვნია,
ძღვენი მომართვი ლექსითა და ვარ ბედნიერი.

იმ ტკივილების ფოთოლცვენას ხედავს პოეტი,
აი, ამიტომ გაიგონე, ელვის ხმაური,
უკვე ის დროა შემოგბედოთ, დადგა მომენტი,
გული აღმუვლდა, ფიქრი მოხდა აურზაურში.

პოეტისათვის ლექსი არის ოქროც და ვერცხლიც,
და მეც სულ კრძალვით, მოწიწებით, გაგეც პასუხი,
თქვენი კალამით გააღვიძეთ მიმქრალი ცეცხლი,
მტრის ნაჯიჯგნ ბეჟანს უკვდავების სისხლი გადუსხით.

ფიქრს შეეხიზნე

(მარინეს, მამა გიორგის მეუღლეს)

ფიქრს შეეხიზნე როგორც ზაფხული,
გულში ბაღნარად გადაიშალე.
შენთვის სიკეთე მაქვს შენახული,
მოგცემ ცრემლები თუ შევიმშრალე.
შენი ღიმილი ცისკრის ფონია,
თვალთა ხიბლი კი დილის აისი,
ადრეც გიცნობდი ასე მგონია,
ჩემში სახლობდი როგორც მაისი.

თავდაბალი ვარ

თავდაბალი ვარ, ერთგულების ხიდან
ათლილი,
ქართული მუხის, მძლავრი ტოტის
ერთი ნაფოტი.
დარდის მდინარე ჩემს გულზეა ბევრჯერ ჩავლილი,
და ეს ნაფოტიც მტრისგან არის, ნაჯიჯგნ ნაკორტნი.
ტკივილით ნავნებს გაუსაძლისს,
იარებს ვირჩენ,
გამოვიგონე მე თვითონვე მალამო გულის...
არც გოეთე ვარ, არც შექსპირი,
არა ვარ ნიცშე,
ქართული ვაზის გრძნობითა ვარ გადათანგული.

რაა სიმდიდრე

როცა სიმშვიდე დაისადგურებს,
ქარიც შეწყვიტავს სისინს და ქროლვას,
მაშინ ვერავინ გაგანადგურებს,
უფალმა ნიჭიც თუ დაგაყოლა.
სულიერების სამყაროს შექმნი,
ლექსების ფრთებით ზეცას მიწვდები,
აზარფეშდება სიცოცხლის ეშხი,
რაა სიცოცხლე მაშინ მიხვდები.

გამოისხამს ნაყოფს

ღელის პირზე ცისფერთვალა ყვავილს,
არ მოუქნევ არასოდეს ნამგალს.
გაზაფხულზე მხოლოდ ერთხელ ყვავის,
ისე მხიბლავს ჩემს ეზოში დავრგავ.
წლების ნარეცხ ქვებსაც დავაკვირდი,
ტირის, სეტყვით მკერდი შემოფშვნია,
წიფელსაც კი მოფშვნეტია კვირტი,
და აპრილმაც ველარ შეამჩნია.
მარადმწვანე შქერებს გამოუსხამს,
ბლისმაგვარი შავი ფერის კენკრა,
ჩემი ხელით ეკლებს გამოუსხლამ,
მოვაცილებ ჭინჭარსა და ეკალს.
ვსევდიანობ, დავალ დარდმოსხმული.
ველოდები მე უკეთეს აწყმოს,
მადლის ხე მაქვს გულში ამოსული,
მალე ვიცი გამოისხამს ნაყოფს.

მოდი!

მოდი! ვიკლასაოთ, დავხაზოთ გზაზე
ფიგურები,
შევაცუროთ წრეში ქვა და...
ვიხტუნაოთ მასთან ერთად.,
ვითხუპნიაოთ ქვიშაში,
ავაშენოთ სახლის აგურები,
მიამიტური შეცდომები მოვინანიოთ
და... წავრსდგეთ ღმერთთან.

ქართველებო

ქვათახევის ეკლესიის მდუმარებას,
მთის გუმბათი გადმოჰყურებს სევდით,
ამ ნარუჯი ეკლესიის მწუხარებას,
ახმიანებს შეკივლება დედის.
მოკრძალებით, მწუხარებით, დავდექ ხატთან,
დარდის ცრემლი თავისთავად მცვივა.
იმ მიწაზე სააკაძე ერთი ათთან,
იბრძოდა და ნახანჯლარი მტკივა,
სიყვარულით მოვეფერე თეკლეს საფლავს,
ლუარსაბის ამორჩეულ სატრფოს,
ქართველებო, სულით ლამაზს ახლაც
ვწამლავთ,
ერთგულებას, გამტანობას, ვნატრობ.

პეპლების ხროვა

მე ყვავილები მიყვარდა, მაგრამ,
ჩემს თვალში ისიც გაუფასურდა.
ყველას ნაყნოსი აბა რად ვარგა,
ასეთ ყვავილთან ადრეც არ მსურდა.
ია კი, მაინც მიცქერის მაცდურად,
აღარც ის მხიბლავს, არც ტყემლის თოვა,
ტყის ვარდს სხეული აუცმაცურდა,
და დაეხვია პეპლების ხროვა.
შორს გავეცალე ასეთ სამყაროს,
სხეულს სიმწვანის სამოსელს ვაცმევ,
ვბრძოლობ, ფარხმალი არ მსურს დავყარო,
სანამ ცის სახლში გადავინაცვლებ.

გიორგი სააკაძე

სააკაძე სამშობლოსთვის შეეწირა,
პაატა კი ცაშიც მღერის ლალეს...
ახლა მაინც ტკბილი სიტყვა შეაწიეთ,
რომ მომრავლდნონ მეომრები ხვალეც.

უნდა შეეგუო

იმ ჩამომარცვლულ წარსულის წლებს რაღას უშველი,
წავიდა მორჩა, არასოდეს არ დაბრუნდება.
ნაზამთრ ხესავით თავისთავად ხდები შიშველი,
გზაც მაშინ ჩნდება ურემი, რომ გადაბრუნდება.
სახე ნაოჭად ნაფოტივით დაიფორება,
გაოცებისგან წამწამებიც აფახურდება...
სხეულთან ხდება შენი სულის განშორება და
შენს უკითხავად ახლა სხვისთვის გაზაფხულდება.

ხიდ ცაში

რა რთულ გზებზე დადიოდა ლეჟავა,
ძნელი იყო უცხო ტომთან შეხვედრა.
მას მსოფლიო ხელისგულზე ეკავა...
ქართვლის ვალი სურდა გადაეხადა.
ახლა ზეცას შეახიზნა სახელად,
ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, დიდება...
აქ თუ სიკვდილს ბევრჯერ თვალში ჩახედა
მწამს ზეცაში სხივად გადაბრწყინდება.

გაუჭირდებათ

მადლობა ღმერთო, ნიჭი მომეც
ვმართავ გონებას,
სხვისი რჩევები სიბრძნეც იყოს,
მაინც სხვისია.
მე ჩემს მომავალს დაუტოვებ ისეთ ქონებას,
ვერ გაყიდიან, რადგან იგი მხოლოდ ღვთისია.
ლექსებს, ბალადებს, დიდაქტიკურს,
თემებს წიგნებად...
კომპიუტერის ხანაა და... თუმც არ სჭირდებათ,
ჭინჭაპუნჭებით შემკობილებს თვლიან მდიდრებად,
სულის სიბილწით ტრადიციებს გაუჭირდება!
სხვისი რად მოგწონთ, სიშიშვლე და...
ბილწსიტყვაობა,
მილეწ-მოლეწეთ სიყვარული,
ტყლარჭვა-ტყლურჭებით.
ბრძნულ სიტყვაობას მიანიჭეთ,
ციხე-ტყვეობა,
დაფიქრდეთ იქნებ, მიმბაძველნო,
ნუ ხართ ურჩები.

ცხრა თვალ მზევ

ცხრა თვალა მზევ, როგორ მწვავდი,
ზღვა მკლავებში დაასვენე...
ერთ დროს ისე – ისე გწამდი,
მიკვირს, რატომ არ მახსენებ.
შენს სხივებთან მაძინებდი,
ვარსკვლავები მცველად გყავდა,
შენც გიყვარდა ნანინები,
ჩემი სიყვარული გკლავდა.
ალბათ აღარ დამღლის ფიქრი,
ის წარსულიც გავასვენე...
ვისეირნებ ცათა იქით,
გულს მთვარესთან დავასვენებ.

ძველ ბილიკებზე

ძველ ბილიკებზე დახტის ისევ ჩემი ბავშობა,
როს იყო ოდეს ნეტარებით აურზაური.
იყო სიცელქე, სილამაზე, იყო ბავშობა,
გრძნობით ჩურჩულიც, ტყის შრიალით
იყო ხმაური.
რა კარგი იყო გამოცხობა, ქვიშის პურების,
წყალში ჭყუმპალი, მერე ისევ მზეზე გაშრობა,
და მოვდიოდით დედიკოსთან დანაპურები,
თაფლზე ტკბილია, სიცოცხლეა,
მართლაც ბავშობა.

ღამეს დავშორდი

ღამეს დავშორდი, ჩაბნელებულს,
უკიდეგანოს,
დღის შუქს წავყევი,
მზის სხივებმა კაბა ჩამაცვა.
სულაც არ მინდა გულსუსტ ქალებს,
რომ დავემგვანო,
დროსტარება და ხორცის ლტოლვა,
სულს რომ გაძარცვავს.

მე

მე იმდენად შევეჩვიე ღალატს,
არაფრის და აღარავის მჯერა,
ეს ყოფილა ჩემი ბედის ღალა,
ეს ყოფილა ჩემი ბედისწერა.
შემაჩვიეს გულში სისხლის დენას,
ერთგულების ტოტი ბევრჯერ მოტყდა,
გაუძელი ისარს, გულის წყენას,
მაინც იმედს არასოდეს მოვკლავ.
მჯერა ისევ იზაფხულებს ჩემთან,
მჯერა ისევ მეორედაც მოვალ,
პოეტი ხომ დასეირნობს მზესთან,
არ აშინებს პოეტს თოვლის თოვა.

რაცომ

რატომ მხიბლავს უსასრულო ზეცა,
და მიწაზე ნაზი ყვავილთ თოვა.
მზეს თუ სხივის სამოსელი ეცვა,
მე გვირილამ სიყვარული მთხოვა.
მაინც ზეცას გავაპარე თვალი –
გზა ვიხილე, ძალზე სუფთა – სწორი,
თავბრუ მესხმის ვარ მგონია მთვრალი,
მთა-ბარია უკვე თანასწორი.

გულნაზ ხარაიშვილი

ანზორ ჯაფარიძე კახეთში გაზრდილი პიროვნებაა, მისი სოფელი ახატელია. ბედნიერია იმით, რომ მის სიყვარულით შექმნილ ოჯახს ჩირქი არასოდეს მოცხებია, ღალატის და უპატივცემულობის.

კარგად აღზრდილ შვილს, თავიდანვე ჰქონდა უფლისადმი კრძალვა და მოწიწება. მიუხედავად ამისა სამღვდელო პიროვნებებს არ ენდობოდა, მის შინაგან „მეს“ მათკენ გახედვაც არ უნდოდა. მის ცხოვრებაში გამოჩენილა მამა ამირან ამირანაშვილი, რომელმაც მასში მოახდინა სიმშვიდისა და ნდობის ზეგავლენა. ვინც ამაღლების ეკლესიაში არის ნამყოფი, შეამჩნევთ საძმოთა სიაში თავშივე დაწერილ ანზორ ჯაფარიძეს, მამა ამირანისათვისაც ანზორ ჯაფარიძე გახდა სულიერი ძმა და მეგობარი.

ბატონი ანზორის მიწვევით ვნახეთ შუამთის ეკლესია, დედები გაგვიმასპინძლდნენ წიგნებით და იმ მონასტრის წარსულის ისტორიის ინფორმაციით. ახატელში ბატონი ანზორ ჯაფარიძის სოფელში ორი ისეთი ეკლესიაა, რომლებსაც სოფლის მოსახლეობა პატრონობს, უვლიან სანთლებს ანთებენ, ასუფთავებენ, მესამე მაცხოვრის ეკლესია კი მეხუთე საუკუნეშია აშენებული. მაცხოვრის ეკლესიას იცავს ჯვარი, რომელიც ანზორ ჯაფარიძის სახსრებითაა დამზადებული, ჯვარი მამა ამირანს უკურთხებია. ირგვლივ ნაძვის ხეებითა შემოფაქიზებული. ეს ტერიტორია სასწაული სანახავია. აკაკის ხე, მიწიდან არა, თითქოს ზეციდანაა აღმოცენებული, დევის მკლავებისხელა ტოტებს ორად გახსნილი კედელი ერთად აქვს ჩახუტებული, და ასე იცავს საუკუნეების კედლებს წაქცევისაგან.

ამ ტერიტორიის მახლობლად აზერბაიჯანლები ცხოვრობენ, ისინიც ქართული მიწის შვილები არიან. მაცხოვარი თითქოსდა აფრთხილებს, გამრავლდით, მხოლოდ ქართულ ტრადიციულ ეკლესიას ნუ შეეხებით, ნუ დააგვიანებთ, მოკრძალებითა და პატივისცემით იყავით, რადგან უფალი ერთია, სარწმუნოება კი სხვადასხვანაირია. ამ ლექსის ისტორია ამ სანახაობის შემდეგ შეიქმნა, გმადლობთ უფალო ამისათვის.

ფიქრის სახლი

მაცხოვრის ღვთის კედელი იხსნა,
აკაკის ხემ, შემოხვია ხელი,
ჩემში ის ხე ხვალის იმედს ისხამს,
იმ ხის ხილვით ჩემს დაჭრილ გულს ვშველი.
მასთან ახლოს აღმართულა ჯარი,
ცხადში არა, სიზმარეულ ხილვით...
გამოიხსნა იმ წამს სულის კარი,
უფრო გავხდი ღვთის მოშიში შვილი.
მეგობრულად გაგაფრთხილებთ მავანს,
ღვთით ნაკურთხი მოიპკურეთ წყალი,
მოასწარით სანამ მზე არ ჩავა,
რომ საძველეთს გაუსწოროთ თვალი.
ქართველები სხვის რჯულს პატივს ვაგებთ,
უცხო ტომებს შვილებივით ვხვდებით
წმინდა ადგილს ნაგავს ნუ დააგდებთ,
მრუდე გზის გზას ნურვინ დაადგებით.

მაცხოვარი საუკუნის ფესვით,
ძირძველი და სინატიფით მკრთალი,
ძილშიც მისი სადღეგრძელო შესვით,
ნაკურთხ მიწას ჰქონდეს წმინდა კვალი.
მოწიწებით მიახლეთ კედლებს,
დააფრქვიეთ ცხარე ცრემლი ირგვლივ...
დაუყარეთ პური ხშირად მტრედებს,
რომ იაროთ შვებითა და იღბლით.
ახატელის მინდვრებსა და ველებს,
შემოავლეთ სიკეთეთა ჯაჭვი...
აკაკის ხეს ნუ მოაჭრით ხელებს,
გაუფრთხილდით, უმიზეზოდ არ წვიმს.
ბარაქალა ალავერდის ქედო,
თელავო კი მზეთა მონაფერო,
რა სუფთაა თქვენი სულის კრედო,
ფიქრის სახლში მინდა გავათენო.

ამირან ჯანჯღავა

ხვლიკები

შენი სიცოცხლის ფერის ხეულის დასანახად,
ის ბავშვობა ამოწურეს უაზრო ხრიკებმა,
სადაც არ ელირსა თვალებს მენახე შიშველი.
მზე იყო... ხვლიკებს უხსნიდა პურის დანა სახეს
და იმ დღეს ეზოში მორჩა სიცოცხლე ხვლიკების,
თუმცა ჩემ მშიერ ფიქრებს ვერაფერი ვუშველე...
მზე ახლაც არის... მე აღარ... ჩემი დანაზოგი
– სხეული, ეკუთვნის შავ ხვრელს, გრავიტაციას...
სუნთქვა ჰაერს, თვალები ცას, ხმა მექანიკურად
ამოდის ხორხიდან. გახსოვს მე ვთქვი: დანა ზოგჯერ
სიკვდილსაც ვერ შველის. ვიფიქრე, გაგიტაცებდი
ფრაზებით. შევცდი. დამემართა უშენობა პანიკური
და დღეს, ბოლო შანსისთვის დანაზოგი სხეული,
ეკუთვნის სიზმრებს, რომელშიც მომსდევენ ხვლიკები
სისხლიანი სათვალით, ვშიშვლდები, ფიქრებს ვხუჭავ...
ყველამ დამასწრო... ის სიშიშვლე გამოკვლეული
სხვას ეკუთვნის. თურმე არ სებობს მარტივი ხრიკებიც.
ვდგამ ნაბიჯს. ვშლი ხელებს. მძღოლმა ისევ დაამუხრუჭა...
ჩემი სხეული მხოლოდ ჰაერს ეკუთვნის....

წვერის გაპარსვა

სარკესთან
საპარსი,
ქაფი
თუ
ოდეკოლონი,
ცდილობენ მოგარგონ ქალაქის ახალ თამასას,
ფიქრებზე უფრო საშიშია, დადე კალამი,
შენ პოეზია არ გეგონოს რაღაც თამაში.
შენი სხეულით იკვებება, ხშირად გაციებს,
არ დაგაძინებს, არ დაგითმობს მაინც ამ ღამეს
და დღემდე შენში დაგროვებულ ინფორმაციას
ხის თეთრ თოკებზე გამოფენს და გამოამჟღავნებს.
ხერხემალში ყავს ჩატნეული სული ნემსივით.
დგანან ოთახში თხელი მხრებით შიშის ლურსმნები.
თითქოს ფიქრებმა გადაისხეს ტანზე ბენზინი
და საფეთქლებზე ხტუნაობენ ცხელი ქუსლებით,
ალბათ ამიტომ ესპანელი, ფრანგი, განელი,
სიკვდილს ანდობენ მახვილ დაშნებს, ტყვიებს, ხანხარებს.
მე კი მინახავს მოწამლული კაცი გრანელით
გუბეში მთვარეს რომ ახრჩობს და მერე ხარხარებს.
ამიტომ ვამბობ: საშიშია, დადე კალამი!
ძალიან ცოტამ მოუძებნა სწორი ხერხი მას...
სარკეში ისე იყურება ოდეკოლონი,
თითქოს დგომისგან იტკიებდეს ისიც ხერხემალს.

მე შეიძლება

უშენო დღეთა იკვრება წრედი
და ეს დღეც ისევ უშენოდ მოდის
მე შეიძლება ჩიტებზე ვწერდე
მაგრამ შენ მაინც მიმიხვდე მოტივს
წვიმებით მკლავებს ცა უსვამს წერტილს
მთავრდება ფრთები, შორია ცამდე
და თუმცა ღმერთზე რა ცხადად ვწერდი
მე მხოლოდ შენი თვალების მწამდა
ხდებოდა ისეც, კარებთან წერტის
გვქონია კაცებს კამათი ვრცელი
და როცა უცნობ ქალებზე ვწერდი,
ფიქრები შენზე – ეს ბასრი ცელი,
კისერზე მედო. ჰაერი ხმელი
ფოთლების მსგავსად იწევდა ქვევით,
იჭერდა სული საკუთარ ხელით
უშენო სხეულს და ცეცხლის ქვები
– ფიქრები ჩემი, აჩენდნენ ხანძარს
სდიოდათ კვამლი ხან ქვების, ხან ხის
და შენით, როგორც თბილისის ანძით
კვლავ მოხიბლული რჩებოდა ხალხი.
ასეა ახლაც გრძელდება წრედი,
მიათრევს სხეულს ფიქრები ცამდე
მე შეიძლება ჩიტებზე ვწერდე
და მხოლოდ შენი თვალების მწამდეს.

გახსენება დავიწყებულს სჭირდება, ასეთები ყოველ წამს თვალწინ დგანან

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

ჩემი სხეულის მწარე ნაწილს, მიწა საბნად დაფარული ოცდაექვსი წლის შვილს, დათო მელიქიძეს

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა,
თაფლში ურევს მწარე ნაღველს მტრისას მისი გამოცანა“.

შენს შემდეგ რამე ვირწმუნო
ძნელია ფიქრის წარმართვა,
თუ კი მაშ ღმერთი არსებობს
შენი თავი რად წამართვა.

და თუ ესა ქნა სატანამ
აქ კითხვა მხოლოდ ერთია:
თუ ყოვლის მძლეობს სატანა
მაშ ღმერთი რაღა ღმერთია.

ცრაგიკულად განწირული შვილს დათოს

არარას ძალუძს რომ მომირჩინოს
დათუნა შენგან ნაიარევი,
დედამიწაზე შენს შემდეგ შვილო
ცოცხალმკვდარიღა დავიარები.
გულზე მარწუხებს მიჭერენ მწარეს
შენზე სატანჯველ ფიქრთა აყოლა,
როგორ შევძელი ჩემივე ფეხით
შენს წამრთმევ კუბოს უკან გაყოლა.
სიმწარისაგან და დარდისაგან
ყოველწამს ცრემლი უცრემლოდ მცვივა,
მიწის საბანში ჩემო დათუნა!
ნეტავი შვილო ხომ არა გცივა.
პატარაობას გკოცნიდი ხშირად
სახე, თვალებზე, ლამაზ თბილ შუბლზე,
ახლა მინდა რომ მოვთხარო მიწა,
და დაგეკონო გაყინულ გულზე.
არავისაგან შენს შემდეგ შვილო!
სიკეთეს უკვე აღარას ველი,
ერთ წამმა როგორ გიმსხვერპლა, უცებ
უცნობ ნაცნობთა თავად მფარველი.
ძრწოლვით შევცქერი ხელუხლებ საწოლს
ძრწოლვით შევცქერი შენს ლამაზ ოთახს,
ნაოჯახარი დაერქვა უკვე
უშენოდ შვილო ამ ლამაზ ოჯახს.
ვიცი რომ არ ღირს ასეთი ყოფა,
რომ ჩამიმწარდა გული, გონია,
აბა ასეთი სიცოცხლე რად ღირს
დანაშაული რომა მგონია.
ჩემი ტკივილი დაბლა მიწიდან,
მაღლა ზეცის თაღს მწარედ რომ ერთვის,
უფალო! ქვეყნის გამრიგე, ცრუო,
რად ჩამოიქეც უწყალოდ ჩემთვის.
ასე ლამაზი სამოსი შვილო!
ნეტავი რატომ მზით არ გაგიცვდა,
ყოველდღე გულით რომ ლოცულობდი,
უფალმა ამად რად არ დაგიცვა.
ეს კოშმარული ფიქრები ხშირი,
ერთი წამითაც რომ არა მტოვებს,
განსაკუთრებით იმ ღამის შემდეგ,
როცა პირველად მანდ რომ დაგტოვე.
ნეტავი მალე დაჩქარდებოდეს,
მოხდეს ეგება სამშვიდო ვინძლო,

ნატკენი გული დადუმდებოდეს
მწარე ტკივილი რომ ვეღარ ვიგრძნო.
ყველა საქმეში გვერდით მედექი
დაუზარებლად უმალ დგებოდი,
გული ხომ არას გიგრძნობდა შვილო!
ასე ჯიქურ რომ მიფრთხილდებოდი.
თუ კი ცხოვრება გიძღვნიდა ნუგბარს,
თუ არა, შენით არა სჩიოდი,
როგორა ვნანობ როცა სადარდოს,
პირველი შენ რომ შემოგჩიოდი.
შენი დაკარგვის მწარ რეალობას,
ჭკვით შეცდენამდის მივყავარ რამის,
შენზე ძლიერად ამ ქვეყანაზე
არ ვყვარებივარ არასდროს არვის.
იქნებ არცა ღირს ასე სათქმელად,
სიმწარისაგან რასაცა ვბედავ,
ჩვენ ორში შვილო, განსაცვიფრებლად,
სინამდვილეში შენ იყავ დედა.
ძმის და დის ნატვრა ხომ არ გამწარებს
ნეტავი, დარდი მათი ხომ არ გაქვს,
მიწის საბანი, ჩემო დათუნა!
ნეტავი შვილო მოკლე ხომარ გაქვს.
ლომის გული კვლავ შეგიტოკდება,
გადაგიზაფრავს უნდობი ელდა
თუ კი გაიგებ, რა კვნესით მხდება:
შვილო დათუნა! მოგიკვდეს დედა.
უშენოდ დათო ამ არსებობის,
ძნელია ზუსტად სიტყვით ასახვა,
ჩემი სამყარო მთლიანად უკვე
შენს სურათებთან ახლო დასახლდა.
დედაშვილობის უღელის ჯაჭვი,
ოცდაექვს წელს რომ ტკბილადა სწიე,
მილიარდ შვილსაც რომ არ შეეძლო
შენ რომ შვილობა ჩემთვის გასწიე.
ეს საზარელი მწარე სიმართლე
ერთი წამითაც კი არა მტოვებს,
ხახადაღებულ იმ ღრმა საფლავთან
დასამარხავად როგორ დაგტოვე.
გვიან დავრწმუნდი, რომ ვეღარ გნახავ,
დრო უკან რომ ვერ მიტრიალდება,
შენს ტანსაცმელს რომ ვუყურებ შვილო
გულში ხანჯალი მიტრიალდება.
დათო! შენ გწამდა უფლის ლოცვანი
ზვარაკს სწირავდი ყველა საწირავს,
სად იყო ღმერთი, როდესაც წამში
სიკვდილმა ასე მწარედ გაგწირა.
ნეტა სად გაქრა გაღიმებანი
ხოლო ცრემლები ოხრად რომ არი,
ახლა ჩვენ შორის საუბრის თემა;
მწარე გმინვა და ოხვრა რომ არი.
უფრო გულს მიწვავს ასეთი აზრი
თუმცა არაა უბნობა ახლის,
შენზე თქმულება იყავ – მოვლენა
ერთად რომ ამბობს ვინც გიცნობს – ხალხი.
ნავარჯიშევი, ტანადი მყავდი,
და ყველას აზრით დიდ ლომს რომ გევხარ,
აქ სარგებელი რა არის, ქვეყნად
დიდ მარმარილოს ძეგლად რომ დგეხარ.
გულზე მაწვება და წელში მდრეკავს
ეგ შენი მძიმე კუბოს ფიცარი,
დამნაშავე ვარ ბოლო წამს როცა
სიკვდილისაგან ვერ დაგიცავი.
ამ გემო მწარე აგონიაში,
ძნელია უკვე აზრთა წარმართვა,
ო, როგორა მძულს ის წამი შვილო!
შენი თავი რომ მუხთლად წამართვა.
როგორ გავუძლო ამ მძიმე განცდებს
რადგანაც ჩემთვის ყველაზე ზე ხარ,
რა სამართალი, რის სამართალი
მე ლოგინში, შენ მიწაში წევხარ.
ქვესკნელისა თუ ზეცის ძალებო!
ეს სასწაული როგორ მიყავით,
იქნებ იმად, რომ დათუნა შვილო!
დედამიწაზე ღმერთი იყავი.
ყველა ქარაგმებს იმედით ვხსნიდი
არ იყო ძალა, რამეს ვეცვალე,
როცა ჩემს ირგვლივ ბრუნავდა მიწა,
შენ სწორედ მაშინ გამომეცალე.
რა საწყენია ბოლო საწუთრო
ამ სატანჯველით უნდა ჩავთვალო,
ო... როგორ მინდა ეს რეალობა
ძილში ჩაყოლილ სიზმრად ჩავთვალო.
ამ ქვეყნის ზოგჯერ მძიმე განაჩენს
შენი იმედით უხმოდ ვიტანდი,
დედამიწას რომ ძირს ჩავეტანე
ვიცი იქიდან ამომიტანდი.
ახლა ბინდ-ბუნდად ჰაერში დავალ,
რადგან უშენოდ ვერა ვიწამე,
და უიმედოდ დავალ ამ ქვეყნად
ჩემთვის უსახურ დედამიწაზე.

ნანა გოგსაძეს
(დის შვილს)

ეუმბერ ლეჟავას

კრძალვით გიხსენებთ ვოიაჟს,
რაც მიგვატოვეთ ბატონო!
აქ დატოვებულ ლეგენდა,
ავტორიტეტის პატრონო!
თქვენი დიდება კვლავ გვმოძღვრავს,
ქართველს, თუმც დროა გასული,
ძირს დედამიწის დამლაშქრი
ზეცად უკვდავ ხარ ასული.
დიდ ველოსპორტის გენიავ,
გმოსავს გინესის პიარი,
ლეჟავას აკადემია
„ათინათ“ მბრწყინავი არი.

თვალწინ მიდგახარ ყოველ წამს,
და არ გიხსენებ სახვითა,
მთელ დედამიწას შვენოდი
ტანით, ფეხით და სახითა.
როდესაც მყავდი ნანიკო,
ჟამი ლამაზი რომ მედგა,
ვაი, ამ ყოფას, დღეს რომ ვართ
ან მე და ან შენი დედა.
ვერცერთი გშველით ცრემლებით,
ვერც დუმილით ან გარჯითა,
ის ზუსტად ვიცი, აღარ ღირს
სიცოცხლე ასეთ ტანჯვითა.



ბეჟან ხარაიშვილს

ვერ დააბუნდა უკუნით,
ვერავითარმა დრო ჟამმა,
ვერ დაივიწყა ქართულმა
ლექსად რომა თქვა ბეჟანმა.
სამშობლო ხატად გესვენა,
ღრმა სტრიქონსა თუ ფიქრებში,
რანგით კვარცხლბეკზე ზე მდგომი,
ქართველ პოეტთა რიგებში.
უკვდავება გხვდა წილხვედრად,
ახლა ვინ უნდა გიგანოს,
შენი ბიუსტი ამშვენებს
მშობლიურ სკოლის მიდამოს.
ახლა აღარ გაქვს სადარდი,
ჭალოვნის ჭალა-მდელოზე,
რადგან ლექსები ღაღადებს,
შენს სათქმელს საქართველოზე.



მეუფე თადეოზს

მეხერხება იმდენად
არც წერა და არც ხატვები,
დღესაც სათუთად ვინახავ,
თქვენ რომ მაჩუქეთ ხატები.
თქვენდამი პატივისცემას
ვერ გადაფარავს დროება,
მაშინაც მწამდით, კვლავ მწამხართ,
ვითარცა სარწმუნოება.

გელა სხირტლაძეს

(გულნაზ ხარაიშვილის ვაჟს)

რადგან ასეთი იყავი,
დღესაცა გნატრობს ყველა,
ვინ იცის, შენც გენატრება;
ცოლი, შვილი და დედა.
რატომ გაგწირა განგებამ,
რატომ გიმუხთლა მთლიანად,
სხვა გზა არ დარჩა შენს დედას,
შვილები დაგიფთიანა.
იქნება წვიმაც ეწოდოს
ცრემლებს შენდამი სახსოვრებს,
ისეთი წამი არ არის,
გელა! დედას არ ახსოვდე.

ლიტერატურული დუეტი

გურამ ჭავჭანიძე

ლამზირა შეყილაძე

ᲐᲠᲘᲚᲘ

აფეთქებულა თეთრად აპრილი,
მკერდგაღეღილი აკვირტებულა,
მზემონატრული, ზამთარს გაყრილი,
ზღვა სიყვარულად აზვირთებულა.
როგორ გელოდი, როგორ მინდოდი
და თუ გავწამდი უსიხარულოდ,
მაინც მჯეროდა, რომ მოხვიდოდი,
რომ ვერ გაძლებდი უსიყვარულოდ.
მოდი, დავიწყოთ ისევ თავიდან,
რადგან სიცოცხლეს ჯვარი სწერია,
ბევრი აპრილი ისე გავიდა,
რომ სიყვარულით არ მიმღერია.
ეს გაუმარჯოს შენს გაღიმებას,
როგორც განთიადს გაზაფხულისა,
ეს გაუმარჯოს აპრილის ვნებას,
როგორც ტკივილს და ტრფობას გულისა.
როგორ გნატრობდი, როგორ მინდოდი,
გელოდი ჩუმად, უსიხარულოდ,
მაინც მჯეროდა, რომ მოხვიდოდი,
ვერც შენ გაძლებდი უსიყვარულოდ.
მკერდგაღეღილი თეთრი აპრილი,
აკვირტებულა, ათქვირებულა,
მზედაკოცნილი, ცვარნამდაყრილი,
ლამაზის ცრემლად ატირებულა.
შენი ეშხია, მე რომ მამღერეს
და ეს ტრფიალი არ მინელდება,
რა დააბერებს გულს ანამღერებს,
ჩემი აპრილიც არ დაბერდება.
ისე ქათქათა პატარძალია,
ზამთრისთვის როგორ გამემეტება,
მისი ბრალია, მისი ბრალია,
თუ სიყვარულად დამებედება.

ᲐᲠᲘᲚᲘ

შენ, რა იცოდი... შენ, რა იცოდი...
რომ ძლიერ მიყვარს თეთრი აპრილი.
გულმღელვარებით, რომ დავდიოდი,
მეშორებოდა უცხო ნაპირი.
ვინ გაგიმხილა, ჩემი ტრფიალი,
რომ სუნთქვა მიყვარს გაზაფხულისა.
ვარდები მიყვარს ნამით ცვრიანი,
ასიმღერება მწველი გულისა.
არ შემიძლია... უცქირო აპრილს
და გული მქონდეს უსიხარულოდ.
არ შემიძლია სიცოცხლე ისე,
ისე უბრალოდ უსიყვარულოდ.
მზე კურთხეული იცისკრებს როცა,
მაშინ საგულეც ქარვისფერია.
ვისაც აპრილი უყვარს ჩემსავით.
მათ ალალ გრძნობას ჯვარი სწერია.
გულს ამაღელვარებს თეთრი აპრილი,
გადმოთანთქარებს შუქი მთვარიდან
როცა აპრილი გულ-მკერდს გადაშლის,
სიცოცხლეს ვიწყებ ისევ თავიდან.
როცა კვირტები აფეთქდებოდა,
როგორ მინდოდი როგორ მწყუროდი,
მაინც ჯიუტად მწამდა, მჯეროდა,
გზაჯვარედინთან შემომხვდებოდი.
თეთრმა აპრილმა შეგვყარა ერთ-ურთს
და სიშორისთვის არ მემეტები
თილისმასავით მიგიბნევ მკერდზე,
თუ სიყვარულად დამებედები.

ლამზირა შეყილაძე

გურამ ჭავჭანიძე

პატარა სიყვარული

შენ ის პატარა
სიხარული ხარ,
მაგ გულის სითბოს,
რომ გამახსენებს,
შენ ის პატარა
სიყვარული ხარ,
მე რომ არასდროს
არ მომასვენებს

თუ ჩემი ტრფობის
შენც მოგწვდა შუქი,
ჩემს თავს რაიმე
თუ გაგახსენებს,
მე ბედნიერი
ვიქნები თუკი,
ჩემი „აპრილი"
არ მოგასვენებს.

ურჩი ფიქრი ხარ

ჩემი ცხოვრების ურჩი ფიქრი ხარ,
რომელიც ვიცი არ მომასვენებს,
შენ ის თავნება გაზაფხული ხარ,
პირველ სიყვარულს რომ გამახსენებს.

როს მოადგება შენს სარკმელს შუქი,
იდუმალ ტრფიალს, რომ გაგახსენებს
გაგიამინდებ სიცოცხლეს თუ-კი...
ჩემზე ოცნება არ მოგასვენებს.

შენს ოცნებებში დამწვარ ჩაფერფლილს,
რა დამაძინებს, რა მომასვენებს
მე შენი ტრფობის ჟინით გაჟღენთილს,
შენი წყურვილი მკლავს და მახელებს.

ჩემი ცხოვრების ურჩი ფიქრი ხარ
რომელიც ვიცი არ მომასვენებს.
შენ ის თავნება გაზაფხული ხარ
აპრილის მოსვლას რომ გამახსენებს.

მინდა მიყვარდე

მინდა მიყვარდე, როგორც არავინ,
სულს მინათებდეს შენი მშვენება,
მინდა, შენს ჩრდილში ჩავდგა კარავი,
უშენოდ აღარ მომესვენება.

რომ სიყვარული, ვით მზე, თაკარა,
გულში ულევად სითბოს აქსოვდეს,
მთის წყაროსავით იყოს ანკარა
და არ გათავდეს არც არასოდეს.

სიავე ფიქრად არც გამივლია,
მხოლოდ ტრფობა მკლავს, არდანახული,
შენი ტუჩები უფრო ტკბილია,
ვიდრე ბადაგი კარდანახული.

თუ შემიყვარდი, როგორც არავინ,
შენი ხატება არ გამეცლება,
არ დამინგრიო ჩემი კარავი,
მე ხომ უშენოდ არ გამეძლება.

მინდა გიყვარდე

არ მყვარებია შენებრ არავინ,
მავსებს და მხიბლავს შენი მშვენება,
ნეტავ კუნძულზე გვედგას კარავი,
უშენოდ ამ გულს არ ესვენება.
სიყვარულის მზე გულს მწვავს თაკარა,
რომ შენი სითბო მარად მახსოვდეს
იყოს წრფელი და გულით ანკარა,
გულში სიცოცხლეს სხივებს მათოვდეს.
უშენოდ ვიცი არ გამეძლება,
უშენოდ ყოფნა მოჰგავს სატანჯველეს,
მე შენთან ყოფნა მასულდგმულებს და
მე შენი მზერა მწვავს და მახარებს.
შენა ხარ ჩემი სიცოხლის მაცნე,
გული სალხენად ამიხირდება.
ვიცი უჩემოდ შენც ვეღარ გაძლებ,
უერთმანეთოდ გაგვიჭირდება.
არ მყვარებია შენებრ არავინ,
შენს სიყვარულში დამთენებია.
რაც გამაჩნია ყველაფერს გფიცავ,
რომ შენებრ არვინ არ მყვარებია.

გურამ ჭავჭანიძე

რა მეშველება

რა მეშველება თუ შემიყვარდი,
ხომ აღარასდროს მომესვენება,
ყველა სიამე ია და ვარდი,
უშენოდ ტანჯვად მომეჩვენება.
დამხანძრავს მზეო შენი თვალები,
დამნაცრავს ტრფობის ცეცხლი ულევი,
ვერ დამაცხრობენ ნიაგარები,
ვერც ზღვის ტალღები ცად ასულები.
გამიქრებიან ცისარტყელები,
სულში სათუთად ჩახატულები,
დამიჭკბენიან მისაფერები
ვარდყვავილები, თვალხატულები.

აპრილის დილას

დაგიკრეფ იებს, ჩაგიწნავ თმაში,
დაგამშვენებენ როგორ,
აპრილის დილას ამ თეთრ კაბაში
რა ლამაზი ხარ, გოგო.
ვერ შეველიე აპრილის ვნებას,
გულს შენი ტრფობა მითბობს,
ვერ შეველიე შენს გაღიმებას,
შენი თვალების სითბოს.
მზის სხივებს შევკრებ, მოგართმევ კრძალვით,
ფერად ლალის და ქარვის,
სიყვარულს უბით ვატარებ მალვით,
არ გავუმჟღავნებ არვის.
ოღონდ მინატრე, სადაც იქნები,
დღით იყოს, თუნდა ღამით,
მაცნედ მომივლენ შენი ფიქრები,
არ დავახანებ წამით.
დავედევნები შენს ნატერფალებს,
ციმციმ გადვიწერ პირჯვარს,
ღმერთს შევავედრებ შენს ლამაზ თვალებს,
ვინც ტკივილამდე მიყვარს.
მოვალ და გეტყვი, გეტყვი ყველაფერს,
ჩემო ლხენავ და დარდო,
რომ სიკვდილშიაც შევცვლი ვერაფერს,
შენ მეყვარები მარტო.
მერე აღმართონ თუნდაც მახვილი,
თუნდაც დაეშვას ფარდა,
დაგტოვებ ხატად, ტრფობით დაღლილი,
უსასრულობის კართან.
ლურჯთვალა იებს ჩაგიწნავ თმაში,
დაგშვენდება და როგორ,
აპრილის დილას ამ თეთრ კაბაში
რა ლამაზი ხარ, გოგო.

ლამზირა შეყილაძე

რატომ დამიგე თვალებით მახე

შენ, მინეტარებ გულის ხვეულებს,
გული სიამით დაიკოცნება
ჩემდა სალხინოდ შემესხეულე,
შენ მისულდგმულებ ჩემს ტკბილ ოცნებას.
ხარ მოარული მწველი ფიქრივით,
მოუხელთებელ, დაუპყრობელი
სულში მადნები წმინდა ფიფქივით,
ცის მნათობივით მიუწვდომელი.
რად მენატრები, ან რად მწვავს ასე,
შენი თვალების ელვარა შუქი.
შენზე ოცნებით რადა ვარ სავსე,
ჩემს დასაფერფლად მოხვედი თუ-კი.
რატომ დამიგე თვალებით მახე
რად გავხდი შენი თვალების მსხვერპლი
რად შემაჟრჟოლა როდესაც გნახე,
მუდამ რად გეძებ, ან რატომ გეტრფი.
ო... როგორ მინდა ნეტავ იცოდე,
ტკბილ ბადაგივით მომებადაგო.
მე, მირჩევნია შენს მკლავზე მოვკვდე,
ვიდრე ლოდინის ცეცხლმა დამდაგოს.

რომ სიმარტოვე გამიამინდო

ცის მნათობს ელის ხეთა კვირტები,
სულში აპრილი ამობრწყინდება
უტკბილეს ფიქრით ამოდ გიჭვრეტდი,
შენზე ოცნება არ მომწყინდება.
სიცოცხლე მიხმობს ატმის რტოებში,
სული საფრენად ამიხირდება.
თუ... მიმატოვებ სიმარტოვეში,
უშენოდ ფრენა გამიჭირდება.
გადაყვავილდა მთა, ბილიკები,
აპრილით სავსე არის გზა-შარა
ვნებით აფეთქდა ცხელი კვირტები
და სიხარულმაც ფრთები გაშალა.
შენს სახელს დრონი ვერ დამავიწყებს,
მზისებრ მაქვს გულში ამოქარგული
აპრილის დილა ისე წმინდაა,
ვით გაზაფხულის ტურფა ასული.
იცის აპრილმა, რომ ძლიერ მიყვარს,
და გაზაფხულიც მოდის ამიტომ
შენც აპრილივით შემომენთები
რომ სიმარტოვე გამიამინდო.

გურამ ჭავჭანიძე

არ დაიჯერო

როგორ მიყვარხარ იცოდე ნეტავ,
როგორ მათრობენ შენი თვალები,
შენ შორს ხარ, მაგრამ მე მაინც გხედავ,
არ დაიჯერო, რომ მემალები.
მე შენი სუნთქვაც სულ ახლოს მესმის,
და ეს ხილვები ისე მაწვალებს,
რომ ჩემს ხატებას, საკინძე შეხსნილს,
შორით გიკოცნი მაგ ლამაზ თვალებს.
დე აიწყვიტონ ავმა ქარებმა,
მაინც ვიმღერებ რაც მიმღერია,
თუნდაც დამსეტყვონ ნიაგარებმა,
შენი ტრფიალი რომ მიწერია.
ვერ დავთმო შენი წამწამთა ჩერო,
ვერც გიშრის ტბა და კოკობ-ვარდები,
რომ არ მიყვარდე არ დაიჯერო,
რომ არ მიყვარდე, შემიყვარდები.
ვიდრე შენი მზე სულს მილამაზებს,
რას დამაკლებენ ავი ქარები,
არ დაიჯერო, მთელ ქვეყანაზე
ასე, არავის არ ეყვარები!

რა დავუშავე

რა დავუშავე შენს ლამაზ თვალებს,
ასე უღმერთოდ რომ გამაწვალეს,
ან რად ვერა ვთმობ იმ ათინათებს,
გულს რომ მიკლავს და სულს რომ მინათებს.
ნეტავი სადმე, ნეტავი ოდეს,
შენი მთრთოლვარე გული მელოდეს,
დაგიკოცნიდი მაგ ლამაზ თვალებს,
ასე უღმერთოდ რომ გამაწვალეს.
დავთმობდი ყველა ციხე-გალავანს,
ოქრო და ვერცხლით სავსე ქარავანს,
შეველეოდი ვარსკვლავთ მირიადს,
ყველა ალმასს და ყველა ბრილიანტს.
ოღონდ კი სადმე, ოღონდ კი ოდეს,
შენი უზადო თრთოლვა მელოდეს.
ნეტავ შენს ჩრდილში მედგას კარავი,
არ შემეცილოს ნეტავ არავინ
შენს ღიმილსა და შენს სიხარულში,
შენს ტკივილსა და შენს სიყვარულში.
ოღონდ მინატრე, ჩუმად მინატრე,
სულის ლხენავ და თვალის სინათლევ,
ოღონდ მითხარი, რატომ მაწვალებს,
რა დავუშავე შენს ლამაზ თვალებს.

ლამზირა შეყილაძე

სიყვარულის ღმერთენა

შენზე ფიქრმა გადამრია,
გულში მინთებ ცეცხლის ალებს
ცხად-სიზმარი ამერია,
უშენობა მაფერკმრთალებს.
ოცნებები გამიცოცხლე,
ავედევნე გრძნეულ მითებს
შენ, ის მზე ხარ, ის სიცოცხე
გულში უქრობ ცეცხლს ვინც მინთებს.
აღარ მყოფნის ლურჯი ზეცა,
თავბრუ ისე დამახვიე.
შენზე ფიქრი დამებედა,
ტრფობის ალში გამახვიე.
ჟრუანტელად მივლის ტანში,
სიყვარულის ურჩი ვნება
ისე ვიწვი ტრფობის ალში,
სიკვდილშიაც არ ჩაქრება.
შენ, ხარ ჩემი გულთა მპყრობი,
მზისებრ მწველი ანაფერი.
მხოლოდ ჩემად გიგულვო და
სხვა არ მინდა არაფერი.

შენი ნეკნია

გულს რომ მედება ცეცხლის ალებად,
მარადიული ზეცის ცეცხლია
ვიცი, რომ ვერსად დაგემალები,
ქალის ტრფიალი ვაჟკაცთ ხვედრია.
შენ, რომ გხიბლავს და მოგინადირებს,
ეგ, ჩემი შარმის ანარეკლია.
ჯიგარს, გიწვავს და უფრო გახელებს,
მონაშიშხლარი შენი ნეკნია.
გადამივლიან გულზე ალები,
მარად მთუთქავი, მწველი ცეცხლები
ხარ ღვთაებრივი გამონათება,
ჩემს სულში ისე დაეცეცები.
ჯიუტად მჯერა, რომ მოხვალ ჩემთან,
საითაც წახვალ ეგ სულ ერთია...
ვითარცა შავი, თეთრ არაგვს ერთვის,
ჩვენი სულებიც ერთ-ურთს ერთვიან.
მწამს, რომ ვერ დამთმობ, ვერ შემელევი,
ჩვენ რაც გვაერთებს ზეცის ცეცხლია
მით უფრო მეტად გამიფრთხილდები,
რადგანაც ჩემში შენი ნეკნია.

ანზორ ჯაფარიძე

გულნაზი დედიკოს

ვინა თქვა ნეტავი ვინა თქვა,
რქმეოდა სახელი ღვთიური.
სურვილი გამიჩნდა ამოვთქვა,
გავავსო ლექსებით დღიური.
გულნაზი ნათლობის სახელი,
მართლაც ნაზია და თბილია,
სუყველა დედიკოს ვუწოდებთ,
რადგან დედასავით ტკბილია.
არავინ მინახავს ნამდვილად,
ქალი და ასეთი ჭკვიანი,
ხანდახან ბრაზდება ადვილად,
გულს არ მიაყენოს ზიანი.
მის გულში სუყველა ვეტევით,
შვილები დიდი და პატარა,
მტრებთანაც გადადის შეტევით,
არ ააქვს მათი ატანა.
ხან გვკიცხავს, სიბრაზეც უხდება,
ვუსმენთ, ვით თოთო ბავშვები,
გვფარველობს, გკვიცხავს და წუხდება,
არ არის ჩვენი საშველი.
მამაკაცებმა თვალები,
დახუჭეთ ქალს აღარ გახედოთ.
გვპასუხობს, ქალით გაქვთ ვალები
სწორდით? ისე ვით სამხედრო,
რადგანაც დედაა ვერა გრძნობს,
ცელქობას მოხუცებს რად გვიშლის –
დედიკომ ასე თუ განაგრძო,
დავიწყებთ უვადო შიმშილს!

პასუხი ჯაფარიძეს
(ხუმრობით)

გულნაზ ხარაიშვილი

თბილი სიტყვებით შემამკე,
როგორც ნამდვილ შვილს ჩვევია,
თავიდან მართლაც შემაქე,
ბოლოს თქვი განაჩენია.
ო, რა ძალიან ვიღლები,
რადგან კვლავ უნდა გაგზარდო.
სახეს დაგწინწკნო ღინღლები,
რომ მერე აღარ ვიდარდო.
ჩემთან მოხვედი ზრდასრული,
დიპლომითა და სიგელით,
ლამაზი გქონდა წარსულიც,
ახლა გსურს ჭამა დინდგელის.
შეგხედე, მართლაც გშვენოდა,
კაცურ-კაცობის იერი...
ჭაღარაც შემოგრფქვეოდა,
რადგან იყავი ხნიერი.
რა პრეტენზიებს მიყენებთ,
რა გნებავთ ჩემო შვილებო,
სანამ ვარ გამომიყენეთ,
თქვე კარგო მამიშვილებო.
ზოგ ქალბატონებს ანზორი,
ვურჩევ მონახონ აფრასო.
არ არის უკვე პაზორი
კაცებს წვერები დაპარსონ.
ეს საცოდავი ქალები,
ყორეებს ეხეტებიან...
რადგან კაცებს აქვთ ვალები,
ზანგებსაც ეტანებიან.
აჯაბსანდალი რად გინდათ,
აწყმოც ინდომეთ წარსულიც,
უცხომ თვალები დაგვბინდათ,
სულს ჩაგხვევიათ ავსული.
სხვის შვილებს შვილად შეხედეთ,
შვილიშვილებსაც შვილივით.
არასდროს აღარ ამხედრდეთ
არ მომწყდეთ კაბის ღილივით.
მეკი შვილებად მიგიღეთ,
ჩემზე უფროსიც პატარაც...
რაც გითხრათ, ისე მიიღეთ,
შემოგეფრქვევით ფანტანად.
სიყვარულს მუდამ პატივს ვცემ,
ჩუმად რომ აღუღუნდება,
ლექსით სამოსელს ჩავაცმევ,
იფრინონ წყვილ-წყვილ გუნდებად,
ზომიერების ფარგლებში,
წადით და ფრთები გაშალეთ,
იარეთ ღამით ჭადრებში,
მხოლოდ არასდროს აშარდეთ,
როს ჩემთან მოხვალთ გახსოვდეთ:
უნდა იმსჯელოთ საქმისთვის,
არასდროს უნდა მასხრობდეთ,
არსად გარბოდეთ ჭამისთვის.
რომც დაიხოცოთ შიმშილით,
ბეჭებზე თაფლიც წაისვით,
მაინც არასდროს გიშველით
თავზე არასდროს დაგისვამთ.
აკადემია არ არის,
გართობის ცენტრი, სავაჭრო,
ასაკს არ შვენის ნარნარი,
სჯობს ყველა ერთად დამაჭრდნონ.
როდესაც კარავს გაიშლით,
უვადო შიმშილს განაგრძობთ.
დასაშლელს მაინც დაგიშლით,
ყველა კბილს ერთად დაგაძრობთ.
რას ვითხოვ, თქვენი არ მინდა,
არც იები და ვარდები,
ცრემლი ისედაც დამდინდა,
არავის არ გედარდებით.
რად დაგავიწყდათ ქალი ვარ
ფაქიზი სულით მოსილი.
განა მე მართლა დალი ვარ
წყლის ღმერთებიდან მოსული?
ერთხელ მეც მკითხეთ – რა მიჭირს?
თუკი გწყინთ, დედას დამითმოთ,
ჩემს გულს პურივით დაგიჭრით
და ბებერ ხელებს გაგითბობთ.
ჩემგან გჯეროდეთ დაგლოცავთ,
სიცოცხლე ძლივსღა წიკწიკებს.
მეც შეგავედრებთ სალოცავს,
გაგიფრთხილდებით წიწილებს.

სერგი ლომაძე

რაინდი მთაში

პოემა

(მირაჟიზმული სურათი)

ყველანი
ნისლის ქალაქში ვცხოვრობთ,
ვცხოვრობთ ნისლების
არარსებულ ქვეყანაში და,
ზოგი ამჩნევს ამას,
ხოლო ზოგი ვერ ამჩნევს.
(ასეთი არის რეალობა).
იშვიათნი არიან კაცნი –
ამ არარსებულს იქით გასულნი...
გადალახა ზღვარი აპნისმა,
სულ სხვა სივრცენი იხილა და
გაჰყვა სივრცეებს.
ახალგაზრდაა, ახლა, აპნისი,
სიმპათიური, ვაჟკაცური,
მზერაში
ცანი, მზენი უცინის.
მისდევს, ის, ველებს უნისლებოს,
რომელთა იქით
ჰორიზონტია
წითელი მზით უხვად ავსილი.
– „არის აისი," – ფიქრობს აპნისი, –
მზე უფრო კარგად
რომ ამოვა,
ჩემი ცხენი
სადმე მიმიყვანს..."
ხელმარჯვნივ რუხი კლდეებია,
მთა-კლდეებია,
არწივები ცხოვრობენ იქა.
თოვლის ლაქებით დადაღულა
სიმაღლეთა პეიზაჟები.
დიდი არწივი ლივლივებს ცაში.
ვერვინ უხამსობს –
ვერა ჩიტი ბედავს ახლა
ზეწამოფრენას.
ზეცა...
ზეცა არწივის არის.
მზემ აიწია,
და ფრინველთა მეფე
მასაც ემეტოქება...
ხოლო აპნისი,
ლეგა ცხენზე ამხედრებული,
მიუყვება უსასრულობას,
ვით რაინდი მარადისად მოხეტიალე.
იგი ძალინ ახალგაზრდაა,
და უხარია –
ასე მალე რომ გასცდა
საზღვარს...
შუადღისას გორას მიაგნო,
ციხესიმაგრე იყო რომელზეც.
გზა ადიოდა, გაცვეთილი
ცხენთა ნალისგან –
ფლოქვ-ნალებს კარგად ჩაეჩეჩქვა
ქვაფენილი და,
აპნისი აუყვა
ამ „გაკაფულ" გზას.
გაიჭრიალა კარიბჭემ გალავნისამ.
შემოეგებნენ დიდის ამბით.
ფერადად ეცვა იმა ხალხსა.
მუსიკალობდნენ,
ზეიმობდნენ რამ დღესასწაულს.
შეიპატიჟეს, მათ, აპნისი,
გალავანსშიგნით, დიდ მოედანზე.
იყო ცეკვები, სიმღერები,
იყო მრავალი მაგიდა და
საჭმელ-სასმელი.
– „რასა ზეიმობთ?" –
იკითხავს აპნისი.
– „სიკვდილს," –
იცინის მსუქანი მეფე,
უზარმაზარი წვერ-ულვაში,
მუქი შავი,
ღვინითა აქვს დასველებული.
– „უცნაურია.
სიცოცხლით სავსე ხალხი
ჩანხართ და..." –
აპნისი თვალებს გადაავლებს
ირგვლივეთს, იქ კი,
ხალხს შორის, მოსჩანს
არაერთი ლამაზი ქალი,
და ბავშვებიც, – ამ მასაში
მარგალიტებად მიმოფენილნი.
– „უცნაურია," – კიდევ ერთხელ
ამბობს აპნისი.
– „მაშ რას გვთავაზობ?" –
იტყვის მეფე, თან
გადახედავს ნაზირ-ვეზირებს. –
„სიცოცხლე უნდა ვიზეიმოთ?"
და ეჩვენება აპნისს,
თითქოს
გაორდა მის წინ სახეები,
გაათდა მის წინ სახეები,
და იცინიან, იცინიან, –

ხარხარი აღარ ჩერდება და,
ექოები, ტვინის მთებში,
ელვებად დადის.
მერე დაიწყო დაბნელება.
სწრაფად დაღამდა.
მზე ჩაიწურა, ჩაიწრიტა, –
შეიწოვა, თითქოს, ცის წყალმა.
ცის წყალი, უცებ,
შავი გახდა, მზედანაკარგი.
ელვისებურად
შეიცვალა, მერე, ყოველი,
უსწრაფესადა,
და გადაიქცნენ ურჩხულებად, –
ადამიან-ურჩხულებად,
ირგვლივ მყოფელნი:
მეფეც, თავისი გარემოცვით,
და მთელი ხალხიც,
ამ მშვენიერი ქალებითურთ,
ამ მშვენიერი ბავშვებითურთ.
და აპნისი, დაღონებული,
უყურებს, ირგვლივ, ყოველივეს,
სიბნელეში ძნელად არჩევს,
ამ მრისხანე მასპინძლებსა,
კაცი-სტუმარი.
– „ნუთუ ვერ გავცდი
ნისლთა სამყაროს!“ –
ფიქრობს, აპნისი, გულგატეხით. –
„მე მიყვარს ნისლნი,
მაგრამ ეს არა, –
ეს ნისლები
სულ სხვა რამეა“...
– „მაშ
სიკვდილი არ ვიზეიმოთ?!“
ეუბნება, ამას, მეფე,
საზარელი ხმით.
– „ვიზეიმოთ, რა გაეწყობა“...
იტყვის აპნისი და
ქარქაშიდან ხმალს ამოიღებს.
ხმალმა სინათლე აირეკლა
აპნისის თვალთა,
და შედარებით გამკაფიოვდა
ირგვლივეთი.
მზერა აანთეს ურჩხულებმაც, –
ბრაზი მოაწვათ,
კაცში რომ შიში ვერ იხილეს.
თუმც უშიშრობამ, აპნისურმა,
მცირე ხნით მაინც შეაყოვნა
მძვინვარებამორეული ბრბო.
მერე კი...
მერე თავს დაესხნენ
კენტსა მეომარს...
ვინ იფიქრებდა მას,
რაც მოხდა:
განთიადამდე ჩეხდა, აპნისი,
შემოსეულ ბრბოს!..
ამოისვარა, სულ,
მათ სისხლში.
ის დაიღალა, გაითანგა.
განთიადისას
დამარცხების დაუდგა ჟამი.
– „ნელა ამოდის მზე, საოცარი,“ –
ფიქრობს აპნისი, –
„რა კარგია,
რარიგ კარგია,
რომ ვიღუპები აისისას,
რომ მზემ მომისწრო!..
დიახ, სხივებში მსურს
სიკვდილი...
ხმალი დააგდო...
აპნის აღივსო სხივთა ძალით,
ზეცისა ძალით,
და იდგა ასე.
და ვერავინ მიეკარა
მანათობელ კაცს!..
მერე კი
ნელა აიღო ხმალი,
მონახა მისი ლეგა ცხენი,
და მიატოვა ციხე-სიმაგრე...
მერე ის იყო, – ციხე სიმაგრეს
საზარელი ცეცხლი მოედო.
დაიქცა იქა ყოველივე,
ჩამოიქცა დიდი კედლებიც...
ხოლო აპნისი მიდიოდა,
წინ მიდიოდა იქ,
სადაც მზეა, –
იქნებ მზის გულის ხეივანში
შესვლა სურდა მას...

P. S. ჩემი პოემები, – „უსაზღვროება“ (2017), „რაინდი მზეში“ (2017) და „ფოთოლცვენანი“ (2018) ქმნიან ჩემსავე მეხუთე სუპერტრილოგიას. საბოლოო ჯამში, ეს ძალიან ვრცელი ტრილოგია გამოვიდა, როგორც სამყარო...

საბავშვო განყოფილება

„მეზღაპრე“ ლალი კახიძე

გოგონა და ძაღლი

„ზღაპარი“

ზღაპარ იყო ზღაპარ იყო, ერთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი გოგონა სახელად კამელა. კამელა ძალიან გამოირჩეოდა თავისი თანატოლებისგან. 15 წლის გოგონამ იცოდა რამოდენიმე უცხო ენა. სახელიც ხედავთ როგორი უცხო აქვს „კამელა“. ქერათმიან, ცისფერთვალება გოგონას ძაღლი ჰყავდა: პატარა, თეთრი, შავი ლაქები ჰქონდა ყურებსა და კუდზე. ძაღლიც განსხვავებული იყო გოგონასავით. კამელა სადაც დადიოდა ძაღლიც თან დაჰყვებოდა.

სკოლაში გამოსაშვები დამამთავრებელი გამოცდების დროს, ძაღლი ხან კარებთან იყო, ხან ფანჯარასთან. ძაღლს კოკა ერქვა. კამელამ წარმატებულად დაამთავრა სკოლა. გადაწყვიტა ექიმი გამხდარიყო, კოკა ინსტიტუტის გამოცდებზეც გაყვა, მოკლედ სადაც კოკა იყო, იქ წარმატება იყო...

როდესაც გამოცდები დასრულდა, კამელა სოფელში გაემგზავრა თავის კოკასთან ერთად, რათა საყვარელი ბებია მოენახულებინა. ბებიამ გაიხარა შვილიშვილი რომ ესტუმრა, დილით კი სოფლის გოგო-ბიჭები თავს დაადგნენ კამელას და ტყეში სოკოს საკრეფად წავიდნენ.

სიცილ-კისკისი მოედო ტყეს. ახალგაზრდებმა ჟრიამული, სიხარული შეიტანეს ტყეში. კოკა არ წაიყვანა ბებოს დაუტოვა არ დამეკარგოს ტყეშიო...

კოკა ნამდვილად არ დაიკარგებოდა, მაგრამ კამელა კი დაიკარგა, ჩამორჩა მეგობრებს. გზად მელაკუდა შეხვდა დიდი შლიაპით, ისე მოიხიბლა, რომ მეგობრები სულ დაავიწყდა, მელაკუდას ჩაეცინა და მიხვდა, რომ გოგონა დაიკარგა.

– გოგონა მალე ჩამობნელდება და წამოდი ჩემთან ღამე გაათენე, დილით კი ერთად ვეძებოთ ტყიდან გასასვლელი გზა.

– კარგი მელაკუდა, მადლობელი ვარ შენი სიკეთისთვის. მართლაც მელაკუდას ქოხი იქვე ახლოს ყოფილა, სუფთა და კრიალა, ჩაიზე დაპატიჟა კამელა, შემდეგ საწოლიც გაუმზადა და ტკბილი სიმზრები უსურვა. კამელამ სიზმარი ნახა: კოკა ოთახში კედლებს აწყდებოდა, ყეფდა, ტიროდა კამელას ეძებდა, გამოვარდა სახლიდან ყმუილით და ტყეში შევარდა. გათენდა დილა. მელაკუდას საუზმე გაუმზადებია, თვალები გაახილა თუ არა რას ხედავს, ფანჯარასთან დგას კოკა, თათებით აკაკუნებს ფანჯარაზე, თან სიხარულისგან ტირის. კამელა წამოხტა ფეხზე კარი გააღო და გულში ჩაიხუტა კოკა. მელაკუდას დიდი მადლობა გადაუხადა და სოფლის გზას ერთად გაუდგნენ გოგონა და ძაღლი. – ამით ჩემო პატარებო ის უნდა ვთქვა, რომ კეთილშობილი ადამიანი მტერსაც ებრალება.

მეგობრობა

„ზღაპარი"

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო და ... იყო, არის და მუდამ იქნება: ტკბილი, თბილი ქალაქი, რომელსაც ქვია „თბილისი" ის ჩვენი ქალაქია ყველა ჩვენგანისაა: მაკასი, თათიასი, თამუნასი, ნანასი, თიკოსი, ლეილასი, თამთასი, ზეინაბის, ნუკასი, რაზისი, გიორგისი, ნუგოსი, გუბასი, მახოსი, მუშკასი. ჩვენ ყველას გვიყვარს ჩვენი თბილი ქალაქი და ამ ქალაქში ცხოვრობს ვინ? ჩვენი „მეზღაპრე", რომელიც გვახალისებს, გვართობს თავის ზღაპრებით.

ცხოვრება ძალიან საინტერესოა თავის მოულოდნელობებით, თავის ელემენტებით, თავის დანამატებით კატასტროფებით და ...

ჩვენი მეზღაპრის ოჯახშიც შემოაბიჯა ავადმყოფობამ. მოწიწებით კარზე დააკაკუნა კარიც ფართოდ გაუხსნა ცხოვრებამ მობრძანდითო და მეზღაპრეც ავად გახდა, რომელიც გვეგონა ძლიერი კლდესავით და ... მის თვალებში შიშმა დაისადგურა. ყველაფერი აირ-დაირია. ძალიან შეწუხდნენ მისი მეგობრები მტრედები, რომელსაც ის 10 წელია ყოველ დილით აპირებს, ისე დაასუქა ძლივს დადიან. დილით, რომ მოფრინდებიან საკვების მისაღებად ადრე ჟრიამული გაუდიოდათ. ეხლა ძალიან ჩუმი ჟღურტულიც კი არ ისმის და არც გალობა ისმის ჩიტებისა. ჯარისკაცებივით ჩამწკრივდებიან და ელოდებიან როდის გახსნის კარს მეზღაპრე და საკვებს მიაწვდის. მიუხედავად იმისა მეზღაპრე ავად არის წევს, მაინც დგება და ივიწყებს თავის მეგობრებს, დილა მშვიდობისას უსურვებს, ასე ეფერება ყოველ დილას, არა აქვს მნიშვნელობა დარია თუ ავდარია დღეს არ ჩაუგდებს. დიდ აივანზე მოუბნევს საკვებს და თავის მეგობრებს შესძახებს: უფალმა შეგარგოთ. აი, მაშინ უნდა ნახოთ რა სანახაობაა, რამხელა სიხარულია მათთვის და რა გუგუნია, – აი ეს არის მეგობრობა ზრუნვა სიყვარული ურთიერთობა. ეს არ დავივიწყოთ ჩვენმა ერმა და ყველაფერი კარგად იქნება. მეზღაპრის აივანი, სადაც ყოველ დილით 50 მტრედი იკვებება გადმოსცქერის დიდი ლეღვის ხე უზარმაზარი ტოტებით, ტოტებზე შემოსკუპებულა ულამაზესი ფუმფულა მელია და აკვირდება როგორ მიირთმევენ მტრედები, მეც მინდა მყავდეს ასეთი მეგობრები, წავალ ეხლა ტყეში და მოუყვები ამ ამბავს, შევკრებ ტყის ბინადარს, დიდ სამეგობროს შევქმნით ჩვენ ერთად.

ძალა ერთობაშია – ისე გარბოდა მელია კუდაგრძელია უკან არც კი მოუხედავს.

ყველამ უნდა გავითავისოთ, ყველამ უნდა მოვინდომოთ მეგობარი არ დავკარგოთ, პირიქით შევიძინოთ, შევიმატოთ, გავუხსნათ გულის კარი ერთმანეთს, არ გავებუტოთ არ ვიქილიკოთ. ერთი რომ შესძახებს სხვაზე ცუდს ჩვენ შევაჩეროთ კი არ ავყვეთ. არ იცნობ ადამიანს და ლანძღავ ეს დაუშვებელია თუ რამ ეარ მოგწონს ერთმანეთის შეუსწოროთ ტკბილად თბილად გამოვასწოროთ და მაშინ ჩვენ ძალიან ბევრი მეგობარი გაგვიჩნდება – ეს დიდი ბედნიერებაა მე ყოველთვის ვამბობ: შოკოლადი გვაბედნიერებს – მეგობრებიც შოკოლადებივით უნდა გვიყვარდეს – აბა მარტო კაცი ჭამაშიც კი ცოდოა – ეს ჩვენი წინაპრების შეძახილია და ამიტომ ხელი ხელს ჩავკიდოთ და ვიყოთ ბედნიერები.

ჩვენს მეზღაპრეს კი გამოჯამრთელება ვუსურვოთ დიდხანს სიცოცხლე და ბევრი მეგობრები.

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

ამბავი იმის შესახებ, თუ მანასის ნათესავს კოზკამანს როგორ სურდა მისი მოწამვლა

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3, 4, 5, 6 ტომსა და ჟურნალი
„ათინათის“ №№ 18-27 ნომრებში

ჰეი, სიმებს თქვენთვის ვაწყობ,
განა ენა დამეღალა,
დღეს გიამბობთ, რა ისურვა,
იმ ვერაგმა ესენხნმა,
დაიბარა სატრაპები,
უთხრა ყური დამიგდეთო,
მანასს ხელს ვინც გაუმართავთ
გაჩენის დღეს ვანანებო,
და წყალობის ნაცვლად მის ცოლს
თვალებს დასწვავს ცრემლი მლაშე,
მაგრამ მას, ვინც მანასს მოკლავს,
ერთ სახანოს ვუფეშქაშებ.
როცა ალოოკე ხანმა
ყირგიზები გააძევა,
სამშობლოში დარჩა მხოლოდ
უსენბაი გაიძვერა.
დედით, მამით ყირგიზი და
ოროზდუს შთამომავალი,
მტრების თვალის ასახვევად
მან შეირქვა კოზკამანი.
წამოიწყო დამპყრობლებთან
ერთგულების თამაშია,
რომ არავის არ გაეგო,
ვინ არის და რა ჯიშია.
შეუთვალა ესენს-ბოროტს,
„მე დავუგებ მანასს მახეს,
შვილთან ერთად ტალასს წავალ,
მივადგები სრა-სასახლეს.
მანასს წერილი მისწერა: —
ჩვენი ხალხის საფიცარო,
როგორ მინდა შენი ხილვით
ერთხელ მაინც გავიხარო,
არც კი იცი, მტრების ხელში
კაცის ყოფა რა ძნელია,
ყირგიზების სიყვარული.
ტანჯულს გულზე მაწერია.
დააღონა ერ-მანასი
ცბიერმა და გაიძვერამ
კოზკამანის მონაჩმახი
ყველა სიტყვა დაიჯერა.
გოლიათმა მოღალატეს
ძმურად გაუმართა ხელი.
თავის გვერდით დაასახლა,
უხვად მისცა საქონელი.
ქალს მეტი აქვს წინათგრძნობა,
ქალი მაინც არის ქალი,
მანასის ცოლს, კანიკეის
არ სჯეროდა კოზკამანის.
ერთხელ როცა სხვაგან იყო
ერ-მანასის მთელი რაზმი,
კოზკამანმა გმირთა-გმირი
მიიწვია თავის სახლში.
უსენის ძემ, კოკჩეკოზმამ
არყით შეუვსო ხის თასი,
უთხრა: — მანას, ჩვენ ყირგიზებს
არ გვყოლია შენი მსგავსი,
ჩვენი ხალხის წინამძღოლო,
კარგად ვიცით შენი ფასი,
შენთვის დავცლი ამ ფიალას
გაგელიოს წელი ასი.
შენი ლხენა, გამარჯვება,
ერ-მანასო, სხვა რა მინდა?
შენი ხილვა, შენი ძმობა,
ვფიცავ, ჩემთვის არის წმინდა;
ეს არაყი მე მოგართვი
შორეული ჩინეთიდან.
ღმერთმა მოგცეს დღეგრძელობა,
ვიყოთ ასე ძმურად, ერთად“.
კოკჩეკოზმამ მანასს თასში
საწამლავი ჩაუწვეთა.

„ნეტავ, თვალთ რად დამიბნელდა?
რატომ მიცემს ასე გული?
ნუთუ სხვის კარს მომდგომია,
ამ ცხოვრების დასასრული?
რა იქნება, კიდევ ერთხელ
ძმობილები დამანახა.
ალმანბეტო, ერ-სირგაკო,
ან შენ, ჩუბაკ, ნეტავ სად ხარ?
ისე გაქრა ეს ცხოვრება,
ვერ გავიგე ვინ ვარ, რა ვარ,
ნუთუ ვეღარ ვნახავ ცოლებს
საიქიოს ისე წავალ?
წუთისოფლის ლურჯო ჩიტო,
როგორ მალე გამიფრინდი“.
ასე ფიქრობს ერ-მანასი,
დასწოლია თვალზე ბინდი,
ვეღარ ითმენს, ცქმუტავს, შფოთავს
ნაძირალა კოზკამანი,
ელოდება გმირის სიკვდილს,
ჩქარა რომ მოკვეთოს თავი.
ჯიგიტმა აკაიარმა
მანასის რაშს ჰკიდა თვალი,
სიმწრით მიწას უშენს ფლოქვებს,
მხედარი კი არსად არის.
მანასის თავს რაღაც ცუდი
ამბავია, მიხვდა იმ წამს,
სან-სარაიში გაქანდა,
ფეხსაც არ აკარებს მიწას.
შეუძახა მანასის ცოლს,
ტირილით და ვაი-ვიშით
მგონი, მოკლეს ჩვენი ხანი,
ამომგლიჯეთ ენა პირში,
ავი ამბის მოსატანად
მე, უბედო, რატომ ვიშვი.
შეიკრიბა ხალხი უცებ,
წინ მიუძღვის ხანის ცოლი,
ნახეს გდია ერ-მანასი
თავზე ადგას, როგორც ქორი
მოელვარე ხმალით ხელში
კოკჩეკოზმა ავაზაკი,
კანიკეიმ ცული დასცა,
ხელი მოსჭრა ერთი დაკვრით
ამოხოცეს, ამოწყვიტეს
კოზკამანის ჯალაბობა,
სისხლი სისხლით იბანება,
მტრობას მუდამ მოსდევს მტრობა.
აღარ ერგო მოღალატეს
ოქრო-ვერცხლი, დიბა-ფარჩა,
კოზკამანის იურტიდან
ნაცარი და ფერფლი დარჩა.
კანიკეი მანასს წამლობს,
დაღლილობა არად უჩანს,
ათი დღე და ათი ღამე
ქალს თვალი არ მოუხუჭავს.
ბატონი თავს ღმერთს ავედრებს,
არად აგდებს მტანჯველ სევდას,
როგორც იქნა, ერ-მანასმა
სააქაოდ მოიხედა.

კოკეტხანის ქელეხი ყარკირის ხეობაში

გინდა იყავ მდიდარი,
გინდაც სახელოვანი,
გინდ მამაცი ჭაბუკი,
გინდა ბრძენი, მხცოვანი,
გინდ გეხვიოს აქიმნი,
მცველნი, შიმუნვარები,
არვის ძალუძს, რომ სიკვდილს
ჩაუკეტოს კარები.
ასეთია ცხოვრება,
ღმერთმა ასე ინება,
კოკეტ-ხანის დღეებიც
უკვე ქრება, ილევა.
ხველებამ და ტკივილმა,
თუმცა ხელი დარია,
წუთისოფლის დათმობა
სხეულისათვის მწარეა.
აღსაკალმა ძმას უხმო,
უთხრა, გავხდი ავადო,
აიმურზუ, მისმინე,
მსურს ანდერძი გაგანდო.
დიდ სოფელში მივდივარ,
რა ვქნა, უკვე დროც არის,
ჩემი ვაჟი რას იზამს
ის ცხვირმოუხოცავი.
ბოკმურუნი[1] ხომ იცი,
სულ თხუთმეტი წლისაა,
კანიშაის ეტრფის და
მისი დარდიც ისაა.
ცოცხალს ვერც კი მომისწრებს,
წასულა სხვა აულში
სიტყვა სიტყვით აუწყე,
როცა მოვა მამულში,
ჩემს მშობლიურ მიწაში
გამითხარეთ საძლვალე,
არ მსურს მოთქმა-გოდება,
უხმაუროდ დამკრძალეთ.
სატირალში მოიხმეთ
მხოლოდ შინაურები,
დოღი, ასპარეზობა,

[1]ბოკმურუნი — ცხვირმოუხოცავი.

ზედმეტია სრულებით,
ათიათას ცხენსა ვფლობ,
თვლა არა აქვს ხარ-ძროხას,
ცხვრის ფარას და აქლემებს,
როდი ვგევარ ამბოკარს.
მდიდრებზე გავათხოვე
ჩემი ქალიშვილებიც,
ოქრო-ვერცხლით ავავსე
ზარდახშები, სკივრები.
ბოკმურუნზე რას ვფიქრობ
მინდა, გაგიზიარო,
მეშინია ქონება
სულ არ გაანიავოს.
იცი, ბევრი მტერი გვყავს,
კონურბაი გოროზი,
სოორონდუკ ცბიერი,
ხარბი ხანი ჟოლოი.
ვითომ სამძიმარისთვის
ტაშკენტს მოადგებიან,
რამეზე შარს მოგდებენ,
ჭირად გაგიხდებიან.
დაიწყება საზარი
ყირგიზებზე თარეში,
გარეკავენ საქონელს
ქვეყნის ოთხავ მხარეში.
არ აუწყოთ ერ-მანასს
ჩემი გარდაცვალება,
მხედრიონით გეწვევათ,
ეჭვი არ მეპარება.
ნესკარა და კონურიც
თუ ქელეხზე იქნება
ვიცი ჩემი დაკრძალვა
ბრძოლის ველად იქცევა.
ხან უბიუს ხომ იცნობ
ყივჩაღების გოლიათს,
გმირთა გმირი კოკჩეც ხომ
იცი, გაგიგონია.
მანჩიბეკის სიფიცხეც
განა მონაჭორია.
სწყინთ, რომ მანასს უპყრია
მთელი ძალა-უფლება,
გამოსავალს დაეძებს
სისხლი, როცა დუღდება.
ისე, როგორც მდინარე,
წვიმები რომ დიდდება.
მტყუანიც და მართალიც
ერთ-ერთს წაეკიდება.
ვშიშობ ასე არ მოხდეს,
დარდმა ხელი დამრია“.
ეს თქვა კოკეტეიმ და
უცებ სული დალია.

როცა ბრძენი მოხუცი,
საუკუნოდ დადუმდა,
ბოკმურუნი, მისი ძე,
შორეთიდან დაბრუნდა.
ვაი-ვიშით, ტირილით
დაიწითლა თვალები
ბაიმურზამ გადასცა
მამის დანაბარები.
მოკრძალებით დამარხო,
ასე სურდა მამასო,
ამ ქელეხზე ნუ იხმობ
ნურც გმირთა-გმირ მანასსო.
არც კურუში[2], არც ჟამბი[3]
არ გამართონ კაცებმა,
დოღის დროსაც არ გინდა
შვილო, ჯილდოს გაცემა,
კოკეტეის ბრძენთა-ბრძენს
ვითომ არც უცხოვრია,
ალბათ სიძუნწეზე გცდის,
შვილო, ასე მგონია.
ბაიმურზუ ცბიერმა
რად თქვა სიტყვა ხენეში,
რად ჩააგდო ჭაბუკი
ასე საგონებელში?
ძმისწულს რატომ აუნთო
გულში ეჭვის ალები,
მუცელს რად ანაცვალა
ბრძენის დანაბარები?
ბოკმურუნზუს ამდენი
ფიქრით თავი ასტკივდა;
„უხმაუროდ დაკრძალვა
დამიბარა ყასიდად,
გადავიხდი დიდ ქელეხს
მამას ასე ენება,
საუკუნოდ რომ დარჩეს
ხალხში მისი ხსენება“.
გაიფიქრა ჭაბუკმა
პატივსა ვცემ მამასო,
ბოლოს რჩევის საკითხად
მიაშურა მანასსო.
მიჰქრის მკვირცხლი ტულპარი[4]
მთები გადაიარა,
მანასს შეხვდა ჭაბუკი
დარდი გაუზიარა.
ერ-მანასმა ვაჟს უთხრა:
„თავს დამეცა მეხია“,
ადგა, ხანის მემკვიდრეს

[2] კურუში —
[3] ჟამბი —
[4] ტულპარი – მფრინავი ცხენი

თბილად გააეხვია.
ბოკმურუნმა ერ-მანას
უთხრა, — „დამდე პატივი
ანდერძის ასრულება
როდი არის ადვილი.
ყირგიზთა ალამდარო,
გმირთა, გმირო, მამაცო,
გევედრები ცრემლებით
ქელეხს შენ უთავკაცო
დავრჩი ობლად, ეულად,
გულზე ცეცხლი მედება!“
მანასს ძლიერ ეამა
ბოკმურუნის ვედრება.
უთხრა: — „როდი დაგტოვებ
ძმაო, სხვათა მინათად[5],
მამაშენი ყოველთვის
მე მეგობრად მიმაჩნდა.
აბა, ვინმემ გაბედოს
მისი ხსოვნა შელახოს,
ისეთ ქელეხს გადვუხდი,
დღემდე არვის ენახოს.
ნაცნობსაც და უცნობსაც
ყველას შევატყობინოთ,
ვინც არ მოვა ქელეხზე
თავი დავათმობინოთ.
სიძუნწეს და სიხარბეს
ჩვენთანა აქვს რა ხელი?
მთელ დუნიას მოვფინოთ
კოკეტეის სახელი.
კარგად ახსოვს ბოკბურუნს,
ყველა სიტყვა მანასის
გაეშურა ტაშკენტში
უკან დარჩა ტალასი.
. . . .
ბევრი ცრემლი დაიღვარა,
მიაბარეს მიწას ხანი,
მის სულს მსხვერპლად შეეწირა
ასი ცხვარი, ასი ხარი.
ათეულობით ფაშატი
ასო-ასო წვრილად აქნეს,
განადიდეს კოკეტხანი
და მემკვიდრეც ფრიად აქეს.
ბოკმურუნმა კოშოის უხმო,
უთრა: —„რჩევა მომეც ბრძენო,
მინდა მამას ვცე თაყვანი
რაღა ბევრი გავაგრძელო,
მდიდარი ვარ, მერგო, იცი,
მე ურიცხვი საქონელი,
გადავურხი მამას ქელეხს,
როცა გავა ერთი წელი.
სტუმრებს ვიხმობ ყველა მხრიდან,
ხარჯი როდი მენანება,
უხვად დავკლავ ცხვარს და ძროხას,
ასეთია ჩემი ნება,
რომ დრომ მამაჩემის სახელს
არ დააკლოს ბრწყინვალება.
დაე, ყველამ დაინახოს
რა თაყვანს სცემს მამას შვილი,
რომ გავშალოთ იურტები
მინდა ველი გადაშლილი.
ათასი ადამიანი
დაბანაკდეს თავისუფლად
და მდინარის პირას მინდა
გაიშალოს დიდი სუფრა.
იქ ჭიკჭიკით გაგვაღვიძონ
ჩიტუნებმა ალიონზე,
მარულა და ორთაბრძოლა
გაიმართოს თალპიონზე.
ასეთი მხარე სად არის,
ხან – კოშოი, მითხარ დროზე!“
„შენ რომ სიტყვით ამიწერე
ხეობაა ყარაკირის,
ვით ობოლი მარგალიტი
ველზე ბრწყინავს ნამი დილის,
ხეებს არხევს ცელქი სიო,
უკვდავების მოჩქეხს წყალი,
ასეთ ნალკოტს ამ მიწაზე
ვერ იხილავს კაცის თვალი,
ცას წვდებიან მწვერვალებით
მთა-გორები თოვლიანი,
და მთის ძირას ყვავილებით
მოჩითული მოლი არის,
მდინარე კეგენი მოდის
ვერცხვლის ჩქერებს ათამაშებს,
თუნდ ათასი სტუმრისათვის
იურტები იქ გაშალე.
კოცონების დასანთებად
კერიები იქ გათხარე,
იქ გამართე წლისთავი და
მამის სული გაახარე.
. . . .
ძალაუფლება ხელთ იგდო
ბოკმურუნმა სულ ერთ წელში,
როცა გაზაფხული დადგა,
როცა წყალი ჩადგა ხეში,
ბრძანა: — „შევკაზმოთ ცხენები,
ხარები და აქლემები,
გადავკიდოთ ჯამ-ჭურჭელი,
ქვაბები და იურტები.
სადაც ისიქ-ყული არის,

[5] მინათი – სხვისი ხელის შემყურე.

წმინდა, როგორც უფლის ცრემლი,
ყვავილებით მოჩითული
გადაშლილა სადაც ველი.
სად კეგენი მოდუდუნებს,
სად ტრიალებს უფლის თვალი
მამაჩემის ხსოვნის ნიშნად
იქ გავმართო მსურს წლისთავი.
ყარაკირის ხეობისკენ
გზას დავადგეთ ყველა ერთად,
იცით, მკაცრად დაისჯება,
ვინც ურჩობას გამიბედავს,
მუსრს გავავლებ მის იურტას,
წავუკიდებ ცეცხლის ენებს,
უქონელს და უსახლკაროს
სახანოდან გავაძევებ.
ამ სიტყვებმა ტაშკენტელებს
შეუკუმშა შიშით გული,
თავს უკრავენ ხანს მორჩილად,
სასტიკია ბოკმურუნი,
თმას ლამაზად დაიწნავენ,
სხვაგან წასვლა შვენით ქალებს,
გულისპირზე იკიდებენ
ფერად-ფერად მოსართავებს.
ვერცხლის ლაგამ-უნაგირი
როგორ შვენის მაანიკერს,
მთვარიანი, მწვანე დროშა
შეხეთ, აღიმართა ცისკენ.
ბეჭედით თუ სამაჯურით
მანდილით თუ კვერნის ქუდით
მალე ყველა გამოეწყო
და დაიძრა ქალთა გუნდი.
მოსთქვამენ და დასტირიან
კოკეტეის ბრძენს და მამაცს,
თავის ხალხს როგორ იცავდა,
როგორ უერთგულა მანასს,
დამპყრობელს და ქვეყნის ორგულს,
რისხვა როგორ დააწია
და საკუთარ ქალიშვილებს
რა მამობა გაუწია.
ორმოცდამეხუთე დღეზე
ნახეს ყარაკირის ველი,
იქ შეჩერდა ქალი, კაცი,
ფარა, რემა, საქონელი.
გაიშალა იურტები
წინაპართა ნასახლარზე,
ყველა უცებ დაატყვევა
იმ წალკოტის სილამაზემ.

(გაგრძელება იქნება)



ბახიტ გაფუ
(ბახიტ გაფუს ძე კაირბეკოვი)

დაიბადა 1953 წლის 23 თებერვალს ყაზახეთში, ქალაქ ალმა-ატაში. 1975 წელს დაამთავრა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. 1989 წელს სცენარისტისა და რეჟისორის უმაღლესი კურსები.

ამჟამად არის კინოსტუდია ყაზახფილმის (შ. აიმანოვის სახელობის) პრეზიდენტი.

პოეტი, სცენარისტი, კინორეჟისორი ბახირ გაფუ არის ევრაზიის ტელევიზიისა და რადიოს აკადემიკოსი. ყაზახეთის ხელოვანთა აკადემიის წევრი, მწერალთა კავშირისა და კინომატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მახამბეტ უტემისოვის პრემიის ლაურეატი. ჟურნალისტთა კავშირების საერთაშორისო კონფერენციამ ის დააჯილდოვა „თანხმობის“ ორდენის კავალერის წოდებით. არის ღირსების ორდენის კავალერი კულტურასა და ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

ბახირ გაფუ ათი პოეტური კრებულისა და ასი დოკუმენტური ფილმის ავტორია. არაერთი საერთაშორისო კინო-სიმპოზიუმისა და ტელეფორუმის მონაწილე და გრან-პრის მფლობელი.

აი რას წერს პოეტი ბახიტ კაირბეკოვი: „საქართველოს აღმოჩენით ჩემთვის სამყაროს ახალი კარი გაიღო - ეს მოხდა 2012 წელს. მე შევიყვარე ეს ლამაზი ქვეყანა, ჩემი ახალი მეგობრების ნათია გოცირიძის, ნიკა ოქრიაშვილისა და გიორგი ჩალაძის წყალობით. გამიჩნდა სურვილი შემესწავლა ქართული კინოს ენა. ყოველთვის მხიბლავდა ქართველთა არტისტული ხასიათი, რაც ბუნებრივად აისახება კადრში, თუ კამერა დიდი ხნის მეგობარი და სასურველი თანამოსაუბრე იქნება. და დღეს ჩემი ახალი მეგობრების ჩემი ლიტერატორი კოლეგების მაყვალა გონაშვილისა და ვლადიმირ სარიშვილის დახმარებით საქართველოს მის მშობლიურ ენაზე პოეზიით ვუტყდები სიყვარულში.

მუნჯი ღოცვა

მაფშალიები ქალაქებშიც ცხოვრობენ დღემდე,
თუნდაც განდევნო, ფრთხიალებენ სხივთა ბადეში,
და როგორც წინათ, უგალობენ ზეციურ ჰანგებს,
იმათ, ვინც ელით თვალშეუვალ სილაჟვარდეში.
ეკოლოგია... არეალი ვიწრო, უსახო ...
ადამიანი აღარ ინდობს ცოცხალ არსებებს,
ისევ სენაკში შევიმალე, გავექეცი ქალაქს,
ლექსებს კი არ ვწერ, ეს ფურცლები სიტყვით დავწერე.
ქარხნები ისევ ჩემს სამკვიდროს ავიწროებენ,
სისხლიან სტრიქონს ვერ უნახავს თავშესაფარი,
თუკი ჯერ ისევ ბულბულების ჩემესმის სტვენა
წალკოტის ბაღი ამ ქალაქში ნეტავ სად არი?
დაე, სხვვამ უსმინოს რადიოს და მყვირალ ჰანგებს,
ვითხოვ სუჩუმეს, ამ ხმაურმა სული დაღალა,
სანამ ჯერ ისევ ბულბულები არხევენ რტოებს,
ბაღად აქცევენ მიტოვებულ ამ ჩემს აგარაკს.

* * *

ჰო, სწორედ ასეა,
ვჩნდებით უბიწონი,
ცხოვრება ნანატრი ბაღია,
და ვაშლი ჯერ კიდევ ჩვენს მზერას არ გვიმღვრევს,
გონებამ არ იცის, ის რაც გულს სწადია.
ტყუილად დავეძებთ ზეცაში სამოთხეს,
ცოდვილთ ჯოჯოხეთის ხსენებაც გვაშინებს,
და მზად ვართ, დავტოვოთ სიმშვიდის წალკოტი,
როგორც კი პრობლემა გაჩნდება, მაშინვე.
ღმერთმა არ განდევნა ევა და ადამი,
ცხოვრება სწორედ ის ედემის ბაღია,
ჩვენ თავად ჩავამხეთ სამოთხე ჯოჯოხეთში.
სიცრუე - ცოდვაა, ცდუნება - მახეა.

* * *

სამყარო უსასრულო... ალუბლის ბაღები,
ძველი მოგონება ჩაქრება, იალებს,
ჭილობი მოჩითული მზის ათინათებით,
ბებია ჭილობზე ალაგებს ქლიავებს.
მზისგან მოშრუკულა ყვითელი რბილობი
და დნება დღეები ოქროსფერ ვარაყით,
სიზმრებში ვიხსენებ, რაც ჟამმა წაშალა,
სიზმრებში ვიხსენებ, რაც მქონდა ნანახი.
როგორ გაცამტვერდა პატარა ოჯახი,
დრომ როდი დაინდო, რაც ცეცხლს გადაურჩა,
მახსოვს მე ბებიის დამჭკნარი ხელები,
ტკივილი დიდედოს ხელებმა დამიყუჩა.
ბებია აჭრიდა რძეს, მერე წურავდა,
წაქადან ფანტელივით ხაჭო ამოქონდა,
მახსოვს მე სიმტკიცე გამოწვდილი ხელის,
ბავშვობას ვაშლის და ალუბლის გემო ჰქონდა.
მე დღემდე ის რწმენა, ის მადლი მომყვება,
გულში ჩაღვენთილი სიცოცხლის წყურვილით,
მამა დაუხვრიტეს, ქმარი დაუხვრიტეს,
დარდით დაუთალხეს მზე-ოქროცურვილი.
მის ამბავს პაწია ფურცელიც დაიტევს,
ხაჭოს კი არ წურავს, ტკივილებს იამებს,
ცრემს მალავს, მიმღერის, დგას პაპანაქება,
სიმღერით იშუშებს პირდახსნილ იარებს.
დღეები მიჰქრიან უკან, ბავშვობისკენ,
როცა მე წუთისოფლის სიმუხთლე არ ვიცი,
ბებია ალაგებს ჭილობზე ქლიავებს
და თვალს უხარია მზის სხივთა ლაციცი.
დროს კვლავ წინ ვაბრუნებ,
ბებიაც ბავშვია,
არ იცის განგება უმზადებს რა მახეს,
დაკარაგავს მშობელს და დაკარგავს თანამგზავრს,
დაკარგავს სითბოს და დაკარგავს სამარხებს.
გზა სიტყვამ გალია, მდინარე-სიუხვემ,
სიყრმის დროს უსასრულო გვგონია ცხოვრება,
მომყვება წარსული დღეების ნათება,
მშიერი სულისთვის რაც არის ცხონება.

მთარგმნელი ***მაყვალა გონაშვილი.***

Ratiani Lali
Professor Doctor deutscher Philologie Staatlicher Universität Sochumi

WEG DES RUHMES
Fortsetzung

Es hat auch in Gulnasi Charaischwilis poetischer Welt eingemischt, aufgetaucht. Sie sagt, daβ ihre Absicht ist, den Gipfel zu besteigen. Ihr Weg geht wirklich zur Spitze oder zur Unsterblichkeit. (Das ist auch ein symbolisches Wort, das man natürchlich allerlei begreifen kann.) Wenn es unmöglich wird solch eine wunderliche Höhe zu erreichen, wird sie doch nie zurückweichen und dem Krieg gegen Berg zum Opfer fallen!

Es ist doch ein Wunder, daβ solch eine warme und bescheidene Frau plötzlich männliche Bereitschaft und den Mut zeigen kann, wenn es um Lebensziel geht.

In den Zeilen zeigt sich ihre Zielstrebigkeit, unbiegsamer Wille oder Willen, starre Geist, unerschö pferische, unversiegbare persönliche Kraft, alsob in der Dichterin die Natur der Amazonen oder solcher Stämme, die einst existierten und mit uns Verwandsvchaft zeigten, wiederbelebt, wiedererweckt wäre. Es sei erwähnt, daβ sie die Stämme der kriegerischen Frauen darstellten. Sie haben sich mit Lateinen, Italijenern und Römern eingemischt, kurz gesagt, als Römer formiert**.** Mit schumerischen, ägyptischen, troanischen und anderen uralten Völkern zusammen waren auch die Amazonen die verwandten Stämme, unsere nähste Verwandten, als die hier aufgezählte Nationen.

Wenn das Besteigen der Höhe, des Höhepunktes in der Kunst ein symbolisches Gesicht gewinnt, ist es im Sport konkreterweise im Alpinismus eine Realität. Es braucht dort kein symbolisch-sjuarilistisch-morganes Bedenken zu haben.

Einige Alpinisten hatten aber eben ein merkwürdiges, bis zum Phanatismus erhöhte Stimmung, Beladung gehabt. Erinnern wir uns an Messner Reinold oder an Tenssing und Hilari...

Es ist nicht weit zu gehen und wollen wir uns an bald als Löwe des Alpinismus und bald auch als Tieger des Felsens genannten unseren Hergiani Mischa erinnern.

Er ist unterdessen der jenige Hergiani Mischa dem der Erzbischof Thadeus unvergessliche Zeile gewidmet hatte.

Hergiani Mischa ist im Gebirge Italiens umgekommen.Das ist das Gleiche, wenn der Dichter beim Schreiben der Zeilen stirbt.

Als König des Alpinismus hatte er sein Leben in der Tat sehr schön gekrönt, obwohl die Einigen sagten, daβ man ihm die Leine abgehackt hatten und er in den Felsen hineingestürzt und untergegangen war. Ich weiβ es nich genau, ob es der Wirklichkeit enmtspricht. Darüber gibt es keine Beweise.

Warum habe ich mich an Hergiani Mischa erinnert?

Vielleicht deswegen, daβ es um die Höhen und nicht nur es darum geht.

Einmal sagte er über einen Gipfel, der ihm besonders gut gefallen hatte, daβ er ihn besteigen wollte.

Darüber entgegnete ihm sein Freund, weil er in der letzten Wochen nicht geübt, traniert und er sich dafür nicht vorbereitet hatte.

Er bestand darauf diese Spitze zu besteigen, ungeachtet seiner Vorbereitung. Mischa hatte lachend gesagt,was er genau wuβte war das, daβ er diese Höhe entweder lebendig oder tod erreichen würde.

Viele Menschen und darunter ein bekannter russischer Sänger Wisotski Wladimer waren mit der Chergianis Person und auch seinem Leben sehr begeistert. Entflammt von seiner Persönlichkeit habe ich persönlich einige Versen geschrieben.Ich habe die geistige Kraft und eben für Chergiani Mischa eigene Beladung, seine hohe Stimmung in einem kleinen aus einer Strophe bestehenden Gulnasis Gedicht gespürt.Ich soll gestehen, diese Parallelle ziehe ich der Gleichlaufende mit den Amazonen vor. Es ist mir, alsob sich der hingeberische Geist des Alpinistenkönigs, sein wahrhaftig poetischer Geist in der Gulnasis

Persönlichkeit für immer eingebürgert hätte. Sie ist auf einmal bescheiden und stolz, einfach und würdevoll zugleich, schwach und stark gleichzeitig und was es wichtig ist, -poetisch, höhst/ auβerordentlich poetisch.

Diese Arbeit gefällt mir allmählich mehr und mehr und nicht deshalb, daβ sie fehlerfrei und vollkommen ist.Nein. Alles hat sein Mangel.

Dieses Werk scheint, einfach ganz neuartig, sehr interessant und gut auszukommen/ gut zu geraten. Es fällt mir schwer zu bestimmen, was für ein Erzeugnis es konkreterweise ist. Lassen wir zu, daβ es eine Mischung von dem dokumentar-literarisch-porträt-philologischen Roman ist. Was ist noch zu sagen, es ist vielleicht auch ein philosophischer Roman. Ich habe in diesem Werk, kurz gesagt, alles miteinander gemischt. Anschlieβend bekommen wir daraus ein seltsames, ungewöhnliches, aber ein sehr interessantes dokumentar-künstlerisch-wissenschaftliches Versuch. Ich habe von Anfang an gewissenhaft die Verantwortung für dieses Buch auf mich genommen. Ich halte es für meinen wichtigen Roman, für ein vollständiges Erzeugnis über die Dichterin und die Poesie. Obwohl sich hier zahlreiche Thematen in einander gemischt haben, dreht sich alles doch um die Poesie und es wäre kopliziert, sich alles anders vorzustellen. Da ich auch Dichter bin, versuche ich überall und in alles was es schön und herrlich ist, vor allem die Poesie und Poetizität zu sehen. Darin besteht doch das Geschick des phanatischen Dichters.

Obwohl man mich als eine vielseitige Persönlichkeit kennt, bin ich nur Dichter und kein Proseiker und kein Wissenschaftler.

Ich wiederhole, daβ ich nur Dichter bin und freue mich darüber, daβ meine Prosa, in diesem Fall, eben der Dichterin gewidmet wurde.

Das Sujet meines Werkes ist sehr trübe, nebelhaft. Es besteht aus der Ganzheit solcher, verschiedenen Thematen und Schattierungen, daβ es fast unmöglich ist, den Inhalt wiederzugeben.

Ungeachtet des undeutlichen Sujets wurde es mir doch emögicht den Weg des Künstlers, des Dichters und der Persönlichkeit des öffentlichen Lebens zum Gipfel, zum Ruhm zu zeigen.

Der Weg geht zur Höhe, zum Berg.

Der Reisende, der aber diesen Weg bis zum Ende unkniend geht, besteigt natürlich den Berg, erreicht die Spitze.

Durch ihr Leben und ihre Kunst zeige ich, wie dieser Prozess vorkommt.

Wenn doch dieses Buch sich bewährt/gerechtfertigt hätte.

Ich weiβ nicht, ob dieses Buch für die Einigen ins Lehrbuch des eigenartigen Lebens verwandelt werde.

Ich schreibe dieses Buch in der Tat vom ganzen Herzen, weil die Forschung des Lebens und der Tätigkeit von Charaischwili Gulnasi, von diesem humanen Menschen mich in Begeisterung versetzt hatte.

Also, es zeigt sich allmählich mein Roman mit seinen Vor- und Nachteilen, es zeigt sich die Prosa über die Dichtung, ein Mischroman.

Ich habe an diesem Buch einige Monate im Jahre 2013 gearbeitet … An diese Zeit kann ich mich so erinnern…Ich werde mich an diese Zeit vielleicht gut und farbig erinnern…

Alles ist in der Poesie und konkreterweise in Gulnasis Dichtung nicht farbig. In diesen Zeilen kann man nur das grausame Graue und tiefe Tragik auslesen:

"Ich habe keine Angst vor der Einsamkeit,-
Als Gefährte habe ich mein Gedicht,
Ich kann durch die Nadel gehen,-
Und demjenigen das Essen geben, die
die Hände mir entgegenstrecken.
Die Speise wird bald teuer werden, aber
Bald kann sie völlig nicht sein…
In der Not soll ich Gott belästigen,-
Um mir zu helfen."

Tsccheilidse Othar hätte z.B. solche Zeilen nicht als marchsistisch-engelsisch-leninisch-stalinisch-sozialistisches, sondern als wahres Realismus genannt. Das Selbe hätte auch vielleicht Tschcheidse Rostom wederholt.

Durch diese Zeile sind hier aber die sozialle Fragen hervorgehoben.

Es sind die Schwersten, Heftigsten Thematen und Probleme an den Tag gekommen. Es soll natürlich auch so sein.Die dunkle Realität wird lange nicht verheimlicht werden. Dagegen soll man kriegen, es soll unbedingt geändert werden.

Was es einfach gesagt wird, kann nicht leicht beseitigt werden und ich begreife es gut,

Es gibt aber keinen anderen Weg. Das Leben soll einst geregelt werden und unser Land soll auch

jeweils seinen eigenen Platz zwischen den Reihen der groβartigen europäischen Nationen behaupten.

Das Problem der Arbeits-und Mittellosigkeit wurde in Georgoen der letzten Zeiten besonders aktuell geworden. Und das dauert jahrelang bis heute auch. Alles und die unerträgliche Lage der Menschen sind hetig rauch in der Literatur hineingestürzt. Die Aufschwung der neuen geogischen Kunst hat sowohl die positiven, als auch die negative Seiten. Eine von den positiven Seiten ist, sowohl auf die scharfe Realität, als auch auf echtes Realismus die Augen nicht zu schlieβen. Frau Charaischwili Gulnasi auch vermeidet diese schwere Probleme nicht. Im Gegenteil: sie verläβt sich auf sich selbst und auf Gott und den Glaube an Gott.

Eigen Zeilen und Strophen der Dichterin sind schwer zu ertragen.

Zu verschiedenen Problemen kommt auch das Thema der ewigen Einsamkeit, das Thema der geistigen Alleinsamkeit zu, wogegen durch ihre Poesie die Dichterin kämpft: Als Fahrgast habe ich das Gedicht und deshalb habe ich keine Angst.

Es wird festgestellt werden, daβ die Einsamkeit ein allgemeinmenschlichliches, ewiges und wichtiges Thema der Weltliteratur ist . An diesen Problemen haben zahlreiche ausländische geniale Menschen gearbeitet. Obwohl darüber vieles sowohl in der Kunst, als auch in der Literatur geschrieben wurde, bleibt dieses schwierigste Problem als ungelöstes Geheimnis. Die Wel und besonders die poetische Welt verheimlicht im Allgemeinen, viele ungelöste, unverständliche, geheimnisvolle und unerkennbare Geheimnisse. Die gröβte Geheimnisse werden auch eben in der poetischen Kunst versteckt.

Das Problem der Einsamkeit wurde auch als auβerwähltes, besonderes Thema für dir poetische Kunst, sowohl im Ausland, als auch bei uns in Georgien geworden. Einer der Grundleger dieser Frage ist bei uns Barataschwili Nikolos, als erstes Mitglied des groβen georgischen lyrischen Triumpherates).(dazu gehörten auβerdem Galaktion und Graneli) mit seinen unvergleichen Gedichten “Sulo Obolo”(Einsame Seele) und “Merani”(Roβ)

Barataschwili hatte zu seiner Zeit das georgische poetische Denken/die Denkweise kardinal gewechselt und es/sie in die Weltstandarten zurückgebracht. Kacha und ich behandeln Barathaschwili Nikolos als Rustaweli der Lyrik und dabei hatte er viele Gegner. Jawohl, es herrscht sich in der Lyrik das Triumwirat (oder es gibt doch kronlose Könige).Viele Dichter haben dann die verwaiste Seele von Barathaschwili mit seinen Federn oder Worten berührt. Die seeliche Einsamkeit ist die scharfste Krankheit der letzten Jahrhunderten und sie wurde für die georgische Literatur auch

zu einem der dominanten Thematen geworden.

Meine Freunde und ich haben auch über dieses Thema viel geschrieben. Als Beispiel führe ich ein kleines Gedicht von meinem Bruder unter dem Titel “Martooba”(Einsamkeit) mit seinem zweiten Titel- “Aphrebi”-(Die Segel), in dem das Betrübnis von einem in die einsame Insel geratenen Menschen wiedergegeben ist. Der Insel ist hier als ein Symbol gegeben. Die überwiegende Mehrheit der Menschen scheinen, das ganze Leben eben auf der einsamen Insel zu verbringen, ohne darüber zum Glück oder zum Unglück zu ahnen.

Frau Gulnasi beweltigt ihre seeliche Einsamkeit mit Hilfe der Poesie. Die Dichtung, als Arzt und Medizin, hält sie für die völlig ausgewählte Erscheinung.

Frau Gulnasi sagt, daβ sie die Poesie über alles liebt und sie im Allgemeinen in der Liebe immer sehr treu war, sie kann die Liebe nie verraten, weil sie die Liebe als Gott hält..

Kacha und ich haben Frau Gulnasi gefragt, ob das Gedicht für sie wertvollerr war als ihre Kinder und Enkelkinder?

Darauf hatte sie nicht geantworett, sie wurde einfach sehr nachdenklich.Und wir konnten darauf nicht mehr bestehen. Da es ohne hin alles klar wurde, wofür wir uns interessierten, dass die Frau gleichzeitig Dichterin und Phanatikerin ihrer Beschäftigung, ihrer Poesie sein konnte , lohnte es sich nicht, sie weiter zu befragen.Wenn der Mensch herzenhaft einer bestimmten Sache, Beschäftihung seinem ganzen Leben dient, gibt es im Leben der Persönlichkeit solche Zeiten, als er gar keine Interesse dafür zeigt, ob er ein auβergewählter, besonderer Mensch ist. Ich bin aber davon überzeugt, hätte Frau Gulnasi an ihre eigene Besonderheit geglaubt, würde sie doch nicht unterbrechen, die Gedichte zu verfassen, weil die Dichtung schon seit langer Zeit für immer mit ihrem Leben eng verflochten ist. Ihr Leben würde ohne Gedichte den Sinn verlieren.

Sie bleibt bis zum Tode als echte Dichterin, weil die Dichtung ihre Ewigkeit ist. .

Die Arbeit ist umsonst nicht geleistet und die Zeit nicht verloren. Wie herrlich ist, daβ Gulnasis Tätigkeit besondere und wesentliche Wertigkeiten hat.

Über die Frauen meinte ich früher, ehrlich gesagt, daβ sie sich mit der Poesie nicht beschäftigen und sie nur hören sollten. Was es aber die Männer angeht, sollten sie nicht nur jemandem zuhören, als auch

schreiben. Nicht einmal habe ich gesagt und in meinem Gedicht darüber auch geschrieben, daβ ich den Traum als göttlichen Orchides der Sonne ansehe. Dann sagte ich den Freunden, daβ der Traum der Frauen nie in Erfüllung gehen konnte.

Dann habe iche einiges Mal erkannt, daβ meine Einschätzung zu streng ist.

Es ist aber natürich, die Frau würde, wie Rustaweli nie schreiben.

Nicht nur die Frauen, sondern auch keiner kann die rustaweliartige Genialität im Allgemeinen besitzen. Es sind Hundere Jahre abgelaufen und keiner hatte ihn bis zum heutigen Tagen ersetzen können. Selbst Tabidse Galaktion hatte nie poetische Gegenüberstellung mit den Dichtern seiner Zeit verloren. Man sagt aber, daβ die Einigen es gewagt hatten, ihn auf ein und der selben Niveau entgegenzusetzen. Wir können solch ein Beispiel anführen, daβ er und Graneli Terenti bei einer den Gegenüberstellungen beide auf Einmal als Sieger anerkannt wurden. Wenn es keine Überlieferung ist, hatte selbst Graneli darüber gesagt, alsob er ihm den Vorzug gäbe, obwohl er besser als Galaktion wäre. Als Tabidse Galaktion versucht hatte das Erzeugnis Rustawelisartige Werk "Recke im Tiegerfell~ zu schaffen, hatte er verloren und er wurde hoffnungslos. "Das Friedens-Buch~ von Gala konnte Schotas Dichtung nicht ersetzen. Dazu möchte ich auch hinzufügen, daβ Tabidse Galaktion als Stern zehner und zwanziger Jahren seine Poetische Kraft bis zum Ende hatte erhalten können. Es war aber so, alsob es in den Arbeitsjahren am"Friedens-Buch~.in seiner Kunst an alter Herrlichkeit gefehlt hätte.

Es ist immer nicht ötig, die Dichterinnen eben mit Rustaweli, Dante, Scheakspiare, Goethe und Bayron gleichzustellen, um sie mit einander zu vergleichen

Auch Dikonson Emilia, Plat Silwia, Makginal Phil, Sapo, Kasio und viele andere werdem im Gegenteil verewigt warden.

Wir Georgier sehen aber die Zeilen der Dicherinnen Anna, Oniani Esma, Kachidse Medea, Barathaschwili Marika,(als ferner Verwamndte von genialen Barataschwili Nikolos), Mgeladse Sopho, Maridjani, Sturua Lia und viele andere als georgische Perlen an.

Die seeliche Verwandte eben dieser Menschen sind solche Vertreter unserer einheimischen Poesie, wie Charaischwili Gulnazi, Guralia Nunuka, Dangadse Manana, Ziklauri Mariam, Djawachischwil Kato, Thabagari Thea, Warada Nata, Natheladse Keti und anderen.

Es ist nicht wichtig, sagen wir, sich entweder als König der Kunst oder als Rustaweli, Goethe, Dichter-Dramaturg Scheakspeare zu empfinden.

Es ist auch nicht obligatorisch, ob man jemanden neuer Rustaweli oder Mozart der Dichtung nennt..

Ähnlich dem Oberbefelshaber Mazedonier Alexander und dem Diktatoren Sula ist es nicht obligatorisch, immer als Sieger zu bleiben und die literarische Front in echtes Kriegsfeld zu verwandeln.

Nein, im Gegenteil, wenn du ein Dichter bist, sollst du einfach echt, wrahaftig sein und nichts mehr, das Ausgesagte soll vom Herzen ausgehen.

Man braucht es nicht, jedes Mal die Erzeugnise der genialen Menschen zu lesen.

Hätte ich die Texte von Rustaweli, Galaktion, Lado, Mirsa, sagen wir, durch die Texte von Tschantladse, Pirzchelauri, Guguschwili, Kollau oft nicht ersetzt, würde mir die unerreichbare Höhen überdrüssig sein.

Was es aber Frauendichtung anbetrifft, wird sie auch durch die Arbeiten der genialen Schöpfer erfolgreich ersetzt werden. Sie hat auch ihren bedeutenden Platz genommen. Hätte die Frau das Gedicht nicht verfasst, würde die ganze Welt der Poesie einen groβen Mangel haben.

Wenn wir allles bei Seite lassen, ist es die Tatsache, daβ sich die Frauenpoesie von der Männerdichtung offensictlich unterscheidet, wodurch die LIteratur mit den anderen Farben berreichert wird. Ich liebe nicht und es taugt auch nicht, wenn die Frauentexte den Männertexten ähneln. Die Naturlichkeit ist doch was Besseres, weil es darin keine Fälschung, Unechtheit gibt

პროზა

რევაზ მიშველაძე

წამება

თავი

„ღმერთო, მეუფეო ზეცათაო,
შენა ხარ წყარო სიცოცხლისა,
შენი შუქით ვხედავ სინათლეს
მომფინე წყალობა შენი და
ნუ მოაღწევს ჩემთან ფეხი ამპარტავნისა,
ხელი ბოროტისა ნუ განმდევნის მე.
დაე, დაეცნენ მოქმედნი უსამართლობისა,
რათა ვეღარ შეძლონ წამოდგომა“.

დავით წინასწარმეტყველი, ფსალმუნი 35

გარდაბნის თაგვისფერი უდაბნო მთვარის ზედაპირს ჰგავდა.

მთვარის ზედაპირივით უსიცოცხლოს და უამრავი ფიალის ანაბეჭდებივით დაღრმულებულს დევთა საფლავებად აჩნდა ქვიშის ბორცვები.

არავინ იცის, მითაჟამის სიძველე შემოხმობოდა გარდაბნის ტანს, თუ მილიონი წლის წინათ ოკეანეს გადაეძოვა ეს ეულად შთენილი შემოგარენი.

პროფესორმა ლევან კაკაბაძემ წაშლაშეპარულ ბილიკთან გააჩერებინა ავტობუსი. ჩამოსვლისას ჯოხს დაეყრდნო და წარმართული ვერძის ქანდაკებისმსგავს ლოდზე ჩამოჯდა.

ფეხზე გაიხადა.

წინდები დაჭრილტყავიან სანდლებში შეჩურთა, ლოდის ქვეშ საგულდაგულოდ შემალა და ყოველ შემთხვევისათვის ქვა მიაფარა.

წინ დაშვებული, ნიანგისფერი ჩანთა გვერდზე ჯიბეებისკენ გადასწია.

ბილიკს აღმა აუყვა.

ჯოხი ქედკისერზე გადაიგდო და, როგორც მწყემსებმა იციან ხოლმე, იქეთაქეთ ხელები შემოაწყო.

საშუალოზე დაბალი ტანისა გახლდათ. ცისფერი თვალები ყვრიმალთა გალავანს და დაშვებულ ქუთუთოებს ლამის დაეფარა. მზით გარუჯულ ლამაზ შუბლზე თეთრი, შეთხელებული ქო-

ჩორი ჩამოშლოდა. სახეზე უდაბნოს თბილი ნიავი ელამუნებოდა და სიამოვნებას ჰგვრიდა ნაწვიმარის გრილი ქვიშა, რომელზეც დინოზავრის ნაკვალევივით რჩებოდა პროფესორის ფეხის ანაბეჭდი. ასეთი ნაკვალევი სათაფლიის მღვიმის ახლოს არაერთგზის უნახავს და აოცებდა, რომ უზარმაზარ პრეისტორიულ ცხოველს სწორედ ადამიანის ტერფისხელა ანაბეჭდები დაეტოვებინა სათაფლიის რბილ ლავაზე უხსოვარ დროში.

უკაცრიელ გარემოს პროფესორის ნაბიჯების გარდა ქვიშაზე გასრიალებული ქვეწარმავლის ჩქამი აცოცხლებდა და კიდევ, მიახლოებისას აფრენილი ქედნების ფრთათა შარიშური. ქედნები ორორად ფრინდებოდნენ და შორს, დავით გარეჯისკენ გამჭვირვალე თეთრლურჯ ნისლში იკარგებოდნენ.

კლდეში შეჭრილი ქვაბსაყდრის წინ ქვაზე მისი ძველი ნაცნობი ჯვალოსჩოხოსანი მორჩილი იჯდა და ამომავალს შესცქეროდა.

პროფესორი ამობილიკდა და მგლისკუდა ხვიარის ფესვს მოეჭიდა, აღმართზე რომ ტანი ამოეტანა.

– ჯვარი აქაურობას, მამაო.

– ღვთის ლოცვა ნუ მოგაკლოს ღმერთმა, ბატონო პროფესორო.

შავი ჩაჩის კიდეებიდან შავი ფერისვე კულულები ეღვრებოდა. შავი წვერი მკერდამდე ეფინა და წვერს მზეზე ლამაზად ალაპლაპებული ჯვარი აბოლოვებდა.

ჩანთიდან მუყაოს პარკი ამოიღო და გაუწოდა.

– დიდი მადლობა, რატომ წუხდებოდით, პროფესორო.

– რა შეწუხებაა, ღვთის მადლით შენ იქნებ არაფერი გაკლია, მაგრამ ხომ იცი, ამ მცირედით ჩემს სურვილს ვუწვდი ხელს. რა ამბავია აქეთ?

– ჯერჯერობით მშვიდობაა.

– კაი დაგემართოთ.

მორჩილმა ღვედებისგან შეკრული ძელსკამი დაუდგა.

– დაბრძანდით.

– გმადლობთ, მამაო. როგორც ვატყობ, ძალიან დავბერდი. აქ ამოსვლა გამიჭირდა. ოთხჯერ მაინც შევისვენე, თუმცა რა... იცი რამდენი წლისა ვარ?

– სამოცდაათზე მეტის არ იქნებით.

პროფესორს გაეცინა.

– ოთხმოცდახუთის შევსრულდები აგერ ახლა, თერთმეტ ენკენისთვეს. სამოცდაათი... აღარც მახსოვს სამოცდაათის როდის ვიყავი.

– დაუჯერებელია.

– ჩემთვისაც დაუჯერებელია, გეთაყვა,

– ერთი ხანია აქეთ არ ყოფილხართ.

– ვერ მოვიცალე. თანაც ცოტა სანერვიულო შემხვდა.

– სანერვიულოს თქვენთან რა უნდა.

– შენ ასე გგონია. მეც ასე მეგონა, მაგრამ ვცდებოდი. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, საფლავის კარამდე მიგყვება თურმე წუთისოფლის ხლართები. მე მგონი, სიკვდილის შემდეგაც არ გვეღირსება მშვიდი ძილი.

– ყველაფერი უფლის ნებაა.

– შენ ვერ წარმოიდგენ, გეთაყვა, რა ბედნიერი ხარ. მე, ოთხმოცს გადაშორებული, შენ, ახალგაზრდა მორჩილს, რომ მამას გეძახი, არა მარტო შენი ეკლესიური ხარისხის გამო, იმიტომაც, რომ ჭეშმარიტად მამად მეკუთვნი. არ დაიჯერებ და შენ ჩემზე უფრო დიდხანს იცხოვრე ამ ქვეყანაზე. შენი ერთი დღეც კი დროის და ქიჩმაჩის ბორბალზე გამობმული ჩემი სიცოცხლის ნახევარზე მეტია. მე რომ შეუბრალებლად მიმარბენინებს წუთისოფელი, შენთვის დრო შეჩერებულია, მამაო. ალიონზე გაიღვიძებ, ილოცებ, გამოხვალ და ამ ქვაზე დაჯდები, ამ უდაბნოს გასცქერი, ერთნაირს და მკაცრად საშიშს, მაგრამ არა მოსაწყენს. აუ, რამდენი დრო გაქვს შენს თავთან დასარჩენად, შენს გულთან სალაპარაკოდ. ეს ხომ განუზომებლი ბედნიერებაა. რამდენი წელია აქა ხარ?

– შვიდი... მალე რვა გახდება.

– ესე იგი, მაინც ითვლი დროს. ამ რიარიას ვერც შენ წყდები მთლიანად.

– ეს ძალაუნებურად ხდება, პროფესორო.

– ბერს თუ მოწყენამ დარია ხელი, იგი ღვთის გზას არ უნდა შეუდგეს. მთელი სიცოცხლე მსურდა ღვთისმსახურის წონასწორობა განმეცადა, მაგრამ ვერ შევძელი, ძალა არ მეყო.

– ესეც უფლისგან არის, პროფესორო. ჩემს მდგომარეობას კაციშვილი ვერ დაიბრალებს. ძალა არ ეყოფა. მე, გითხრათ სიმართლე, სიყრმიდანვე ეკლესიური გახლდით, ღვთისმოშიშს რომ ეძახიან. ოცი წლის ვიყავი, დილით რომ გავიღვიძე და გადავწყვიტე, ამ ცხოვრებით უნდა მეცხოვრა. გადავწყვიტე და ერთი წამითაც არ მინანია. სინანულისგან ღმერთმა დამიფაროს.

– ხილვა გქონდა?

– არავითარი ხილვა არ მქონია. რაღაც შინაგანმა ხმამ ჩამძახა, რომ ეს იყო ჩემი მოწოდება. ღმერთს გარეთ ნუ ვეძებთ და სასწაულებს ნუ ველოდებით, ღმერთი თვითონ ჩვენშია.

– შენ, მამაო, ღმერთს ებარები, ღმერთს მიანდე სიცოცხლე და წუთისოფლის ჭირვეულობისგან თავის დახსნამ საოცარი შვება მოგგვარა. მე კი ათასი ძაფით ვარ მიბმული ჩემთვის დღემდე აუხსნელ სინამდვილეზე და თავის დახსნას ამაოდ ვცდილობ.

– მაგრამ ეს არჩევანი ხომ შენ გააკეთე. ჯაჭვიც შენ გამოჭედე საკუთარი ბორკილებისთვის.

– ახლა ძნელია იმაში გარკვევა, მსურდა თუ არა იმ არხში ჩავტეულიყავი, საიდანაც ამოსვლა ძალიან გამიჭირდებოდა.

– ვინ გაძალებდათ?

– ჩემი მოწოდება, სხვა არავინ.

– თუ ასეა, მაშინ არ უნდა ნანობდეთ, თქვენი გზასავალიც ხომ უფალმა განსაზღვრა.

– ჰო... მაგრამ ახლა, როცა ზღვარს მივუახლოვდი, რატომ მტანჯავს დაუკმაყოფილებლობის განცდა?

– დაუკმაყოფილებლობა ცხოვრების ორომტრიალში ჩართული მიწიერი კაცის მუდმივი თანამგზავრია, პროფესორო.

– მირაჟი, რომლისკენაც მთელი ცხოვრება მივისწრაფოდი, ერთბაშად გაქრა და ეს ერთი თვეა, რაც უმწეობის განცდა მაწამებს.

– მაინც რა იყო ის მირაჟი?

– მეგონა, რაღაცას შევცვლიდი. მეგონა, საქართველოს ვუშველიდი და ვერ ვუშველე, მეგონა, ჩემი აღზრდილების ერთ მუშტად შეკვრას მოვესწრებოდი, ვერ მოვესწარი. იცი შენ, მამაო, რა მტანჯველია შეგნება იმისა, რომ ამაოდ ვიცხოვრე?

– თუ თქვენი ნათქვამი თავმდაბლობით ნასაზრდოვები პოზა არ არის, გარწმუნებთ, რომ გადაჭარბებულია. თუ თქვენი ასი სტუდენტიდან, ერთი მაინც ადგას თქვენს მიერ ნაჩვენებ გზას, ჩათვალეთ, რომ ამაოდ არ გიცხოვრიათ. თუ თქვენი ასი წიგნიდან, ერთი მაინც უდევს წინ ახლა სოფლის მასწავლებელს და კითხულობს, რათა ხვალ მოწაფეთათვის გაკვეთილის ასახსნელად გამოადგეს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი მისია შესრულებული გაქვთ.

– თქვენ ასე უნდა მითხრათ, უნდა დამამშვიდოთ ერთი ბებერი პროფესორი, მაგრამ ამ ტვინს რა ჯანდაბა მოვუხერხო? იმ განგაშის ზარს რა ვუყო, გულში რომ რეკავს და არ მაძინებს?

– სიმშვიდეს ვერავითარი წამალი ვერ მოგგვრით. სიმშვიდე მხოლოდ ლოცვით მოგეახლებათ.

– ლოცვაც აღარ მშველის, მამაო, როგორც კი მოვრჩები ლოცვას და ქუჩაში გამოვალ, ყელში მწვდება ჭირვეულ მოქალაქეთა ყაყანი, შიმშილის შიშით გათანგულთა გნიასი და დაუკმაყოფილებლობის ყელშიმწვდომი ხელი. იცით რა მემართება? თითქოსდა ჩამწყვდეული ვარ ცხოვრების ცხრაკლიტულში. ყველაფერი მთრგუნავს, ყველაფერი სულს მიხუთავს. მინდა გავიქცე და ვერ გავრბივარ, მინდა მოვწყდე ყველაფერს და ვერ ვწყდები.

– თავს უნდა მოერიოთ, ასე გაგიჭირდებათ.

– იოლი სათქმელია. უსიამოვნობას შენთან რა უნდაო, წელან მეუბნებოდი. განა უსიამოვნობების ქარავანი არ არის მთელი ცხოვრება? იმედი... იმედი... აი, ახლა გვეღირსება ქართვლის ბედის ბორბლის წაღმა დატრიალება, მაგრამ სულ უკანუკან მიდის საქმე. მოვეშვათ მაღალ მატერიებს და ძირს ჩამოვხტეთ, უბრალო ინტელიგენტის ყოფასთან.

ამ ერთი თვის წინ, ლექციაზე მისული, კარისკაცმა უნივერსიტეტში არ შემიშვა.

წარმოგიდგენია? გზა გადამიღობეს იმ კედლებისკენ, სადაც სამოცდაათი წელი გავატარე.

სტუდენტები მელოდებიანმეთქი, ვეუბნები დაცვის ბიჭს.

არა, ბატონო ლევან, თქვენ სტუდენტები უკვე აღარ გელოდებიან, უნივერსიტეტიდან გათავისუფლებული ბრძანდებითო.

ვისი განკარგულებაამეთქი?

ვისი იქნება, რექტორ გია ხუბუას ბრძანებაა, რექტორს მინისტრმა კახა ლომაიამ დაავალა, ხოლო ლომაიას, თქვენ თვითონ მიხვდებით, სააკაშვილი დაავალებდაო.

დამარეკინეთ ერთი რექტორთანმეთქი, აცახცახებული შევედი დაცვის უფროსის კაბინეტში.

რექტორის თანაშემწემ ზრდილობიანად მიპასუხა, რექტორი დღეს ვერ მიგიღებთ, ბატონო ლევან, შეხვედრაზეაო.

ტელეფონზე მაინც დამელაპარაკოსმეთქი.

ერთი წუთით მოითმინეთო, – თანაშემწემ.

ერთი წუთის მერე, ვერც ტელეფონზე დაელაპარაკებითო. გარკვევით მითხრა.

კიბისკენ გავიწიე, რომელიმე პრორექტორთან ან დეკანთან მაინც შევალმეთქი.

არ გვაქვს უფლება უნივერსიტეტში თქვენი შეშვებისო, ლამის ხელით შემეხნენ.

ჩემი პროფესორის მოწმობა ჩემს თვალწინ გადახიეს და სანაგვე ყუთში ჩააგდეს.

ორიოდე წუთში კადრების განყოფილების ინსპექტორმა კარტოზიამ ჩამოირბინა, ხელკავი გამომდო და უნივერსიტეტის ბაღში გამიყვანა.

დამიწყო საუბარი, მაგრამ რა საუბარი, რომ იცოდე, უწინ „დამუშავებას“ რომ ეძახდნენ.

ბატონო ლევან, თქვენ ის კაცი არა ხართ, რომ ნიუანსებში გარკვევა გჭირდებოდეთო.

თქვენ მშვენივრად მიხვდებით, რაც ხდებაო.

ჩვენ შორის დარჩეს ეს ლაპარაკი და უნდა გითხრათ, რომ „ეროვნული ინტელიგენციის სამჭედლო“ აღარ არის უნივერსიტეტი, როგორც უფროსი თაობის პროფესორები აქამდე ეძახდითო.

გლობალიზაციამ და ბოლონიის პროცესმა აღარ დაისაჭიროვა უნივერსიტეტის სტუდენტებს ტვინს უბურღავდეთ დამოუკიდებელ საქართველოზე და ეროვნულგამათავისუფლებელ მოძრაობაზე საუბრითო... სპეცსემინარზე თქვენი ლექციები თავიდან ბოლომდეა ჩაწერილი და, როგორც ვიცი, სწორედ ეს გახდა საბაბი თქვენი გათავისუფლებისო. ბატონო ლევან, მამაშვილურად გთხოვთ, ჩემი სიტყვები წინ არ დამხვდეს, თორემ სამსახურიდან გამაგდებენო.

კადრების ინსპექტორთან კამათი არ დამიწყია.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო.

შევეცადე, სიბრაზისგან ტუჩი არ მომეკვნიტა.

– მე ორჯერ უკვე გამაგდეთმეთქი, გეთაყვა, უნივერსიტეტიდან, ერთხელ 1951 წელს უსამართლოდ გადასახლებულთა გამოქომაგებისთვის და მეორედ 1978 წელს ქართული ენის დაცვის მიტინგზე გამოსვლისთვისმეთქი, ახლა მესამეჯერ გადაგიწყვეტიათ ჩემი გაძევება. რა გაეწყობა, ნება თქვენია, წავალ, მაგრამ იმას ვდარდობ, რომ ამ მესამე დათხოვნას საბოლოო განაჩენის ძალა აქვს. მე უკვე წლები აღარ მეყოფა უკან მოსაბრუნებლადმეთქი. კიბეებთან სახელდახელოდ მოგროვილთაგან ვერც ერთის თვალებში სინანულის სევდა ვერ შევნიშნე. სწორედ ამან დამთრგუნა, თორემ განა არ ვიცოდი, რომ როცა იქნებოდა, უნდა წავსულიყავი.

– გისმენთ, ბატონო პროფესორო, და გულახდილად გეტყვით, გაზვიადების, გაფიცხების, ბუზის სპილოდ გადაქცევის მცდელობას გატყობთ.

– შენთვის ძნელი გასაგებია, გეთაყვა. მე ხომ მთელი სიცოცხლე უნივერსიტეტის კედლებში გავატარე. უნივერსიტეტი ჩემთვის მხოლოდ სამსახური როდი იყო. ჩამოვდიოდი იმ დღეს ვარაზისხევზე და ასე მეგონა, თითქოს ცა ჩამოიქცა. თითქოს წარღვნა მომდევდა ფეხდაფეხ და სადაცაა წამლეკავდა. ასე მგონია, იმ დღის შემდეგ მუდმივად უჰაერო ლიფტში ვზივარ, ლიფტი საეჭვოდ ძიგძიგებს და სადაცაა გაჩერდება. მხოლოდ დღეს, ფეხზე რომ გავიხადე და ამ აღმართს ამოვუყევი, ცოტა, სულ ცოტა შვება ვიგრძენი. ახლა ხომ ხვდები, რატომ გითხარი გეთაყვა, უბედნიერესი კაცი ხარმეთქი...

– თქვენი სასოწარკვეთა მხოლოდ ნაწილობრივაა ჩემთვის გასაგები, პროფესორო. იმდენი კითხვის ნიშანი ჩანს თქვენს ღაღადისში, რომ რჩევის მოცემაც კი მიჭირს. ერთი რამ კი ვიცი, ღმერთს იმედდაკარგულნი და მოწუწუნენი არ უყვარს.

– მე რჩევას უკვე ვეღარავინ მომცემს, რჩევის ასაკიდან გამოსული ვარ. ნეტავი შენ... მე უკვე იმ ზღვარს ვუახლოვდები, როცა ცოდვასა და არცოდვას შორის განსხვავებას დროის უზარმაზარი ტალღა წალეკვით ემუქრება. გადარჩენის შანსი მხოლოდ თქვენთვის, ახალგაზრდებისთვის არსებობს. დიაღაც, რომ „ნეტარ არიან მორწმუნენი“. ილოცე ჩემი ტანჯული სულისთვის, მამაო.

მორჩილმა სულიერი სიმშვიდე და ღვთიურ ფიქრთა მოკრება უსურვა.

– დიდი მადლობა კეთილი სურვილისთვის, მამაო, ოღონდ ჩემს სასოწარკვეთას ოდენ უნივერსიტეტიდან გაგდება როდი ასაზრდოვებს. მე ვინ ოხერი ვარ, როცა, როგორც მოგახსენეთ,

ივანე ჯავახიშვილი დაითხოვეს უბოდიშოდ ტუტუცმა ბოლშევიკებმა, მე უფრო მეტად, იცი, რამ დამთრგუნა და საბოლოოდ გამიტეხა გული?

– რამ?

– ჩემი სტუდენტებიდან და სტუდენტს რომ თავი გავანებოთ, ჩემი ასპირანტდოქტორანტებიდან და კოლეგა პროფესორებიდან ერთიც არ აღმოჩნდა, რომ გამომქომაგებოდა.

ერთმაც არ ჩაილაპარაკა, ასეთი რა დააშავა ბატონმა ლევანმაო. ახლა ხომ არ არის ის დრო, რომ გამოქომაგებისთვის ციხეში გზავნიდნენ. ჩანს, ჩემი ბრალია, ჩემი სამოცდაათწლოვანი მათთან ყოფნით, ჩანს, თავი ვერ შევაყვარე.

– ეგ კია ცოტა დამაფიქრებელი, ბატონო პროფესორო, – მორჩილმა გარდაბნის თაგვისფერ გორაკებს გახედა, – თუმცა ასე მკაცრადაც ნუ განსჯით თქვენს კოლეგებს. ყველა თავის ტყავს უფრთხილდება. იფიქრეს ალბათ, ჩვენ ამ პროტესტით ბატონ ლევანს ვერას ვუშველით და, ვაითუ, არამკითხე მამიდობის გამო მის გზას გაგვიყენონო.

– არ ვიცი, არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში მე ესოდენ უმადურად არ მოვიქცეოდი. კარგი, დავანებოთ ამას თავი, მამაო, მე უკვე დაქცეული უნივერსიტეტის ნანგრევებში მოვყევი და ვეღარაფერი მიშველის, შენთან სხვა სათხოვარი მაქვს.

პროფესორმა ხელჩანთიდან ნეილონის ძაფით გულდაგულ შეკრული საქაღალდე ამოიღო.

– მამაო, შენ იცი, უნივერსიტეტში მე ისტორიას ვასწავლიდი. ამ რომანსაც ისტორიკოსის ხელწერის ელფერი დაჰკრავს. შეიძლება ითქვას, ნაწყვეტნაწყვეტად, ამ წიგნს მთელი სიცოცხლის მანძილზე ვწერდი, არა, მე მწერალი არ გახლავარ და ვერც გავბედავდი ჩემი ნააზრევის გამომცემლობებში მიტანას. ვწერდი ისე... ჩემთვის... რომანი, თუ ამ ნაცოდვილარს „რომანს“ დავარქმევთ, სამ დროს შეეხება: წარსულს, აწმყოს, და მომავალს. ამიტომაც ვცდილობდი, როგორც ისტორიკოსს, ისეთ მოვლენებზე გამემახვილებინა ყურადღება, რასაც მეცნიერის თუ მწერლის კალამი ჯერ არ შეხებია. ვეცადე მეპოვა პასუხი კითხვაზე: რა უყო ულმობელმა ჟამმა ქართველს. ესაა სულ. გიტოვებ ამ წიგნს და ეცადე წაიკითხო, სხვას არას გთხოვ. ორი თვის შემდეგ მოგაკითხავ და წავიღებ. თუ მოსვლა დამიგვიანდეს, შენთან იყოს. იცოდე, სულმა არ წაგძლიოს და გამოსაქვეყნებლად არსად მიიტანო. დაბეჭდვა რომ მდომოდა, ამაზე თვითონ ვიზრუნებდი.

– როგორც მიბრძანებთ, ბატონო პროფესორო. მორჩილმა საქაღალდე გამოართვა და იქვე, ქვის სავარ

ძელზე დადო. – აბა, მომავალ შეხვედრამდე, მამაო. – ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ბატონო პროფესორო. პროფესორმა თითქოს მძიმე რამ ტვირთი მოეხსნაო,

დაღმართი მხნე ნაბიჯებით, მაგრამ მაინც ჩაიბებრულყუნ

ცულა. ბილიკი რომ ჩაათავა, შეჩერდა და მორჩილს ხელი დაუქნია. მორჩილი საყდარში შებრუნდა. პირჯვარი გადაიწერა. ხელნაწერი საკურთხეველთან, პატარა ტაბლაზე გაშალა,

სათვალე მოირგო და კითხვას შეუდგა.

პირველი ნაწილი

არჩევანი

ბატონო სტუდენტებო

როგორც დაგპირდით, მე თქვენ გიამბობთ საქართველოს ამ ბოლო სამი საუკუნის ისტორიას და შევეცდები თვალი გაგადევნებინოთ იმ სახეცვლილებებისთვის, რაც ქართველი კაცის ბუნებამ განიცადა. ჩვეულებრივი ლექციისგან განსხვავებულ ერთ ექსპერიმენტს გთავაზობთ. თავს ნება მივეცი, რასაკვირველია, თუ თქვენი თანხმობა იქნება, წარმოგიდგინოთ ამ პერიოდის მხატვრული მატიანე. ოღონდ, რასაც გიამბობთ, ცალ-ცალკე ისტორიულ მოვლენათა კალეიდოსკოპი კი არა, ერთმანეთზე მყარად გადაჯაჭვული და ერთმანეთიდან გამომდინარე ამბები იქნება.

ასე რომ, თუ ამ ჯაჭვის ერთი რგოლი მაინც გამოგრჩათ, ესე იგი, თუნდაც ერთი ლექცია თუ გამიცდინეთ, ამ ნაწარმოებებს შორის კომპოზიციური კავშირის აღდგენა გაგიჭირდებათ.

მაშ ასე, ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ საქმეს.

მოგეხსენებათ, მონღოლებისგან გათელილი და თურქსპარსთა შემოსევებისგან გაწამებული, ფაქ-

ტობრივად სამთავროებად დაშლილი საქართველოსთვის რა ძნელი იყო თავშესაფარებელი სივრცის ძიება.

რა დასამალია, ჩვენმა მეფეებმა ჩრდილოეთს მიაპყრეს მზერა, თუმცა იმპერიული ცბიერება და ამპარტავნობა იმთავითვე საცნაური გახდა და ამ ნოველით შევეცადე მეჩვენებინა, რა პასუხი გასცა ვირეშმაკობას საქართველოს ძირძველმა კუთხემ, სამეგრელომ.

***

1636 წლის 3 ივლისი.

ცაიშის სამეფო სასახლე.

მესამე თვე დაიწყო, ციდან წვეთი არ ჩამოვარდნილა.

სამეგრელოს ასეთი რამ არ ახსოვს.

სიცხითა და ნესტით შეზავებული ჰაერი სუნთქვას აძნელებს.

ჩხოუშიას დამშრალ კალაპოტში, თხმელების ჩრდილში, ყრია სამეფო ნახირი და ენაგადმოგდებული ქელავს.

მეფე ლევან მეორე ნასადილევს აივანზე გამოვიდა, მაგრამ ჭრიჭინობელების გულისწამღებმა ჭრიჭინმა ისევ უკან შეაბრუნა.

საღამოისპირს კარის ეკლესიის მღვდელი გაბრიელი იხმო.

ახოვანი, ცისფერთვალა, ფერფლისფერ თმაწვეროსანი გაბრიელი საკურთხეველთან ფუსფუსებდა.

მეფე გეძახისო რომ მოახსენეს, ანაფორა სწრაფად გადაიცვა, ჯვარი ჩამოიკიდა, წერი თითებით ჩამოივარცხნა და სასახლისკენ ჩქარი ნაბიჯით გამოემართა.

მიდიოდა წელში ოდნავ წახრილი. მარცხენა ხელით ჯვარს იჭერდა, მარჯვენას ნაბიჯსმიყოლილად აქანავებდა.

მეფე სასახლის ტალანში მიმოდიოდა.

ჯერ მხარზე ეამბორა ხუცესს, მერე მის მიერ გამოწვდილ ჯვარს ემთხვია, თქვენი ლოცვა-კურთხევა ღმერთმა ნუ მოგვიშალოსო, მუხის მამაპაპურ ფართო ტახტზე მიუთითა. თვითონაც გვერდით მიუჯდა.

– ძნელ საქმეზე გიხმე, მამაო.

მღვდელი სმენად იქცა.

– რა დღეშიცაა საქრისტიანო, შენც კარგად ხედავ. თურქეთი ჩაყლაპვას გვიპირებს.

– ჩაყლაპული არ ვყავართ? დღე არ გავა ფოთის შემოგარენს არ დაეცნენ. სოფლები არ დაარბიონ და დედაწულიან საქონლიანად გაირეკონ. ამ ბოლო დროს ძველი ჭირი გაგვიახლდა: ჩრდილოეთიდან აფსუ

– თუ არ გამოვიდა?

– ღმერთი არ გაგვწირავს, მამაო.

– როდის მიბრძანებთ წასვლას?

– წერილებს მოვამზადებ, სამგზავრო ხაზირს შეუდექი და, ღვთის შეწევნით, არა უგვიანეს ათი დღისა უნდა გაემგზავრო.

გაბრიელ მღვდელი, თითქოს საფეხურებს ითვლისო, ნელა დაეშვა სასახლის კიბეზე.

ეკლესიისკენ რომ მიაბიჯებდა, ორივე ხელს მიიქნევდა, თან რაღაცას ბუტბუტებდა.

შემოდგომის თრიმლისფერი წვერის ქვემოთ ვერცხლის ჯვარი ერწეოდა.

მამა გაბრიელი ხვდებოდა, თუ რისთვის აგზავნიდა ლევან მეორე რუსეთში სწორედ მართლმადიდებელ მღვდელს და არა ხელმწიფის კარის რომელიმე წარჩინებულს.

***

ელჩი გაბრიელ მღვდელი და მისი თანმხლები პეტკა რუსეთისაკენ 1636 წლის 15 ივლისს გაემგზავრნენ.

ჯვარს რომ გაცდნენ, სვანების ხელში აღმოჩნდნენ.

სამი დღეღამე დაჰყვეს სვანეთში.

სვანებმა ლევან მეფის წარგზავნილებს გულუხვად უმასპინძლეს და ყაბარდომდე მიაცილეს.

აწ უკვე „დიდი რუსეთის მიწაზე“ მყოფი ელჩი 11 აგვისტოს თერგის ციხესიმაგრეში მიიყვანეს. მზე გორებს ისის იყო მიეფარა, რომ გაბრიელი თერგის ვოევოდას წინ იჯდა.

ვოევოდამ დაწვრილებით გამოჰკითხა, ვინ იყო და სად მიდიოდა.

რომ გაიგო, სამეგრელოს ელჩი გახლდათ, ელჩობის დამადასტურებელ სიგელგუჯრებს გადაავლო თვალი და ჰკითხა: – მიხეილ თევდორესძესთან შენმა პატრონმა წერილთხოვნა თუ გაგატანაო.

დიაღაც, ლევან მეფის უსტარი უბეში მაქვს, მაგრამ, ბრძანების თანახმად, პირადად ხელმწიფეს უნდა გადავცეო.

გვაჩვენეთ, გადავხედავთ და დაგიბრუნებთო, ვოევოდამ.

ელჩმა ყოყმანის შემდეგ ჯიუტ ვოევოდას გრაგნილი გაუწოდა.

ვოევოდამ ფირმანი გაშალა, მაგრამ ვერაფერი გაუგო.

წერილი ბერძნულქართულად იყო შედგენილი.

თქვენ სანამ ივახშმებთ, წერილის შინაარს ჩემი ბერძენი თარჯიმანი გამაცნობს და, ფიქრი ნუ გაქვთ, ორ საათში ბარათი ხელთ გექნებათო, წინდახედულმა ვოევოდამ.

სამეგრელოს მეფის უსტარი საიდუმლოდ, სწრაფად გადაწერეს და რუსთხელმწიფეს აახლეს.

დაახლოებით ოც დღეში ხელმწიფემ წერილი მიიღო.

წაიკითხა და გაეცინა. სათათბიროს დიაკ ლიხაჩევს უხმო:

– ეს მერვე წერილია საქართველოდან. შვიდი სხვადასხვა მთავარი მწერს თითქმის ერთნაირად: – გინდა თუ არა, მე ვარ სრულიად საქართველოს მეფე და რუსეთმა თავის მფარველობაში მიმიღოსო.

გაარკვიე ერთი, თუ კაცი ხარ, ვინ არის ეს ლევან დადიანი, რა აღმსარებლობისაა, მართლა არის თუ არა, როგორც თვითონ მწერს: „ხელმწიფეთა ხელმწიფე დადიანი ლეონ, ყოვლისა საქართველოთა პატრონი“. რა დამოკიდებულება აქვს თურქეთთან და ირანთან. არის თუ არა ჩვენთვის ხელსაყრელი მასთან მეგობრობა.

რა უბედურებაა, მუჭისხელა საქართველოს შვიდი მეფე.

„პუსკაი, რაზბერუტსა სამი“, რაც შეიძლება, ჩქარა დამიდგინე სიმართლე და მომახსენეო.

ლიხაჩევმა „შვიდთა იყლიმთა“ მეფეთგან მაშინ მოსკოვში მყოფი ერთერთი მეფის ელჩი დაიბარა და ჰკითხა, მიხეილ თევდორესძემ სამეგრელოს მეფის ლევან დადიანის წერილი მიიღო რუსეთის მფარველობის თხოვნით და ხელმწიფეს აინტერესებს, ვინ არის ლევან მეორე და საერთოდ რას წარმოადგენს სამეგრელოო.

ელჩმა იცოდა რა თავისი პატრონის დამოკიდებულება ლევან დადიანის მიმართ, შეფასება თავის თავზე აიღო და მტრისას, მან რომ სამეგრელო და მისი მეფე დაახასიათა:

სამეგრელო შავი ზღვის პირას მდებარეობს. იქ ნახევრად ველური ტომები ცხოვრობენო. ასე გასინჯეთ, ამასწინათ თქვენს მიერ ხსენებულმა ლევან დადიანმა თავისი ცოლი სიკვდილით დასაჯა, თავის სიძეს თვალები დასთხარა, ბიძამისს თავი მოჰკვეთა და მისი ქვრივი ცოლად დაის-

ვაო. მეგრელებს ფული არა აქვთ. შიშვლები დადიან, მარტო სასირცხო ადგილებს იფარავენ. პურზე წარმოდგენა არა აქვთ, მარტოოდენ ფეტვის ფაფას ჭამენო. არ დაუჯეროთ, არ ენდოთ ლევან დადიანს, იგი ქრისტიანი არ გახლავთ. პირიქით, ქრისტიანების დაუძინებელი მტერიაო. მას არც ფიცი დაეჯერება და არც მტკიცი. ცდილობს წაგვკიდოს ერთმანეთს და სიფრთხილე გამოიჩინეთო.

მიხეილ თევდორესძემ, როგორც ჩანს, ბოლომდე არც „მის კეთილისმსურველ ელჩს“ დაუჯერა.

ჯერჯერობით სამეგრელოს ელჩის მიღებისაგან თავი შევიკავოთ. იყოს იქ, სადაც არის, არ აგრძნობინოთ, რომ მე მისი მეფის თხოვნას უკვე გავეცანიო.

თავის მხრივ მოწყალე რუსთხელმწიფემ საქართველოს ელჩს გაბრიელს დაუნიშნა: „დღეში ოთხი ალტინის საჭმელი, ხუთი თასი ღვინო და ნახევარი ვედრო თაფლი“.

ამდენი თაფლი რად უნდოდა?

თერგის ციხესიმაგრეში სამეგრელოს ელჩმა ორი მტანჯველი მოლოდინით სავსე წელი გაატარა.

1638 წლის ნოემბერში გაბრიელ ელჩი მოსკოვში ჩაიყვანეს.

ხელმწიფის თაფლღვინისგან ფრიად ნაპატივები, იგი ამის შემდეგ თითქმის ერთი წელი კიდევ აყურყუტეს ხელმწიფის კარზე და 1639 წლის 24 მაისს, როგორ იქნა, მიიღო მიხეილ თევდორეს ძემ.

რუსთხელმწიფეს და მის მრჩევლებს ლიხაჩოვს და დეკანოზ ნიკიტას თავი ისე ეჭირათ, თითქოს სამეგრელოს არსებობა და მისი ელჩის ჩამობრძანება დღეს პირველად გაიგეს და თითქოს სამწლიანი აბუჩადამგდები ლოდინი მათი მოწყობილი არ იყო.

გადაწყდა, 30 მაისს გაბრიელი რუსეთის მეფის წარმომადგენელთა თანხლებით საქართველოში დაბრუნებულიყო სამეგრელოში რუსული ნიადაგის მოსასინჯად.

იმის მიხედვით, თუ რა ამბავს ჩამოიტანდა რუსული ელჩობა, გადაწყდებოდა რუსეთის მფარველობაში სამეგრელოს მიღების საკითხი.

ვინ იყვნენ გაბრიელის და პეტკას თანმხლები რუსთხელმწიფის წარმომადგენლები, ვისაც სამეგრელოს ბედი უნდა გადაეწყვიტა?

ესენი იყვნენ: თათრული ენის თარჯიმანი, წერაკითხვის უცოდინარი თევდორე ელჩინი, მღვდელი პავლე ზახარიევი, თარჯიმანი ოსიპი და მსახური ფედკა ბაჟენოვი.

რუსეთის ელჩებს თან მოჰქონდათ ფიცის წიგნი. მთავარი დოკუმენტი, რომლითაც ლევან მეორეს საჯარო ფიცით რუსეთის სამუდამო ერთგულება უნდა დაემტკიცებინა.

***

1639 წლის 2 ივნისს ქართულრუსული გაერთიანებული ელჩობა საქართველოს გზას დაადგა.

უკანაც იმავე გზით წამოვიდნენ.

თევდორე ელჩინი, რაც მოსკოვს გამოშორდნენ, გზაში არ გამოფხიზლებულა.

ელჩინმა, ფედკა ბაჟენოვმა, თარჯიმანმა ოსიპმა და პეტკამ თვენახევრის მგზავრობისთვის გათვალისწინებულ არყის მთელ მარაგს ერთ კვირაში მოუღეს ბოლო.

რიაზანს რომ გამოცდნენ, ელჩინს თეთრი ხურვება მოერია და პურის ყანებში რუსის ქალებს ტოლჩით ხელში დასდევდა.

ფაშფაშა რუსის გოგოებს თავიდან მოარშიყე კაცი ეგონათ და ნაზი კისკისით, არც თუ ჩქარა გაურბოდნენ, მაგრამ როცა შეიტყობდნენ, რომ ხელმწიფის ელჩს ძნებზე კოტრიალი კი არა, არაყი აინტერესებდა, სათოფეზეც არ იკარებდნენ.

მამა გაბრიელი და მღვდელი პავლე ზახარიევი არ სვამდნენ.

პავლე გაუთავებლად ლანძღავდა დელეგაციის ხელმძღვანელს და ხელმწიფესთან დასმენით ემუქრებოდა.

ფრჩხილებიანად გალეშილ თევდორეს ზახარიევის შეგონებანი ფეხებზე ეკიდა.

წამდაუწუმ სამი თითის კომბინაციას უტრიალებდა ცხვირწინ სასოწარკვეთილ ღვთის მსახურს და გაპარსვით აშინებდა.

თერგის ციხესიმაგრეს რომ მოაღწიეს, ზახარიევი ვოევოდას მიეჭრა და ელჩინის ლოთობაზე ყველაფერი უამბო, მაგრამ ვოევოდას დამსმენის შეძრწუნება წამითაც არ გაუზიარებია.

ეგ რა სამხილია, ჩვენთან მეფის ხუთასი ერთგული ჯარისკაცი დგას და ხუთასივე სვამსო.

კი მაგრამ, მე რა დავაშავე, მე რა ვქნაო, ცრემლი ამოაყოლა კითხვას პავლე ზახარიევმა.

– თქვენც უნდა დალიოთ, მამაო, – ისე სერიოზულად ურჩია ელჩს ვოევოდამ, რომ მასთან კამათს აზრი აღარ ჰქონდა.

თერგში ორი კვირა დაჰყვეს.

ერთხელ დილით თევდორემ ფედკა ბაჟენოვს და ოსიპს ოთხი ტომარა სიასამურის ქურქი აჰკიდა და დაღმა, ბერძნული დასახლებისკენ ხელჯოხის კაკუნით გაუძღვა.

საღამოს დაბრუნდა, მაგრამ ვაი ამ დაბრუნებას.

სახეწაშლილ ელჩს უკან თერგის სასულე ორკესტრი მოჰყვებოდა. „კალინ კამალინ კამალინ კამაია!“ გუგუნებდა ორკესტრი. მთვრალი ჯარისკაცების ოცეული ტაშითა და ბრაციბრუცით გარს უვლიდა თევდორეს. ელჩინს ცეკვის თავი აღარ ჰქონდა. იგი შიგადაშიგ „ჰოპ, ჰოპს“ შესძახებდა და მისი ჭკუით ორკესტრს დირიჟორობდა.

სამმა ჯარისკაცმა არყით სავსე უზარმაზარი ბოცები შემოიტანა და ელჩის საწოლ ოთახში ბუხართან ისე ფრთხილად დააწყო, რამდენადაც მათი სიმთვრალე ამის საშუალებას მისცემდა.

დილით პავლე ზახარიევის ყვირილმა თერგის ღრიალს გადააჭარბა.

– ეს რას მოვესწარი! სირცხვილს სად წაუვალთ! ხელმწიფის მიერ სამეგრელოს მთავართათვის საჩუქრად გამოგზავნილი სიასამურის 40 ბეწვი არაყში გადაუცვლია ამ უსინდისოს! – ყვიროდა, მოთქვამდა პავლე ზახარიევი.

– რა გაღრიალებს, შენ ვინ გკითხავს და საერთოდ... შენ ვინა ხარ. მე ხელმწიფის ელჩი ვარ და რასაც მინდა, იმას ვიზამ, – ხმის აუწევლად უხსნიდა თევდორე.

– მაშ, მე ვინა ვარ?! – თერგის ციხესიმაგრის ფხიზელი უმცირესობის გასაგონად კითხულობდა პავლე.

– შენ მღვდელი ხარ. შენი თავი იმისთვის გამომაყოლეს, რომ ჩემზე ილოცო, რათა მე, ხელმწიფის ელჩი, კარგად ვიყო, მორჩა და გათავდა, მორჩა და გათავდა... მორჩა და გათავდა... – თანდათანობით თვლემა მოერია ელჩინს და თავი ჩაჰკიდა.

ზახარიევს ნერვებმა უმტყუნა.ბეჭებში ხელი ჩაავლო თევდორეს და მთელი ძალით შეანჯღრია.

– შენ! შენ! ნაციის სირცხვილი ხარ! წყეულო ლოთო! დავბრუნდებით მოსკოვში და გიჩვენებ სეირს! – მაგრამ ეს მახვილისმსგავსი სიტყვები ელჩინს აღარ გაუგონია, მას გულიანად ეძინა.

გაბრიელი რუსი ელჩების ჩხუბში არ ერეოდა. ეგ იყო, თევდორეს „კონცერტებზე“ გულიანად იცინოდა და, ღმერთო, შეგცოდე, არც მოჩხუბარი მამლებივით ურთიერთდაქინჩებულთა გაზავებაზე გამოუდვია თავი.

ჯვარში, როგორც იქნა, ჩამოაღწიეს.

მამა გაბრიელმა ელჩობა ადგილობრივ აზნაურს, ხარბედიას ჩააბარა. ერთი კვირით შემინახე ეს „პატიოსანი“ გვამები და ერთი კვირის მერე ლევან მეფის გამოგზავნილები წაიყვანენო.

თვალებდაბერილ და ცხვირბადრიჯანა ელჩინს დაუბარა: მე დავწინაურდები, აქედან ფეხი არ მოიცვალოთ, მეფესთან თქვენი მიღების თარიღს შევათანხმებ და დავბრუნდებიო.

მეტი არ იქნა ჩემი მტერი, მე თქვენთან აღარ დავბრუნდეო, – გულში თქვა მამა გაბრიელმა და მართლაც აღარ დაბრუნებულა.

პეტკა სტუმრებს შეატოვა, ხარბედიას ძმა იმეგზურა და მეორე დღეს, შუადღისას, ელჩი ცაიშის სასახლის კიბეზე ადიოდა.

ლევან მეორეს ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

ორი წელი თერგის ციხესიმაგრეში ფაქტიურ შინაპატიმრობაში ვყავდით. მერე, როგორც იქნა, მოსკოვში ჩამიყვანეს და იქ რვამეტრიან სასტუმრო საკანში თითქმის ერთი წელი ხელმწიფესთან შეხვედრის მოლოდინში წინდაუკან დავდიოდი გალიის მგელივითო.

მიხეილ თევდორეს ძეს მიღებაზე ჩემთვის სიტყვა არ უთქვამს. მისმა დიაკებმა წაიკითხეს თქვენი წერილი და შეხვედრა ამით დამთავრდაო.

ერთი კვირის თავზე გამომიცხადეს, რომ ხელმწიფემ თქვენი თხოვნა შეიწყნარა, მაგრამ საქმის დასაწყებად სამეგრელოს მეფის ფიცია საჭირო, რასაც ჩვენს „ღირსეულ“ ელჩებს ვატანთო. ელჩები კი მართლაც, რომ „სარიკო“ გახლავან.

მთავარი ელჩი თევდორე მოთავებული ლოთია, წერაკითხვა არ იცის. მეორე ელჩი ერთი გამოჩერჩეტებული მღვდელია. დღეღამ რუსეთის ძლიერებაზე და პატარა ხალხებისადმი რუსთხელმწიფის მამურ მზრუნველობაზე ლაყბობს. მოკლედ, ორივენი ტყემალზე სხედან. არც ის

იციან, რომ ჩვენ ქართველები ვართ და არც ის, რომ თქვენში ბაგრატიონთა სისხლი ჩქეფს. თერგში და მოსკოვში გული გამიწყალეს იმის გამოძიებით, ნამდვილად ქრისტიანი მღვდელი ვიყავი მე თუ ანაფორაგადაცმული თხა.

ლევან მეორემ ყურადღებით მოუსმინა მამა გაბრიელს. თუმცა უკვე ისედაც ყველაფერი იცოდა.

მამაო, შენ ცოტა დაისვენე და შენს წმინდა საქმეს შეუდექ. აწი მე ვიცი, რას ვიზამ. რუსეთს, როგორც ჩანს, ჩვენ მართლა ველურები ვგონივართ. „ძვირფას სტუმრებს“ მასპინძლებად ჩემს კაცებს მივუჩენ და მთელ სამეგრელოს შემოვატარებ. ნახონ რანაირი ხალხი და რანაირი ქრისტიანები ვართ, რაც შეეხება მიღებას, ჯერ არაფერი საჩქარო არ არის. შენ სამი წელი გალოდინეს და ამათაც ცოტა ხანს მომიცადონ, არაფერი დაშავდება.

***

ჯვარიდან დაიწყო რუსული ელჩობის მოგზაურობა მთელს სამეგრელოში.

სანამ მეფის კაცები მოვიდოდნენ, თევდორე და პავლე მღვდელი კიდევ ერთხელ შეებნენ ერთმანეთს.

წინა ღამით გემრიელად გამობრუჟული და „პახმელიით“ გამწარებული ელჩინი სისხამ დილით მამა პავლეს წაადგა თავზე.

პავლე უფარდაგო მაგიდაზე წახრილიყო და წერდა.

– რას წერ?! – დაინტერესდა „მთავარი ელჩი“. მამა პავლემ ხმა არ გასცა.

– რას წერმეთქი, მე შენ გელაპარაკები!? – გაუმეორა თევდორემ.

– რას ვწერ და რაც მევალება, – მიუგო ზახარიევმა.

– მერედა ვინ დაგავალა წერეო. მე ვიცი შენ რასაც წერ. კარგად გიცნობ, რა გაიძვერაც ხარ. აქ მე ვარ მთავარი და მხოლოდ მე უნდა ვწერდე! – ეს ბოლო სიტყვები ელჩინმა ხაზგასმული ამპარტავნობით წარმოსთქვა.

– შენ რომ წერაკითხვა არ იცი? – მამა პავლეს მიერ ნიშნისმოგებით ნათქვამი ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა მთავარი ელჩის გასაგიჟებლად.

მიეჭრა „მწერალს“, სკამს ფეხი წამოჰკრა და კინაღამ წაიქცა, მაგრამ საწოლის თავს ჩაებღაუჭა და თავი შეიმაგრა. სამელნეს ხელი სტაცა და ღია ფანჯარაში მოისროლა, მღვდელს ბატის ფრთები გადაუმტვრია და ისინიც სამელნეს მიაყოლა. ნაწერები ჩაბღუჯა, მაგრად მოჭმუჭნა, მერე გაშალა და ზახარიევს თავზე გადაახია.

– აი, ასე, აი, ასე... ასე გინდა შენ. არ დავინახო, რომ წერდე, თორემ ჩემი ხელით გაგპარსავ, შე ეშმაკის მოციქულო!

გასვლისას სკამს ფეხი ისევ წაჰკრა და კარი გაიჯახუნა.

იმ წუთში თევდორეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ უკან დაბრუნებისას ასტრახანიდან მოსკოვისკენ მიმავალ გემში მამა პავლეს არ აუშვებდა.

პავლე ზახარიევს ხმა არ ამოუღია.

იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე.

ხუთი თვის განმავლობაში ლამის მთელი სამეგრელო მოიარეს.

პირველ რიგში, ეკლესიამონასტრებს მიაყენებდნენ მასპინძლები და აიძულებდნენ რუსებს წირვალოცვანი თუ ნათლიღებაპარაკლისები ბოლომდე მოესმინათ.

იყვნენ ბიჭვინთაში, დრანდაში, მოქვში, ბედიაში, ილორში, ზუგდიდში, გალში, წალენჯიხაში, ხობში, მარტვილში, ნოქალაქევში, თამაკონში, სალხინოში...

დავიღალე, აგერ ცაცხვის ძირში ჩამოვჯდებიო, დაიჩივლებდა თევდორე ელჩინი, მაგრამ ლევან დადიანის კაცები ამ „ფუფუნების“ უფლებას არ აძლევდნენ; ნაბრძანები გვაქვს, წირვას თავიდან ბოლომდე უნდა დაესწროთო.

რუსეთის ელჩს მონასტრების ნახვისას დღითიდღე ნერვიული თრთოლვა იპყრობდა. ნახევრად მთვრალი ირწეოდა ფრესკების წინ და ბუტბუტებდა.

– ჩორტ ვას პაბერი... მეუბნებოდნენ, ველურები არიანო... ველურები არიანო, მეუბნებოდნენ...

ნატრაპეზევს, სანამ გონებაზე საბოლოოდ გადაივლებდა არაყს და სიტყვების წარმოთქმა ჯერ კიდევ შეეძლო, ოსიპს დასვამდა და იმ დღის შთაბეჭდილებებს კარნახობდა.

ოსიპი მთავარი ელჩის ნათქვამს სიტყვასიტყვით იწერდა. ამიტომაც ხელმწიფისთვის წარდგე-

ნილ ელჩინის ხელმოწერილ ანგარიშში უხვადაა ქართული ტოპონიმების თევდორესეული „თარგმანები“: „ცენაჟიგა“ (წალენჯიხა), „მირტლი“ (მარტვილი“), „ბინჩევო“ (ბიჭვინთა), „დარდარან“ (დრანდა), „კახლინ“ (სალხინო) და ა. შ.

დიდი რუსეთის ბრწყინვალე ელჩს, ვიღას დავუმალო, ეკლესიამონასტრებში ფეხზე ჩამოწყვეტაზე (როგორც თვითონ ამბობდა) უფრო მეტად ქართული სტუმართმოყვარეობა იზიდავდა.

მეგრული პურმარილით დატვირთულ სუფრაზე იგი უფრო ლაღად და შინაურულად გრძნობდა თავს.

ერთხელ სოფელ ლეჯიჯეში ჯგირკოჩა მახუტიას ოჯახში ყოფნისას ძვირფასი სტუმარი ოჯალეშით ისე გაილეშა, რომ ჯგირკოჩას ცოლს წაეპოტინა, სწორედ მაშინ, როცა დიასახლისმა კეცზე შემწვარი ვარიები შემოიტანა. დააყენა ოთახის შუაგულში და ხელები გააშლევინა, თვითონ უკან დაიხია და ტაში დასცხო.

– რა უნდა ამ შეჩვენებულს?! – ხელები ჩამოუშვა და ქმარს უმწეოდ შეხედა ცოლმა.

– იცეკვოსო, – ჯგირკოჩამ.

– ხომ არ გაგიჟდა, ეს უპატრონო.

– ტანცუი! ტებე გავარიატ!

ყვიროდა და ტაშს უკრავდა ელჩი.

– იცეკვე, ქალო, ხენწიპას კაცია, არ აწყენიო, თვარა დადიანს ეტყვის! – დაუთმო ჯგირკოჩამ ახირებულ სტუმარს, მაგიდაზე ხელები აათამაშა და დაიმღერა:

„ქოსხაპი, ქოსხაპი, დოფიგურე,

ეჯგუა სხაპუა სო დიგურე“.

– ვოტ ტაკ! ვოტ ტაკ! – ზეიმობდა თევდორე და თვითონაც ბუქნავდა.

სათითაოდ ჩამოუარა ბუხართან ჩამწკრივებულ ჯგირკოჩას შვილებს; თექვსმეტი წლის გოგოს და თორმეტი წლის თავბურძგლა ბიჭს. გამოჰყავდა და აიძულებდა ეცეკვათ.

– ა, ტი პაჩემუ ნე ტანცუეშ, სტარაია ვედმა?!

ხელი სტაცა ჯგირკოჩას სიდედრს, მაგრამ დედაბერი გაუსხლტა და ღია კარებში თავისი ასაკისთვის სრულიად შეუფერებელი სისწრაფით გაუჩინარდა.

– გოსკაპ! გოსკაპ! დავაიტე ჟივეე! ჟივეე, ვამ გავარიატ!

ყვიროდა და ბუქნავდა თევდორე.

მოცეკვავენი მოწყენილი სახეებით როკავდნენ.

ჯგირკოჩა ტემპს რომ შეანელებდა და ცეკვას დასასრულისკენ წაიყვანდა, ელჩი მივარდებოდა და თითს უქნევდა.

– ნე სმეი! იგრაი! იგრაი! ტებე გავარიატ!

***

სამი წელი არა, მაგრამ ხუთი თვე ალოდინა რუსი ელჩები ლევან მეორემ და ბოლოს, 1640 წლის 27 აპრილს მიიღო.

წინადღით მეფემ კიდევ ერთხელ მოიწვია გაბრიელ მღვდელი.

– ბევრი ვიფიქრე, მამაო, და ამათ საქციელსაც რომ დავაკვირდი, ასეთი აზრი გამოვიტანე, ხომ არ ვიჩქარეთმეთქი რუსთხელმწიფისთვის თხოვნააჯის გაგზავნა მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ. რუსები ჩვენ არ დაგვიცავენ. ესენი ჩვენს პატრონად ვერ გამოდგებიან, ისე ვატყობ მე. ჩვენზე ადრე შეჰფიცეს ერთგულება კახელებმა, მაგრამ რაი მერე? თეიმურაზ პირველი უილაჯოდ, დაუცველი დადის და როგორც შველს მონადირე, ისე დასდევს სპარსეთის შაჰი. ერთგულების ფიცმა შეინირა კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე და რა დღეც დაადგა უფლისწულ გიორგის, შენც კარგად იცი. იმერეთმაც შეჰფიცა ერთგულება რუსთხელმწიფეს, მაგრამ ნახე, ქუთაისის ციხეში ისევ თურქები დგანან. არა, მამაო, რუსები ჩვენი გულისთვის თურქეთს და ირანს არ მოიმდურებენ. ჩვენ იმდენად არ ვუღირვართ, რომ სპარსი და ოსმალო უფრო მეტად გადაიკიდონ.

მეფემ და გაბრიელ მღვდელმა იმ ღამით მთვარის ამოსვლამდე ისაუბრეს.

მიიღო, როგორც გითხარით, 27 აპრილს მეფე ლევან მეორე დადიანმა რუსეთის ელჩები, მაგრამ მიიღო ცაიშის სასახლეში კი არა, სამეფო სასახლიდან ათი კილომეტრის დაშორებით, სოფელ ძიგურში.

მთვრალი თევდორე ელჩინი სამიოდე ნაბიჯით დაწინაურდა, უკან ამალა მოჰყვებოდა.

ელჩები მუხლებზე დაეცნენ.

– ბატკა! ბატიუშკა! ცარ მენგრელიი... – ლუღლუღებდა თევდორე.

მეფე ფეხზეც არ წამომდგარა.

მცველებმა თევდორე რომ წამოაყენეს, ოსიპს ფიცის სიგელი გამოართვა და მეფეს გაუწოდა.

სასახლის მდივანმა გრაგნილი გაშალა და რუსთხელმწიფისადმი ერთგულების ფიცის წიგნი ჩაიკითხა.

სიჩუმე ჩამოწვა. დარბაზში მყოფთაგან, ორი კაცის გარდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ სამეგრელოს მეფე ფიცის წიგნს აკოცებდა, საჯაროდ შეჰფიცავდა რუსთხელმწიფეს ერთგულებამორჩილებას და ხელს მოაწერდა.

მსგავსი არ მომხდარა.

მეფე ფეხზე წამოდგა და ბრძანა.

– ჩემი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები გადაეცით რუსთ ხელმწიფეს მიხეილ თევდორეს ძეს. დიდად ვაფასებ მის კეთილგანწყობას ჩემი სამეფოს მიმართ. რაც შეეხება ფიცის წიგნს, რაკი ხელმწიფეს სამი წელი დასჭირდა ჩემი ელჩის მისაღებად, ჩვენც თავს უფლებას მივცემთ, განვაცხადოთ, რომ ფიცის წიგნზე ხელმოწერისთვის ჯერ მზად არა ვართ. მფარველობის ქვეშ შესვლის პირობები ჯერ კიდევ შესასწავლია. ამიტომაც ფიცის მიღების ცერემონია უნდა გადავდოთ.

მეფე გავიდა.

დიდებულებიც მიჰყვნენ.

მართალია, პეტკა უთარგმნიდა, მაგრამ თევდორე ელჩინმა ბოლომდე ვერ გაიგო, რომ სამეგრელოს მეფემ ერთგულების ფიცი არ მიიღო.

– სპასიბო ბატკა! – დაადევნა რუსეთის ელჩმა ლევან დადიანს და კვლავ მუხლებზე დაეცა.

მე ვფიქრობ, რუსთაგან მხოლოდ ერთადერთი პავლე ზახარიევი მიხვდა, რომ ელჩობა ჩავარდა.

... მართალი იყო თუ არა ლევან მეორე, ამ კითხვას 1795 წელს თბილისში აღა მაჰმად ხანის შემოჭრამ და ტოტლებენის არაერთგზისმა ღალატმა გასცა პასუხი.

ბატონო სტუდენტებო

ჩვენი ისტორია სავსეა არა მარტო გარეშე მტრებთან უთანასწორო კვეთებით, შინაომებითაც.

დიახ, საქართველოში სხვადასხვა დროს იყო პატარა ბაზალეთები... ტახტისათვის ბრძოლაში საკუთარი მამის მოკვლაც და ძმისშვილისთვის თვალების დათხრა.

მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ჩვენთა ბრძენ წინაპართა კეთილგონიერება იმარჯვებდა.

ერთ არშემდგარ ძმათა ომზე გიამბობთ:

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რეზო ემელიანე ადამია



მზე
ჰაცარა წიგნი დიდ მოვლენებზე

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის V, VI ნომრებში, ჟურნალ „ათინათის“ №22-26-ში)

„სულიერი სიმშვიდე საუკეთესო
გამოსავალია უბედურების დროს“
(მაკციუსი).

გადავხედოთ ადამიანის კიდევ ერთ-ერთ უცნაურ, მაგრამ გასაგებ, ბუნებით თანდაყოლილ თვისებას. ყოველი ცალკეული პიროვნება გაუცნობიერებლად ცდილობს, აჯობოს სხვა მოპირდაპირეს: მეგობარი იქნება, ახლობელი, ნათესავი თუ უცნობი (უფალი იესო დიდ-კეთილი არასოდეს მიისწრაფოდა და მიილტვის სხვათა დაჯაბნისაკენ, რათა ჭეშმარიტების და მაღალი ზნეობრიობის გამრიგეა...). მხოლოდ ასეთია ღვთიური ეთიკა და ჭეშმარიტება, იტყვიან, პრიმიტიული გაგებით ურთიერთშეჯიბრია ცხოვრება და ამ შემთხვევაში თავს იჩენს, ვინ – ვის. მჯობნი სპორტსმენები ამარცხებენ მოწინააღმდეგეს, ეს უკვე განადგურებაა ანუ გაუქმებაა საკუთარი შესაძლებლობიდან პიროვნებისა. აქტიური დიპლომატი და დიქტატორი პოლიტიკოსი კი თიშავს მოპირისპირეს, გაიმარჯვებს და არავინ იცის, როგორი გონებით და ზნეობით უხელმძღვანელებს ხალხს. ამდაგვარი ფსიქოლოგიურ-ფიზიკური თავდასხმები უხეშად თუ ევოლუციურად – ჩუმ-ჩუმად მრავალი სპეციალობის ადამიანებში, მუქ ლაქად ჩაკირული თანდაყოლილი საერთოსივრცობრივი ტრადიციაა... ხოლო ნაღდი, სულიერად ამაღლებული და მოწოდებით დიდი ხელოვანი, არასოდეს არავის ამარცხებს, ჩაგრავს და ამოაგდებს თავისი ღვთიური ფუნქციებიდან (დამოუკიდებელ ვარსკვლავადაა ქმნილი), პირიქით, ის ძლიერი, სულიერად და გონებრივად აამაღლებს თავის მოწინააღმდეგესაც. ხოლო მოშურნეს, თუ ის ოდნავ მაინც მოაზროვნეა და წინგახედული, უთუოდ მასაც კეთილად კვებავს თავისი მაღალი შემოქმედებით – ნიჭით. ამ დროს პიროვნება გამარჯვებული კი არა, უფრო წმინდანურად წარმატებულია და ამაღლებული ანგელოზთსულიერებითი ზნეობით. ნაღდი ხელოვანი ღვთისმიერია და უფლის მრავალი თვისებითაა დაჯილდოებული, რადგანაც ღმერთი უდიდესი შემოქმედია, უზენაესი თავის რჩეულს უნაკლოდ მართავს, ზე-წარმოსახვებით – ფანტაზიით და გენიით. სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელია ასეთები და აქაც ფარული სიღარიბე ტრაგედიაა პლანეტისა... ხოლო მიწიერი ქმედება ნებისმიერი ადამიანისა თუ ზნეობრივი მისწრაფებაა უფლისაკენ, უთუოდ ბედნიერია თავისი გარემო არსებით. როდესაც პიროვნება ცდილობს და ემსგავსება ღმერთს, დროთა ჟამში მოსალოდნელია წმინდანამდე ამაღლდეს, რაც ზეციური დასის შევსებაა. ხოლო, როგორც მოგახსენეთ, მათგან უკიდურესად განსხვავებული უაღრესად ნაყოფიერი ანუ გენიალური შემოქმედი განუწყვეტლივ ღვთიური მადლით ივსება, იმართება და სამყაროს სივრცის მარადიულ – ხატულ სახედ ინახება...

უსასრულო სიკეთე და ბოროტება საპირისპირო განუყრელობაა. უზენაესისგან რჩეული ადამიანი თავისი ნიჭიერ-ბრძნული გონებით და მაღალი გენიით ღმერთს უახლოვდება, მაგრამ მაინც ვერ მიეწევა მიუწვდომელ მარადიულს. ამ შემთხვევაში გულწრფელად ვამბობ, რადგანაც ყოველივე სამყაროს რეალური მოვლენებია...

ეშმაკი, უზნეო და ქვეყნიერების კანონგარეშე ავთვიებიანი სიმსივნეა. დედამიწის და საერთოდ პლანეტარიუმის სივრცეში მოხეტიალე ყველაფრისა და ყოველივეს გამშავებელ-დამნახშირებელ-ფერფლად მქცეველი. თავისთავადი რაღაც ბნელეთის წარმომადგენლობა კი არაა მხოლოდ! ის ერთ-ერთი შხამმომწამვლელი უბოროტესი, ნივთიერებათა და სხივთა გაზ-შემადგენელი, უზარმაზარი ვარსკვლავიდან დედამიწაზე მარად მომდინარე უფერული მყრალი სხივია... სანამ „ეშმაკეთის“ ვარსკვლავი იარსებებს რომელიღაც გალაქტიკაში, მისგან უკეთურ-უხილავ სხივთ სვლა სამუდამოა. ხოლო მეცნიერ-ასტრონომების მტკიცებით, ადამის მოდგმა ვერასოდეს ჩააღწევს თუ მიაღწევს იმ ყველასაგან განსხვავებულ უცნაურ-ფერად-შემადგენელ ვარსკვლავამდე. თუნდაც მიაღწიო, ადამიანო! დააკლებ კი რამეს მაგ ვარსკვლავეთურ უძლეველობას?! ჩვენი დედამიწელების მისგან ხსნა-საშველი კეთილი მანათობლებიდანაა და ნებისმიერი რელიგიის ჭეშმარიტი ერთგულებით. აი-და, უზარმაზარი მზისფერი ფარი – ჩვენი პლანეტის სიცოცხლის დაცვა მოვლა-პატრონობისა...

თავისი გაჩენის მოსვლის დღიდან ადამიანი ცდილობს უბოროტესი ომების და ურთიერთხოცვის გაუქმებას, ანუ რაც შეიძლება, ეს მძიმე მოვლენები მინიმუმამდე დაიყვანოს, მაგრამ უკეთური – უმსგავსოება უსასრულოდ გრძელდება და გამანადგურებელი ომების გამჩაღებლებს ძეგ-

ლებს უდგამენ ისევ ბნელისკენ გადახრილი პოლიტიკოსები და ხელოვანი ინტელექტუალები და რატომ?! როცა მათი გვარ-სახელიც უნდა ამოიძირკვოს ისტორიიდან. იწერებოდეს მხოლოდ სატანური ომების მსვლელობებზე, მათი წინამძღოლი დემონების გამოკლებით, მართალი და ტანეკლიანი შავი ასოებით. ქვეყნის, ერისა და პიროვნების თავდაცვითობა კი გამოუვალი, აუცილებლობაა, როგორც ღვთიური მართალი განაჩენი. ისევ უმკაცრესი კოსმოსური გარდაუვალობაა ნათელი, მცირე, დიდი და შავი ბოროტების მოსპობის ფასად... მაინც, ჩემო მეგობარო, როგორი უსაშველო ყოფილა ამქვეყნიური ცხოვრება?!.. ალბათ არც იმქვეყნიურია მთლად დალაგებული. აბა, ვინ და რა გაქცევია პლანეტარიუმის კოსმოსურად თითქოს მოწესრიგებულ, მაგრამ სასწაულებრივ ორომტრიალს... როგორც მოგახსენეთ, უთუოდ ამ სახისაა ვარსკვლავეთის წყობითი დისციპლინაც. ამდაგვარი უკეთურობანი უნდა მოაწესრიგოს, როგორც მოგახსენეთ, და შეანელოს ბრძენმა ადამიანმა მხოლოდ ნებისმიერი ჯანსაღი რელიგიათა მეოხებით, და თავად მიხედოს თავის სიკეთის კერიას. თუ არადა პლანეტას ჩვენსას შეუწყდება უძვირფასესი სიცოცხლე დროებით ან დიდი ხნით და ადამის მოდგმა დაკარგავს ათასობით წლებში მისხალ-მისხალ მიღწეულ სხვადასხვა რელიგიის, კულტურისა და ცივილიზაციის ღვთიურ მადლს... ცივილიზაცია და კულტურა არასოდეს კვდება, მხოლოდ ბერდება მარადიულობასთან ყოფნით, ზოგჯერ თუ ხშირად, საუბედუროდ, მას სპობენ.

მზის სხივებით სავსე სიკეთე კვლავ განაგრძობდა დაპირისპირებით ბრძოლას...

ყველაზე დიდი ლოცვა სიკეთის ქმნა და ბოროტების უარყოფაა...

უხილავ სამყაროსეულად დუმდა ქვეყნიერების მეუფე, კოსმოსს არ უკვირდა.

დუმილს გააჩნია უსაზღვრო მაგიური მოქმედება. მისეული მიუწვდომელი ფუნქციით იმოსება შორეული წარსულის, აწმყოსა და მომავლის სვლა-გააზრებები, რითაც იდუმალების ბურუსში ახვევს ყოველივეს და რთულსა და მიუწვდომელს ხდის, ძალიან ხშირად საზრიანი დუმილი ბადებს ღვთიურ სიკეთეს...

დაუდგენელი შორეული საშინელ მიუწვდომლობას შთაუნთქავს...

სატანა არ ისვენებს, ის ძილსაც არ იკარებს...

ისევ ვიმეორებ, და მაინც ვერცერთი ზეძალა ვერ შეძლებს სამყაროს სრულიად გაკეთილშობილებას, ეს კი მარადიული და უსასრულო ტკივილ-ტრაგედიაა...

სამყაროს გარკვეული ნაკვეთი სიცოცხლე კი ურყევი კალაპოტით მიედინებოდა, ყოველის სახიერებით სავსე, უკიდეგანოდ მრავალფერადი და ნეტარების მზე, ცის თვალთ მიუწვდომელი გუმბათისკენ მიისწრაფოდა, ბოლომდე აზრთგაუშიფრავი უსასრულო ასტრონომიული ფუნქციით. როგორც მოგახსენეთ, დედამიწამ მზის ირგვლივ მისეული ბრუნვა იწყო და სისტემური სრული წრიული სვლაც აღსდგა. ასევე აღევლინა მრავალ რელიგიათა ლოცვები და სხვადასხვაშინაარსიანი ნატვრა-ოცნება. თვალთ ღიმილიანი სინათლე ჩაუდგათ ადამიანებს და ყოველ ცოცხალ არსებათ. განახლდა მომავლის მყარი ზეციურ-მიწიერი იმედი.

შენელდა უმზეობისგან გამოწვეული გამანადგურებელი უმისამართო მზერა, მუქფონიანი სევდა, უსასრულო უიმედობა და, ამ დროს გაუცნობიერებელი სივრცის იდუმალი-ოპტიმისტური ხმა გაისმა. კლდეები, ლოდები და სტიქიურად მიმოყრილი ქვები ხალისით შეხმიანდნენ. მიწის გახშირებული ანდამატური იმედსავსე სუნთქვა-განწყობილება იგრძნობოდა ირგვლივ. ბრძენი მწერალ-ისტორიკოსი, ქვეყნიერების ფანტასტიკური მოვლენებისგან აღტყინებული სულიერებით მიუჯდა საწერ მაგიდას, წარმოსახვებსხმული ჯადოკალამი აიღო და ყოველივეს აღწერა დაიწყო. თემატურად ახალი წიგნი იქმნებოდა ღრმა ფილოსოფიურ-მეცნიერულ-ასტრონომიული მხატვრული აზრებით. ყველა კეთილშობილი მოწოდების მქონე პირები შეუდგნენ ღვთისგან ბოძებულ შრომით შემოქმედებას... კანონიერი ქურდები კი კაცთა მიდგომებს თავისებურად ხვეწდნენ და ურთიერთმრუდე საქმეებსაც არჩევდნენ. ხულიგნები, ლოთები, ნარკომანები, მეძავები და უსაქმურები უშიშრად გადანაწილდნენ თავიანთ სევდისმომგვრელი ცხოვრების ჩარჩოებში და სიცოცხლის ავ-კარგ დინებას მიჰყვნენ... ხანში შესული ქალბატონები და თმაგათეთრებული ბატონები წარსულის საინტერესო ამბებს ყვებოდნენ. ხელოვანნი კი ახალ და ახალ მხატვრულ, ამაღლებულგანწყობილებიან ნაწარმოებებს ქმნიდა, ნებისმიერი სპეციალობის, ხელობის და ზნეობის ადამიანისთვის, რომლისთვისაც, მთავარია, კაცურკაცობა უნდა ახლდეს ნათელ-ხილული ღვთისშვილობა...

დიდი თუ პატარა ქვეყნების გამოჩენილმა მეცნიერებმა უახლესი და ურთულესი აღმოჩენები ისევ წამოიწყეს. ზოგიერთმა გამომგონებელმა მასიურ გამანადგურებელ იარაღზეც დაიწყო ფიქრი და ოცნება. უფერული იმ უმძიმესთვისებიანი რომელიღაც პლანეტის გზავნილი ეშმაკი თავისებურად ავზრახვებიანია და არ ზოგავდა მათზე შთაგონებასა და ყოვლის წამშლელ საქმიან თანადგომას. რამდენიმე წმიდათაწმიდა ამაღლებული სულის სწავლულმა, ისევ განაახლა მიწის სიღრმეებში გონებრივი მზერა-ძიება, ისტორიიდან გამქრალი ხალხების და ცივილიზაციებისა, ოცნება უკვალოდ დაკარგული, უძველესი კოლხური დამწერლობის აღმოჩენაზე.

განძი ციური მზისგან ყოველგვარი მაცოცხლებელი ენერგიის სახით კვლავინდებურად ჭარბად იგზავნებოდა. ზოგმა გონნათელმა და მწიგნობარმა მხატვარმა სივრცეში აბსტრაქტულად განფენილი უხილავი ფერების, ფორმების, ხაზებისა და იდეების კვლევა-აღმოჩენებს უბოძა თავისი სიახლეთა შემოქმედება, კოსმოსს მიმსგავსებული ძიებანი პლანეტარიუმისა...

მეგობარო! და ღრმად დაინტერესებულო მკითხველო! როგორც გიამბეთ შორეული ეს მოვლენა-ამბავი მომხდარა კაცთ მეხსიერების ფიქრებითაც, ძნელად მისაწვდომ ბუნდოვან წლებში, უახლესი ათასწლეულის ლეგენდისმაგვარი ჩვენივე ცივილიზაციის სიმბოლურად ზუსტად შემადარ დროს. შემდგომ ამისა უამრავმა პერიოდებმა გამოიარა თავიანთი დასაწყისითა და დაბოლოებით, რასაც უდროოდ სპობდნენ მარხავდნენ და აქრობდნენ გაბოროტებული, პოლიტიკაში ბრბოსგან დაწინაურებული ადამიანები ან ციური მოვლენები, ზოგჯერ მიწიერი წარღვნებიც. დედამიწა საფლავთ სიმრავლეა ცივილიზაციებისა და, რატომ?! რაზე აწყობს ასე?! ან რაში სჭირდება შორეულ პლანეტებს, კოსმოსს? როგორი ვარსკვლავეთის საშინელი იდუმალების კანონ-ფარდაა ჩამოფარებული დედამიწაზე? მაგ, ყოველი ჩვენგანისთვის წარმოუდგენელ უხსოვარ-დროინდელ წარსულში, საკვირველია რომ, მინავლებულ არარაობასაც გაუღვიძია თურმე უსახო აბსტრაქციად და სიკეთესთან ჭიდილში გამქრალა.

ადამიანისა და ქვეყნის წარსული სიზმარს მიმსგავსებული გახსენებაა, მომავალი ოცნებაა – მიზნებია. აწმყო! თავად და ყველასათვის ძალიან პატარა მონაკვეთისაა, მაგრამ რეალურ-მატერიალისტური უთვალავი შრეებით და უდიდესი ტევადობის: მის უხილავ სივრცეში თავსდება ყველაფერი, მცირედი მოლეკულის მოძრაობიდან დაწყებული, უზარმაზარი პლანეტების ჩათვლით. თითქმის უმნიშვნელო მოქმედებიდან უდიდეს მოვლენებამდე, რომელიც მომავალში უკლებლივ მარადიულობის გალერეებში მუდმივ მეხსიერებად ექსპონირდება, აწმყო უმცირესი და უკიდეგანო წარმოუდგენელი მოქმედების უდიდესი ფენომენია. დრო უმთავრესი სამი განზომილებისაა, მათგან თვალგონსულხილული და სრულიად მართალი ოქროს ღერძი „აწმყოა“!..

მივყვეთ ქვეყნის გადარჩენის ასტრონომიულ-ისტორიულ ბედნიერ დროთა სვლას და ამ მადლმოსილ, თვალწინ მიმდინარე დინებას. სიცოცხლე მზის სხივთ კეთილდინებით ზეიმობდა როგორც მიწის ზევით, ასევე ქვესკნელშიც.

განახლდა მითების მოსვლა, ლეგენდების დაბადება, ზღაპართ შეთხზვა, ბუნდოვანი სიზმარ-თხილვები და ბუნება-ქვეყნის თანმიმდევრულ რეალურ მოვლენათა ისტორია...

გაიღვიძა ირგვლივ ასობით კეთილმა თუ ბოროტმა სურვილმა, მიზნებმა, მრავალშინაარსიანმა ფანტაზიამ, ძლიერმა სულმა, ჯანსაღმა მუზებმა, შემოქმედებითმა ძიებამ და ფრთებშესხმულმა ოცნებამ; რჩეულთ, წარმოსახვებიც გამოეცხადა და მომრავლდა ათასფერადთვისობრივი ადამიანური შეუპოვარი ენერგია. სამომავლო ფიქრები ოცნებებს აედევნა. მზის იმედით სავსე რწმენითი შეგრძნება, რელიგიურ გულწრფელ ლოცვებად განახლდა. უხსოვარდროინდელმა კაცთ სითამამემ, სიმხდალემ, დიდგულოვნებამ, ორგულობა-სულთა ბორგვამ ახლებურად იწყო ფორიაქი და ვერ ეტევა თავის სამყოფელში. სრულიად დამრეგულირებელი კი ისევ დუმს. მხოლოდ სარწმუნოების სასწაულებრივ ჩაგონებას ძალუძს თურმე პლანეტის და ქვეყნიერების ნაწილობრივი თუ მთლიანი ზნეკეთილი მოწესრიგება.

რელიგია კაცთა ზეგონებაა, სრული სამყაროსეული აზროვნებაა და დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების წმიდათაწმიდა ზნეობისა და აზროვნების მუდმივი მარეგულირებელია... ათი მცნება ხომ კაცობრიობის ყველა კანონზე მაღალთმაღალი მარადისობის წესდებაა, მილიარდ წლებს რომ გადასწვდება მისი შეუფასებელი უფლისმიერი მადლი. ზნეობა დაუსრულებელი, დროის სვლათა პერიოდშიც უფრო ძვირფას ადგილს დაიკავებს კაცთა მოდგმის გონებრივ და სულიერ არსებაში.

იმ სახის შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩვენი გალაქტიკის რომელიმე ციური სივრცის ცოცხალ პლანეტაზეც გავრცელებულია მხსნელი ჭეშმარიტება. ესაა უბრძენესი ათი უკვდავი მცნება.

„ადამიანის უკვე აღდგენილი გონება უკეთურობის გარდა სიკეთეს ავრცელებდა ჯეროვნად“. სიახლედ სიხარულის და ნეტარების ცრემლი გაჩნდა კამკამა წყაროსფერი და მზე არ აშრობდა, პირიქით, უფრო და უფრო აძლიერებდა მის ნათელ, წმიდად წარმოქმნის მისტიკურ ბუნებას. შემდგომ აწ წარსულის მოულოდნელი ხიფათი და ნახევარწრეად გადასული პირველი დღე მშვიდად მიიწურა. განახლებულმა, მარად ანთებულმა პლანეტამ კანონიერ-სისტემური ჩასვლა იწყო და დღის ისევ საშინელი კოსმოსური შემთხვევის მოლოდინში, შეშინებული ქვეყანა მაინც კანკალით შეეგება ულამაზეს დაისს.

მზის ჩასვლა ბოლომდე გაუმჟღავნებელი და ფარული მისტიკური ციურ-პლანეტური სილამაზეა, დიდ იმედებთან ერთად უზარმაზარ სევდას რომ ტოვებს და ჩაიყოლებს; ხილული ხატული სიშორე თითქოსდა ჩაძირვაა გრძნობათა და ემოციათა უსასრულობისა.

თანმიმდევრობით ახალამოსულმა მორჩილმა, ნახევრადმდუმარე მთვარემ უწყვეტად ჩამოგზავნა სანუკვარი სიმშვიდე, ღამეული ოცნება და უშფოთველი ძილი. უკვე ძალიან შორს გადასული, მზისგან განათებული წრესრული მთვარე, კეთილმოსილებით ძვირფას ნათელ ვერცხლწრედ,

ზანტი პლანეტური სვლით, მიცოცავდა მიუწვდომელი მფლობელისგან დროებით მიტოვებულ ზეცაში. უიმედობა არ იყო არსად. ხვალინდელი მზის ამოსვლის მოლოდინით, ყველგან სრული რეალობის გრძნობა სუფევდა უსაზღვროდ.

ჩვენეულ ეპოქაში დიდმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ისეთი მიკროსკოპული ატომგულის ელექტრონებზე მილიარდობით უმცირესი ნაწილაკ-ელემენტი, რომლის სიცოცხლის შეჩერება ან განადგურება ვერანაირი ლაბორატორიული ექსპერიმენტებით ვერ შეძლეს. ეს უკვე უცილო დასტურია ღვთივსამყაროსეული სიცოცხლის უძლიერესი ღერძის არსებობისა; რომ მარადიულია სიცოცხლე და მას ვერაფერი ვერ გაანადგურებს. სამყაროების ცოცხალ პლანეტებზე შეიძლება მხოლოდ ფიზიოლოგიური სახეების შეჩერება ან გაუქმება და გადასხვაფერება დროთა ჟამში და ცივილიზაციების ტრადიციული განვითარების წყვეტა, მაგრამ „მზე, დედამიწა, მთვარე, ვარსკვლავები და სიცოცხლე ხომ სამყაროს მარადიული და უზარმაზარი შედევრ-პორტრეტია“...

ვერ დამაჯერებთ, რომ მითხრათ, არ არსებობს საკვირველი, უკიდეგანოდ-ქვეყნიური უხილაობის უმდიდრესი ფონდი ადამიანის (პიროვნებათა) დაბადებამდე უსასრულობაში მათი არსებობის თაობაზე. მტკიცედ მჯერა, იმ იდუმალი სივრციდან ხდება ინდივიდის გამოყვანა. ჩვეულებრივი ბედი ან შემთხვევითობა რომ არა, ისინი იქ იარსებებდნენ მარადიულად, მიწიერი მწვალებლური სიცოცხლის გაუვლელად. უთუოდ ამ უხილავი-უმდიდრესი და ურთულესი სამყაროს რაობა უფრო უფალმა იცის.

საოცრებაა, რომ არსებობს ატომგულის ელექტრონებზე ტრილიონჯერ უმცირესი ფიზიკური ნაწილაკი, რასაც ზემოთ ვახსენებ. მაშინ ეს ჩემეული ნააზრევის თამამი ვერსიაც უთუოდ სარწმუნოა, სამყაროს ურთულესი ფილოსოფიიდან გამომდინარე...

სანამ მზე, დედამიწა და უახლესი მთვარე არსებობს, სასწაულ სიცოცხლე-სიკვდილთან ერთობლიობაა განუყრელი. ოღონდ გონებაშერყეულმა პოლიტიკოს-ძალადგენიოსებმა ანუ ცუდდროულმა დემონებმა თავიანთი იდეოლოგიურ-ბარბაროსული გეგმა-მოქმედებებით არ გაანადგურონ და არ მოშალონ დედამიწაზე დიდი თუ პატარა სახელმწიფოები, ერები, ტომები, ენები, გვარები, უნიკალურ-შეუფასებელი პიროვნული ინდივიდი, დამწერლობები, კულტურა და ცივილიზაციები. თუ ყოველივე ეს ბუნებრივ-კოსმოსური წყობა მოისპო, მილიონობით თუ მილიარდი წლები დასჭირდება პლნეტას, რომ აღიდგინოს დღევანდელობა. ვიმეორებ! დამაღონებელია, რომ ვერცერთი ზეძალა ვერ შეძლებს ქვეყნიერების პირწმინდად გაკეთილშობილებას... მამაზეციერმა უფალ იესო ქრისტეს ჯვარმცმელ-მწამებელთ, დაცემულ ადამის მოდგმას ერთხელ თუ შეუნდო უსაშინლესი ბოროტება, მოსალოდნელია, თავისივე ჯილაგის ამოძირკვა და გაქრობა არ აპატიოს და ვერ დაუბრუნოს მათ ყოველივე და ადამიანებზე გაუთავებელი ფიქრი-ზრუნვა, სწავლება-ზედამხედველობა მოიცილოს მთავარ – თავსამყაროდან. ამ დროს, წარმოვიდგინოთ, მზეს თუ გააჩნია მისეული ხედვა და აზროვნება, როგორი განწყობით იქნება სხივაყრილი ადამის მოდგმის მიმართ. ზენაარს თუ ადამის მოდგმაზე ბევრად უფრო კეთილშობილური-გონიერი, ზნეობრივად მაღალი არსებანი ჰყავს სადმე, რომელიმე გალაქტიკის ბედნიერ პლანეტაზე, მაშინ ამდაგვარი მკაცრი გადაწყვეტილება მოსალოდნელია. გამოდის რომ, ადამიანი ის ფიზიკურ-გონებრივ-სულიერი და ზნეობრივ-ფიზიოლოგიური გაჩენაა, რისი გამოსწორება-დარეგულირება ღმერთსაც არ ძალუძს (ისტორიაში მაგალითები მრავალია). შესაძლებელიცაა, უთვალავი სამყაროებისთვის ჩვენი გაქრობა-არყოფნაც, უფალმა ნუ ქნას და, დიდი დანაკარგიც არ იყოს... ანუ ალბათ, არსებობს შორეულზე იქითა ფორმა, რომ სამყაროთა თვითგანვითარება არავის და არაფერს ემორჩილება. ისიც დასაფიქრებელია, რომ ქვეყნიერება თავადვე აღმოაცენებს სიცოცხლისათვის ყოველივეს. მაშინ გამოდის, რომ ჩვენს წარმოდგენებზე, ხილვებზე, სწავლება-აზროვნებაზე უფრო კოსმოსური მიუწვდომელი ზესაიდუმლოება არსებულა, რითაც რეალურად იმართება ბუნების უმცირესი ნაწილაკიც კი. სამყაროთა და მათი მთლიანობის გრანდიოზულ-მიუწვდომელი ინერციულობა, სარწმუნოა, უფრო ღრმად დაკანონებული, უსასრულო, უკვდავების მაპროცესირებელი მექანიზმის გონება, სული და გულია. ამ ყოველივეს, მოსალოდნელია, ადამიანებმა დავარქვათ მიახლოებითი ზესახელები, გონებრივი მარაგიდან გამომდინარე. ხოლო დაუსრულებელი ფორმის ქმედებები უხილავ ტალღებად მიედინებიან და მოედინებიან სამყაროთა უთავბოლო აღუვსებლობიდან, რომელიც ემორჩილება, ანუ განუშორებელი სხეულია პლანეტარიუმის მიუწვდომელი შინაგანი ზნე-არსებისა...

როგორი ცისმიერი მშვენება და სასოებითი ბედნიერებაა, თუ ჩვენი სული მარადიულია, ამ სამყაროსეული სივრცის გონმიუწვდომელ საოცრებებში, მოძრავი-მოქმედი სიცოცხლისეული რეალური იდუმალი ნაწილაკი თუა?!... ასევე შესაძლებელია არსებობს სამყაროს, მეხსიერების, დროის, სივრცის, გარემოს და აზროვნების შიდა სიღრმისეული აბსტრაქციაც (რომლის მოდერნისტული გამოხატვა შეიძლება ფერწერაში, მუსიკაში, და პოეზიაში). გამორიცხული არაა, მოქმედებდეს სწავლამიუდგომელი რთული იდუმალება, რომელსაც მხოლოდ პლანეტარიუმის ზემაგნიტური სხივთქმედებათა წარმოსახვების მონათესავე არეალები აღიქვამენ და ჭეშმარიტებად იხი-

ლავენ. მერწმუნეთ, სულ-გონებ-აზროვნებით ახლობლებო – ადამიანებო! ამდაგვარი სამყაროსეული რეალური მიახლოებებიც არსებობს უთუოდ, ჩვენგან ძალიან შორეულში და მათი უცხო შემადგენლობების უკიდეგანობაა, რომ ბევრი რამე ქვეყნიური მიუწვდომელ-შეუსწავლელია...

„რა მსურს ვიცოდე სამყაროს შესახებ? – მხოლოდ ერთი რამ მინდა ვიცოდე კონკრეტულად, რატომ არის ყველაფერი ისე, როგორც არის“ (ჯორდანო ბრუნო).

უმჯობესია, ყველა ჩვენგანმა უზენაესზე ვილოცოთ, რათა დედამიწაზე არ მოხდეს ღმერთისა და ადამიანთა მიერ შექმნილის წამშლელი მოვლენები. დავუშვათ, თუ მოხდა, მეორედ მოსულ ადამიანებზე უფალი უთუოდ იზრუნებს, რომ შეუნარჩუნდეს ღვთივკურთხეული მართალი ზნეობრიობა. ისინი მხოლოდ ღვთის კანონების წამკითხველ-მოსაუბრენი კი არ იქნებიან, არამედ – პირველადშობილი ადამივით, წმიდა ღვთიური ბუნების. მაშინ დედამიწა მართლაც გახდება ღვთივმოსილების უპირველესი პლანეტა, რომლის სფეროდან მხოლოდ კეთილი მირონი წვეთავდეს იქნება, გარემოს ყველგან მწვდომი. ამ დონეზე სიცოცხლის ამოძირკვის გარეშეც ძალუძს სამყაროს ზეძალებს ადამიანთა სულიერ-გონებრივ-ზნეობრივი გაჯანსაღება, თუ „ათ მცნებას“ და ახალ აღთქმას ყველა ჩვენგანი ზნეობრივად მტკიცედ გავითავისებთ. აურაცხელი ვარსკვლავების უსასრულო სივრცე, შორეული სიმართლეა ამქვეყნიდან გასვლა. ღმერთთან ლოცვით და შენდობით გადარჩენილია სული, ხოლო უკეთურთა მიერ ძლეული – დაცემულია. მწარედ მოშლილ-გაფანტულნი ყველანი უცილოდ წავალთ.

პლანეტა ჩვენი სიცოცხლის მარადიული წყაროა; ყოველივე უკვდავება, მზის და მიწის ერთობლივ ელემენტებშია ჩაკირული...

სინათლემიუწვდომელი სამყაროების მადლით ქვეყნიერების ჩვენეული მაცოცხლებელი მზე კვლავინდებურად ბარჩხალებს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არავისაგან და არსაიდან სამაგიეროს ის არა და არ ითხოვს, ანუ რაში გამოადგება და გამოიყენებს. განუზომელია წვაცეცხლოვანი განუსაზღვრელი მზეობის და სიკეთის უფალ-ვარსკვლავი, ჩვენს ნამცეცა, მისთვის გამოუყენებელ ფერფლს, ის მხოლოდ მიწას სჭირდება... მარადის მანათობელ უძლიერეს ვარსკვლავეთურად უშურველად გასცემს წერტილდაუსმელი სიცოცხლის უებარსა და უსაზღვრო ენერგიას, სითბოს, სინათლეს და მრავალთა წმიდა სახეობათა ურთიერთობას. ციური მფლობელი დაუსრულებელი სიკეთეა სისტემის გარემოსი... ოდითგანვე მასზე შექმნილი მრავალრელიგიამიძღვნილი სრული აღმსარებლობებია პირდაპირი მიმართებით, ანუ ზოგადიდეურით. ვინ იცის, ადამიანი მომავალ ათასწლეულებს სარწმუნოებრივ ახალ და ახალ ჰიმნს მიუძღვნის და მუდამჟამს სულიერად ისევ აუწონავი შემოქმედებითი მადლიერებით მიეახლება. ხოლო ჩვენგან მისდამი მცდარი სამარცხვინო ფიზიკური შეწირვა ქვეყნიერების სიცოცხლის წყაროზე უნდა შეწყდეს სამუდამოდ, რადგან ის მხოლოდ გაურკვევლობას ან ეშმაკს ეგზავნება და ხარობს. მზე! მასზე მრავალმხრივ დამოკიდებული პლანეტებიდან, კერძოდ კი, დედამიწიდან, ნამცეცისოდენა სამაგიეროს დაბრუნებას არ ითხოვს. ამდაგვარი მიდგომა-გაგებით გამართლებული იქნება მზის მიმართ ჩვენეული ნეტარებითი სიყვარული, რწმენა და კოსმოსურ-ზნეობრივ-ადამიანური დამოკიდებულება...

არ შეურაცხვყოთ პლანეტის უძველესი ქვეყნების სიცოცხლის წყაროს რწმენა, ოღონდ და, მხოლოდ შეწირვების სრული გამოკლებით, შუმერების, ხეთების, ქალდეველების, ატლანტიდელების, ძველკოლხთა, ინდიელების, სპარსელების, ეგვიპტელების, უძველესი ჩინელების, ძველბერძნების, რომაელების და უკვე დამარხული ერების მზიდან გზავნილი სიბრძნისბეჭედი – მზიური მადლი, რადგან ის უსაზღვროდ თავის ირგვლივ, უანგაროდ შუქთგანმვრცობი, მრავალფორმიანენერგიამგზავნელია, სიცოცხლის, სიკეთის და კოსმოსური უმდიდრესი მთლიანობის უშრეტი დედისეული წყაროა. ზეცად თავის კუთვნილი ურთულესი სისტემის მამოძრავებელ-მომწესრიგებელი და უფლის უკეთილშობილესი, მიუწვდენელი სახე-ფორმაა ვარსკვლავეთური...

მხატვარ-პროზაიკოსი რ. ადამია
2016 წ. თებერვალი-ნოემბერი,
თბილისი

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

მოსამართლემ, არჩილ იროდის ძე არაბულმა ზარი ააწკრიალა, ხალხს სიმშვიდისა და სიწყნარისაკენ მოუწოდა. როდესაც დარბაზში ჩურჩული შეწყდა, ჭერს მზერა მიაპყრო და თითქოს მამაზეციერი გამოძახაო, მტკიცედ წარმოთქვა:

– სამართალში მიცემულო ადექით!

პატიმარი ნელა წამოიმართა, თითქოს მხრებზე საუკუნე აწვებოდა, წელში ნელ-ნელა გასწორდა და მოაჯირს დაეყრდნო.

– თქვენ უფლებამოსილი ხართ – თქვა პატიმრის მისამართით მოსამართლემ – სასამართლოს აცილება მისცეთ, რაიმე უარყოფითი, დამამტკიცებელი მოტივის ძალით, რაც მდგომარეობს სასამართლოს რომელიმე წევრთან მტრობით ან ადრე წარმოქმნილი კონფლიქტის შედეგად.

– არა ვარ წინააღმდეგი, რადგან ჩემი პიროვნება არ არის ცნობილი მსოფლიო მასშტაბით, რომ რომელიმე კაპიტალისტურმა ქვეყანამ გამასამართლოს. – წყნარად, მაგრამ მტკიცედ განაცხადა პატიმარმა.

– როგორ!? თქვენ უარყოფთ საბჭოთა კავშირის მართმსაჯულების მტკიცე კანონებს?!

– არა! როგორ გეკადრებათ, სოციალიზმის პრინციპები ნამდვილად მოსაწონია, რომ ზოგიერთი თანამდებობის პირი ბოროტად არ იყენებდეს მომავალი კომუნიზმის მშენებლობის იდეებს.

– ვინ გყავთ მხედველობაში?

– უმეტესობა და პირადად არავინ!

– ეს როგორ გავიგოთ?

– როგორც მოგესურვებათ!

– კარგი, დღევანდელ სასამართლო პროცესს, პოლიტიკური თემა არ უდევს საფუძვლად, სასამართლოს მოახსენეთ: გვარი, სახელი და მამის სახელი.

– შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილი.

– ეროვნება? – ქართველი.

– დაბადების წელი?

– 1955 წლის 7 ნოემბერი.

– განათლება?

– უმაღლესი. დავამთავრე თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, ვარ მსახიობი.

– ოჯახური მდგომარეობა!?

– უცოლშვილო. მყავს დედა, მამა, ორი და და ერთი ძმა!

– მშობლების საქმიანობა?

– მამა კოლმეურნე, დედა ოჯახის დიასახლისი!

– მდაა! – თქვა მოსამართლემ, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო:

– თქვენ როგორც მოგეხსენებათ, ბრალად გედებათ შორენა მინდიას ასული ძიძიგურის გაუპატიურება და მკვლელობა. სასამართლოს მოახსენეთ, ჩადენილი ბოროტმოქმედების სრული ვითარება, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე!

– შორენა ჩემი საცოლე იყო, არც გამიუპატიურებია და არც მომიკლავს.

– მოწმე გიგაურის ჩვენების თანახმად, თქვენ დაუნახავხართ, რომ ბაზალეთის ტბის სანაპიროზე სეირნობდით.

– ამ ფაქტს არც მე არ უარვყოფ, მოწმე სრულებით არ იყო საჭირო!

– მოახსენეთ სასამართლოს, შორენა ძიძიგურის გაცნობისა და ბოლოს მასთან სეირნობის შესახებ, მხოლოდ სიმართლე!

– მე და შორენა სკოლის მერხის მეგობრები ვიყავით, ერთად გავიზარდეთ და ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გვიყვარდა ერთიმეორე. ორივემ ერთად დავამთავრეთ დუშეთის პირველი

საშუალო სკოლის სრული კურსი და სიმწიფის ატესტატები ავიღეთ, ორივემ თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ვცადეთ გამოცდების ჩაბარება. შორენა პირველ გამოცდაზე ჩაიჭრა, მე ფრიადი მივიღე, მიუხედავად ამისა მე მაინც მინდოდა საბუთების გამოტანა, რადგან შორენა ჩემთან ერთად ვეღარ ისწავლიდა, მაგრამ შორენა კინაღამ გაგიჟდა და ჩემს განზრახვაზე ხელი ამაღებინა. მან მეორე წელსაც ცადა ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარება, მაგრამ ამჟამადაც უშედეგოდ. ბოლოს ორწლიანი კურსები დაამთავრა და ბიბლიოთეკარად დაიწყო მუშაობა. მაგრამ ამას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია. ჩვენ ძველებურად გვიყვარდა ერთიმეორე.

– შენმა მშობლებმა თუ იცოდნენ, რომ შენ და შორენას ერთიმეორე გიყვარდათ? – თხრობა შეაწყვეტინა პატიმარს მოსამართლემ.

– კი! ორივე მხარემ ბრწყინვალედ იცოდა ჩვენი სიყვარულის შესახებ ყველაფერი. პირველ ხანებში შორენას მშობლები უარზე იყვნენ, მაგრამ როდესაც უმაღლეს სასწავლებელში მოვეწყვე და ჩემში კეთილშობილება დაინახეს მეც შვილივით შემიყვარეს.

– თუ გქონდათ ინტიმური კავშირი შორენა ძიძიგურთან?

– როგორ გეკადრებათ! ის საცოლე იყო ჩემი და არა ვიღაც სუსტი ნებისყოფის გოგონა.

მოსამართლემ გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ქალიშვილს გადახედა. რომელიც მოსამართლის კითხვებს და მგალობლიშვილის პასუხს გამალებით იწერდა – „დაწერე სკოლის მერხიდან გვქონდაო ინტიმური კავშირი“ – წასჩურჩულა ქალიშვილს და მყისვე დაფიქსირდა ფურცელზე მოსამართლის ბრძანება. ხოლო ყველას გასაგონად მოსამართლემ ახალი კითხვა დაუსვა სამართლაში მიცემულ მგალობლიშვილს:

– უმაღლესში სწავლის პერიოდში თუ ნახულობდი ხოლმე შორენა ძიძიგურს?

– რა თქმა უნდა, როდესაც ამის საშუალება მომეცემოდა. ხშირად კი ვერ ვნახულობდი მეცადინეობის გამო.

– მტერი გყავთ?

– არა!

– იქნებ შორენას ჰყავდა ვინმე მტერი?

– ეს ფიქრი გამორიცხულია, ვის რა ჰქონდა სამტრო უმწიკვლო გოგონასთან?

– იქნებ სხვა შეგიყვარდა უმაღლესში სწავლის დროს?!

– არავითარი სიყვარული, მე მყავდა საცოლე და მხოლოდ მას ეკუთვნოდა ჩემი სიყვარული.

– იქნებ შორენა ძიძიგურმა შეიყვარა ვინმე? თუ დაფიქრებულხართ ამ საკითხზე?

– დავფიქრებულვარ, მაგრამ ყოველგვარი ფიქრი უკუმიგდია, რადგან მწამს, შორენას მე ვუყვარდი და ისეთ სათუთ გულში როგორიც შორენას ჰქონდა არ შეიძლება ორი სიყვარული მოთავსებულიყო.

– კარგი, გააგრძელეთ!

– დიახ, როგორც მოგახსენეთ, შორენა ბიბლიოთეკარად მუშაობდა, მე კი უმაღლესი განათლება მივიღე 1977 წელს და გადავწყვიტე შორენასათვის მიმეხარებინა ეგრეთწოდებული „წითელი დიპლომის” დაცვა. შევატყვე, გაეხარდა, მაგრამ იმის თვალებში რაღაც ამოუცნობი ფიქრი შევამჩნიე. მიზეზს შევეკითხე, შევატყვე ნაძალადევად გაიცინა და მიპასუხა:

– „ასეთი რამ უმაღლესმა განათლებამ გაფიქრებინა თუ ჩემს სიყვარულშიო შეიტანე ეჭვი?“ – მე შემრცხვა, გავწითლდი და უხერხულობიდან თავი რომ დამეღწია, ბაზალეთის ტბაზე გასეირნება შევთავაზე. სიამოვნებით დამთანხმდა, ტბამდე ტაქსით მივედით. სანაპიროზე დიდხანს ვისეირნეთ. ტბაზე ნავით გავცურეთ. შემდეგ ტურისტული ბაზის სასადილოში ვისადილეთ, მაგრამ არ იქნა და არა შორენას ხასიათი არ გამოუკეთდა, ვატყობდი ადრინდელი მხიარულება აკლდა, რაღაცა აწუხებდა, მაგრამ თუ რა ვერ ვხვდებოდი, ის კი არაფერს მეუბნებოდა.

საღამომდე ვისეირნეთ. საღამოს კი ფეხით წამოვედით სახლისაკენ, კარგად დაღამებული იყო, როდესაც შორენას საკუთარი ეზოს ჭიშკარი გავუღე და ეზოში შევუშვი, შემდეგ კარგად მახსოვს, ჭიშკარი საკუთარი ხელით გამოვიხურე და სახლში წავედი.

დილით, ჯერ კიდევ არ იყო კარგად გათენებული, შორენას მშობლები მოვიდნენ ჩვენთან:

– კი მაგრამ ბიჭო, რად გინდოდა ჩუმად წამოყვანა, ნეტავი გამაგებინა ვინ გიშლიდა ხელს. არ ჯობდა მშობლების თანხმობით გვეჭამა საქორწილო პური? – მისაყვედურა შორენას მამამ, მინდია ძიძიგურმა.

მე გავოგნდი და სიტყვის თქმა ვეღარ მოვახერხე, ის კი განაგრძობდა:

– სად არის ერთი გამოათრიე გარეთ, აუწიო ყურები და გავკიცხო როგორც საჭიროა!

– გაჩერდი კაცო. – გაგულისდა მინდიას მეუღლე, შორენას დედა ქეთევანი – ახლა მოდაში შემოვიდა გაპარვა, ჭურში ხომ არ გძინავს მაგხელა კაცს!?

მე მათ გაშტერებული მივჩერებოდი და ბოლოს როგორც იქნა ამოვღერღე:

– როგორ შორენა სახლში არ მოსულა?

– რას ამბობ ბიჭო, გუშინ მთელი დღე ერთად სეირნობდით, საღამოს აქეთ მომავალი დაუნახავხართ კიდეც და ახლა მე მეკითხები სახლში არის თუ არა? – გაგულისდა მინდია.

– საღამოს სახლამდე მოვაცილე! – ვუთხარი მე და მათთან ერთად ეზოდან გამოვედი.

ქეთევანმა კივილი ატეხა. შეგროვდა მთელი ქვეყანა, უცხომ და ნაცნობმა გაიგო შორენას გაუჩინარების ამბავი. მილიციას ვინ შეატყობინა არ ვიცი, შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, ძებნა და ძიება. მეც მათთან ერთად ვეძებდი შორენას კვალს, მაგრამ ამაოდ, მხოლოდ მეშვიდე დღეს ბაზალეთის ტბიდან ამოიღეს გვამი, რომელიც თევზებისაგან ისე იყო შეჭმული, რომ სპეციალური ექსპერტიზის გარეშე ვერავინ დაადგენდა ქალის გვამი იყო თუ მამაკაცის. იმ საღამოსვე მე დამაპატიმრეს და შორენას მკვლელობას მედავებიან. არ ვიცი როგორ დავამტკიცო ჩემი უდანაშაულობა. მე ჩემი გითხარით და თუ მართლა შორენა ცოცხალი აღარ არის, ჩემთვის სულ ერთია ციხეში ვიქნები თუ სამარეში.

– მდაა! – თქვა ისევ ისე მოსამართლემ. ცოტა ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ მგალობლიშვილს შეეკითხა:

– ნავით რომ სეირნობდით ტბაზე, დაგინახათ ვინმემ, როდესაც შორენა ნავიდან წყალში გადააგდეთ?

– რას მეკითხებით ვერ გავიგე, ჩვენთან ერთად იყო მენავე, რომელიც მოტორიან ნავს მართავდა და ნაპირზე უვნებლად გამოგვიყვანა. მოსამართლე მწერალ გოგონასკენ გადაიხარა და ყურთან წასჩურჩულა:

– „არავის დავუნახივარო” – და მოსამართლის შეკითხვაზე პასუხი დაფიქსირდა: – „შორენა ძიძიგური როდესაც ნავიდან წყალში გადავაგდე არავის დავუნახივარო”.

– კიდევ ერთი შეკითხვა და თქვენთან საუბარს მოვრჩები! – თქვა მოსამართლემ და მგალობლიშვილს „მამაშვილური” ღიმილით შეეკითხა:

– მინდია ძიძიგურის ოჯახში თუ ხართ ნამყოფი?

– კი, როგორ არა, ძალიან ბევრჯერ!

– თუ თქვენ სუფთა განზრახვით იყავით ამ ოჯახთან და შორენაც კმაყოფილი მიაცილეთ სახლამდე, რატომ არ ინახულეთ შორენას მშობლები?

– არ ვიცი, გვიანი იყო, ალბათ შემეხათრა.

– დაჯექით! – თქვა მკაცრად მოსამართლემ, პროკურორს გადახედა, რომელიც განმარტოებით იჯდა განკუთვნილ მაგიდასთან და წყნარად წარმოთქვა:

– სიტყვა ეძლევა სახელმწიფო მბრალდებელს, პირველი კლასის იუსტიციის პროკურორს დავით შალვას ძე მინდელს.

პროკურორი ახალგაზრდული შემართებით წამოდგა და ყოველგვარი დაფიქრების გარეშე დაიწყო:

– პატივცემულო მოსამართლენო, ძვირფასო საზოგადოებავ, ბატონებო და ქალბატონებო, მე როგორც სახელმწიფო მბრალმდებელი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რელსპუბლიკის ქალაქ დუშეთის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი, ღრმად ჩახედული წინასწარი გამოძიების უნაკლოებაში, ვეყრდნობი აგრეთვე მოწმეების უტყუარ ჩვენებებს და მიზანშეწონილად მიმაჩნია ბოროტმოქმედი შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილი გასამართლებული იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, კანონის ძალით, 117-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 104-ე მუხლის „ე” პუნქტით.

ქართველ ადამიანს, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ყოველთვის ბრძოლა ჰქონდა ყოველგვარი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ: ჩვენი წინაპარი, ეტრფოდა სიყვარულს, ებრძოდა მკვლელებს, იხვეჭდა სახელს, თრგუნავდა ერის შემარცხვენელებს, ხმლითა და თოხით ებრძოდა სიღარიბეს, ანადგურებდა მძარცვლებს და რომელი ერთი ქართველი ჩამოვთვალო ბოროტმოქმედებასთან მებრძოლი. მამულიშვილთაგან ბრძოლაში დაცემული და თავგანწირული? მათი რიცხვი ხომ მილიონებს აღემატება! მაგრამ სავალალოდ კანონის სახელით მებრძოლთა შორისაც იბადებიან კანონის წინააღმდეგ მებრძოლი პირები: მკვლელები, მძარცველები, ქალთა ღირსების შემარცხვენელნი, ყაჩაღები და ასე გასინჯეთ ულამაზესი სქესის გამაუპატიურებელნი და შემდეგ მკვლე-

ლებიც კი ასეთ ადამიანებთან, ნიღაბჩამოფარებულ მხეცებთან, მხოლოდ ჩვენ, პროკურატურისა და მილიციის მუშაკებს გვიხდება თავდადებული ბრძოლა. ისმის კითხვა: – სად იმყოფებიან ამ დროს მოქალაქეები? – პასუხი მხოლოდ ერთია: – ყოველგვარ დახმარებას უწევენ ბოროტმოქმედებს და საკუთარი ხელით ადგამენ თავზე შარავანდედით მოსილ გვირგვინს, რომელსაც ბრწყინვალედ იყენებენ დამნაშავენი, რადგან ეს დიდება ხალხისაგან ბოძებულია და არა მოპარული.

აბა სხვაგვარად როგორ ვიფიქრო, როდესაც დღისით, მზისით, ხდება ქალწულის გაუპატიურება, შემდეგ მკვლელობა და ბოლოს გვამის ბაზალეთის ტბაში ჩაძირკვა, სწორედ იმ ცრემლის ტბაში, რომელსაც ერთ დროს სულმნათი პოეტი უმღეროდა: – „... და ერისა ცრემლსადენი, ტბა კარვად ზედა გადუხურავს!“ და ვინ ჩადის ამ ბოროტმოქმედებას? ისევ ჩვენი მამულისა და ერის საამაყო შვილი, რომელიც სახელმწიფომ გამოზარდა, უმაღლესი განათლება მიაღებინა და ინტელიგენციის გვერდით დააყენა, მან კი როგორ გადაუხადა თავის მშობლიურ ხალხს გაწეული ამაგის საზღაური? – რა თქმა უნდა მკვლელობით. და ვიმეორებ: – ვინ ჩადის ამ მკვლელობას? – ადამიანი, რომელსაც მეტი მოეთხოვება, ვიდრე გაუნათლებელ პიროვნებას, რომლისაგანაც მოველოდით თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვისთვის გაეზიარებინა. ეს კი შეუწყნარებელ ბოროტმოქმედებას სჩადის და ახალგაზრდობას ქალიშვილების გაუპატიურებისა და მკვლელობის მაგალითს აძლევს.

ბატონებო! ბაზალეთის ტბა, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ დუშეთიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, – ზღვის დონიდან 879 მეტრის სიმაღლეზე, მაქსიმალური სიღრმე 7 მეტრია, ტბაში ბინადრობს თევზების რამოდენიმე სახეობა, მათ შორის ყველაზე მეტად არის გავრცელებული ქაშაყი, ნაფოტა, ხრამული, წვერა და კობრი.

ძიებისთვის სასარგებლო სრულებითაც არ გამოდგა ტბის უხვი თევზიანობა, რადგან შორენა ძიძიგურის გვამი, მიუხედავად გაძლიერებული ძებნისა, დაკარგვიდან მხოლოდ მეშვიდე დღეს იქნა ნაპოვნი. გვამი მთლიანად იყო დასახიჩრებული და ნახევრად შეჭმული თევზებისაგან, რის შედეგადაც გვამით პიროვნების დადგენა გაგვიძნელდა, მაგრამ საგამომძიებლო ექსპერტიზის დაუღალავი შრომის შედეგად დადგინდა, რომ გვამი მდედრობით სქესს ეკუთვნოდა, რამაც გვაფიქრებინა, რომ ეს შორენა ძიძიგური უნდა ყოფილიყო, რადგან ახლო-მახლო სოფლებში და არც რაიონებში, მკვლელობის და უგზო-უკვლოდ დაკარგვის არავითარი ცნობა არა აქვს მიღებული საქართველოს სამძებრო ორგანოებს. სწორედ ეს მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ გვამი შორენა ძიძიგურს უნდა ეკუთვნოდეს.

ბაზალეთის ტბის სანაპიროზე მდებარეობს სამომხმარებლო თევზჭერის ობიექტი და ტურისტული ბაზა, სადაც წლის ნებისმიერ დროს დამსვენებელთა და ტურისტთა ხალხმრავლობაა, ნუთუ ვერავინ დაინახა ეს საზიზღარი მკვლელობა, რომ შეეჩერებინა მხეცი და ჩვენს ასე მცირერიცხოვან სამშობლოს უდროოდ არ გამოკლებოდა მომავალი დედა, რომელიც მითუმეტეს ახლა, ასე ძლიერ ესაჭიროება ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს, რომელსაც სულ რამოდენიმე წელია აღორძინებისა და ოქროს ხანა დაეწყო...

– ეს კაცი სულ სხვას ფიქრობს და სულ სხვას ლაპარაკობს: გადაულაპარაკა ქურთმა ქუჩის მხვეტავმა გვერდით მჯდომ სულ უცნობ მამაკაცს და ნათქვამი ცოტა ხმამაღლა გამოუვიდა. დარბაზში ფარული სიცილი ატეხეს – ვიღაცამ შუა დარბაზში პროკურორის ინტერესები დაიცვა და ქურთზე ცოტა ხმამაღლა თქვა: „განა ჩვენ კი არ ვიცით რას ლაპარაკობს, რომ ხმას არ ვიღებთ? ვიღაც მეეზოვეს ვინღა კითხავს სახელმწიფო პიროვნების სულში ჩაძვრომას?

– მართლაც, ვინ მკითხავს, მაგრამ კაცმა მე აქ ათას მანეთად დამასახლა, ააშენა ღმერთმა, განა ცუდს ვამბობ? – თქვა მეეზოვემ და გაჩუმდა.

მოსამართლემ ზარი დააწკარუნა და დარბაზს სიწყნარე და ყურადღება მოსთხოვა. პროკურორს ყურადღება სრულებით არაფრისათვის არ მიუქცევია. მას ზეცისაკენ აღეპყრო მზერა და თითქოს ლოცულობსო, ლაპარაკს განაგრძობდა:

– ბატონო მოსამართლენო: – მე დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი ნამდვილად შექმნის ხელოვნურ ადამიანს, მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქნას თანამედროვე ადამიანს დაამსგავსოს თავისი ქმნილება, რომელსაც სულში და ორგანიზმში ბოროტება ექნება ჩაბუდებული თავის შემქმნელისაგან გენებში შთამომავლობით გადმოცემული და პატივცემულო საზოგადოებრივ, პირადად თქვენ მოგმართავთ თხოვნით, მანამდე მაინც ვიყოთ ადამიანები, სანამ ხელოვნურად შექმნილი ადამიანების არა გვაქვს შიში. ამჟამად კი, უფლებამოსილნი ვართ გამოვიყენოთ საკუთარი შესაძლებლობები და დროებით მაინც ავლაგმოთ ჩვენს შორის ბოროტმოქმედნი, არა

მარტო მართლმსაჯულების სისხლისმღვრელი დაუღალავი შრომი სშედეგად, არამედ საზოგადოების დახმარებითაც. მაგრამ თუ მაინც თავს იჩენს ბოროტმოქმედება, კანონის ძალით, მკაცრი სასჯელი გამოვუტანოთ ბოროტმოქმედს, რათა არ განმეორდეს მსგავსი დანაშაული ჩვენს გვერდით და რაც მთავარია ჩვენს მრავალტანჯულ საყვარელ სამშობლოში (დარბაზში ფარული სიცილი გაისმა, მოსამართლემ ისევ დააწკარუნა ზარი, პროკურორი კი განაგრძობდა):

– ბატონებო და ქალბატონებო, მე ვეყრდნობი წინასწარი ძიების სწორ ვერსიას, რომელსაც ჩემი საბურის შემდეგ ამხანაგი მოსამართლე უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ. მაგრამ ჩემი მრავალწლიანი თეორიული და პრაქტიკული დაუღალავი შრომის შედეგით ვაფასებ შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და მიზანშეწონილად მიმაჩნია 117—ე მუხლის მეორე ნაწილით ადა 104-ე მუხლის „ე" პუნქტით მიესაჯოს თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით...

პროკურორმა საუბარი როგორც კი დაამთავრა, მსჯავრდებული ზეზე წამოიჭრა და გამყინავი ხმით იყვირა:

– „მე მკვლელი არა ვარ! არ მომიკლავს!"

– „დაეგდე ბიჭო შენს ძირს" – შეუტია პირტიტველა ბადრაგმა და ავტომატური თოფის კონდახი მოუღერა.

ამ შეძახილმა დარბაზში ჩოჩქოლი გამოიწვია, სასამართლო სხდომას კი პატიმრისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მოსამართლემ ზარი რამოდენიმეჯერ აახმაურა და ხალხის დაწყნარებას დაელოდა, მხოლოდ როგორც კი სასამართლო დარბაზში ჩურჩული შეწყდა, ისე როგორც სახალხო სასამართლოს პროცესის მსვლელობის დროს „პროგრამაში" არის დაგეგმილი, ზეზე დარბაისლურად წამოდგა ადვოკატი გიორგი ანზორის ძე ჩიქოვანი და ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიწყო:

– ბატონო მოსამართლენო, მე როგორც სამართალში მიცემულის ინტერესების დამცველი, თქვენი ნებართვით, უფლებამოსილი ვარ გამოვავლინო, წინასწარი ძიების დროს შეგნებულად დაშვებული შეცდომები და სამართალში მიცემულს გამოუტანოთ სასჯელი კანონის შესაბამისად.

– სულმნათი სულხან საბა-ორბელიანის განმარტებით: – „ვექილი არის თანამოსარჩლე სამსჯავროსა შინა". – ამიტომ თავსუფლებას ვაძლევ დავახასიათო ბოროტმოქმედის პიროვნება, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლის სრული კურსი და იმყოფებოდა სახელგანთქმულ მსახიობთა შორის ღირსშესანიშნავ ადგილზე. მგალობლიშვილს არაერთხერ გაუცოცხლებია კინოში თუ თეატრის სცენაზე წინაპართა და ღირსეულ მამულიშვილთა სახეები. ყოველივე ეს გთხოვთ მხედველობაში მიიღოს სახალხო სასამართლომ და მსახიობთა რიგებს არ გამოაკლოს ის ადამიანი, რომელიც დღეს ესოდენ ესაჭიროება ჩვენს რესპუბლიკას.

– თუ გვჯერავს და ვეყრდნობით მგალობლიშვილის რამოდენიმე გრანდიოზულ კინო თუ თეატრალური როლის ბრწყინვალედ შესრულებას, მაშინ რატომ არ გვჯერა პიროვნების გამოძახილის: – „არ მომიკლავს!"

– ცოტა ვინმე თუ იცნობს საპყრობილეს და საზოგადოებისაგან იზოლირებას, უმეტესწილად აქ გვხვდებიან ადამიანები, არა წინასწარი გადაწყვეტილებით, არამედ სიბრიყვისა და შეცდომის შედეგად. ამიტომ ადამიანელი უფრო ხშირად იმიტომ არიან იზოლირების მსხვერპლნი, რომ რაღაც უხილავი ბოროტი ბიძგების გამო არ შეუძლიათ თავი აარიდონ მას. ამიტომ მე გამოვრიცხავ 104-ე მუხლის „ე" პუნქტით მგალობლიშვილის გასამართლებას, რომელიც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას და საფუძვლიანად მიმაჩნია ბოროტმოქმედი გასამართლებული იქნეს 107-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს მკვლელობას სულიერად აღელვების ნიადაგზედ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გულნარა შოთაშვილი-ტაბატაძე

***

გაგრძელება, დასაწყისი ჟურნალ „ათინათის“ №1(27)-ში

– არა გრცხვენია, ვაჟკაცი დარდს დაუმონებიხარ, რატომ არ ფიქრობ, რომ დედაშენი სამარეშიც გრძნობს ყველაფერს? მტრის სასიხარულოს რატომ ჩადიხარ? არ იცი, რომ შენი დედინაცვალი სიხარულით ცას ეწევა? მაშ რატომ არ მოდიხარ სოფელში, მეზობლებმა რა დაგიშავეს...

ხმაგაკმენდილი და თავჩაღუნული უსმენდა ზვიადი პაპას. უჭირდა იქ დაბრუნება, სადაც მისი დედინაცვალი ცხოვრობდა, ეგონა მისი ერთი შეხედვაც კი ჭკუიდან შეშლიდა, თავს ვერ შეიკავებდა და ვაითუ სამარცხვინო რამ მოემოქმედებია.

დიდხანს ესაუბრა პაპა ზაქრო და ბოლოს დაითანხმა, რომ ქალაქში ჩაიყვანდა თავის ძმასთან.

ზვიადს ძალზედ გაუჭირდა თანხმობის მიცემა, მაგრამ პაპამ ისე დაუხატა ცხოვრება, ჭაბუკი დაინტერესდა. ისიც უთხრა ობლებს და უპატრონოებს მთავრობა პატრონობას და ხელობას ასწავლისო. გატეხა შეუცნობელი მოლოდინის ფიქრმა ზვიადის სიჯიუტე და გადაწყვიტეს მომავალ კვირას გამგზავრებულიყვნენ, მით უმეტეს რომ დავითს ზაქროს ძმას, შვილი ომში დაკარგვოდა და ოჯახი შვილად მიიღებდა ზვიადს, დაღუპული შვილის ადგილს მიუჩენდა გულში – ჩვენ, მე და დავითი ერთი ბედისანი ვართ, ჩემო ზვიად – თქვა ატეხა შეუცნობელი მოლოდინის ფიქრმა ზვიადის სიჯიუტე და გადაწყვიტეს მომავალ კვირას გამგზავრებულიყვნენ, მით უმეტეს რომ დავითს ზაქროს ძმას, შვილი ომში დაკარგვოდა და ოჯახი შვილად მიიღებდა ზვიადს, დაღუპული შვილის ადგილს მიუჩენდა გულში – ჩვენ, მე და დავითი ერთი ბედისანი ვართ, ჩემო ზვიად – თქვა ზაქრომ.

ზვიადმა იცოდა, პაპა ზაქროს რომ ცოლ-შვილი მკვდარი ჰყავდა და მისგან არასოდეს გაუგონია ღმერთის გმობის სიტყვები, - ასე წერებია ჩემს ოჯახს – იტყოდა და ყოველთვის ერიდებოდა საკუთარი დარდით სხვის შეწუხებას.

ახლაც ასევე, ლაპარაკის კილო შეცვალა და დინჯი ხმით დააყოლა – შენ იქნები ჩემი დავითის მომავალი, ჩემო ზვიად, შენ იცი თუ არ შეგვარცხვენ, ბიჭო – ბეჭებში ხელი დაარტყა და თვალებში ალალ-მართლად ჩახედა.

ზვიადს გაყინული გული გაულღო პაპა ზაქროს მამაკაცურმა მოფერებამ და დავიწყებული ღიმილი მოჰგვარა სახეზე.

პაპასაც გაეღიმა და ღიმილმა უფრო გაუთავისუფლა ბიჭს დარდის მარწუხებში მოქცეული გული, მიხვდა ადამიანი მარტო დარდის, მარტოობისა და შრომისათვის კი არ გაეჩინა ღმერთს – მეგობრობისა და მხიარულებისათვისაც.

კვირა დღის სისხამი დილა იდგა. ტანაყრილ ფოთლოვან ხეებს ტოტები ფართოდ გაეშალა. ფოთოლთა შრიალი ყურს ელამუნებოდა და სმენას ახარებდა. ბუჩქიდან შოშიის ბარტყების ჭყიპინი ისმოდა და მათი დაფჩენილი ყვითელი პირებიც მოსჩანდა. შოშია გამალებით ეზიდებოდა ჭიაღუას და შვილებს რიგრიგობით უტენიდა პირში. დედამ კიდევ რამდენიმე გზობა ჭია მოიტანა და თვითონაც ბუდეში ჩაჯდა.

ხის ძირში მოფუსფუსე ჭიანჭველები გამალებით ეზიდებოდნენ საზრდოს, თავისზე დიდ ტვირთს მიათრევდნენ. ციყვი ნაძვის ხის ტოტზე გასულიყო და გირჩიდან თესლს აძრობდა. კოდალა ხეს გამალებით უკაკუნებდა.

ხის ქვეშ მჯდომარე, მდუმარე ჭაბუკი ყურადღებით აკვირდებოდა ყველა სულიერის საქმიანობას და მათი ფუსფუსი გულის სიცარიელეს უვსებდა. თკბებოდა ბუნების სილაღითა და სიმშვენიერით, იცოდა დიდიხნით შორდებოდა თავის საყვარელ ტყესა და ადგილს, გული და გონება ეწინააღმდეგებოდა განშორებას, მაგრამ სოფელმა გადაწყვიტა ზვიადის ბედი და ერთი ადამიანის ძალ-ღონე ვერ აღუდგებოდა წინ მათ სურვილს. სიცოცხლეც, გულიც და გონების ნაწილიც აქვე რჩებოდა, მაგრამ მაინც უნდოდა გასცლოდა როკაპი დედაკაცის სამყოფელს. ამიტომ იყო წუხელის თვალი არ მოუხუჭავს, ირიჟრაჟა თუ არა, მაშინვე შეუდგა საყვარელი ადგილების მოვლას.

ყველაზე დიდხანს იმ ხესთან და ბუჩქთან ჩერდებოდა, რომელთანაც თავისი საყვარელი დაიკოს მოგონება აკავშირებდა, ეფერებოდა იმ მიწას, ხეს, ბალახებს, სადაც ცაროს ფეხი დაედგა და ცხარე ცრემლებით დასტიროდა მის გაფრენილ სიცოცხლესა და დაკარგულ ბედნიერებას. ცოცხალივით ესაუბრებოდა დას და ენის მოჩლექვით ეფერებოდა. სულზე მეტად უყვარდა პატარა ცარო, მის სამახსოვროდ და ხელშესახებად მხოლოდ ერთი კაბა გააჩნდა და ახლა მას იხუტებდა მკერდში. თვალიდან არ შორდებოდა დის სახე და ფიქრში წასულს ხანდახან ეჩვენებოდა, რომ გვერდით მოსდევდა გიშრისთვალება ცარო. ფიქრმა და მოგონებებმა თავისდაუნებურად საფლავზე მიიყვანა. აქ უკვე გზა მისცა ცრემლებს, და დედა და და კიდევ ერთხელ დაიტირა.

– ახლა მჭირდება დედა, შენი დარიგება – სლუკუნით ესაუბრებოდა საროს – მითხარი, როგორ მოვიქცე; მე ხომ ადამიანებთან სიახლოვის არაფერი გამეგება. ვინ დაიჯერებს, რომ დღეს წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი არსებობს კიდევ? მე ისიც არ ვიცი ლოგინში როგორ დავწვე, სუფთად ჩაცმა ხომ უცხო ხილია ჩემთვის. დამლოცე, ჩემო კეთილო დედიკო. ცაროს მიხედე ჩემს მოსვლამდე, გავუძლებ კია ქალაქის აურზაურიან ცხოვრებას? გამოვა რამე ჩემგან? არა მგონია. ჩემი ტოლები მალე საშუალოს დაამთავრებენ, მე კი რას წარმოვადგენ? არაფერს, რომელსაც არც თავისი ხალხისათვის და არც თავისი სამშობლოსათვის სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. მე ზედმეტი ბარგი ვარ ყველასათვის. ვისწავლი იმას, რაც დღემდე არ მისწავლია? ეჭვი მეპარება, მაგრამ ზაქრო პაპას ხათრი ვერ გავუტეხე, მივდევ მის რჩევას, სადღაც ახალი ქალაქი ყოფილა, ხელობას ისწავლიო.

საფლავს ხელი მოუსვა, თითქოს დედას მოეფერა, ცრემლები შეიმშრალა და დაუმატა – მიგიხვდი დედიკო, ვიცი ცაროსაც ასე უნდა, გინდათ რომ წავიდე; ვცადო რა გამოვა. გადაწყდა, წავალ, როცა დავბრუნდები ყველაფერს მოგიყვებით. მშვიდობით, ჩემი წასვლის დროა.

ლასლასით გამოვიდა სასაფლაოდან და სოფლის გზას დაუყვა. ის იყო სოფელს მიატანა, რომ წინ დედინაცვალი, ცაცა აესვეტა, თვალები სიბრაზისაგან გადმოცვენაზე ჰქონდა. პირზე დუჟი გადმოსვლოდა და მისი სახე ნერვიულობას გაეფითრებია. აფთარივით შემართულმა მეხივით დაიჭექა.

– შენ დაუმიწდი მამაშენს, შენ მოიკვლიე დედისა და დის კვალი, რისთვის დაგტოვა წაწყმედილმა სარომ ჩემს საბოროტოდ და შესარცხვენად.

დიდი კეტი, რომელიც ხელში ეკავა, მოუქნია ზვიადს გაქცევა არც უფიქრია, სახე გაქვავებოდა, მისი გული ათასგვარ განცდას დაეპყრო, საროსებური ნაპერწკლიანი თვალები ამჟღავნებდნენ დარდსა და სიბრაზეს, მოქნეული კეტი ჰაერში შეუჩერა დედინაცვალს გაცეცხლებული ცაცა აყვირდა, მეზობლები გამოცვივდნენ და გაალმასებული დედინაცვალი მოაშორეს გერს ზაქრო პაპამ კი ველარ მოითმინა და ხელჯოხი ფეხებში შემოარტყა ობლის დამჩაგვრელს.

– შენ გაგიშრა სისხლი, შენს გაზრდას ლეკვი გაეზარდა დედაშენს მტერსა და მოყვარეს უკეთესად გაარჩევდა, რა დაგიშავა ობოლმა ბავშვმა? სახლიდან გააგდე, მამა მამინაცვლად უქციე, ახლა კეტს ურტყავ, ფუ შენს ქალობას – ზაქრო პაპამ გვერდზე გადააფურთხა და მეზობლებს მიმართა – ვინც ტარიელსა და ცაცას უმეზობლოს, ცაცას გამარჯობა უთხრას და ხელი გაუწოდოს გაჭირვებაში, ასე მოიფშვნიტოს მისი ოჯახი – ხელის გულები ერთმანეთზე გაუსვა გაალმასებულმა მოხუცმა – ვინც უნდა იყოს მათი ხელის შემწყობი, სოფლიდან მოიკვეთოს. ობლების ცრემლებმა და გოდებამ არავის არ უნდა ჩაუაროს უქმად, თავზე უბედურება უნდა დაატყდეს – ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი ზვიადს მიუბრუნდა და შერბილებული ხმით უთხრა – წავიდეთ შვილო, დროა. გააგებინე მაგ ძაღლთაპირ დედაკაცს, რომ შენც შეგიძლია ადამიანური ადგილი გეჭიროს ცხოვრებაში. შენი ბრალია, თორემ ამდენხანს გავაგებინებდით რაიონის ხელმძღვანელობას ცაცას ამბავს, ახლა შენ აღარას გკითხავ, მე თვითონ მივალ თავკაცთან და მდგომარეობას ავუხსნი, ახლა კი ჩქარა არ დავაგვიანოთ, საღამომდე უნდა ჩავიდეთ ცენტრში, ჩემთან წამოდი, ტანზე გამოიცვალე.

ზვიადს გული ტეხდა, გაბრუებული მისდევდა პაპა ზაქროს, წვეთწვეთად ჩანადენი შხამი გულს უვსებდა, რცხვენოდა, თორემ იტირებდა...

მატარებელში ჩასხდნენ, მგზავრებს ეძინათ, ზვიადს ძილი არ ეკარებოდა, ბალღამით სავსე გული ძილს არ ნებდებოდა. მისი ფიქრი ბავშვობის ადგილებს, დედისა და დის საფლავს დასტრიალებდა, როდემდე გაუძლებდა ცდუნებას სოფელში არ ჩამოსულიყო?

მისი ახალგაზრდული, დარდებით სავსე ფიქრი ხანდისხან გაემიჯნებოდა მწარე წარსულს და ბუნდოვან მომავალს გახედავდა, მიუხედავად უიმედობისა, იმედის მომცემ შუქს მაინც ხედავდა

მომავლის გზაზე და ცდილობდა დაევიწყებია სიმწარე, რომელიც ვერაფრით გაერიდებია გულიდან და გონებიდან. პაპის ნათქვამიდან იცოდა, მცირედი სინათლიდან ფართო, ნათელ გზას იხილავდა ცხოვრებისას და დარდიც ემსუბუქებოდა. სასიკეთო ფიქრი მაინც კრთოდა შეუცნობელი მომავლის მოლოდინში, რადგანაც გრძნობდა ძნელად შეეგუებოდა თავისუფლებას შეჩვეული, კარჩაკეტილ ცხოვრებას, დროის განსაზღვრულად ხარჯვას. მთის სუფთა ჰაერის შემდეგ როგორ გაუძლებდა ქალაქის ჰაერს? მისი ბავშვური გონება ჯერ ვერ ჩასწვდომოდა ცხოვრების რთულ საკითხებს და იძულებული იყო ბრმად მიჰყოლოდა ბედის ჩარხის ბრუნვას. საქმე ის გახლდათ, ვის ხელში მოხვდებოდა ობოლი ბიჭის ბედის სადავე, კარგი ოსტატის ხელში გამოუჩორკნავი ჯირკიდანაც საჭირო სახის საგანი გამოითლებოდა. ფიქრსა და დავიდარაბაში გული ყელში მოებჯინა, სუნთქვა გაუჭირდა, პაპა ზაქროს ნაყიდი პერანგის ღილები შეიხსნა, მატარებლის ფანჯარა ოდნავ ჩამოაღო და სული მოითქვა: მატარებელი კი მიაპობდა ღამის სიბნელეს და ქშენით კეცავდა გზას ზვიადის წარსულიდან მომავლისაკენ.

ქალაქს დილის რიჟრაჟზე ეწვივნენ. ზვიადი ქალაქმა ისე გააოცა, ფეხის გადადგმა დაავიწყდა, თავისდაუნებურად გამოეთიშა მოსიარულე ხალხს და თავისუფლად გაუყვა გზას ქუჩის იმ ადგილისაკენ, სადაც აკრძალული იყო ფეხით სიარული. მილიციონერმა სასტვენით რომ ვერა გააწყო რა, მკლავში ხელი მოჰკიდა და თავაზიანად შეაჩერა.

– ყმაწვილო, გადასასვლელი ქვემოთაა, მანდ საშიშია – როცა დაინახა ზვიადი უხერხულად შეიშმუშნა, მიხვდა ქალაქში პირველად იყო ბიჭი და ღიმილით დაუმატა – ნუ გრცხვენია ბიძია, მეც სოფლიდან ვარ ჩამოსული, პირველად არც მე ვიცოდი ქალაქის წესებისა არაფერი, ისწავლი. კარგი ყმაწვილი ჩანხარ – მილიციონერმა ხელკავი გამოსდო თავის წლოვანებასთან შედარებით წარმოსადეგ ზვიადს და უკან დააბრუნა, ზაქრო პაპა იდგა და იღიმებოდა. დარცხვენილი ჭაბუკი პაპას კითხვის გამომხატველ თვალებით მიაჩერდა, მოხუცმაც არ დააყოვნა და აუხსნა ქალაქში მოძრაობის ელემენტარული წესი.

ზაქრო პაპას ძმამ, დავითმა, სიხარულით ითავა ჭაბუკის გამოზრდა, ჯერ წერა-კითხვა ასწავლა, მერე მასწავლებელი დაუჭირა და ოთხი კლასის პროგრამა დაამთავრებინა.

ყმაწვილი ნიჭიერი და მონდომებული გამოდგა. ნოყიერ ნიადაგში მოქცეულ მარცვალივით ღვივდებოდა ცოდნა ზვიადის გონებაში და სხვასავით ნაბიჯ-ნაბიჯ კი არ მიიწევდა წინ, გიგანტური ნახტომებით მიდიოდა. დავითმა მუშა ახალგაზრდობის სკოლაში შეიყვანა ბეჯითი ყმაწვილი და შეეცადა შეძლებისდაგვარად შეეწყო ხელი სწავლასა და შრომაში.

რვა კლასი წარმატებით დაამთავრა ზვიადმა და გახარებულმა დავითმა „შვილობილის“ ტექნიკურ სასწავლებელში შესაყვანად საბუთებს დაუწყო შეგროვება, მანამდე ორი თვე იყო ვადა. დავითი ატყობდა ბიჭს საყვარელი სოფლის უნახავობა აწუხებდა და ძმას მისწერა, წაეყვანა ზვიადი სოფელში.

მოხუცი მოულოდნელად „დაესხა თავს“ ძმის ოჯახს, და როცა მან ზვიადის სახით ქალაქში აღზრდილი ვაჟი იხილა, ფაქტმა მოლოდინს გადააჭარბა... მისი დახვეწილი მანერები, ლაპარაკის კილო და აზრის სიღრმე მასზე უფრო დიდებსაც შეშურდებოდათ, სახის ნაკვთებით დედას დამსგავსებოდა. მხარ-ბეჭი მამასავით გაეშალა და გადანასვულ წარბებს ქვემოდან ცეცხლივით გახდომოდა, უკეთესს რას ნახავდა ადამიანის თვალი. ერთი სიტყვით ტყეში შეღერებული ბიჭის კვალიც აღარ სჩანდა მასში და მის შემხედვარეს ეჭვიც კი არ დაებადებოდა მის არა ქალაქელობაში, მაგრამ ბუნებისადმი მიდრეკილებასა და სოფლის სიყვარულს უფრო ღრმად გაედგა ფესვები მის გულში და დაკვირვებული თვალი მაინც დაინახავდა ალალმართალი და გულუბრყვილო სოფლის ბიჭის თვისებებს, რაც უფრო ამშვენებდა და მიმზიდველს ხდიდა მის ადამიანობას.

ზაქრო გვიან ღამით ჩამოვიდა სოფლიდან, ზვიადი ისე გაახარა პაპას დანახვამ, სიხარულის ცრემლები გაუბრწყინდა თვალებში, ყელზე სუროსავით შემოეხვია და მანამდე აღარ მოშორდა ვიდრე დაწვრილებით არ აამბობინა ყველაფერი სოფლის შესახებ... ბევრი ახალი ამბავი გაიგო ჭაბუკმა, რაც მთავარია სოფელში სამანქანო გზა გაეყვანათ და ხიდი გაედოთ უსახელო ხევის წყალზე. რაც გზას სულ ცოტა ოცი კილომეტრით კვეცავდა, კლუბიც აეშენებიათ და ოთხწლიანი სკოლა არასრულ საშუალოდ გადაეკეთებიათ. მათ სოფელშიც სხვა სოფლებივით, სიახლის მძლავრი სუნთქვა შეჭრილიყო და მხოლოდ მამამისი და ავი დედინაცვალი დარჩენილიყვნენ ძველებურად, ხალხისაგან გარიყულნი და ცხოვრებისაგან მოწყვეტილნი. „ეშმაკის“ კლანჭებში ჩავარდნილი მამა ზვიადს შეებრალა და გონებაში გადაწყვიტა, მშობელი როგორმე ამოეყვანა წუმპიდან. ტარიელი ჯერ ახალგაზრდა, ოცდათვრამეტი წლისა იყო და ცხოვრებამ კი ასი წლის ბე-

რიკაცივით დააბერა. საჭირო იყო კარჩაკეტილი ცხოვრებისათვის ჩამოეშორებია მამა და ცხოვრების წინსვლის გზაზე გამოეყვანა, მერე თვითონ იპოვნიდა ადგილს საზოგადოებაში.

ირიჟრაჟა თუ არა, ზვიადი ლოგინიდან წამოდგა, სოფლის მოგონებებმა მიძინებული სიყვარული გაუღვიძა, ეჩქარებოდა საყვარელი ადგილების ნახვა და დედისა და დის საფლავებთან გასაუბრება. თავისი ქოხიც ენატრებოდა, თვალს დახუჭავდა, ტყეს წარმოიდგენდა, სადაც თავის დაიკოსთან ერთად ევლო და ბავშვური სიხარული განეცადა. ხანდისხან ეგონა მოგონებები და სურვილები ჭკუიდან შეშლიდა და თავის ერთი გაქნევით უკან გადაიყრიდა შუბლზე ჩამოყრილ თმებსა და მოჯარულ ფიქრებს. მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. სისხამზე ადგა. ზაქრო მიუხვდა მოუთმენლობას და ღიმილით დაუდასტურა ფიქრები, აჩქარდა მოხუციც, რომ ბიჭის სურვილისათვის მხარი აება, მიუხვდა ხვაშიადს, ნოსტალგია მოძალებულ ჭაბუკს და მისი სურვილიც ის იყო სოფლისათვის, და განსაკუთრებით, როკაპი დედინაცვლისათვის, ეჩვენებინა ის ცვლილებები და სასიკეთო ძვრები ჭაბუკში, რაც ქალაქმა მოახდინა ზვიადის ცხოვრებასა და გარეგნობაში. მისი სურვილი იყო ცაცას ეხილა ჭაბუკის სიკეთე და გული გაეხეთქა მისთვის ობლის ბედის სასიკეთოდ შემობრუნებას.

არ გასჭრა დავითის მუდარამ, ერთი დღე კიდევ დარჩენილიყვნენ. ზაქრო პაპამ ორაზროვნად გადახედა ზვიადს, თვალი ჩაუკრა და ძმას უთხრა:

– არა ძმაო, შენი ქალაქი შენთვის დამითმია, ჩვენ კი გზა დაგვილოცე, კარგად უთქვამს სულმნათ შოთას „წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ჟამისა“ – ადრე სჯობს წასვლა, სიგრილეში ვიმგზავრებთ და სიგრილეშივე მივალთ სოფელში – მერე ძმა და რძალი გადაკოცნა და დაუბარა – იცოდე, თუ მე არ მეცალა და ბიჭი ვერ გამოვაცილე, დეპეშას მოგცემ და დაუხვდი, მანამდე კი შენც შეგიძლია, თუ მოისურვებ, სოფელში ამოხვიდე და დაისვენო.

შეთანხმდნენ ივლისის პირველ რიცხვებში დავითი ძმას ეწვეოდა და ზვიადისთან ერთად დაბრუნდებოდა ქალაქში, აგვისტოს გამოცდებისათვის, მით უმეტეს დავითი პენსიონერი იყო და შეეძლო დაესვენა...

მთელი გზა ოცნებაში გალია ზვიადმა, ეჩქარებოდა ენახა ადგილები, სადაც სიხარული ცოტა და ტანჯვა ბევრი განეცადა, ასე ეგონა, დედა და ცარო უკვე ელოდნენ, იცოდნენ რომ მათი ზვიადი დღეს ან ხვალ საფლავებს მიაკითხავდა, ზვიადი გონებაში ემზადებოდა ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა დედისა და დისთვის.

სოფელში მეორე დილით ავიდნენ. ზვიადმა სასაფლაოსაკენ გაუხვია. ზაქრო პაპას ჩემოდანი შეატოვა და მალე მოვალო, დაუბარა. მაგრამ ნანახმა გული დაუამა, დედისა და დის საფლავი ყვავილებში ჩაფლული, გასუფთავებული და ღობეშემოვლებული დაუხვდა, მზრუნველ ხელს ჭიშკარი კლიტით დაეკეტა და გასაღები იქვე, ხის საფარში შეენახა. პაპა ზაქროს გულკეთილებამ გული სიხარულით აუვსო ყმაწვილს. დედის საფლავზე დაემხო და როგორც უყვარდა დედასთან საუბარი, ისე ცრემლებით სულშეგუბებულმა ჩურჩულით დაიწყო.

– დედა, ჩემო დედიკო, დიდი ხანია შენთან არ ამოვსულვარ, მაგრამ კეთილ პაპას არაფერი დაუკლია შენთვის, მეც იმას უნდა ვუმადლოდე რომ არ გავტყიურდი და ცხოვრებას სულ არ ჩამოვცილდი. დედა შენი შვილი დღეს, ბედნიერია და კმაყოფილი. ნეტავი შენცა და ცაროც ხარობდეთ ჩემთან ერთად, აი მაშინ ვიქნებოდი უბედნიერესი კაცი ქვეყანაზე და გულს აღარაფერი დამიღონებდა, მაგრამ დღეს... მაინც მარტოობას ვგრძნობ კეთილი ხალხით გარშემორტყმული, იქნება უმადური დამარქვა, იქნება გამკიცხო კიდეც, მე მაინც გეტყვი – ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი სულით ახლობელი რომ ვინმე ჩემთან მეგულებოდეს, ას წილ ბედნიერი ვიქნებოდი. დამიჯერე დედიკო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თეა კანდელაკი



იხთიოს NIKA

დღეიდან ვიწყებ ახალ ცხოვრებას სულიერ გზაზე, რადგან დაღლილი ვარ საკუთარ სულის ჭიდილით. სად არის ნათლის, სიკეთის და გზა სათნოების?!

– მხოლოდ ტაძარში, სადაც მეფობს ჭეშმარიტება!!

* * *

... ამავდროულად მე „ტაძრიდან“ გამოვიქეცი, ტაძარი უფრო დამონებულ სულებს რომ ეპყრათ, ოცდაათ ვერცხლის მოლოდინით ხმა გაკმენდილებს, თეთრის მაგივრად ნაცრისფერი მანტია ეცვათ... და არც ემოსათ თავს ნათელი ჭეშმარიტების, მათ შიშისფერი გადაკრავდათ შემკრთალ სახეზე. კვლავ, რომ ვიხილე, განრისხებულს მომილბა გული და სიბრალულის ნიაღვარმა ხეთქა თვალებზე...

... და მე გავშორდი მათ ისევე, ჩუმად და უხმოდ, ან კი, ამ წუთას კაცის ენით რა უნდა მეთქვა?! უფლის სამოსში გარეგნულად შებურდნილიყვნენ, სულის სიღრმეებს კვლავ მონობის კერპები ფლეთდა.

... და დამიმწუხრდა გული, თითქოს ამ საწუთროში მხოლოდ ორპირთა და სულ-მხდალთა ჩრდილები მერტყა. აჩრდილებს, მახსოვს ბავშვობიდან ვერიდებოდი, დიად ნათელთან კი საკმაოდ დიდი გზა მეკლდა...

და მე სულ მარტო, მტვრის სულ ციდა ნამცეცის დარად, ამაოების უსასრულო სივრცეში დავფრენ და ველოდები ჩემი ღმერთის ბუკს და ნაღარას, ზეცის მხედრიონს, უსპეტაკეს თეთრ ფრთათა აფრებს...

... მივდივარ, ვხედავ, ხელგაშლილი გზად ჩემი ჩრდილი, ცად აღმართული, ჯვრის სახით რომ ნაბიჯით მისწრებს და ვხედავ სავალს იმ ტაძრისკენ ღმერთმა რომ მომცა და ვხედავ ნავალს, რომელ გზაზეც უფალი მიცვეს!..

... ოხ, ეს გზა უფრო ფართო არის და გაკვალული, ოცდაათ ვერცხლის ჩხრიალი ხომ კვლავ სწვდება სმენას!.. ისევ გოლგოთა?!. ისევ, უღვთოდ წამება ღმერთის?!. კმარა!!! შეჩერდი, შე ცოდვილო კაცთა გონებავ!!!

ეკალ-ბარდები ერთხელ შენც ხომ უნდა იგემო, თუ, ამ საწუთროს გვირგვინი შუბლს რა მწარედ კენწლავს!..

... ის გზა კი, სადაც ჩემი ჩრდილი ნაბიჯით მისწრებს, ხელებ გაშლილი ჯვრის სახით რომ მომავალს ხეთქავს – გზა არის ღვთისკენ შეუმცდარი, თუნდ ძნელ სავალი ჭეშმარიტების ბილიკით რომ მიაღწევს მწვერვალს!!!

... წინ-წინ მივიწევ, ვუმკლავდები შემხვდურ ქარიშხალს და ამაოთა ამაოებას ვსრეს ფეხშიშველი, მკაწრავი ეკლით მესერება გულები ფეხის და უფრო მეტად შევიმეცნებ ვარ ფრთებ-შიშველი.

ამ უკუღმართი რბოლის გამო არ მესხმის თავბრუ და ვარ ისეთი რეალური, როგორც არასდროს და მებრალება ხალხი ჩემს წინ მობორიალე, ყალბმა ქებამ და ტაშის ცემამ როგორ დაათრო... და არეული ჭკვა-გონებით თავს სწევენ მაღლა, ჟირაფებს გვანან დაწვრილებულ ყელ-კისრის ძვლებით... მაგრამ

საყრდენი?! – საყრდენი ხომ ვერ იტევს ამდენს, თავს ვერ იმაგრებს აშოლტილი ლერწმის მაგვარად... და წაგრძელებულ კისრებს ზემოთ, მჩატეზე მჩატე, ქანაობს თავი – როგორც თეთრი ბაბუაწვერა...

... და თან გყვედრიან: – შენ არა ხარ ამ წრის და რჯულის, ვერ ეთვისები მათ კანონებს, წესსა და ყოფას და ვინც შეგიცნო – მაინც არ გცნობს, დასძლია შიშმა... მხარს ვერ აუქცევს მასების და ძალების ფლობას.

... მაგრამ, სიმართლე კვლავ შორია, ო, რარიგ შორი ამაოების ამაოთა ილუზიისგან. ერთი „ვაი-რა“ სიგელს აძლევს მეორე „ვაის“, მესამემ უხვად დაარიგა ქებათა-ქება, მეოთხე აგერ, გაბღენძილი სცენაზე დადის... რა თავმდაბლობა?! რა სინდისი?! რა უფლის ვნება?!!

მოკლე არისო ეს საწუთრო – გაიგო ხალხმა, წინ-წინ გაქუსლეს, ერთმანეთი ტკეპნეს და თელეს, დუჟმორეულზე ზოგი უფალს შეეხო ურცხვად... ვეღარ გაიგეს კაცი იდგა მათ წინ, თუ ღმერთი...

და ვდგავარ ტაძრის ჩამონგრეულ, დალეწილ კართან. კრძალვით შევდექი, დავიჩოქე ხავსიან ზღურბლთან და ისე, როგორც არასდროს უწინ, ძლიერ მომინდა ჩურჩული ღმერთთან.

დღეიდან ვიწყებ ახალ ცხოვრებას სულიერ გზაზე, რადგან დაღლილი ვარ საკუთარი სულის ჯიდილით. სად არის ნათლის, სიკეთის და გზა სათნოების?!

– მხოლოდ ტაძარში, სადაც მეფობს ჯეშმარიტება!!!

07.31.2011

საწუთრო

განა იმიტომ მიყვარს ეს ცხოვრება, რომ ვეტრფი ამაოებას, არა!

ვეტრფი მხოლოდ იმიტომ, რომ, ამ საწუთროს ვერასოდეს ვიხილავ მარადიულობაში გარდასული.

ტანჯვის, ტკივილის, განცდისა და გამოცდის ეს წუთები, რაც არ უნდა მწარე იყოს ჩვენთვის – ტკბილია უფლისთვის, რადგან მისი განგებულების ნაწილს შეადგენს. სულის მოგზაურობა კი, ამ საწუთროში, „წამიერი“-ს „მარადიულობა“-სთან შერწყმის გაელვებაა და მეტად მნიშვნელოვანი. მხოლოდ აქ შეგიძლია დაინახო საკუთარი თავის სურვილთა და ქმედებათა უსაზღვრობა, „უფლის მადლმოსილებას“ მოწყვეტილი, სულის თავნებობის ზღვარი.

ტკბილია ეს სა-წუთრო, ამ გაელვებაში იწრთობა სული ჯეშმარიტებასთან შესაგებებლად.

08.18.2006

გერონტი მესხი
(სამაჩაბლოს ბულბული)



ადამის გაცოცხლება
(მხიარულ თემაზე)

მშვენივრად ჩატარდა ქორწილი თერჯოლის რაიონის სოფელ ბარ-
დუბანში. ვარლამმა
თამადას ტოლი არ დაუდო და როცა მაგიდაზე ჩამოაძინა, მხოლოდ
მაშინ გაემართა იქვე, ნეფის ბიძაშვილთან, მოსასვენებლად, „ეს თამადა
რა ყოფილა“-ს მიმგვანებული
სიმღერით. მერე აღარაფერი ახსოვს...
შუაღამეს კარგა ხნის გადაცილებული იყო, გადამუშავებულმა ღვი-
ნომ რომ შეახსენა თავი. ტრუსისამარა წამოდგა საწოლიდან, ფეხსაცმელებში დურთა შიშველი
ფეხები, უკუნ სიბნელეში ამაოდ აფათურა ხელი ჩამრთველის საპოვნელად...იატაკზეც ნაჭარბ
სტუმრებს ეძინათ, ფეხი ვერ გადადგა. კედლისკენ შებრუნდა. შორს, ძალიან შორს, მქრქალად
განათებული ცა მოჩანდა. „ფანჯარა!“-გაუელვა თავში და თავისივე საწოლზე
შეხტა, ფანჯარას ეცა და გამოაღო. კუნაპეტ ღამეში კედელი სუსტად, მაგრამ მაინც, გამოს-
ცემდა მოთეთრო ანარეკლს, კაცი მიხვდებოდა, პირველი სართული რომ იყო,
„ბელეტაჟს“ რომ ეძახიან. გადაძვრა, ფანჯრის ჩარჩოს ხელებით ჩამოეკიდა, ფეხის წვერებით
მაინც ვერ იგრძნო მიწა. ერთხანს უკან აძვრომაც დააპირა, მაგრამ, მოთხოვნი-
ლება იმდენად ძლიერი იყო, ჩარჩოს ხელები გაუშვა და ძირს ჩახტა. რაღაც აეზილა
ფეხებქვეშ, თანაც სუნიანი, მაგრამ, ამის ანალიზის დრო სად ჰქონდა. გაჭირვება ინსტინ-
ქტებს ამოქმედებდა მხოლოდ. იქვე, კედელთან მიასველა. მერე გაახსენდა, რომ
უკან უნდა ამძვრალიყო. ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, იმდენად მაღალზე ყოფილა
ფანჯარა. მარჯვნივ შებრუნდა, მავთულბადეს წააწყდა. კიდევ მარჯვნივ და...
რაღაც რბილს დააბიჯა ფეხი. ამ „რბილმაც“ ფეხის აღება აღარ დააცალა, ერთი დაიყეფა
და ტანზე ეული ტრუსი შემოახია. კიდევ კარგი, მარტო ტრუსი მოიგდო პირში!.. ყეფა რომ
გაიგონა, ვარლამმაც ერთი დაიღრიალა და ძაღლის სადგომის მეტრონახევრიან
მავთულბადეს ისე გადაევლო თავზე, მსოფლიო რეკორდსმენ ვალერი ბრუმელს შეშურდებო-
და (რას არ გაგაკეთებინებს გადარჩენის ინსტიქტი!!!)
ყვირილზე ყველას გამოეღვიძა. მასპინძლებმა ეზოს განათება ჩართეს, ოთახებშიც სინათლე
გაკიაფდა და ფანჯრებს მომსკდარ წუხანდელ მექორწილეებს (სხვა ოთახებში
გოგონები იყვნენ!), საოცარი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ: შიშველ ახმახს ლეღვის
ფოთლის მაგიერ ხელები აეფარებინა ერთ ადგილზე და გაოცებულ მაყურებლებს თვითონაც გა-
ოცებული და შეშინებული თვალებით მისჩერებოდა...

„ავტობუსმა ჩაიარსსს!..“
(იუმორი)

ჩემს სოფელ ახალშენში (ზნაურის რაიონი, დღევანდელი სამაჩაბლო) 60-იანი წლების დასაწ-
ყისში ცხოვრობდა ისიდორე მ...ძის მრავალშვილიანი ოჯახი. მოგეხსენებათ ღარი-
ბი კაცის მდგომარეობა. ცოლ-ქმარი დაუღალავი შრომით ძლივს კვებავდა მოზრდილ ოჯახს,
ისიც, დღეში- ორჯერ.
იმ ხანებში ზნაური-ცხინვალის ავტობუსი დღეში ორჯერ ასრულებდა რეისს-დილას და საღა-
მოს. ჰოდა ისიდორესაც საათი ისედაც არ ჰქონდა და ბავშვებსაც სწორედ მაშინ დააპურებდნენ,
როცა ავტობუსი ზნაურის მიმართულებით ჩაივლიდა ხოლმე. ბავშვები კი რისი ბავშვები იყვნენ-
ერთთავად შიოდათ, ამიტომ ნაბოლარა ზალიკოც ერთთავად თუთის ხეზე ჰყავდათ შემომჯდარი,
ავტობუსის ჩავლა რომ არ გამოჰპარვოდათ ორა-
სიოდე მეტრში გამავალ „ფოშტის გზაზე“.
-დედა!.. ავტობუსმა ჩაიარაააა!..-ისკუპებდა თუთიდან ზალიკო და და-ძმებიც აჰყვებო-

დნენ -ავტობუსმა ჩაიარააა!..

ასე გრძელდებოდა წლობით. ოჯახს კი თანდათან უფრო მეტად გაუჭირდა, მინდვრის

მხალის, სიმინდის თუ ლობიოს ხარშვას ვეღარ აუდიოდა ოჯახის დიასახლისი. ბავშვებ- მა წონაშიც რომ მოიმატეს, მხოლოდ მაშინ მოეგო გონს ისიდორე: ცხოვრება წინ წასულიყო და დღეში ორის ნაცვლად უკვე ხუთჯერ ჩაიქროლებდა ხოლმე ავტობუსი ზნაურის მიმართულე-ბით...

მას შემდეგ ჩემს თანასოფლელებში ასეთი ტერმინი დამკვიდრდა: რომ მოშივდებათ,

დიასახლისს ასე მიმართავენ-დედაკაცო! ავტობუსმა ჩაიარა!..

...დროა!..

(მხიარულ თემაზე)

60-იანი წლების დასაწყისში ზნაურის (სამაჩაბლო) საშუალო სკოლაში ფიზკულტუ-რის მას-წავლებლად მუშაობდა ჭარმაგ ასაკს მიღწეული ვინმე დანიელი. ფიზკულტურის გაკვეთილზე მასწავლებელმა ბავშვები ორ მწკრივად განალაგა დარბაზში. გაისმა მასწავლებლის შეძახილი:

– სწორდით!.. სმენა!..

რაღაც არ მოეწონა მასწავლებელს.

– არ ვარგა!.. ეგრე არა.. აი... ჩემსავით გასწორდით!

ბავშვები ხელახლა შეფართხალდნენ, მართლაც სარგადაყლაპულივით გაიჭიმნენ.

მხოლოდ ერთი, ცელქობით და უცნაურობებით გამორჩეული ელდარი მესხი(ედელო) წელში მოხრილიყო და თავი ჰქონდა ჩაქინდრული.

– ელდარ, რა დაგემართა? – ჰკითხა გაკვირვებულმა მასწავლებელმა.

– თქვენ არ თქვით, მასწავლებელო, ჩემსავით გასწორდითო?..

ბავშვებში მოგუდულმა სიცილმა გადაირბინა. დანიელ მასწავლებელი გაწითლდა.

ახლაღა მიხვდა ამაგდარი პედაგოგი, რომ მისი წასვლის დრო დამდგარიყო. ნაფრონტა-ლი კაცი ასაკსაც საკმაოდ მოეხარა წელში.

– დროა! – თქვა მან და მეტად აღარ შესულა გაკვეთილზე...

...კიდევ საკითხავია?!

(მხიარულ თემაზე)

სტუდენტობისას, ქართლის ქუჩაზე რომ ვცხოვრობდი, ძველი ძმაკაცი სოსოია ნარიმანიძე მესტუმრა. ვიდრე გავხედავდი, ეზოში იდგა და თავისთვის ხმამაღლა

იცინოდა. ეტყობოდა, კარგად იყო შექეიფიანებული. გაიცინებდა, შეჩერდებოდა, მერე

ისევ აუტყდებოდა სიცილი.

– სოსოია, არ იტყვი, რა მოგივიდა? – სიცილითვე ჰკითხა მარინა ინაშვილმა, ჩვენმა

მეზობელმა.

– სასირეთში ვიყავი (არის ასეთი სოფელი კასპის რაიონში, – გ. მ.), ქლიავის არაყი დავლიე და რა ფორმაში ვიქნები, კიდევ საკითხავია? – სიცილით მიუგო სოსოიამ.

როლანდ გიორგაძე



ყვავილებმა გადამარჩინეს

გაზაფხული კარგა ხანია დამდგარიყო, როცა ნინიკო მშობლებმა სოფელში ჩაიყვანეს. გაიხარეს ბებიამ და ბაბუამ, მიესიყვარულნენ შვილიშვილს და მისთვის გადანახული ნუგბარითაც გაუმასპინძლდნენ. ნინიკოს მთაგორიანი და ტყით დაფარული სოფელი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. გახურებული ხვნა-თესვა ჰქონდათ გაჩაღებული. სიმინდის დასათესად სოფლელები ისევ მამაპაპურ ხარ-გუთანს იყენებდნენ. ნინიკოს ბაბუასაც ჰყავდა ხარები, რომლებიც ძალიან ლამაზები იყვნენ. ტყუპის ცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ორივენი – მოწითალო ფერის, ლამაზად მორკალული წვეტიანი რქებით. ერთს წიქარა ერქვა, მეორეს კი – ნიშა. ნიშა იმიტომ რომ, შუბლი თოვლის გუნდასავით თეთრი ჰქონდა. ერთ დილით ბაბუა ეუბნება ნინიკოს:

– ნინიკო, მოდი, დღეს გადადე საქმეები და მე წამომყევი. ერთი პატარა ფერდობი მაქვს დასახნავი და მომეხმარე.

– მე როგორ მოგეხმარო, ბაბუ? ხარების მეშინია.

– ხარების ნუ გეშინია, ნინიკო, ისინი ძალიან ჭკვიანები და თვინიერები არიან, არაფერს გავნებენ. შენ მხოლოდ ხანდახან ცივი წყალი მომიტანე წყაროდან. თანაც მიმღერე. ხომ სწავლობ სიმღერას?

– კი, ბაბუ.

– ჰოდა, მომასმენინე, ეს იქნება შენი დახმარება.

ნინიკოც დათანხმდა. ბაბუა და შვილიშვილი ფერდობისკენ მიმავალ გზას გაუყვნენ.

ნინიკო ერთხანს ყურადღებით აკვირდებოდა ბაბუას საქმიანობას, როგორ მიმოაბნევდა იგი სიმინდის მარცვალს, აკვირდებოდა, თუ როგორ ერჭობოდა სახნისი მიწაში და როგორ მწყობრად ლაგდებოდა ერთმანეთზე ამობრუნებული ბელტები. მერე მოეწყინა და ბაბუას გასძახა.

– ბაბუ! მე წყაროზე ჩავირბენ და ცივ წყალს მოგიტან.

– კარგი, შვილო, ოღონდ ძალიან არ დაიგვიანო, ტყისკენ არ გაგექცეს თვალი, თავი არ მაძებნინო. ნინიკო პატარა თუნგულით წყაროსკენ დაეშვა. ჯერ თვითონ დაეწაფა ღარში მოჩხრიალე ცივ, ანკარა წყალს, მერე კი თუნგულა შეუდგა. სანამ აივსებოდა, არემარეს მოავლო თვალი. მოავლო და განცვიფრდა. საოცარი სილამაზ გადაშლილიყო ირგვლივ. გეგონებოდა, ათასფერ ყვავილებს ზეიმი გაუმართავთო მის პატივსაცემად. ნაზი, ლურჯთვალა იები, ყოჩივარდები, ფურისულები და, ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვა ყვავილი.

მზის სხივები ყვავილების ფურცლებზე მოთამაშე ცვარ-ნამში ბანაობდნენ. გასხივოსნებული ცვარ-ნამი კი იმსხვრეოდა უწვრილეს ნაწილაკებად და ბრილიანტებივით ციმციმებდა.

მობიბინე ცოცხალი ხალიჩა გადაშლილიყო ბავშვის თვალწინ. ფრინველების საოცარი ჭიკჭიკი, ფუტკრების, კრაზანების და ყვავილების ნექტარის მოყვარე სხვადასხვა მწერების ბზუილი, საამურ მუსიკად იფრქვეოდა.

მოდი, შევკრავ ლამაზ თაიგულს და დედიკოს გავახარებ, გაიფიქრა ნინიკომ. ის იყო, წაეტანა ყვავილს მოსაწყვეტად, იდუმალმა ხმამ ხელი გაუშეშა. „არ მომწყვიტო, მე მინდვრის ყვავილი ვარ, არ მოგვწყვიტოთ“, ერთხმად ახმიანდა ყვავილების ჯარი. „ჩვენ, მოკრეფილნი, მალე ვჭკნებით და მალე ვიღუპებით, ჩვენ ასე უფრო ლამაზები ვართ, აბა, რა ფასი აქვს დამჭკნარ ყვავილებს?“ ნინიკო გამოერკვა, გაეღიმა, მერე ჩაცუცქდა და ნაზად გადაუსვა ხელი ყვავილებს. „არა, ჩემი კარგებო და ლამაზებო, ხელსაც არ გახლებთ, ისე მოგესიყვარულებით“. მერე ფეხზე წამოხტა და ფრთებხატულა პეპელას დაედევნა, თან ეხვწებოდა – „ნუ გამირბი, ლამაზო, არაფერს არ გავნებ, ცოტა ხნით ხელზე დამასკუპდი, მაგ ლამაზ ნახატებს დავათვალიერებ და გაგიშვებო“. პეპელას ნინიკოსი არ ესმოდა და ზიგზაგური ფრენით თავის საქმეზე მიფარფატებდა. მერე ჭიამაია შენიშნა, ხელზე დაისვა და შეეკითხა:

– ჭია, ჭიამაია, ხვალ თუ კარგი დარია? – სამჯერ გაიმეორა, ჭიამაია ხელის გულიდან შუა თითის წვერზე აცოცდა, მერე ფრთები გაშალა და თითის წვერს მოსწყდა. ჰო, ესე იგი ხვალაც მზიანი ამინდი იქნება, ის იყო, თავქვე უნდა დაშვებულიყო, რომ მოულოდნელმა შიშმა ადგილზე გააქვავა. მისკენ მაჯის სიმსხო გველი მოცურავდა. მიცურავდა თავაწეული და ორკაპა ენას ასავსავებდა. ლამის ფეხებამდის მიცურდა, მიდამო გაისუსა საშინელების მოლოდინში. ბუნებამაც შეწყვიტა მუსიკო-

სობა. არათუ მწერების ბზუილი, ფრინველების ჭიკჭიკიც კი არ ისმოდა. მხოლოდ ყვავილები წამოიშალნენ ჯგროდ, უნდოდათ, იმაზე მაღალი და მტკიცე გამხდარიყვნენ, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ, უნდოდათ, წინ აღდგომოდნენ ბოროტ განზრახვას. ნინიკოს წინააღმდეგობის გაუწევლობით შემცბარი, თუ ყვავილების სურნელით და სილამაზით გაბრუებული უხსენებელი ნინიკოს ფეხებს გასცდა და ბუჩქნარში გაუჩინარდა. არემარემ შვებით ამოისუნთქა. ისევ აბზუილდა და აჭიკჭიკდა. ყვავილებს თბილმა, მსუბუქმა ნიავმა შემოურბინა, ტალღებად მიაწვინ-მოაწვინა და ყველანი ნინიკოსკენ შემოაბრუნა. ნინიკო, ოფლში გაწუწუნლი, რეტდასხმულივით იდგა. მერე შემობრუნდა და წყაროსკენ კისრისტეხვით დაეშვა. ყვავილები კი გამომშვიდობის ნიშნად თავს ხრიდნენ და ფოთლებს აშრიალებდნენ, „მომავალ შეხვედრამდე, ნინიკო, მომავალ შეხვედრამდეო“. ნინიკო ღარის წყალს დაეწაფა. მერე სახეზე შეისხა, თუნგულას ხელი წაავლო და ბაბუასაკენ სირბილით წავიდა.

ბაბუას უღლიდან ხარები გამოეშვა. თვითონ კი კვალის ბოლოს ხის ჩრდილში იმერული ქუდით ოფლიან შუბლს იწმენდდა. ნინიკო მორბისო, რომ დაინახა, ფეხზე წამოდგა.

– ნელა, ნინიკო, ფეხი არაფერს წამოჰკრა, არ დაიმტვრე, შვილო.

– ბაბუ! იქ... წყაროსთან გველი... სიტყვებს ძლივსძლივობით წარმოთქვამდა ნინიკო.

– რა გველი, შვილო, გაქრეს მაგის სახსენებელი, ბავშვს ხელი დასტაცა და გულში ჩაიკრა.– ხომ არ უკბენია? – მისხალ-მისხალ უთვალიერებდა სხეულს ბაბუა შვილიშვილს.

– არა, ბაბუ. ყვავილებმა გადამარჩინეს.

– როგორი დამფრთხალია საბრალო, რაებს ამბობს, რა ყვავილები, რის ყვავილები? ღმერთმა დამიფარა, ხომ დავიღუპებოდი. ალბათ, ამ ცხელმა გაზაფხულმა გამოაგდო ეგ დასაწყევარი თავისი ხვრელიდან. ღმერთმა გადამირჩინა შენი თავი, დაილოცოს მისი სახელი, – ბუტბუტებდა ბაბუა და გულაფართქალებული ბავშვის უზომო ფერებით დამშვიდებას ცდილობდა.

მზე კი მხურვალე სხივებს უშურველად უგზავნიდა დედა სამყაროს. ჰორიზონტს ალმური ასდიოდა.

პენსია

საყრდენებმონგრეული ცა დედამიწაზე ჩამოწოლილიყო. ნაცრისფერ ბურუსს ყველაფერი წაეშალა. ავი სიცივე დაქსიტინებდა და ძვალსა და რბილში ატანდა. ზამთრის ბატონობის დრო დამდგარიყო.

ეფროსინემ ახრჩოლებულ ბუხარში აშიშინებული ნედლი შეშის ნაჭრები ერთმანეთს დააშორა. ეშმაკს არ სძინავს, უმეთვალყურეოდ დარჩენილ სახლში ხანძარი არ გავაჩინოო. თბილად შეიმოსა, თავშალი შემოიხვია, ერთი კიდევ მიიხედ-მოიხედა და ეზოში გავიდა. ყველაფერი ნისლში ცურავდა... „ისედაც არ დადიან სამსახურში და ამ ღვთის რისხვაში საბჭოში ნეტავ ვის ნახავ?“ მართვისა და ადმინისტრაციული ორგანოებისათვის სახელის შეცვლას ეფროსინეზე გავლენა არ მოუხდენია. ის ყველაფერს ისევ ძველი სახელით მოიხსენიებდა. სახელის გამოცვლა რომ საქმეს შველოდესო, იტყოდა ხოლმე თავისთვის. ამ ფიქრებში ჭიშკარსაც გასცდა და ორლობეში გავიდა... ოცი ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, ნისლიდან მოჩვენებასავით გამოცურდა მასავით შეფუთული ხანშიშესული ქალი.

– შენ გადაგიცივდა გული, რავა დამაფეთე, შე უღმერთოვ, გამოგდებული ხომ არ ხარ სახლიდან, – მიეალერსა მეზობელს, ანიკო ბებიას, ეფროსინე, უფრო სწორად, ანიჩკას, როგორც სოფელში ეძახდნენ.

– ჭირი და გადაშენება მაგათი. გუშინ გავიგე, პენსიები მოიტანესო. დღეს დილით სისხამზე ავდექი. კინაღამ კისერი მოვიტეხე „გვერდოზე“ ჩასვლისას... სულ ტყუილად, ჩემო ეფროსინე, – ამოიქოქინა ანიჩკა ბებიამ. თან მიაყოლა, – მაგენს არ გოუთენდა და არ დოუღამდა, მაგ ჩემი ცოდვით სავსეებს...

– ნუ იწყევლები, ქალო, ამ დილაადრიან...

– ვიწყევლები კი არა, – აღშფოთებას ვერ მალავდა ანიჩკა. – რომ შემეძლოს, მაგენს დღის სინათლეს რავა ვაღირსებდი, დავალპობდი ციხეში. წარმოგიდგენია, – მიეყვავილა ანიჩკა ეფროსინეს, – ჩვენნაირებს, ყოველ გათენებულზე ნაჩუქარი დღისთვის მადლობას რომ ვწირავთ უფალს, გვპარავენ და ჯიბეებს ისქელებენ ჩვენი გროშებით. მითხარი ერთი, თავი ნუ მოგვიკვდება, სასიცოცხლოა ახლა ეს ხალხი? ან როგორ გადასდით ყელში, როგორ არ იხრჩობიან?

– ჰო, იწყევლე, იწყევლე შენ. მგონი, უხდებათ მაგათ წყევლა-კრულვა, – სიტყვა შეაწია ეფროსინემ, – ვერ ხედავ, დასკდომაზე რომ არიან, კანში ვეღარ ეტევიან ამდენი ნაქურდალით...

– უღმერთოები არიან და იმიტომ...

– გვეყოფა, ანიჩკა, ახლა ქოთქოთი, ხომ მოვიოხეთ გული, ხომ...

– რა მოვიოხე ქალო, – აღარ დაამთავრებინა ანიჩკამ – ჯერ სადა ხარ, მთავარი არ მითქვამს, მთავარი...

– რაღა დაგრჩა სათქმელი, თქვი ბარემ თუ არა, გავიფიჩხე. მართლა რას ვიყინებით, შევიდეთ ჩემთან, ბუხარს გავაჩაღებ, შევთბებით და იქ გავაგრძელოთ საუბარი.

– არა, ეფროსინე საყვარელო, – დაუტკბა ანიჩკა, – არ მცალია. შვილიშვილს მინდა ვესტუმრო, ეგებ ორიოდე კაპიკი გამოვართვა...

– თეთრია ახლა ქალო, თეთრი...

– მაცალე ეფროსინე, მაცალე...

– იცი, ჩემი ძროხა გამშრალია, ყველს ვეღარ ვყიდი, თუ არა რავა შევაწუხებდი. მაგასაც ძლივს გააქვს თავი, არადა, მექცევა თავზე სახლი, ორიოდე შიფერი იქნებ ვიყიდო სადმე...

ანისლიანებულ გარემოს დუმილი შეეყინა...

– რაღაც მთავარზე ლაპარაკობდი „გოგო“, ხომ არ დაგავიწყდა? – დუმილი დაარღვია ეფროსინემ.

– მაგას რა დამავიწყებს სიკვდილამდე, მაგენის სიკვდილი ვნახე. ეს რა გევიგონე, ეს რა გევიგონე, ყურებს აღარ ვუჯერებდი, – ათუხთუხდა ანიჩკა.

– ქალო, აღარ იტყვი, რა მოხდა?

ანიჩკამ თავშალიდან ჩამოცურებული ჭაღარა თმა შეისწორა, პირისახეზე ხელი ჩამოისვა და განაგრძო:– პენსიებს რომ არ გვირიგებენ, კი იცი შენ. ხოდა, მათ, ვისაც ამ საქმის მოგვარება ევალება, გადაუწყვეტიათ, ფულის მაგივრად სასოფლო-სამეურნეო იარაღები დაგვირიგონ...

– რა იარაღებზეა, ქალო, ლაპარაკი, კარგად ვერ გავიგე.

– რა იარაღებზე იქნება, სასროლს ჩვენ არ დაგვირიგებენ, იქნება ნამგალი, ურო, ჩაქუჩი, ცელი და, რა ვიცი, კიდევ დოზანა...

– რამდენი ნამგალი მეკუთვნის მე, თუ იცი, ორი წლის აუღებელ პენსიაში? – გაყინულ ხელებზე დაიორთქლა პასუხის მოლოდინში ეფროსინემ.

– არ ვიცი მაგი მე...

– მერე, ქალო, მერე...

– რაღა მერე, ჩასულან ზოგ-ზოგიერთები რაიონულ ცენტრში და ქე დოურიგებიათ რაღაცეები...

– დარჩა მერე კიდევ რამე, ანიჩკა?

შენც ხომ არ აპირებ წასვლას?

– რა?! მაგენი ვნახე წასული მოუსვლელში, – ძველებური ტონით გააგრძელა ანიჩკამ, – რაღა მინდა მე იქ, ქალო. ერთი რამის გარდა ყველაფერი დოუტაციათ...

– რაა ქალო, ეს ერთი?

– ეფროსინე, აქეთ მოიწი, თუ ღმერთი გწამს. – ეფროსინე ანიჩკას მიუახლოვდა. ანიჩკამ აქეთ-იქით გაიხედა, მერე ეფროსინეს ყურთან მიუტანა ტუჩები და ძლივს ამოთქვა:

– კუბო, ქალო, კუბო...

ეფროსინე ისე შეხტა, თითქოს კუბო აგერ მის წინ ბალდახინზე დგასო. მერე გამოერკვა, ჩვეული სიდინჯე დაიბრუნა და ანიჩკას შეუტია.

– რას ბოდავ, ქალო, თუ იცი, ვინ გითხრა მაგი შენ?

– ვინ და კოწიას ცოლმა, თეკლემ...

– მაგ გადაყრუებულს რაღა დაეჯერება, – შვებით ამოისუნთქა სახეგამოდარებულმა ეფროსინემ.

– რატომაა, გოგო, გადაყრუებული, რაღაც ხუთიოდე წლით უფროსია ჩვენზე, მეტით კი არა... – რა, გაგიკვირდა, თუ? – ცეცხლი შეერია ხმაში ანიჩკას, – ახლა ისაა გასაკვირი, თუ რამე გაგიკვირდება, თუ არა, ამგენისგან ყველაფერია მოსალოდნელი. – მეტი აღარაფერი უთქვამს ანიჩკას, ეფროსინეს მოცილდა, ხელი ჩაიქნია და ნისლში გაუჩინარდა.

ეფროსინე კი... ეფროსინე კიდევ დიდხანს იდგა ჭიშკართან, რაღაცას ჭოჭმანობდა. მერე ცას ახედა, ანდა რად უნდოდა ახედვა, ზედ მხრებზე დასწოლოდა. მოთოვს ალბათ ამაღამო, წარმოთქვა ხმამაღლა და ეზოში შებრუნდა.

სიმონ ზაქარაია



შეხვედრა გულნაზ ხარაიშვილთან

მიმდინარე წლის 5 მაისს, თბილისის მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის დარბაზში, (დირექტორ ქეთევან კიღურაძე) მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გულნაზ ხარაიშვილს შეხვედრა მოუწყო დედაქალაქის 36-ე საჯარო სკოლის (დირ. მაია კვინიკაძე) მე-4 კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი ციური ხუჭუა). მათ შორის პირველი შეხვედრა ოთხი წლის წინ შედგა, მაშინ მოსწავლეები პირველ კლასელები იყვნენ. მომდევნო წლებში იგი ტრადიციულად იქცა. საინტერესო ისაა, რომ ყოველ წელიწადს ეს შეხვედრა ემთხვევა ჩვენი სასიქადულო მწერლის დაბადების დღეს. გასული ოთხი წლის შეხვედრის განმავლობაში, რა თქმა უნდა ასაკთან ერთად მოსწავლეებში იმატა ცოდნამ, იცვლება დამოკიდებულება მასწავლებლებთან, მშობლებთან, ურთიერთს შორის, ფართოვდება გარეგანი და შინაგანი სივრცის აღქმის უნარი, რაც მათი ზრდ-განვითარების კანონზომიერებას ექვემდებარება. ბავშვების შეხვედრა პოეტთან ნამდვილად იყო გულში ჩამწვდომი, ამაღელვებელი, ისენი მერცხლის ბარტყებივით დაფრთიანებული სცენის სხვადასხვა კუთხეში სცენარს მართავდნენ აქტუალურ თემებზე. სასიამოვნო იყო ჩვენთვის თითქმის ერთ სხეულად ქმნილი, ვარდის კონებად შეკრული მშვენიერი ბუკეტის მზერა, ბავშვებისა. საინტერესო და შინაარსიანი იყო მოსწავლეების მიერ მწერალთან შეხვედრისათვის სპეციალურად მომზადებული პროგრამის განხორციელება. ყოველი მოსწავლე აღტაცებით ყვებოდა პოეტის სხვადასხვა წიგნებიდან რჩეულ ლექსებს, რომელიც უდაოდ იუბილარის დაჩხვლეტილი გულის მოშუშებას ემსახურებოდა. რასაც ქალბატონი გულნაზი გარეგნულად მთლიანად იმშვენებდა კიდეც. ბოლოს, უდაოდ დიდად მოიხიბლა დამსწრე საზოგადოება იუბილარისა და მოსწავლეებს შორის ხელოვნებას ნაზიარები ლამაზი და მშვენიერი ურთიერთობით.

მირზა გელოვანის ბიბლიოთეკის თანამშრომლები

ახლა მოკლედ ღირსეულ იუბილარზე.

გულნაზ ხარაიშვილი დიდებული პოეტია, თავისი სქელკანიანი წიგნებით, არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობით მრავალპროფილიანი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოში კარგად აპრობირებული ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. თითოეულ ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას გულნაზ ხარაიშვილი ბრწყინვალედ ასრულებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ აქ ჩამოთვლილი მისი საშემსრულებლო ხელოვნების რეგალიები მაინც ვერ სწვდება მის შემოქმედების აპოგეას. ის რაღაც მეტია, რომელიც შემდეგში უფრო და უფრო მაშტაბური ფორმით განმტკიცდება ამას გულნაზ ხარაიშვილი ახერხებს. უმძიმეს პირობებში გულნაზ ხარაიშვილი აფუძნებს და ბეჭდავს ჟურნალს, რომელმაც მალე მოიცვა ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიის, ფილოსოფიის, ჟურნალმა მალე გაშალა ფრთები და იგი თითქმის მთელს საქართველოში ვრცელდება. მისი წარმატება მხედველობიდან არ გამორჩენიათ ცნობილ მწერლებს, ხელოვნების ოსტატებს, მეცნიერებს, და სხვა. მხარდაჭერის მიზნით დაიწყეს პერიოდულად ჟურნალის ფურცლებზე თავიანთი შესანიშნავი ნამუშევრების გამოქვეყნება, რომელიც ჰაერივით სჭირ-

დება პრესისა და ლიტერატურულ იზოლაციაში მყოფ ფართო საზოგადოებას. ჟურნალი სამ-ოთხ წელიწადში წელში გაიმართა, რედაქტორმა და მისმა მხარდამჭერებმა დაძლიეს ჟურნალის გამოცემის პრობლემა და ამ განვლილი 7-8 წლის მანძილზე არც ერთხელ ქონია კრიზისი და ჩავარდნა. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი ამას სათავე გალაქტიონისა არ იყოს "ნიჭია ძამიკო, ნიჭი". გარდა ცნობილი პიროვნებებისა ჟურნალს მუდმივად აქვს რუბრიკა, ნორჩი ათინათელები, საბავშვო განყოფილება, სადაც ინტენსიურად მონაწილეობენ მოსწავლეები, სტუდენტები და ნიჭიერი ახალგაზრდები. ჟურნალმა რამდენი დამწყები შემოქმედი დააფრთიანა და დროზე დააყენა ნანატრ, საოცნებო გზაზე. რედაქტორს არც ასაკოვანი ვეტერანების ლტოლვა ავიწყდება შემოქმედებისაკენ, რომლებმაც საკუთარი ოჯახივით შეიყვარეს ჟურნალი ათინათი, და მისი რედაქტორიც, ქალბატონი, მათ „შვილებს" უწოდებს და შვილებივით უვლის და უძღვება მათ, მადლობის მეტი რა გვეთქმის.

და მაინც საიდან მოდის ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ასეთი ნიჭი და ლომისებური შემართება. პასუხად იმას ვიტყვი, რომ ბრძენთა-ბრძენი რუსთაველი ამბობს თავის ფილოსოფიურ აფორიზმში რომ „ლეკვი ლომისა სწორიაო"... და ეს მან ხომ ამოიღო ქართველი ერის გენეტიკური წიაღიდან.

და ასეთ ძლიერ დედაკაცთა შორის დღევანდელ ურთულეს ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალურ კრიზის პირობებში, საკმაოდ მყარად დგას გულნაზ ხარაიშვილი, რომელმაც შეძლო თავის ჟურნალის გარშემო გააერთიანებინა დღევანდელ საზოგადოებაში თითქმის გათითკაცებული ყველა თაობის წარმომადგენლები.

გასაოცარია გულნაზ ხარაიშვილის შინაგანი ბუნების სიძლიერე, კეთილშობილება, ღვთისადმი განსაკუთრებული მიდგომა, სასიამოვნო კოლეგიალობა და მრავალი სხვა მისაბაძი თვისებები ამასთან ერთად უნდა ავღნიშნო მისი პირადი ცხოვრების თანმდევი, სიკეთის გამომრიცხავი, გამაოგნებელი, დამთრგუნველი ბედის შესახებ. ამ კეთილშობილმა ქალმა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, დაკარგა მეუღლე, ძმები, მათ შორის პოეზიის მწვერვალამდე ამაღლებული ყმაწვილკაცი. ბეჟან ხარაიშვილი და არც ეს აკმარა ბუნებამ გულდასერილ ქალს და მოულოდნელად კარგავს ლომებრ ვაჟკაცს საამაყო შვილს 40 წლის გელას.

რა თქმა უნდა, ასეთი გაუსაძლისი ტრაგედიებით დატვირთული ადამიანი წელში ვერ გაიმართება, ასე ფიქრობდა ბევრი მისი ახლობელი თუ შორეული მეგობრები, მაგრამ როგორ გაგრძელდა მისი სიცოცხლე, ცხოვრებას გულნაზი უკუნითი წყვდიადიდან ნელ-ნელა ამოდის და ფეხზე დგება, წელში გაიმართა და გეგონება ხელახლა დაიბადაო. აი, ასეთ ადამიანებზე რას ქადაგებს იესო ქრისტე: „ვინც ხელახლა არ იშობა, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს, (იოან. 33). ესაა განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის, ღვთის წყალობით წუთისოფლის გაუტანელ ბედთან ბრძოლის და გამარჯვების ჭეშმარიტი მადლით.

ღმერთმა გაგაძლიეროს და გაგახაროს, წარმატებებით იარე ჩემო ძვირფასო დაიკო.

გულნაზი ხარაიშვილს

შენი გულის დიდ დარბაზში,
მზის ნათელი ყველგან დაჰკრავს,
შავ ლაქებსაც ნათლებს შორის
კიდეები მოუქარგავს!
შავმა ლაქამ, შავ ღრუბელმა
ცრემლი იცის, ცრემლის დენა,
ბეწვის ხიდზე ვერ დაგიცვა,
ჩვენმა მხსნელმა ზეცით ზენამ.

მიტომ ნდობა წუთისოფლის,
მწარეა და ბედის გლოვა,
აღარ მივცეთ ასპარეზი,
უმაქნისი დღეთა რბოლას.
ფიცხელ ომში დაგითრგუნავს
მწუხრის ზღვა და კლდე დამრეცი
ბევრჯერ ბედმა გიმტყუვნა და...
დაო, მაინც არ დაეცი.

სერგი ლომაძე

დიდი დღე ჩათვიქრებისათვის
(თბილისი-ქვათახევი-კასპი-თბილისი)

ბევრი ამბობს, რომ კასპი, მთელი ის რაიონი, უშანგი მოსიაშვილმა და მისმა გარემოცვამ გადაარჩინა. უკვე მრავალი წელია, რაც ბატონი უშანგი ყველაზე უფრო სოლიდურ პერსონად ითვლება კასპში. იგი მეგობარია ჩვენი აკადემიისა, ხშირად ვსტუმრობთ (თვითონაც გვსტუმრობს), და აი, წელს, – ორიათასთვრამეტი წლის აპრილში, ისევ ვეწვიეთ. გზაში მოვინახულეთ ორი საოცარი ტაძარ-მონასტერიც. საბოლოო ჯამში ჩვენი ეს ღონისძიება-ექვსკურსია, თავისი მნიშვნელობით, გვერდით ღირსეულად ამოუდგა ნიკო ხერკელაძის იმ დიდ საღამოს, წელს რომ მოუწყო ჩვენმა აკადემიამ, და ეს ორი ღონისძიება, ჯერ-ჯერობით, საუკეთესოა წლევანდელ ამბებს შორის (მესამესაც დავასახელებდი, ვთქვათ, – ხაშურში სტუმრობას).

ქვათახევის მონასტერი

თბილისიდან ორი მანქანით გავედით. ერთი „მარშუტკა“ იყო, რომელშიც ვისხედით: აკადემიის ძირითადი ოთხეულიდან სამი (გულნაზი ხარაიშვილი, მამა ამირანი, მე, ხოლო კახა ვერ წამოვიდა, მიზეზთა გამო), ასევე – ნიკო ხერკელაძე, ლამზირა შეყილაძე, მანანა თარაშვილი, ნიკო ბაღაშვილი, მარინა დიდებულიძე, გელა ლარიაშვილი შვილიშვილითურთ, რომელსაც მგინი მათე ჰქვია, გურამ ცერცვაძე, რომელმაც, ბოლო-ბოლო გააერთიანა აქამდე დაქუცმაცებული მხატვართა კავშირი, კიდეც ჩაუდგა მას სათავეში და დარია ხიდეშელი. მეორე მანქანაში რეზო მიშველაძე თავისი გარემოცვით, – გენერალი სერგო წურწუმია, სიმონ ზაქარაია და სხვები. მოკლედ ორი სხვადასხვა მძღოლის ხელში იყო, იმ დღეს სოლიდური ძალა ქართული კულტურის. მათ მშვიდობიანად ჩაგვიყვანეს და ჩამოგვიყვანეს, მიუხედავად იმისა, რომ ქვათახევის გზა საკმაოდ ცუდი, რთული აღმოჩნდა, როგორც ნაკლებადსამანქანო გზა.

აკდემიკოსები მოგვიმრავლდნენო, ამბობენ, ამიტომაც აკადემიკოსებად ვთვლი მხოლოდ შემდეგ ადამიანებს: აკადემიათა პრეზიდენტებს, მთავარი აკადემიის წევრებს, სამი (ან მეტი) აკადემიის წევრი, ასევე – მართლაც რჩეულ პიროვნებებს. მოკლედ, ამ ოთხი ნიშნიდან ერთ-ერთს მა-

ინც უნდა მოერგოს კაცი, საქართველოში აკადემიკოსი რომ ერქვას. აქვე ავღნიშნავ, რომ სულ ოთხი-ხუთი სერიოზული აკადემიაა საქართველოში, ხოლო ამათ შორისაც კი, ლეჟავა-ხარაიშვილის დაწესებულება ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიურია, შეიძლება – ყველაზე აქტიურიც. მწირი ფინანსებით დიდი საქმეებს ვეჭიდებით, ვქმნით, – ამას ბევრი აღნიშნავს.

ლამზირა შეყილაძე, სერგო წურწუმია, გულნაზ ხარაიშვილი და მაკა დიდებულიძე

ჯერ ქვათახევის ტაძარ-მონასტრისაკენ ავიღეთ გეზი. უკვე გზაშივე დაიწყო საოცრებები, დიდად პოეტური – მთები, კლდეები, ველები, ხეობები, სალოცავები, ძველი ნანგრევები, ნიშნები, ჯვრები ირგვლივეთზე, უფრო – მთებზე, კლდეებზე. ფერადი ყვავილები ველებზე, ტყეებში... მწვანეში, უცებ, სრულიად თეთრად აფეთქებულ-აელვარებული ხე, ტაძარივით, ყვავილებანთებული ხე... ტყემლის, ვაშლის ხეები, ალუჩები თეთრად ანათებდნენ, ხოლო ატამი თეთრ–მოვარდისფრო იყო... თუმცა გზა ვითომ სამანქანო, არ გახლდათ კარგი, მაინც საოცრებაში, ზღაპარში მოვხვდით... აი, მივყვებით რომელიღაც ღელეს თუ ხეობას. ქვევით პატარა მდინარეა, ტყეში ჩაფლული. „სამანქანო გზა“ ტყეში მიდის. მდინარეს ლურჯი ყვავილები მიჰყვება, რომელნიც, შემდეგ, თეთრ-ყვითელ-წითელში და სხვაფერებში გადადის. აქ სპექტრზე ბევრად მეტი ფერია. სიზმარია ტყე, რომელიც არ ფარავს უზარმაზარ მთებს. ეს თრიალეთი უნდა იყოს მგონი. ამ ბუმბერაზებზე აქა-იქ ჯერაც წვანან თოვლის ქათქათა ნაფლეთები. იქ, ზევით, ალპური ზონაა. ტყის სამეფო ქვავით არის. ვხედავთ თეთრ ცხენებს. „თოვლისფერი ცხენები“, – გავიფიქრე.და აი იგი, – მდუმარედ ცნობილი ტაძარი, – მთებში, ტყეებში ჩასმული ბრილიანტი! ხომ ასეთი გარემოცულია ამ გოლიათებით, და მაინც, რაღაც უცნაური კანონით, სულაც არ იგრძნობა დახშული სივრცე. პირიქით, – გახსნილია ყოველივე თითქოს, და როცა ამ მთა-კლდეებს გასცქერ, ერთიანად გიტაცებს წმინდა განცდა სამყაროსეული, უზარმაზარი განცდა. საქართველოს ბუნება უწყობს ხელს ადამიანის პოეტად ჩამოყალიბებას. ამიტომაცაა საქართველო პოეზიის და პოეტების ქვეყანა.

ხეობაზე რკინის ხიდით გავედით და მონასტერს მივეახლეთ. ექსპედიციის სადავეები, ახლა, ქალბატონი გულნაზის და ბატონი ნიკოს ხელშია. ნიკო ხერკელაძემ გიდის მოვალეობა და მეტიც აიღო თავის თავზე. ის გვიხსნის, რომ გენიალურ მხედართმთავარს – გიორგი სააკაძეს უყვარდა ეს მონასტერი, რომ გიორგის დამ და ლუარსაბ მეფემ სწორედ აქ დაიწერეს ჯვარი, რომ აქ ერთი

ქვაცაა, რომელზედაც სააკაძე ჩამოჯდებოდა ხოლმე და დიდხანს ფიქრობდა, ვინ იცის რაზე... ერის სვე-ბედზე, ალბათ... მერე არქიტექტურაზე, ჩუქურთმებზე, ათას სხვა რამეზე გვამახვილებინებს ყურადღებას. ტაძრის ეზოში გაფაციცებით ვუსმენდით მას, თან ყველაფერი კარგად დავათვალიერეთ. მერე ის იყო, რომ პირდაპირ იქ, ტაძართან, ბატონი რეზოსა და გენერალ სერგო წურწუმიას გარემოცვამ ქალბატონ გულნაზს ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი სურათი გადასცა. გაისმა აპლოდისმენტები. ჩვენი პრეზიდენტი (რაღა თქმა უნდა, აკადემიის პრეზიდენტს ვგულისხმობ) ცოტა დაბნეული იყო. მე მგონია, რომ ეს ამბავი სიურპრიზად მოუწყვეს, და იგი ბოლო წამამდე არ იყო ინფორმირებული ამის შესახებ. მაინც გამიკვირდა მისი დაბნეულობა: რაც ქალბატონ გულნაზის აღიარებები აქვს, „ვინ დასთვალოსო ზღვაში ქვიშა და ზეცაზე ვარსკვლავებიო“, ხომ გაგიგონიათ, ხოდა ამდენი აღიარების პატრონი, გახარებული, მაგრამ შემკრთალი რომ მეჩვენა ამან გამაკვირვა.

გულნაზ ხარაიშვილი, სიმონ ზაქარაია, გურამ კუპატაძე და გურამ ცერცვაძე

მერე იმ მონასტრისაკენ წავედით, რომელიც გელა ლარიაშვილსა და მის ქალიშვილს, ასევე – გელას სიძეს, ერთად მოუხატავთ, ბატონი უშანგის შეკვეთით, მისი ინიციატივით...

გზაში ბევრ რამეზე ვფიქრობდი. ბოლო დროებში ხომ საინტერესოდ განვითარდა ჩემი ამბები... ასე თუ ისე, დავასრულე მეხუთე ძირითადი ტრილოგია, სადაც შედის ორი პოემა, ხოლო ერთიც – გრანდიოზული პოემა... ბევრი აღიარება მქონია, სხვადასხა წლებში (მიუხედავად იმისა, რომ ჯერაც ვერ გავცდი საშუალო ასაკს), მაგალითად, – ოთხმოცდათექვსმეტ, ორიათასსამ, ორიათასთხუთმეტ წლებში განსაკუთრებით გამომარჩიეს გარკვეულმა ჯგუფებმა, თუმცა, ვთქვათ, ორიათასთხუთმეტში, ეს ამბები მეფე-ზღვარს უფრო ეხებოდა.საერთოდ, მეფობის, უდიადესობის თემა, როგორღაც, ხშირად დატრიალებულა ჩვენს ირგვლივ.და აი, წელსაც, აპრილში, უკვე ინტერნეტ-სივრცეში, პოეტებმა – ნემსიწვერიძემ, კობერიძემ, მინჯიამ და სხვებმა, თავისებურად გაიაზრეს რა ჩემი შემოქმედება-პიროვნება, გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სწორედ მე ვარ საუკეთესო პოეტი (მეფე), და ისევე, როგორც წინა შემთხვევებში იყო, თუმცა გამიხარდა, მაინც უხერხულობაში ჩავვარდი, მითუმეტეს, რომ ინტერნეტს მიღმა კიდევ უფრო გააქტიურეს ეს თემა.როგორც ყოველთვის, ჯგუფი „ზღვარის“ წევრები ახლაც ყველგან მხარს მიჭერენ.მათთვის, ჩემი პოეტური პაექრობების შედეგი დაახლოებით ასეთია: ხუთასზე მეტი გამარჯვება, აქედან სამასზე მეტი – დროზე ადრე, ხოლო ასზე მეტი – ძალიან ადრე, პაექრობის დასაწყისშივე.

თუმცა ეს ამბები თითქმის ათი წლის წინ მივატოვე. თითქოს, რთულია იმის თქმა, ზუსტად რამ გამოიწვია ბოლო აღიარება, ცხარე კამათი კი ახლაც გრძელდება, რადგანაც ახალგაზრდული დაჯგუფებები დიდად გაერივნენ საქმეში. ინტერნეტ-სივრცეს ბევრად გასცდა საქმე, საკმაოდ დაძაბული სახე რომ მიიღო. მე კი, აი ვზივარ „მარშუტკაში“ და ვმოგზაურობ კასპის რაიონში. თან ვფიქრობ. ვფიქრობ მოყვრებზე და მტრებზე, ყველა თაობაში, ყველა ნაბიჯზე რომ არიან. მე ვინ ვარ, როცა გენიოსები, სუპერგენიოსები არ გაახარეს. თვით დიდმა გალაკტიონმა, თავის დროზე, თხუთმეტამდე ხმა ძლივს მოაგროვა თავისი გაპირველებისათვის (ამაზე მეტი ხმა, თანაც ყველა ცდაზე, მეც კი მოვაგროვე, და საერთოდ, ვინ ვერ შეძლებს ამას!).კიდევ კარგი, რომ გალას, გასული საუკუნის ოციან წლებში, ის ხმებიც ეყო, – მის მეტოქეებს შორის ბევრმა ვერ შეაფასა მაშინ, უცებ, იმ დიდი დღის მნიშვნელობა, და ენერგია ნაკლებად დახარჯეს გამარჯვებაში. საერთოდ, მეფობის ამბავი, პოეზიაში (ხელოვნებაში), ლეგენდების თანახმად, რუსთაველიდან იღებს სათავეს, ხოლო მეფე-ჩემპიონთა ზუსტი რიცხვის დასახელება არცთუ ადვილია„ რადგანაც სხვადასხვა მოსაზრებები თუ ვერსიები არსებობს.

ალექსანდრე ციხელაშვილი, სერგო წურწუმია, მაკა დიდებულიძე,
სერგი ლომ ლომაძე, მამა არმტამრანი, სიმონ ზაქარაია, მაკა დიდქეძელიძე,
სერგი ლომაძე, მამა ამირანი, სიმონ ზაქარაიარია, გულნაზ ხარაიშვილი
და მათე, გელა ლარიაშვილის შვილიშვილი

მოკლედ, მე ვფიქრობდი...

ამ დროს კი მივედით მეორე ეკლესიასთან, რაც იქ ვნახე... აქამდეც ვიცოდი, რომ გელა ლარიაშვილი მართლაც უდიდესი ნიჭის მქონე მოქანდაკე გახლდათ, მაგრამ ასეთივე ნიჭის მქონე მხატვარიც თუ იყო, ამას ადვილად ვერ წარმოვიდგენდი, არადა... საოცარია იმ ეკლესიის მოხატულობა (თუმცა ჯერ მთლად დასრულებული არაა). ფიგურები, ცის (ჭერის) ცისფერ-ლურჯი სივრცე, ფერები... განსაკითრებით ამ ფერებმა დაგვატყვევა, – ხასხასა, ახალი, მანათობელი... აუ, რა შეუქმნია გელას და მის გარემოცვას!... მამა ამირანმა თავი ვეღარ შეიკავა და პირდაპირ იქ, პატარა ტაძარში ამღედა. თუმცა ეს ტკბილი სიმღერა ლოცვა უფრო იყო. ავყევით, ყველანი, მის ხმას...

გელა ლარიაშვილი ისეთივე რჩეული და თავმდაბალი მამულიშვილია, როგორიც დიდი ნიკო ხერკელაძე.ეს ორნი, განუყრელი მეგობრები, შემდგარან ლეონარდო-მიქელანჯელო-რაფაელის ყოვლისმომცველი და გენიალურ გზაზე, მამულიშვილობით კი ძველი, ლეგენდარული ქართველების გათელილ ბილიკებს მიუყვებიან სიმაღლეთა დაპყრობაში...

და აი, ვესტუმრეთ თვითონ უშანგი მოსიაშვილს. კიდევ ერთხელ დავათვალიერეთ ამ დიდ-ქართველის, კასპის ამ ლეგენდის გაუხუნარი, სახელგანთქმული გამოფენა ვრცელ დარბაზში. საქართველოს მთელი ისტორიაა მოქცეული ამ ფერად ტილოებში. ესაა სამყარო, რომელიც რამდენ-ჯერაც უნდა ნახო, სულ გაოგნებული რჩები. ეს სურათები ბატონი უშანგის ინიციატივით, მისი შეკვეთით, დახატა მხატვარმა, წლების განმავლობაში იგება ეს ჯერაც დაუსრულებელი ფერთა ეპოსი.

ნიკო ხერხელაძე და გულნაზ ხარაიშვილი
თეკლეს საფლავზე

გალერეაში შევნიშნე, რომ ნიკო ბაღაშვილს რეზო მიშველაძის მეასამე რომანი – „წამება“ ეჭირა ხელში. ვთხოვე წიგნი. ამ დროს პირდაპირ ბატონი რეზო შემომხვდა. მეუბნება იგი: ჩემი ბევრი წიგნი გაჩუქეთ შენ და კახას, პატივისცემის ნიშნადო, მაგრამ რაო? არაფერი გითქვამთ, არაფერი დაგიწერიათ მათ შესახებო.აი, მესამე რომანი რად გინდა, როცა წინა ორიც კი არ წაგიკითხავსო?! არადა, ვცდილობ, რომ ყველა და ყველაფერი ვიცოდე, ბევრს, ბევრს ვკითხულობ, და რაღა თანამედროვე კლასიკოსის წიგნებს გამოვტოვებდი, როცა ლამის ყოველივე წაკითხული მაქვს, ამიტომ იქვე დავიწყე პირველი რომანის მოყოლა დეტალურად. გაასავსავა ხელები დიდად ცნობილმა მწერალმა, – არაო, ეგ როდის დასრულდება, მეორეზე გადადიო. დავიწყე მეორე რომანის თხრობაც ასევე დეტალურად. და ასწია ხელები ბატონმა რეზომ, – აგერ ბატონოო, მეც გაღიარებო, მაგრამ ისე კი, გურულ კაცს, იუმორის გრძნობა უფრო მეტი უნდა გქონდესო, – მე ხომ მეხუმრე წიგნთა წაუკითხაობაზე, შენ კი სერიოზულად მიიღე ეს სიტყვებიო. ვიცი, რომ იხუმრეთ-მეთქი, თუმცა გურულებს ხანდახან გვიყვარს თავის გამოჩენა-მეთქი... გაეცინა და ხელი ჩამომართვა კეთილგანწყობის ნიშნად...

სუფრას არაფერი აკლდა. ყოველივე უხვად იყო იქ. თავიდანვე აიღო ხელში, სიტუაცია, თეთრმა თამადამ – მამა ამირანმა, ასევე – ბატონმა რეზომ და ბატონმა უშანგიმ. ქალბატონი გულნაზი სუფრაზე არ აქტიურობდა, იგი ყურადღებით, ფხიზლად აკვირდებოდა სიტუაციას.

საერთოდ, ქალბატონი გულნაზი მეტად დაკვირვებული ადამიანია, და რაც ძალიან არ უყვარს, ესაა ხელოვანთა შორის კონკურენცია.მას არასდროს წაუქეზებია ჩემი და კახას სიამაყე, არასდროს წაუქეზებივართ იმ ამბავშიც, რომ უამრავი პოეტი დაგვიმარცხებია პაექრობებში. (კახას ყველაზე მეტი გამარჯვება აქვს, მასვე აქვს უმეტესი გამარჯვებანიც დოზე ადრე, ანუ – როცა ყველა „რაუნდი“ არ გახდა საჭირო უპირატესობის გამოსარკვევად. თუმცა თვითონ კახა რო-

გორც ამბობს, საწყისშივე, „პირველ რაუნდშივე“, ანუ – თითო ლექსის წაკითხვისთანავე, ყველაზე მეტი გამარჯვება მე დამიგროვებია. საერთოდ, უმეტესად სამი-ხუთი-ათი-თხუთმეტი „რაუნდი“ ტარდებოდა). მიუხედავად ამისა, რომ ამბიციებს არ ემხრობა, სამაგიეროდ ადამიანთა ქება ძალიან უყვარს ქალბატონ გულნაზს და ზოგს ზედმეტი ქებითაც კი ანებივრებს. თუმცა ქება იქნებ არასდროსაა ზედმეტი... ვინ იცის... (რაც შეეხება პაექრობათა რიცხობრივ მონაცემებს, ვთქვათ, კახას გამარჯვებათა მონაცემები დაახლოებით ასეთია: სულ – შვიდასზე მეტი, ოთხასზე მეტი – დროზე ადრე. ასზე მეტი – პირველივე „რაუნდში“)...

რეზო მიშველაძე, მამა ამირანი, გულნაზ ხარაიშვილი, გურამ ცერცვაძე

კასპის დიდმოღვაწემ – უშანგი მოსიაშვილმა იქ ყველა სფეროს დაატყო საკუთარი ხელი.უამრავი აღიარებაც მიიღო, და აი, გალერეაში გურამ ცერცვაძემაც აღიარა. ყველასგან პატივდებული უშანგი იმ დღესაც ისეთი შემართული იყო, რომ ვერავინ იფიქრებდა, თუ ამ კაცმა ბევრი ათეული წელი მოიტოვა უკან, ყველა დროს გაუძლო, უამრავ ადამიანს გაუმართა ხელი თავისი დიდი და ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე ამ მოღვაწე-მეცენეტმა...

თბილისში ღამით დავბრუნდით. უამრავი შთაბეჭდილებებით ვარ სავსე. ვცდილობ ეს შთაბეჭდილებები როგორმე ჩავტიო სტატიაში, არადა უსასრულოა ემოციები ნანახ-განცდილის შესახებ.

მთელი ეს ექვსკურსია იყო ლეჯავა-ხარაიშვილის აკადემიის კიდევ ერთი გამარჯვება, და კიდევ ერთი გამარჯვება ლეგენდარული უშანგი მოსიაშვილისა, რომლის რეზიდენციაში ბოლო ათეული წლებია ყველა ქართველ ვარსკვლავს, ლეგენდას დაუდგამს ფეხი. ბატონი უშანგის პურღვინოთი არაერთხელ დაპურებულან როგორც რჩეულნი ამა ქვეყნისანი, ასევე – დაბალი ფენებიც.იგი ყველასთან მეგობრობს, რამეთუ იცის, რომ მზე ყველასათვის ერთნაირად უნდა ანათებდეს...

მე არ მავიწყდება კასპი;

არ მავიწყდება ქვათახევი;

და ახლაც თვალწინ მიდგას, ვთქვათ, ის თოვლისფერი ყვავილები ხეებზე, ღმერთებივით რომ ანათებდნენ მწვანე სივრცეებიდან...

თბილისი.2018 წელი. აპრილი.

5 მაისი მირზა გელოვანის ბიბლიოთეკაში

არც ვიცი, ყოფილა თუ არა ოდესმე ამხელა ამბავი მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში (დირექტორი – ქეთევან კიღურაძე, რომლის არცთუ დიდი დარბაზი ხალხით გადაივსო ხუთ მაისს. ტევა არ იყო, სკამები დაამატეს, მაინც ფეხზე დარჩა ზოგი და ზოგიც საერთოდ ვეღარ შემოვიდა ღონისძიებაზე. გასაკვირი არაა ასეთი ხალხმრავლობა, რამეთუ საქმე ეხებოდა ჩვენი აკადემიის უკვე ლეგენდად ქცეული დამაარსებლისა და უცვლელი პრეზიდენტის – გულნაზ ხარაიშვილის დაბადების დღეს. (დაბადებულია 1950 წლის ხუთ მაისს სოფელ ხვანში, საჩხერის რაიონში, მოღვაწეობს, ძირითადად – თბილისსა და რუსთავში, საერთოდ კი – მთელს საქართველოში).

ქალბატონი გულნაზი, ძირითადად სამოცდაათიან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, და თითქმის ორმოცდაათი წელია, რაც ქართულ კულტურას ემსახურება. მან კულტურის სხვადასხვა სფეროს ყველაზე უფრო გავლენიანი ქალბატონია ამ სივრცეში. მისი სიტყვა წონადია, მისი განსჯა – უცდომელი. უამრავი ადამიანის წინა პლანზე წამომწევი, თვითონ კი – თავმდაბალი, თუმცა – ამაყია გულის სიღრმეში, თავისი და სხვათა გულის სიღრმეში, თავისი და სხვათა შესაძლებლობების კარგად მცნობი, სამოცდარვა წლის ასაკშიც აგრძელებს თავის ენერგიულ, ტრიუმფალურ კარიერას, მეტიც – მგონი სწორედ ამ საუკუნის ათიან წლებში (ანუ ახლა) არის იგი კარიერის პიკზე.

მამა ამირანი და გულნაზ ხარაიშვილი

და აი, მისი კიდევ ერთი იუბილე. ამჟამად ეს დიდად საპასუხისმგებლო საქმე 36-ე საჯარო სკოლამ იტვირთა (დირექტორი – მაია კვინიკაძე), ხოლო მირზასეულმა ბიბლიოთეკამ დაუთმო დარბაზი სკოლის სხვადასხვა ასაკის მოწაფეებს, რომელთაც საოცარი პატარა თეატრონი შემოგვთავაზეს, ყოველივე ამას კი ხელმძღვანელობდა დიდი პედაგოგი ციური ხუჭუა, რომლის პროფესიონალიზმი და თავისი საქმისადმი სიყვარული ლამის ფანტასტიკურია, იდეალურია ლამის.

მოზარდების მიერ წარმოდგენილი ლექსები, სიმღერები, სიტყვა-თქმანი, სულ ზეპირი იყო. ისინი არაფერს კითხულობდნენ, მათ არაფერი ავიწყდებოდათ, ყოველივეს ამბობდნენ ზეპირად, და კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ რასაც ამბობდნენ, როგორც დავაკვირდი, ყოველივე კარგად ჰქონდათ გააზრებული. როგორც იტყვიან ხოლმე შემფასებელნი, ესაა "უმაღლესი პილოტაჟი", და როგორც გრანდი ვეშაპი ან ფინვალი არის ოკეანეში, ისეთი სიდიდეა ეს სასკოლო სივრცეში. ერთიც უნდა ვთქვა: მოწაფეთაგან ზოგი ისეთი პატარა ჩანდა, რომ ახლაც არ ვიცი, სათ-

ქმელი როგორ დაიზეპირა და გაიაზრა, – გააზრება ხომ ყველაფერზე მეტია, თვით დაზეპირებაზედაც კი.

მოწაფეების დადგომის ერთი ნაწილი უშუალოდ სპექტაკლს წარმოადგენდა, პატარა პიესას მძიმე დღევანდელობისა და წიგნის მეგობრების შესახებ, ხოლო დანარჩენი ნაწილი მოხდენილად ერწყმოდა ამ პატარა პიესას.

მთლიანობაში, მოწაფეთა თეატრონში რამდენიმე ცნობილი სახელი გაისმა, თუმცა ისე ოსტატურად წარემართა საქმე ქალბატონ ციურის, რომ საბოლოოდ ყოველივე მაინც დიდი იუბილარის – ქალბატონი გულნაზის გარშემო იყრიდა თავს.

იმ დღეს, ბავშვებმა, თავიანთ დამრიგებელ-მასწავლებელთან ერთად, კიდევ ერთ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს.

შემდეგ მე გამოვედი. მე მებარა მცირე, გარდამავალი ეტაპი. საქმე იმაშია, რომ დარბაზშივე უნდა გაშლილიყო სუფრა, რომელიც ასევე უნდა გადაქცეულიყო შემოქმედებით ღონისძიებად, თავისი ლექს-სიმღერებით თუ სიტყვა-თქმებით, დიდი სუფრა უნდა გაშლილიყო, მაგრამ იქამდე უნდა მომესწრო და უპატარავეს ეტაპს – მეორე ეტაპს გავძღოლოდი, რათა სიტყვა მეთქვა და სხვა რამდენიმე ადამიანისთვის გადამეცა სათქმელი.

გულნაზ ხარაიშვილი და მამა მერაბი

მე უმაღლესი შეფასება დავუწერე, ჩემს სიტყვაში, პირველი ეტაპის ხელმძღვანელსა და მის მოწაფეებს, შემდეგ კი ის მოვასწარი, რომ ბატონებს – რეზო მიშველაძეს, გურამ ცერცვაძესა და ნიკო ხერკელაძეს გადავეცი სიტყვა, ასევე ჩავატიე დროში სამი სასულიერო პირი – მამა ამირანი, მამა მერაბი და მამა გიორგი. სიმართლე რომ ითქვას, დროში ძალიან შეზღუდული იყო იუბილის ეს ნაწილი, ამიტომაც მხოლოდ ბატონმა რეზომ და მამა ამირანმა თუ მოახერხეს, მაშინ, სრულყოფილი, სიტყვის წარმოთქმა. არავის გაუკვირდა, რომ ეს სუპერგამოცდილი ადამიანები დიდებულად წარსდგნენ საზოგადოების წინაშე. ხო, – მამა მერაბის გამოსვლაც ბევრს დაამახსოვრდა, და ესეც უნდა აღვნიშნო.

გულნაზ ხარაიშვილი, ცირა მიქელაძე, ნანა სხირტლაძე და თამარ სხირტლაძე

დარბაზი არცთუ დიდი იყო, თუმცა სიგრძე კი გვარიანად ჰქონდა და ორად ჩამწკრივდა მაგიდები ამ სივრცეზე. სუფრას მეფე-თამადა ხელმძღვანელობდა, უფალი-თამადაო როგორც ამბობენ, და ეს ადამიანი, რაღა თქმა უნდა, მამა ამირანი იყო. ყოფილმა მსახიობმა, და საერთოდ, მრავალმხრივად განვითარებულმა ადამიანმა, იმ დღესაც დიდი მსახიობობა თუ რეჟისორობა გამოავლინა. როცა მან იგრძნო, რომ სუფრის თავიდან, ანუ თამადის ადგილიდან რთული იყო ორი ამხელა მაგიდის გაძღოლა, მაშინ ყოველგვარი დამხმარეების გარეშე (უფრო რომ თამადის მოადგილეებს ეძახიან) დაიჭირა ხელში სიტუაციის სადავეები, მიმოდიოდა, რაა, მაგიდებს შორის, და ამბობდა დიდებულ სადღეგრძელოებს, სიტყვებს, ამხნევებდა, აგულიანებდა, აღანთებდა ხალხს. და იყო ლექსები, სიმღერები, ორატორული წიაღსვლები, ხოლო ყოველივე ტრიალებდა იმ მწვერვალის ირგვლივ, რომელსაც გულნაზ ხარაიშვილი ჰქვია.

საერთოდ, მაისი პოეზიის თვეა. გავიხსენოთ: ნოემბერ-დეკემბერში, დიდი ხნის წინ, „ცისფერ-ყანწელთა“ პოეტური ორდენი ჩამოყალიბდა (1915-1932 წლებში არსებობდა, დაახლოებით ჩვიდმეტი წლის მანძილზე), იანვარში გამკვეთრდა მათი არსებობა, ხოლო თებერვალში ცნობილი ჟურნალი გამოუშვეს, იმავე სახელწოდების, და თებერვალს, ზოგი, მათ თვედაც თვლის. ხოლო მაისში, კოტე მაყაშვილისა და სხვათა დასტურ-ხელშეწყობით (ამბობენ, გალაკტიონიც იყო ამ ამბავში გარეულიო), ყანწელებმა „პოეზიის დღე“ დაარსეს. ეს მოხდა შვიდ მაისს (სხვათა შორის, მაისი ჯგუფ „ზღვარის“ თვედაც ითვლება).

ასე რომ, გაზაფხული, მაისი, სულ მოიაზრებოდა პოეზიის თვედ, მითუმეტეს - „ყანწელთა“ შემდეგ.

გულნაზ ხარაიშვილი,
რეზო მიშველაძე, სიმონ ზაქარაია

და სწორედ ამ თვესაა, დაბადებული, ბევრი პოეტური, ადამიანი, მათ შორის – ქალბატონი გულნაზი! პოეზიის თვეში დაიბადა პოეტი ქალი, და არა მგონია, რომ ეს ამბავი შემთხვევითი იყოს. ამ თვეში ბევრი პოეტურ-მისტიკური რამ იმალება... დაბადების დღის ღონისძიება სხვათა ინიციატივით ჩატარდა, მაგრამ ქალბატონი გულნაზი მაინც ძალიან ჩართული აღმოჩნდა, საბოლოოდ, ყოველივეს დიდებულად წარმართვა-დაგვირგვინებაში. მან, იმ დღეს, უამრავი საქებარი რამ მოისმინა მისივე მისამართით, უამრავი საჩუქარიც მიიღო, თუმცა, მთლიანობაში, იმდენი ენერგია დახარჯა იმ დიდი ზეიმის შესაქმნელად, რომ ძალიან დაიღალა. მიუხედავად ამისა, დღის ბოლოს, როცა უკვე დაძაბულობა სადღაც წავიდა, გამარჯვებული და ძალიან ბედნიერი იყო. უხაროდა მას, და გვიხაროდა ყველას. ასეთი გახლდათ წლევანდელი ხუთი მაისი... აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ ღონისძიებას ქალბატონი გულნაზისათვის ძვირფასი ადამიანების დიდი ნაწილი დაესწრო, და მათ შორის იყო მისი საოჯახო-სანათესავოც. არ შემიძლია, მაგალითად, არ ავღნიშნო ულამაზესი პატარა იოანე, რომელიც შვილთაშვილია ჩვენი დიდი ადამიანისა. ამ ენერგიული, ხალისიანი ბავშვის იქ ყოფნა ანათებდა მიდამოს... ბევრი სხვა რამეცაა დასაწერი, თუმცა... ყოველთვის არსებობს, სადღაც, წერტილის დასმის დრო.

თხუთმეტი მაისის აკადემიური ღონისძიება

როდესაც, თანამედროვე ქართული კულტურის ყველაზე უფრო გავლენიან ქალბატონს, ხუთ მაისს, დაბადების დღე გადავუხადეთ (იგი უახლოვდება დიდ თარიღს – სამოცდარვას), გვეგონა, რომ დასრულდა, ამით, ეს სეზონი, თუმცა საქმეებმა სხვაგვარად ინება.

დადგა თხუთმეტი მაისი, გავიდა რა, სულ მხოლოდ ათი დღე.

გულნაზ ხარაიშვილი, ნია ჯანგავაძე, ნათია ჯანგავაძე და მამა ამირანი

გულნაზ ხარაიშვილი და რევაზ მიშველაძე მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის ღონისძიებაზე

მაგრამ იქამდე თერთმეტი მაისიც იყო, და არ შემიძლია, რომ მასაც არ შევეხო: კლუბ „დეჟავუში“ ჩატარდა „ზღვარის“ საღამო-კონცერტი, რომელიც ვაქციე საქართველოს პირველ ოფიციალურ ჩემპიონატად პოეზიაში (ხელოვნებაში). ეს იყო პოეზიის, მუსიკის, ფილოსოფიის, დიდი დღე. ისე მოხდა, თითქოს, დავაწესე რაღაც შეზღუდვები ჩემპიონატში, თუმცა იმავე დღეს, იქვე მოვხსენი ეს შეზღუდვები და ასე წარვმართე თერთმეტი მაისი. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდების შეჯიბრში არ გამოვსულვართ, არა, და იმ დღეს, „ზღვარელებმა“, უარვყავით ეგ დაპირისპირება რატომღაც, სამაგიეროდ ჯგუფებს შორის ჩვენ გამოვცხადდით გამარჯვებულებად, დარბაზის აპლოდისმენტების ფონზე, ხოლო ინდივიდებში ნიკა კობერიძე და დიანა (დიო) ლომიძე ვაღიარეთ, თუმცა სხვა პოეტებიც მოეწონა დარბაზს. საერთოდ, პოეზიაში (ხელოვნებაში) საქართველოს ჩემპიონი, მსოფლიოს, სამყაროს ჩემპიონად რომ გვყავს გააზრებული, არ გაგიკვირდეთ, რადგანაც სწორედ ჩვენი ქვეყანაა სამშობლო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისა...

სიგელების გადაცემა თბილისის 36-ე საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვის.

მოკლედ, თხუთმეტ მაისს თავიდანვე ამაღლებული განწყობით შევხვდი.

და აი, კიდევ ერთი ღონისძიება აკადემიის. საჯარო ბიბლიოთეკა ლურჯი დარბაზი.

ღონისძიება ორ ნაწილად გაიყო, და აქედანვე ვიტყვი, – ორივე იყო დიდებული.

მაშ ასე: პრეზიდიუმში ვართ, – აკადემიის ერთპიროვნული ლიდერი გულნაზ ხარაიშვილი, მამა ამირანი და მე (პოეტური კონცერტის უმთავრესი გმირი – კახა ბაციკაძე, რიგ მიზეზთა გამო, ადრინდელი სიხშირით ველარ დადის ღონისძიებებზე, თუმცა მისი ადგილი, პრეზიდიუმში, ყოველთვის გამოინახება, როცაკი მოვა. მე ბოლო რამდენიმე შეკრებაზე ან მარტო გამოვჩნდი, ან ზოგი სხვაც მახლდა, მაგალითად – დარია ხიდეშელი).

პირველი ნაწილი იყო ოცდამეთექვსმეტე საჯაროს სკოლის უკვე ცნობილი დადგმა (დირექტორი – მაია კვინიკაძე). გამოჩნდნენ ლიდერ – მასწავლებლის – ციური ხუჭუას აღიარებული მოწაფეები. მათ გვარ – სახელებს აქ აღარ ჩამოვთვლი, რამეთუ არაერთ სტატიაში მყავს ნახსენები ისინი. ამ ბავშვებს ადვილად შეუძლიათ აუდიტორიის დაპყრობა. ეტყობა, რომ როგორც მშობლები, ასევე სკოლა დიდ მუშაობას დებს მათში, ყველა გამოსვლა წარმატებულია და უკვე

უამრავი გამარჯვება მოიპოვეს, ასევე აჩვენეს თავიანთი მაღალი დონე თხუთმეტ მაისსაც. ქალბატონმა ციურიმ, ამ ბავშვების სახით, ვუნდერკინდები შესთავაზა ქვეყანას, ხოლო თუ რა ახალ მწვერვალს დაიპყრობს ეს სუპერწარმატებული პედაგოგი მომავალში, ეს, ალბათ, მხოლოდ მან და ჩვენმა გულნაზიმ იციან...

მეორე ნაწილი უნდა ყოფილიყო ჟურნალ ათინათის ოცდამეშვიდე (!) ნომრის განხილვა, თუმცა იგი გურამ გედევანიშვილისა და ლიანა ოსიაშვილის დომინანტობის ქვეშ წარმართულ შეკრებაში გადაიზარდა.

მოკლედ, ქალბატონმა ლიამ დაწერა საკმაოდ ვრცელი სტატია, სადაც საფუძვლიანად მიმოიხილა ბატონი გურამის პოეზიის გარკვეული ნაწილი. სტატიამ სრულიად დაიპყრო დარბაზი, გამოიწვია, რა უდიდესი ინტერესი.

გურამ გედევანიშვილი ორმოცდაათიან-სამოციან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, და აგერ თითქმის სამოცი წელია, თუ მეტი არა, რაც მუშაობს, არის ნამდვილი აკადემიკოსი, მიაღწია, თითქოს, ყველაფერს, მაგრამ მას, როგორც მეცნიერს, ისე უფრო იცნობდნენ, ხოლო როგორც პოეტმა, ახლახანს, ათიან წლებში უფრო მოიპოვა აღიარება, გულნაზ ხარაიშვილის ხელშეწყობით (არადა, ადრეც წერდა). ბატონ გურამზე, როგორც რჩეულზე, დიდოსტატზე, პირველად, მგონი, მე ვისაუბრე, აკადემიის ერთ-ერთ სხდომაზე, ხოლო ლიანა მგონი პირველია, რომელმაც ასე ვრცლად, ასე სერიოზულად განიხილა დიდი პოეტისა და მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის პოეტური ჯაფა, პოეტური ნაღვაწი.

ლიანამ ტოტალურად ძლიერი სტატია შექმნა, სადაც ჩადო მთელი ენერგია. ქალბატონმა ოსიაშვილმა, იმ დღეს, თავის თავს ბევრად გადააჭარბა, მან წლის ერთ-ერთი საუკეთესო ფილოლოგიური სტატია დადო, მაგრამ ამას მასალამაც შეუწყო ხელი, – ბატონი გურამის მითოსური, ფილოსოფიური, მისტიკური პოეზია ის ოკეანეა, რომლიდანაც ფერადი ბროლის სასახლეები ამოანათებს ხოლმე. ესაა ირეალური რეალობა თუ რეალური ირეალობა, სილამაზე-სიღრმე სიბრძნისა, პოეზიის პოეტურობის ჭეშმარიტი ნიმუში. საერთოდ, პოეზია, მუსიკა, ფილოსოფია უმაღლესი განზომილებებია და ბედნიერ არს პოეტი, რომელიც ასეა აღსავსე სამივე ამ სივრცით, მითოსი

და ისტორიული წიაღსვლანი (მითოსურ-ისტორიული წიაღსვლანი) სწორედ ასეთ ადამიანს ხელეწიფება.

ქალბატონი ლიანას სტატიის გამო, ბურთი და მოედანი, იმ დღეს, სწორედ ბატონ გურამს დარჩა, და პრეზიდიუმის სამივე წევრმა ვაღიარეთ ეს.

აღარ ჩამოვთვლი საღამოს დამსწრეებს, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ბოლოსკენ ნარო კოლხელიც შემოგვიერთდა, თავის მეგობრებთან ერთად. ეს პირველი ან ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო მისი ჩვენს საღამოებზე დასწრებისა, და ამიტომაც აღვნიშნავ, სპეციალურად, ამ ამბავს.

და აქვე დავაანონსებ, რომ ოცდაცხრა მაისსაც გვაქვს საღამო, რომლის ერთ-ერთი მაისსაც გვაქვს საღამო, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არის მანანა ბრაჭულის სტატია ასევე ბატონი გურამის პოეზიის შესახებ. უდიდესი ინტერესია, უკვე, ამ სტატიის მიმართ, და მიზეზების გამოცნობა რთული არაა. ქალბატონი მანანას ერუდიცია, მისი განათლება დიდია, ამიტომაც მჯერა, რომ ძალიან წარმატებული იქნება მისი ნაშრომიც...

P.S. ყველაზე მეტად აღმაშენებელზე ვარ (და დიდ დიღომში) აღმაშენებელზე პატარა პატარა სტუდია გვაქვს („სტუდოს“ ვეძახით), სადაც ახლაც ხშირად ვიკრიბებით – მე, კახა, რამდენიმე ჩვენი მეგობარიც, ვსაუბრობთ, ძირითადად, ხელოვნებასა და ფილოსოფიაზე. ამ დღეებში, სწორედ იქ, კახამ თქვა: „ყველაზე უფრო, ახლა, „ზღვარი“ და „აკადემია“ მიყვარს. „ზღვარმა“ ექვსი წიგნი და რვა ალბომი შექმნა, ხოლო აკადემიის შრომებია ანთოლოგიისა და „ათინათის“ უამრავი ნომერი დიდებულია, რომ ეს ორი ძალა („ზღვარი“ და აკადემია) ერთად მოქმედებს ერთად ვქმნით ეპოქას ათიან წლებში“... ძალიან მომეწონა მისი სიტყვები. ეპოქის შექმნაზე ხშირად მიფიქრია. ესაა ერთ-ერთი უდიდესი მიზანი ადამიანთა ცხოვრებისა. საერთოდ, როგორც ახლა ჩანს, ალბათ, ნულიანი და ათიანი წლების არის ჩვენი მწვერვალი შემოქმედებითად...

ოცდაცხრა მაისის აკადემიური შეკრება

ოცდაცხრა მაისიც ღონისძიებით აღინიშნა აკადემიაში. ეს იყო, ძირითადად, გურამ გედევანიშვილისა და უშანგი მოსიაშვილის დღე. სწორედ მათი შემოქმედება განვიხილეთ მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში (დირექტორი – ქეთევან კილურაძე).

მოგეხსენებათ, წინა რამდენიმე საღამო გამოტოვა კახა ბაციკაძემ, თუმცა ახლა გამოჩნდა, და თანალიდერთა აკადემიური ოთხეული ისევ სრულად აღსდგა პრეზიდიუმში – ხელმძღვანელი გულნაზ ხარაიშვილი, მამა ამირანი, მე და კახა.

საერთოდ, აკადემია შემოქმედი, მრავალმხრივი, ძლიერი პიროვნებასავით არის. ასეთი პიროვნება პოეტურია. იგი ინტენსიურად მიიწევს წინ და სულ იმარჯვებს. ვთქვათ, მსაჯებიც, ხალხიც, ყველა აღიარებს, რეალურად, მის უპირატესობას, და რაც ერთი უმთავრესთაგანია, ის თვით აღიარებს (ირიბად ან პირდაპირ) მისსავე უპირატესობას. არის ხოლმე ეპიზოდები, როცა თითქოს ეჭვი შეაქვს საკუთარ გამარჯვებაში, მეტი სურს იდეალისტს, მეტს ითხოვს საკუთარი თავისგან, მაგრამ მალევე ხვდება, რომ ეჭვი უსაფუძვლოა და იგი ყოველთვის არის გამარჯვებული, უპირატესი. მარადიული ზესვლაა მისი ცხოვრების კრედო. არის, ძნელ, მაღლივ გზაზე ღალატიც, მუხთალი საქციელიც, და ეს თითქმის ყველასგანაა მოსალოდნელი, მაგრამ ყველა (ან – თითქმის ყველა) შენსკენ უნდა გადაიბირო საბოლოოდ მაინც, რადგან, მარადგამარჯვებულს, ჭეშმარიტების მაძიებელს, გაქვს ეს სურვილი.

აკადემია იმ პოეტურ-ფილოსოფიურ პიროვნებასავით არის, რომელიც მარადიულად, შეუჩერებლად მიიწევს წინ, მიიწევს მაღლა.

ამ ზესწრაფვას, ბოლო ხანებში, გურამ გედევანიშვილიც შემოუერთდა, ეს პოეტი-მეცნიერი (ხელოვანი-მეცნიერი), თავისი გასაოცარი სამყაროთი, თავისი გრანდიოზულად პოეტური ნათელხილვებით, და მოიტანა ახალი ფერები დიდ აკადემიურ სივრცე-სამყაროში. ლიანა ოსიაშვილმა ადრე განიხილა მისი პოეზია, ქალბატონი გულნაზის დავალებით, განიხილა ძალიან წარმატებულად, ხოლო მაისის ბოლოს იგივე დავალება მანანა ბრაჭულმაც მიიღო და შეასრულა კიდეც. ლიანას მოხსენება უფრო ვრცელი იყო. მანანამ, ძირითადად, მხოლოდ ერთი ლექსი შეაფასა, და თუმცა შეფასება არაერთგვაროვანი იყო, მე მაინც წარმატებულად ვთვლი მის გამოსვლას. მანაც, ისევე, როგორც ლიანამ, თანამედროვეობის დიდ პოეტად გამოაცხადა ბატონი გურამი, თუმცა ისიც უნდა ავღნიშნო, რომ გარკვეულ საკითხებში კრიტიკულიც გახლდათ, და ამაში გასაკვირი არაფერია, – ჩვენი აკადემია რომ ბუდეა თავისუფალი აზრისა. ბატონ გურამსაც, რაღა თქმა უნდა, ჰქონდა სიტყვის უფლება, და დაასაბუთა კიდეც თავისი შემოქმედებითი ხაზის სიმართლე, სიწრფელე, სისრულე.

საღამოს მეორე ეტაპზე ლიანა ოსიაშვილმა შემოგვთავაზა მისი სტატია უშანგი მოსიაშვილის შემოქმედების შესახებ. ჩვენ, იმ დღეს, ძირითადად, ბატონი უშანგის პოეზია განვიხილეთ (და არა – მისი საზოგადო მოღვაწეობა ან სხვა სფეროები). ლიანამ კიდევ ერთი წარმატებული სტატია შექმნა. მან, თავის დროზე, პროფესიონალ პოეტად წარმოაჩინა გურამ გედევანიშვილი (პროფესიონალებს მე ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ), ხოლო ოცდაცხრა მაისს, ლიანას კალმის მიერ, უშანგი მოსიაშვილი წარმოჩინდა, როგორც პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, დიდებულად იქნა განხილული მისი შემოქმედებაც. მოკლედ, კასპის ლეგენდა ისევ წარსდგა თბილისის წინაშე, ამჯერად – პოეტურად...

მე კი, მთელი ის დღე, ამაღლებულ განწყობაზე ვიყავი. რატომღაც დილიდანვე ამეკვიატა ჩემივე სტრიქონები, – ზედაზნის ცაზე ვარსკვლავი ენთო, ქართველი ქრისტეს თეთრი ვარსკვლავი... – არ ვიცი, რად ამედევნა ჩემი ეს სტრიქონები, დიახ, არ ვიცი, მაისის თბილისში ასე რად გამიტაცა წმინდა ზედაზნის არამიწიერმა ხატებამ...

ხოლო სანამ მამა ამირანი და ქალბატონი გულნაზი შეაჯამებდნენ იმ საღამოს, რომლის წამყვანი მე ვიყავი, უნდა ვახსენო კახას ორი სუპერგამოსვლაც, - ხელოვნების მეფემ ჯერ რეტროსიმღერა შეასრულა დიდი ოთარ რამიშვილისა, ხოლო უფრო აღანთო დარბაზი, როცა „ზღვარის“ ცნობილი სიმღერა „ჩემი ლირიკა“ („პოეტი”) უკვე მგონი მეათასედ შეასრულა. მოკლედ, უყვართ ეს კაცი, რადგანაც სიყვარულისათვის, ლეგენდარულობისათვის შექმნილი.

რაც შეეხება მამა ამირანს, იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული სასულიერო პირია, ყველაზე ცნობილი დეკანოზი, და არავის გაკვირვებია მისი ერუდირებული, დახვეწილი შემეცნე-

ბითი გამოსვლა, რომელიც ძირითადად რელიგიურ საკითხებს ეძღვნებოდა. საქმე იმაშია, რომ ამ თავისებურ მოღვაწე-ფილოსოფოსს გადაწყვეტილი აქვს სასულიერო საკითხებზე აგებული წიგნის გამოცემა (მგონი ამასაც ქალბატონი გულნაზის თხოვნით აკეთებს, ისევე, როგორც ბევრ სხვა დიდებულ რამეშია ჩვენი აკადემიის წვლილი). საერთოდ, მამა ამირანი, როგორც ერთ-ერთი თეთრი მოძღვართაგანი ჩვენი ერისა (ეს წარმოსადეგი ადამიანი გაჭაღარავებულ-გათეთრებული გახლავთ სოლიდური არაკისა გამო), სიამაყეა-ხარაიშვილის აკადემიის.

ხოლო ქალბატონი გულნაზის სიტყვა-შეჯამებამ ყველაფერი დაიტია. გულნაზ ხარაიშვილი როგორც ანი და ჰოე, საწყის-სასრულია, ყველაფერია ჩვენი აკადემიის. 2010 წელს, ჯუმბერ ლეჟავას, მეუფე თადეოზისა და სხვათა მხარდაჭერით, მან, საკუთარივე იდეით, შექმნა ეს აკადემია, და ბატონი ჯუმბერის სახელიც თვითონ უწოდა (ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემია კი ჩემს მიერ დამკვიდრებული ზედწოდებაა, ჩვენი დიდი ორგანიზაციის, რომელმაც 2012 წლიდან რეორგანიზაცია განიცადა, დიდი აღმავლობაც დაიწყო). ქალბატონი გულნაზი აკადემიაში მეფეც თვითონაა და დედოფალიც, დედაფუტკარივით პირველია, შეუვალი ავტორიტეტი. იგია მთავარი იმედი აკადემიის, ცენტრი, რომლის გარშემოცაა შეჯგუფებული შენობა აკადემიური გულის, სამშვინველის, სულის. და აი, მის სიტყვაში შეჯამდა „ათინათის“ ბოლო ნომრის მიღწევანი, ისევე, როგორც ლია ოსიაშვილისა და მანანა ბრაჭულის სტატიები. აკადემიის პრეზიდენტის იმდღევანდელმა ჩანართებმა და ჯამმა სიტყვამ დაიტია ჩვენი საერთო მუშაობის შედეგი.

საღამო კახას ცეცხლოვანი გამოსვლით დაიხურა: კახა, შავი გიტარა, პოეტური სიმღერა, აღტაცებულ-ანთებული მსმენელი...

საერთოდ, სამი რამ მესახება ყველაზე გამორჩეულად: პოეზია, მუსიკა და ფილოსოფია. სამივე ეს ხაზი გავმართეთ იმ დღეს აკადემიურ სხდომაზე.

ფილოსოფია ფილოლოგიასთან შევაზავეთ და ისე უფრო წარმოვადგინეთ. ამ სივრცეში გაშუქდა, იმავე დღეს, პოეტების შემოქმედებაც, ამ სივრცეში გაიშალა მსჯელობაც, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სიმონ ზაქარაიამაც, ლამზირა შეყულაძემაც, ლეილა გაფრინდაშვილმაც და სხვებმც უამრავმა. საღამოს ესწრებოდნენ ჩემთვის სრულიად უცნობი ადამიანებიც, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა, ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ქალბატონმა, ხათუნა სვანიძემ, მთელი სხდომა ჩვენს გვერდით გაატარა, თანაც განსაკუთრებული ყურადღებით გვისმენდა. მიყვარს ასეთი გულისყურიანი მსმენელი.

მოკლედ, დიდი მირზას სახელობის ბიბლიოთეკიდან კიდევ ერთხელ წამოვედი შთაბეჭდილებებით დატვირთული. ვფიქრობ, ახლა, იმაზე, რაც იქ შევქმენით, შევქმენით კი ერთი ლამაზი, მკვეთრად მნიშვნელოვანი დღე.....

მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

სტუმრობა სკოლაში მაისის ბოლო დღეს

გაზაფხულის, მაისის ბოლო დღე, აკადემიის რამდენიმე წევრმა, ოცდამეთექვსმეტე სკოლაში გავატარეთ (თბილისში).

ცხოვრების მოზრდილი ნაწილი ქუჩაში, აქცია-მიტინგებზე მაქვს გატარებული. ქვეყანაში ერთი ამბავია. ვცდილობ ყველაფერს დავესწრო, დავაკვირდე, შევისწავლო, ვცდილობ მივაგნო იმას, თუ სადაა სიმართლე, და ბევრგან დავდივარ, თუმცა დროს მაინც ყოველთვის ვპოულობ ქართული ხელოვნებისათვის, კულტურისათვის საერთოდ, რადგანაც ამაზე დგას, დიდ ხელოვნება-კულტურაზე დგას ჩვენი სახელმწიფო, ხოლო რადგანაც ამ სფეროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბურჯად ჩვენი აკადემია მიმაჩნია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ძალებს, სხვადასხვა სფეროებს, ამიტომაც ხშირად ვარ იქ, სადაც აკადემია და აკადემიური აზროვნებაა.

სკოლას ვეწვიეთ: ჩვენი გაერთიანების ლიდერი – გულნაზ ხარაიშვილი, მამა ამირან ამირანაშვილი, ანზორ ჯაფარიძე, ლამზირა შეყილაძე და მე.

მოგვეგებნენ: მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები (განსაკუთრებით დამამახსოვრდა ჩვენი ციური ხუჭუა და ნუნუ ბარაბაძე), სკოლის დირექტორი მაია კვინიკაძე და მეორე პირი ქეთევან მელიქიშვილი, რომელიც თურმე ქალბატონ მაიამდე დირექტორობდა იქ ბევრ წელიწადს და თვით ლეგენდარულ ჯუმბერ ლეჟავასაც კი იცნობდა.

ახლა რაშია საქმე: ქალბატონი ციურის ცნობილი კლასი გასცდა დაწყებითების ფარგლებს. გაიზარდნენ ბავშვები, დაფრთიანდნენ, აღარც ისეთი პატარა ბარტყები არიან, ადრე რომ იყვნენ, დიახ, აღარ მიეკუთვნებიან დაწყებით კლასებს და მასწავლებელი უნდა გამოიცვალონ. მომავალი წლიდან მათ სხვა პედაგოგები გაუძღვებიან ცხოვრების კიბეზე, იმ დიდ ორომტრიალში, რასაც სიცოცხლე – ცხოვრების შენობა ჰქვია, გრანდიოზული შენობა, ადამიანთა ურთიერთობებით ავსებულ-გადაღლილი. ერთის მხრივ, აღარ იქნება მათი პედაგოგი ძვირფასი ციური მასწავლებელი, რომელმაც ამდენი ცოდნა მისცა ამ ბავშვებს, ამდენი რამ ანახა, ამდენ გამარჯვებას აზიარა, შეახვედრა ისინი დიდ ადამიანებს, ღონისძიებებით მოატარა მათ უამრავი ცნობილი დაწესებულება... და ჰოი როგორი გულდასაწყვეტია, როცა ასეთი პედაგოგი გტოვებს, და როცა ასეთ პედაგოგს ტოვებ! .. მაგრამ, მეორეს მხრივ, თუკი არასდროს დაივიწყებ შენს მასწავლებელს, რომელიც უთანაბრდება (და განა მასწავლებელიც მოძღვარი არ არის?!) მაშინ ამაყად, ღირსეულად გაივლი შენს გზას, მაშინ აუცილებლად ახვალ მწვერვალზე, შენ უცილობლად იცილავ საკუთარ ევერესტს!..



უნდა გენახათ, თუ როგორ შეეგებნენ ბავშვები ქალბატონ გულნაზსა და მამა ამირანს! მას სიტყვით (სიტყვებით) ვერ გადმოვცემ, ეს უნდა გენახათ!

მერე დაიწყო პატარა, სახელდახელო, ძალიან ლამაზი ღონისძიება, პოეზია – მუსიკით სავსე. ვარსკვლავებივით ანათებდნენ ეს საოცარი ბავშვები. ერთი პირობა კი ვიფიქრე: ნუთუ ის ახალი ნაკადიც ასე გაამართლებს? ამ თაობამ ხომ განადიდა თავისი მასწავლებელი, ისევე როგორც მასწავლებელმა განადიდა და აღამაღლა ისინი... და ნეტა როგორი იქნება კიდევ უფრო ახალიო თაობა? ნუთუ „ახალწვეულებითაც“ დაიპყრობს, ქალბატონი ციური, ჩვენი აკადემიის წევრებისა და სხვათა გულებს... ალბათ დაიპყრობს. იგი ხომ ჩემთვის, უკვე, ლეგენდარული სკოლის ლეგენდარული პედაგოგია, რომელმაც გაზარდა ბრწყინვალე შვილი და სხვებსაც ბრწყინვალე შვილები აღუზარდა!

რაც შეეხება ქალბატონ გულნაზს, რომელსაც „დედას“ უწოდებს ბევრი, ძალიან ბევრი, სულ სხვადასხვა თაობის წარმომადგენელნი (თვით მასზე უფროსებიც კი), არ გამკვირვებია, რომ ეს ბავშვებიც საკუთარ დედასავით ჩაეხუტნენ.

ბავშვების წარმოდგენის შემდეგ ღონისძიებას უკვე ქალბატონი გულნაზი გაუძღვა, ყველას სიტყვის თქმის საშუალება მოგვცა და თვითონაც საუცხოოდ ისაუბრა, შემდეგ კი, მისი თხოვნით, მამა ამირანმა და მე, აკადემიური სიგელ-დიპლომები გადავეცით სკოლას, თითოეულ ბავშვს... იმ დღეს უამრავჯერ გავიფიქრე გულში, – ნეტა ამ ბავშვებს ციურის მსგავსი ზეციური პედაგოგები არ მოკლებოდეთ იქამდე, სანამ ბევრ რამეს შეისწავლიან, რომ გაუადვილდეთ ასვლა თავიანთი ცხოვრების მწვერვალზე-მეთქი, ნეტა კარგად ჩაყრილ საფუძველე ასევე კარგი კედლები აშენდეს-მეთქი, რომ ყველანი ერთად მივიდეთ საბოლოო წარმატებამდე და ყველამ ვიხაროთ საბოლოოდ...

ღონისძიების დასრულების შემდეგ პატარა პურობა გაიმართა, – აკადემიის ხუთეულს გაგვიმასპინძლნენ ქალბატონები: მაია, ქეთევანი, ციური და ნუნუ. ჩვენი საერთო ხმაშენწყობით თამადად მამა ამირანი ავირჩიეთ, რომელმაც კიდევ ერთხელ გაგვაცა თავისი სუფრისმიერი ხელოვნებით. მოკლედ, პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ეს ადამიანი პროფესიონალი თამადაა, დაბადებულია ამ საქმისთვის, ყველაზე უკეთაც სწორედ თამადობა გამოსდის. არა, ხომ ყველაფერში დიდებულია, მაგრამ როგორც თამადა... აუჰ!... ნომერ პირველი!... თითქოს პარადოქსია, რომ ქართველ წამყვან პოზიციაზე, მაგრამ რაც ფაქტია, იმას როგორ უარვყოფ!

იმ დღეს საოცარი სადღეგრძელოები თქვა მამა ამირანმა, ხოლო ყველა დროისა დაყ ველა ხალხის საუკეთესო სადღეგრძელო ალბათ ის იყო, ჩემი თხოვნით რომ დალია მეფე-თამადამ. მე, მას, პოეტ თადეოზს, მეუფე თადეოზის მემკვიდრეს, პოეზიის სადღეგრძელოს წარმოთქმა ვთხოვე, და რადგანაც მამა ამირანიც წერს ლექსებს, ხათრი აღარ გამიტეხა. ასე შეიქმნა ის სადღიგრძელო, რომელიც, მე თუ მკითხავთ, ჩვენი თამადის საუკეთესო ლექსია, მისი საუკეთესო ქმნილება. ეს იყო პოეტური სადღიგრძელო, დიდად პოეტური ჩანახატი, რომელმაც ყველაფერი დაიტია და, ჩემი აზრით, მისი მთქმელის ნაწერებს გადააჭარბა, ისევე, როგორც ბევრ სხვათა ნაწერებს. მამა ამირანმა იმავე სუფრაზე ისიც აღნიშნა (პირადად მისი სახელით, ასევე – უფროსი თაობების სახელით, რომ პირადად მე და ჩემს თაობას აღიარებს უმთავრეს გამგრძელებლად და საერთოდ საუკეთესოდ ყველას შორის! მე მხოლოდ ჭიქით კი არაო, მთელი ცხოვრებით ვარ შენთან, შენს თაობასთან, ალავერდს, ჩემო სერგიო! – ესე ბრძანა მოძღვარმა, რომელიც არის სეხნია მამაჩემისა – დიდი ფილოსოფოსის – ამირან ლომიძის. ბევრმა იცის, რომ ჩემს ცხოვრებას ჩემმა დეიდამ (ნანამ), ბაბუამ (კლაუდიუსმა), მამამ (ამირანმა) დად ედამ (კლარამ) დაამრჩნიეს განსაკუთრებული კვალი. მერე გავიცანი გენიალური პოეტები – კახა და ზუხბა – ჩემი მოწაფეებიც და ძმებიც, მერე კი... მერე უკვე ქალბატონი გულნაზი და ზოგი სხვა დიდებული ადამიანი გავიცანი... ძალიან, ძალიან, ძალიან მოკლედ ასეთია ცხოვრების მოზაიკა...

საოცარი შთაბეჭდილებებით აღვსილ-დატვირთულნი მოვდიოდით ოცდამეთექვსმეტე საჯარო სკოლიდან. გულისჯიბიდან თავი მოუჩანდა მატერიისაგან დამზადებულ დიდ იას, – იმ ყვავილს, რომელიც ერთ-ერთმა გოგონამ მიართვა. მე, რატომღაც საოცრად მომეწონა ეს ყვავილი, და ვთხოვე პრეზიდენტს, მაჩუქეთ-მეთქი. ვერაო. ჩანს მასაც ძალიან მოსწონებია. მაჩუქეთ და ჩათვალეთ, რომ ათას ლარზე (გინდაც – ათას დოლარზე) მეტი მოგიციათ-მეთქი.

– ჩემო სერგი, – მეუბნება იგი, – ხომ ასეთი დიდი ფული დაასახელე, მაგრამ დამიჯერე, მაგ თანხასაც კი უფრო გადაგიხდი, ვიდრე ამ პატარა და თბილ საჩუქარს დაგითმობ, ჩვენს აკადემიაზე შეყვარებულმა მოწაფემ რომ მაჩუქაო.

იმდენი ვეხვეწე ქალბატონ გულნაზს, და, მამა ამირანის ჩათვლით, იმდენი ხალხი ჩავრთე ამ პატარა ამბავში, რომ ამბავი გადიდდა, ია კი, – ყვავილთა ღმერთი (თუ ქალღმერთი), ია, – ქრისტეს ყვავილი, ბოლოს მაინც მე დამრჩა. ია და იასამანი – ეს ხომ მთელი სამყაროა, და პოეტს, მაისის ბოლო დღეს, მთელი სამყაროს მფლობელი მეგონა თავი!... ასე სრულდებოდა დიდი მაისი... ერთი რამ კიდევ მსურს ვთქვა: ცხოვრებაში თითქმის ყველაფერი ვნახე უკვე, და ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბნელი, ნანახ-განცდილში, ომები იყო, ხოლო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნათელი კი – ყვავილები, ყვავილთა მწვერვალი იაა სწორედ, – გაზაფხულის მახარობელი ეს მოლურჯო მერცხალ-ყვავილი...

ანზორ ჯაფარიძის მიერ შექმნილი დღე კახეთში

ანზორ ჯაფარიძემ ძალიან ადვილად მოახერხა, რომ აკადემიის ხუთი ლიდერიდან (გულნაზ ხარაიშვილი, მამა ამირანი, მე, კახა ბაციკაძე, ლუარა სორდია) სამი დაეყოლებინა და შედგა კახეთის დიდი ექსპედიცია. ძირითადი მარშრუტი: თბილისი – ახატელი. დიახ, მე, ქალბატონი გულნაზი და მამა ამირანი გავუყევით, ანზორს, ამ დაუვიწყარ მოგზაურობაში, რომელიც თორმეტ საათზე ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა, და თუმც ეს არაა ტიტანური სიდიდის დრო, მან მაინც მთელი სამყარო დაიტია. ჩვენთან ერთად იყვნენ, – მწერალთა კავშირის ხუთი თავმჯდომარიდან ერთ-ერთი, ქალბატონი მაყვალა, ასევე – გელა ლარიაშვილი, ლამზირა შეყილაძე, ირმა კეკელიძე, უშანგი მოსიაშვილი, რომელიც კასპსა და მის რაიონში ისეთივე რჩეული პერსონაა, ისეთივე საყრდენი აკადემიისა, როგორიც არის ანზორ ჯაფარიძე ახატელსა და მის შემოგარენში, ასევე გვახლდა დათო, – შვილიშვილი უშანგი მოსიშვილისა, გვახლდა რეჟისორი ნიკო ბაღაშვილიც, – მოგვარე დიდი სპარტაკ ბაღაშვილისა და ცნობილი მუსიკოსი მამა-შვილი ბაღაშვილისა. რა თქმა უნდა მძღოლიც ჩვენთან ერთად იყო, რომლის ყვითელი მარშუტკითაც შესრულდა ეს ექსპედიცია.

დილაადრიან შევიკრიბეთ რესტორან „ანცის“ მიდამოებში და გავეშურეთ კახეთისაკენ. გავცდით თბილისს. სწრაფად შევიჭერით გომბორის მთების ლაბირინთში, ხოლო შემდეგ მივაღწიეთ უღელტეხილის უმაღლეს წერტილს, ათასშვიდას მეტრ სიმაღლემდე რომ აზიდულა, თუმცა მაინც თავზე დაგვყურებდა რამდენიმე მთა. იქ შევისვენეთ, მე დრო ვიხელთე და ერთ-ერთი მთისაკენ გავიქეცი. მივასკდი აღმართებს, დროის უქონლობის გამო. ეს შეცდომა იყო, – სიჩქარემ, არადასვენებებითმა, არადინჯმა სვლამ უფრო დამღალა, მაგრამ მაინც სწრაფად მოვექეცი თავზე მწვერვალს, დავტკბი „სუპერხედებით“. ასე ჩაეყარა საფუძველი, ჩვენს აკადემიაში, ალპინიზმსაც („ზღვარში“ კი ალპინიზმი, ისევე, როგორც უამრავი სხვა რამ, დიდი ხნის წინ დავაფუძნე). შემდეგში ქალბატონი გულნაზი და გელა ლარიაშვილი ნახევრადხუმრობით ამბობდნენ, რომ ამ ქედზე რამდენიმე მთას სერგის სახელი უნდა უწოდოსო. საერთოდ, ალპინიზმი პოეზიასავითაა – ისიც მწვერვალებს გვაზიარებს. ზოგ ისეთ მთაზედაც ავსულვარ, ორიათას მეტრს რომ აღემატება მისი აბსოლიტური სიმაღლე...

კახეთმა კიდევ ერთხელ განმაცვიფრა და გამაოგნა. ერთ დღეში ხუთი ტაძარი ვნახეთ, მოვილოცეთ. მამა ამირანმა, ჩვენთან ერთად, ყველა მათგანში შეასრულა საგალობლები და აღავლინა

ლოცვები. ექსპედიციას ანზორ ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა, მისი სქემა კი ჩვენ არ ვიცოდით. ანზორმა თავდაპირველად, შუამთის ძველ და ახალ მონასტერში მიგვიყვანა. ერთი მამათა მონასტერია, დედათა მონასტერია მეორე. ორივეგან ძალიან თბილი შეხვედრა მოგვიწყვეს, მითუმეტეს – ახალ მონასტერში, რომელსაც, თუ არ ვცდები, დედა იოანა ხელმძღვანელობს, ხოლო იქ დაგვხვდა დედა თამარს, ჩვეულებისამებრ, შავები ემოსა, ხოლო თავსაბურზე ეხატა პატარა, წითელი, თითქოს მანათობელი ჯვარი. მან უამრავი რამ მოგვიყვა მონასტრის შესახებ და გვაჩუქა სხვადასხვა წიგნები... ხალისიანი, თბილი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა...

საერთოდ, ქართული ეკლესია-ტაძრები მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებანი მგონია. ესენია დიდი ქართული პოეზიის თავისებური გამოძახილი ქვაში, ხუროთმოძღვრებაში. თითქოს ჰგავს, ძალიანაც ჰგავს, ერთმანეთს, ჩვენი ტაძრების უმეტესობა, სინამდვილეში კი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და საოცრად მრავალფეროვან პალიტრას ქმნიან. ჩვენი ტაძრები უნდა განიხილო ლანდშაფტთან ერთობლიობაში აქ, ტაძარი, გაგრძელდა, დაგვირგვინებაა ბუნებისა. ბუნება კი უაღრესად მრავალმხრივი გვაქვს, უძველესი, არქაულ-გასაოცარი, და უძველესებია ჩვენი ტაძრებიც, ხოლო მათი არქიტექტურაც განსხვავებულია. მაგალითისათვის დააკვირდით ძალიან მაღალ გუმბათს, ვიწრო და მაღალ გუმბათს ახალი შუამთისა. ამ მხრივ იგი შეიძლება ალავერდს კიდევ შევადაროთ, მაგრამ არა – სვეტიცხოველს... მოკლედ, ფუძე ყველგან ერთ – ქართულია, თუმცა სრულყოფაა სხვადასხვაგვარი. მე ახლა მარტივად ვმსჯელობ, გასაგებად. უფრო რთული, ღრმა მსჯელობა ეგებ უფრო მართებული ყოფილიყო, თუმცა გავაგრძელებ თხრობას.

დედა თამარმა, ათასფერ ვარდებთან ახლოს, მზის გულზე, წმინდანთა სამარადისო განსასვენებელიც გვიჩვენა, და ამ ზეციურ საფლავთა ხილვის შემდეგ, მალევე დავტოვეთ შუმთა. გზა გავაგრძელეთ სოფელ ახატელისკენ.

და აი ახატელიც.

აქ კიდევ სამი ეკლესია მოვილოცეთ, აქაც ალიცლიცდა სანთლები ქვის ბებერ კედლებში. ესენი მიტოვებული ეკლესიებია. მათ უშუალოდ ანზორ ჯაფარიძე მეურვეობს, რათა გადაარჩინოს ისინი განადგურებისაგან. შემოგვეგებნენ ახატელები. ისინი ანზორს ისე უმზერდნენ, როგორც მხსნელს, მშველელს. საქმე იმაშია, რომ ეს ადგილები სახიფათო ზონებია. აქაც, ისევე, როგორც ბევრგან, მოსდებია უცხო ჯიშ-ჯილაგი, უცხო სარწმუნოებით, მიდამოს. პირდაპირ ჩვენს თვალწინ იკარგება ქვეყანა. ქართველს უჭირს მატერიალურად და ტოვებს სამშობლოს, გარბის, მის მიწაზე კი სხვა სახლდება, და ამაზე, იმ სხვას, არავინ სთხოვს პასუხს. ქართველს არ უმაგრებს ზურგს ხელისუფლება. პირიქით, – ათეულობით წლებია, საქართველოს ხელისუფლებანი, უცხოელთა ზეგავლენით, უცხოელებს უფრო იცავენ, მათ უფრო ეხმარებიან. და აი, სულ ახალ-ახალი სახლები უცხოელებისა, ჩვენს მიწაზე, ხოლო მოწმენი იმისა, რომ აბორიგენნი, ადგილობრივნი ჩვენ ვიყავით, – ჩვენი ტაძარნი, ჩუმად ნადგურდება ან მიდის მათი გადასხვაფერება. აი, პირდაპირ თვალსა და ხელს შუა გვეკარგება მამული. პირდაპირ ჩანს, როგორ გაჩნდა ავტონომიები ჩვენში, და თუ ასე გავაგრძელეთ, კიდევ როგორ გაჩნდება. ამას აღარც სჭირდება დიდი კვლევა-ძიება: შეხედე და დაინახავ... მოკლედ, მთელი მსოფლიო იბრძვის, თითქოს, ამ პატარა, ლამაზი, ქრისტიანული ქვეყნის წინააღმდეგ... მე ყველა სახელმწიფოს, ხალხს, სარწმუნოებას პატივს ვცემ, ვაფასებ, მაგრამ მიმძიმს, როცა ვხედავ, თუ როგორ მჩაგრავენ, მევე, მე, ქართველს, ჩემს საქართველოში! დიახ, ადამიანები მსოფლიოს და სამყაროს მოქალაქეებიც ვართ, თუმცა განა იგივე მსოფლიო-სამყარო, ჩვენთვის, ჩვენივე მამულიდან, ჩვენივე გულიდან არ იწ-

ყება?!.. და ებრძვის ანზორ ჯაფარიძე, აკადემიის სახელით, მის მიწაზე სხვათა უთავბოლო მოწყადობას, ებრძვის ჟამის უკუღმართობას, ხოლო საქრისტიანო მიწებზე უკვე ისმის მინარეთებიდან, მოლების ყივილი. მაინც იბრძვის ბატონი ანზორი, მაინც იბრძვის მისი მსგავსი რამდენიმე ადამიანი, და ჯერ-ჯერობით, იმარჯვებენ კიდეც... ერთ-ერთ ეკლესიაში მივედით. შემოგვეგება მოსახლეობა, ხოლო პატარა მარიამმა ლექსიც გვითხრა. ვნახეთ საფლავი წმინდანისა, რომელიც მერე შუამთაში გადაუსვენებიათ. ეს სასულიერო პირი თურმე, იმ სასწავლებელში (სემინარია?) სწავლობდა, სადაც – იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი, იგივე სტალინი ერთადერთი ქართველი გენერალისიმუსი და საბჭოეთის გენერალური მდივანი, წითელი მეფე (წითელი იმპერატორი). იქვე, იმ თეთრ, მიტოვებულ, დაობლებულ ტაძართან, სხვა საფლავებიც იყო. ვის აღარ ვეხვეწეო, – გვეუბნებოდა ანზორი, ვის აღარ ვეხვეწე, რომ აქ, ამ ტაძარში, მღვდელი დაენიშნათო. იღუპება სოფელი, გადაგვარების პირასაა. კარგი მღვდელი რწმენას მოამაგრებდა ხალხში და თვით ხალხსაც მოამაგრებდაო. გვიტევს მუსულმანური საფრთხე და უცხო ტომიო. მართლაც ასეა. უცხო ხალხები გვიტევენ ყოველი მხრიდან. მარტო მუსულმანები კი არა, თვით ჩვენი რჯულისანიც – ქრისტიანებიც, მართლმადიდებელნიც კი აღარ გვინდობენ. ცუდადაა საქმე. ნეტა ამ კავკასიელებს მაინც რაღა დაგვემართა, სულ მტრებით გარშემორტყმულნი, ერთმანეთსაც რომ დავრერირვართ? არ ვიცი. ახატელს უტევენ მუსულმანი აზერები სოფელ ყარაჯელის მხრიდან (ძირითადად). მაგ სოფელს ადრე სხვა სახელი ერქვა და სავსე იყო ქართველებით, ახლა კი იქ ქართული ენა არ ისმის თითქმის, ხოლო აზერთა სახლები აქეთ და აქეთ მოიწევს... არ იქნება მრევლიო, ვერ შეინახავს მოძღვარსო, ვერ გამოვუშვებთ მღვდელსო... – აბა რა დროს ასეთებია! საპატრიარქო, მთელი სახელმწიფო, თვითონ უნდა უვლიდნენსასულიერო პირებს (და არა მარტო მათ) ასეთ ადგილებზე. მრევლიც გაჩნდება და ყველაფერიც, თუ ზემდგომთაგან სწორი, მიზანმიმართული, ენერგიული მხარდაჭერა იქნება. საერთოდ, ქართველი კაცის უბედურება არასახელმწიფოებრივად აზროვნებაა. ეს, ყველაზე მეტად, ჩვენს პოლიტიკოსებს ეტყობათ. მთელი ჩვენი ვაიელიტაც თავისი ვაიტელევიზიებითურთ. ქართული ბომონდი, რეალურად, არ არსებობს. ესაა რაღაც გაურკვეველი მასა გაურკვეველ ადამიანთა (ვაიელიტართა).

სამი მიტოვებული ეკლესია ვნახეთ ახატელში. პირველ ორში კედლები ტიროდნენ თითქოს. მერე გათბნენ კედლები, – უამრავმა სანთელმა, თაფლის სანთელმა გაათბო ისინი. და მე გავიგონე მართლა გავიგონე გულისფეთქვა ამ ეკლესიათა. ამ ორ ნაგებობათაგან ერთი გუმბათიანი იყო, ხოლო მეორე – უგუმბათო. რაც შეეხება მესამეს...

ო, ეს ცალკე თემაა!..

შემოღობილია და ხეებითაა გარშემორტყმული მაცხოვრის პატარა და უძველესი ეკლესია (მისი ნამდვილი ასაკი არავინ იცის). ესაა თითქმის ნანგრევები, მაგრამ შენობას, სრული დანგრევისაგან, მასში შეზრდილი ხეები (თუ – ხე) იცავს. პატარა ტყედაა ქცეული ეკლესია. სახურავზე უამრავი ტოტი ამოსულა, ხეები შეზრდია კედლებს, ხეებს უჭირავს კედლებიც, სახურავიც, და არ ინგრევა ქრისტეს სხეული, ქრისტეს ეკლესია, ქრისტეს ტაძარი.

თურმე რამდენჯერმე იყო ამ შენობის წაბილწვა-დანგრევის მცდელობა, მაგრამ ანზორ ჯაფარიძემ, თანასოფლელებთან ერთად, დაიცვა იგი. მერე იქვე უზარმაზარი ჯვარიც აღუმართავს, რომელიც არავინ უკურთხა, მამა ამირანის გარდა. ახლა ნაკურთხია ამაყი ჯვარი, მოლოცვილია ეს ტაძრები. იქ ერთი საოცარი სიზმარი მოგვიყვა ჩვენმა ანზორმა, მისი სიზმარი უფლის გამოცხადების შესახებ, და ისიც გვითხრა, რომ ამ ტერიტორიაზე, სადღაც, ნავთობიც არის, თანაც არაერთ ადგილზეა საუბარი.

იმ დღეს, ახატელში, ორი სახლი ვნახეთ. ერთგან საოცრად გემრიელი, ცივი, ფერად-ფერადი ლიმონათები დავლიეთ (მსხლის ლიმონათი მთლად „სუპერი“ იყო, თბილისში ისეთი გემო ვერა აქვს, როგორც იქ), მეორეგან კი ვიქეიფეთ. იქ, მეორეგან, უსასრულოდ გაშლილიყო ვაზის ზღვა (ზღვა-ვაზი) ანზორ ჯაფარიძისა, და ჩვენ კი პირდაპირ ზვრის პირას ვქეიფობდით.

თავიდან სივრცეს გავხედე შემაღლებულიდან: ველები, ვაზი და მთები, მთა-მთაზე, უსასრულობა, უსაზღვროება, სამყარო-პოეზია!.. ეს კავკასიონია, ნაწილია, დიახ, ევროპის თაღისა – გენიალური კავკასიონის. მწვანე-ლურჯ მთებს თოვლი შერევია, თეთრი, მზეზე აცეცხლებული, თოვლი თრითინებივით, ციყვებივით შესევია მწვერვალებს. თოვლის ხილვაზე, სითეთრეზე, გამახსენდა თეთრ ქალზე დაწერილი ჩემი ლექსიდან („ხატება თოვლიან მზის“) ერთი კუპლეტი, – „ის ახლა ცხოვრობს ზეციურ ფერში; თმა – ცის ტალღები, მზერა – ფოთოლი, მე კი თან დამყვა პოეტის გეში; ის მე მაგონებს მზეს, თან – მოთოვლილს“... საოცარ განწყობაზე დავდექი, როცა ვუმზერდი მთებისა და ვაზების უსასრულო სიმფონიას...

ახლა იმასაც დავწერ, რისი დაწერაც არცთუ მიზანშეწონილია, მაგრამ სიმართლე არ დაიმალების!

თუმცა თბილისიდან წავიღეთ საჭმელ-სასმელი, და იქაც ყველაფერი იყო (საოცარ ღვინოების ჩათვლით!), მაინც დაგვჭირდა რაღაცეების დამატება და საყიდლებზე ყარაჯალაშიც შევიარეთ. ჩვენი იქ გამოჩენა დაპყრობილ იერუსალიმში ჯვაროსნების გამოჩენას ჰგავდა!.. როცა „ზღვარელებმა, თბილისში, საქართველოს ჩემპიონატი მოვაწყვეთ, პოეზიაში, და გამარჯვებულნიც გამოვავლინეთ (კაცთაგან – ნიკა კობერიძე, ზვიად ნავროზაშვილიც, ქალთაგან – დიანა ლომიძე, თეო კიკვაძეც), მგონი მაშინაც არ ყოფილა ასეთი აჟიოტაჟი... ყველა ჩვენ გვაკვირდებოდა, გაფაციცებით, იმ სოფელში. შეკამათებაც კი მოგვივიდა იქაურებთან. არადა, არაფრით შეიძლებოდა, რომ კავკასიელი ერები, – ქართველნი, აზერბაიჯანელნი, სომეხნი და სხვები და სხვები ისიც სულ მტრებით მოცულნი, ერთობის მაგივრად, ასე იყვნენ წაკიდებულნი ერთმანეთზე!.. ჩვენს დელეგაციას, წინ, ასე ვთქვათ, მთავარნი, „პირველები“ გაუძღვნენ: აკადემიიდან – ქალბატონი გულნაზი და მამა ამირანი, ხოლო მწერალთა კავშირიდან – მაყვალა გონაშვილი (მართლაც დიდებული გვარის დიდებული ადამიანი), ხოლო მათ დელეგაციას გამოუძღვა იქაური გამგებელი და იქაური სასულიერო პირები. ჩვენებურთა დიპლომატიამ გაჭრა. საქმე არ მივიდა კონფლიქტამდე, და მეორე მხარემ, გარკვეულწილად, უკანაც დაიხია. უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ გამოვავლინეთ აგრესია, ამანაც დააცხრო ისინი. შედგა დადებითი საუბარი ორივე მხრიდან, აქ კი ჩვენი „სარდლების“ ინტელექტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. რაღა თქმა უნდა, ანზორ ჯაფარიძეც აქტიური მონაწილე იყო ამ დიალოგისა. რაც შეეხება ქართული ფილოლოგიის ერთ-ერთი მეფის – კორნელი კეკელიძის ნათესავს – ირმა კეკელიძეს, მან თვითონ ისურვა დიალოგში ჩართვა. საერთოდ, მამა ამირანის შემდეგ, ყველაზე მეტად ქალბატონმა იაქტიურეს.

მოკლედ, მძიმედ დაწყებული ამბავი კარგად დასრულდა.

დიდი ქეიფი კი, ზვრის პირას, აი, სწორედ ამის შემდეგ შედგა, ხოლო სუფრას, რაღა თქმა უნდა, მამა ამირანი თამადობდა. თბილისიდან ჩასულებს ახატელებიც შემოგვიერთდნენ, იყო დიდი პურობა, დაილია საოცარი სადღეგრძელოები.

ეს მოხდა შვიდ ივნისს.

ეს იყო ანზორ ჯაფარიძის მშვერვალი-დღე, მისი აპოთეოზი...

თბილისში ღამით ვბრუნდებოდით, იმდენი შთაბეჭდილებით დატვირთულნი, რომ ამას სტატია კი არა, წიგნიც ვერ გასწვდება ბოლომდე.

ღამითაც საოცარია კახეთი.

ღამითაც საოცარია გომბორის მთათა ლამაზი და იდუმალი ლაბირინთი, ცივ-გომბორის ქედი.

ღამითაც საოცარია, და ღამითაც ნათელია თბილისი, ფერადად ნათელი.

მოვდიოდით და მოგვყვებოდა ახალშუამთის დედათა მონასტრის სასწაულთმოქმედი ხატის – ღვთისმშობლის ხატის მზერა. ეს ის ხატია, „თითქოს“ ცოცხალივით რომ აყოლებს თვალს ადამიანს. ზეცათა დედოფლებში უპირველესია მარიამი, ზეცათა უპირველესი და უდიადესი მეფის – უფალო იესოს დედა, მარადქალწული მარიამი, – დედა ღმერთისა და მფარველი საქართველოისა. თვით მამამ, ძემ და სულიწმინდამ განადიდეს მარიამი, ხოლო ამ სამივეს ნებით, ძე ღმერთი მისგან განკაცთა, ასე შეერთდა ღმერთი და ადამიანი ერთმანეთში, ასე წამოიშვა სახელი ღმერთკაცი, ანუ – ასე მაცხოვარს ჩვენსას, უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს.

ლამზირა შეყილაძე, ანზორ ჯაფარიძე, უშანგი მოსიაშვილი, გელა ლარიაშვილი, მამა ამირანი, მაყვალა გონაშვილი, ირმა კეკელიძე და გულნაზ ხარაიშვილი

„თითქოს“ კი არა, მართლაც ცოცხალია ის ხატი, ის ხატება ღვთისმშობლისა, შუამთაში.

და ჩვენი შვიდივნისული მოგზაურობაც მისმა ნათელმა აღავსო.

დღე დასრულდა, თუმცა ღამეც მზიანი იყო, „მზიანი ღამე“ – დაუვიწყარი სიტყვები რუსთაველისა!..

ანზორ ჯაფარიძე

ალსარება

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №№25-27-სა
და ანთოლოგიის მე-6 ტომში

***

ვალდებულია,
პოეტს ყველა მოეპყროს ნაზად,
ის სამშობლოსას წარმოადგენს
რამეთუ ლაზათს.

მუხრან მაჭავარიანი

“მწერალი ის არის, ვინც იცის რას წერს, რატომ წერს, ვისთვის წერს და ამას უღმერთოდ არ აკეთებს.”

გოდერძი ჩოხელი

ჩემთვის ვფიქრობ: რამდენად სწორი არის შენი შეხედულებები, შენი ზოგჯერ ციდან ოცნებების დონეზე მოწყვეტილი აზრები, ფანტაზიები მოახვიო თავს მკითხველს, ვინ როგორ ვხედავთ ცხოვრებას ვინ რითი ვკმაყოფილდებით, ზოგს ცხოვრების ფართო მიმოხილვა გვიყვარს, ზოგს საკუთარ ნაჭუჭში გამომწყვდევა ურჩევნია, ზოგი ზღვასავით ვუღელავთ, ზოგნი კავკასიის მთებიდან მოვარდნილ მქუხარე მდინარეს ვემსგავსებით, ზოგი რუსეთის ვაკეზე ზლაზვნით მდორედ მომდინარე დახავსებულ მდინარეს ვგავართ, ძალიან ძნელია ვის რა უყვარს, ბეჰემოტს, ნიანგს, სპილოს, ბაყაყს მღვრიე ამყაყებული წყალი უფრო იზიდავს, კალმახს, ორაგულს, ჭანარს, მურწას, ციმორს, ირემს, ჟირაფს, ვეფხვს, ლომს, სუფთა ანკარა წყლები ურჩევნია, მწერლები ხმარობენ ტერმინს წერას ატანილი კაცი ვარო, მართლაც ხშირად მიფიქრია, რისთვის ვწერთ თუ რაიმე პრაქტიკული შედეგი არ გაგვაჩნია, თუ რაიმეს არ გვაძლევს და მხოლოდ სიტყვამზეობისათვის ვქმნით, ვინ მეტს გაჭიმავს, ვინ მეტს იფანტაზიორებს, მე მწერალში და მონადირეებში ბევრ საერთოს ვპოულობ, ერთიც ცდილობს რაც შეიძლება ბევრი და ფანტაზიური ილაპარაკოს და მეორეც; ჩემს სოფელში სულ ორად-ორი მონადირე დადიოდა, გლურჯიძე ნიკა და სიკო ლომაშვილი, ორივე გაჭირვებული ოჯახიდან იყო. მაგრამ ალბათ სოფელში ყველაზე ბედნიერები იყვნენ. ჩემი სოფელი და ხშირად მეც ღამეებს ვათენებდი გლურჯიძეების კართან, ცოლი ფანდურს უკრავდა, ქმარი დოლს და ისე შემოგვათენდებოდა ვერ ვგებულობდით, მთელ სოფელს გვიყვარდა და კეთილი შურით შევყურებდით. გავიდოდნენ ნიკა და სიკა ორ-სამ საათს, წაინადირებდნენ და ოჯახის საკმარისი ნანადირევი მოჰქონდათ, პური, სიმინდი საკმარი მოჰყავდათ და მეტი ამ ცხოვრებაზე არაფერი პრეტენზია არ ჰქონდათ, იყვნენ ბედნიერნი, ნერვებდამშვიდებულნი, უპრობლემოები – ნეტავი მათ! არ შეგშურდება? ნიკა და სიკა ნადირობის ამბების მოყოლას რომ დაიწყებდნენ, ძალაუნებურად ყურს ვერ მოსწყვეტდით; ერთხელ სიკა შეახსენებს ნიკას – გახსოვს ბახუაანთ ტყეში რომ ვნადირობდითო, შენ აღმოსავლეთიდან დაუყვებოდი ატეხილ რცხილასა და მუხიან ჭალას, მე დასავლეთიდანო, ძაღლი არ გვყავდა და გაფაციცებით ვუსმენდით სადმე ფაჩუნი არ გამოგვეპაროსო; უცებ ჩემი მხრიდან გავარდა, რაღაც და გეზი შენს მხარეს აიღოვო, მე სტვენით განიშნებ წამოვიდათქო, - ეუბნება სიკა, შენ თოფმომარჯვებული დგახარ და ლოდინისაგან სული გეხუთება, საჩვენებელი თითი “ზაუერის” სასხლეტზე გაქვს გაქვავებული ან ახლა დაუშვებ სასხლეტს ან ახლა. მე გხედავ და ვნერვიულობ – არ ააცდინო მიზანს, ახლა შენი შესტვენა მესმის, ისევ მაქეთ გამოვარდაო, მიდის და მივყვებით, მივყვებით და ვნერვიულობთ, ხელიდან არ გაგვისხლტეს, უნდა ვივარგოთ, დღეს ნანადირევი არაფერი გვაქვს, ბახუაანთ ტყეს გავცდით, საკმაო მანძილი გავიარეთ და, რას ვხედავთ, ერთ დიდ მაყვლიანში შევარდა, - არიქა, ნიკა, მაქეთ არ გაგიძვრეს, - ეძახის სიკა, - ნუ გეშინია, დაკეტილი მაქვს ყველა ბილიკიო, გამომძახე ასე დაძაბულებმა ბამბაანთ ღელეს მივაღწიეთ და ერთ წვრილიან ტყეს დავარტყით ალბაო, გვაწყდება ნერვები, ადრენალინი მაქსიმუმზე ადუღდა, ვერა და ვერ ვიგდებთ ხელში, ბამბაანთ ღელიდან

აღას კაკლისკენ გავარდა, მუხლჩაუხრელი მივყვებით, ტყუპკაკლებთან შეიქაქანა, ჩვენც ცოტა ვიყუჩეთ და ქარი ამოვიღეთო, ახლა მწკრივთელებისკენ გავარდაო, აქ კი ვთქვით ვერსად ველარ გაგვიძვრებაო და ვუყვირე, მიდი, ნიკა, ჩვენს ხელშიაო და, რას ვხედავთ, კარგად ჩასუქებული, მაყვლით ნაკვები შავი შაშვი აფრინდაო, ამ დალოცვილმა შვიდი-რვა კილომეტრი გვაღვრევინა ოფლიო!...

ვფიქრობ, ვფიქრობ, ვფიქრობ ასე ვგრიხოთ სიტყვები თუ რაღაც დავაკონკრეტოთ, რაღაც აზრიც ჩავატანოთ, უბედურები ჰყვანან გამჩენს მწერლები, პოეტები ერთი თანაკურსები მყავდა, ალექსი, პოეტობდა, ერთიც ულამაზესი მზეთუნახავი თანაკურსელი გოგონა თინა, ერთ დღეს შევედი აუდიატორიაში და, რას ვხედავ, თინა სულ კუნწულ-კუნწულ ცრემლებს ღვრის, მივვარდი, რა გატირებს, რა მოხდა-მეთქი. მიწა რომ დაეყაროს ამ გიჟპოეტასო, რა იყო, აღარ მეტყვი? და მაწვდის ლექსს, - აი, ალექსიმ რა დამიწერაო, წავიკითხე: კარგად აღარ მახსოვს, მაგრამ რაც მთავარია, ის დავიხსომე, თურმე ეს ანგელოზი გოგო შეყვარებია, თვითონ არაფერი ხვითო არ არის და თანაც გიჟპოეტაა. ასე სწერდა: - მე დიდ დარბაზებს გიშენებ ლოტკინის მთაზე და შენ რომ აკვანს მიუჯდები, ის ჩემი ნაყოფი იქნებაო, ისე ტიროდა თინა, თითქოს უკვე გაეუპატიურებინოთ, დავამშვიდე, ჯერ ხომ რაფერი მომხდარა-თქო... აი რანი ვართ წერას ატანილი ტიპები, ხოდა, მეც არ ვიცი, რომელია სწორი? – უნდა ვგრიხოთ და ვწნათ სიტყვები, თუ აზრი მივცეთ და გამოვკვეთოთ სათქმელი. ვისაც ჩემი თხრობა და ფაქტების კონსტატაცია უკვირს, მათ ვეუბნები ნუ დამძრახავთ, მე ხომ არც პოეტობაზე ვაცხადებ პრეტენზიას და არც მწერლობაზე.

***

ბოლოს ჩემმა მეგობრებმა და ოჯახმა შემომიტიეს: როდემდე უნდა იყო ამ ცეცხლში და ტანჯვაშიო, მომიძებნეს სამსახური ჩემი ძველი პროფილით, საქწიგნის საორგანიზაციო განყოფილებაში დავიწყე მუშაობა, ძალიან საინტერესო საქმე იყო, ვმუშაობდი, ვიყავი ჩემთვის, ჩემი ჰობი წიგნები უხვად მქონდა, უდიდესი ბიბლიოთეკა შევქმენი , ყოველი დეფიციტური წიგნი მხვდებოდა, 2 ეგზემპლარს ვყიდულობდი (ორი ვაჟიშვილისთვს) – შემდეგ გადავედი ერთ-ერთი გაერთიანების დირექტორის მოადგილედ, ოთხი წელი მომიწია მუშაობა საქწიგნში.

მახსოვს ნავთობბაზა რომ მაცილებდა, მაშინ ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში გამიკეთეს გაცილება, აქვე მოიწვიეს საქწიგნის ხელმძღვანელობა, ვქეიფობთ, დიდი სუფრა გვაქვს, ნავთობბაზის ერთ-ერთი თანამშრომელი (აივენგო) მიდის ზურაბ ჩილაჩავასთან (სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილესთან) და ეუბნება: - რა “მაღარიჩი” გინდათ გადავიხადოთ, ანზორს რომ ხელი ააღებინოთ ამ გადაწყვეტილებაზეო, ჩილაჩავამ კოშკები აუგო, პერსონალური მანქანა ეყოლება, ამდენი და ამდენი ხელფასიო და ასე გააჩუმა მეტი არ არის ჩემი მტერი, მათ ჩემთვის რაიმე მოეცათ, თვითონ ჩილაჩავა კარგი ვაჟკაცი იყო. სხვებს რომ ვხედავდი მსუყედ იყვნენ, მაგრამ ძუნწები და დამწვრები გახლდნენ. საკუთარი სტომაქის მეტს ვერაფერს ხედავდნენ, მე არც პრეტენზია მქონია, ვმუშაობდი ჩემი შემართებით და არაფერს ვზოგავდი, ერთხელ, მახსოვს, საკავშირო წიგნის პალატას ჰქონდა თათბირი მოსკოვში, სანამ იქ ჩავიდოდით (მეც ამირჩიეს დელეგატად), მოსკოვიდან ჩამოვიდა ვიღაც მაღალჩინოსანი, მე ჩამაბარეს, საქართველო შენ უნდა გააცნოო. მანქანა მყავდა, არ დამიტოვებია კუთხე და კუნჭული, რომ არ მეჩვენებინა, ჩემთან სოფელშიც კი მყავდა, მთელი კვირით იყო ჩამოსული, არის გადარეული, აღფრთოვანებული, ვალოდია (ასე ერქვა სტუმარს), მე კიდევ გათამამებული, ჩემს კულტურას, ჩემს ტრადიციებს, სტუმართმასპინძლობას ვაცნობ...

“მერე როცა გაგვიჭირდა
ყოფნა უცხო ხალხის ხელში,
როს საშველად მოწვეულმა
წაგვიჭირა თოკი ყელში.

“მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.”

ი. ჭავჭავაძე

მ. მაჭავარიანი

ბოლოს გავაცილეთ, რა თქმა უნდა ჩემოდნებით ხელდამშვენებული. ხოდა, მოსკოვში ვართ 5-6 კაცი, სასტუმრო “კომსომოლსკაიაში”. იანვარი იყო, ყინვაა, ცისანამ დაგჭირდებაო და ორი დიდი მუყაოს ყუთი გატენა შემწვარით და მოხრაკულით, დედლებით და გოჭებით. ტარხუნაც კი ჩაეწყო. ჩემმა მეგობარმა ღვინოები და არყები წამოიღო, დადგა კონფერენციის გახსნის დღე, ვდგავარ ფოიეში და ჩემს მეგობარს ვეტრაბახები – ახლა ნახავ, ჩემი რუსი ვალოდია გადაირევა

აქ რომ დამინახავს-მეთქი, გავიხედე და გამოჩნდა “აგე” თქო მივმართე ჩემს მეგობარს, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ვალოდიამ ოდნავ აკადემიურად დამიკრა თავი და აკადემიურად გააგრძელა გზა – მაშინ დავიფიცე, ვინც კიდევ თქვენ ადამიანებად ჩაგაგდოთ.... გამახსენდა “свиньи под дубом”... აი, ესეც ჩვენი ვალოდია!

საქწიგნში ყოფნის დროს, ერთი საინტერესო რამ მოხდა, ერთ-ერთ თანამშრომელს “ვაზიდან” ჟიგულის გამოყვანაში მოვეხმარე და “მაღარიჩი” იკისრა – არ მომეშვა, - დიღომში რესტორანი იყო “უშბა” და გინდა თუ არა, პურ-მარილს ვკისრულობო, ვზივართ რესტორანში 6-7 კაცი და რას ვხედავ, გვერდზე მაგიდიდან დგებიან ფეხზე, ანზორ ჯაფარიძეს გაუმარჯოსო, მადღეგრძელებენ მთელი ემოციით. ასეთი და ასეთი კაციაო, ჩვენი ძმაოო – გამოგზავნეს ოფიციანტი ანგარიში გადახდილია და ერთი ყუთი შამპანურიც ჩვენგანო. – აბა, რას ვიზამდი, ბოდიში მოვუხადე ჩვენს სუფრიონს, მივალ, მეც ვადღეგრძელებ-თქო. მადლობას ვეტყვი-მეთქი. ჰოი, ღმერთო ჩემო, ხდება საოცრება, აქ ზის ის კაცი – არნოლდ ჯუღაშვილს მკერდი რომ გადაუღეღა და მასთან ერთად, ის წრიპინა ხმა, მე რომ ტელეფონში მეცნაურა და აზრზე ვერ მოვდიოდი, - აი, მაშინ ვთქვი, - ფრთხილად, ახალგაზრდები არიან, ზედმეტად უჭრით ჭკუა, ყველაფრის მომფიქრებელნი არიან და გამკეთებელნიო... ფრთხილად, ახალგაზრდაა, ფრთხილად, ახალგაზრდაა! თუმცა ძველგაზრდობამაც მაპატიოს და უფრო შემაჯავრა თავი, ზის რბილ სკამზე დახავსებული ჩინოვნიკი – ადგომ-დაჯდომა უჭირს, იმ ხნისა და დაძაბუნებული გაგებისა. სკამიდან გადმოსვლა არ უნდა, ეს ჩინოვნიკები. საკუთარ შვილებსაც არ დაუთმობენ ადგილს, გინდა თუ არა, სკამზე დახავსებული უნდა მოკვდეს, ახალგაზრდებს შეცდომა ისა აქვთ, რომ უფროსის რჩევა და გვერდში დგომა არ უნდათ, ამიტომ მოდიოდა ათაპაპიდან მამათა და შვილთა შორის ბრძოლა პირველკაცობისათვის.

***

“მხოლოდ სულელი ითხოვს იმას, რაც მიუწვდომელია”.

საქწიგნიდან თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში გადამიყვანეს, ისევ მეგობრები მომეხმარნენ – როგორც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მცოდნე. სათანადო განყოფილებაში დამნიშნეს. აქაც ტყუილად ვიბოდიალე, იგივე და უარესი ვნახე, ჭამდე ერთი, უყურებდა ათი და აი აქედან მოვხვდი კონტროლის პალატაში. მაშინ თავმჯდომარე ჩვენი ოჯახის მეგობარი ავთანდილ სილაგაძე იყო, დიდი ერუდირებული, პატიოსანი და ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ. მიმიღეს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილებაში, წამყვან სპეციალისტად, ძალიან სერიოზული განყოფილება იყო, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით გვიხდებოდა დარგების შემოწმება, ერთი ახალგაზრდა კაცი გვყავდა განყოფილებაში ელგუჯა ადეიშვილი, ბრძენი რევიზორი არის ის რომ ბალანსს აიღებდა ხელში, ერთ საათში მეტყოდა: ანზორი აქედან 2 მილიონი გადამალული თანხა ამოვაო – ჩვენ სამსახურში 15%-ს გვაძლევდნენ ამოღებული თანხიდან პრემიის სახით, უზარმაზარ გადამალულ თანხებს ვპოულობდით, არ მახსოვს თვეში 3000 დოლარზე ნაკლები პრემია მქონოდა და 5000 რუბლი ხელფასი მეძლეოდა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ნათელი წერტილი! მეც შემეძლო სუფთად, ადამიანურად მეცხოვრა, მაგრამ ერთ დღეს ვამოწმებთ ქალაქის ავტოსადგურს და რას ვხედავ, მოლარე ქალს აღმოჩნდა რაღაც ბნელი ოპერაციები, საწყალი მიხვდა თუ არა მიჭერენო გონება დაკარგა, წაუვიდა გული, გიჟს ვგავარ, აბა სასწრაფოში ვრეკავ, ექიმებს ვეხვეწები: გადაგვირჩინეთ-მეთქი. იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს დარდით, მეორე დღეს ელგუჯამ შემამჩნია, რაშია საქმეო, მე ვუთხარი – ამას ვერ გავუძლებთქო. ელგუჯა მეუბნება: - ეგ რა არის ანზორ, აი სასამართლოზე 5 შვილს რომ დაგისვამს წინ ატირებულს, ამათ ცოდვაში გაქვს ფეხი ჩადგმულიო, მაშინნახეო (თურმე 5 შვილი ჰყოლია). დავიშოკე და ჩავიდე გულში: ეს ჩემი საქმე არ არის-მეთქი, და ალბათ აქაურობას დავტოვებ.

ბალახი ვიყო სათიბი არა მწადიან ცელობა ცხვრადვე მამყოფა ისევა ოღონდ ამშორდეს მგელობა (ვაჟა).

გავიხედე და, რაღაც ბედი იყო თუ უბედობა, კონტროლის პალატის თავმჯდომარე მეძახის: ანზორ, კოლექტიური წერილი არის შემოსული ნავთობბაზის კოლექტივი თხოულობს შენს დაბრუნებასო. მაშინ ის ავადსახსენებელი დრო იყო, გვარდია იდგა ნავთობბაზაში, მათ ჰქონდათ ჩაგდებული ხელში, მაგრამ საქმის გამკეთებელი არავინ იყო, დამტაცებელი კი მრავალი, კატეგორიულად მომთხოვა: - უნდა დაბრუნდე ნავთობბაზაში და რაღაც უშველოო. ეს ის დრო იყო პურის მანქანებისათვის და სასწრაფოებისათვის ბენზინი რომ არ ჰქონდა ქალაქს და სახელმწიფოს. პუ-

რი ცხვებოდა და ვერ მიჰქონდათ მომხმარებელთან, შევეხვეწე: - ბატონო ავთო, ნუ დამღუპავთ, ძლივს ადამიანურად ცხოვრება დავიწყე, დაუყვედრებელი ხელფასი და პრემია მაქვს-მეთქი. მაგრამ, თავმჯდომარემ მითხრა – მე სხვანაირად შესვლას ვაპირებდი და ასე სჯობია, იქნებ რაიმეს დავეხმაროთო – და აი, გადავდე თავი, ვთქვი, ან მოვკვდები ან რაიმეს ვუშველი ჩემს ოცნებას, მე მიყვარდა, მიუხედავდა ყოველი სიმწარისა, ხალხიც და საქმეც.

დავთანხმდი. დამაბრუნეს როგორც საამქროს უფროსი, მაგრამ დამხვდა ძალიან რთული მდგომარეობა, შეიარაღებული ხალხი, რამდენჯერ გამაგონეს — ამისთანები დაგვიკიდია ფეხებითო, მე მოთმინებით დავიწყე საქმის დალაგება, არავინ იცოდა ფიზიკურად რა ქონება ჰქონდათ და ვერც რევიზორები ბედავდნენ შემოსვლას, რეზერვუარები დაცლილი იყო, მოსავლელი არაფერი იყო, გავასწორე დოკუმენტაცია, აღვადგინე ჩვენი წესები, მეთოდები და დავიწყე ფიქრი, როგორ შემომეტანა ბენზინი, ამ დროს მე გავიცანი ერთი კახელი კაცი ვინც იცნობდა რუსეთში კახეთში გაზრდილ ვინმე კრასნოლობოვს, ვინც გვითვლიდა თუ თქვენ დაბრუნდით ბაზაში, მე მაინც ვფიქრობდი რაიმეთი გადამეხადა მადლობა ქართველი ერისთვისო და აი ახლა მეძლევა საშუალება ეს გავაკეთოო. ციმბირში, ქ. სოკურში 17 ჭაბურღილი ჰქონდა ნაყიდი, მაშინ ისეთი დრო იყო გაგზავნიდნენ მინისტრთა საბჭოდან ხალხს და პანღურით აბრუნებდნენ უკან, თქვენი არც ფული გვინდა და არც ურთიერთობაო და აი დადგა დრო, ვალერიან ადვაძე იყო პარლამენტარი, ძალიან დიდი ადამიანი, განათლებული პატრიოტი კაცი, ჩემი მეგობარი, მისი პარტიელი ვიყავი და მას გავანდე ჩემი ზრახვა, ვთხოვე, იქნებ კრედიტზე მომეხმარო-მეთქი. შემომთავაზა, ედუარდთან შეგიყვან და შენ თვითონ მოუყევი ეს ყველაფერიო. მახსოვს, იმელის შენობაში იჯდა ბატონი ედუარდი. იმ დღეს პირველად შევიდა ახლად გარემონტებულ მე-4 სართულის კაბინეტში. ძალიან ბევრი კითხვა დამაყარა ვაჟა ლორთქიფანიძემ, ჩემი შესვლის მიზეზი და მიზანი უნდოდა გაეგო, მაგრამ მე მოვახსენე პირად საქმეზე შევდივარ-მეთქი. ვზივართ მე და ვალერიანი, მე დაბნეული ვარ, ძალიან სიმპატიური და ლმობიერიც მეჩვენა, ბოლოს, როგორც იქნა, მოვუყევი ყველაფერი, მიყურებს მდუმარედ ამან უნდა გააკეთოს ეს საქმე. ამდენმა ხალხმა ვერაფერი შეძლოო, მაგრამ ვალერიანი ჩაერთო მოულოდნელად, მე მჯერა, ბატონო ედუარდ და სიცოცხლით ვაგებ პასუხსო, მეც შევფიცე. 2 მილიარდ რუბლს ვთხოულობ, 50 ათას ტონა ბენზინზეა ლაპარაკი, არა და ეს ის დროა, თურმე მას განკარგულება ჰქონია გაცემული, არცერთი კაპიკი საზღვარგარეთ არ გასცეთო – იკარგებოდა ფული – და აი აიღო ყურმილი და მესმის, პაატა თენგიზი დამალაპარაკეო, თათბირზეა ბატონო ედუარდო, გამოიყვანეთო და აი თენგიზ სიგუას მიმართავს: - შენთან არის განცხადება, რომელსაც შენი უარყოფითი ვიზა აქვსო, დააკმაყოფილე დადებითად და შენ თვითონ აიყვანე კონტროლზე, ფული დროზე მოხვდეს, სადაც საჭიროაო. გამოვედით და დავიწყეთ დიდი ეპოპეა, ერთი რამ გამომრჩა ვალერიანმა შესვლისას მთხოვა: არაფერი არ დამალო თუ რამ წინააღმდეგობა გელის, ყველაფერი უთხარიო, იმდენად გავთამამდი რომ შევბედე: ბატონო ედუარდ, ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ ფულიც დაიხარჯება-მეთქი. ეს არ არის იმ ჩვენი მეგობრისათვის, ეს გზაში ათასი ბარიერია და სხვანაირად ვერ დავაჩქარებ-მეთქი. ერთი კი შემომხედა და არც კი და არც არა. დავიწყეთ მუშაობა, შევქმენი საინიციატივო ჯგუფი, ჩაერთო ბევრი არასასიამოვნო პიროვნებაც, გაემგზავრა ჩვენი ჯგუფი მოსკოვში, სოკურში, დაჯდა ფულიც. მაგრამ მთელი რიგი პრობლემები გაჩნდა, გვიანდება გამოგზავნა. ვალერიანი მსაყვედურობს: როგორც ვხედავ, ედუარდი ნერვიულობსო. ოპოზიცია შეყურებს – ვის მისცეს ამდენი ფულიო და აი როგორც იქნა მივიღე ფაქსი. პირველმა 173-მა ვაგონმა აზერბაიჯანის საზღვარი გადმოლახაო. სასწრაფოდ დავრეკე ვალერიანთან გადავეცი ფაქსი, გაოცებული გამოვიდა, მითხრა: - ჯერ ისედაც ედუარდის თვალებს ქვა ვერ გაუძლებსო და რომ გენახა, როგორ მიიღო – ეს ჩვენია? – წამოიძახაო, კიდევ ვიმეორებ, ეს ის დროა, “კალონკებზე” რომ აღამ-ათენებს ხალხი, მიცვალებულის გადასასვენებელი ბენზინი არ აქვს ხალხს და, აი, ჩვენ შემოგვაქვს 15 ათასი ტონა ბენზინი. ჩვენი მეგობარი საშა კრასნლობოვი გვითვლის: ხარისხი არ გააფუჭოთ და ფასი რაც შეიძლება დაბალი დაადეთო. მე ვიმძლავრე და ერთი ლიტრი 92 რუბლი შევაფასებინე, მაშინ, როდესაც ქალაქში 400 რუბლი ღირდა და მაფია უფრო ზევით აპირებდა აწევას. დიდი საფრთხის წინაშე ვიდექი, მაგრამ მაინც ვრისკავდი, გვარდიამ მე გამწია განზე, თვითონ წამოაჯდა თავზე და დაიწყო განუკითხაობა...

ჩემმა შვილმა მომიყვანა მეგობრები, ბენზინის შესაძენად და ისიც არ დაინდეს. 50 რუბლი ზედმეტი გადაახდევინეს 1 ლიტრზე, გიჟს ვგავდი. მე მშიერი დავდიოდი და მათ ვხედავდი როგორ იძეძგებოდნენ, სიგარეტს დავანებე თავი, უბრალოს ვერ მოვწევდი, ძუნწობსო, იტყოდნენ და მარლბოროს ფული მე არ მქონდა. ისინი კი ყოველ საღამოს ვხედავდი საბარგულში როგორ ტე-

ნიდნენ ფულს. დღეს აქედან რამოდენიმე კაცი არის მილიონერების სიაში. ვეხვეწებოდი იქნებ ძირის და ხარჯის ფული მაინც მოგვცეთ-მეთქი, შემდეგ შემოტანას რომ გააკეთებ, მერე მოგცემთო. – როგორც იქნა შემოვიტანეთ შემდეგი ეშელონიც, ვეღარ გავრისკეთ და გაჩიანში "ველში" – ტრამალებზე გავაჩერეთ ვაგონები და იქედან დავიწყეთ რეალიზაცია, თითქმის ყველა კუთხე მოწვდა ჩვენს საწვავს, ამოისუნთქა ხალხმა, დიდი საქმე გაკეთდა. მახსოვს, სოხუმის ბრძოლებისთვის 8 ვაგონი ბენზინი ვაჩუქეთ მთავრობას. ავთო მარგიანს ახლაც ახსოვს – მაშინ ცეკას მდივანი იყო. შემდეგში იუმორით მიყვებოდა ავთანდილი, შენს ნაჩუქარ ბენზინს მე ვყარაულობდი დამხარისხებელ სადგურში, ამბავი მომივიდა: - მაფია ანიავებსო. ამ რეალიზაციაში ჩემი საორგანიზაციო ჯგუფი იყო ჩართული, დღე და ღამე ვათიეთ, რომ ვალები დაგვეფარა. ძალიან მძიმე დრო იყო თავდასხმები, შიგნით ღალატი, სულ თავზე დგომა უნდოდა, ერთ-ერთმა ხელმძღვანელთაგანმა აიღო აღრიცხვის წარმოება, პარალელურად მეც ვაწარმოებდი აღრიცხვას, მაინტერესებდა ხომ არავინ ჩაიდებს ღალატს გულში-მეთქი –(წინა გამოცდილებიდან) თითქმის ერთი თვე ვიდექით ქარსა და წვიმაში და აი დადგა ანგარიშსწორების დრო – ჩემს პარტნიორს, რომელიც ამ ყველაფერს აღრიცხავდა მოვმართე ამ საღამოს შევადაროთ ჩვენი დოკუმენტები როგორ ჩაიარა ამ რთულმა საქმემ-მეთქი: საღამოს 7 საათი იყო რომ დავჯექით მე და ის (უდიდესი გამოცდილი და შებერტყილი კაცი იყო, მეტყოდა ხოლმე კომპრომისების დიდოსტატი ვარო, რომ ფიქრობდით აბაროტს არ აგიღებდა მერე გიანგარიშებდა – მე კი შუბლზე მაწერია მწყინს თუ მსიამოვნებს) დილის 7 საათია და დავსვი წერტილი მოვრჩით-მეთქი: წამოხტა ვაი "მერე ქუნემო" ვაი, ჩემი დედა "მერე ქუნემო" მე გაოცებული შევყურებ, რა მოხდა, რა მოგვივიდა, - ჩემს ბუღალტერიაში ჯერ კაციშვილს არ ჩაუხედია და მილიონი ლიტრებზე და მანეთებზეა ლაპარაკი შენ როგორ შეძელიო, მე დავამშვიდე – ჩემს ცხოვრებაში მეტი კი არაფერი მიკეთებია, ბევრი სიბინძურე აღმოვუჩინე, აქაც ხელმოცარული დავრჩი, ერთი ეგ არის, რომ მომწოდებლებთან პირნათელი გამოვედი. არ შემარჩინეს გვარდიელებმა ეს "თვითნებობა" შვებულება მქონდა აღებული ამ პერიოდში, რომ დავამთავრეთ ეს ოპერაცია, დავბრუნდი ჩვეულებრივ სამსახურში, მაგრამ აღარ დამიშვეს, შემცირებაში ხარ მოყოლილიო, გავცხარდი: - ასეთ უსამართლობას ნუ ჩადიხართ, ღმერთი არ გაპატიებთ, აღმადგინეთ-მეთქი. არა და არა! ბოლოს განცხადება დავწერე, მე ხომ ესა და ეს გავაკეთე, სამსახური ფეხზე დავაყენე, რატომ მექცევით ასე უსამართლოდ? ეს ის დრო არის, როდესაც რესპუბლიკაში უდიდესი ცვლილებები ხდება, უკანა პლანზე იწევს გვარდია და წინ წამოდგა მხედრიონი ერთ დღეს მხედრიონელები მირეკავენ, როგორ უსამართლოდ მოგექცნენ შენი განცხადება წავიკითხეთ და აღშფოთებული ვართო. იქნებ მოხვიდე და ვისაუბროთო, მე თავი შევიკავე, მათ მომმართეს, მაშინ ჩვენ მოვალთო – ცოტა ხანში კარზე რეკავენ და ავტომატებით შეიარაღებულ ხალხს შემოყავს ის მოქმედი პირნი, რომლებმაც მე გამათავისუფლეს სამსახურიდან – დასისხლიანებულნი, ნაცემნი, დალურჯებულნი, შეშინებულები. აბა, ბატონო ანზორ, როგორ იყოო, მე ვიცავ, არაფერი მომხდარა-მეთქი. და აი ჩემი განცხადება ამოიღო ერთ-ერთმა და კითხვა დაიწყო, რას იტყვიო, რაღას ვიზამდი, მარტო ერთ შეკითხვას დავუსვამ, მეტი არაფერი მაქვს შესაკითხი-მეთქი, - ამდენ ხანს ვიმუშავე თქვენთან, სამსახური დაგილაგეთ – ამხელა რაოდენობის საწვავი შემოგიტანეთ, რამდენ უსიამოვნებას გადაგარჩინეთ და ჩემთვის თუ რაიმე მოგიციათ-მეთქი. კიდევ უფრო გაფითრდნენ – არაფერიო, - წამოილუღლუღეს. ჰოი, უბედურებავ, რომ დაესივნენ ავტომატის კონდახებით, გადავეფარე მათ თავზე და ვყვირივარ, აპატიეთ, ესენი გაჰყვირიან ჩვენ იქ სოხუმში კუბოს ფიცრების ფულს ვაგროვებდით და თქვენ აქ რა დღეში ყოფილხართო: გადავირიე, ეს რა ხალხი მოდის, რა თაობა, რა სამართლიანობა-მეთქი (მართლაც იყო ბევრი პატრიოტი, ბევრი კი შეპარული იყო) – შემომთავაზეს ამ მოტაცებულ ფულებს წავართმევთ და შენ შენსას მოგცემთო, კატეგორიული უარი ვთქვი. მე არაფერი მეკუთვნის–მეთქი – ამის შემდეგ ჩაერია მთავრობაც, ამ კაცმა ამხელა საქმე რომ გააკეთა, სამსახურიდან გაუშვიათო და ჩემი საქმე მოხვდა მინისტრთა საბჭოში, ფაცაციასთან – მაშინ თავმჯდომარე იყო – თქვენ ასე არ გინდათო და გენერალურ დირექტორად დამნიშნეს. ჯაბა იოსელიანმა რამდენიმე მოადგილე გამომიგზავნა, რომლებიც შეუძლებელს აკეთებდნენ, მაგრამ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ და შეიარაღებულები – ესენი კი არ ტყუოდნენ, ვინც მათ ქმნიდა ის ტყუოდა, ღუპავდნენ ასეთ ძლიერ, ნიჭიერ ახალგაზრდებს, რა უნდა მეთქვა, მათ რომ არ გაეკეთებინათ, სასწაული წინსვლა დავიწყეთ.

ქვეყანა, რომ ინგრეოდა, მე კოსმეტიკას ვაკეთებდი ნავთობბაზაში. 22 ჰექტარი ტერიტორია გვქონდა, მოვაასფალტეთ, დავიწყეთ გამწვანება, გარეთა ხედი მთლად შევცვალე, დიდი რეკლამები გავაკეთეთ – ერთხელ ჩვენმა მინისტრმა თურმე შევარდნაძე გაატარა კახეთისაკენ და სია-

მაყით მითხრა, დაინტერესდა – აქ დირექტორი ვინ არის, ბევრი რომ გაუკეთებიათო. რამდენიმეჯერ მიფიქრია გიგა გელაშვილზე ჯაბას მოადგილეზე ერთხელ ტელევიზიითაც კი მინდოდა გამოსვლა მის შესახებ, როდესაც დაიჭირეს, ეს სხვა სულის კაცია-თქო – რამდენიმეჯერ ვთხოვე, ბატონო გიგა, ვერაფრით გეხმარებით, არაფერს ღებულობ და იქნებ თქვენი სამსახურის მანქანებს ბენზინი მაინც ჩავუსხა-მეთქი, (არადა მაშინ მთელი ქალაქის ზემდგომები გვედგნენ კარზე კანისტრებით). კატეგორიული უარი თქვა, არაფერი არ მინდა, ერთ-ერთ სამაგალითო ორგანიზაციად მყავხარ და ასე დარჩიო. ჩემი ახალგაზრდები გავაფრთხილე ოღონდ გარეთ არაფერი გააფუჭოთ და თუ რაიმე გაგიჭირდეთ შიგნით მივხედავთ-თქო, სასწაულებს აკეთებდნენ – ერთხელ გახარებულები მოვიდნენ ჩემთან – ჩვენი ვაგონები მაშინდელმა უშიშროებამ „მოგვიტეხა“ და - სომხეთისაკენ გაუყენეს. აღელდნენ, — უნდა წავართვათო, ვეხვეწები მათთან ჭიდაობა არ შეიძლება. არ დამიჯერეს შენც გასარგებლებთო არაფერი არ მინდათქო, მიუხტნენ საზღვარზე, დაძაბული ვითარება არის, თურმე გიორგაძეც ჩაერთო, კონფლიქტი არ დაიწყოთ, გადაუხადეთ და გაუშვით ეს ახალგაზრდებიო, მოვარდნენ გახარებულები, ვაჯობეთო.

მეორე დღეს მიძახებენ უშიშროების ერთ-ერთ განყოფილებაში და მეკითხებიან – რა მოხდაო, მე ჯერ აზრზე ვერ მოვედი და რომ დამიკონკრეტეს, დავიწყე ახსნა, ჩვენები მართლები იყვნენ, რა წვალებით და რუდუნებით შემოვიტანეთ ეს ვაგონები რესპუბლიკისთვის და მათ სადგურიდან შეუცვალეს მიმართულება სომხეთისაკენ, დავაფიქრე, მაშინ ფული დააბრუნებინეო, დავთანხმდი, მოვედი, დგანან ყურებჩამოყრილები, აბა ფულს გვთხოვენ-თქო, რას იზამდნენ.

ერთხელ ვზივარ კაბინეტში და გაიღო კარი, შემოყავს 2 ბიჭს ყავარჯენზე დაყრდნობილი თურმე ნახალოვკელი ქურდი ყოფილა” სავარძელში რომ ჩასვეს, მე მომმართავს: - ჰე! ჯაფარიძე. 200 ლიტრი ბენზინი მჭირდება და 500 მანეთი ფული სასწრაფოდო – აქვე ზის რამდენიმე ჩვენი ახალგაზრდა – მე მივმართე იუმორით: - ვინც გვარი გასწავლა სახელი არ გითხრა-მეთქი? – აბა, ღადაობის დრო არ მაქვს. ვხედავ ახალგაზრდებს ფერი ეცვლებათ, ერთ-ერთი ადგა, გავიდა გარეთ და რამდენიმე წუთში ის ორი ახალგაზრდა იღლიებში ხელჩაჭიდული შემოყარა, - აბა, ახლავე აათრიეთ ეს დამპალი, აქედან გააჯვითო და იარაღი ამოიღო – არა, ძმაო, არ გვესროლოო. ჩვენ აქეთ გამომხედი აღარ ვართო და გაბუნძულდნენ, - ძალიან ძნელი დრო იყო, ვუძლებდით, მაგრამ ამათი დროც დადგა! ისევ უნდა შეცვლილიყო სიტუაცია. ერთი პირველი მოადგილე მყავდა, უდიდესი გამოცდილების კაცი, საბჭოთა კავშირის მენავთობეების ალბათ ათეულში შედიოდა, გენიოსი კაცი იყო სისტემიდან გაგდებული. ედუარდთან რომ ვიყავი, ვთხოვე იქნებ ეს კაცი ჩემთან მიმაღებინოთ, გენიოსია მეთქი, მართლაც დიდი სპეციალისტი იყო. მივიღეთ, მიბარებს ჩვენი კონცერნის თავმჯდომარე უბირია და მეუბნება ეს რა ქენიო, მე გამოვაგდე და ასე მითხრეს – ჯაფარიძემ ქერის ორმოში ჩასვაო. მე ვუთხარი – გულწრფელად გეტყვით, მართალი უთქვამთ, გამიმხილა – მე, იცი რატომ გამოვუშვიო, რატომ-თქო, ზურგს უკან რომ დამიდგება მგონია ან ახლა ჩამარტყამს დანას ან ახლაო, შენც ასე არ მოგივიდესო, შევფიცე ცრუ ინფორმაცია გაქვს და ამ კაცს ჩვენ გამოვიყენებთ, დიდ საქმეებს გავაკეთებინებთ-მეთქი, მართლაც შეუძლებელს აკეთებდა ბაზის ტექნიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებში. პერსონალური მანქანა მყავდა და მძღოლს ვავალებდი, ჯერ ის ჩაესვა მანქანაში, ბუღალტერი და მერე ჩემთან მოსულიყვნენ. დღე და ღამ ერთად ვიყავით და აი, რომ გართულდა სიტუაცია და მხედრიონის წასვლის დრო დადგა, ვინ საით გაქცეულიყო არ იცოდნენ. ამათ რომ იგრძნეს ცვლილება ხდებოდა, თავისი კადრები მონახეს ზემდგომებთან ჩააწყვეს საქმე და უთხრეს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს. ჯაფარიძეს დირექტორობა არ უნდა ესა და ეს კაცი დავნიშნოთ დირექტორად და ჯაფარიძე მოადგილედ ან რიგით რაიმეზეც თანახმაა. შემდეგ შემომითვალეს: ამ ნაბიჯს თუ გადავდგამთ, ჩიტიც ვეღარ შემოფრინდება ჩვენთანო,. არადა ამ დროს, უკვე ჩვენი საქმე ძალიან გართულებული იყო, მოლარეს და ბუღალტერს დაათრევდნენ გამომძიებლები პროკურატურაში – მე ვუთხარი: - ოღონდ კოლექტივს ნუ გააუბედურებენ და ყველაფერს გავაკეთებ-მეთქი. გავიხედე, 2 იანვარი იყო, მოვიდა ჩემთან ცნობილი მომღერალი (მე დავურეკე და ვთხოვე ერთი-ერთზე შეხვედრა) ჩავიკეტეთ კაბინეტში და მოვუყევი ჩვენი სიტუაცია – წესიერი კაცი ჩანდა, ვუთხარი ეს ცეცხლივით ახალგაზრდები არიან, მაგრამ მართვა და დახმარება უნდათ-თქო. რომ არ გაუბედურდნენ და რაიმეს არ გადაეყარონ-მეთქი, მან იქედნურად მომმართა: - მე თუ მოვალ, აქ ჩიტი ვერ შემოფრინდება ჩვენი ნებართვის გარეშეო, - ერთი რამე გვიშლის ხელს, - ზემოდან გთხოვეს კრება უნდა მოიწვიო და ხალხს ჩააგონო მე ამირჩიონ, მხარი დამიჭირონ და კრების ამონაწერი უნდა წარვადგინოთ სადაც ჯერ არსო – მე რაღა გზა მქონდა, დავიწყე ჩემი კოლექტივის დამოძღვრა ასეა საჭირო, თორემ მოლარეს და ბუღალტერსაც დაიჭერენ და ჩვენც გაგვაუბედურებენთქო, როგორც იქნა დავიყოლიე ხალხი მეც

თქვენთან ვრჩებითქო და აი დაიწყო კრება, აქტივი შევკრიბე – ჩემს კაბინეტში – გამოვედი სიტ-ყვით – რაღა არ ვთქვი, ეს საქმე კოლექტივს სჭირდება ჩვენი ბედი წყდებათქო, თითქოს ყველა-ფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ უცებ იფეთქა ერთმა, შეკითხვა შეიძლებაო – კი-თქო, - ერთი რამ მინდა ამ კაცს ვკითხო (მისი ისტორია მე უკვე გავაცანი კრებას, ვაქე და ვადიდე – ასეთი და ასეთი კაცია ქალაქელითქო) რომ იკვეხის მე ქალაქში გაზრდილი "კარენოი" თბილისელი ვარო, ეს არის კაცობა) ცოცხალ კაცს ეუბნება, ვიღაც საიდანღაც მოსული ჩვენი დარგის უცოდინარი დილეტან-ტი: შენ ადექი და მე უნდა დავჯდე შენს სკამზე, ამას მნიშვნელი არა აქვს მეკუთვნის თუ არაო, რაკი ზევიდან ბრძანეს, ასე უნდა მოხდესო – მე გავგიჟდი, ვუყვირე, მე თუ არ გებრალებით კო-ლექტივი მაინც შეიბრალეთქო, დაგვღუპავენ მეთქი და როგორღაც ჩავაცხრე სიტუაცია, დავწე-რეთ კრების ოქმის ამონაწერი და ვაფრინეთ იქ, სადაც საჭირო იყო, მეორე დღეს გამომიცხადა ობიექტი დამათვალიერებინეო, დავდივართ საამქროდან საამქროში და რას ვხედავ, ჩემს მანქანა-ში (პერსონალურში) ჩამსხდარან ამ კაცის მომწვევები და მიყურებენ და ირონიით მაგულისებენ – შენ ვეღარ ჩაჯდები ამ მანქანაშიო.

ახალ კანდიდატს გულწრფელად ვუხსნი ყველაფერს, გაჩერდება პერიოდულად და წამოიძა-ხებს, აქ აუზები მოუხდებო, აქ ფრენბურთის მოედანს გავაკეთებო, აქ დეკორატიულ კუთხეს მო-ვაწყობო და რა ვიცი, მიხარია, აყვავდა ჩვენი სამსახური და თანაც ჩიტიც ვერ შემოფრინდება-მეთქი. მაგრამ ვაი უბედურებავ; გათენდა მე-3-ე დღე და, რას ვხედავ, შემოგვესია მილიციელები, ძაღლები მიჰყავთ რეზერვუარებთან და აბამენ ურდულებზე,. გვაფრთხილებენ: - ახლოს არ გაე-კაროთო, დალუქეს მთელი სამსახური, არის აურზაური, ეს ახალი კანდიდატი არ ჩანს, სასწრა-ფოდ მოვაძებნინე მის მომწვევებს , ზოგი უკვე გაქცეული იყო, ზოგი ღობეზე გადახტა მანქანები აქვე მიატოვეს, მობრძანდა კანდიდატი და ვეკითხები, ეს რა ხდება-მეთქი – არ ვიციო. როგორ, კაცო, ამას მპირდებოდი – ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო? გავიხედე და ისიც აორთქლდა, რაიმე შარში არ ჩავიგდო თავიო შემდეგ გავიგე ეს კანდიდატურა კი წამოაყენეს, მაგრამ ახლა შინაგან საქმეთა მაშინდელმა სამინისტრომ წამოყო თავი, ჩვენ რა პურის ჭამა არ გვინდა? მარჩენალი ორ-განიზაცია არ გვინდაო? განაწილებული ჰქონდათ ობიექტები (ჩვენი მძღოლებივით) ვის რომელი უნდა მოეწველათ, რომელი უნდა ეძარცვათ ეს ჩვენი კანდიდატი ქალაქის ხელმძღვანელობას მარჩენლად მოყავდათ, და აი მათ შორის დაიწყო ხელჩართული ომი, არა მე უნდა დავეპატრონო და არა მეო, მეორემ აჯობა პირველს და აი, ომია, არ ინდობენ ერთმანეთს, არ გვინდობენ ჩვენ, იმ დალოცვილებმა ის კი არ იციან, ცოდნა, გამოცდილება რომ არის საჭირო, ციდან არ ცვივა ფული, ეს ძალიან სპეციფიკური დარგია, სითხესთან, განსაკუთრებით საწვავთან მუშაობა ძალიან რთუ-ლია და ზედმეტად საპასუხისმგებლოც. ესენი კი მომღერლები, ფეიქრები, კულინარები, ყველა ჯურის ხალხი მოილტვის მსუყე ადგილი ვიპოვნეთო! მახსოვს ერთი რაიკომის ინსტრუქტორი გა-დამეკიდა, მე-2-ე უმაღლესს ამთავრებ და დისპეტჩერად რა გინდაო (ზევით მოვყევი როგორ მოვ-ხვდი დისპეტჩერად), ეტყობა სხვა რაღაც გამაგრებსო, მოვიდოდა ვიღაც, კომისიას შემოიყვანდა, ეს ასე რად არის და ის ისეაო. პედაგოგ და ეკონომისტ კაცს აქ რა გინდაო. ერთხელ ვკითხე: - შენ რომელი სპეციალობის ბრძანდები-მეთქი. ამაყად განმიცხადა: ფიზიკოსი ვარო, გერმანიაში გავი-არე კურსი და ბევრ რამეს მივაღწიეო; შევბედე: ქვისლი მყავს ფიზიკოსი, თავის დარგს რომ მოს-წყვიტო, ალბათ თავს მოიკლავს, ამ ფიზიკოს კაცს რა გინდა რაიკომში ინსტრუქტორად-მეთქი, გაგიჟდა, უფრო მეტად დამიწყო კირკიტი, მაგრამ ვერაფერს მაკლებდა.

გაგრძელება იქნება

გულნაზ ხარაიშვილი

სიყვარულის ჯაჭვი

2015 წლიდან დაწყებული, 2018 წლამდე თბილისის 36 საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეებთან სიყვარულის ჯაჭვი მქონდა გამბული.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ისტორიაში 36-ე საჯარო სკოლა შევა, როგორც აქტიური პატრიოტული, მაღალ-აკადემიური მოსწავლეთა აღზრდის სანიმუშო სკოლად (დირექტორი ქალბატონი მაია კვინიკაძე და პედაგოგი ციური ხუჭუა). ციური ხუჭუასნაირი იქნებ კიდევ მრავალი, ჰყავდეს მაღალი იდეებით აღსავსენი, შემსრულებელნი ბევრი ღონისძიებისა, მაგრამ მე ვინც ვიცი, ვინც ჩემს სულში ოთხი წელი დაიდო ბინა, ვალდებული ვარ მასზე ვისაუბრო. ჩემი ლექსები პირველი კლასიდან მეოთხე კლასის ჩათვლით მიაცილებდნენ პატარებს. მამული, ენა, სარწმუნოებაა ჩემი სულის კრედო ხოლო ტკივილია როცა ვუყურებ დაღლილს ჩემს მამულს, მისევდიანებს ოცნებას, მაგრამ ქართული ენის ანდამატები, მახვილზე მჭრელია და ენა ხან თილისმაა, ხან ისეთი ძლიერია საქართველოზე ხმალ აწვდილ მტერს რომ შეაჩერებს. ენით არის მორთული უფლის ხატები და ეს დიდი სიმდიდრე, როგორ ფაქიზათ გულში აქვს ჩახუტებული დედა თბილისს, პედაგოგმა დაინახა, რომ ვწუხარ საქართველოს ტერიტორიების დაკარგვას, ენა რად მინდა მიწის გარეშე, ან ეს მამული მტერს რად აოცებს, დე, გადათელოს უცხომ თარეშით ერთიან მამულს თუ არ ვაკოცე. აქვე ჩემს თავს ვუსვამ კითხვას რას ვიზამდი მაშინ სარწმუნოება თუ შემიცვალეს? აქვე ვცემ პასუხს. "გინდაც სულ მოკლან, ლოცვა მაცალონ, შევეწირები შუშანიკივით აქ გამოხატულია იმის რწმენა, რომ დედახვთიშობლის წილხვედრ ქვეყანას არ გაწირავს უფალი, მაგრამ გულხელდაკრეფილები არ უნდა ვიყოთ და აქვე შევძახებ ჩემს საკუთარ „მეს", „სულ რომ მომკლან საქართველო ამოვტეხავ კუბოს ფიცარს კვლავ დავიცამ ჩემს სამშობლოს, სოხუმს, გულრიფშს, გალს და რიწას, სულს ვაჩუქებ სამაჩაბლოს და მივაღწევ მაინც მიზანს".

ციური მასწავლებელმა პირველი კლასიდან მეოთხე კლასის ჩათვლით კლასგარეშე ლიტერატურად გამოიყენა წიგნები: „მზის მკლავებში“, „სულის არე“, დარდის პირამიდები“, „ფიქრის ხეივანი და სხვა... პირველად როცა მიმიწვიეს პირველ კლასში იყვნენ, ნახევარსაათიანი ღონისძიებით მიმოიხილეს მთელი ტკივილიც, ოპტიმიზმიც და უფლისადმი რწმენაც, თუ ღმერთს უნდა დამაჩოქებს, თუ ისურვა ავყვდები, ბედით სულში თუ მათოვებს, ქვად მაინც ნუ გავქვავდები, როცა ადამიანი გარდაიცვლება, მას ერთ ძახილის ნიშანს უსვამენ, ქვით. დაიბადა – გარდაიცვალა ამ ლექსით თოვლიანი მხრებითაც ვახერხებ ბრძოლას ბედის ჭიდილთან, პატარებმა განიხილეს დედაენის ძეგლთან როგორ ვიდექი და ვუყურებდი დედაენის ძეგლს მშვიდად. „დედაენის ძეგლთან ახლო მდგარი ვუყურებდი ქანდაკებას მშვიდად, შემოგფიცავთ ფიცი არის მყარი მშვიდობა და სიყვარული მინდა. ქვას სულიერივით ვესაუბრები: „რას შესცქერი მაღლა ქანდაკებავ, რა მადლი აქვს იაკობის მელანს ამდენ ომში სული მიკაჟდება და მზის შუქად ეფინება ყველას“. აქ იაკობის მელანის მადლით სული გამიკაჟდა და მზის შუქად მოვეფინე ჩემს ტკივილიან სამშობლოს, რომელიც დასერილია, დაჭრილია და სისხლის ტბაში ცურავს. რწმენით შევძახე: „დედა ენავ, გადამრჩენო ერის, ხმლით და შუბით გიცავ შემართული, ლექსებს ვამბობთ თუ ქართულად მღერი გალობაა ის შენ ლოცვად თქმული“.

იუბილეზე მორთმეული თაიგული

პატარებმა განიხილეს დაჭრილი ჩიტი, ჩიტში ჩემი სამშობლოა განსახიერებული, დაჭრილი ჩიტი ქვებში ვიპოვნე, ველარ ფრენდა, რადგან ტყვია ქონდა მოხვედრილი, ხელი გადაუსვი და ჩუმად მიჩურჩულა რომ მკერდი ძალიან ტკიოდა, ეს რუსეთ საქართველოს ომია, აფხაზეთია, „ავიხედე დავინახე მოდიოდა წვიმა თქებით, ჩიტს რა ვუყო? მომიკვდება, მომიკვდება ალბათ ხელში“. ეს თემა უკვე სამაჩაბლოს მიწვდა. საქართველო გულში შევფუთე, „გადვიხსენი მე საკინძე, შევახვიე ჩიტი ჩემში, სხვა საშველი ველარ ვნახე, ველარ ვნახე წვიმის ხელში“. განიხილეს ჩემი აწ გარდაცვლილ ბეჟან ხარაიშვილზე მიძღვნილი ლექსი, რომ მის კვალს თბილისის ქუჩებში ძველებური პეწი ამჩნევია ისევ. ამჩნევია, რადგან ის ახსოვთ, უყვართ და იგონებენ. განიხილეს მისი ლექსი: „გული სამარეშიც იმზიანებს, გული სამარეშიც ამღერდება, ჩვენში ასე იცის მზემ ამოსვლა, ჩვენში ასე იცის გათენება. „რა დროს სიკვდილია, ჯერ უნდა კლავი მომჭრან გაღმა-

გამოღმა კედლების აშენებისთვის და მერე სული მომთხოვონ იაკობივითო? ჩემი ლექსებიდან განხილული ჰქონდათ. თუკი მიმიხმობს ფშავ-ხევსურეთი, მგზავრად გავყვები ფრთადაჭრილ ნიავს“ პატარებს მოწონებიათ რომ თუ ობოლი ნუკრი წინ შემხვდებოდა როგორ დავამშვიდებდი“ თუ სადმე შემხვდა ობოლი ნუკრი დავარწმუნებ რომ ნახავს დედიკოს, ჩუ, საყვარელო ყვავილობს ნუში იქნებ დედიკო მის მოჩრდილში იყოს“. გაანალიზებული ქონდათ ლექსი წიწამურთან „წიწამურთან კი ილიას სისხლით, ამოსულია ყაყაჩოები“, ანდა კიდევ ყვავილის ღერომ სისხლი ჩაწურა, ფურცელზე დარჩა შავი წერტილი“.

წითელი ფერი რომ სისხლის ტბას ნიშნავს, შავი წერტილი გასროლილ ტყვიას“, საქართველოში კვლავ დაძრწის მტერი, ამას ყველაფერს ღალატი ქვია 36-ე სკოლის პირველ კლასელებმა, ამ პატარა დროში თითქმის მთლიანად გააკეთეს ანალიზი ისე აღვფრთოვანდი რა გამეკეთებინა აღარ ვიცოდი, ჩემი შეფასების წუთი როდესაც დადგა, შინაგანმა ხმამ ჩამძახა: ამ მოსწავლეებთან მთელი სიცოცხლე ვალში დარჩებიო და ასეც მოხდა. იმ დღიდან დღემდე ვცდილობ ამ ბარიერის გადალახვას. პირველად დავიწყე პარლამენტის ბიბლიოთეკიდან, ბიბლიოთეკის მეორე სართულზე ჩატარდა ჩემი საღამო. ღონისძიებას ესწრებოდა მწერალთა კავშირის თავჯდომარე ბატონი რეზო მიშველაძე – ღონისძიება მიყავდა თანათავჯდომარეს ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, მოსწავლეებმა ისწავლეს ცნობილ პიროვნებებთან ურთიერთობები და მათაც ჩაუტარეს ღონისძიება, განიხილეს ქალბატონი მაყვალას ლექსები, და ბატონი რეზო მიშველაძის პიესები დადგეს, დარბაზში მქუხარე ტაშით ხვდებოდნენ. მახსოვს როგორ ჰქონდა გაცისკროვნებული თვალები აწ გარდაცვლილ ჯანსუღ ჩარკვიანს. ბატონი ენრიკო ჯანელიძესთან ერთად სიმღერასაც აჰყვა. პირველ კლასში იყვნენ როდესაც ინტერვიუ გააკეთეს სიღნაღის მუზეუმის დირექტორთან, მოადგილესთან და თანამშრომლებთან, ერთი სასაცილო ინციდენტიც მოხდა ცელქი გიორგისგან, სიგნალიზაციას დააჭირა ხელი და მთელი დაცვა თავზე დაგვეხვია. საყვედური არ უთქვამთ, პირიქით იქით დაიდანაშაულეს თავი ჩვენ უნდა მიგვექცია ყურადღებაო. დასასრულს ეზოში მინი კონცერტი ჩაატარეს, ტურისტებს მოეწონათ და გიორგი ხელში აიყვანეს და ისე იცეკვეს მასთან ერთად გაბედეს და მწერალთა კავშირის თავკაცებთან აიღეს იტერვიუები. მადლობელი ვარ, ბატონი რეზოსი, ქალბატონი მაყვალასი, რომ პატარებში დაინახეს ხვალინდელი საქართველო და მათ შეკითხვებს უპასუხეს.

2016 წელს ჩემი პოეზიის საღამო გამართეს მეცნიერებათა აკადემიის აუდიტორიაში, მათი გზამკვლევი რათქმაუნდა ციური მასწავლებელი იყო. ეს დღე დალოცა მამა მერაბიმ დიდი დიღომის წმინდა ნიკოლოზის წინამძღვარმა მამა მერაბის ლოცვით მყოფი ბავშვები სასწაულებს ახდენდნენ თავისი გამოსვლებით. ღონისძიებაზე მცირე დროით თვით აკადემიის პრეზიდენტმაც მოიცალა და თბილი სიტყვები უშურველად გვაჩუქა. ჟურნალ „ათინათის“ ერთ-ერთ რუბრიკას ასე ქვია „პატარების თვალით დანახული ცნობილი ადამიანები“. ყველას ჩამოთვლა ნამდვილად გამიჭირდება, ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებ ყურადღებას: ბატონი როინ მეტრეველი და გიორგი კვესიტაძე, მხატვარ რეზო ადამისთან და მხატვარ ნიკო ხერკელაძესთან, მოქანდაკე გელა ლარიაშვილთან, ბატონ უშანგი მოსიაშვილთან, მამა ამირან ამირანაშვილთან, მამა მერაბ დეკანოსიძესთან, მამა გიორგი თეთრუაშვილთან აწ გარდაცვლილ რეზო ჩხეიძესთან, ჯუმბერ ლეჟავასთან, რომ ჩამოვთვალო ყველა ის პიროვნებები ძალიან შორს წამიყვანს და ამიტომ ჯობია გავ-

ჩერდე, რადგან კიდევ ბევრი არიან ღმერთმა ამრავლოს მათი თვალით დანახული ცნობილი ადამიანები.

2017 წელი საქართველოს მწერალთა კავშირი, უნდა ავღნიშნო ერთი ფაქტი ამ ღონისძიებაში ქ. რუსთავის მეჩვიდმეტე სკოლის მეორე კლასელებმაც მიიღეს მონაწილეობა. (დირექტორი ნელი ლიქოკელი და პედაგოგები მაია გეგეჭკორი და) სრულიად განსხვავებულები იყვნენ რუსთავის მოსწავლეები და ეს უფრო მეტ ელფერს მმატებდა ღონისძიებას. თბილისის 36-ე საჯარო სკოლის მოსწავლეს საასპარეზოთ გამოტანილი ჰქონდა ცეკვა, სიმღერები. საოცრება ის იყო რომ ჩემს ტექსტზე ხალხური მოტივით ჩამოაყალიბეს სიმღერა და წარადგინეს მაყურებელთა წინაშე, დასაწერი და სათქმელიც ამ დღესაც ბევრია, მაგრამ მინდა პატარა ინფორმაცია მაინც შემორჩეს აკადემიის ისტორიას თუმცა ყველა ღონისძიების აღმწერი (მემატიანე) სერგი ლომაძეა, მაგრამ ჩემგანაც გაეხარდებათ ყურადღება: რას განვიცდი, რას ვამბობ ან რას ვგრძნობ.

2017 წელი ღონისძიება ჩაატარეს თბილისის მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში მირზა გელოვანი ეს ის პოეტი იყო, რომლის ლექსები ცაზე ვარსკვლავებათ ანთიან, მირზა გელოვანის მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის ლექსების გარემოცვაში ტრიალებდა ბეჟან ხარაიშვილი 29 წლის განმავლობაში, და მერე კი მერე... მუხრანზე და ანაზე წინ წავიდა ზეცაში, ტერენტი გრანელთან, გალაქტიონ ტაბიძესთან და იქ შეეგება მუხრანის და ანას. ამ პოეტებს სიცოცხლეში აღიარებდა ბეჟან ხარაიშვილი, აკი წერდა ასეთ სიტყვებს, მე ამიტირდა მუხრანი, ანა, მე რომ გავყიდო იყიდი განა? მე რომ გავგიჟდე მომკლავდი განაო? აქ 34 წლის წინ გრძნობდა ბეჟანი, რომ იყიდებოდა საქართველო. ხედავდა როგორ კვნესოდა მუხრანის ლექსები, როგორ

ტკივილიანი იყო ანა კალანდაძისადმი ტკივილი საქართველოსი: მირზა გელოვანის ადრე გარდაცვალება კი ასე განიცადა ბეჟან ხარაიშვილმა „მტრედებმა ჩამიქროლეს თოვლის გუნდებივით, ბალახები ჟანგისფერ სევდით ხუნდებიან...

– მირზა წავიდაო, –
ეს რა გამაგონეს,
– არ დაბრუნდებაო, –
თქვეს და ტყუვდებიან;
პოეტები ბრძოლაში ადრე მიდიან და
პოეტები ბრძოლიდან გვიან ბრუნდებიან.
ტყვიებს უკორტნიათ ყორანივით
კბილებს უფრქვევიათ ბროლი,
პირიდან მძიმე-მძიმე
ბოლი ამოსვლია,
დაუწერელი ლექსების ბოლი,
წაქცეულს მკლავებში ჩაუკლავს სიკვდილი,
მის თვალებს, ჩაჰყოლიათ ცეცხლობა,
პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და
პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენ,

პირადად მე რას გავაკეთებდი მირზა გელოვანის ხანაში რომ მეცხოვრა? ჩემი პოზიცია ასე დავაფიქსირე ლექსით, რომ მის მაგივრად წავიდოდი ომში, მირზა უნდა ყოფილიყო კალმის ცეცხლში გახვეული ამით ჩემი სახელიც გმირად მოინათლებოდა თუ ტყვია მომხვდებოდა და მირზა კი მირზაა... ჩემზეც ლექსებს შეთხზავდა და აი, უფლისგან მერგო ხვედრი იმისა რომ მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში ჩაეტარებინათ 36-ე სკოლის პატარებს ეს საღამო. პატარებმა ამ პატარა ბარათებით გამოხატეს ციური მასწავლებლის ყურადღება. ოთხი წლის ამაგი არ შემეძლო, რომ ასე არ დამეფიქსირებინა.


ლ.ბეგიაშვილი


ნ.ცაბაბაჩავე

ქალბატონი
გულნაზ
ძღვენი მიუტანია.



ბიუჯეტი მასწავლებლებს
გვლიდა ამაზე, რომ ეფექტიანად
ხარჯავდნენ ფულს!
ასევე მასწავლებლებს
ეფექტიანად წარმოვიდგენთ
ძალიან მიუტანია
ასევე პიროვნულ
წარმოვიდგენ პიროვნულ
თვალსაზრისით
გულნაზ ხახაიშვილისთან
ბიუჯეტი მაქვს გამოგზავნილი
ყველაფრისთვის.

ჩემი ბიუჯეტი გადმოდგა ალაბში
გულნაზ ხახაიშვილის ლინინიძეებზე,
იყო მიუტანია ძალიან მეხეული
ალაბში გადმოდგა

მიუტანია!



ქიდბაგონი ცოცხი თქვენ ძალიან
საყვარელი ხართ ცოცხი ქიდი ბრძანებლები
ეს მიდა ლა ყველას გინდა მხოლოდ
კლასში ასევ თქვენ იყოთ ამ სკოლაში
ყველაზე საყვარელი ლა კარგი მასწავლებლ
ხართ ლა ყველას უყვარხართ ლა ყველაზე
ძალიან ეს მიყვარხართ. ლა ქიდბაგონ გულისგამაც
ლოდ მადლობა. ყველაფერისთვის ის ჩვენი პირველ
პოეტი იყო.

მიყვარხართ



ბ.ნინიკაშვილი

ლ.ლობჟანიძე

ლ.ჩითაიშვილი
ქალბატონი ციცინო
ძალიან მიყვარხართ
თქვენ ყველაფერს აკეთებ
ჩვენთვის ყველგან მიგყავ
ართ ფლობის ძიებაზე
გვიცავ ჩვენი
ბავშვის პირველ მწოვალად გ.ხარაიშვ.ილ
ინ.

ფ.მინდიაშვილი
ქალბატონო ციცინო ძალიან
მიყვარხართ თქვენ მხოლოდ
ყველაზე კარგი მასწავლებელი
ხართ თქვენ ძალიან კარგად
გვასწავლით მინდა ითქვა
სულ თქვენ მასწავლოთ
ამ ოთხი წლის განმავლობაში
ძალიან ბევრი ხალხი მასწავლეთ
და ამისთვის დიდ მადლობას
ვიხდით :
მიყვარხართ :







დასასრულს კი მეგობრობის ხელი გამომიწოდეს და სიყვარულის მარგალიტებით ამსგავსეს.







ეს სულით ამაღლებული მეოთხე კლასელები გადავიდნენ, მეხუთე კლასში და ქაღალდისგან გამოჭრილ გულში თავიანთი ფოტოსურათები ჩადეს და მეგობრობის ხელი გამომიწოდეს. ვის რა ახარებს ეს მე არ ვიცი. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ეს დღე ჩემს ისტორიას ლამაზად შემორჩება. მეც მიყვარხართ, ჩემო მერცხლებო.

დედაო იოანა ონიანი

გულნაზი ხარაიშვილს

ღვთიური მადლით, სიყვარულითა და სიხარულით მინდა მოგილოცო გაზაფხულის 68-ე წლის გათენება.მინდა გისურვო იმ მწვერვალების – მეცნიერების, ხელოვნების მწერლობისა და ახალგაზრდა თაობების აღზრდისა და შენს მიერ დაარსებული ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის მიერ, გამოცემული სამეცნიერო ნაწარმოებისა და ტომების ულევი გამოცემა, რომელსაც ყოველდღიურად ემსახურები და საქართველოს ყველა კუთხე კუნჭულში აწარმოებ, იმ მარგალიტების ძიებას, რომელიც დღევანდლამდე უცნობი და დაკარგულია.სწორედ, ამას მოასწავებს თქვენი რედაქტორობით გამოცემული 630 გვერდიანი ანთოლოგიის და ჟურნალ ათინათის გამოცემები.

ჩემო გულნაზ, შენ არა მარტო, მეცნიერებს, პოეტებს, მწერლებსა და ახალგაზრდა თაობებს უდგეხარ გვერდით, არამედ ამხნევებთ, ახალისებთ, როგორც ობოლ-ქვრივ ქალბატონებს ასევე შვილმკვდარ დედებს, ვინაიდან თავად გაქვთ გამოცდილი ყოველივე. ყველა მათგანი შეკრიბე შენს ირგვლივ.შენი შემართებითა და გვერდში დგომით ასეულობით, დედას ჩეუნერგე სულის სიმხნევე, გააძლიერე სარწმუნოებაში და დაუბრუნე ხელმეორედ სიცოცხლე. გადაჭარბებული არა არის ჩემს მიერ გამოთქმული ეს სიტყვები, პირიქით როგორც უძლურებაში მყოფ მონაზონს არ შემწევს უნარი გამოვთქვა ყოველივე ის რასაც შენ იჩენ შეჭირვებულების, ავადმყოფების, ობოლ ბავშვებისა და სოციალურად დაუცველი საზოგადოების მიმართ.

ღმერთმა გაგაძლიეროს, მოგცეს ეს შესაძლებლობა კვლავაც გააგრძელო ათეული წლების განმავლობაში შენს მიერ დასახული საქმიანობის გაგრძელება.

ღვთიური სიყვარულით პროფესორი-მონაზონი.

ციცინო ჩხაიძე

ანბანური ინცევრიალები

გაგრძელება

დასაწყისი: ჟურნალი „ათინათის“ № 23, 24, 25, 26, 27

ფრთაშესხმული ფანტაზია

ფიქრია და ფილიპე ფოთელებია.

ფარმაცევტი ფიქრია, ფილიპინებზე, ფარდების ფაბრიკაში ფეიქარია, ფილიპე, ფოთში – ფერმერი.

ფიქრობს ფილიპე ფიქრიაზე ფოთში. ფიქრიაც ფიქრობს ფილიპეზე, ფილიპინებზე – ფაბრიკაში.

●

ფოთოლცვენაა.

ფიფქებივით ფარფატებენ ფოთლები.

ფილიპე ფერმაში ფარშევანგის ფრთას „ფცქვნის“ და ფიქრებში ფანტაზიორობს: „ფილიპე ფილიპინებზეა; ფაიტონით – ფარდების ფაბრიკასთან. ფარდაგშემოხვეული ფიქრია ფაიტონშია. ფაიტონი ფილიპეთი და ფიქრიათი ფრენა-ფრენით ფოთშია“.

ფილიპე ფანტავს ფიქრებს. ფაციფუცობს, ფეთავს...

●

ფერიცვალებაა.

ფილიპეს ფანტაზია ფრთაშესხმულია.

ფილიპე და ფიქრია ფითქინა ფარჩაგადაფარებული ფაიტონით ფოთის ფიჭვნარში ფრენენ ფანტაზიისამებრ.

●

ფერმერი ფილიპე ფუფუნებაში ფუთავს ფიქრიას.

ფოთში ფარმაცევტული ფირმა „ფავორიტი“ ფიქრიასია.

●

ფიფქავს.

ფოთს ფარფატა ფიფქებიანი ფარდაგი ფარავს.

29.04.2015 წელი. თბილისი.

ქანდაკებასთან

ქართულგულიანი ქართლოსი ქუთაისში ქეიფობს. ქეიფში ქალბატონებიცაა. ქალთაგან ქეთო ქრისტესმიერია და ქცევით ქართული.

ქართლოსისთვის, ქორფა ქალწული ქეთო, ქარვისთვლიანი ქინძისთავით, ქალთამზეა.

ქეთო ქართველოლოგია და ქველმოქმედი ქართველი ქალი.

ქართლოსი ქორეოგრაფია ქვიშხეთში.

ქუთათურები ქეიფში ქოთქოთებენ და ქილიკობენ. ქვემოთ ქვაფენილზე, ქანდაკებასთან, ქართლოსი ქერა ქოჩორის ქნევით და ქარაგმული ქათინაურებით ქეთოსთან „ქაქანებს“.

ქუხილია.

ქვენა ქარი ქრის.

●

ქრისტეშობისთვეა.

ქეთო და ქართლოსი ქათქათა ქურქებით ქაშუეთშია.

ქაშუეთში ქორეპისკოპოსის ქადაგებაა.

ქაშუეთიდან ქვიშხეთისკენ...

ქვიშხეთში ქორწილია...
ქეთოს და ქართლოსის ქორწილი.

30.03.2015 წელი.
თბილისი.

ღაბაბიანი და ღიპიანი

ღაბაბიანი და ღიპიანი, ღობეს ღობავენ ღეროებით და ღვედებით. ღირსეულად ღობავენ.

ღაბაბიანი ღეროებისთვის ღრმულს ღრმად ღრუტნის, ღიპზე ღილშეხსნილი ღიპიანი – ღვედს ღეროებზე ღონივრად ღუნავს.

ღიპიანის ღაჟღაჟა ღლაპი ღრიალებს და ღვარღვალებს. ღიპიანი ღადღადებს* ღლაპის ღრიალზე.

ღაბაბიანზე ღიმილი ღვივის.

●

ღამდება.

ღონეგამოცლილთათვის, ღობესთან, ღობის ღეროებზე, ღვინო, ღელის ღორჯო, ღადრის ღვეზელები და ღომია.

●

ღვთისმშობლობაა.
ღვთისმოშიში ღაბაბიანი და ღიპიანი ღამისთევაზეა.

15. 04.2015 წელი. თბილისი.

ყორესთან

ყისმათიანია ყირიმია ყავლაშვილის ყმაწვილები: ყარამანი და ყვარყვარე.

●

ყარამანი ყმაწვილკაცობიდან ყირგიზეთში ყვავილებს ყიდის. ყვარყვარესთან ყვარელში, ყარამანისთვის ყვავილნარია.

●

ყავლგასულია ყარამანი.

ყირგიზეთში ყიდის ყველაფერს და ყვარელში ყრმობისდროინდელ ყორესთანაა.

ყორესთან ყოვნდება... ყმაწვილობა, ყვარლის ყურძენი, ყოყოჩობა ყვარყვარესთან, ყვირილაზე ყვინთაობა, ყარაჩოღელობა, და...

ყურებჩამოყრილია ყარამანი, ყურყუტებს ყორესთან, ყოყმანობს... ყველაფერი ყელზე ყულფივითაა და ყელგამშრალი ყვირის:

– ყვარყვარეეე!

ყვირილზე ყურშა ყეფს და ყურშას ყეფაზე ყვინჩილაც ყივის.

ყაბალახიანი ყვარყვარე ყავარჯნებით ყორესთანაა და...

– ყარამან! – ყვირის ყვარყვარეც და ყავარჯნებზე ყანყალებს, ყუნცულებს*.

●

ყაირათიანი ყვარყვარე ყოფს ყარამანისთვის ყოველივეს: ყანას, ყვავილნარს...

ყარამანი ყაბულსაა.

ყვარელი, ყავლაშვილებისთვის, ყველა და ყველაფერია.

24.01.2015 წელი. თბილისი.

---

* ღადღადებს – (გურ., იმერ.) ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი.
* ყუნცული – (საუბ.) სკუპ-სკუპი, ცუნცული.

დიდი მოგზაურობა

ჯუმბერ ლეჟავა

(დასაწყისი ჟურნალ „ათინათის“ № 26, 27-ში)

დედაქალაქ კონაკრიზე, ხალხის ტრადიციებზე თუ ბევრ სხვა რამეზეც, თუმცა მოსაყოლს, თქვენის ნებართვით, სხვა დროისთვის გადავდებ.

ლიბერიის რესპუბლიკა! სიტყვა „ლიბერი” Liberi, orum, um

ლათინური სიტყვაა და „თავისუფლად დაბადებულს” ნიშნავს. სახელმწიფოში მოგზაურობით დარწმუნდებით, რომ ეს, მართლაც, „თავისუფლების” ქვეყანაა... ნუთუ რჩება ადგილი თავისუფლებას იქ, სადაც უწყვეტი სამოქალაქო ომებია? სადაც სუფევს ჟამი ძაღლის მგლისაგან ვერ გამორჩევისა და ძაღლისაგან პატრონის ვერ შეცნობისა?...

ალბათ, დაგაინტერესებთ იმ მოსახლეობის ეროვნული „ინგრედიენტი”. ვინც ეს თავისუფლების ქვეყანა გამოქნა... სწორედ ამ ქვეყანაში მომიწია მოგზაურობა ზუსტად ლიბერიის მეორე სამოქალაქო ომის მსვლელობის პერიოდში, რომელიც 1999-2003 წლებში წარიმართა.ამ ულამაზეს ქვეყანაში შესვლისას უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე ავიღე, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოში არ შემიშვებდნენ...

საომარი მოქმედებები არ წყდება. უამრავი ხალხი იხოცება. საინტერესოა როგორ გადავრჩი, როცა ყოველ 200-300 მეტრში, ხან ერთი მხარე შემათრევდა ბუნკერში, ხან მეორე, ხან მესამე და კიდევ ვინც გნებავთ ის... აქ, დიდსა თუ პატარას, ყველას ავტომატი და რევოლვერი უჭირავს. აბა, ბიჭი ხარ და ნუ დაემორჩილები...

რაც იმ დღეებში გადავიტანე და რამდენჯერაც გადავრჩი, ალბათ, ერთმა უფალმა უწყის მხოლოდ.მით უფრო როცა ბევრს ჯაშუში ვეგონე... გავუძელი პირდაპირ და ჯვარედინ დაკითხვებს: ხან სულელის, ხან გიჟის, ხან გენიოსის, ხან ძლიერის, ხანაც სუსტის ნიღაბს ამოფარებულმა ვინ უწყის, რამდენი როლი გავითამაშე. ასე წამებით ჩავედი დედაქალაქ მონროვიაში... მეათასედ ვეკითხები ჩემს თავს: რამ გადამარჩინა?!.. ახლა კიდევ დედაქალაქში წამება... ლიბერიის პოლიციის სამინისტროსთან ველოსიპედი ბარგიანად წამართვეს შეიარაღებულებმა, თუმცა კარგა ხანს ვეწინააღმდეგებოდი. ბოლოს, ნაცემ-ნაგვემი, ქვიშის ტომრებისაგან აშენებულ ბუნკერში შემაგდეს.რამდენიმე საათის შემდეგ-შემოდის შეიარაღებული კაცი და მეუბნება: „უფროსმა თქვა, თუ ველოსიპედს ბარგიანად

დატოვებს, გავუშვებთო.” მაშინვე გავიფიქრე: აქ რომ ვიჯდე, საქმეს თავისით არა ეშველება რა და, თუ გავალ, იქნებ სცილასაც და ქარიბდასაც – ორივეს დავაღწიო თავი-თქო, ავდექი და დავთანხმდი...

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რასაც გადავიტანდი...

გავიცანი ბრიგადის გენერალი ქალბატონი...

როგორ და რანაირად გადავრჩი?

ველოსიპედისა და ბარგის ჩამორთმევის შემდეგ მოლაპარაკებები გავმართე სამხედროებთან. დავიბრუნე ჩემი ძვირფასი ავლა-დიდება. ღმერთი ჩემთან არს! დიდება მას!...

როგორ დასრულდა მოგზაურობა ლიბერიაში?... – პასუხი მომავალში გელით.

კოტ დ იუვარის რესპუბლიკა. განუყრელი ხიფათიანი გზები.

ხატპერიდან კოტ დ იუვარის მხარეს ქ. სან-პეტრაში გადავედი თუ არა, დაიწყო ჩემი წამება. გაუთავებელი წამებით, თითქოს, იმუნიტეტიც კი გამომიმუშავდა უამინდიობისადმი.ქ. პედრას გავლით, როგორც იქნა, ქ. აბიჯანში ჩავედი.იგი მნიშვნელობით მეორე ქალაქია რესპუბლიკაში და ერთ-ერთი უდიდესია მთელს აფრიკაში. 1986 წლამდე კოტ დ იუვარის დედაქალაქში აბიჯანი იყო, ხოლო შემდეგ დედაქალაქი იამუეკრო გახდა.ქალაქს საინტერესო ისტორია აქვს.მსოფლიოში ცნობილია ყველაზე დიდი კათოლიკური ტაძრით, რომელიც ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძრის პროექტის მიხედვითაა აგებული.ქვეყანა განსხვავდება მეზობელი სახელმწიფოებისაგან, რომელიც რელიეფით, ასევე ფლორითა და ფაუნით, საერთოდ, ბუნებრივი პირობებით... აქ მასპინძლობას იუნესკო მიწევდა. საინტერესოა კოტ დ იუვარის ეთნიკური შემადგენლობა... განათლების დონე, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც საკმაოდ დაბალია...

აბიჯანიდან გზას განას დედაქალაქ აკრასაკზე ვაგრძელებ.პატარა სოფელთან გზაზე ორი ახალგაზრდა გადამიდგა.მთხოვეს გავსაუბრებოდი. თხოვნა შევუსრულე. ისინი მეზობელი პატარა ქალაქის სკოლის პედაგოგები აღმოჩნდნენ.მოსწავლეებთან შეხვედრა და ღამის გასათევად სკოლაში დარჩენა შემომთავაზეს.დავთანხმდი, რადგანაც რამდენიმე კილომეტრიც შემდეგ მაინც უნდა მეძებნა ღამის გასათევი ადგილი და ისიც ღია ცის ქვეშ... მოსწავლეების ნაცვლად ვითომცდა ქალაქის ხელმძღვანელობას შემახვედრეს.შესახედაობით რუსებს მივამსგავსე და რუსულად დავუწყე საუბარი.ინგლისურად მიპასუხეს, რუსები არა ვართო.კარგა ხნის საუბრის შემდეგ, თითქმის, დავრწმუნდი, ადგილობრივი სპეცსამსახურების წარმომადგენლები რომ იყვნენ.მათი წასვლიდან რამდენიმე წუთში ვიღაცამ დაფასოებული სადილი გამომიგზავნა.რატომღაც ეს ამბავი არ მეჭაშნიკა, მაგრამ ისე მშიოდა, მაინც მივირთვი, დილით თავი შეუძლოდ ვიგრძენი, მაგრამ ექვს საათზე მაინც გავუდექი გზას.მივდივარ უღრან ჯუნგლში.სიარული მიჭირს.თვალსაწიერზე არც უდაბნო ჩანს, არც ოაზისი.სხვა გზა არ მაქვს, როგორმე 60 კილომეტრზე ცოტათი მეტი უნდა გავიარო, რათა პატარა ქალაქში ჩავაღწიო.თავს იმით ვიმხნევებ, რომ უფრო უარესი მომენტებიც მქონია.ბრძოლას არ ვწყვეტ.ასეთ ვითარებაში ხშირად გამიმარჯვია.ახლაც ხომ ესე იქნება? – ვეკითხები ჩემს თავს და თავადვე ვადასტურებ... აბა, რა!

ასეთი ფიქრებით მივაღწიე პოლიციის შენობამდე. პოლიციელებმა სარეგისტრაციო წიგნში ჩანაწერები გააკეთეს.წასვლისას გავანდე, გუშინ ვახშმით მოვიწამლე და ძალიან ცუდად ვარ-მეთქი.შემდეგ სასტუმროში მოვხვდი.ერთი დღე და ღამე ტუალეტის იატაკზე უგონოდ ვეგდე, როგორ მოვხვდი ადგილობრივ საავადმყოფოში, არაფერი მახსოვს. ვინ დაიწყო ბრძოლა ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად? ვის უნდა ვუმადლოდე?

Aბიჯანიდან სპეციალისტები გამოიძახეს... რამდენიმე ხანი აგონიაში ვიყავი.ბოლოს ისევ აბიჯანში მოვხვდი.რისთვის მმკურნალობდნენ მთელი თვის განმავლობაში ოთხვარსკვლავიან სასტუმროში და არა საავადმყოფოში? ორი ქალი განუწყვეტლივ დამტრიალებდა თავს.არ იშურებდნენ სახსრებს. ერთი თვის შემდეგ ქალი მომიგზავნეს, რომელიც ზანგების ანგელოზად შევრაცხე... რომ არა სიკეთე, სულს სადღაც გადასაკარგში, ყარიბობაში დავლევდი. არაფერს ვამბობ მრავალ წინა შემთხვევაზე, როდესაც სიკვდილისაგან სიკეთემ მიხსნა. ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ პირობებთან შესაბამისობაში ვგეგმავდი ჯანმრთელობისა და სპორტული ფორმის აღდგენის პროცესს...

განას რესპუბლიკის ორიგინალურ დედაქალაქ აკრაში საინტერესო გზებითა და ქალაქების გავლით ჩავედი. განაში სამხედრო დიქტატურაა. გზაზე გადატანილი რამდენიმე შემთხვევის თავის დროზე აღწერა, ვფიქრობ ინტერესს გამოიწვევს თქვენში...

ამ პატარა ქვეყანაში მრავალი წყალუხვი მდინარეა რომლის ენერგიას ოპტიმალურად იყენებენ განელები, რაც სავსებით აკმაყოფილებს სახელმწიფოს მოთხოვნებს ელექტროენერგიაზე.მიუხედავად იმისა, რომ 1000 სულ მოსახლეზე სიკვდილიანობა მაღალია, მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით, ეს ქვეყანა მაინც ერთ-ერთი პირველია მთელ დასავლეთ აფრიკაში...

განას ტერიტორიაზე ადრე რამდენიმე სახელმწიფო არსებობდა... რის გამო დაერქვა თავდაპირველად განას „ოქროს ნაპირი"? ბევრ სახელმწიფოს თავისი საკუთარი პორტი აქვს განაში. ქვეყნის ტერიტორიის ორი მესამედი სავანეებს უკავია.დარჩენილი 1/3 კი უსიერი ჯუნგლია, თუმცა ეს სულაც არ არის ფლორითა და ფაუნით სიმდიდრის პირობა.ქვეყანაში ძლიერი სოფლის მეურნეობა და სწრაფად განვითარებადი მრეწველობაა.საინტერესოა მისი ისტორია, ეთნიკური შემადგენლობა, რელიგია, ეკონომიკა, პოლიტიკური სისტემა... მთელი 6 წლიანი მოგზაურობის პერიოდში პირველად აქ დავთვერი!... მერე რატომ, ვისთან და რისთვის? – ეს საინტერესო ისტორიაა...

განას რესპუბლიკა არ გამოირჩევა ისტორიული ძეგლებით, მაგრამ მისი ორი ისტორიული ძეგლი მაინცაა შესული იუნესკოს დასაცავ ძეგლთა კატალოგში...

რეზიუმეში ავღნიშნავ: განაში ჩემი ყოფნის ყოველი დღის ჩანაწერი საინტერესო ინფორმაციის შემცველი იქნება...

ვმოგზაურობ ტოგოსა და ბენინის რესპუბლიკაში.მათი დედაქალაქები – ლომეც და პორტო-ნოვაც ერთმანეთის მსგავსი ქალაქებია.მსგავს ქვეყნებში მსგავსი ისტორიებიც გადამხდა... ფაუნის თვალსაზრისით ორივე სახელმწიფო ერთნაირია და მდიდარი.სახელმწიფოების დიდი ნაწილი ტროპიკულ ჯუნგლებსა და სავანებს უჭირავთ.მდინარეები წყალუხვია, რაც წვიმიანი პერიოდების დიდი სიხშირითაა გამოწვეული.ამან, სხვა ფაქტორებთან შერწყმით, ამ ქვეყნების განსაკუთრებული კლიმატი შექმნა.ისტორიული ძეგლებით არცერთი სახელმწიფო არ გამოირჩევა, მაგრამ ორივე მათგანი საინტერესოა ნაციონალური შემადგენლობის თვალთახედვით. თითქოსდა, მარტივ ქვეყნებში მოგზაურობაც მარტივი უნდა ყოფილიყო!

წარმოიდგინეთ, ეს ასე არ აღმოჩნდა... ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის, ქალაქ ლაგოსში შესვლისთანავე მუზეუმში ვხვდები, სადაც მორიგი საინტერესო ისტორია მელის...

ნიგერია ყველაზე ხალხმრავალი სახელმწიფოა აფრიკაში... მისმა ბუნებრივმა პირობებმა იგი ფაუნით მდიდარ სახელმწიფოთა სიაშიც შეიყვანა... პარადოქსია – შესანიშნავი ბუნებრივი პირობებისა და მადნეულით მდიდარი ქვეყანა ერთ-ერთი უღარიბესია მთელ კონტინენტზე. ეს გასაკვირი ამბავია, თუმცა ფაქტია. მოსახლეობის გამრავლებით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს აფრიკაში... სამწუხაროდ, სიკვდილიანობითაც ერთ-ერთია.

გაგრძელება იქნება

ხელოვნება

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ნამდვილი ამბავი

ოჯახი

დრამატული პიესა VI მოქმედებად ვუძღვნი ჩემს უსაყვარლეს ბებიას – ანნა შუმანს (დედის დედას) და აწ გარდაცვლილ მშობლებს გრიშა (გრიგოლის – გარდაიცვალა 1995 წლის 2 იანვარს) და ელენეს გარდაიცვალა 2015 წელს 28 მარტს) – მათი შვილი და შვილიშვილი – მზიური (მზექალა) დათიაშვილი – აფ-ციაური.

მოქმედება I

სურათი I – 1991 წ.

(სცენა წარმოადგენს: სახლს სოფლის ეზოთი ასპინძაში. თენდება. საწოლ ოთახში სძინავთ დედას და მამას. კედელზე ათინათი ცხადდება...)

ხმა – ილოცეთ! მხოლოდ ლოცვა გადაგარჩენთ!

გრიშა – (იღვიძებს) დიდება უფალს! (გაოგნებული უყურებს გამოსახულებას კედელზე).

ელენე(დედა) –(ლოგინიდან წამოიწევს) რა იყო გრიშა, რას ამბობ? (ათინათი ქრება)

გრიშა – უფლის ანგელოზი გამომეცხადა, ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს? (პირჯვარს იწერს) – უფალი ჩვენთან არს!

ელენე – არს და იყოს! (პირჯვარს გადაიწერს, ლოგინიდან დგებიან)

გრიშა – ძნელბედობა დაატყდა საქართველოს. მტრობამ და ღალატმა მოიცვა ყოველივე. ხსნას ვეძებ და აი, ვიპოვე კიდეც, დიდება უფალს, ყველამ უნდა ვილოცოთ!

(ორივე ლოცულობს: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელთა, არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ! (მუსიკა: საგალობელი „შენ ხარ ვენახი დაბალი ხმით)

ელენე – ღვთისმშობელო მარიამ, გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა, ამინ!

(ამასობაში თენდება: ისმის მამლის ყივილი, ძროხის, ხბოების ბღავილი ბატკნების, ცხვრების; ძაღლის ყეფა, ქათმების კრიახი (საგალობელი იცვლება ხალხური მოძახილით)

„დილა არის ცა-ლაჟვარდი და...

მზისა სხივით იფერება და...

გამოიღვიძა ქვეყანამ

სამეჯლისოდ ემზადება და...

ელენე – გათენდა კიდეც, ახლა რას აპირებ სკოლაში მიდიხარ?

გრიშა – რა თქმა უნდა, საზოგადოების გარეშე ცხოვრება არ არსებობს. ყველას წრფელად მოვუყვები ამ გამოცხადების შესახებ, გამიგებენ და გამომყვებიან.

ელენე – (ფუსფუსებს, სამზარეულოში სუფრას შლის) საუზმეს გაგიმზადებ, უჭმელი ხომ არ წახვალ?

გრიშა – ელენე, იქნებ ბავშვებს უდეპეშო, საშობაოდ გვეწვიონ, მე ველარ მოვიცლი დღეს.

ელენე – კი გენაცვალე, შენ გაგისტუმრებ სკოლაში, მერე ეკლესიაში გადავალ და დაბრუნებისას ფოსტაში შევივლი (აგრძელებს სუფრის გაშლას)

გრიშა – (თავისთვის) თესლი დროზე და ნოყიერ მიწაზე უნდა დაითესოს, რომ ნაყოფი გამოიღოს, როგორც უფალი ამბობს, და რაც ასე ძლიერ ჭირდება დღეს საქართველოს. (შეჭამს და მიდის).

სურათი II

(ისევ საწოლი ოთახი. სძინავთ. უცნაური მოვლენის აღმნიშვნელი მუსიკა: საგალობელი) კედელზე ანგელოზის გამოცხადება.

ხმა – უნდა შეძლო, უნდა ააშენო.

ამბერგი (სიძე) – ჰა? (წამოიძახებს) დიდება უფალს! (პირჯვარს იწერს) – მერი! (ეძახის)

მერი (შვილი გრიშასი) – რა მოგივიდა ადამიანო! (ახალგაღვიძებული ხმით)

ამბერგი – აი, აქ კედელზე (უჩვენებს) - ... უცნაური ხმა ჩამესმა (დგება და იცმევს). თითქოს ჩვენს გუშინდელ საუბარს პასუხი გასცაო. ამ გოგოს ღვთის ნათელი ხომ არ დასდევს?! – როცა ჩემი განზრახვა გაიგო, დაგვაძალა კიდეც: „დაიწყე ეკლესიის მშენებლობა და ღმერთი მოგცემსო.

მერი – (იცვამს, პირჯვარს იწერს) დიდება შენ სახელს უფალო! – მზიაზე იძახი? მართლაც სასწაული გოგოა, თითქოს შენს გულში ზისო. არასდროს არ ემონება გაჭირვებას. ყოველთვის ღმერთის იმედი აქვს. ბავშვობიდანვე ღვთის მოშიში და მოყვარულია. სულ მუდამ ჩაფიქრებულს, მამაჩემი ეუბნებოდა: „ისე იქცევი, თითქოს ქვეყნის ნაღველი შენ დაგწოლიაო“

ამბერგი – მაინც, რას უნდა ნიშნავდეს, ეს უცნაური ხმა: „უნდა ააშენო, უნდა შეძლო! – ო?! (პაუზა) – უნდა დავიწყო ეკლესიის მშენებლობა, მაგრამ 5 მანეთით? როგორ? (ორივენი პირჯვარს იწერენ, იჩოქებენ ხატის წინაშე, სანთელს ანთებენ და ლოცულობენ) – დიდება უფალს! (გალობა: „წმინდაო ღმერთო... წმინდაო ძლიერო, წმინდათ უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ!..

მერი – ჰო, მართლა, დეპეშა მივიღეთ, საშობაოდ ჩამოდითო, რამდენი ხანია არ ვყოფილვართ, გავახარებთ ელენას და გრიშას.

ამბერგი – ძალიან კარგი, წავიდეთ და ეს ამბავი მშობლებსაც შევატყობინოთ. საინტერესოა მათი აზრი, ავღნიშნოთ 1991 წლის 7 იანვარი. (საგალობელს დაბალ ხმაზე ცვლის იდილიური, ყოფითი მუსიკა)

სურათი III

სცენა სოფელში. თოვს

გრიშა – (ზის მაგიდასთან კითხულობს, წერს) – კაცმა არ იცის (ხმამაღლა) რა გელის ცხოვრებაში. ვინ მოიფიქრებდა, რომ მზია პოეტი იქნებოდა ნახე რას წერს (იხედება ელენესკენ, ელენე ქსოვს) კითხულობს ლექსს:

„ქმედება არის საწყისი მისი,
ჭეშმარიტება მისი სულია,
არსებობა თუ გინდა ამქვეყნად.
ერთი იცოდე: სიბრძნე თქმულია:
დროს უნდა მიჰყვე და დროთი მართო,
არსებობა ხომ დროის წულია,
ეცადე სწრაფად, სხვამ არ დაგასწროს
სიცოცხლე არსთა სასწაულია.

– მზია ბავშვობიდანვე დამოუკიდებელი აზროვნებით გამოირჩეოდა,

– სახარებაში წერია: „ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი“...

– დაილოცოს ღმერთო შენი განგება! – რაღაც იდუმალებაა მასში, ეკლესიებში დადის, ძალიან იტაცებს ღვთისმოსაობა.

– სახარებაში ვკითხულობთ: „იესო ქრისტე, ჩვენი მაცხოვარი თვითოეულს გვეუბნება: „მე ვარ ჭეშმარიტი გზა მიმავალი მამა ღმერთთან, და მასთან მიახლოება, მხოლოდ, ჩემით არის შესაძლებელი.“ – გარეგნულად, ყველას სჯერათ ღმერთის, ეკლესიები გაჭედილია მლოცველებით, თვით „უბრწყინვალესი“ საზოგადოებაც არ უარყოფს მას. მაშ, რატომ ხდება რომ ძარცვავენ, ანგრევენ, ღალატობენ და რავიცი, კიდევ რას არ გაიგებს კაცი? – რატომ ყველას არ სჯერა უზენაესის სიმართლისა? – გამოდის რომ ხალხი ისევ არაა ერთმორწმუნე, როგორც ეს ორიათასი წლის წინ იყო, როცა დაიბადა მაცხოვარი.

ელენე – საოცარი ისაა, რომ შენ, ასე დაჯერებულს, კვლავ არ გჯერა მოღალატეობისა, რომელმაც თვით ქრისტეც კი იმსხვერპლა. შენ გსურს ყველა შენსავით ემორჩილებოდეს ღვთის ზეციურ მადლს და კმაყოფილდებოდეს მხოლოდ მისი ბოძებულით. მაშ, რატომ შექმნა განგებამ:

ადამიანი – ადამიანის; ადამიანი – ძაღლის, და ადამიანი – ვირის სახით? – ეს ხომ შენგან გამიგონია, ან რატომ შთაუნერგა მათ შესაბამისი თვისებები?...

გრიშა – მართალი ბრძანდებით, ქალბატონო ელენე! – ვფიქრობ, ალბათ ეს არის ჩვენი მიწიერი ფილოსოფია. (ნაძვის ხეზე სათამაშოს ატრიალებს ხელში)

ელენე – (სუფრას შლის) მალე დადგება შობა. რა საოცრად დიდი და ნათელი ღამეები იცის ამ დროს. ცა ვარსკვლავებით იჭედება, მთვარე კაშკაშებს, ისეთ ნათელს გამოსცემს, რითაც დაბადებას ამცნობს ქვეყანას.

გრიშა – დაილოცოს ბუნება, მართლაც დიდებულია (ფანჯარაში გახედავს ცას, პირჯვარს იწერს) ზეცის ბრწყინვალება.

– მხოლოდ ბრწყინვალე და ტიტანურ ბუნებას შეუძლია ბრწყინვალე და ტიტანური ადამიანების წარმოშობა, რომელთაც რკინისებურ ძალებს დაანათლავს ხოლმე. ამას კი საუკუნეთა მოვლენები უსწრებს წინ: უაღრესი ტრაგედია ადამიანებისა, რომელნიც უკეთ შეიცნობენ იდილიური ცხოვრების სიტკბოს. ამიტომაც გვასწავლის სახარება: „იყუენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი და უმანკო, ვითარცა ტრედნი“.

ელენე – მაგრამ ითვალისწინებს ამას ვინმე? – ხალხი ბრბოა... – ნეტავ რატომ იგვიანებენ ჩვენი შვილები?

გრიშა – ხომ დარეკეს შობისთვის ჩამოვალთო. გავხედავ (ეზოში გადის).

მზია – (ხმა) მამა, დედა! – მოვედით! . .

თემური – (ეზოს ჭიშკართან ხვდება) – ჩამოვიდნენ! ჩამოვიდნენ! – როგორ იმგზავრეთ... (მობრუნდება სახლისკენ და მამას ხედავს). შებინდებულია საღამოს 8 საათია.

გრიშა – ო, ჩემო კარგებო, ჩემო ვალიკო და მზია, მერი და ამბერიკი, რა კარგია ბავშვებიც რომ წამოგიყვანიათ. როგორ დავაჟკაცებულხარ ჩემო ჯარმოვლილო უფროსო შვილიშვილო ჩემო ვასილი. გიორგის ჯერკიდევ ბავშვურობა ახასიათებს (ძაღლს აღიზიანებს) ჰკოცნის მას და ზაქარიას. ჩემო ანცო ბიჭო, ხომ იცი ზაქარია ვისი სახელია? მაგ სახელს გაფრთხილება უნდა. აბა, (ყველას ხელს ხვევს) შინ შევიდეთ, დედათქვენი, თემური, ოჯახით, ოჯახით გელით.

ელენე – მოდით შვილებო, ყველას ერთად ჩაგიკრავთ გულში (ეხვევიან, ჰკოცნიან და ოთახებში ჟრიამულით ნაწილდებიან)

ვალიკო – ჯენერი კვლავინდებურად იგვიანებს, თუმცა (საათს შეხედავს) ჯერ კიდევ დროა.

(ძაღლი ჰყეფს, ეზოში ვიღაც შემოდის)

თემური – მგონი კიდეც მოდის (იცინის, კარებს აღებს) ისმის ჯენერის როყიო ხმა, – გილოცავთ შობა-ახალწელს მხიარულად შემოდის ოჯახთან ერთად. ამ დროს 12:00 საათი რეკავს)

ელენე – აბა ყველა სუფრასთან (ყველა თავის ტრადიციულ ადგილს იკავებს) ავსებენ სასმისებს.

გრიშა – ჩემო ძვირფასებო და საყვარელო შვილებო! მე ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ბედნიერი შობა გამითენა და ყველა ერთად შეგვყარა. დღეს დიდი ბედნიერებაა ამქვეყნად. ახალი ერის დასაწყისის 30 წელს დაიბადა იესო ქრისტე და ის ამ დღისათვის ყოველთვის ახალი ძალით, ახალი იმედით იბადება და სიხარული შემოაქვს ყველა ქრისტიანის ოჯახში. – დიდება უფალს! (ისმის საგალობელი. ყველა მღერის

„... ოცდა ... ოცდახუთსა დეკემბერსა,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო და ...
ანგელოზნი იგალობდნენ ახარებდნენ ედემსაო და
ჩიტი, ჩიტი ღობეზე შემოჯდა, იძახოდა ქრისტეშობასა
ალათასა, ბალათასა, ხელი ჩავყავ კალათასა
მე თუ ვერა ვიშოვე რა, ღმერთი მოგვცემს ბარაქასა.

ელენე – შენ დალოცე გამჩენო ყველას ოჯახი და მერე მოჰფინე მადლი შენი ჩემს დიდ ოჯახს. მოუმართე ხელი ყველას, როგორც აქამდე, ამის შემდეგაც თავის შრომით მონაწური ოფლით შექმნან ცხოვრება და შენს მიერ მონიჭებულ სიხარულში გაატარონ იგი.

ვალიკო – ახალი, უჩვეულო ამბავი მინდა გამცნოთ (სიჩუმე ჩამოვარდება) ამბერგის ანგელოზი გამოეცხადა, და უთხრა: „შენ უნდა ააშენო, შენ უნდა შესძლოო! “ მას მართლაც გულში აქვს ტაბახმელაში, ძველ სამაროვანში დანგრეული ეკლესიის აღდგენა. შენ რას ურჩევდი მამა?

გრიშა – დიდება უფლის ნებას! თავს ვიკავებდი მეთქვა და რახან თქვენ უკვე შემზადებულხართ, მინდა გამცნოთ უფლის მოწოდება: „ილოცეთ, მხოლოდ ლოცვა გადაგარჩენთო!“ ყველა – (გაკვირვებით) ააა!...

გრიშა – დიახ შვილებო, დღეს საქართველოს უჭირს, უჭირს განურჩევლად ყველას, და რომ არ დაეცეს სულით მთლად საქართველო ღმერთმა მოგვიწოდა და ამ ძვირფასი მისიის შესრულება ჩვენ, ხალხს დაგვავალა. ასეთი ნიჭი ხალხს ღვთისაგან ენიჭება, ყველა ვერ შეძლებს ამას ღმერთმა ამბერგის და თქვენი სახით აგირჩიათ ქვეყნად სიკეთის მთესველად. ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ ამ დიდი მისიის შესრულებას. იყავნ ნება შენი უფალო, ღმერთი ჩვენთან არს!

– არს და იყოს!

მერი – ამბერგი დიდი ხანია ფიქრობს ეკლესიის აშენებაზე, ის უკვე მოელაპარაკა ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს – ილია მეორეს და ეკლესიის მაკეტიც, შეუკვეთა.

ჯენერი – გილოცავ ძმაო! (წამოხტება) ასეთი კეთილი საქმის დასაწყისს. ჩვენს ოჯახს, ჩანს, ღმერთმა მადლი გადმოაფინა.

ვალიკო – გილოცავ! (გადაეხვევა) ქვისლო, მეც შენს გვერდით ვარ.

თემური – გამოცხადების ასეთი დამთხვევა ერთი ოჯახის წევრებთან?! – რაღაცას უნდა მოასწავებდეს. ეს მართლაც საოცრებაა.

გრიშა – ხომ გეუბნებოდი ელენე, ბუნება საოცრებებით არის-მეთქი სავსე. უცბად ისეთ მოულოდნელობებს წარმოშობს, თავადვე გაგაკვირვებს, ხან უაღრესად გაგახარებს. ამჯერად კი ჩვენთა ნაყოფთა ჭვრეტით თუ ხვდები, რაოდენ დიდი სიხარული მოგვანიჭა ღმერთმა! (ხელებს მაღლა სწევს) უფალო იდიდოს შენმა სახელმა. წარუძეღ მათ ამ საქმეში.

ამბერგი – ვიცი ეკლესიის მშენებლობა არც ისე ადვილი საქმეა, მაგრამ გული მეუბნება მის ჩქარა დაწყებას. ასე მზიას (ღიმილით გადახედავს) დიდი ღვაწლი მიუძღვის მის დაწყებაში. როცა ეს ამბავი ვუთხარით, სტუმრად მოსულმა მაშინვე ღმერთს აღაპყრო ხელი და მითხრა: „დაიწყეთ და ღმერთი შეგეწევათო!”

გრიშა – ეკლესიათა მშენებლობით საქართველო ოდითგანვე განთქმული იყო. მსოფლიოში მან წარმოშვა ისეთი კორიფეები: პეტრე იბერის, იოვანე პეტრიწის, მიქაელ მოდრეკილის, იოანე ათონელის, დავით გარეჯელის, არსენ იყალთოელის, გრიგოლ ხანძთელის, სტეფანოზის და სხვათა და სხვათა, რომ ამაზე დიად საქმეს, კაცი ვერც მოკიდებს ხელს, მით უმეტეს, როცა განგებას სურს შენ აკეთო ის.

ღვთის რჩეულთ, რჩეულთა ბედი აქვთ. ჩვენ კი მონათ და მხევალთ ღვთისათა, ღმერთმა შთაგვაგონა და პატივი დაგვდო, ვადიდოთ ლოცვით საქმენი კეთილნი. (შეუმჩნევლად გადიან ზაქარია და გიორგი) ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ყველა – ამინ!

ელენე – (გვიანი ღამეა, ეძახის) გიორგი, ზაქარია (შემობრუნდება) ბიჭები არჩანან, არაფერმა შეაშინოთ.

ვასიკო – მე მოვძებნი, ბები! (გარბის) (ბაღის სიწყნარეში გიორგი და ზაქარიას ლოცვის ხმა ისმის: „მამაო ჩვენო, რომელიხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა პური ჩვენი არსობისა მოგვეც დღეს ჩვენ და მოგვიტევენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ! (პირჯვარს იწერენ)

გიორგი – (ხმა) მოუმართე ხელი ამბერგი ბიძიას ეკლესიის მშენებლობაში, ღმერთო მაღალო! (პირჯვარს იწერს)

ვასიკო – (ღიმის, უხარია) ითხოვდით და მოგეცეთ თქუენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ნათქვამია ღვთისაგან.

გიორგი – შენც აქა ხარ ძმაო?

ზაქარია – ვასიკო, ჩვენ ჩუმად გვინდოდა უფლისთვის გვეთხოვა.

ვასიკო – (ულიმის, ხელებს მოხვევს ორივეს) – უფალი შეისმენს თქვენს ლოცვა-ვედრებას. ახლა კი სახლში, გეძებენ. (შედიან ოთახში) – აი, ესენიც. გარეთ, ბაღში ვნახე, ცას შესცქეროდნენ.

გრიშა – რაო, ბიჭებო, რომელ ვარსკვლავს დაჰყვებოდით ცაში (ეტყვის ღიმილით) (გიორგი და ზაქარია ატუზულებივით დგანან, ერთმანეთს გადახედავენ, მერე ვასიკოს შეხედავენ თვალე-

ბით, არ გაგვთქვაო). (პაპა გრძნობს მათ მზერას და ხვაშიადს არ უტეხს)

– (იღებს სასმისს) მე მინდა ჩვენი პატარების სადღეგრძელო შევსვა. გაუმარჯოს ჩვენს მომავალს ზაქარიას თამადობით!

ყველა – ერთად ადღეგრძელებენ ბავშვებს.

(რელიგიურ-იდილიური მუსიკა იცვლება და ნელ-ნელა შემოდის მოცარტის სონატა)

გრიშა – ახლა ჩემო საყვარელო შვილებო, მსურს განსაკუთრებული სადღეგრძელო შევსვა, დედათქვენის – ელენე გრიგოლის ასულისა. ამ ქალის ვინაობა ყველამ არ იცით. ის არამარტო ჩემი ერთგული მეუღლე და შვილების დედაა, არამედ სხვა ქვეყნიდანაა გადმოფრენილი.

ვასიკო – ეს როგორ?

გრიშა – კი, პაპა, ეს იყო 1914 წელი, დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, (სცენა იცვლება. სცენის სიღრმეში I მსოფლიო ომის ამსახველი ფონოგრამა)

(ხმა განაგრძობს, მარსელიოზა) და ომის მუსიკა, ბრძოლის ხმა და კადრები) რომელშიც 38 იმპერიალისტური ქვეყანა ჩაება. მობილიზებული იქნა 70 მილიონზე მეტი ადამიანი. დიდი ბაბუა გრიგოლიც, ელენე ბებიას მამა, მათ რიცხვში იყო რუსეთის მხრიდან. ბრძოლები გამძაფრდა რუსეთ-უკრაინასა და აღმოსავლეთ პრუსიას შორის არავინ იცოდა ვისთვის და რისთვის იბრძოდა. უმოწყალოდ იღვრებოდა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი კარპატებში და ალპებში და ცას შესჩუხჩუხებდა. ვეღარ გაუძლო ბუნებამ (გამძაფრებული ბრძოლის კადრები) უცბად, შეწყდა ქვემეხთა გრიალი და ტყვიის წივილი, სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა ირგვლივ ყველა და ყველაფერი. უცბად გადაიკრიფა ტყვია-წამლის ბურუსი, ცა გაცისკროვნდა უჩვეულო შუქით და დედა მარიამ ღვთისმშობელი პატარა იესოთი გამოჩნდა ზეცაში. (ვგონებ შესაძლებელია ამ სცენის მოწყობა).

– (ხმა) – ყველა გაოგნებული და განცვიფრებული შეჰყურებდა ამ სურათს (აქ უცნაური მოვლენის აღმნიშვნელი საგალობელი მუსიკა მძაფრდება „ავე მარია”)

I ხმა – დიდება უფალო შენდა! (წამოძახილი გერმანულ, იტალიურ, რუსულ, გრანგულ ენებზე)

II ხმა – ღვთისმშობელი იესო ქრისტეთი!

III ხმა – დიდება უფალო!

გრიშა პაპა – ხმა – ხალხი ერთბაშად მიხვდა ქვეყნად სამშვიდობოდ მოსული ღმერთის სასიკეთო მისიას. (გამოცხადება ნელ-ნელა უჩინარდება ღრუბლებში) (მუსიკა ნელდება) (მეომრები ყრიან იარაღს მიწაზე, წამოიჭრებიან და მირბიან ერთმანეთის შესახვედრად და ერთმანეთს ეხვევიან, იცინიან, ტირიან, და ა. შ.

გრიშა პაპა (ხმა) – და ეს უცხო ქვეყნის (სცენა ნათდება, ყველა სულგანაბული უსმენს) უცნობი ადამიანები, რომლებიც წუთის წინ ერთმანეთს სასიკვდილოდ არ ინდობდნენ, ახლა ძმურად და მამაშვილურად ეხვეოდნენ და გულში იკრავდნენ ღვთისაგან ბედად გადარჩენილთ.

გულნაზ ხარაიშვილი

ძველი და ახალი თაობა

პიესა

ირაკლი – თბილისის საჯარო სკოლის IV კლასმა ექსკლუზიურად, სიურპრიზის სახით წარმოგვიდგინა მინი სპექტაკლი, რომელიც რამდენიმე წლის წინ სატელეფონო საუბრისას ჩაიწერა ქალბ. ციურიმ. მან მის უნიჭიერეს მეგობართან ფსიქოლოგ ქეთი მელქაძესთან ერთად განახორციელა ჩემი ექსპრონტად დაწერილი პიესა.

ვანო – ამ სპექტაკლში ჩემი სიტყვები ნათლად ასახავს სულის ტკივილით გამოწვეულ ზოგიერთი ახალგაზრდის დამოკიდებულებას ოჯახის, საზოგადოების საკუთარი თავისა და მომავლის მიმართ.

მაშ, ასე ძველი და ახალი თაობის განსხვავებული შეხედულებები.
გთხოვთ ყურადღებით მოუსმინოთ თითოეულ დეტალს.

ლიზი – მოხუცი ქალი, შედის ერთ ბაღში სკვერში და ჯდება ჩაფიქრებულია, ჩამოივლის მეორე მოხუცი ქალი.

ლიკა – გაიგე ახალი ამბავი?

ანი – რა ამბავი რა მოხდა თებროლე

ლიკა - რა და ჩვენი მეზობელი რომაა მაკრინე მისი შვილი ნიკა გაიპარა ძილში

– თებროლე ჭკუიდან არ გადამიყვანო, რას ნიშნავს გაიპარა, რასაა რომ ამბობ, წესიერად ამიხსენი.

– იმ დასაწვავი ავადსახსენებელი წამლის ჭარბი დოზა მიუღია და დაღუპულა.

ლიკა – ვაი მისი დედის სიცოცხლეს ეს რა დამართნია დარჩა შვილიშვილების ობლად, ისინიც კი მისი საპატრონო გახდა.

ანი – აბა, აბა, რძალი, საზღვარგარეთ არის წასული სამუშაოდ, ჰოდა, მისი გამოგზავნილი ფულით ყიდულობდა ალბათ, შვილები სულ არ ანაღვლებდა.

ლიკა – ვაიმე, ვაიმე, რა დრო დაგვიდგა, შემოდგომის ფოთლებივით ცვივიან ეს ახალგაზრდები.

(ამ დროს გამოდიან ახალგაზრდები დახეული ჯინსებით)

ნატა – რა გატირებს ბებო, რა დროს ფოთოლცვენაა, ძლივს გაზაფხული მოვიდა და დათბა.

ანი – დედა მომიკვდეს თავი, რამ დაგიფლითა ეს შარვალი შვილო დანა არ სამართებელი ხო მარ დაგისვეს მაგ ფეხებზე რას გავხარ, მითხარი ვინმემ, ხომ არ მოგაყენა შეურაცხყოფა ახლავე, ახლავე პატრულს დავურეკავ.

– გოგონა დაბნეული უყურებს და ხმას არ იღებს.

ანი – რას გაჩუმებულხარ გოგო. ხომ არ დაგამუნჯა ჩემმა გამჩენმა, ხმა ამოიღე.
სიცილი აუტყდებათ.

ნატა – რას ამბობ ბებო ეს მოდაა ასეთი, იცი, რა ღირს ეს შარვალი?

ანი – არ გადამრიო შვილო, რას მეუბნები, ფული ღირს ეს ძონძი?

გიო – ახლა ყველა ასე იცმევს, ასეთი ჯინსები დღეს ძალიან მოდურია

ანი – ვაი, უბედურო საქართველო, აღარაფერი ტრადიციული აღარ შემოგვრჩა, მიმბაძველობას გადაურევია ეს საზოგადოება.
ახალგაზრდები ხელს აუქნევენ და სიგარეტს მოუკიდებენ. ამის დანახვაზე ქალი სულ გადაირევა.

ანი – რას აკეთებთ შვილებო რას, სად არიან თქვენი დედები

ყველა – საზღვარგარეთ საზღ-ვარ-გა-რეთ.

ანი – მერედა ამ შარვლების მეტი ვერაფერი ნახეს? რომ გამოეგზავნათ, ან მაგ სიგარეტს რომ უქიშინებთ, ეგეც საზღვარგარეთიდან გამოგიგზავნათ?

ყველა – არა სიგარეტი აქ ვიყიდეთ.

ანი – მერედა შვილებო დედის ნატანჯი ხელებით ნაშოვნი ფული სიგარეტში უნდა ჩააფერფლოთ? დედები იმიტომ წავიდნენ რომ თქვენი ჯანმრთელობა კვამლში ამოზილოთ?

– უჰ რა უნდა ამ ქალს

– არაფერი მესმის

– რაებს ბოდავს

– წავიდეთ, გავეცალოთ.

ანი – უყურე ამათ, რა დღეში არიან ამ ახალგაზრდებს თავისი პრინციპი და საკუთარი მეც არ გააჩნიათ, ერთმანეთი აიყოლიეს და არაფერი პატრიოტური აღარ შემორჩათ.

ლიკა – მაგნაირები იცი რამდენი დადიან

ანი – მაგიტომაა რომ ვტირი ჩემო ელპიტე
(ჩამოივლის მოკლე კაბით გოგონა)

ანი – ბიჭები არ გადამირიო გოგო, დედა არ გყავს? ასე როგორ გამოგიშვა გარეთ.

მეგი – დედაჩემი საზღვარგარეთაა და საერთოდ რა თქვენი საქმეა რას ჩავიცვამ.

– წიგნი,

– წიგნი, იკითხეთ შვილებო წიგნი.

– წიგნი? წიგნი რად გვინდა რა საჭიროა, როცა კომპიუტერში ყველაფერია რაც გვინდა.

– ჰოდა, იმ ეშმაკისეულს აყოლილხართ შვილო წახდა ახალგაზრდობა, ამიტომაცაა საქართველოში ფოთოლცვენა.

ლუკა – ეეე, ნუ ილანძღები ქალბატონო

– გალანძღული არა ხართ ტიტვლები რომ დადიხართ

ირაკლი ჯ. – მეტი საქმე არა მაქვს წიგნი ვიკითხო, რა ნიკოლოზის დროინდელი აზრები გაწუხებთ, რატომ რატომ არ გინდათ, რომ გაიგოთ მოდაა ასეთი, მე კი არ მომიგონია.

ლიკა – იმიტომაცაა, ეს ახალგაზრდები ჩემო თებროლე მოჟარული ფოთლებივით რომ ეფინებიან ძირს, იწამეთ ღმერთი, დაუბრუნდით ტრადიციებს, მამაპაპისეულ ტრადიციებს, სხივისი სხვამ ჩაიცვას, თქვენი თქვენ გიყვარდეთ შვილებო.

(შემოდიან ახალგაზრდები „წიგნის მეგობრები“)

ანი – თქვენ გაიხარეთ შვილებო, თქვენ დაბერდით თეთრი ჭაღარით, 100 წელი იცოცხლეთ ყველამ, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, არ გადაგვარდება თქვენნაირები გადაარჩენენ ჩვენს ქვეყანას გამრავლდით და გაიხარეთ, მოყარეთ სამშობლოს მის კუთხე-კუნჭულს, სათუთად მოეპყარით წინაპართა მონაპოვარს, ენას, ერის საუნჯეს გაიხსენეთ დიდი ილიას ნათქვამი: წიგნი სინათლეა, უწიგნურობა კი სიბნელე დღეს კი ეს წიგნი ჩივის:

ლიკა – ჩემო გაზაფხულის მერცხლებო, საიდან მოფრინდით, ვინ შეგკრიბათ ასეთი კარგები და სახელიც რა კარგი გქვიათ: „წიგნის მეგობრები“. თქვენ ბევრი ძალიან ბევრი უნდა გახდეთ, საქართველოს ყველა კუთხე უნდა მოიაროთ, გაზაფხული მოვა, ხეები ჯანსაღ კვირტებს გამოისხამენ, აფეთქდება ატმები, დატრიალდება სურნელი, ხვავითა და ბარაქით აივსება გლეხის ოჯახი, გაძლიერდება საქართველო.

ლუკა – მამულს ვუყურებ ოო ძლიერ დაღლილს,
ის მილამაზებს ფიქრს და ოცნებას

ვანო - ... ...
ჩემო გაზაფხულის მერცხლებო „წიგნის მეგობრები“ ვინ დაგარქვათ, საიდან მოდიხართ?

ელენე – ჩვენ თვითონ მოვიფიქრეთ, უწმინდესთან შევედით მან კი გზა დაგვილოცა

ანი – მისი დალოცვით მომავალ თაობას წინ არაფერი დაუდგება, სიმახინჯე წარსულს ჩაბარდა.

ლევანი – უწმინდესის რჩევა ჩვენს სულშია გამჯდარი
უფლის ხელით გადიდებთ
დგახართ იმედის მუხადა
ღმერთკაცად დაბადებული
სიკეთეს თესავ უხვადა.

ანი – თქვენ, მე, სიცოცხლე მაჩუქეთ, თუმცა, სიცოცხლე დროებითია, გარდაცვალება მარადიული, მარადიულ სოფელში ყველა წავა, ამიტომ სიცოცხლეს უნდა გავუფრთხილდეთ, ყოველდღე სიყვარულს უნდა ვაფრქვევდეთ.

– ღმერთო უშველე ჩვენს საქართველოს
ახალგაზრდობავ სულს მიშრიალებთ
შვილებიცა ხართ და ლურჯი ზეცაც
– ყველანი, გულის ძარღვში ტრიალებთ
მთვარეს გაჩუქებთ ვარვარა მზესაც.

ანი – თქვენ გაიხარეთ შვილებო, უწმინდესის გზას უნდა გაყვეს საქართველო, დღეგრძელი იყავით როგორც უწმინდესი ამბობს: უკუნითი უკუნისამდე...

ყველა – ამინ!

გოგი ფაცაცია

სიმონ ზაქარაია



ავტობიოგრაფია



გიორგი ლარიაშვილი დაიბადა 1959 წლის 26 ივლისს. ქ. თბილისში თევდორე მღვდლის № 12-ში. ყავს მეუღლე თამარ შონია და სამი შვილ და სამი შვილშვილი.

1983 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისს სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ქანდაკების სპეციალობით.

1983-1986 წწ. იყო მოსკოვის შემოქმედებითი სახელოსნოს ასპირანტი.

1983 წლიდან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

1986 წლიდან სსრკ მხატვართა კავშირის წევრი.

1990 წლიდა კი საერთაშორისო სამხატვრო ფონდის წევრი. 1988 წლიდან მუშაობს სამხატვრო აკადემიაში სამულიაჟო ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე.

1989 წლიდან კითხულობს ლექციებს ქანდაკების კათედრაზე, იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქანდაკების დეკორატიული ხელოვნების კათედრას.

გ. ლარიაშვილს პერსონალურად და მხატვართა ჯგუფთან თანაავტორობით დადგმული აქვთ ქანდაკებები თბილისში, მცხეთაში, ასევე მოსკოვში, ალმაათაში, ბუდაპეშტში, ვოლგადონსკში. იგი მონაწილეა, მრავალი რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებისა და კონკურსების. მისი ნამუშევრები დაცულია სხვადასხავ ქვეყნის მუზეუმებში და კერძო კოლექციებში, კერძოდ საქართველოში, რუსეთში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამხრეთ კორეაში, კანადაში, პოლონეთში, საფრანგეთში, ბრაზილიასა და სხვა ქვეყნებში.

გიორგი ლარიაშვილი დიდი ინტერესით მუშაობს რელიგიურ თემებზე. მისი ნამუშევრები დაბრძანებულია მრავალ ეკლესი- მონასტერში და სამლოცველოებში. იგი წერს ხატებს, მუშაობს ფრესკებზე და რელიეფზე.

2013 წლის 29 იანვარს გიორგი ლარიაშვილის თაოსნობით სამების ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყო გამოფენა მიძღვნილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის 80 წლისთავთან დაკავშირებით, სადაც მონაწილეობა მიიღეს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა, მათ შორის გიორგი ლარიაშვილმა.

2011 წელს გამოქვეყნდა გიორგი ლარიაშვილის ლექსები.

2006 წლიდან გიორგი ლარიაშვილი არის სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი. 2009 წლიდან არის „ფაზისისა“ და „ქალდეას“ აკადემიის ნამდვილი წევრი.

გიორგი ლარიაშვილს მინიჭებული აქვს ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია (2014 წ) და დიპლომი. კონკურსზე იაკობ გოგებაშვილის მემორიალის აღმართვისათვის ქ. გორში, რისთვისაც დაიმსახურა პრემია და ლაურეატის წოდება (1999 წ.)

ქანდაკება
ეძღვნება მოქანდაკე გიორგი ღარიაშვილს

სიტყვა ქანდაკების განმარტებისათვის, მოკლედ: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში – ქანდაკებული, ქანდაკი – ნიშნავს გამოყვანილს, გამოჭრილს, ამოჭრილს, ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ქანდაკება ხელოვნების ნაწარმოებია, გამოთლილი ქვისაგან ან ხისგან, გამოძერწილი – თიხისაგან, ცვლისაგან, ჩამოსხმული – ლითონისაგან და სხვა.

აქვე მინდა პატარა მოცულობის ამბავი ჩავრთოთ სიტყვა ქანდაკებასთან დაკავშირებით. მამაჩემი დომენტი ზაქარაია 1918 წელს დაბადებული აფხაზეთში, 23 წლის ასაკში სამამულო ომში გაიწვიეს. 1942 წელს ქერჩის ომში დაიღუპა. ჯარში წასვლამდე იგი პედაგოგად მუშაობდა მშობლიურ სოფლის (რეფი-შეშელეთი) საშუალო სკოლაში მასწავლებლად, თან დაუსწრებლად სწავლობდა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. სკოლაში მუშაობის დროს ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე, კოლეგა მასწავლებელ ქალბატონს მამაჩემი რაღაც საკითხზე გაუკრიტიკებია. საპასუხო კამათში მამა არ გამოსულა, მაგრამ რვეულის ფურცელზე ექსპრომტად პატარა იუმორისტული ლექსი დაუწერია და მისთვის მიურთმევია. აი ლექსიც: „ქალო ქანდაკებას გავხარ, გამოთლილი ხისგანაო, ბატის თავი რომ გაბია, როგორ მოხდა რისგანაო“. ის ქალბატონი შემდეგში ჩემი მასწავლებელიც იყო და მამაჩემის დაღუპვის შემდეგ ამ იუმორისტულ ლექსს სინანულით იგონებდა.

რუსულად ქანდაკებას პამიატნიკი ეწოდება, პამიატ – მახსოვრობა, ხსოვნა, ღირსახსოვარი, ასეთი გამოთქმები ჩემის აზრით ყველაზე უფრო რეალურად ასახავს ქანდაკების შინაარსს. ქანდაკებას ლათინურად სკულპტურა, ხოლო ბერძნულად პლასტიკა ეწოდება.

პირველი ქანდაკების შექმნა, მხატვრების მსგავსად უძველეს ეპოქიდან მომდინარეობს. პალეოლითისა და ნეოლითის ხანაში (ქვის ხანა) პირველყოფილი ადამიანი ქმნიდა ადამიანისა და ცხოველების გამოსახულებებს, რომელიც შორეულმა დროებამ შემოგვინახა გამოქვაბულებებში. ნეოლითის ხანაში ჩნდება პატარა მოცულობის კერამიკული ქანდაკებებიც.

ქანდაკების ფორმა, მოცულობა, მასში გამოსახული სახეები, მასალის ნაირსახეობა, მათი სრულყოფილება მთლიანად დამოკიდებული იყო ადამიანის შრომით საქმიანობასთან, იმ იარაღის ფლობასთან, რომელსაც იგი ქმნიდა განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ტექნიკის სრულყოფამ გამოიწვია იარაღის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხმარებასთან ერთად ბრუნვითი მოძრაობის გამოგონება, რომელმაც დააჩქარა ზოგადად ტექნიკის პროგრესი და მასთან ერთად ქანდაკებების ნაირსახეობათა შექმნა-სრულყოფა.

ქანდაკება სახვითი ხელოვნების ურთულესი დარგია, რომელიც მოიცავს ყველა მრგვალ და რელიეფურ გამოსახულებას. მისი სპეციფიკური ნიშანია – ვკითხულობთ ლიტერატურულ წყაროებში – სამგანზომილეობიანობა, ძირითადი თემაა ადამიანი, ასევე ცხოველიც და ბუნებაც (ნატურმორტი).

ქანდაკება მოიცავს ორ ძირითად სახეობას – მრგვალს, რომელიც ყველა მხრიდან აღიქმება და რელიეფურს, სადაც მოცულობითი გამოსახულება სიბრტყეზე მდებარეობს.

ქანდაკებები დანიშნულების მიხედვით სხვადასხვა სახისაა: მონუმენტური, მონუმენტურ-დეკორაციული და დაზგური.

მონუმენტურ ქადაკებებს ანუ ძეგლებს ჩვენ ვხვდებით მოედნებზე, ქუჩებში, პარკებში, დგამენ დიდ შენობებშიც.

მონუმენტურ-დეკორაციული (ვამშვენებ,ვალამაზებ) ქანდაკებები ძირითადად დაკავშირებულია არქიტექტურასთან, ხოლო დაზგური განკუთვნილია შენობების იტერიერებისათვის, იგი ადამიანის საშუალო სიმაღლეს ეტოლება.

ქანდაკებების საშენ მასალას ძირითადად წარმოადგენს ქვა, მარმარილო, ლითონი, აგრეთვე ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, სპილოს ძვალი, ხის მასალა და სხვა.

ერთი სიტყვით ქანდაკების მასალა ფაქტობრივად შეუზღუდველია თიხითა და ცვილით დაწყებული, ქვის უმტკიცესი სახეობით დიორიტითა და ბაზალტით დამთავრებული. მათ არჩევენ მხოლოდ იმის მიხედვით თუ რომელი მიმართულებითაა განპირობებული ქანდაკება.

რომელ ქვეყნებში და რომელ ეპოქებში ბრწყინავდა ქანდაკება

როგორც ავღნიშნეთ, კლასობრივი საზოგადოების შექმნამ, მონური შრომის მოზღვავებამ, ტექნიკის სრულყოფამ, საერთო ცივილიზაციის მაღალმა დონემ სტიმული მისცა ხელოვნების დარგების და მათ შორის ქანდაკებების სხვადასხვა სახეების განვითარებას. განსაკუთრებით ქანდაკების სრულყოფის მაღალი დონე აღინიშნებოდა ძველი აღმოსავლეთის ხალხთა და ანტიკური საბერძნეთისა და რომის ქვეყნების ხელოვნებაში – განსაკუთრებით აღზევდა კერპთაყვანმცემლობის პერიოდში. ძვ. წ III ათასწლეულში ქანდაკების ხელოვნება მთავარ დარგად იქცა ეგვიპტეში. ფარაონის განდიდებამ (მეფის ტიტული) გამოიწვია იერარტული ანუ წოდებრივი მონუმენტური ქანდაკების შექმნა, რომელიც დღევანდელ ადამიანებშიც უდიდეს განცვიფრებას იწვევს. ასევე შუმერსა და აქადში მაღალი ხელოვნებით იქმნებოდა ღმერთების ქანდაკებები, ასურეთში მეფის სასახლეთა რელიეფებში განსახიერებული იყო ნადირობისა და ბრძოლის სცენები, ფანტასტიკური ცხოველების კოლოსალური დეკორაციული ქანდაკებები, სპარსეთში მეფეთა სასახლეების რელიეფები, ურარტუში – ბრინჯაოს რელიეფები, ასევე ნაირსახეობის პლასტიკის ძეგლები და სხვა.

აქვე გვინდა მოკლედ შევეხოთ ანტიკურ საბერძნეთში ქანდაკებების ხელოვნების ეტაპების სრულყოფას, არქაიკის ეპოქიდან ახალ „მკაცრი სტილის“ ეპოქამდე.

ამ ახალ ეპოქაში ბერძენ მოქანდაკეთა მთავარი თემა იყო ჰარმონიულად განვითარებული, ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი ადამიანი, ოლიმპიელი ღმერთები. ერთი სიტყვით იმ ეპოქის მოქანდაკეთა ხელოვნებაში გამოვლინდა რეალისტური ძალა ანუ მხატვრულ სახეთა იდეალური სრულყოფა, ეს არის ძვ. წ. V საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრული. ბერძენი ოსტატები გაბედულად უარყოფენ არქაული ხელოვნების დოგმებს და სრულიად ახალ სტილს ნერგავენ. სიახლე ამაში ის იყო, რომ „მკაცრი სტილის“ მოქანდაკეებმა შეძლეს შეეცნოთ ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილებს შორის არსებული ანატომიური კავშირი, ანუ მარტივად რომ ვთქვათ მოახდინეს ქანდაკების „გაცოცხლება“, შეიქმნა ფართო ასპარეზი და შესაძლებლობა ქვაში რთული სახეებისა და წარმოდგენების განსახიერებისათვის. ქვაში გამოკვეთილი ქანდაკების ახალი მხატვრული სახეები სხვადასხვა მხრიდან შეხედვის შემთხვევაში მნახველს ეგონა, რომ ქანდაკების ცალკეული ნაწილები მოძრაობენ, გრძნობენ, განიცდიან... ეს იყო სახვითი ხელოვნების განვითარების უდიდესი სიახლე, რაც თანამედროვე მეცნიერებამ სრულიად სამართლიანად მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად აღიარა.

სწორედ ეს „მკაცრი სტილი“ გახდა უპირველეს ყოვლისა ფიდიასის მომავალი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებისა და აზროვნების კრედო. ასეთი იყო მის მიერ შექმნილი ქანდაკება – მარგალიტები: „ათენა პრომაქოსი“, „ათენა ლემნია“, ოლიმპიელი ზევსი, აკროპოლისი, პართენონი, სელენას რაში და სხვა.

უნდა ითქვას, რომ ფიდიასს ამ ბრწყინვალე და განუმეორებელ ხელოვანს უდაოდ ჰყავდა ღირსეული მასწავლებლები, რომლებისაგან მან ბევრი ისწავლა და შეიძინა. ისინი იყვნენ – ჰეგიადესი, აგელადესი, კრიტიასი, ნესიოტისი, მისი უფროსი ერთგული და მფარველი მეგობარი პერიკლე, მისი თანამედროვე დიდი ხელოვანი მირონი.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფიდიასმა ოლიმპოს ღმერთებისა და ეპონიმ – გმირების გვერდით გამოსახა ჩვეულებრივ მოკვდავი ადამიანის, ბერძენი მოქალაქისა და მხედართმთავრის, სპარსელ დამპყრობლებთან გადამწყვეტი ბრძოლის დროს გამარჯვების სულისჩამდგმელი მილტიადეს ქანდაკება. ასევე ფიდიასის ადრეულ ნაწარმოებთა შორის (დაახლ. ძვ წ. 475 წ) აღსანიშნავია აპოლონის ქანდაკება, რომელიც გადმოცემის თანახმად ათენში აკროპოლისზე ყოფილა აღმართული. ასე რომ ფიდიასს უდიდეს ნიჭთან ერთად საკმაოდ საფუძვლიანი გამოცდილება ქონდა მიღებული რათა ხელოვნებაში სასწაულები მოეხდინა.

ფიდიასის მიერ შექმნილი რამდენიმე ქანდაკების შესახებ – „ათენა პრომაქოსი", „ათენა ლემნია" და „ოლიმპიელი ზევსი"

სპარსელი დამპყრობლების განადგურების შემდეგ, ბერძნები ორგანიზებულად შეუდგნენ დანგრეული, გადამწვარი და გაძარცვული ქვეყნის აღორძინება-აღდგენას, რისი დიდი პოტენციალიც მათ აღმოაჩნდათ. ხალხის უპირველესი მოთხოვნა იყო აკროპოლისის აღდგენა, რადგან ათენელთა წარმოდგენით ის იყო მათი სიამაყე, წმინდათა-წმინდა ადგილი. სახალხო კრებამ დაადგინა, რომ აღდგენილ აკროპოლისის ცენტრში უნდა აღმართულიყო „ათენა პრომაქოსის" (ათენა ქალწული) გრანდიოზული ქანდაკება, რისი შესრულებაც კრებამ ახალგაზრდა ხელოვანს – ფიდიასს დააკისრა.



ათენა პართენოსი

ათენა ლემნია

ეს იყო მაშინ ფიდიასის ნიჭისა და ახლებური აზროვნების აღიარება. ხალხის ნება-სურვილის შესრულება მოხდა, არქეოპოლისის დამშვენება და იქ აღიმართა ის უკვდავი შედევრები ხელოვნებისა, რომლებზედაც დღესაც დიდი მოწიწებითა და სიამაყით აღნიშნავენ თანამედროვეები.

მაგრამ საუბედუროდ ისტორიული ქარტეხილების მძლავრმა ტალღამ ბევრ სხვა სიმდიდრეთა და განძეულობათა შორის ხელოვნების ეს უკვდავი ნიმუშებიც შთანთქა და გააქრო ამქვეყნიური ასპარეზობიდან, მათ შორისაა, ათენა პრომაქოსისა, ათენა ლემნიასი, ოლიმპიელი ზევსისა და სხვა ხელოვნების მარგალიტებიც.

მაინც როგორ იყო ის შედევრები და მათ შორის ათენა პრომაქოსის ქანდაკება ფიდიასის ეს დაუვიწყარი შედევრი? საბედნიეროდ მეცნიერ-მკვლევარებმა დიდი მცდელობების შედეგად მაინც აღადგინეს უგზო-უკვალოდ გამქრალი ქანდაკებების პირველი სახე. ერთ-ერთი ასეთი მცირე მოცულობის გამოსახულება შემონახულია მონეტებზე, სადაც კარგად ჩანს ფიდიასისეული ქანდაკების არქიტეტონიკული მთლიანობა და მათი ცალკეული ნაწილების იშვიათი პროპორციულობა. როგორც მემატიანეები გადმოგვცემენ კვარცლბეკზე აღამართული ათენა ქალღმერთის ქანდაკება ფიდიასს ისე დიდოსტატურად ქონდა გაკეთებული, რომ ხალხმა მისი ავტორიც და მისი ავტორიც და მის მიერ შექმნილი ქანფაკებაც თანაბრად შეიყვარა და განადიდა.

ბიზანტიელი მწერლის ნიკიტა ხონიატის გადმოცემით ქანდაკების სიმაღლე 9 მეტრს აღწევდა. იგი შესრულებული იყო ძვ. წ 465-455 წწ. შორის. ათენა პრომაქოს აკროპოლისში ერთგვარად გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და მთელი არქიტექტურული ანსამბლის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენდა. აკროპოლისის აღმოსავლეთ ნაწილში აღმართული იყო დიდებული ტაძარი, რომელსაც პართენონი ეწოდებოდა, ანუ ტაძარი ათენა–ქალღმერთ ქალწულის სახლზე. თითქმის ექვსი საუკუნის შემდეგ დიდი პლუტარქე წერდა „ეს ხელთუქმნელი ძეგლი მარად ჭაბუკური სუნთქვით გაჟღენთილი სულით უბერებელი დარჩა“.

ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით ათენზე მომდგარი მტერი უომრად უკუიქცაო, როცა ათენა ქალღმერთის მრისხანე სახე და პოზა იხილაო. ქალღმერთ ათენა-პრომაქოსის ქანდაკების აღმართვის შემდეგ დაახლოებით ძვ. წ. 450 წელს აკროპოლისზე აღიმართა ფიდიასის კიდევ ერთი ბრინჯაოს ქანდაკება ქალღმერთ ათენაზე. ეს ქანდაკება ფიდიასმა შექმნა კუნძულ ლემნიაზე გადასახლებულ ათენელ ბერძენ მოახალშენების თხოვნითა და დავალებით. ამიტომ მას „ათენა ლემნია“ უწოდეს. მისი სიმაღლე პოსტამენტიდან 2 მეტრი იყო.

ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება

„...წადით, ყველანი წადით ოლიმპიაში, რათა იხილოთ ფიდიასის
უკვდავი ქმნილება. უდიდესი უბედურებაა მოკვდე ისე,
რომ ვერ ნახო ასეთი საოცრება“.
ეპიკტეტი I ს, ბერძენი ორატორი

ფიდიასის ამ უკვდავი ხელოვანის დიდი შემოქმედის მწვერვალი მაინც ოლიმპიელი ზევსის კოლოსია – უზარმაზარი ტახტზე მჯდომი ქანდაკება. მისი სიმაღლე ზოგი მატიანეს ცნობით 12 ან 12,5 მეტრი იყო, ხოლო ბერძენი ავტორის პავსანიუსის ცნობით 14 მეტრ სიმაღლეს აღწევდა. ზევსის ქანდაკება შეფასებულია, როგორც ქვეყნიერების მე-7 სასწაული.

...და მაინც რა ფაქტორებით საზრდოობდა ფიდიასი, როცა ეს უნიჭიერესი ხელოვანი ქმნიდა ისეთ შედევრებს, როგორიცაა ქანდაკებები – ათენა ლემნია, ათენა ქალღმერთი (ქალწული პრომაქოსი), „სელენას რაში“ „კენტავრი და ლაპითი“, „ოლიმპიელი ზევსი“ და სხვ. ხუროთმოძღვრული ტაძრები – აკროპოლისი, პართენონი თავისი ფრონტონებით, ფრიზებით და ბარიელეფებით და სხვ.

ბერძენ ხალხს იმ უძველეს დროში აი როგორ მიაჩნდათ მათ მიერ შექმნილი კერპი ანუ ზევსის კულტი: მითოლოგიის მიხედვით ზევსმა ულმობელ ბრძოლაში დაამარცხა დაუნდობელი შვილებყლაპია, საკუთარი მამა – კრონოსი და მისი მომხრე (ძმები და დები) საზარელი ტიტანები, რის შემდეგ იგი ხდება ოლიმპიელი ღმერთების მამამთავარი და მბრძანებელი. ბერძენთა ეს უზენაესი ღვთაება მათი მტკიცე რწმენით გარდა, ზოგიერთი ღმერთებისა, უკვდავი გმირების მშობლებადაც ითვლებოდა. ზევსი აწესებს კანონებს, ამკვიდრებს წესრიგს, იცავს სამყაროს ჰარმონიას. ბერძენ ხალხს ეს არა, როგორც მითოლოგია, არამედ როგორც ჭეშმარიტება ძვალ-რბილში ქონდათ გამჯდარი. ასე, რომ მათ მიერ შექმნილი კერპების ფანატიკური მორწმუნეები იყვნენ. გარდა ამისა ზევ-

სის გამარჯვებისა და გამეფებასთან დაკავშირებით, მის უკვდავსაყოფად მთელს მსოფლიოში მცხოვრები ბერძნები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ და ატარებდნენ საერთო ელინურ ოლიმპიურ დღესასწაულებს, რომლის დროსაც ცხადდებოდა ზავი და მშვიდობა. ესეც დიდ ზეგავლენას ახდენდა ბერძენი ხალხის რწმენაზე. სწორედ ასეთივე სულისკვეთებით იყო გაჯერებული ეს უნიჭიერესი და განუმეორებელი ხელოვანი ფიდიასი.

...და მაინც როგორი იყო ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება?

ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ზევსის 14 მეტრი სიმაღლის ქანდაკება ადამიანებს აოცებდა მისი გრანდიოზულობითა და შესრულების მანერით. ბერძენი პავსანიუსის ცნობით ზევსის ქანდაკებას ერთ-ერთ ადგილას ქონდა ასეთი წარწერა: „ ფიდიასმა, ქარმიდის ძემ, ათენელმა შემქმნა მე“. იმავე პავსანიუსის გადმოცემით ღმერთი ოქროსა და სპილოს ძვლისაგან ნაკეთებ ტახტზე ზის... „ტახტი ოქროთი, სხვადასხვა ფერის ქვებით, შავი ფერის ხით და სპილოს ძვლითაა აფერადებული. მას ამკობენ რელიეფები, ფერწერა და ქანდაკებანი“. შესანიშნავი იყო ზევსის სახე ოქროს ხვეული თმითა და წვერით დამშვენებული. მისი გამომეტყველება ერთსა და იმავე დროს იყო მკაცრი, კეთილიც და ასევე ადამიანურობით აღსავსე. ერთ-ერთი რიტორის თქმით „ ზევსის სახე გაცისკროვნებული გახლდათ ისეთი ნათელითა და სიმშვიდით, რომ იგი აწყნარებდა და ამშვიდებდა ძლიერი ტანჯვით გაწამებულებსაც კი“.

ცნობილი რომაელი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე ციცერონი წერდა, რომ „მას არასოდეს უნახავს, უფრო სრულყოფილი რამ, ვიდრე ფიდიასის მიერ შექმნილი ზევსის სახე“.

რა თქმა უნდა, ფიდიასის ხელოვნებაზე, მის დიდ ოსტატობაზე, ამოუწურავ ნიჭიერებაზე ბევრი დაწერილა და მიუხედავად გარდასული ჟამისა, კიდევაც ბევრი დაიწერება, მაგრამ ნამდვილად დასანანია მისი ცხოვრების ბოლო ტრაგიკული პერიოდი, როცა ეს გენიოსი, სამშობლოს უერთგულესი პიროვნება ციხეში ტანჯვით დაასრულებს თავის სიცოცხლეს. მიუხედავად იმისა, რომ მას მეგობრად და მფარველად ყავდა ისეთი დიდი პიროვნება, როგორიც ქალაქის მმართველი პერიკლე იყო, მაინც მისმა შურიანმა თანამემამულეებმა მას ბრალი დასდეს ათენა პართენოსის ქანდაკებისათვის განკუთვნილ ოქროსა და სპილოს ძვლის მითვისებაში. თუმცა ამაში კი გაამართლა სასამართლომ, მაგრამ სხვა ბრალდებებისაგან თავი ვერ დაიცვა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ქალღმერთ ათენას ფარზე მან მებრძოლთა შორის პერიკლესა და თავისი სახე გამოაქანდაკა რელიეფებში, რაც გაუგონარ მკრეხელობად ითვლებოდა მაშინ. მისი დახსნა პერიკლემაც ვერ შეძლო და იგი ციხეში გარდაიცვალა. საუბედუროდ უსამართლობა და შური მუდამ ყოფილა, დღესაც არის და ალბათ მომავალშიც არ წაიშლება.

გაგრძელება იქნება

მედიცინა

ადამიანის ორგანიზმის გამოჯანმრთელება მღვდელმონაზონ სერაფიმეს (ჩიჩაგოვის) მეთოდის მიხედვით

ნაწილი II

ოსტეოხონდროზისას

შარდის მარილები, რომლებიც არ იფილტრება თირკმელების მიერ, პირველ რიგში ხერხემალზე და სახსრებსა და სისხლძარღვთა კედლებზე ილექება და ლაგდება.პირველ რიგში სწორედ ხერხემალზე და მის მალებზე ლაგდება.მალები ერთმანეთთან ელასტიური ბინტ-საკვრელებით არიან დაკავშირებულნი, რაც ხერხემალს მოქნილობას აძლევს.შარდის მარილები ილექება შემაკავებელ აპარატზე, რომელსაც ეს მალები უჭირავს, რის გამოც ეს აპარატი იფიტება.მალები იწყებენ მოძრაობას, რყევას და მძიმე, არათანაბარი დატვირთვისას ადგილს იცვლიან: მყესებს ისინი აღარ უჭირავთ და ისინი ნერვიულ დაბოლოებებს აწვებიან.ეს იწვევს ადგილების გამოფლეთვას, წელკავს, ტკივილებს.



თუ ადამიანი, რომელსაც ასეთი ხერხემალი აქვს, ფიზიკურად განუწყვეტლივ დატვირთულია.ხერხემლიდან იწყებენ გამოსვლას ხრტილოვანი დისკები და ეს შმოლის თიაქარად იწოდება.ერთი სიტყვით, თუ თირკმელები ფილტრაციას არ ახდენენ, იწყება ოსტეოხონდოზი, სქოლიოზი, შმოლის თიაქარი.ძლიერი ოსტეოხონდროზული ტკივილები რომ იწყება, რაც მხოლოდ ძვლების გასწორებით აილაგმება (რადგან ხერხემალი ნერვიულ დაბოლოებებს აწვება და საჭიროა მათი გათავისუფლება), წარმოიშობა მარილის პატარა სვეტები.

ოსტეოხონდროზული (შარდის მარილის) პატარა სვეტები, რომლებიც ლაგდებიან მყესებზე და მალებთან ახლოს, აწვებიან ნერვიულ დაბოლოებებს.როცა ხრაშუნობენ ტკაცუნობენ სახსრები, სწორედ მარილოვანი პატარა სვეტები გამოსცემენ ამგვარ ხმას.ეს რომ ხდება, ხერხემალი, ჩვეულებრივ, მოქნილი აღარ არის.ის თითქმის ერთიანად ჩაკირულია და ტკივილები მთელ ხერხემალს, კისერს, მკერდს და საქამრესთან დაკავშირებულ ადგილებს უვლიან.ჩვენ ისევ ასპირინის ბინტებს ვიყენებთ.ამგვარი ბინტები ძალზე სწრაფად გვეხმარებიან ასეთი ტკივილების მოხსნაში.ზოგჯერ ასეთი დიაგნოზის დროს სამკურნალო მიზნით იყენებენ წურბელებს, რომლებიც გამოიმუშავებენ გირუდინს.ეს უკანასკნელი ათხელებს სისხლს იქ, სადაც წურბელა დასვეს.ასპირინიც ათხელებს სისხლს და ანთებასაც კურნავს.ნერვიულ დაბოლოებებში ხანგრძლივი ზეწოლის გამო ანთებითი პროცესები იწყება.

მკურნალობისათვის საჭიროა 4 აბი ასპირინი ჭიქა წყალში გაიხსნას, ამ სითხეში დასველდეს ბინტი და ეს ბინტი მთელი ფართით კისრის პირველი მალიდან კუდუსუნამდე მთელ სიგრძეზე რამოდენიმე ფენად შემოიხვიოს.ასეთ მდგომარეობაში ერთი საათით უნდა დარჩე.და ისევ:უნდა გაითავისუფლო თირკმელები, რათა გაიხსნეს მარილი და ქვები, რომლებიც იქ ცხოვრების მანძილზე დაგროვდა. წუწნო მარილი (5-6–ჯერ დღეში – მაშინ, როცა საკვებს არ იღებ); 18 საათის შემ-

დგომ უარს ამბობდე საკვებზე და რაც შეიძლება ნაკლებ სითხეს სვამდე.ასეთივე ტაქტიკა უნდა აირჩიო სახსრების სნეულებებთან, ართროზებთან და ვარიკოზებთან ბრძოლისას.სადაც ჟღერს ,,ოზი" იქ პრობლემები აღინიშნება სისხლძარღვების კედლებზე, ხერხემალსა და სახსრებზე.

თავის ტკივილებისას

თუ შარდის მარილები ორგანიზმში დარჩა, ეს იმას ნიშნავს, რომ ტვინის გადასარჩენად სისხლძარღვები შევიწროვდა. ამ შემთხვევაში ლაზიქსის აბი გვშველის. ეს შარდმდენი კალიუმიანი პრეპარატია. თუ სისხლში ჭარბადაა კალიუმი, შარდმდენი ეფექტი იწყებს მუშაობას. ასეთი რეცეპტი აღმოვაჩინეთ ჩინელებთან: უნდა აიღო სეზამის თესლი რომელშიც ბევრი მაგნიუმია, დაყარო მშრალ ტაფაზე და ზეთის გარეშე მოხალო. იქამდე, სანამ ოდნავ ოქროსფერს არ მიიღებს. 5 სუფრის კოვზ სეზამს ერთი სუფრის კოვზი მარილი დასჭირდება. ამის შემდეგ თესლი ყავის საფქვავით იფქვება. მიიღება ოდნავ მარილიანი ხალვის მაგვარი რამ. და როცა თავის ტკივილი გეწყება, საკმარისია ეს მასა ერთი სუფრის კოვზის რაოდენობით პირში ჩაიყარო და წუწნო.სეზამი მაგნიუმის გარდა დიდი რაოდენობით კალიუმსაც შეიცავს. ორმოცი წლის შემდეგ ქალებს, რომლებშიც ოსტეოპოროზი იწყებს გამოვლენას, კალციუმის დეფიციტ აქვთ. სეზამში კი ის საკმაო რაოდენობითაა და იოლადაც აითვისება.

პრეპარატ ,,დეკარისის" შესახებ

ჩვენ მისი გამოყენება დავიწყეთ და თან გზადაგზა მისი ისტორიაც გამოვარკვიეთ. სადღაც, 1972 წელს მოსკოვში სეჩენოვის სახელობის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე მეანობისა და გინეკოლოგიის კათედრაზე მუშაობდა ერთი საინტერესო ახალგაზრდა კაცი. იგი გაიტაცა დეკარისმა და დაწერა საკანდიდატო დისერტაცია.ეს იყო წინ გაჭრა და მაშინვე ყველა კლინიკაში დეკარისის გამოყენება დაიწყეს. პაციენტი რომ მოდის, იწყებენ მის მკურნალობას სქემით, რომელსაც ჩვენ ყველას ვურჩევთ. ეს იმ ახალგაზრდა კაცის სქემაა.

ამჟამად ანოტაციაში პრეპარატი წარმოდგენილია როგორს მუცლის ჭიის საწინააღმდეგო, მაგრამ ეს ახლანდელი წარმოდგენაა. ხოლო ადრე, დაახლოებით 5 წლის წინ ანოტაციაში ეწერა, რომ ეს იყო იმუნომოდულატორი, რომელიც კიბოთი დაავადებულ პაციენტთა კომპლექსური მკურნალობის დროს გამოიყენებოდა. იმ ახალგაზრდა კაცმა გინეკოლოგიის ფაკულტეტიდან, დეკარისის გამოყენება უნაყოფობიოს მ,კურნალობის მიზნით დაიწყო.მკურნალობის პირველი კურსის შემდეგ (3 დღე თითო აბის მიღება ძილის წინ ალოჰოლის აბთან ერთად, ერთი კვირის შემდეგ ეს უნდა გაიმეორო და კიდევ ერთი კვირის შემდეგ ისევ უნდა გაიმეორო) ქალთა უმრავლესობა ფეხმძიმდებოდა და სქესობრივ ორგანოებთან დაკავშირებული ყველა ანთებითი პროცესიც უქრებოდა. და რადგან ეს კაცი გინეკოლოგი იყო, მხოლოდ ამ თემაზე მუშაობდა.

ახლა, როცა ჩვენ დავიწყეთ დეკარისის მიღების სფეროს გაფართოვება, მისი მოქმედების შედეგებმა ბევრი ახალი და საინტერესო რამ დაგვანახა, და უკვე პრაქტიკულად დავამტკიცეთ, რომ პრეპარატი იმუნომოდულატორს წარმოადგენს.დეკარისი ანტიჰელმინტური მოქმედება რომ შევისწავლეთ, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ის ორგანიზმის საერთო წინააღმდეგობის უნარს ზრდის და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საშუალება იმუნოთერაპიისათვის.

ამ თვისებებთან კავშირში დეკარისი შეთავაზებულ იქნა იმ სახვადასხვა დაავადებებთა სამკურნალოდ, რომელთა პათოგენეზში არსებობს იმუნოგენეზის რღვევა, პირველადი, მეორადი იმუნოდეფიციტური მდგომარეობა, ქრონიკული რეციდივირებადი ინფექციები, რევმატული ართრიტი. დეკარისი მიეკუთვნება საბაზო საშუალებებს, რომელნიც დიდი ხნის მანძილზე მიიღებიან ანუ ის მიიღება თვეობით და არა ერთჯერადად. დადებითი ცვლილებები შეინიშნებოდა იმ პა-

ციენტებში, რომელნიც ქრონიკული გლომერულონეფრიტით და პიელონეფრიტით არიან დაავადებულნი და დეკარისს კვირაში სამჯერ იღებდნენ თითო აბის სახით. დეკარისის მიღება სასიკეთო გავლენას ახდენდა თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის მკურნალობაზე. დადებითად იმოქმედა დეკარისმა ტოქსოპლაზმოზის დროსაც, პრეპარატმა კარგად გამოავლინა თავი კანის დაავადებათა–კერძოდ, ვულგარული ვარდისფერი ფერისმჭამელებისა და ფსორიაზის მკურნალობისას. დეკარისის მოქმედების დადებითი ეფექტია შემჩნეული ისეთ პაციენტთა კომპლექსური თერაპიული მკურნალობის დროსაც, რომელნიც შიზოფრენიის მძიმე ფორმით არიან დაავადებულნი, რაც მკურნალობას ძნელად ექვემდებარება.

დეკარისის მიღების სქემა

დეკარისის ანოტაციაში აღნიშნულია, რომ ამ პრეპარატის მიღება მრავალ გვერდით ეფექტს იწვევს. მაგრამ ეს სწორედაც იმ პრობლემათა გადაწყვეტაა, ორგანიზმში რომ არსებობენ. 22 საათიდან ღამის 3 საათამდე ხდება იმუნური სისტემის მუშაობის გააქტიურება, რიც გამოც დეკარისის მიღებას 21 საათის შემდეგ ვნიშნავთ.

სიმსივნის შემთხვევაში, რაც უფრო მძიმეა პაციენტის მდგომარეობა, დეკარისის მიღების შემდეგ, მით უფრო მაღლა იწევს ტემპერატურე. დეკარისის რაოდენობა სხეულის მასას უნდა შევუფარდოთ: თუ სნეული ტანსრული, მაღალი ადამიანია, წამლის მიღებისას 1 აბი საკმარისი არ იქნება. ძალზე მნიშვნელოვანია დეკარისის მიღება გაზაფხულ-შემოდგომის პერიოდში, როცა პარაზიტები მრავლდებიან.

დეკარისი ასე უნდა მივიღოთ: 1 აბი (150მგ) 21 საათზე 3 დღე ზედიზედ.მერე ერთი კვირა ისვენებ, შემდეგ სამი დღის მანძილზე ისევ იღებ, ისევ ერთი კვირა ისვენებ და ბოლოს ისევ სამი დღე ღებულობ. პირველი სამი დღის შემდეგ, თუ ნეგატიური შეგრძნებები არ გვექნება, ამ სქემის სრული შესრულება შეიძლება.

დეკარისის მიღებიდან სამი საათის შემდეგ ის სისხლში აღარ არის, ის სავსებით იშლება. რაც უფრო მძიმეა სნეულება, დეკარისის მიღების შემდეგ მით უფრო უარესად გრძნობს თავს პაციენტი, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი აბის შემდეგ, რადგან ის ხოცავს ბაქტერიებს და პარაზიტებს, ხოლო ისინი იღუპებიან რა, იშლებიან და ნაკვალევს ტოვებენ.

ხჯითხის სუფიერი მხარე

ჩვენ ვიგებთ, რომ გარკვეულ ოჯახში ისე, უბრალოდ არ ვიბადებით.მშობლებს ჩვენ არ ვირჩევთ, რაც იმას ნიშნავს, რომ გვარს თუ წინაპრებსაც არ ვირჩევთ. გვსურს თუ არა, მოგვწონს ეს ჩვენ თუ არა, გარკვეულ ოჯახში ვიბადებით და გვარის თუ წინაპრების პრობლემებიც გადმოდის ჩვენზე.სამი სახის ცოდვა არსებობს: პირველი ცოდვა (ნათლობისას რომ იხსნება), საკუთარი (აღსარებაზე სინანულის საიდუმლო და ზიარება რომ ხსნის) და საგვარეულო.ბიბლიურ წიგნსი ,,გამოსვლა", როცა უფალი გამოეცხადა მოსეს, უთხრა, რომ უფალი გულმოწყალეა, მრავლისდამთმენი და მრავალმოწყალეა და ნებისმიერ დანაშაულს მიუტევებს ადამიანს, თუ მან ის მოინანია, მაგრამ დასჯის გარეშე არ დატოვებს მათ, ვინც მძიმე ცოდვებს არ ინანიებენ და მამთა ცოდვის გამო სჯის შვილებს მეოთხე თაობამდე, ხოლო მღვდლებს- მეშვიდე თაობამდე.აქედან გამომდინარე ჩვენ საკუთარ წინაპართა ცოდვების მტვირთველნი ვართ.თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ ამ ფაქტორს, ვერასოდეს სრულად ვერ განვიკურნებით და ვერც ნორმალურ შთამომავლობას გავზრდით.თუ ადამიანი მხოლოდ საკუთარ ფიზიოლოგიას ადევნებს თვალ-ყურს, მას მხოლოდ სიმპტომები ეხსნება. ბავშვები 7 წლამდე არ ავადმყოფობენ, მაგრამ

თუ მაინც ავადდებიან, ამით ვლინდება ის, რომ ისინი საკუთარ მშობელთა პრობლემებს ზიდავენ.

ჩემთან მოსული საშვილოსნოს სიმსივნით დაავადებული პაციენტი მეუბნება: ,,მიშველეთ! დედა საშვილოსნოს კიბოთი გარდამეცვალა –მე არ მინდა, მისი გზით ვიარო!" ჩვენ სნეულებათა კვლევისას ასეთი ფაქტი აღმოვაჩინეთ: გოგოები საკუთარ მამათა ტვირთს ზიდავენ, ხოლო ბიჭები –დედებისას და მე ამ ქალს ვპასუხობ: თქვენ მამის პრობლემეთა მზიდველი ხართ. ამგვარი კიბო არ გექნებათ, თქვენ ძმა გყავთ? ქალი გაოცდა: ,,ორი ძმა მყავდა, მე შუათანა ვარ, ჩემი უფროსი ძმა ბანკირი იყო.საშინელი 90-იანი წლები რომ დაიწყო, ის ქილერებმა მოკლეს. მას შვილი არ დარჩენია.უმცროსი ძმა კი ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა.მასაც, რამდენადაც იმ დროს სკოლის მოსწავლე იყო, შვილი არ დარჩა.გვარის გაგრძელებას წერტილი დაესვა.დედა, რომელმაც ორი ვაჟი დაკარგა, ნერვიულ ნიადაგზე სიმსივნით დაავადდა და მძიმე ტანჯვით აღესრულა. და გვარის არსებობა ამ ხაზით შეწყდა", ვეკითხები: ,,თქვენი პაპა ვინ იყო?" ,,შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალი თანამდებობა ეკავა", – მპასუხობს ის. მაგრამ იმ ხანად თუ კაცს უფროსად აქცევდნენ ის იმას ნიშნავდა, რომ ის სისხლზე იყო ,,შეშლილი" და ადამიანებს, შესაძლოა, მღვდლებსაც ხვრეტდა.

იმ მიზნით, რომ პაციენტებს ფიზიკურ დონეზე სრულ განკურნებაში დავხმარებოდი, კიევო-პეჩორის ლავრაში მიტროპოლიტ პეტრეს (მოგილას) მასალებზე გავედი. გაირკვა, რომ არსებობს ფსალმუნთა კითხვის წესი პეტრეს (მოგილას) მიხედვით. როცა ის გარდაიცვალა, ისევე როგორც ყველამ, სულით ჯოჯოხეთი მოიხილა. ნახა, იქ სულები როგორ იტანჯებოდნენ.იგი ისე შეძრა ამ ყოველივემ, რომ თხოვნა-ვედრება დაუწყო უფალს, თუნდაც მცირე დროით მკვდრეთითი აღედგინა. ის გარდაცვალების მეორმოცე დღეს მამებს გამოეცხადა. მათ, ლოცვა-კურთხევის მიღების შემდეგ, სამარა გათხარეს და მისი ნაწილები ამოაბრძანეს.

მიტროპოლიტმა პეტრემ წერილობითი მითითება დატოვა იმის შესახებ, როგორ უნდა ვითხოვდეთ ჩვენი გვარის, ჩვენი ხორციელი ნათესავების შეწყალებას. წავიკითხავთ რა ფსალმუნებს სამივე დიდებაზე, უნდა ვილოცოთ მათი განსვენებისათვის. რაც შეიძლება მეტი გარდაცვლილი წინაპარის სახელი უნდა მივიხსენოთ. და ფსალმუნთა 20 წაკითხვის შემდეგ, როგორც ამბობდა მიტროპოლიტი პეტრე (მოგილა), უფალი მისი გულმოწყალებით წინაპართა ცოდვებს გვპატიებს. და როცა ეს ცოდვები გვეპატიება, მრავალი პრობლემა მოგვეხსნება და პირველ რიგში-ფიზიკური, ფიზიოლოგიური პრობლემები, სნეულებებთან რომ არიან დაკავშირებულნი. თანაც ხშირად ამ სნეულებებისაგან თანდათან კი არ იკურნებიან, არამედ ისე ხდება, რომ ადამიანი დილით იღვიძებს და აღმოაჩენს, რომ სავსებით ჯანმრთელია. აი, რამდენათ მნიშვნელოვანია და რამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს ფიზიკურ ჯანმრთელობასთან საკუთარი გვარისა და გარდაცვლილ წინაპართათვის უფლისადმი ვედრება.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-6 ტომებსა და ჟურნალ „ათინათის“ №№22, 23, 24, 25, 26-ში

ოჯახი

ნებისმიერი სიღრმისა და სიმაღლის ცოცხალი არსების ინდივიდუალური სულის ანუ ინდივიდუალურობის გამოვლინებას, აბსოლუტურად იდეალური ევოლუციური ტრაექტორიით სვლის შემთხვევაშიც კი, აქვს ზღვარი. ინდივიდუალურობის, სრულყოფილებისკენ სწრაფვა ხომ რეალურად საკუთარი თავის, ანუ ინდივიდუალურობის შემცირებისკენ ორიენტაციაში არის გამოხატული. რაღაც გარკვეულ დონემდე მიღწევის შემდეგ ინდივიდუალური სული „დასასვენებლად ჩერდება“, ანუ ინტერესდება იმით, თუ რა შედეგი მოიტანა მისმა მეცადინეობამ, რომელსაც ამდენი ხანი აწარმოებდა, იწყება ხედვა უკან ანუ წარსულში. ფაქტიურად, საკუთარი განვლილი გზის დანახვის მცდელობა უკვე თვითრეალიზებულობის პროცესის დანახვის სურვილია და რა სიღრმისეული დონიდანაც აქვს ეს სურვილი თვითრეალიზირებულ ცოცხალ არსებას იმ სიღრმის დონეზე მყოფ სხვა ცოცხალი არსების ინდივიდუალურ სულთან ამყარებს ურთიერთობას, რის მეშვეობითაც რეალურად შეძლებს საკუთარი სურვილის დაკმაყოფილებას, მაგრამ კონტაქტის შემდგომ თვითონ ხდება მისი მეგზური, მოძღვარი და სულიერი მეგობარი, თვითონ მისთვის კი, ეს კონტაქტორი ინდივიდუალური სული თანდათან უფრო ძვირფასი ხდება იმდენად, რამდენადაც იგი ვიზუალურად ეხმარება საკუთარი ინდივიდუალური სულის განვლილი გზის დანახვაში. ეს ორი ინდივიდუალური სული ამ ურთიერთობების შედეგად ქმნიან იმ ინსტიტუციურ ცნებას, რასაც ჰქვია ო ჯ ა ხ ი . ამ ურთიერთობების ოთხ ძირითად კლასიფიკაციურ ნაირსახეობას გამოვყოფდი.

I ოჯახური მაკეტი

I. ეთიკურ-ჰარმონიული საზომი პარამეტრალური მონაცემებით უფრო დაბლა მდგომი ინდივიდუალური სულის მხრიდან მომდინარე ინიციატივით თავდაუზოგავი სწრაფვა უფრო მაღალ ეთიკურ-ჰარმონიულ დონეზე მყოფი ინდივიდუალური სულისაკენ მორჩილი თაყვანისცემის სულისკვეთებით, მაშინ როცა ინდივიდუალური სული, რომლისკენაც სწრაფვაა მიმართული, ცალსახად სრულყოფილების სწრაფვითაა დაკავებული. ამ ურთიერთობებზე აწყობილი ოჯახი კრისტალური სულიერი სისპეტაკითა და იდეალური, ევოლუციური გადასახედიდან ეტალონური, ანუ იდეალური შეფასებით ხასიათდება. ურთიერთობა აწყობილია ცალმხრივ სულიერ ლტოლვაზე (ქვემოდან ზემოთ) და კონტაქტი ზემოდან ქვემოთ, მორჩილი თაყვანისცემისა და ინდივიდუალური სულის რეალური კოსმიური ადგილმდებარეობის შესაბამისი ცოდნის მიწოდებით განისაზღვრება. სხვა ტიპის სულიერი და, მით უმეტეს, ვიზუალური კონტაქი რეალურად აქ არ შეიძლება არსებობდეს. ამ ურთიერთობის შედეგად, ურთიერთობებში მონაწილე შედარებით უფრო დაბლა მდგომი ინდივიდუალური სული, მორჩილებისა და თაყვანისცემის სულისკვეთების მეშვეობით, ზრდის თავისი გრძნობადობის პარამეტრს, რომელიც ჩანაცვლებული იყო ამბიციურობის (საკუთარი მოსაზრებების შედეგად გრძნობის იგნორირების) პარამეტრით, ხოლო „ზემოდან“ მოწოდებული ცოდნის მეშვეობით ზრდის გონების პარამეტრს, რომელიც ჩანაცვლებული იყო ემოციურობის (საკუთარი თვითრეალიზაციის შედეგად იგნორირებული ჭეშმარიტების, გონების იგნორირების) პარამეტრით. აქ ორი დამხმარე პარამეტრია კიდევ — სინდისი და სირცხვილი, რომელსაც შემდგომ ცალკე შევეხები. ვნახოთ, რას ღებულობს ამ ურთიერობებში მონაწილე შედარებით უფრო მაღლა მდგომი ინდივიდუალური სული ასეთი ტიპის ურთიერთობის შედეგად. მისი გადასახედიდან, მასზედ მიჯაჭვული ინდივიდუალური სულის მეცადინეობა არის თვითგამორკვევისა და თვითაღზრდის პროცესი, რომლის მიმდინარეობის დროსაც თვითონ მხოლოდ ინდივიდუალური სულისთვის ძნელადგასავლელ კრიტიკულ მომენტებში ერთვება და ისიც იმით გამოიხატება, რომ შეძლებისდაგვარად მცირედ, „ძუნწად“ აძლევს ორიენტირებს „გაჭედილი“ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ლიტერატურული ენით რომ ვთქვათ, სურს მის მიერ აწყობილი ველოსიპედი დამოუკიდებლად რომ „გამოაგონებინოს“ და ააწყობინოს, რამეთუ ამ ძალიან სერიოზული და საკმაოდ რთული მუშაობის შემდეგ ამ „ველოსიპედს“ უპასუხისმგებლოდ აღარ მოეპყრას და არავისა და არაფრის გულისათვის მისი იგნორირება აღარ მოიწადინოს. ხოლო ის, თუ პირადად თვითონ რას ღებულობს ამისაგან, ჩემი შეხედულებით, ღებულობს იმხელა ესთეტიკურ და ეთიკურ სიამოვნებას, რომელ სიამოვ-

ნებაზე დიდიც, რეალურად, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ და კიდევ, ეს არის უზარმაზარი სტიმული პირადად მისთვის, როგორც ინდივიდუალური სულისთვის მომავალში წინსვლისათვის სრულყოფილებისაკენ სწრაფვის თვალსაზრისით. როგორც რეზიუმე მსურს ერთი ციტატა მოვიყვანო ინდუიზმის რელიგიური, უფრო სწორად, ზოგადცნობიერული სწავლებიდან: „როდესაც საყვარელი საყვარელს ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე ემორჩილება, ამას ერთიანობა ჰქვია“. ანუ ეს პირველი ვარიანტი არის ორი ზედმიწევნით ჰარმონიული, მაგრამ სიღრმისეულად განსხვავებული ინდივიდუალური სულის ურთიერთობა. |I| და |II|. II და II.

II ოჯახური მაკეტი

II. ეთიკურ-ჰარმონიული საზომი პარამეტრალური მონაცემებით ორი აბსოლუტურად თანასწორი ინდივიდუალური სულის ურთიერთობა, სადაც სიღრმისეული ინტერესები აშკარად განსხვავებულია.



ეს ორი მონათესავე ინდივიდუალური სულია (Родственные души), რომელთაც ჭეშმარიტად შეუძლიათ ერთმანეთის საუკეთესო ნაწილების „ურთიერთგაცვლით“ ერთ მთლიან ჰარმონიად იქცნენ. ამ თავის დასაწყისში აღვნიშნე, მაგრამ კიდევ გავიმეორებ, მისი უზარმაზარი მნიშვნელობის გამო — ეს არის სიყვარულის, ჭეშმარიტი სიყვარულის ფენომენი მატერიალურ სამყაროში და ამას ჭეშმარიტად არ გააჩნია ალტერნატივა. მატერიალიზირებული ცოცხალი არსების ინდივიდუალური სული ვერანაირად ვერ იქნება ჰარმონიული, ანუ გრძნობისა და გონების პარამეტრები ვერ იქნებიან საჭიროდ იდეალურად პროპორციულნი ერთმანეთისა, ამიტომ I ვარიანტის რეალურ განხორციელებაზე უბრალოდ ლაპარაკიც არ შეიძლება, ის მატერიალურ სამყაროში პატრიარქალური მიმდინარეობის დაცვის სარჩულით უბრალოდ ტირანიაში, დიქტატორულ გამოვლინებაში გადაიზრდება. ეს ფენომენი მხოლოდ სულიერი სამყაროსთვის არის შესაძლებელი, სასურველი და მისაღები. მაგრამ მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულებს პირველი ვარიანტის გამოყენება არათუ შეუძლიათ, არამედ სასურველიც არის და თუ გნებავთ, აუცილებელიც, მხოლოდ არა ოჯახის შექმნის მაკეტისთვის, არამედ საკუთარი თავის მომართვისათვის უფალთან მიმართებაში. ესეც ერთგვარი ოჯახური კავშირი იქნება და, თუ ამას შეძლებს მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული, ის მიიღებს ყველაზე დიდ წოდებას, რაც კი არის შესაძლებელი — ღვთის ძის წოდებას, ხოლო მატერიალური სამყაროდან გასვლის შედგომ, უფალი ღმერთის ხილვის ღირსი გახდება, თუ მთელს თავის ცხოვრებას, მატერიალურად არსებობის პერიოდს, შეგნებულად და გულმოდგინებით I ვარიანტში მოყვანილ გზას დაუთმობს. ეს არის გზა სულიერი წარმატებისა და ევოლუცირებისა.

„ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ.

ნეტარ იყვნენ წმინდანი გულით, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.“

ახლა კი მოდით, ისევ II ვარიანტს დავუბრუნდეთ. როგორც უკვე აღვნიშნე, მასთან მიმართებაში ეს მატერიალურ სამყაროში ყველა შესაძლო ვარიანტებიდან საუკეთესო, სასურველი და, არ შემეშინდება ამის თქმა, იდეალურიც კია, მატერიალური სამყაროს ერთადერთი რეალური, შეიძლება ითქვას — უპირატესობა, რაც არსებობს, სულიერ სამყაროსთან შედარებით. ამ ყოველივეს იმიტომ ვწერ, რომ დავანახო, გადმოვცე მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ცოცხალი არსება რეალურ ცხოვრებაში რას უნდა აყენებდეს ევოლუცირების შემდგომ პირველ ადგილზე. ამიტომაც მას ვრცელი ამპლიტუდური მონახაზით შემოვუვლი. შემოდის ადამიანთა ერთმანეთისგან ფუნქციონალურადაც და ვიზუალურადაც (რელიეფურადაც, ფორმითაც) განმასხვავებელი, ერთადერთი ჭეშმარიტად განმასხვავებელი ცნობიერების ცნება, სქესის ცნება. შემოდის მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების, უკლებლივ ყველას მამრ და მდედრ სქესად მოვლინებულობის ფენომენი. ადამიანის შემთხვევაში კი ესენი არიან კაცი (მამაკაცი) და ქალი (დედაკაცი). მოდით, ძველი აღთქმის ბიბლიურ მითოლოგიაში გადავინაცვლოთ. ღმერთმა შეჰქმნა ადამიანი კაცი და უკვე შემდგომად ამისა კაცისაგან ამოღებული ნეკნით შეჰქმნა მეორე ადამიანი ქალი, ისინი ორივე ადამიანებად იწოდებიან, მაგრამ ვგონებ, უდავოა, ის, რომ მათ შორის სერიოზული განსხვავებები არსებობს. გვონებ, ის აზრიც თავისთავად ითხოვს გამოჩინებას, რომ ამ ორ, ერთი და იგივე ზოგადი კატეგორიის, ადამიანის წარმომადგენელს სერიოზულად განსხვავებული ფუნქცია აკისრიათ, როგორც სულიერ ისე მატერიალურ ასპექტში. აი, სწორედ ადამიანური კომპეტენციის გადასახედიდან თუ შევხედავთ, სრულიად საკმარისი იქნებოდა ამ ფუნქციათა განსაზღვრება და დაწვრილებით ჩამოყალიბება და განზოგადება, რის შემდეგაც საჭირო იქნებოდა მათი ზედმიწევნით შემეცნება-შეგრძნება და მამაკაცი და დედაკაცი ერთი-მეორის ურთიერთშერწყმით ფუნქციონალურ ასპექტში ერთ მთლიან ჰარმონიულ „მე“-დ გარდაიქმნებოდნენ და იცხოვრებდნენ სიტკბოებასა და სიყვარულში, ვიდრე მათი არასრულყოფილებიდან არაფერი დარჩებოდა და ა. შ. სწორედ ეს მიმაჩნია ერთადერთ რეალურ უპირატესობად მატერიალური სამყაროსი სულიერ სამყაროსთან შედარებით. ეს არის საშუალება ერთდროულად ორი უმთავრესი ორიენტირის სრულყოფილად დაკმაყოფილებისა. ეს ორი ორიენტირი არის ევოლუცია და ჰარმონიზაცია. ანუ მამაკაცი უნდა იყოს მამა ღმერთის მორჩილი, ერთგული და მისი რეკომენდაციების შემმეცნებელი და შემგრძნობელი, ხოლო ქალი კი სულიწმიდის მორჩილი, ერთგული და მისი რეკომენდაციების შემმეცნებელი და

შემგრძნობელი. ორივე უნდა მოერიდოს ყოველგვარ გადახვევას პროვოკაციული, ინდივიდუალურად იმპროვიზაციული საშუალებებით. მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულის მიერ აღქმული ე. წ. თავისუფლების, თვითგამოვლინების შეზღუდვა სინამდვილეში აბსოლუტურად უადგილო სპეკულაციური ავანტიურაა და ეს ე. წ. თავისუფლების დემონსტრაცია მხოლოდ და მხოლოდ ენით აუწერელი ბედნიერების ხელის შემშლელი ფაქტორია და მეტი ვერაფერი. და აქვე არ შემიძლია გავუძლო ცდუნებას და არ შევეხო მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულების მატერიალურ სხეულისეულ ფაქტორს, რამეთუ ზემოთ აღწერილი ყველაფერი ინდივიდუალურ სულებსა და მათ ურთიერთობებს ეხებათ სხეულისაგან დამოუკიდებლად. მამაკაცისა და ქალის სხეულები, ისევე როგორც მთელი კოსმიური გამოვლინების მატერიალური ნაწილი, მამა ღმერთისა და სულიწმიდის მხოლოდშობილი ძის მორჩილნი, ერთგულნი და მისი რეკომენდაციების შემმეცნებელნი და შემგრძნობელნი უნდა იყვნენ. როგორც ამ ნაწერიდან გამოდის, მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული ყველა თავისი არსებული კომპონენტით სრულად უნდა იყოს დამოკიდებული სამ ძირითად უკვე ჩამოყალიბებულ ცნობიერებაზე, რა თქმა უნდა, საკუთარი ნებით ანუ ნებაყოფილობითობით, რათა: ა) საკუთარი ზოგადი ცნობიერების მოცულობა გაზარდოს. ბ) გაზრდილი ზოგადი ცნობიერება გააწონასწოროს. გ) მატერიალური სხეულის არსებობის განმავლობაში და მატერიალურ სხეულში ყოფნისას, ვიდრე არ გამოვა იქიდან, ჭეშმარიტად ბედნიერი იყოს თვითონაც და ბედნიერებაში ამყოფოს სხვა სხეულში მყოფი ინდივიდუალური სულიც.

ვისაც ეს დამოკიდებულება მონობად მოეჩვენება, ვერც ცნობიერების მოცულობის გაზრდას შეძლებს, ვერც უკვე არსებული ცნობიერების გაწონასწორებას და ვერც ბედნიერებას შეიგრძნობს. საკუთარი ნებით, საკუთარ კეთილისმყოფელთა მზრუნველობიდან გასვლით, ის მთელი ცხოვრება, ანუ სხეულის არსებობის განმავლობაში, ამ სხეულის უზრუნველყოფისა და დაკმაყოფილების სურვილებსა და შესაძლებლობებს ვერ გადალახავს, ხოლო მისი სულიერი პოტენციური შესაძლებლობები კი უბრალოდ სქესობრივ ლტოლვად, შიმშილისა და წყურვილის გრძნობად, გართობასა და დარდში თვითრეალიზაციად და საკუთარი ინდივიდუალური სულის კერპად გამოცხადების ან კერპთმსახურების დაკმაყოფილების საშუალებად გადაიქცევა.

ამ მეორე ვარიანტში აღწერილი გზა, ბოლო აბზაცის გამოკლებით, არის ჭეშმარიტი სიყვარულის გაცემის გზა, ჭეშმარიტად სიკეთის ქმნა, რამეთუ სიკეთე სხვა არაფერია თუ არა ჭეშმარიტად საჭიროს, საკეთებლის კეთება. სადაც სიკეთე არ არის, იქ ვერც სიყვარული იქნება, ვერც გაცემული და ვერც მინიჭებული.

მოვიყვანდი რამდენიმე ციტატას ინდუიზმის ფილოსოფიიდან:

„სპეკულაციური ცოდნით დაინტერესებულ პირთა მცდელობა ფუჭად გაწეული შრომაა, მსგავსად იმ პიროვნებისა, რომელიც ბრინჯის ბზას ცეხვავს და რაღაცის მიღებას ცდილობს. ბრინჯის გარჩევა საღერღი ბორბლით შეიძლება, მაგრამ ბრინჯი თუ უკვე გატარებულია საღერღ ბორბალში, მაშინ რაღა აზრი აქვს მის ხელახლა დაცეხვას? ეს შრომა ამაოა“.

ეს კი მამა ღერთსაც, ღვთის ძესაც და სულიწმიდასაც ეხება ამ თავში მოყვანილი შეხედულებებისდა შესაბამისად, მაგრამ აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ თავისი წარმოშობით ეს მამა ღმერთის მიმართ არის ნათქვამი, ისიც უხეში ფორმატით რომ ავიღოთ: „შენი თვისებების, საქმიანობებისა და სხეულის შეცნობა მატერიალურ სამყაროში არავის ძალუძს. მხოლოდ შენი წყალობით შეუძლია ადამიანს რამდენადმე გაიგოს შენი ვინაობა“.

III ოჯახური მაკეტი

III. მეორე ნაწილში თუ იყო, ასე ვთქვათ, რეალური ურთიერთობების დაწყებითი შესამზადებელი სტადიის ახსნა, ანუ ის, თუ რეალურად რა ფუნდამენტზე უნდა იქნას აგებული ეს ჭეშმარიტად დიდებული „ნაგებობა“, რასაც ოჯახი ჰქვია, ამ თავში იქნება ამ ურთიერთობათა განხორციელების პროცესუალური და მიზან-შედეგობრივი ასპექტები. მეორე თავის უმთავრესი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ წინასწარ, საჭიროდ მომზადებულობის გარეშე, ვერც მამაკაცი და ვერც ქალი ნამდვილ ოჯახს ვერ შეჰქმნიან და მათი ერთიანობაც ბუტაფორიული იქნება და ბუტაფორიული იქნება მათი ოჯახიც. არსებობს ასეთი სიტყვა „არამზადა“, რომლის საკუთარ თავზე მიღებაზეც უკლებლივ ყველა წყობიდან გამოდის და მის შეურაცხმყოფელს მთელი, თავის პიროვნებაში არსებული, აგრესიულობით უპირისპირდება. რეალურად კი ის ზემოთ მოხსენიებული მამაკაციცა და ქალიც, რომელთაც წინასწარ საჭიროდ მომზადების გარეშე შეჰქმნეს ფსევდოერთობა ნამდვილი არამზადები არიან, რამეთუ ისინი მზად არ არიან ერთურთში გაერთიანებისათვის და უფრო მეტიც, საკუთარი სხეულებისთვის სიამოვნების მინიჭებაზე ზრუნავენ და არა სიამოვნების მინიჭებაზე არჩეული მეწყვილის სულისათვის, მე აქ არ მსურს ბუტაფორიებს და გადახრებს შევეხო. მოდით, გავყვეთ იმ ხაზს, თუ რა უნდა იყოს ეს კავშირი რეალურად მზადმყოფადობისა და ნამდვილი სრული ერთიანობის მონახაზში.

პირველი (და ალბათ ყველა ამ ნაწერის მკითხველისთვის აბსოლუტურად მიუღებელი და, რბილად რომ ვთქვათ, ძნელად აღსაქმელი) არის ის, რომ როგორც მამაკაცი, ისე ქალი არ უნდა გრძნობდნენ სურვილს არანაირი გამოვლინებით ერთურთის საშუალებით ფიზიკური სიამოვნება მიიღონ. თითოეუ-

ლის ბუნებრივი სურვილი ერთურთისთვის სიამოვნების მინიჭება უნდა იყოს. მაქვს პატივი მოვიხსენიო გენიალური პოეტისა და ფილოსოფოსის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერი ნაწარმოები, რომელშიც აბსოლუტურად ყველაფერი პირველი ასოდან ბოლო წერტილამდე სწორედ რომ ამ მიმართებაზე ანუ სიამოვნების მიღებაზე უარის თქმაზე და მხოლოდ და კატეგორიულად სიამოვნების გაცემაზე არის აგებული. ციტატის მოყვანა რომც მოვინდომო ალბათ ნებისმიერ ნაწილს ამ ნაწარმოებისა ვაწყენინებდი, მაგრამ მაინც ერთხაზიან ციტატას მოვიტან, რაც მთელს წიგნს გასდევს და მოიცავს:

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

მაგრამ ეს უნდა იყოს შედეგი ურთიერთობებისა, როგორც შინაგანი რწმენა ორი ინდივიდუალიზმის ჭეშმარიტი ერთიანობისა და „საწვავი“ ანუ ენერგია მარადიულობისა და მუდმივობისა, რეალური უბერებლობისა და უკვდავებისა.

ეს მესამე თავის მიზანია. ახლა კი ვნახოთ, როგორ უნდა მიიღწეს ეს. კიდევ ერთხელ მსურს ხაზი გავუსვა წინასწარმომზადებულობის უზარმაზარ მნიშვნელობას, პერიოდს, რომლის დროსაც ხდება საკუთარი ინდივიდუალური სულების აღზრდა და დაქვემდებარებაში მოქცევა მამაკაცის მხრივ მამა ღმერთთან მიმართებაში და ქალის მხრივ სულიწმიდასთან მიმართებაში. ფაქტიურად, ეს ურთიერთობები უნდა იყოს მაქსიმალურად სასურველად მსგავსი მამა ღმერთისა და სულიწმიდის ურთიერთობებისა. მამაკაცში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ქალის მამა ღმერთზე ზემოთ დაყენება, თუ ეს მოხდება და ქალს ზედმეტ ფასს დაადებს, გადააფასებს, მაშინ სქესობრივი ლტოლვის დაუძლეველ სურვილს იგრძნობს, რომელსაც ვეღარ მოერევა და ქალის სხეულს მიეჯაჭვება, როგორც სიამოვნების მიღების საშუალებას. ამ შემთხვევაში ქალი მისთვის სქესობრივი ვნების საშუალება გახდება, რათა თავისი სხეულისეული სურვილი დაიცხროს. ქალში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მამაკაცის სულიწმიდაზე ზემოთ დაყენება. თუ ეს მოხდება და მამაკაცს ზედმეტ ფასს დაადებს, გადააფასებს, მაშინ საკუთარი უფლებების მოთხოვნების დაუძლეველ სურვილს იგრძნობს, რომელსაც ვეღარ მოერევა, რამეთუ მამაკაცის სულს მიეჯაჭვება, როგორც კმაყოფილების (ნატვრის, სურვილის ასრულების) მიღების საშუალებას. ამ შემთხვევაში მამაკაცი მისთვის მოთხოვნილებების შესრულების საშუალება გახდება, რათა თავის სულისმიერი სურვილები დაიცხროს. ვინაიდან პოლუსები შეიცვალა და მამაკაცის მმართველობითი, მაორიენტირებელი ფუნქცია ქალზე გადავიდა, მოთხოვნილებები გაცილებით მალე იზრდება, ვიდრე შესაძლებლობები და ქალი ძალაუფლების აღებისკენ მიდრეკილი ხდება.

თუ მამაკაცი არა ქალისაგან მიჯაჭვულობის მიზეზით, არამედ თავის სულიერი მიდრეკილებით მამა ღმერთზე მაღლა დააყენებს თავის თავს, მაშინ ის ქალს არსებულზე ნაკლებ ფასს დაადებს, ჯეროვნად არ შეაფასებს. ამ შემთხვევაშიც სქესობრივი ვნების დაუძლეველი სურვილი იღვიძებს, რომელსაც მამაკაცი უკვე ქალის დაკმაყოფილებით კი არ აღწევს, არამედ უხეში ფიზიკური ძალის, იძულების, კომპრომენტაციის, შანტაჟის და ამგვარი სახის საშუალებებით.

თუ ქალი არა მამაკაცისაგან მიჯაჭვულობის მიზეზით, არამედ თავისი სხეულისეული მიდრეკილებით სულიწმიდაზე მაღლა დააყენებს თავის თავს, მაშინ ის მამაკაცს არსებულ რეალობაზე უფრო ნაკლებ ფასს დაადებს, ჯეროვნად არ შეაფასებს. ამ შემთხვევაშიც საკუთარი მოთხოვნილებების დაუძლეველი სურვილი იღვიძებს, რომლებსაც ქალი მამაკაცისთვის სქესობრივი სიამოვნების მინიჭებით კი არ აღწევს, არამედ თვალთმაქცობით, ტყუილით, მომხიბვლელობით, ვაჭრობით, ღალატით და ამგვარი სახის საშუალებებით.

ადამიანთა ეს კატეგორია (სამწუხაროდ აბსოლუტური უმრავლესობა), რომლებიც ამ ნაწილში შედიან, მამა ღმერთისა და სულიწმიდის მხრიდან, ფაქტიურად საკუთარი ნებით, მოწყვეტილნი არიან. ისინი ღვთის-ძის განმგებლობის ქვეშ იმყოფებიან და მკაცრად განსაზღვრულად განიგება მათი ბედი, როგორც ფიზიკური სხეულის პირობებში, ისე ფიზიკური სხეულიდან გასვლის შემდგომ. ეს სხვა თემაა და თუ ვინმეს ეს სერიოზულად დააინტერესებს ვურჩევდი ბუდიზმისა და ტიბეტური ლამაიზმის მოძღვრებებს მიაპყროს თავისი ყურადღება.

ეს იყო ჩამონათვალი იმისა, თუ რა არ უნდა ქნას მამაკაცმა და ქალმა. ვფიქრობ, ეს ნამდვილად ყურადსაღებია, მივიდეთ იმ მდგომარეობამდე, რაც რეალურად არსებობდა ბიბლიური მითოლოგიის მიხედვით იქამდე, ვიდრე ადამი და ევა ცოდვას ჩაიდენდნენ. მართლაც, ვგონებ, მართლა საჭიროდ და, თუ გსურთ, აუცილებლადაც საინტერესოა — რა უნდა ყოფილიყო ამ არასწორი ნაბიჯის ნაცვლად.

მაგრამ, ვიდრე ამ ახალი, აშკარად ევოლუცირებული საფეხურის გარშემო დავკონკრეტდები, იძულებული ვარ ისევ უკან დავბრუნდე, რამეთუ კატეგორიულად აუცილებლად მიმაჩნია, ასე ვთქვათ, შენიშვნის (უფრო კონკრეტული გაშიფრულობისა და წინამდებარე საფეხურების ახსნის) შემოტანა.

(გაგრძელება იქნება)

წერილები

ტიტე მოსია

მუშნი ღასურია და „ვეფხისტყაოსანი"

ანბანურ ჭეშმარიტებად ჟღერს იაკობ გოგებაშვილის გამონათქვამი: „ვეფხისტყაოსანი" განსაკუთრებით საყვარელი წიგნია აფხაზი ხალხისათვის, რომელიც ყველაზე ახლობელია ქართველებთან კავკასიის სხვა ხალხებს შორის". ქართული მიწის აფხაზეთის ნაწილის მკვიდრი ეს ორი ხალხი საუკუნეების მანძილზე ერთი ცის ქვეშ ერთად იმკიდა სიკეთეს და თრგუნავდა უკეთურებას, ბოროტებას, ერთად აგებდნენ ციხე-ტაძრებს, ერთად ებრძოდნენ მუხანათ მტერს, ერთად ადუღაბებდნენ ძმობის ხიდს. ეს ჰარმონიული ურთიერთობა გრძელდებოდა XIX საუკუნის დამდეგამდე, ვიდრე აგრესორი და ოკუპანტი რუსეთი ფეხს შემოყოფდა შავიზღვისპირეთის ამ თვალმარგალიტ მხარეში. XIX-XX საუკუნეების მანძილზე მოძალადე რუსეთი – ცარიზმის და ბოლშევიზმის რუსეთი – მუდამ ცდილობდა ქართველი და აფხაზი ხალხის, ამ მრავალსაუკუნოვანი მოძმე ერის, ერთმანეთთან სისხლიან წაკიდებას. მან ოცნება აიხდინა 1993 წლის 27 სექტემბერს, როდესაც აფხაზეთის მიწა ვერაგულად წაგლიჯა საქართველოს სხეულს. წაგლიჯა ათასობით აფხაზთა და ქართველთა დაღვრილი სისხლის ფასად. აგერ უკვე 25 წელია აფხაზეთში, საქართველოს ამ ძირძველ მხარეში, წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ სრულდება, დამცირებულია და უგულებელყოფილი ქართული ენა, განადგურებული და დამწვარია ქართული წიგნები, მათ შორის აფხაზურ ენაზე ორჯერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი".

არადა 1993 წლამდე შოთა რუსთაველის პოემა აფხაზთათვის ხელისხელ საგოგმანებელი განძი გახლდათ. XIX საუკუნიდან XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდის აფხაზური ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელნი მაღალ შეფასებას აძლევდნენ შოთას გენიალურ თხზულებას, თვითონ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი მკვლევარნიც ვერ გაურბოდნენ „ვეფხისტყაოსნის" გენიის ქება–დიდებას, აფხაზურ ენაზე პოემის ამეტყველებით გამოხატულ აღფრთოვანებას. რადგან სიტყვამ მოიტანა, რამდენიმე მათგანის მოსაზრებას გამოვიხმობთ რუსთაველისადმი მიძღვნილი მათივე წერილებიდან.

აფხაზ სწავლულთაგან „ვეფხისტყაოსანს" პირველი შეეხო გიორგი შარვაშიძე. მან 1915 წელს გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდა წერილი „ქართული ენის გარშემო". ეს დიდებული აფხაზი ინტელიგენტი წუხდა ინტერპოლატორთა მხრიდან რუსთაველის პოემის დაზიანებაზე. პოემის სხეულში ხორცმეტად ჩაკირულ ჩანართ-დანართებზე. სიამოვნებდა მცდელობანი ყალბი ადგილებისგან ნაწარმოების გაწმენდისა. თუმცა ეს საკმარისად არ მიაჩნდა. ამავე წერილში არ დამალა თავისი გულისტკივილი:

„ჩვენს დროშიც ამ დიდებული მწერლის სურათიც კი გამოიგონეს. მაგრამ ეს კი არ არის საკვირველი, რომ უმეცარს ვინმეს განუზრახავს რუსთაველი წარმოედგინა ჩვენი დროის სამოსელით და მის ყიზილბაშურ ქუდში კალამი გარჭობილი. საკვირველი ის არის, რომ ქართველმა საზოგადოებამ მიიღო ის, როგორც ნამდვილი სურათი და გაავრცელა კიდეც.[6]

პირველი აფხაზი ჩინებული რუსთველოლოგი წერდა: „ბავშვობიდან დაკავშირებული ვიყავი ამ დიდ ნაწარმოებთან (იგულისხმება „ვეფხისტყაოსანი" – ტ.მ.). ჯერ იყო და მის კითხვას ვისმენდი მშობლიურ ოჯახში. უფრო გვიან თავად დავიწყე მისი კითხვა, გადაკითხვა, ზეპირად დასწავლა. ასე გრძელდება დღემდე".[7]

„ვეფხისტყაოსნის" აფხაზურ ენაზე მთარგმნელი დიმიტრი გულია გადმოგვცემს: „რუსთაველის უკვდავი გმირის ტარიელის სახელი აფხაზეთის გლეხობაშიც შეჭრილა, მოუხიბლავს იგი და აფხაზე-

[6] **გ. შარვაშიძე**, ქართული ენის გარშემო, გაზ. „საქართველო", 1915, 16 დეკემბერი. შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 340, რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988, გვ. 555

[7] **დ. ჩქოტუა**, რუსთაველის პოემის გმირები და მათი მსოფლმხედველობა, წიგნში: რუსთველი მსოფლ. ლიტერ. III, გვ. 536

თის ხალხის მამაკაცის საუკეთესო თვისებათა გამომხატველ ზედსართავ სახელად გაუხდია. რუსთველის თარგმნა იმ ხალხის ენაზე, რომელსაც შეუნახავთ თქმულებები ავთანდილსა, ტარიელსა და სხვა გმირებზე, ჩემი ოცნების საგანი შეიქმნა“.[8]

ქვემოთ მკითხველს სპეციალურად გავაცნობ ნაწყვეტებს იმ აფხაზი მწერლებისა და მკვლევართა ნაწერებიდან „ვეფხისტყაოსანზე“, რომლებიც აფხაზეთში ანტიქართული მოძრაობის იდეოლოგები იყვნენ. სწორედ მათ მიუძღვით დიდი წვლილი XX საუკუნის 90-იანი წლების აფხაზეთის ტრაგედიაში. წარმოუდგენლად შეუთავსებელი ჩანს, ერთის მხრიდან, მათ მიერ რუსთაველის გენიის განდიდება, მეორეს მხრივ, მათივე ავადმყოფური სიძულვილი „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი ერისა.

დიმიტრი გულიას მემკვიდრე გიორგი გულია ამბობდა: „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურ ენაზე თარგმნამ განამტკიცა ქართველ ხალხთან საუკუნოვანი კულტურული ურთიერთობის ჯანსაღი ფესვები“. რა ურთიერთობის განმტკიცებაზე უნდა ესაუბრა ამ რუსულენოვან აფხაზ მწერალს, რომელიც ათეულობით წლების მანძილზე „იღვწოდა“ საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისათვის.

ახლა კი მოვუსმინოთ აფხაზეთში ანტიქართული მოძრაობის ლიდერს ბაგრატ შინქუბას, რომელსაც ასპირანტურა თბილისში ჰქონდა დამთავრებული, სადისერტაციო ნაშრომიც აქ დაიცვა, იყო რუსთაველის პრემიის ლაურეატი. ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა აფხაზ ხალხში რუსთაველის პოემის პოპულარიზაციისათვის, თარგმნიდა ნაწყვეტებს, რუსთაველს უძღვნიდა ლექსებს, ასევე თბილისს, საქართველოს. მაგრამ რად გინდა, შავრაზმელი სეპარატისტების მამამთავარი გახლდათ. ეს შესანიშნავი აფხაზი პოეტი გაორებულ პიროვნებად მოჩანს, როცა მის სიტყვებს ქვემოთ გავეცნობით:

„აფხაზი ხალხი ძველთაგანვე ძმობდა ქართველ ერს, მასთან ერთად იცავდა თავის კულტურას და დამოუკიდებლობას. აფხაზთა და ქათველთა მეგობრობა შედუღაბებულია მრავალი თაობის სისხლით, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს საერთო ინტერესებს. აფხაზეთის ლაშქარი მონაწილეობდა ყველა დიდ ომში, რომლებიც ქართველებს ჰქონდათ უცხოელ დამპყრობლებთან... XIX–XX საუკუნეებში აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომლებიც ახლოს იდგნენ ქართულ კულტურასთან, დიდი ინტერესი გამოიჩინეს შოთა რუსთაველის ქმნილებისადმი, მათ კარგად იცოდნენ ენა“.[9]

რაც ბ. შინქუბაზე ითქვა, ზუსტად იგივე გამეორდება ცნობილი აფხაზი მეცნიერის და რუსთველოლოგის შალვა ინალ–იფას პიროვნებაზე. ამჯერად მისი რუსთველოლოგიური ნააზრევიდან რამდენიმე ნაწყვეტს დავიმოწმებთ: „შეუძლებელია რუსთაველი ფიზიკურად აფხაზეთში ნამყოფი არ იყოს ნართებისა და აბრსკილისთანა გმირული ამბების შემქმნელი და მათ ტრადიციებზე აღზრდილი ხალხი. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ისეთ ნაწარმოებს, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“.

ძველი დროიდან მოკიდებული დღემდე რუსთველი და მისი პოემა აფხაზ ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი; რომ რუსთაველისა და მისი გმირების სახელებს აფხაზები სიყვარულით ატარებენ: შოთა, ტარიელი, თანდილ (ავთანდილი), რუსტან, არუსტან, ასტან (როსტევანი), დარჯანა, დარჯა, თინა, თინათ (თინათინი). ტარიელი განსაკუთრებით აბჟუებთან ტროპის სახედაა ქცეული – „ტარიელსავით ტანადია“, „ტარიელსავით ბრწყინავს“, „ტარიელსავით წერწეტაა“, „ტარიელსავით მოხდენილია“.[10]

ბორის გურგულია ჩემი ლექტორი იყო, შემდეგში წლების მანძილზე ერთად ვთანამშრომლობდით. ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა. ყოველთვის ვამჩნევდი: არ ჰქონდა მყარი აზრი ქართველთა შეფასებისას. ხან კარგ სიტყვებს მოგასმენინებდა, ხან კი აუგად იხსენიებდა ჩემს საყვარელ ხალხს. ქართულ წარმოშობასაც არ მალავდა. აფხაზთა ანტიქართული გამოსვლებისას მიკროფონთან მიჭრას ვერავინ დაასწრებდა. „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ საოცარ სიყვარულს ავლენდა: „ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით გამოიარა ორმა მოძმე ხალხმა საუკუნეთა უღრანები და ძნელბედობა. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა კრისტალური და უსპეტაკესი სახეები იყო აფხაზი ხალხის ცხოვრებაში, ლხინსა და ძნელბედობაში თანამდგომი და დიდი სულიერ–მორალური ძალა“.[11]

---

[8] **დ. გულია**, როგორ ვთარგმნი „ვეფხისტყაოსანს“, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 556

[9] ეს არის ნაწყვეტი სიტყვიდან, რომელიც ბ. შინქუბამ წარმოთქვა თბილისში 1966 წლის 26 სექტემბერს სსრკ და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა პლენუმზე, რომელიც რუსთაველს მიეძღვნა. გამოქვეყნდა გაზ. „კომუნისტში“ 1966 წლის 27 სექტემბერს. შდრ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 561

[10] **შ. ინალ–იფა**, შოთა რუსთაველი (რუს), სოხუმი, 1966, შდრ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 581-582

[11] **ბ. გურგულია**, მთარგმნელის ღვაწლი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981, 6 მარტი

ქართველი ხალხის მიმართ მუდამ კეთილად განწყობილი ხუხუტი ბღაჟბა წერდა: „შოთა რუსთაველი ცოცხლობს აფხაზ ხალხში. აფხაზთა ზეპირსიტყვიერებაში გვაქვს საინტერესო მასალები რუსთაველსა და მის გმირებზე. რუსთაველის ბევრი აფორიზმი აფხაზეთში ანდაზების სახით გვაქვს. შოთას სიტყვებს ჩვენ ვინახავთ და ველაციცებით სიყვარულით. ის ჩვენი სულისა და ჩვენი საქმის მოუცილებელი ნაწილია. რუსთაველის ძეგლის გავლისას ჩვენ წარმოვთქვამთ: „გამარჯობა, მშობლიურო შოთა!“[12]

აფხაზმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა მიხეილ დელბამ საყურადღებო ნაშრომი უძღვნა პოემას – „შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა.[13] აქვე უნდა დავასახელოთ აფხაზი მეცნიერის, ლიტერატურათმცოდნის და ფოლკლორისტის შოთა სალაყაიას წერილი „რუსთაველის პოემა აფხაზურ პოეზიაში“, რომელიც აფხაზურ ჟურნალ „ალაშარაში“ დაიბეჭდა.[14]

ზემოთ მოტანილი მასალების დანიშნულებაა იმის ჩვენება, თუ როგორ თანხმდებიან თანაზომიერად, თითქმის ერთხმად „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულში, მისი გენიალობის აღიარებაში ქართველების კეთილმოსურნე და ავისმოსურნე აფხაზი მწერლები და მეცნიერები.

აფხაზი მკვლევარნი ვერ აზუსტებენ, ვერ არკვევენ თუ როდის უნდა შესულიყო აფხაზეთში, აფხაზთა გულებში „ვეფხისტყაოსანი“. უნდა დავეთანხმოთ მარინე ჯაიანს: „აფხაზებს ადრევე შეეძლოთ გაეცნოთ რუსთაველის პოემა. მათი უმრავლესობა კარგად ფლობდა ქართულ ენას და თავისუფლად შეეძლოთ „ვეფხისტყაოსნის“ დედანში წაკითხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ პოემის თარგმნამდე საუკუნეებით ადრე იყო აფხაზისათვის რუსთაველის პოემა ცნობილი და შესაბამისად გაცნობიერებული, გააზრებული“.[15]

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი თარიღიანი ხელნაწერი, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, გადაწერილია 1646 წელს ზუგდიდში, ლევან მეორე დადიანის სამთავრო კარზე. ეს იმაზე მიუთითებს, რომ XVII საუკუნის შუა ხანებში რუსთაველის პოემა სამეგრელოსთვის უკვე მახლობელია. შეიძლება ვიფიქროთ და ვივარაუდოთ, რომ სამეგრელოს მეზობელ აფხაზეთშიც XVII საუკუნისთვის უკვე იცნობდნენ ამ განუმეორებელ თხზულებას. წერილობითი წყაროების მიხედვით XIX საუკუნის II ნახევარში აფხაზური ზეპირსიტყვიერება იცნობს პოემის გმირებს. ეს ვერ მოხერხდებოდა აფხაზეთში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის (შესაძლოა ვახტანგისეული 1712 წლის გამოცემისას) უქონლობის საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ მოვიგონოთ დიმიტრი გულიას (დაბადებულია 1874 წელს) ნათქვამი: „ამ სტრიქონების ავტორი თავის ბავშვობაში ერთი საუბრის მოწმე გახდა, რომელიც ღრმად აღიბეჭდა მის მეხსიერებაში. მისი ჭაბუკი მეზობელი გატაცებით აღუწერდა თავის დედას ერთი ყმაწვილის გარეგნობას.

– დედა, ისეთი ლამაზი, მოხდენილი ვაჟკაცი იმ დღეობაზე არავინ იყო. მხარბეჭზე ადლი გადასწვდებოდა, წელს კი თითები შემოსწვდებოდა... კარგი, თვალადი, ტანადი...

– ტარიელი ყოფილა, შვილო, უთხრა გაოცებულმა დედამ.[16]

აქედან გამომდინარე, დიმიტრი გულია სამართლიანად ასკვნის: აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის ტარიელის სახელი ქცეულა მამაკაცის სილამაზის, მოხდენილობის და გმირობის სიმბოლოდ. ზემოთაც გაკვრით ითქვა, რომ პოემის სხვა პერსონაჟებიც (ავთანდილი, როსტევანი, ნესტან–დარეჯანი, თინათინი) დამკვიდრებულან აფხაზურ ფოლკლორში. ძნელია, ცხადია, იმის განსაზღვრა, თუ აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში რომელი საუკუნიდან შეიჭრნენ პოემის მთავარი პერსონაჟები. დიმიტრი გულიას უტყუარი ჩვენებით ამისი ფაქტი უკვე გვაქვს XIX საუკუნის II ნახევარში.

ბუნებრივია, აფხაზები თავიანთ ენაზე რუსთაველის ნაწარმოების თარგმნამდე მას ეცნობიან ქართულ ენაზე. მუშნი ლასურიამდე აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას თავისი ისტორია აქვს. მხედველობაში გვაქვს სრული და ნაწილობრივი თარგმანები.

---

[12] რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 559

[13] **მ. დელბა**, შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, ჟურ. „მნათობი“, 1941, №4, გვ. 79-92

[14] **შ. სალაყაია**, რუსთაველის პოემა აფხაზურ პოეზიაში, ჟურ. „ალაშარა“, სოხუმი, 1966, №6, გვ. 41-47

[15] **მ. ჯაიანი**, „ვეფხისტყაოსანი“ და აფხაზეთი, ცხუმ–აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები XIII–XIV, გვ. 157

[16] **დ. გულია**, როგორ ვთარგმნი „ვეფხისტყაოსანს“, წიგნში, რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 555-556

როგორც ბაგრატ შინქუბა შენიშნავს, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა რევოლუციამდე პირველად უცდია ოჩამჩირელ პედაგოგს დიმიტრი მაანს (მარღანია). ის სასულიერო მოღვაწე ყოფილა, პოემა თითქმის ზეპირად სცოდნია... მის თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია.

„ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ თავებს და ნაწყვეტებს არაერთი აფხაზი ჰყოლია თავიანთ ენაზე ამმეტყველებლად. ესენი იყვნენ: დიმიტრი გულია, ბაგრატ შინქუბა, სამსონ ჭანბა, ა. არძინბა, მ. გოჩუა, ლ. კვიწინია. დღის წესრიგში დამდგარა გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსთვის რუსთაველის უკვდავი ქმნილების სრულად თარგმნა აფხაზურ ენაზე. ამ ტიტანური საქმის განხორციელება იტვირთა აფხაზური მწერლობის ფუძემდებელმა, აფხაზეთის სახალხო პოეტმა დიმიტრი გულიამ. იგი პასუხისმგებლობით მოკიდებია ამ დიდ საქმეს: „არა მგონია, საჭირო იყოს ლაპარაკი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, მკითხველის წინაშე, საკუთარი შემოქმედებითი სინდისის წინაშე, როცა შევუდექი რუსთაველის პოემის თარგმნას აფხაზურ ენაზე“.[17]

დიმიტრი გულიამ, ცხადია, ზედმიწევნით იცოდა აფხაზური ენა, ჩინებულად ფლობდა ქართულს, რაც უადვილებდა თარგმნას ასევე. თარგმნისას აფხაზური მწერლობის პატრიარქს დასახული ამოცანის წარმატებით შესრულებას უადვილებდა, მისივე თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სისადავე, თითოეული აწონილი სიტყვა, პოეტის კეთილშობილი იდეები, კრისტალურად წმინდა და ძლიერი აზრი. პოემის სტილის მჭიდრო დაკავშირება კომპოზიციურ აგებულებასთან, პოემის ენის ხალხურობა, მუსიკალური ლექსის კეთილხმოვანება და ჰარმონიულობა.[18]

დიმიტრი გულია წერს: „ჩემი მიზანი იყო, არა მარტო ზუსტად გადამეცა აფხაზი მკითხველისათვის პოემის შინაარსი, – ეს იქნებოდა საქმის ნახევარი, – არამედ რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, დამეცვა თარგმანში შესანიშნავი რუსთველური ენა, სახეები და, რაც მთავარია, ლექსის მუსიკა. უკანასკნელი პირობის გარეშე თარგმნა მე მიმაჩნდა დაუშვებლად“.[19] მას სწამდა, რომ პოემის კარგი თარგმნისათვის არ კმარა მარტო თანამედროვე ქართული ენის ცოდნა. საჭირო იყო კარგი სიტყვა–სიტყვითი მეცნიერულად დამუშავებული თარგმანი, რომლის მოპოვების იმედი ჰქონდა. როგორც თვითონ გვიმხელს, თარგმნისას ხანდახან „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებსაც მიმართავდა იმის გასარკვევად თუ როგორ იყო თარგმნილი ესა თუ ის ადგილი.

ცნობილია, რომ დიმიტრი გულიას „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურ ენაზე თარგმნაში ინტენსიურ და საჭირო დახმარებას უწევდნენ აფხაზური ენის ბრწყინვალე მცოდნენი სიმონ ჯანაშია და ქეთევან ლომთათიძე. 1941 წელს გამოქვეყნდა დიმიტრი გულიას მიერ შესრულებული აფხაზური თარგმანი „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტისა. მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც აფხაზეთში, ისე დანარჩენ საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში. აღსანიშნავია, რომ 1941 წლის 26 აპრილს სოხუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა რუსთაველის პოემის პირველი სრული აფხაზური თარგმანის („აბჟასცია ზშიუ“) გამოქვეყნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. ამის შემდეგ ამ თარგმანის დასტამბვა რამდენიმეჯერ განმეორდა. მხედველობაში გვაქვს 1953, 1959, 1984 წლების გამოცემანი.

სტუდენტობის წლებშიც კი (1966-1970) ამ სტრიქონების ავტორს მოუსმენია ბორის გურგულიასგან, მუშნი ლასურიასგან, აფხაზური ენის ბრწყინვალედ მცოდნე ქართველი პოეტისა და მეცნიერის მირიან მირნელისაგან (ციკოლია) იმ ხარვეზების შესახებ, რაც თან ახლდა თურმე დიმიტრი გულიასეულ თარგმანს. თითქოს იგი ვერ აკმაყოფილებდა აფხაზი მკითხველის, გათვითცნობიერებული და გემოვნება ამაღლებული მკითხველის, თანამედროვე მოთხოვნებს. თუმცა ამ თარგმანის ისტორიული მნიშვნელობა და ღირებულებანი ძალაში რჩებოდა.

ყოველივე ამან დღის წესრიგში წამოჭრა „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურ ენაზე სრულად ხელმეორედ თარგმნის აუცილებლობის პრობლემა. ამ უმძიმეს ტვირთს მხრები შეუყენა ცნობილმა აფხაზმა პოეტმა და მთარგმნელმა მუშნი ლასურიამ, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა, საერთოდ, ქართველი ერისადმი სიმპათიური დამოკიდებულებით.

თავის ერთ–ერთ წერილში „გზა შემოქმედებითი ოცნებიდან სინამდვილემდე განვლილია“ მუშნი ლასურია გვიყვება იმის შესახებ, თუ რამ შთააგონა და გადააწყვეტინა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა აფხაზურ ენაზე. რამდენიმე მომენტს შევეხები დასახელებული წერილიდან. პირველ რიგში აფხაზი პოეტი იმას გვაცნობს, თუ რა გახდა მიზეზი, საერთოდ, მთარგმნელობითი საქმიანობით დაინტერესებისა: „ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. მშობლიურ სოფელ კუტოლში სტუმრები გვეწვივნენ. ჩვეულებრისამებრ სუფრა გაიშალა. თამადა იყო მამაჩემი, რომელიც აფხაზი გლეხისათვის დამახასიათებელი ეშხითა და მჭევრმეტყველებით მიუძღოდა სუფრას. იგი აფხაზურად ოქროპირობდა. მაგრამ სუფრასთან,

[17] **დ. გულია**, გენიალური პოემა, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 556
[18] იქვე
[19] იქვე

სტუმართა შორის, იყვნენ ადამიანები, რომელთაც აფხაზური ენა არ ესმოდათ. დედაჩემი კი, სახელ-დახელოდ, ალაგ–ალაგ თარგმნიდა მამაჩემის ნათქვამს. თუმცა ის ეშხითა და პეწით ამას ვერ ახერ-ხებდა, როგორითაც მამაჩემს გამოუდიოდა სადღეგრძელოები მშობლიურ ენაზე. მე ყოველივე ამას ვუსმენდი და სადღაც, გულის სიღრმეში, უკმარობის გრძნობა მიჩნდებოდა, იქნებ მაშინ, ჯერ კიდევ უმწეო ბავშვს გამიჩნდა სურვილი თუ იდეა, ყოველივე ღირსეულს, თქმულს მშობლიურ ენაზე, ასევე ღირსეული მთარგმნელი გაჩენოდა“.[20]

ამავე წერილში მუშნი ლასურია გვამცნობს, თუ როგორ წაიკითხა ბავშვობაში აკაკი წერეთლის „გამზრდელი“, დიმიტრი გულიას მიერ აფხაზურ ენაზე ამეტყველებული. მაშინ გაოცებასთან ერთად გაჩენია სურვილი ასეთი რამის გაკეთებისა. მეხუთე თუ მეექვსეკლასელ მუშნი ლასურიას წაუკითხავს „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დიმიტრი გულიამ გააცნო მშობელ ხალხს აფხაზურ ენაზე. „რუსთაველის გენიალურმა ტაეპებმა, – წერს იგი, – აფორიზმებმა, სიბრძნემ, მუსიკალობამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. სრულიად ყმაწვილი ტრაგიკულად განვიცდიდი ტარიელის ბედს, ქაჯეთის ციხეში ნესტან–დარეჯანის ტყვეობას.[21]

მუშნი ლასურიას მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტში ყოფნისას დაუწყია აფხაზურ ენაზე პუშ-კინის „ევგენი ონეგინის“ თარგმნა. იგი თურმე აქვე „ვეფხისტყაოსანს“, როგორც ტარიელი, ავთანდი-ლი და ფრიდონი ქაჯეთის ციხეს, ისე უტრიალებდა „ასაღებად“. დასახელებულ წერილში განფენილი ეს სიტყვები იმის დასტურია, რომ ჯერ კიდევ მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტში ყოფნისას უკვე აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა მუშნი ლასურია რუსთაველის პოემის აფხაზურ ენაზე ასამეტყველებლად.

კვლავ მუშნი ლასურიას მოვუსმინოთ: „ვეფხისტყაოსანს“ ვკითხულობდი, ვსწავლობდი ორიგინალ-სა თუ რუსულ ხუთივე თარგმანში 1966 წელს კი, როცა ფართოდ აღინიშნა რუსთაველის დაბადების 800 წელი, ვთარგმნე ჩემთვის ახლობელი და საყვარელი პოეტის ირაკლი აბაშიძის ლექსთა ციკლი „პალესტინა, პალესტინა“. ამასთან ერთად სერიოზულად შევუდექი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისათ-ვის, ტექნიკური ენით რომ ვთქვათ, მოსამზადებელ სამუშაოებს“.[22]

წერილის ავტორი იქვე განაგრძობს: „მართალი გითხრათ, როცა მრავალგზის გადავიკითხე ყველა რუსული თარგმანი, ჩავუღრმავდი პწკარედსა თუ ორიგინალში „ვეფხისტყაოსნის“ ყოველ ტაეპს, ყო-ველ ნიუანსს, მასთან ერთად კიდევ უფრო გამიღრმავდა სურვილი, უამრავ ღამეთა თევის ფასად, ჩემს სამუშაო მაგიდაზე მეხილა „ვეფხისტყაოსნის“ ჩემეული თარგმანი. ამ შემოქმედებითი გარჯისა და წვის პროცესში ვერ ვხედავდი განსხვავებას გენიალური შოთას ცრემლსა თუ მუსიკას შორის, რო-მელთაც კელაპტარივით ამშვენებდა ქართული ენის ეშხი და ლაზათი“.[23]

როგორც აფხაზი ლიტერატურათმცოდნენი მიუთითებენ, მუშნი ლასურიამ თითქმის ათი წელი მოანდომა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას, რათა შოთა რუსთაველის უკვდავი სტრიქონებისათვის აფხა-ზურ ენაზე ლამაზი სიცოცხლე მიენიჭებინა. მას თურმე გამზადებული ტექსტის ხელნაწერი გამოქვეყ-ნებამდე ხუთი წლის განმავლობაში მაგიდაზე ედო, ხვეწდა, ასწორებდა, კომპეტენტურ პირებს აჩვე-ნებდა, ჭკუას ეკითხებოდა. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით აფხაზი პოეტი, მთარგმნელი და მეცნ-ნიერი ბორის გურგულია:

„ვეფხისტყაოსნის“ მუშნი ლასურიასეულ თარგმანს გამოქვეყნებამდე ხუთი წლით ადრე 1973 წელს გავეცანი. ახალი თარგმანი უპირველესად შევუდარე ორიგინალს, შემდეგ კი – დიმიტრი გულია-სეულ თარგმანს, აგრეთვე კ. ბალმონტის, გ. ცაგარელის, ნ. ზაბოლოცკის, შ. ნუცუბიძის, პ. პეტრენ-კოს რუსულ თარგმანებს „ვეფხისტყაოსნის“ ლასურიასეული თარგმანი წაიკითხა აფხაზური ენის დიდმა მცოდნემ ქეთევან ლომთათიძემ და მაღალი შეფასება მისცა მას“.[24]

თავისი ბრწყინვალე თარგმანი რუსთაველის პოემისა მუშნი ლასურიამ დასტამბა 1978 წელს. ამ დიდი საქმის განხორციელებისათვის მას დამსახურებულად მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია 1981 წელს. „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სრული თარგმანის გამოქვეყნება აფხაზურმა ინტელი-გენციამ და მთელმა საზოგადოებამ იმთავითვე დიდ მოვლენად აღიქვა. ასევე აღტაცებით შეხვდა მას ქართველი საზოგადოება სოხუმში და თბილისში, სადაც არაერთი აღმაფრთოვანებელი გამოხმაურება

---

[20] **მ. ლასურია**, გზა შემოქმედებითი ოცნებიდან სინამდვილემდე განვლილი, წიგნში, რუსთაველი მსოფლიო ლიტერატ. III, გვ. 590-591

[21] **მ. ლასურია**, გზა შემოქმედებითი ოცნებიდან სინამდვილემდე განვლილი, წიგნში, რუსთაველი მსოფლიო ლიტერატ. III, გვ. 591

[22] იქვე

[23] იქვე

[24] **ბ. გურგულია**, მთარგმნელის ღვაწლი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 6 მარტი, 1981; იხ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 587-588

დაიბეჭდა: ბ. გურგულია, მთარგმნელის ღვაწლი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო (6 მარტი, 1981); მისივე „ვეფხისტყაოსნის“ მ. ლასურიასეული თარგმანი, ჟურ. „ალაშარა“, 1981. № 3; „ვეფხისტყაოსნის“ ახალი აფხაზური თარგმანი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1978, 4 მაისი; მ. ჭოჭუა, „ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურად, გაზ. „წიგნის სამყარო“. 1979, 24 იანვარი; „ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურ ენაზე, გაზ. „კომუნისტი“9 1980, 18 მარტი; ვ. ჩაჩანიძე, ხელმეორედ აფხაზურ ენაზე, გაზ. „თბილისი“, 1982, 13ივნისი და ა.შ.

აფხაზი ლიტერატურათმცოდნენი აღნიშნავდნენ, რომ მუშნი ლასურიას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მეორედ სრულად თარგმნით აფხაზურ ენაზე აფხაზი მკითხველის მაგიდაზე დაიდო უმშვენიერესი პოემა სიყვარულის, ძმობის და მეგობრობისა, როგორც აფხაზი კაცის სულიერი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

აფხაზური ენის უცოდინრობის გამო ჩვენ მოკლებული ვართ იმ დიდ სიამოვნებას, რათა ერთმანეთს შევუდაროთ რუსთაველის პოემის ორიგინალური ტექსტი ლასურიასეულ თარგმანს იმ დასკვნის გამოსატანად თუ რამდენად დგას ახლოს თარგმანი დედანთან. თავის დროზე აფხაზი კომპეტენტური ლიტერატურათმცოდნეებისაგან გამიგონია, რომ ძალიან ახლოს დგას და თვალშისაცემად განსხვავდებაო გულიასეული თარგმანისაგან. ამჯერად გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო ბორის გურგულიას დაკვირვებებზე, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა ქართული ენა, მშვენივრად წერდა ქართულად, სოხუმის პედინსტიტუტში (შემდეგში აფხაზეთის უნივერსიტეტი) ქართულ ენაზე კითხულობდა ლექციებს ქართული ფილოლოგიის სპეციალობაზე რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

როგორც ზემოთაც გაკვრით ითქვა, ბორის გურგულიას ლასურიასეული თარგმანი გამოქვეყნებამდე ხუთი წლით ადრე ჰქონდა წაკითხული და შედარებული დედანთან, გულიასეულ თარგმანთან და რუსულ თარგმანებთან. მუშნი ლასურიას თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ ბორის გურგულიამ დაბეჭდა საყურადღებო წერილები: „მთარგმნელის ღვაწლი“, „ვეფხისტყაოსნის“ მ. ლასურიასეული თარგმანი“. ეს წერილები გვიქმნის სასურველ წარმოდგენას თარგმანის ორიგინალთან მიმართებაში და ხაზგასმულია მთარგმნელის მიერ გაწეული ტიტანური შრომა და მისი მნიშვნელობა აფხაზური კულტურითვის. ქვემოთ გადმოგცემთ ზოგად ანალიზს აღნიშნული წერილებისა.

აფხაზ მეცნიერი მუშნი ლასურიას თარგმანს დაურწმუნებია თუ რა დიდია აფხაზური ენის მხატვრული გამომსახველობის შესაძლებლობანი. იგი მთარგმნელს უწონებს თავისი გრამატიკული ფორმებით და ნიუანსებით „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის სიმდიდრე – მრავალფეროვნების შენარჩუნებას აფხაზურ თარგმანში:

„მ. ლასურიას თარგმანი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რა დიდია აფხაზური ენის მხატვრული გამომსახველობის შესაძლებლობანი. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკა იმდენად მდიდარია და მრავალფეროვანი თავისი გრამატიკული ფორმებითა და ნიუანსებით, რომ მთარგმნელს უდიდეს ღირსებად, შესაშურ ერთგულებად უნდა ჩავუთვალოთ აფხაზურ თარგმანში მათი შენარჩუნება“.[25]

ყოველივე ეს ბორის გურგულიას აძლევს საფუძველს, ამტკიცოს, რომ რუსთაველის პოემის ახალი თარგმანი, მეორე სრული თარგმანი, აფხაზური მხატვრული ლიტერატურის შენაძენია, ცოცხალი ლიტერატურული ხიდია აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის:

„ყოველივე ეს გვაძლევს უფლებას აღვნიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მუშნი ლასურიასეული თარგმანი დიდი და საინტერესო ძეგლია აფხაზური სიტყვაკაზმული ხელოვნებისა, აფხაზური მხატვრული ლიტერატურისა. ეს გახლავთ ცოცხალი ლიტერატურული ხიდი აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის, რომელიც თავისი იდეალებითა და ოპტიმიზმით სრულად გამოხატავს ჩვენს საერთო – სახალხო ინტერესებს, საუკუნოვანი მეგობრობისა და ძმობის ნათელ გზას“.[26]

ბორის გურგულია „ვეფხისტყაოსნის“ მუშნი ლასურიასეულ თარგმანს უკავშირებს იმის ჩვენებას, თუ როგორ ვითარდება და სრულყოფილი ხდება აფხაზური ლექსთწყობა. მისი ფორმები და ნიუანსები. აქვე იგი მსჯელობს მთარგმნელის დამოკიდებულებაზე რითმისადმი სალექსო ტაეპებში:

„მუშნი ლასურიას ახალმა თარგმანმა ნათლად დაგვანახა, თუ როგორ ვითარდება და სრულყოფილი ხდება აფხაზური ლექსთწყობა, მისი ფორმები და ნიუანსები. მისი კლასიკური ღირსება მუშნი ლასურიამ, როგორც პოეტმა და მთარგმნელმა, კიდევ უფრო მაღალ სიმაღლეებზე აიყვანა და თანამედროვე ჟღერადობა მიანიჭა. „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია მაღალმხატვრული პოეტური ენით, წმინდა აფხაზურით, მსუბუქია და ჟღერადი პოემის სტრიქონები“.[27]

---

[25] **ბ. გურგულია**, მთარგმნელის ღვაწლი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981, 6 მარტი, იხ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 588

[26] იქვე, გვ. 589

[27] **ბ. გურგულია**, მთარგმნელის ღვაწლი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981, 6 მარტი, იხ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 588

„პროფესიონალი მკითხველი ადვილად დაინახავს, – განაგრძობს ბ. გურგულია, – რომ მუშნი ლასურია თითოეულ სტრიქონს აგვირგვინებს მაღალპოეტური, უფაქიზესი და უმახვილესი რითმით. ხშირად ორიგინალის სალექსო ტაეპის რითმა ხმოვნით მთავრდება. ახალ თარგმანშიც ძირითადად ასეთი რითმებით ამთავრებს მ. ლასურია სალექსო სტრიქონებს“.[28]

ბორის გურგულია ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შოთა რუსთაველის პოემაში ხშირად ზმნაა გამოყენებული რითმად. „ვეფხისტყაოსნის“ ამ თავისებურებების შენარჩუნება თარგმანში მუშნი ლასურიას არ გასჭირვებია, ვინაიდან ზმნა აფხაზურ ენაში კარგად განვითარებული მეტყველების ნაწილია. სწორედ ამიტომ იგი თავისებური სამკაულის როლს ასრულებსო აფხაზურ ლექსში, როგორც სარითმო სიტყვა. ასევე, აფხაზი ლიტერატურათმცოდნე გვაკვალიანებს, რომ რუსთაველის პოემა აფხაზურ თარგმანში ორიგინალის რიტმიკას არ შორდება და გენიალური პოეტის ლექსის პათოსსაც ზედმიწევნით უახლოვდება.

საანალიზო წერილის ავტორი სხვა მომეტებზეც გვამახვილებინებს ყურადღებას. კერძოდ, მთარგმნელის დამოკიდებულებაზე „ვეფხისტყაოსნის“ მეტრიკული სტრუქტურისადმი: „ცნობილ თექვსმეტმარცვლიან რუსთველისეულ პოეტურ ტაეპებს მუშნი ლასურია ძირითადად თარგმანშიც ინარჩუნებს. მაგრამ ზოგჯერ მთარგმნელი სტროფის მეორე და მეოთხე ტაეპების მარცვალთა რაოდენობას ამოკლებს თითო ან ორ–ორი მარცვლით. ე.ი. დასახელებულ ტაეპებში იგი 15 ან 14–14 მარცვალს ქმნის. მთარგმნელის აზრით, ეს ფაქტი ხელს უწყობს აფხაზური სალექსო ტაეპის ჟღერადობას“.

ასევე, ბორის გურგულიას მიხედვით, მუშნი ლასურია გაურბის მრავალსიტყვაობას. ხშირად ხუთი–ექვსი სიტყვისაგან შემდგარ პოემის ფრაზას მთარგმნელი აფხაზურად სამი–ოთხი სიტყვით გამოხატავს.

რაც მთავარია, ამ აფხაზი მეცნიერის მტკიცებით, თარგმანის ტექსტი ყოველთვის დედნის ადექვატურია. იგი ძალიან ახლოსაა ორიგინალის ტექსტთან.

ამრიგად, „ვეფხიტსყაოსნის“ გაცნობისთანავე აფხაზმა ხალხმა გაითავისა იგი, მათივე კულტურის ორგანულ ნაწილად, მათივე მხატვრული ლიტერატურის გამამდიდრებლად მიიჩნია. ამასთანავე, აფხაზი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის ხიდად აღიარა. რუსთაველის პოემის გმირები შეიჭრნენ აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში და გმირობის, ვაჟკაცობის, კეთილშობილების, ზნეობის სიმბოლოდ იქნენ გაცნობიერებული. დროთა განმავლობაში მომწიფდა სურვილი პოემის აფხაზურ ენაზე გადათარგმნისა. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადაუდგამს ოჩამჩირელ აფხაზ პედაგოგს და სასულიერო პირს დიმიტრი მაანს (მარღანია), თუმცა მის თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია.

თავის დროზე „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული თავები და ნაწყვეტები უთარგმნიათ აფხაზურად დ. გულიას, ბ. შინქუბას, ს. ჭანბას, ა. არძინბას, მ. გოჩუას, ლ; კვიწინიას, რუსთაველის პოემის პირველი სრული თარგმანი განახორციელა დიმიტრი გულიამ, რომელიც გამოქვეყნდა 1941 წელს. ეს გამოცემა გამეორდა 1953, 1959, 1984 წლებში. საყოველთაო აღიარება მოიპოვა აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მეორე თარგმანმა სრულად, რომელიც უკავშირდება ცნობილი აფხაზი პოეტის, მთარგმნელის, ლიტერატურათმცოდნის მუშნი ლასურიას სახელს. ეს თარგმანი დაიბეჭდა სოხუმში 1978 წელს, ხოლო 1981 წელს მთარგმნელს დამსახურებულად მიენიჭა შოთა რუსთაველის პრემია. ამ თარგმანს დიდი გამოხმაურება მოჰყვა აფხაზთა, ქართველთა და უცხოელთა მხრიდან. სპეციალისტთა აღიარებით მუშნი ლასურიას თარგმანი, გულიასეულ თარგმანთან შედარებით, ორიგინალის ადექვატურია, იგი ძალიან ახლოსაა ქართულ ტექსტთან.

[28] იქვე

ლუარა სორდია

გვანცა ხარაიშვილი

მზის ქვეყანასთან მიახლოვება

ახალგაზრდა შემოქმედის საგულისხმო განაცხადი გვანცა ხარაიშვილის „რძისფერი ლექსების, პოემებისა და მოთხრობების კრებული“, ჩმ. 2014 წ.

ნამდვილი მწერლობა, ნამდვილი მუსიკა, სულის ხმა, „სულის სიმღერაა“, „საკრალური სიყვარულია“. გვანცა ხარაიშვილის ძიების უპირველესი ორიენტირები.

გალაკტიონ ტაბიძემ თავისი დრო „მეფისტოფელის საუკუნედ“ მონათლა, ტერენტი გრანელმა გალიად, გვანცა ხარაიშვილისთვის „ჯურღმულია“, „ბანალურია“, „უგრძნობია“ ეს საუკუნე „მარგინალურია“ ეს ქალაქი.

ხელოვნების მისია კი დასაბამიდან უცვლელია: „სინათლისა და ჭეშმარიტებისკენ გაუძღვეს“, „ოცნებების მცველად“ იქცეს თაობებისთვის.

ამისთვის აუცილებელია რწმენა, „რწმენა კი დაძრავს მთებს“, ასე გაუთავისებია ახალგაზრდა შემოქმედს წმინდა წერილის სიბრძნე.

ძიებას სჭირდება „მხარზე გადებული იმედი“, როგორც უზენაესი, რადგან წმინდა პავლე მოციქულის მიხედვით, ყოველგვარი ნიჭი სულიწმინდის მადლია (I კორინთელთა, თ. 12, 4-11).

მესამე თვალი, „შინაგანი მზერა“, „შინაგანი ხმა“, დიდი ინტუიცია და ინტელქტი თუ მიგაგნებინებს მიუგნებელს („მიუგნებელი მხარეები თუ აიძულეთ“ ბრძანებს გალაკტიონი) ფსევდოპოეზიის ტევრში.

გვანცა ხარაიშვილს მართლაც მომადლებია ყოვლისმხილველი თვალი, დედამიწაზე, ზეცაში მონავარდე, თუ კოსმიურში გამყვანი ფრთები, „სულიერი ფრთა“, „გონური ფრთა“, როგორც ჰიმნოგრაფებს, როგორც აკაკი წერეთელს, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონს, ტერენტი გრანელს. „რადგან მოაქვს ფრთებიც, ვეკიდები უკუღმა ხეებს და ხიდებს, შენობებს, ღამეს, სანამ სხივებს არ დამიშენს ცის მშვილდი, ფორთოხლისფერა“გვამცნობს გვანცა ხარაიშვილი (რაღაც ჩემებური). ასტრალური მოგზაურობა განსაკუთრებულ ძალისხმევას „უმაღლესი წესრიგის“ გამბედაობას, სიმშვიდეს, შიშზე გამარჯვებას, საკუთარი ძალების რწმენას მოითხოვს. Рамачараина, Основа миросозерцания индийских иогов, Петербург, 1913, стр. 124)



ელენე რერიხის მიხედვით, სიკეთეს ზიარებულის სულის დისციპლინა იგივე ფრენის უნარია. საჭიროა ლოცვა სულის ფრთების გაძლიერებისთვის. ფრენას ჭირდება ისეთი სხეული, რომლითაც არ ეშინია სულს ფრენის. ფრთები იზრდება აზრით, შესაძლებელია გაფრენა ფიქრით.“ (Мозаика, Огни иога, в двух книгах, книга I, Тбилиси, 1990, стр. 31, 45, 88, 98).

ტრანსცენდენტურ პლანეტებზე გამგზავრებისთვის სულიერი ზეცის მისაღწევად საჭიროა სულიერი სხეული. სხვა პლანეტებზე მოგზაურობის მსურველს ჰქვია „ხარვა-გატა“, რაც ნიშნავს მას „ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს.“ „შრიმად-მჰაგავატი“ მე-2-ის სიმღერაში აღწერილია სულიერი ზეცისა და მისი მცხოვრებლების ბუნება.

„ჰაგავად-გიტაში“ დიდ მოგზაურობაზეა საუბარი. ჩვენ უნდა გადავლახოთ მატერიალური სამყარო და შევიდეთ სულიერ ზეცაში. ეს შესაძლებელია არა კოსმასური ხომალდებით, არამედ კრიშნას ცნობიერებით, სულიერი განვითარებით. მწვერვალზე „ ცის არის მშვილდს“ ხედავდა გალაკტიონი „მე მოვდიოდი ერთი“, ეს სახელი რაღაც „რწმენის ფარი, სიმართლის ჯავშანი, ხსნის ჩაჩქანი, სულის მახვილი, ხსნის იმედის მუზარადი,“ არის ღვთის სიტყვა. (პავლე მოციქული ეფესელთა 6-17 თესალონიკთა 5,8). პოეტ ქალს მზე, ზეცა, ვარსკვლავები უდგას თვალებში (შდრ. გალაკტიონი: „როცა თვალებში მზე იხედება, ნუ გენანება ხმის გამეტება“). გვანცა ხარაიშვილი ეძებს „დროის მდინარის სათავეს, მიისწრაფვის „აღმა სათავისკენ, ამღვრევს „ბედისწერის მდინარეს“.

გალაკტიონი უახლოვდებოდა „მზის სათავეს“, მზე კი საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი.“ (ფს. 84,12). პოეტი ქალის მიზანია „ოქროსფერ მზის ქვეყანასთან მიახლოება, „საწყისიდან საბოლოო პუნქტამდე მიღწევა. გალაკტიონი საუბრობდა სულიდან მრავალი ანკარაწყაროს ამოჩქეფვაზე.

გვანცა ხარაიშვილი ელოდება „სულის ხევიდან“ ნაკადულების ამოხეთქვას. გალაკტიონს ჰქონდა „ათასის მზერა“, „ათასის იერი“, მსოფლიო სივრციდან „ტიტან ტვირთებს“ ეჭიდებოდა. გვანცა ხარაიშვილი „ათასთა სულის იარებს“ იტევს და თავს გრძნობს სამყაროს გულში: „... აქ თავს ისე ვგრძნობ თითქოს ვიყო სამყაროს გულში“. სტეფან ცვაიგი საუბრობდა „ნაცნობი სულიერი სამყაროს ნაპირებიდან ბნელით მოცული შეუცნობლობის სვლისკენ, გრძნობის ახალი ზონებისკენ, სულიერი ცხოვრების ახალი სფეროებისკენ სვლაზე“, რაც ხელეწიფებათ არა მკვლევარ-მეცნიერებეს, არამედ „დიად-მაცნეებს, დიად მეოცნებეებს“. (დოსტოევსკი, ფანტასტიკური ღამე, 1960 წ, გვ 276).

გალაკტიონი წერდა: „ვიცნობ იმ ნაპირთა ასავალ-დასავალს, მაგრამ ყველაფერი ენით არ ითქმება“... გვანცა ხარაიშვილი ეძებს საკუთარ სამყაროს, თავის ნაპირებს, რათა „მისი სული ნაპირებთან ღუზა ჩაუშვან“. წარმატების სურვილს ეჭვებიც აემგზავრებოდა: „... მარტოობა ზღვისფერი რწმენით, რომ არასოდეს აივსება სიცარიელე და იქნება მხოლოდ არდამტკბარი ლექსების მტვერი“. ანა კალანდაძეც ხომ „სინათლისკენ ეჭვებით, უფსკრულებიდან ძლევამდე“ მიემართებოდა. გვანცა ხარაიშვილს ჩაესმოდა შემოქმედისთვის აუცილებელი შეგონება: „ნურასოდეს დახუჭავ შინაგან თვალს“. იპყრობდა „ ცხრა მთის, ცხრა ზღვის გადავლების, ახალი ზღაპრების შექმნის“ სურვილი.

„მჭირდება სიტყვა, ვით წყალი თევზებს“, ირწმუნებოდა ტერენტი გრანელი. „მჭირდება სივრცე“, აღმოხდა პოეტ ქალს. დიდ ხელოვანში მრავალი მეა, მის სულში მთელი სამყარო სახლობს. ახალგაზრდა პოეტი შეპყრობილია საკუთარი თავის, სხვათა შეცნობის, სრულყოფილების მიღწევის სურვილით: „რომ არ ვიცოდე ვინ ვარ, რომ არ ვიცოდე ვინ ვარ, რომ არ ვიცოდე ვარ ყველა, ვინც არ მინდა, ვინც შემიძლია და არ შემიძლია ვიყო, ის მეყვარებოდა, ვინც დღის სინათლეზე წრფელი თვალებით ჩემში არარსებულ სრულყოფილებას მაპოვნინებდა“ (გვ 44).

მაქსიმალისტი პოეტის მიზანია „წარსულსა და მომავალში ცქერა“, „უკვდავების ნექტართან ზიარება, ზღაპრის სასახლის“ აშენება, „პირველ სხივებთან“ შეხვედრა. აკი გალაკტიონი თავის „მშფოთვარ“ ყოფნაში „ნუგეშს“, „პირველი სხივის“ მოვლინებას ევედრებოდა „ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში“. „მიწა რომელიც არ ორსულდება მუზებით, მოწამლულია შხამით“ და ამიტომაც პოეტი „მკვდარ გულწითელებს გულის სასაფლაოზე“ მარხავს. მისი წინამორბედი პოეტი ბიძისთვის, ბეჟან ხარაიშვილისთვისაც „ყველაზე დიდი სასაფლაოა გული“. გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ „ეფემერული და ფერადი ქარებით“ ქროდნენ, გვანცას სულშიც შთაგონების ქარები იჭრებიან, ზღვის ხმაურია სულში, როგორც გალაკტიონის არემარეში, რომლთანაც ზღვა შეთანაბრებულია მის გენიასთან: „ზღვა ახმაურდა, ეს ნიშნავს, რომ ახმაურდა გენია“.

დიდი პოეტები პოლუსებს, მერიდიანებს, პლანეტებს, კოსმიურს ელტვიან, როგორც გოეთე, ვაჟა, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი. გვანცა ხარაიშვილის „რძისფერი მეგობარი,“ ანუ, „საუკეთესო მეორე მე“ საპირისპირო პოლუსებზე მკვიდრდება,წარსულსა და მომავალში ცქერის უნარით არის მომადლებული, მუდამ ფხიზლობს მისი სული, „შინაგანი თვალებით“ ხედავს უხილავს, ესმის „შინაგანი ხმა“. პოეტი აფიქსირებს, რომ „ ერთისთვის წერა ფანატიზმამდე სისულელეა, სხეული კი სულის გარეშე ხე რჩება მხოლოდ“.

„ერთადერთი გზა კაცობრიობის შეცნობისკენ საკუთარი თავის, ერის ფენომენის, მრავლის შეცნობისკენ, მწერლობაა“. კონსტანტინე გამსახურდია ხომ მწერლის ამოცანას კეთილშობილი იდეებისათვის ლაშქრობაში ხედავდა. გალაქტიონი ხომ ცრემლებით რწყავდა თავისი სულის ყანის ვარდებს: „ო, იმ ცრემლებით ირწყვებოდა ჩემი ვარდები“. გვანცა ხარაიშვილი ცრემლებით რწყავს შროშანებს, რაც მასთან პოეზიის რელიგიის მიხედვით მარიამ ღვთისმშობლის პარადიგმაა.

პოეტი ცხოვრების არსის, ჭეშმარიტების ძიებაში ათენ-აღამებს, მაგრამ ასკვნის, რომ „შეუძლებელია ჭეშმარიტება იქ იმალებოდეს, სადაც ასფალტი მარხავს მკვდრებს, მიწა კი ცოცხლებს.“ (რაღაც ჩემებური).

გალაკტიონი გარბოდა სნობებით სავსე ქალაქიდან, ხელთათმნიანი ფსევდოპოეტებისგან, ცოდვებით სავსე ჯოჯოხეთიდან ტყისკენ, ინაცვლებდა სადაც ესმოდა „ჯეჯილის მარაო-ქროლვა“, „ძველებური არყების“ შრიალი. ბუნების ციფერი ფერი ხიბლავდა, „ცისფერი სიტყვით“ ეძებდა (გზაში ქალაქისკენ).

გვანცა ხარაიშვილი ტყეში, მინდორში „ლავიწებით’ იშენებს „არტერიებით“ შემოღობილ სახლს „ზეცის სახურავით“, რათა „რძის გზიდან“ შესვას უკვდავების ნექტარი, მზის „პირველ სხივებთან ერთად აშენებს ზღაპრის კოშკების „სასწაულს“.

გალაკტიონიც ხომ „ნუგეშს პირველი სხივის“ მოვლინებას ევედრებოდა. (ხანდახან მშფოთვარე ქალაქის ხმაში).

პოეტ ქალს გულწითელები უმღეროდნენ მზის სიმღერებს, ნისკარტით მოჰქონდათ „მთავრეზე დაკრეფილი ქრიზანთემები“. „სხეულში უცნაურ მელოდიას აჟღერებდნენ ბუნების სიმები“. შემოქმედებას ცრემლი და გულის სისხლი ჭირდება, მსხვერპლის გარეშე მიუწვდომელია უზენაესი იდეალი. ამიტომაც ილანდებოდა პოეტი ქალის სახეზე სისხლის კვალი.

ტყის სევდები ყვავილებად ფეთქდებოდა, თვითონ კი ზმანებების, სიზმრების, ოცნებების ტყვედ იქცეოდა, ხარობდა იმედებით.

ტყის დევების, ჭინკების, ავსულები, არტერიებთან მოსული ტურების მოგერიება შესაძლებელი ხდებოდა „ელვის ცეცხლისებური ბრწყინვალებით“ (რაღაც ჩემებური).

საერთოდ, მხეცები, ნადირები, გველეშაპები განასახიერებენ ადამიანის სულში არსებულ უკეთურობებს, რომლებიც მკვიდრობენ „პატივმოყვარეობის საშიშ კუნძულზე“ (იოანე ოქროპირი, მართლისა სარწმუნოებისა, წ. მე-3, გვ. 160-161).

სახარების ღვთისმეტყველების ენაზე მებადურისა და მონადირის საქმიანობა იგავურად გაიგება და ვნებების, უკეთურობის დათრგუნვას ნიშნავს: „ნადირობა არის ბრძოლა ადამიანის ნეგატიურ საწყისებთან“. რაინდულ სიმბოლიკაში მონადირე, რაინდი ის არის, რომელიც გადის კათარზისს, სპობს თავის ინსტიქტებს, ვნებებს, სურვილებს, რომლთაც განასახიერებენ მხეცები“ (ზვიად გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, წ. 1991, გვ 257).

სასულიერო პოეზიაში წმინდა გიორგი არის „ქრისტეს მონადირე, რომელმაც დასცა მხეცი იგი მძვინვარე“ (იოანე მინჩხი, გალობანი გიორგისანი, ქართული მწერლობა 30 ტომად, ტომი პირველი, წ 1987, გვ. 507).

პოეტს მეგზურებად ჰყავს „რძის ფერი მეგობარი“ , „ზღაპრული ნათლია“ და „ცრემლებჩამდგარი ღამე მეცმეტე ზღაპრის ასულებს“.

ცხოვრობს ზღაპრული აჩრდილების სამყაროში, ზმანებებით, სიზმრებით ევსება სული, ხოლო ზღაპრები, სიზმრები მისი პოეტური გამონაგონის, წარმოსახვების სიმბოლოებია, როგორც ბოდლერთან, გალაქტიონთან, ტ. გრანელთან და გრ. რობაქიძესთან,

შემოქმედებით ფანტაზიის გამონაგონის სამყაროში შეჭრილი გალაქტიონი აცხადებს: ეს მართლა ხდება თუ მესიზმრება?

ტერენტი გრანელისთვის ხომ შემოქმედება დედამიწის სიზმარი იყო.

გვანცა ხარაიშვილი დიდი კლასიკოსების დონეზე ხსნის შემოქმედების ფსიქოლოგიას: „როცა მარტო ვარ და საკუთარი სხეულის ქუჩებში ცნობისმოყვარე ნაბიჯებით დავსეირნობ უამრავ სახეს ვაწყდები მეხსიერების ქვაფენილზე“.

გალაქტიონი „მოგონებების ტალღათა მკრეფი“ იყო

გვანცა ხარაიშვილისთვისაც მთავარია „მოგონებების კრეფვის გზა“.

პოეტი ისახავს სულის უკვდავების გარდასხეულების თეორიას და დიდი ბერძენი ფილოსოფოსის - პლატონის დარად შემეცნების ერთ-ერთ უმთავრეს საფეხურად მოგონებას მიიჩნევს, რომლის მიხედვით პოეზია, ხელოვნება მოგონებაა, არა მხოლოდ ფიზიკური სამყაროსა, აწყმოს მოვლენების, არამედ მრავალი წინა ცხოვრების შთაბეჭდილებათა, გამოცდილებათა, ფაქტიურად ინტეგრირებაა, როგორც რეალური ისე სულიერ ქვეყანაში, ხილული საიდუმლოებების, რასაც გალაქტიონი „პოეზიის ინტეგრალებს“ უწოდებდა.

გალაქტიონი ხომ „მოგონებათა მერანზე“ იყო ამხედრებული, ტერენტი გრანელი „მიღმური სამყაროს“ ხილვებს აცოცხლებდა თავის პოეზიაში.

გვანცა ხარაიშვილს, როგორც ორივე ქვეყანასთან წილნაყარ, ოცნებების მტრებისკენ, პრაგმატულობისთვის სიზმრებში გამოაქვს განაჩენი, ფარდას ხდის მათ „მჟავე სულებს“ ჩვენმა სიზმრებმა, მერამდენედ აგვხადეს ფარდა, როცა ოცნებებს ვასხამდით მჟავას.

იმედის რაშებით დაჰქრის მრავალსახოვანი არუტინ მამათაშვილის მერნისა და გალაქტიონის ლურჯა ცხენების კვალდაკვალ.

თითქოს „გალაქტიკის ფერხულშია“ ჩაბმული მზერას აპარებს „თავგასული მერკურისკენ“ თუმცა უფრო „ადამიანური მარსისკენ“ მიუწევს გული.

პოეტს მიგნებული აქვს ზღვასავით უძირო სულის საიდუმლოებები, გაკვალული აქვს ზღვის „იასამნისფერ-ცისფერი ბილიკი გონებისა და გულისკენ მიმავალი“.

„კანი ხელის მტევნებში დაძარღვულ საუკუნეს უგრძნობდა“, ნათქვამია პოეტის „ალდერ ეგოს“-მართას შესახებ მოთხრობაში „მართა“.

არა ხორციელ, წარმავალ, ეფემერულ, არამედ ზეციურ, მარადიულ სიბრძნეს ეძებს, რაც დაუბადებელია მიწაზე, ძნელად მისაღწევია და მხოლოდ „უცხო შორეულ ქვეყანაში“ არსებობს, გალაქტიონს რაღაც წმინდა შორი ქვეყანა ესიზმრებოდა.

„ჭეშმარიტი სილამაზე იმაშია, რაც არ დაბადებულა, არასოდეს თქმულა და ამხდარა“, ასე ეხმიანება გენიალურ წინამორბედს გვანცა ხარაიშვილი.

ხელოვნის ნიჭი სასჯელია, მსხვერპლის გარეშე არ მიიწვდომება მარადიული ღირებულებები, რაც უდიდეს ძალისხმევას, გულის სისხლის, მთელი სიცოცხლის გაღებას მოითხოვს და ყოვლისშემძლეობის რწმენას უნერგავს შემოქმედს: „სასჯელად ოცნებების ახდენა დაუწესეს, ამიტომაც ტკიოდა ხოლმე დილაობით ლავიწები. ლავიწები ყოველთვის გრძნობენ, რომ რეალურად, შეუძლებელი არაფერია სამყაროში, წერს პოეტი ქალი.

გალაქტიონი „ქუხილს“ ელოდებოდა: „ქუხილო გელით, შენთან ვიბრძოლებთ, გამოექანე ზვირთი დასძარი, გვახსოვს, დილით მზე ამოდიოდა, მკვდარი მზე შენ კი ამოასწარი“ (ქუხილო გელით).

გვანცა ასე ეხმიანება დიდ წინაპარს: „ფიქრი არაფერია, თუ არა მომავლის ქუხილი ტვინში (მართა, გვ. 55).

დიდი პოეტები ადამიანური შესაძლებლობის იქით, ბედს იქით მიისწრაფვიან, რაც არც ამ ახალბედა, მაგრამ უნიჭიერესი პოეტისთვის არის შეუძლებელი: „... შემდეგ დროის ღობე მოარღვია და სულ მარტივად იქცა სიზმრები მოგონებებად“...

გალაქტიონს ესმოდა „ოცნების შრიალი“ (მერი), წამწამების კანკალი (სამრეკლო უდაბნოშ), ტერენტი გრანელს - ცრემლის შრიალი.

უნიკალური სმენის პოეტ ქალს, ესმის რითმების სულში ფუთფუთი მატლებივით „ყურში გაცრუებული იმედების საშინელი ხმაური“. მუდმივ შთაგონებული და სიზმრების სამყაროში მყოფი გალაკტიონი სინამდვილესაც სიზმრად აღიქვამდა: „ქვეყნად ყოველი დღე სიზმარია და სინამდვილეც მიჰყვება სიზმარს“.

რეალობისა, სინამდვილისა და სიზმარ-ფანტაზიების სამყაროს და დაპირისპირება ასე გამოხატა გვანცა ხარაიშვილმა: „უსიზმრობამ მის სხეულში საუკუნის შეგრძნებები გაამძაფრა. სცადა მოგონებებს ჩასჭიდებოდა, მაგრამ ისინი ეროზიისგან შეჭმული მიწის მსგავსად უსხლტებოდა და რეალობის ციცაბო ბილიკზე თავქვე მიექანებოდა. უსიზმრობა, არაშთაგონებულობა მიწიერი სამყაროს ნეგატიურ შეგრძნებებს ამძაფრებს, ამიტომ ნუგეშია „მოგონებების ტალღათა კრეფა“ (გალაკტიონი).

დიდ პოეზიაში მთავარია ნათელხილვა, ნათელსმენა, რაც მომავალში გაღწევის ერთადერთი გარანტიაა საღვთო სიბრძნესთან, საღვთო სიყვარულთან, ზეციურ მუსიკასთან ერთად.

გვანცა ხარაიშვილს სწყურია ღმერთი, „საკრალური სიყვარული“, „შინაგანი ხმა აისისკენ უხმობს“, ყურში ესმის „იმედების ხმაური“, საკუთარ არსებაში „ორი საწყისის შეგრძენება“ აქვს. არც წინათგრძნობებია მისთვის უცხო. „წინათგრძნობები... არაფერია, ვიდრე ძლიერი სურვილი რაიმეს მოხდენისა“. რთული ამბები მისთვის მარტივია, შეუძლია „ქვეცნობიერის მართვა“ (მართა, გვ 38).

მისი მიზანია „უმიზნო ხეტიალი“, როგორც გალაკტიონისთვის, ტერენტი გრანელისთვის, რადგან ხეტიალი, მოგზაურობა ანტიკურ და შუასაკუნეების პოემებში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ინიციატივისა. ასე, მაგალითად, მოგზაურობა იაზონისა, ოდისევსისა, ენესისა, შუა საუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა (ზვიად გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, წ. 1991, გვ. 212).

პოეტის თვალებში ზეცა, ვარსკვლავები, მზე იხედება, რეალობაში კი „უსიცოცხლო თვალების მთელი ბილიკია“ (მე, შენ და ანიკა გვ.76).

საკუთარ არსებაში ორ საწყისს შეიგრძნობს.

ვაჟა ფშაველა წერდა მიწას მიწურად და ცას ციურად .....

აკაკი წერეთლი „ხან მიწისა იყო, ხან ცისა“.

ტერენტი გრანელი აცხადებდა: „ზეცა მწყურია და მიწა მშია“.

დიდ ხელოვანების მახასიათებელია იდუმალება, ენიგმები. გვანცა ხარაიშვილის შემოქმედებაში „იდუმალების საბურველს“ ენაცვლება „დავიწყების საბურველი“.

მიზანი უნდა იყოს არა „ჩაფერფლილ ბუხართან“ ჯდომა, არამედ მისი ხელახალი აგიზგიზება, დავიწყებული, უარყოფილი რწმენის – ცეცხლის ანთება-აალება.

სჯეროდა, რომ ლექსებით, სიტყვებით შესაძლებელია „ბედისწერის გარდუვალი რიტმების დამარცხება“, მის „სხეულში ბუნების უცნაურ მელოდიას აჟღერებენ ბუნების სიმები“.

პოეტი შემოქმედის მარადაქტუალურ კითხვას: „რა მოაშუშებს ათასობით სულის იარებს, რა მოაშუშებს, რა უწამლებს, ღირს კი გამიქრეს? აქ თავს ისე ვგრძნობ თითქოს ვიწვე სამყაროს გულში“.

შემოქმედების იმპულსი, ტკივილები, წინააღმდეგობებია სამყაროს მრავალფეროვნება და არა იდილია, ამიტომ გრძნობს პოეტი „სამყაროს გულში.“ და თუმცა ტკივილი მწვავეა, ის არ უნდა გაქრეს.

პოეტი არა მხოლოდ თანადროულობის, არამედ ყველა დროის ტკივილებს დაატარებს, იზიარებს რა გარდასხეულების თეორიას: „ ჩვენ ვარსებობდით ბევრად ადრე სამყაროში. ჩემი წინა ცხოვრების ტკივილები სიზმრებში იხსნება და ვთავისუფლდები იმ უსახელო ტვირთისგან, რომლისგან თავის დაღწევაც იმ გრძნობას ჰგავს, ვიღაცამ კოსმოსის სიმძიმე გამოგიდევნოს სხეულიდან.“

პოეტს მოაქვს არა მხოლოდ ხილული სამყაროს, არამედ სულიერ სამყაროში მიღებული შთაბეჭდილებები, თავისი მრავალი მეს ხილვა-ტკივილები.

გვანცა ხარაიშვილის ტრილოგია „ჩემი სამყარო“ (მესამე ნაწილი)

გვანცა ხარაიშვილი მისტიკოსი, მიღმურში მჭვრეტელი, ფილოსოფიურ პრობლემებთან შეჭიდებული პოეტია.

ორიგინალურია მისი ხელწერა მინიშნებებით, ქვეტექსტებით, ნიუანსებით მთელზე, არსებითზე მიმანიშნებელი.

მისი ტრილოგიის – „ჩემი სამყაროს“ ბოლო, მესამე ნაწილი ძიებაა სულის უკიდეგანო, განუჭვრეტელ ტევრში, შემოქმედის ურთულესი ფსიქოლოგიის ახალ-ახალი ასპექტებით დანახვა.

მეტაფორულია მისი სტილი, დეტალებით, ნიუანსებით არსებითის გაცნობიერებისთვის გამიზნული.

არაჩვეულებრივია ეს სამყარო, მიმანიშნებელი არა მიწიერ, ყოფით სამყაროზე, არამედ სულის კოშკებზე, სიტყვის ციხე-სიმაგრეზე.

„კაბა მაქვს მარჯნის, სამყურა ბალახი თითებს შორის ამომეზარდა, როგორ დავკარგო ის რაც ვიპოვნე, როგორ დავკარგო?“ – ასე გვიბნევს თავგზას მისი პარადიგმები, რადგან აქ არაფერია ემპირიული.

ხოლო ხელოვნება, პოეზია არის „გამოგონება, აღმოჩენა, შექმნა“, რაც გვანცა ხარაიშვილის სამყაროს ყველაზე მეტად მიესადაგება.

სწორედ პოვნის, ძიების ურთულეს გზებს ასდევნებია პოეტი.

მისი „ბედნიერების სახლი“ არც ქვით, არც ხით, ნივთიერი მასალისგან არ არის ნაშენები, ეს არ არის მიწიერთა, აგურის ნაშიერთა სამყოფელი, პრაგმატული ბედნიერება...

პოეტის საზრდოა „ჭიქა წყალი“ და „წვიმა“.

წვიმა უფლის სახელია ფსალმუნში: „ იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71,6).

„ვარდისფერი წვიმა“ მოდის ანა კალანდაძის პოეზიაში, ტერენტი გრანელი ელოდება „ცისფერ წვიმას“, ანუ უზენაეს მადლს.

მხოლოდ უფლის წვიმაა სულიერი გვალვის წამალი, ამიტომ არის გვანცა ხარაიშვილისთვის წვიმის მოვლენა „ ხელახალი დაბადების“ მაცნე.

წყალიც საღრმთო სახელია. ღმერთის სიმბოლო არის „სიცოცხლის წყალი“ (იოანე მოციქულის გამოცხადება 22, 17), „ცოცხალი წყლის მდინარე“ (იოანე, 7, 38).

წყლის ძალას შეიგრძნობს პოეტი ქალი, ამბოხების ცეცხლია მის არსებაში.

ედგარ პოს მიხედვით, შემოქმედი საჭიროებს ისეთ ცეცხლს, რომელსაც ვერ უძლებს ჩვეულებრივი მოკვდავი („ოვალური პორტრეტი“).

პოეტები მეცხრე-მეათე ცაში სახლობენ. იქ აღწევა კი ჰგავს (ოთხივე ოკეანის ნიჩბიანი ნავით გადაცურვას“, გვამცნობს გვანცა ხარაიშვილი.

ამაღლებისთვის საჭიროა ცოდვების ზღვის, უკეთურობის ქვეყნიდან გაღწევა, როგორც ბიბლიაში, უცხოურ თუ ქართულ პოეზიაში.

სამშობლოდ უნდა იქცეს ზეცა, სიწმინდის, უზენაესის, ანგელოზების სავანე, როგორც ტერენტი გრანელთან („ჩემი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი“), გალაკტიონთან („შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“), როგორც მერაბ კოსტავასთან („ჩემი სამშობლო ზეცაა თავად“).

გალაკტიონი „ვარდისფერი საფეხურებით“ მიიწევდა ქვეცნობიერის სიმბოლო დიონისესკენ („მარმარილო“).

გვანცა ხარაიშვილი „მარადიულობით დათოვლილი მწვერვალებისკენ ისწრაფვის „თვალუწვდენელი კიბეებით“.

კიბე მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდაც გაიაზრება სიღვთიმშობლო სახისმეტყველებაში.

მაღალი მიზნის მიღწევას სჭირდება რწმენა, არაადამიანური ძალისხმევა, მსხვერპლი და პოეტი „სისხლის ნაკვალევს“ ტოვებს.

შემოქმედისთვის შეუძლებელია ბედნიერება იყოს მატერიალური ფასეულობები, ოქრო.

გალაკტიონი ამბობდა: „არ მინდა ოქროს პოვნა, რაც მსოფლიოში არი, ჟღერს სამშობლოს ხსოვნად, ძვირფასი ოქროს ქნარი“.

პოეტი კლონდაიკისკენ – ოქროს საბადოსკენ ისწრაფოდა სიტყვის ოქროს საძებნელად ისევე, როგორც ადგარ პო კოლორადოსა და ელდორადოში არა ნივთიერი ოქროს, არამედ ოქროს სიტყვის მოსაპოვებლად.

გვანცა ხარაიშვილს გაცნობიერებული აქვს თავისი გზის სიძნელე, გარჩეული აქვს მიწიერი და ზეციური სიბრძნე, ის საღვთო, მარადიული სიბრძნის, საღვთო სიყვარულის, ზეციური მუსიკის ტრფიალია...

პოეტის ბედნიერება „კედლებზე სუროს ფოთლების“, „გარითმული ფიქრების“ ხილვაა.

ძიების შედეგების წინასწარი გაელვებაა შემდეგ სტრიქონებში: „ეზოში, ცრემლებივით მარილიან ტბაში დაცურავდნენ ჯერ არდამდგარი დღეები და ეს დღეები სიტყვებს ჰგავდნენ ჩურჩულით ნათქვამს.“

აქვე, „თხუნელების გადათხრილ ოთახში შპალერი წერილებს ისხამს. შენი თითებისსუნიან წერილებს“ (შდრ. ახალი აღთქმის „სიკვდილის სურნელი“ და „სიცოცხლის სურნელი“ ან გალაკტიონის „დროის სურნელი“).

ბედნიერება აღმოჩნდა „დიდი სახლის კედლებზე“ „სუროს ფოთლების“ და „გარითმული ფიქრების“ პოვნა.

ასევე ხედავდა გალაკტიონი მესამე თვალით ჯერ არდაბადებულ ფიქრებს მთელ სამყაროში. „დედამიწას გარინდებულს მოხვევია ფიქრთ სამოსი“, „ფიქრში გახვეულა ბნელი დერეფანი“,

„ჰკრეფს ცის ლაჟვარდი ფიქრთა შადრევანს“, „ხევში მიმოჰქრის ნელი ნიავი, ნიავი ფიქრთა ათასი ნავით“...

გრიგოლ რობაქიძე ასევე კითხულობდა საიდუმლო ნაწერებს ყველგან: „რაც ხდებოდა, ყველაფერი იწერებოდა, ოღონდ არა ღიად, არამე საიდუმლოდ, როგორც ინდოელთა აკაშა. იწერებოდა ხეზე, ქვაზე, ძაღლის დინგზე, ადამიანის შუბლზე, მთის ფერდობზე, ტალღებზე, ხავსზე, (....). საიდუმლოდ ყველაფერი იწერებოდა ყველგან.“ (ჩაკლული სული).

ყველას როდი აქვს მომადლებული „სევდის ბოლქვებით დანაყრების“ უნარი, არც ზღვის მლაშე წყალი კლავს წყურვილს და აუცილებელია „მზის სხივების“ კონა ბრწყინავდეს სულში.

მაგრამ როგორც პოეტი ამბობს, ღმერთს სხვაში ვერ იპოვნის ის, ვინც საკუთარ თავში დაკარგავს მას.

„მშვიდი ძილი“ დასასრულის დასაწყისია, რადგან შემოქმედება გამუდმებული შფოთვაა, ხილვების, წარმოსახვების მოვლინებაა, უხმო ხმების მოსმენაა, ცხადში მარადიულ ბორიალი, „თვალღია სიზმრებში ცხოვრება“.

პოეტები იხრჩობიან დიდი „სიყვარულის ზღვაში. ზღვის გადალახვასავით ძნელია სიყვარულის ზღვის გათავისება, ბევრნი იხრჩობიან მასში. შემოქმედებას მუზა აჭირდება, ერთგულების ფიცი მრავალგზის წარმოთქმულა, მაგრამ „ფიცი იდება იმისათვის, რათა ოდესმე გასატეხად გაიმეტო“, გვიზიარებს თავის გამოცდილებას გვანცა ხარაიშვილი.

ხდება „დაპირების თაფლივით, ტკბილი სიტყვების გულწრფელობის სასმისით გამოცლა“, მაგრამ სიყვარულში იმედის გაცრუების გამო სისხლით იღებება მოგონება, ხდება გრძობის ცეცხლზე უფერფლოდ დაწვა.

და „სულზე დატოვებულ წითელ ლაქებზე შავი წერტილების“ დასმით ამოდის „ბევრი ყაყაჩო“...

„ფილტვები გაზაფხულზეც დაითოვლა“.

გალაკტიონის პოეზიაში გაზაფხულზე თოვლით იმოსება ნაძვი, გაზაფხულზე იყინება ნაკადული, „ავდრის მოლოდინია“ ირგვლივ. უამინდობა დაღუპვის შიშს უმძაფრებს ტერენტი გრანელს: „უამინდობამ მე დამამძიმა და ისევ მოდის დღე დამღუპველი“. ავდრის მოლოდინისგან შფოთავდა გალაკტიონი.

„მეცხრე ცის თავზე მეათე ცა უამინდობით დაავადდა“. გვანცა ხარაიშვილისთვის ყველაზე დიდი ტრაგედია სულის უამინდობაა. მთავარი გადარჩენა და მეცხრე ციდან მიწაზე დაბრუნებული პოეტის – უძღები შვილის საკუთარ „მარტოობის სავანეში“ „დავიწყებისგან გადარჩენილი მიზნების“ ერთგულებაა.

ჩაბნელებულ სულში დემონები მკვიდრდებიან, ისინი აღვიძებენ სულის კუნჭულში მთვლემარე ანგელოზებს და იმართება მათ შორის ჭიდილი... რომელი რომელს სძლევს ამ ბრძოლაში დამოკიდებულია იმაზე, რამდენად არის გაფხრეწილი სულის კუნთზე, აქ მთავარია ავტორის ძალისხმევა, ასე ფიქრობს გვანცა ხარაიშვილი.

გულის ჯებირი მორღვეულია, „ცოცხალი აჩრდილების ბორიალია ამ სამყაროში“.

აჩრდილებმა ხელ-ფეხი უნდა შეიხსნან, სული უნდა ჩაიდგან შემოქმედისგან.

გარდაცვალება დავიწყებას არ ნიშნავს, ჩვენგან წასულთა კვლავ მოვლინების, სიტყვაში გაცოცხლების, ან გარდასხეულების რწმენა-მოლოდინია ნუგეში, პოეტს აქვს განცდა, რომ ცხოვრობდა „ათას ერთი წლის წინათ“, იშვა „ათას მეერთედ“.

მთავარია გამარჯვება-დამარცხების გაკვეთილებიდან სწორი დასკვნების გამოტანა, ცხოვრების გამოცდების წარმატებით ჩაბარება, გამოცდების, განსაცდელების მოვლინება კი მრავალგზის ხდება უზენაესისგან, ადამიანებისგან.

პოეტი გაკვეთილს იღებს „მინდვრის ყვავილებისგან“, რათა ისწავლოს „ზამთრის გამოდევნა ფიქრებიდან“, გაზაფხულისთვის მზადება, „ძებნა მხარზე გადებული იმედით“, რათა გაასწროს დროს, რადგან მისი განცდით, „დღეა შვიდი ათას ოცდამეთხუთმეტე“, რაც მომავალში გადახედვის მომასწავლებელია, როგორც გალაკტიონთან, რომელიც აცხადებდა: „დრო ხვალინდელი გააწინდელა“...

გვანცა ხარაიშვილი „ბედისწერის გამჭვირვალე მდინარეში“ ეძებს თავის „რძისფერ მეგობარს“, ანუ მეასე თუ მეშვიდე მეს, ემოციებით დახუნძლულს, მაჯისცემაში შემოაქვს საუკუნეები, წარსული, მომავალი.

უძღები შვილის მიწაზე დაბრუნება აუცილებელია, რათა „მარტოობის სავანეში“ გადაისინჯოს მიზნები, რადგან შტაინერისა არ იყოს, ადამიანის მიზანი მაინც დედამიწაზეა საძიებელი, მაგრამ ცხოვრების გარდაქმნა, მასზე ზემოქმედება მხოლოდ სულიერ სამყაროსთან, შემოქმედ ძალასთან წილნაყართ ხელეწიფებათ, მიწისა და ზეცის შეერთებით, გრძნობადისა და ზეგრძნობადის დაკავშირებით.

გვანცა ხარაიშვილს სწამს, რომ „მზისფერი დედოფალივით“ შეიმოსება „მოლურჯო კაბით“ და „უნიღბო მეჯლისზე“ გამოცხადდება, როგორც გალაკტიონის „დომინოში“ დომინო, დანტეს „ღვთა-

ებრივ კომედიაში“ დომენიკო – ქრისტეს მებაღე. მჯერა, მკითხველი მოუთმენლად დაელოდება პოეზიის „მზისფერი დედოფლის“ – გვანცა ხარაიშვილის ხელახალ მოვლინებას სიტყვის მეჯლისზე.

დიდი ხელოვანი უპირველესად, როგორც საკუთარ სულს, ისე ენის ფენომენს უნდა აცნობიერებდეს. იგი ერის სრულყოფილი სახეა, მისი ყველა ნაკლის, ყველა ღირსების, მისი პლიუს-მინუსების კარდიოგრამაა, რათა დაძლიოს ნეგატიური მხარეები, დავიწყების უფსკრულში ჩაძიროს მანკიერებები: „გულში რა მიდევს სრულიად ერის ყველა ნაკლი, ყველა ღირსება, დაძლევისა და დავიწყების პერსპექტივებით“. (უსათაურო, გ.ხ.)

სჯერა, რომ ლექსებით, მიზანმიმართული სიტყვებით შესაძლებელია „ბედისწერის გარდუვალი რიტმების“ დამარცხება.

აძრწუნებს, საზოგადოებაში გაუცხოების პრობლემა, რომელსაც დაბადებიდანვე შეიგრძნობდა: „ ერთი თვის იყო, როცა მიხვდა რომ ადამიანები სამყაროსთვის ისეთივე უცხო სხეულები არიან, როგორც პირისთვის საწოვარა“.

მრავალგზის იჩენს თავს არასრულყოფილებით გამოწვეული სატკივარი: „ თუ კი „დედამიწა“ ჩვენი სახლია, რატომ ვერ ვეტევით მაშინ ოცნებით და რატომაა ასეთი დიდი ჩვენი რეალობისთვის.“

აღდგომის იასამნისფერი სუნი რომ სცემს, აღდგომის მოლოდინი რომ აქვს, იმასაც ხაზს უსვამს, რომ „აღდგომა შეუძლებელია უცეცხლოდ,“ ანუ უღმერთოდ, რადგან ცეცხლი საღმრთო სახელია.

„მარგინალურ ქალაქში“ გაუცხოებაა, მაგრამ „გაცრეცილი გოგო გაცრეცილ წინაპრებს“ ყოველ დილით ზეცის კიდესთან ხვდება მზის ამოსვლისას.

„სიკეთეშიც კი მეტასტაზებია წასული მარგინალურ ქალაქში, სამაგიეროდ ბოღმა ზეიმობს თავის ას მეერთე დაბადების დღეს.“ (დარჩენა, გვ 53).

მხოლოდ პოეზიით, შემოქმედებით ქრება „ერთფერი, გაცვეთილი სიცოცხლის ერა, „ჩრჩილშეჭმულია ამაღლებული სურვილები“.

შინაგანი ხმის კარნახია „ნურასოდეს დახუჭავ შინაგან თვალს“.

ირგვლივ „უნიჭო ნიღბებია, წაშლილი სახეები“.

იქ, შიგნით, წაშლილი ნაკვთებით, შიშით, სიცრუის ნაჭუჭში გამოკეტილები, წიწილის ჩანასახოვან უჯრედებს ჰგვანან, შეიძლება ნაჭუჭში მოკვდნენ, ან მკვდრები დაიბადონ.“

„წყლისფერი გოგო ისე მიაპობს დამრეც ქუჩებს, ჩქამსაც არ იღებს ემოციის არცერთი ტალღა.“

„იწვება ღამე გრძნობების ცეცხლში და ახლა არვინ ეძებს იესოს რათა ჯვარს აცვას. ჩვენმა სიზმრებმა მერამდენე აგვხადეს ფარდა, როცა ოცნებებს ვასხამდით მჟავას.“

და სავალალო დასკვნა: დრო არასოდეს არ ასხამს ჩვენს წისქვილზე წყალს, ბედნიერებამდე კუს ნაბიჯებით მიღოღავს, ბედნიერებიდან კი ქარივით მიჰქრის და ნალოლიავებ ოცნების ხუხულას ისე შლის, როგორც სანაპიროს ტალღები ქვიშის კოშკებს.“

პოეტს სცემს „არყოფნის სუნი, ლოდინისა და სიკვდილისგან აჩრდილადქცეული „მე“. ამასთან, „აქაფებულ ტალღებში „რძისფერი მეგობრის“ ზმანება ჩნდება, რომლის თვალებშიც ინახება „საუკეთესო მე“.

პოეტი ხედავს „დამშრალ წყაროებს, დედამიწის ღრმა ქანებში „ჩაკარგულ-დაწრეტილთ“, ეკლიან გზებს, ტრამალს, უდაბნოს.

ფილოსოფიურ პრობლემებში ჩაღრმავებული მწერალი სვამს კითხვას: „ოცნებები უნდა ხდებოდეს, თუ სწორედ მათ მიუწვდომლობაშია მთელი სიდიადე?“ (გვ 106)

პასუხიც ასეთია, „ზოგი უნდა ხდებოდეს, ზოგი არა“.

„ადამიანებმა კი ახდენილი თუ აუხდენელი ოცნებებით ერთნაირად ტკბობა უნდა ვისწავლოთ... ადამიანი ტანჯვისთვისაა გაჩენილი... ხომ გაგიგია: „მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც, არის დიდი ნეტარება,“ იმოწმებს ავტორი წინაპარ კლასიკოს პოეტს.

მთავარია „რეალურ დროსა და სივრცესთან კავშირი“ (გვ. 60).

მის პერსონაჟს შინაგანი ხმა გარეთ, არსისკენ უხმობს (გვ.59).

შეუძლია „თავისი ქვეცნობიერის მართვა, რასაც რაციონალურად იყენებდა კიდეც თავისი მიზნისთვის – ადამიანებს ემოციებს პარავადა და სარკის უსასრულო სივრცეში აგურებად ათავსებდა“ (გვ 58).

„ოთახში მთვარეულივით დადიოდა და ემოციების სარკეში ხელებს აფათურებდა...“

სარკე ქრისტიანობამდელი, ანტიკური ეპოქიდან მომდინარე სიმბოლოა.

ტიბეტურ მკვდართა წიგნში გვხვდება კარმის სარკე, რომელშიც აირეკლება მიცვალებულის კარგი და ცუდი საქმეები (ზველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, 1990 წ, გვ 260).

პლატონის „ტიმაიოსში“ (თბ. 1994 წ.) „გონებიდან მოანებრი აზრობრივი ძალმოსილების არეკვლაზე სარკის მიერ, რომელიც იჭერს საგანთა გამოსახულებებს და ლანდებსღა უბრუნებს მზერას“ (გვ. 333).

ნეოპლატონურ და ანტიკურ ესთეტიკაში სარკე მიიჩნეოდა გონების სიმბოლოდ. სარკე იყო აგრეთვე ეთერისა და ცის თაღის სიმბოლოც.

დიონისო სარკეში ჭვრეტდა თავისთავს და ქვეყნიერებას.

სიბრძნის ქალღმერთ ათენას გამოსახავდნენ სარკით ხელში.

სარკე გონების სიმბოლოა დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, აგრეთვე ღმერთის ყოვლისმხილველობის: „უფლის გარშემო დადგმულია სარკენი დიდნი“ (გვ 311).

გოეთეს ფაუსტში „სიმართლის სარკე“ არის ღვთაებრივი გონების სიმბოლო.

სარკისა და სახის „გაიგივება ხდება პავლე მოციქულის სიტყვებში (მეორე კორინთელთა, 3,18).

სარკე გონებას აღნიშნავს „ვეფხისტყაოსანში“. ავთანდილის ფრაზას: „იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერამც მინა მინდა“, ასე განმარტავს ზვიად გამსახურდია: „თინათინის (გონება სარკის) სამყარო შუშაა, ტარიელ-ნესტანის სამყაროსთან, იაგუნდთან შედარებით. გონებისადმი სიყვარული ვერ შეედრება ღვთის სიყვარულს, საღვთო მიჯნურობას. იაგუნდი, ანუ იადინთი სიმბოლოა საღვთო სიყვარულისა“ (ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება თბ. 1990, გვ 250).

„სარკით ღმრთის მხედი“ გონებით ღმერთის მხედი, სარკის გაწმენდა გონების გაწმენდაა“ (იქვე, გვ 25).

სარკის სიმბოლო გვხვდება რილკეს, სიმბოლისტების, რეალისტების, გალაკტიონის შემოქმედებაში.

გვანცა ხარაიშვილი ხაზს უსვამს ქართველთა ტოლერანტულ ბუნებას.

სიკეთის არსებობას მაინც აღიარებს: „ სასწაული კი არა შანსი მჭირდებოდა, შანსი იმისათვის, რომ ვინმესთვის ბედნიერება მიმენიჭებინა და გასამრჯელოდ ჩემი სითბოჩამდგარი თვალები მიმეღო“.

მეგობრობის ჰიმნია „ძალიან არასაახალწლო მოთხრობა“. „მჯერა, რომ მეგობრობა შეიძლება თვალებით და ხელებით დაიწყოს“, გვარწმუნებს ავტორი (გვ 93).

მოთხრობაში „მე და ჩემი ქუჩის მათხოვარი“ ისევ სიცოცხლის მიზნის ძიებაა: „ რა რთულია არსებობდე ისე, რომ შენ ყოფნას ახსნა მოუძებნო“ (გვ 82).

და ისევ კითხვა: „რატომ ხდება ზოგიერთის ზღაპარი და რატომ აქვს უმრავლესობის ოცნებას ჩანასახშივე ფრთები შეკვეცილი?“ (გვ 82-83).

მათხოვარი ლოცვით ეძებს „სინათლის რაიმე წყაროს ავი ფიქრების გასაფანტავად“.

როცა ერთმა ინტელიგენტმა მამაკაცმა ყვავილები აჩუქა ქუჩის მათხოვარს, მან „გაიღიმა ისე, თითქოს ამ ყვავილებს პირთამდე აევსოთ მისი ბედნიერების ფიალა, თითქოს გვირილების ყვითელ გულებში მზის სხივებს დაედოთ ბინა, თითქოს რაიმე ჯადოსნობის წყალობით დაებრუნებინოთ მისთვის ახალგაზრდობა.“

„იმ წუთას მივხვდი, რომ არსებობდა რაღაც, რაც გვაერთიანებდა მე, ჩემი ქუჩის მათხოვარს და სრულიად სამყაროს ერთმანეთთან – ეს იყო იმედი იმისა, რომ ამქვეყნად ყოველთვის იარსებებს ადამიანი, ნაცნობი თუ უცნობი, რომელიც ყველაზე რთულ მომენტშიც კი მოგცემს უფლებას გაიღიმო, გიყვარდეს, გჯეროდეს“ (გვ 84).

გვაგონდება ნიკო ლორთქიფანიძის „დადიანის ასული და მათხოვარი“, რომელშიც მათხოვარს ომის დროს მის გადამრჩენ თავადის ასულთან მადლობის ნიშნად მიაქვს ყვავილების თაიგული.

მეგობრობის, სიკეთის ჰიმნია გვანცა ხარაიშვილის „ძალიან არასაახალწლო მოთხრობა“, რომელშიც სტუდენტი ახალგაზრდების უანგარო მეგობრობა და ჰუმანიზმია წინა პლანზე წამოწეული.

სიკეთე უკიდეგანოა. ნიუ-იორკში გამგზავრებულმა სტუდენტმა გოგონამ „საკუთარი მათხოვარი გაიჩინა, ამაზე მეგობარს მისწერა თბილისში (ამით მასაც მისცა ქველმოქმედების სტიმული): „ ... უკვე ჩემი მათხოვარიც მყავს ქალაქში. სრულუფლებიანი ნიუ-იორკის მოქალაქე მაშინ ხდები, როცა საყვარელი მათხოვარი შენი ქუჩის კუთხეში თვალანთებული გელოდება“ (გვ. 92). „მახსოვს რამხელა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა სიტყვებმა. ამის შემდეგ მეც გავიჩინე ჩემი პირადი მათხოვარი და დღე არ გავიდოდა, ხურდა ფულით ან სასუსნავით არ გავმასპინძლებოდი“ (გვ. 92).

მთხრობელი მაქსიმალისტია, უზარმაზარ ფილოსოფიურ პრობლემებზე შეჭიდებული, სიცოცხლის არსის, მიზნის მაძიებელი და მისგან ბუნებრივია ზღვარის გავლება სიცოცხელა და არსებობას, უმიზნო სუნთქვასა და ამაღლებული იდეალების მსახურებით მიღწეულ ბედნიერებას შორის: „სიცივისგან აბრაწულ სახეს ვუშვერთ ფიქრებს – მხოლოდ ასე შეიძლება იგრძნო – რა ახლოა სიცოცხლე და რა შორს არსებობა. (ძალიან არასაახალწლო მოთხრობა, გვ. 104).

მრავალმნიშვნელოვანი პასუხი შეიძლება არსებობდეს კითხვაზე: „რას აკეთებენ ადამიანები როცა ბედნიერებას პოულობენ?“

ან: „ რა მოაშუშებს ათასობით სულის იარას ... ღირს კი გამიქრეს?“

ქართველი მკითხველი განებივრებულია „ვარდისფერი თოვლის“,

„ვარდისფერი სიკვდილის“, „ცისფერი სიკვდილის“ სახეებით.

გვანცა ხარაიშვილთან ნაცრისფერი, იასამნისფერი, ვარდისფერი ფერები „ვარდისფერი წვიმის“ მონატრებაა: „ცას აღარ უნდა ასე ითოვოს, ცას უნდა მხოლოდ ვარდისფერი წვიმებით წვიმდეს.“

„ვარდისფერი წვიმა“ საღვთო სახელია ანა კალანდაძის ლექსში „მე მივატოვებ აიდის ქვეყნებს“. ანალოგიური შინაარსისაა ტერენტი გრანელის „ცისფერი წვიმა, შორეული ღრუბლის წვიმა“.

„ლურჯი ფერის სიკვდილი და ანთების“ მოლოდინია გვანცა ხარაიშვილის შემოქმედება.

მისთვის უცხო არ არის გლობალური დათბობის, დედამიწის გარდაცვალების შიში (შდრ. ჟიულ ლაფარგის „სამგლოვიარო მარში დედამიწის გარდაცვალებაზე“, გალაკტიონის მზის გახელილი თვალებით სიკვდილი).

გვანცა ხარაიშვილისთვის ორგანულია „ზღვაში ჩაკარგული ვნებების ხორცშესხმა, ტალღებთან საშიში თამაში, ჩაძირვა სულის სიღრმეებში, სიტყვების გალაქტიკის ფერხულში ჩაბმა“, აღდგომის მოლოდინი.

წიგნში მრავალი ორიგინალური შედარება, ეპითეტი თუ სიმბოლოა: „მყარი რეალობის ამებისმაგვარი სხეული, ფთილა ღრუბლებზე უფრო მკრთალი სული, აქ სევდა არ ითქმის და არ იწერება, ის შეიძლება მხოლოდ გაიგონო, შეიგრძნო „ჰაერში მოციმციმე მოლეკულების მყრალი სუნი, არყოფნის სუნი, შროშანის სული, აღდგომის იასამნისფერი სული“.

გვაგონდება გვანცას „წერილი ბეჟანს“, რომელშიც ხაზი გაუსვა თავის სულიერ თუ გენეტიკურ კავშირს ბიძასთან –პირველხარისხოვან პოეტთან – ბეჟან ხარაიშვილთან. მას უწყვეტი შინაგანი სიახლოვე აქვს მარადიულ სავანეში დამკვიდრებულ ღირსეულ წინაპართან, გამუდმებით გრძნობს მის მზერას, „მარადიულ სევდას“.

ახალგაზრდა პოეტს არ ეშინია სიკვდილის, რადგან სჯერა სულით წმინდა ადამიანთა უკვდავება, რომ მიღმა სამყაროში, სივრცეებში ისინი ერთმანეთს შეხვდებიან, როგორც „პალადინები ერთი იმედის“.

„დღეს სიცივეს მათრახი გადუჭირა მზის ათინათმა“, წერს პოეტი და მართლაც, მზის ათინათი გვარებს გვანცას შემოქმედებაში, როგორც მისი სახე – გულნაზ ხარაიშვილის გამორჩეულ კრებულში „მზის ათინათი“.

აშკარაა, გვანცა ხარაიშვილს ძალზე საგულისხმო იმედისმომცემი განაცხადი გააკეთა თავისი პირველი წიგნით.

ამ სახეების წყაროა ფსალმუნი: „იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები, მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71, 6),

ან: „ბარაქიანი წვიმა აწვიმე, ღმერთო შენს ამკვიდროს“ (ფს. 67,10).

ჩვენს მიერ მოძიებული პარალელები კლასიკოსებთან არამც და არამც არ არის ახალგაზრდა პოეტის ეპიგონობის მაგალითები, პირიქით, დასტურია იმისა, რომ მის მაღალ, ციცაბო მწვერვალებს შესდგომია და ხელეწიფება მხარი გაუსწოროს წინაპარ ტიტანებს, გაითავისოს მათ მიერ დამკვიდრებული სიახლეები, რათა საკუთარ, განუმეორებელ გზაზე მყარად დადგეს და გვჯერა, ეს ასეც იქნება.

შეგონებანი, ხატოვანი ფრაზები გვანცა ხარაიშვილის წიგნიდან „რძისფერი ლექსების, პოემებისა და მოთხრობების კრებული“ თბ. 2014.

ფიცი იდება იმისთვის, რომ ოდესმე გასატეხად გაიმეტო.

ღმერთს ჯერ საკუთარ თავში პოულობენ, მერე სხვებში.

მეცხრე ციდან მიწაზე დაბრუნება იყო უძღები შვილის დაბრუნება სახლში.

დემონები ... მონდომებით აღვიძებენ სულის კუნჭულში მთვლემარე ანგელოზებს.

გარდაცვალება დავიწყებას როდი ნიშნავს.

წინ კიდევ ბევრი გაკვეთილია, მასწავლებელი – უფრო მეტი.

გულის მორღვეულ ჯებირებში ვინც შემოვა, ყველა როდი შეძლებს დარჩენას.

ნამდვილი მწერლები, მხოლოდ სიყვარულით წერენ.

ნამდვილი პოეტი ყოველთვის მუზებს ელოდება, რათა ისინი აქციოს ზღაპრების ზეიმად, სიზმრების ქალღმერთებად, ოცნებების მცველებად.

ნამდვილი მუსიკოსები სულის სიმღერებს მღერიან, რათა სხვების შინაგან სამყაროს გაუძღვნენ სინათლისა და ჭეშმარიტებისაკენ და ასე აქციონ ადამიანები საკუთარი თავების დამსჯელ-მიმტევებლებად.

ნამდვილი კომიკოსები ცრემლს და ღიმილს ერთნაირი ოსტატობით გვგვრიან, რათა თავად გადავწყვიტოთ, თუ რომელმა მათგანმა შეაღწია ჩვენს გულებსა და ემოციებში ისე ღრმად და ნაყოფიერად, როგორც პაწაწინა მდოგვის თესლმა ნაწვიმარ მიწაში.

ნამდვილი ხელოვანები გულმავიწყები არიან, რადგან შემოქმედება მოითხოვს დაივიწყო ყველა ის წვრილმანი, რითაც სამყარო და ხალხი ერთნაირი მონდომებით გბორკავს.

ადამიანებს სჭირდებათ იყვნენ სხვისი მუზები. ჩვენივე ამპარტავნებიდან გამომდინარე, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარ სულში მოფრთხიალე შთაგონება.

შეუძლებელია არ გიყვარდეს მუსიკა, სულის ხმა, რომელიც ერთადერთი, განუმეორებელი ფარვანაა ჯურღმულ საუკუნეში.

მაღვიძებს ნათ კინგ კოულის ჰანგები და ოპტიმიზმი, რომ რწმენა დაძრავს მთებს.

თუ მეცოდინება საწყისი, ოდესმე საბოლოო პუნქტამდე მივალ.

შეუძლებელია ჭეშმარიტება იქ იმალებოდეს, სადაც ასფალტი მარხავს მკვდრებს და მიწა კი ცოცხლებს.

ბუნებას თავისი კანონები აქვს, რაღაც აუცილებლად უნდა გასცე იმისთვის, რომ სამაგიეროდ ის მოგცეს, რაც ასე სასიცოცხლოა შენი არსებობისთვის.

მიჩნდება კითხვა, რომელიც ადამიანურობასთან მაბრუნებს: რას აკეთებენ ადამიანები, როცა ბედნიერებას პოულობენ?

ნურასოდეს დახუჭავ შინაგან თვალს...

სიცრუის ნაჭუჭში გამოკეტილები, წიწილის ჩანასახოვან უჯრედებს ჰგვანან – შეიძლება ნაჭუჭში მოკვდნენ, ამ მკვდრები დაიბადონ.

სიმშვიდე ღვთაებების ნექტარი გახლავთ.

ჩვენმა სიზმრებმდა მერამდენედ აგვხადეს ფარდა, როცა ოცნებებს ვასხამდით მჟავას.

დრო მეტია, ვიდრე ქვიშის ჩამოცლა, სხეული კი სულის გარეშე ხე რჩება მხოლოდ.

ერთისთვის წერა ფანატიზმამდე სისულელეა, თუმცა ამასთანავე, ერთადერთი გზაა კაცობრობის შესაცნობად.

კანი ხელის მტევნებში დაძარღვულ საუკუნეს უგრძნობდა.

ფიქრი არაფერია, თუ არა მომავლის ქუხილი ტვინში.

გულში რა მიდევს? სრულად ერის ყველა ნაკლი, ყველა ღირსება, დაძლევისა და დავიწყების პერსპექტივებით.

ჯობია ვეწამო, ვიდრე მაწამონ.

მზე ზღვაზე სტაფილოსფრად ჩაესვენა. ჩაესვენა ჩვენი მზეც. მხოლოდ ჩემში დატოვა იასამნისფერ-ცისფერი ბილიკი, გონებისა და გულისკენ მიმავალი.

სიკეთეშიც კი მეტასტაზებია წასული მარგინალურ ქალაქში.

იმედის გარეშე მთელ ცხოვრებას ან აპათიაში გაატარებდნენ, ან სიცოცხლეს რამე ორიგინალური საშუალებით მოისწრაფებდნენ.

ის ცხოვრების მაყურებელი უფროა, ვიდრე შემოქმედი.

წინათგრძნობები არაფერია, ვიდრე ჩვენი ძლიერი სურვილი რამის მოხდენისა.

სისასტიკე ზოგჯერ ყველაზე დიდი დანდობაა დედამიწის ზურგზე.

უსიცოცხლო თვალების მთელი ბილიკი გავიარე.

ცარიელი არ ვარ, უბრალოდ შევსება მჭირდება.

საუკუნის კიდემდე ლამაზი სახელია „მოდი“.

ბედის ირონიაა, შეცდომებით ამდენი რამის სწავლა რომ შეიძლება.

ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ყველა და ყვეალფერი ტყუის და მაშინ უნდა გეყოს ძალა, დარჩე გულწრფელი.

რა რთულია არსებობდე ისე, რომ შენს ყოფნას ახსნა მოუძებნო.

როცა ბერდები, ცხოვრება იძრობს უდარდელობის საბურველს, თვალზე ვარდისფერის ნაცვლად რეალურად გამჭვირვალე სათვალეს იკეთებ და ასე აგრძელებ ჟამთა სვლას.

არ მესმის, თუ რატომ ხდება ზოგიერთის ზღაპარი და რატომ აქვს უმრავლესობის ოცნებას ჩანასახშივე ფრთები შეკვეცილი.

ამქვეყნად ყოველთვის იარსებებს ადამიანი, რომელიც ყველაზე რთული მომენტშიც კი მოგცემს უფლებას გაიღიმო, გიყვარდეს, გჯეროდეს.

კაპიტალიზმის პირობებში არსებული კონკურენცია დამატებით მოტივაციას წარმოადგენს კარიერისტებისთვის.

მარტოობა ადამიანს უცნაური ქცევებისკენ უბიძგებს.

მეგობრობა შეიძლება თვალებით და ხელებით დაიწყოს.

რა ახლოა სიცოცხლე და რა შორს არსებობა.

მოულოდნელი და ექსტრემალური სიტუაციები ადამიანებს აახლოებს.

ოცნებები უნდა ხდებოდეს, თუ სწორედ მათ მიუწვდომლობაშია მთელი სიდიადე?

ადამიანებმა ახდენილი თუ აუხდენელი ოცნებებით ერთნაირად ტკბობა უნდა ვისწავლოთ.

ადამიანი ტანჯვისთვისაა გაჩენილი... ხომ გაგიგიათ, „მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც არის დიდი ნეტარება“.

მანანა კვატაია

„კოსმიური შეგრძნებების" ექსპრესიონისტი დრამატურგი

„თეატრი უთუოდ დამოუკიდებელი ხელოვნებაა. მაგიური ხელოვნება", – უთქვამს გრიგოლ რობაქიძეს 1922 წელს და ლაკონურად განუმარტავს: „თანამედროვე თეატრი არის თეატრი მასსის და გაკვირვების". მწერლის აზრით, უნივერსალური ეფექტის მისაღწევად დრამაში აუცილებელია სიტყვიერი და ხმიერი პარალელიზმი. აქ უნდა გამოიხატოს „დიდი ვნება. მხოლოდ ვნება და „ვნებულობა". ისე დიდი, რომ სცილდებოდეს პიროვნულს, პირადულს" („თეატრი კენტავრი").

ახალი თეატრი ახლებური სტილისტიკის პიესებს ითხოვდა. 1910-1920-იან წლების დრამატურგიის რეფორმირება გრიგოლ რობაქიძემ იკისრა. მან საქართველოში სათავე დაუდო ექსპრესიონისტულ დრამას კოსმიური გაქანების გმირებით, ორიგინალური თემატიკით, რიტმითა და ტექნიკით. ამ ახალი მიმდინარეობის ესთეტიკას რობაქიძე ასე ახასიათებს: „ექსპრესიონიზმში კაცი აღებულია თავის თავად: ყოვლის გარე. კოსმოსსა და კაცს შორის აღარ არის არავითარი ზღვარი ან ზღუდე.. არის მხოლოდ ერთი გრძნობა: კოსმიური გრძნობა: ყოვლის შემცვლელი და ყოვლის დამტევნელი.. წამი არა — არამედ მარადისობა" („ექსპრესსიონიზმი"). კ. ბრეგაძის შენიშვნით, ექსპრესიონიზმი თავისი არსით უნივერსალური სწრაფვების, „კოსმიური შეგრძნებების" ("kosmisch empfinden") (ნიცშე) გამომხატველი ესთეტიკური ფენომენია, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს პოეტური გამოთქმის ტექნიკას. გრიგოლ რობაქიძის თქმით, ექსპრესიონიზმმა დიდი გამარჯვება დრამაში მოიპოვა, „აქ უთუოდ არის მოცემული ახალი ხაზი".

თავის მხრივ, რობაქიძის ექსპრესიონისტული მსოფლგანცდა მის დრამატულ ტექსტებში აისახა. შემოქმედებით ძიებათა იმპულსი მწერალს 1916 წელს, სპარსეთში ყოფნის დროს მიუღია: „ეს ჩემი ცხოვრების შემობრუნების წერტილი იყო", – წერს იგი. იმდროინდელ შეგრძნებათა გამოსახვის ფორმად გრიგოლ რობაქიძეს დრამატურგია აურჩევია. „თანამედროვე ბურჟუაზიული დრამა არ მაძლევდა პოეტური გამოსახვის საშუალებას.. თავისუფალი რითმა ავირჩიე, ისეთი, როგორსაც აღმოსავლეთის მაგიურ ტექსტებში წააწყდება კაცი, ასე შეიქმნა ჩემი „ლონდა".. ასეთივე მეთოდით ავაგე მისტერია „კარდუ" და დრამა „ლამარა" (რობაქიძე 2012: 232). 1919 წელს გრიგოლ რობაქიძეს ქართულად უთარგმნია ოსკარ უაილდის „სალომეა", დაინტერესებულა ექსპრესიონიზმით, 1922 წელს კი თბილისის კონსერვატორიის დარბაზში მას წაუკითხავს მოხსენება „თეატრი, როგორც რიტმი".

გრიგოლ რობაქიძის დრამათა მკვლევარი თომას ჰოიზერმანი აღნიშნავს, რომ ერთაქტიანი „ლონდა", რომლის ქვესათაურია „დრამატული სიმფონია", დაწერილია ნიცშეს ზეგავლენით, „ვისაც დრამის საწყისად მიაჩნდა დიონისური დითირამბები". „ქორო ჰიმნებს აღუვლენს ნაყოფიერების მომტან მზეს და ამისათვის ავტორი იყენებს გაურითმავ თავისუფალ ლექსს, რომელიც შემდეგ ქორალების სახელწოდებითაც დაბეჭდილა" (ჰოიზერმანი 2006: 15). პიესის არქიტექტონიკა მუსიკალურ პრინციპებს ითვალისწინებს, რაც რომენ როლანსაც შეუნიშნავს.

წიგნად გამოცემულ „ლონდაში" (1926) მითითებულია პიესის შექმნის ადგილი და თარიღი: „ყაზახი (აზერბაიჯანი), ივლისის 25-26-27. ხილვა: ჰამადანი — ზაფხული 1917. ამას უნდა დაემატოს წელი 1919." როგორც ვხედავთ, პიესა რთულ ისტორიულ მონაკვეთში შექმნილა, რასაც მწერლის პირადი ტრაგედიაც დაემატა: მან იმ ხანებში დაკარგა შვილი: ალკა. ტიციან ტაბიძე 1923 წელს წერდა: „ამ პიესის შესახებ ის ვიცი, რომ იგი გრიგოლ რობაქიძისათვის ალკას სანაცვლოა".

1921-1922 წლებში რუსულად გადათარგმნილი „ლონდა" სცენაზე ორჯერ დაუდგამთ, 1923 წელს კი მისი პრემიერა ქართულ სცენაზე შედგა, თუმცა, როგორც შენიშნავენ, ზუსტად არაა ცნობილი, იყო თუ არა კოტე მარჯანიშვილი მისი რეჟისორი. მარჯანიშვილს პიესისათვის უძღვნია ვრცელი წერილი „შვილები მზისა და მზის ქურუმი", სადაც წერს: „ლონდა არის ნამდვილი დაბრუნება მზესთან. ეს არის ნამდვილი მისტერია მზისა. თვით არქიტექტონიკა პიესისა არის მზიური".

„ლონდას" დადგმამდე, 1923 წელს, რობაქიძეს დაუწერია ორი დრამა, რომელთაგან მხოლოდ ნაწყვეტებია შემორჩენილი. წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1921 წლის 6 მაისს, ტიციან ტაბიძე წერდა: „გრიგოლ რობაქიძე ამზადებს ახალ მისტერიას — „ჯვარი ვაზი-

სა“. 1922 წელს ამ მისტერიიდან დაბეჭდილა ქორალი „მიწის სჯული“, რომელიც ხატავს შემოდგომის საღამოს სოფლად.

1923 წელს რობაქიძეს დაუწერია ტრაგედია სამ მოქმედებად „კარდუ“, რომელიც მეცამეტე საუკუნის საქართველოს, კერძოდ, მონღოლთა შემოსევის პერიოდს ეძღვნებოდა. პიესის მეორე აქტის ერთი ნაწყვეტი („კენტავრები“) ჟურნალ „კავკასიონში“ 1924 წელს გამოქვეყნებულა. კენტავრის სიმბოლიკა გრიგოლ რობაქიძის დრამატურგიაში გამოყენებულია, როგორც მიწისა და პირველყოფილის, ველურობის სიმბოლო. „კენტავრებში“ გმირები თავიანთ ვაჟკაცობაზე ყვებიან. ამბის გადმოცემისას იკვეთება რობაქიძისეული რიტმული პროზის სპეციფიკური ნიშნები: მოკლე, სხარტი ფრაზეოლოგია, მთავარი აზრის მინიშნება და შინაგანი ექსპრესია (კრებული 2003: 95). პატიოტული სულისკვეთების „კარდუს“ საბჭოთა საქართველოში ვერ დაბეჭდავდნენ, ვერც სცენაზე წარმოადგენდნენ. 1949 წელს რობაქიძე იგონებდა: „კარდუს“ ხელნაწერი საქართვლოში დამრჩაო, თუმცა ის დღემდე უცნობია. ამავე მასალას მწერალი დაუბრუნდა რომანში „მცველნი გრალისა“ (ჰოიზერმანი 2006: 24-25).

იმავე, 1923 წელს, გრიგოლ რობაქიძეს შეუქმნია ფანტასმაგორია „მალშტრემ,“ რომლის ჩანასახიც მოჩანს იმავე წელს დაწერილ აპოკალიფსური განწყობის ლექსში „ქალაქი ფენომენი“. „მალშტრემის“ ტექსტის განმარტებაში მწერალი დრამის შექმნის დეტალებს გვაცნობს. მისი პირვანდელი წვეთი ტაციტუსის „ქრონიკიდან არის ნაგზნობი“, - აცხადებს იგი. ეს გახლავთ ტრაგიკული ისტორია იბერიის მეფისწულ რადამისტისა და მისი ფეხმძიმე მეუღლის ზენობიასი, რომელთაც სომხეთის ხელისუფალნი სდევნიან. ჰენდელს ეს მასალა გამოუყენებია ოპერისათვის „რადამისტი“, ხოლო რობაქიძისათვის ის Amor fati-ის განსახიერებად ქცეულა. ავტორი თავად აღიარებს: „ძვირად მოუხდენია ჩემზე სხვა რომელიმე ამბავს ასეთი დიდი შთაბეჭდილება“ (რობაქიძე 2003: 269).

დრამის ქვეტექსტებს მწერალი თავადვე განმარტავს. მისი თქმით, პირველი კამარაში „ფენომენოლოგია“ „არის მოცემული ევროპის კულტურა, ქალაქის ფონზე.. მიწა არ სჩანს: მხოლოდ რკინა და ასფალტი“. მეორეში („ამორ ფატი“) კი, პირიქით, „მოცემულია მიწა, ეტნოგრაფიის გარეშე“. მესამე კამარა - „კენტავრები“ - „იგივე ბუნებაა, თავისი მკერდით და სუნთქვით“, მეოთხე კამარის არსი ასეა ახსნილი: „უმიწო და უბედო კულტურას არა აქვს ეროსი. მისი სიყვარული პერიფერიას ვერ სცილდება და არის მხოლოდ ძალადობა“. მეხუთე კამარა ისევ „ეფემერაა, მაგრამ უფრო საშინელი: უბიწო და უბედო კულტურაში ყველაფერი თავდება აბსურდით“. ამ კონცეპტის განსახიერებას მწერალი მისი დროის ევროპის დადაისტებში ხედავს. „რაციოს“ ყოველი ხვეული აქ იღებს აბსურდულ მიმართებას. ქვეყანას აბითურებენ და თვითონვე ბითურდებიან“.

ფანტასმაგორია „მალშტრემ“ რობაქიძის სხვა დრამებისაგან თემატურად განსხვავდება. იგი 1910-იანი წლების პერიოდს ასახავს და, საერთოდ, ცივილიზაციის არსის, პრობლემების, რეგრესის თემას განიხილავს. XIX საუკუნის ევროპას რომანტიკული არსი შემოეძარცვა. ეს ის დრო იყო, როდესაც შპენგლერმა „ყველაზე ევროპული“ პარიზიც კი პროვინციულ ქალაქად წარმოადგინა და მსოფლიოს დედაქალაქად ნიუ-იორკი გამოაცხადა. 1923 წლის 17-21 დეკემბერს „მალშტრემ“ ქართულ სცენაზე წარმოუდგენიათ კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით, რომელსაც მწერალმა ეს პიესა მიუძღვნა.

მარჯანიშვილის მოწოდებით 1924 წელს გრიგოლ რობაქიძეს შეუქმნია პიესა „ლამარა“ (იმდროინდელი ქრონიკის მიხედვით, მისი თავდაპირველი სათაური ყოფილა „გველის ქვა“). 1954 წელს მას დაუწერია ვრცელი ესე „ლამარა“ (მოკლე ბიოგრაფია)“, სადაც აღწერილია დრამატული ტექსტის ისტორია და მისი სცენაზე წარმოდგენის გარემოებანი. როგორც ირკვევა, კოტე მარჯანიშვილს გადაუწყვეტია, დაედგა ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“ და გრიგოლ რობაქიძისათვის შეუთავაზებია: „შენ თვითონ გაშალე ეს მითიური გადმოცემა დრამად“. საბოლოოდ რობაქიძეს წარმოუდგენია სრულიად ახალი პიესა, რომელიც ავტორს ხევსურულის მცოდნე ვუკოლ ბერიძისათვის წაუკითხავს, რათა „რაიმე აბრუნდი“ არ გაპარვოდა. მწერლის მოგონებით, ყოველი კამარის გათავების შემდეგ მეცნიერი აღტაცებას ვერ მალავდა და ამბობდა: „სიმფონიაა, სიმფონია“. რომენ როლანსაც მსგავსი აზრი გასჩენია მას შემდეგ, რაც გიორგი ელიავას მისთვის გრიგოლის თხოვნით 1925 წელს ელისაბედ ორბელიანის მიერ ფრანგულად ნათარგმნი „ლონდა“ და „მალშტრემი“ გაუგზავნია (რობაქიძე თავადვე შენიშნავს, რომ რომენ როლანს „მალშტრემი“ არ მოსწონებია).

„ლამარა (მოკლე ბიოგრაფია)“ პიესის მეოთხე კამარის შექმნის ისტორიასაც გადმოსცემს: ამ პერიოდში გარდაცვლილა „ორფეოსი ქართველთა“ ვანო სარაჯიშვილი. „მამული გლოვამ მოიცვა. დედული აცრემლდა. დასაფლავება.. მისტერიად იქცა“, - ემოციურად იხსენებს მწერალი. სარაჯიშვილის დაკრძალვიდან სახლში დაბრუნებულ რობაქიძეს იმავე ღამეს, ერთი ამოსუნთქვით შეუქმნია „ლამარას“ მეოთხე კამარა: „ვწერდი ისე, თითქო ვილაც მიკარნახებდა. არ დამჭირვებია: არც სიტყვის შენაცვლება, არც თქმის სხვაგვარი მოზმევა, შესვენებითი ნიშანიც რაა, ისიც უცვლელი დარჩა.. სამუდამოდ დადუმებულმა ორფეოსმა თუ მარგუნა ეს უნათლესი მადლი!“

„ლამარას“ შთამაგონებელი ყოფილა 1924 წლის აგვისტოს ამბოხების მარცხი, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ მძიმედ გადაიტანა: „საშინლად ვნერვიულობდი. ავიშალე, დავიშალე. მოხდა ამბოხება. შლეგად ვიქეც: კაცს აღარ ვგავდი. მთელი ჩემი არსი ანთებით იყო აყვანილი“ (რობაქიძე 2003: 276). „ლამარას“ პრემიერა 1926 წლის 29 იანვარს შედგა. „იგი გადაიქცა კავკასიის თვითმყოფადობის მანიფესტად საბჭოთა ძალადობის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი სისხლისმსმელი სახე გამოამჟღავნა იმ მასობრივი დახვრეტებით, რაც ამბოხების ჩახშობას მოჰყვა“ (ჰოიზერმანი 2006: 43). თვით პიესის ავტორი შენიშნავდა: „შესაძლოა, წამებულმა ქართველმა ისეთი სიმძაფრით გაიღვიძა ჩემში, რომ ქვეშეცნეულ მოვინდომე, ლამარა უმალვე მიმეხალა მტარვალთათვის, ვითარ ტრაგიკული მარჯი დამარცხებულთა“.

საბჭოთა საქართველოს პრესამ პიესის ავტორს „ბიოლოგიურ ნაციონალიზმში“ დასდო ბრალი. წარმოდგენები შეაჩერეს და გაჩნდა საფრთხე, პიესა რეპერტუარიდან მოეხსნათ, თუმცა მოვლენები სხვაგვარად წარიმართა: 1930 წელს საბჭოთა ხალხის თეატრალურ ოლიმპიადაზე მოსკოვში „ლამარაც“ წარადგინეს და დადგმამ დიდი წარმატება მოიპოვა. პიესას ავტორმა უწოდა აღსარება თანამემამულეთა წინაშე და განმარტა: „ლამარა“ ჩემთვის პიროვნული არსია“.

მოგვიანებით გრიგოლ რობაქიძეს სხვა ტიპის პიესაც დაუწერია: ბოლშევიკურ თემატიკას შლის დრამა „უდეგა“, რომელიც 1929 წელს გამოქვეყნდა. პიესა მწერლის თანამედროვეებმა შემოქმედებით კომპრომისად მიიჩნიეს. „უდეგას“ თემა კაშხლის მშენებლობაა, მთავარი იდეა კი ხაზგასმა იმისა, რომ საბჭოთა სინამდვილეში ინდივიდი განწირულია, მასაში თუ არ გაითქვიფება. გრიგოლ რობაქიძე საბჭოთა მშენებლობას ბაბილონის გრანდიოზულ გოდოლს უპირისპირებს. „უდეგა“ სანდრო ახმეტელს 1929 წელს დაუდგამს, თუმცა ამ „შეკვეთილ ნაწარმოებს“ წარმატება არ მოჰყოლია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ გრიგოლ რობაქიძე დრამატულ ტექსტებს ემიგრაციის წლებშიც წერდა, თუმცა ამ პერიოდში შექმნილი მწერლის პიესები ჯერჯერობით უცნობია.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. რობაქიძე 2012: ქართული სიტყვიერება. გრიგოლ რობაქიძე. თბილისი: 2012.
2. რობაქიძე 2003: რობაქიძე გრ. დრამები. წერილები თეატრის შესახებ. თბილისი: 2003.
3. კრებული 2003: „თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენის დიდებით“.. (გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული). თბილისი: 2003.
4. ჰოიზერმანი 2006: ჰოიზერმანი თ. Amor fati (გრიგოლ რობაქიძის დრამები) (გერმანულიდან თარგმნეს ლამარა რამიშვილმა და ლამარა ნაროუშვილმა). თბილისი: 2006.

თამარ ჯაჭვაძე

სულის დაბადება

ხელოვნებაა თავად უკვდავება! – დიდებული სიტყვებია!

ხელოვანში მხოლოდ ხელოვნების სფეროთა მუშაკნი კი არა, თავად უმთავრესი შემოქმედი შეიძლება იგულისხმო, ხილული და უხილავი ქმნილებებით... მათ შორის სიტყვით.

სიტყვაც ხელოვნებაა.

პირველ იყო სიტყვა, – ამბობს ეკლესიასტე.

სიტყვა უფლის ხმა და გზაა, ძიების საწყისი და მიახლოების სურვილი. სიტყვის, როგორც უფლის მსახურება, ერთი შეხედვით თითქოს მარტივი, მაგრამ თავად რწმენის უბრალოებასა და სირთულესავით საფრთხილოა და ძნელადსაწვდომი. ერთსა და იმავე დროს მარტივი და ურთულესი.

მოჩვენებითი და ზედაპირულია უბრალოება. უსაზღვროა სიტყვის ძალა. ჭეშმარიტი რწმენიდან უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს... ვერც სიტყვის მაძიებელი და მსახური გადაუხვევს ერთხელ ამოთქმული სიტყვის მიერ მონიშნული გზიდან – სასიტყვეთიდან.

ვლოცულობ და მეშინია უფლის, ვწერ და მეშინია სიტყვის. რა დარჩება სიტყვათა სამყაროში ლიტანიის შედეგად? ფანატიზმი თუ რწმენა, საუბარი თუ ბოდვა?

პასუხგაუცემელი კითხვები რჩება მაძიებელ სულს და არ არსებობს პასუხი, ვიდრე ძიება და თავად არსებობა არ დასრულდება.

მაძიებელი ბუნება მარტო სიტყვიერის, ღვთიურის მაძიებელთა ხვედრი როდი ყოფილა. ეძიებს, ხელოვნდება და ოსტატდება მატერიალური თუ სულიერი ღირებულებების შემქმნელი ყველა ოსტატი.

მატერიალური და სულიერი ღირებულებების თანხვდომაა ჩემთვის მხატვრობა, სულის გადმოსხეულება საგანზე... სული და სხეული ერთად.

ცეცხლსა და ყინულს შორის მოქცეულმა უნდა შეძლოს და არ მიეცეს არცერთ სტიქიას. — ესაა ხელოვანის ბეწვის ხიდი.

ყოველი მხატვრისათვის ჩარჩო ვიწრო სამყაროა, რომელიც მარადიულად იზრდება ფიზიკური, (მარტივი სივრცითი) თუ აბსტრაქტული შესაძლებლობათა უსასრულობის არეალის თვალსაზრისით. სწორედ ამ სამყაროში ტოვებს მხატვარი თავისი ფაქიზი სულის ნაწილს, გადმოფენილს უხეშ ტილოზე.

რთულია ადამიანური ბუნების, მისი სულის ნაწილის ჩატევა ჩარჩოში. ხასიათი, მისწრაფება, ხილვები, თუნდაც ყოველდღიურობა, გამოხატული წესრიგში თუ ქაოსში, სიმშვიდესა თუ აურზაურში, სინათლესა თუ ჩრდილში... საკმაოდ ჭირს და კოლოსალურ ენერგიას მოითხოვს შემოქმედისას. მხოლოდ მხატვარმა იცის საკუთარი სულის გადმოხატვისა და მისი მარადისობისათვის შეტოვების სიძნელე და ნამდვილი ფასი. ეს სიძნელე, მისი დაძლევა და დასრულება, დაბადების ტოლფასი სასწაულია და იღბლიანია იგი, ვისაც ხელეწიფება ამ სასწაულის რეალიზება — სულის დაბადება.

დრო და ყოველი მიმდინარეობა თავის სიტყვას ამბობს ხელოვნებაში. თითოეულ მიმდინარეობას საკუთარი შემფასებელი და მოყვარული ჰყავს. ერთეულ პიროვნებას არ შეუძლია თანაბრად აღიქვას და ერთნაირად მოსწონდეს პიკასოს "გოგონა მანდოლინით" და რაფაელის "სიქსტის მადონა"... როგორც მკითხველი ეძებს თავისი სულიერი სამყაროსათვის მონათესავე ნაწარმოებს, ასევე მხატვრობის თაყვანისმცემელიც საკუთარ გემოვნებაზე მორგებულ მხატვრობას ეძებს. ხელოვნება სცდება ხელოვნების ვიწრო ჩარჩოს და ყოფიერებაში გადადის...

თანამედროვე მხატვრობაშიც არის მრავალი იზმი... ავანგარდიზმი, ქაოსის სიყვარული, არის რეალიზმი, აკადემიური... ფერი მეწყერი და ფერი სიმშვიდე, წყურვილი და გამჭვირვალე წვეთი... არის შედევრი, რომლის ამოცნობას გენია სჭირდება, ან მეხსიერების მხედველობისა და გონიერების ერთობლივი მობილიზაცია. და არის ფიროსმანის რიგი — კითხვებისა და მსჯელობის გარეშე. უბრალო, მარტივი, სუფთა... რა არისო? რომ არავინ იკითხავს.

ამ შემოდგომაზე კიდევ ერთხელ, გადავავლე თვალი ჩვენი დროის უიშვიათესი განათლებით, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული შემოქმედის (ფეხბურთელი, მეცნიერი, მოჭადრაკე, პო-

ლიტიკოსი, მხატვარი...) მანუჩარ მაჩაიძის ფერწერას. შემოქმედი - უბრალოდ ამოთქმული სიტყვა არაა, ბატონი მანუჩარი ყველა სფეროში სადაც უმოღვაწია ნამდვილი შემოქმედი ყოფილა.

მისი ნახატებიდან გადმოფენილ ბუნებრივ სიმშვიდეს და რეალურ სამყაროს, შემოდგომის მზესა თუ თოვლიან ხედებში გაბნეულ შეცივებულ და ნელთბილ ფერებს, მხოლოდ მხედველობის კი არა, გულისყურის დაძაბვა სჭირდება, დანახვა უნდა ბუნების ნაზი ამბოხის საოცრებას, ჩვენს ქაოსურ საუკუნეს ასე რომ აკლია და სჭირდება.

ცნობილი ფაქტია და ცნობილი აზრი, როდესაც ძმებმა ზდანოვიჩებმა ფიროსმანის ნახატების გამოფენა მოაწყეს მოსკოვში, საჭირო გახდა მისთვის დამოუკიდებელი დარბაზის გამოყოფა, რადგან ნიკალას ტილოებმა „შეჭამეს“ო სხვა ტილოები. იგი ისეთი ალალი, მარტივი და მიმზიდველი ყოფილა.

შეიძლება წარმოიდგინოს, გონებაში გააკეთოს თვითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი წარმოსახვითი გამოფენა, სადაც მრავალი შედევრი თუ ნაკლებად ცნობილი ტილო გაიელვებს, სადაც არის ავანგარდიზმი, გრანდიოზული ტილოები, ფიგურების სიმრავლით, დინამიურობით, პანტომიმით სავსე... ტილოები, საიდანაც ზოგჯერ თითქმის ყურთასმენის გამთანგავი მუსიკა ისმის, დაშლილი მიმიკებით გადმოცემული გრძნობები ტკივილის და სიხარულის, ანდა ტერფსიქორეს ჯადოსნური მოძრაობაა, ფერთა ცეკვაა და უცნაური გრადაცია... მაგრამ იშვიათია და ამით უფრო შესამჩნევი ხდება, სადღაც მიყუჟული, უპრეტენზიო, უბრალო და დიდებული სამყარო. თბილი ფერები, სინათლე, მზე და მორიდებული ღიმილი. უბრალოება გენიალობისა. გაუბედავი კეთილშობილება იღვრება ნახატებიდან. ამიტომ ამბობენ მანუჩარის მხატვრობაზე ალალიაო, მარტივი და მიმზიდველი.

პირველი არ ვიქნები, ვინც მანუჩარ მაჩაიძე ფიროსმანს შეადარა, რომელიც მოცალეობის ჟამს თავისთვის და თავისი მეგობარი თუნდაც მედუქნეებისათვის ხატავდა. ყოველი საყურადღებო ქმნილება თავისთვის სიმარტოვეში და მოცალეობის ჟამსაა შექმნილი... (მწერლობაშიც ხომ ასეა. დონ-კიხოტის კლასიკური მაგალითიც კმარა). ხოლო... თავის გამოჩენის ამბიციით და დიდების მანიით შეპყრობილი ადამიანის მიერ შექმნილი ყოველივე წაბაძვითია, ნაძალადევი და წამიერი.

დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია, როგორი დევნის, შევიწროვების, განტევების, გაძევების ობიექტი გამხდარა მანუჩარ მაჩაიძე საფეხბურთო კარიერიდან დაწყებული, ყოფიერებით დამთავრებული, დღემდე. გამორჩეულის და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანისადმი ბოროტეული შური, ესეც ჩვენი ეროვნული ნიშანი ყოფილა, სამწუხაროდ ჩვენდა.

პირადად კი, ჯიუტი ვარ და მინდა მჯეროდეს, რომ კარგები ვართ ადამიანები, არ გვშურს ერთმანეთის, არ ვჭამთ განსაკუთრებულ კაცებს სულხორციანად, გვიხარია და გვიყვარს ნიჭიერი და განსწავლული ადამიანები... ეს გულუბრყვილო სურვილია, მაგრამ ძალიან მინდა ასე იყოს, იმდენად ძალიან, რომ თითქმის მჯერა.

შურის მიღმა მიმალული სიკეთის დამნახავი თვალი რომ ავახილოთ და კარგად დავაკვირდეთ, მგონია დიდი მადლობაც ეკუთვნით მათ, ვინც არ აცალა ბატონ მანუჩარს ფეხბურთში ბოლომდე დახარჯულიყო. ამით მათ მანუჩარი მხატვრობას შემოუნახეს. ბოთლიდან ამოსული ჯინივით გაათავისუფლეს სული მწვანე მოედნის ფარგლებიდან და ხელოვნებას აჩუქეს იგი.

საკუთარი და თავისებური სტილი ფეხბურთში, მომავლის ფეხბურთი რომ იყო, მოყვარულთა კი არა, პროფესიონალთა მიერ განსჯისა და შეჯახების მიზეზი რომ ხდებოდა, თითქმის მარჩიელობის დონეზე რომ დადიოდა, მხოლოდ ქართული ფეხბურთის განვითარების გზა რომ ყოფილა, ეს უკვე წლებმა დაადასტურა.

მანუჩარ მაჩაიძემ ხომ ფეხბურთი მარტო კი არ იცოდა, სისხლის ყოველი წვეთით და გონების ყოველი მოლეკულით გრძნობდა მას. ცოდნა და გრძნობა ცა და დედამიწასავით განსხვავებული ცნებებია. ცოდნა მიწიურია, გრძნობა ციური... ცოდნას ზღვარი ედება სადღაც, გრძნობა უსაზღვროა.

ცოდნით დამძიმებული გრძნობებით დატვირთული წამოვიდა იგი მწვანე მოედნიდან მზისფერ პალიტრაში... ასე შემოვიდა მხატვრობაში.

თითქოს ჩვენს თვალწინ კიდევ ერთი ლამაზი ლეგენდა დაიბადა.

მარადიული ღირებულებების ძიების გზაზე მავალი გალეგენდებული ადამიანი. იგი დადის აქ, ჩვენთან ახლოს, და ვერ ხვდება თანამედროვეობა, ვინ არის მათ გვერდით. ლეგენდა ლეგენდად და ცოცხალ ადამიანს, მითუმეტეს დამსახურებულს, მრავალ სფეროში ნამოღვაწარს და ყველგან საკუთარ ღირსებაშერჩენილ კაცს, თბილი სიტყვა, სულ უბრალო მოფერება სჭირდება... მით უმეტეს საკუთარი ცხოვრების შემოდგომაზე, როდესაც ყველაზე მეტად ნაზდება სული.

ჩემი ცხოვრების შემოდგომაზე შემთხვევით შევეფეთე, როგორც ფეხბურთელობისას შეარქვეს — “დიდი მანუჩარი”-ს მხატვრობას. არ ვიცი ფეხბურთიდან გამოყოლილი სიყვარულის შედეგი იყო, თუ მხატვრად გარდასახვის მოულოდნელობა, დავიწყე წერა ამოუწურავი შესაძლებ-

ლობების მქონე პიროვნებაზე. მე ვწერდი ლეგენდის ტოლ ადამიანზე, ვწერდი და მინდოდა მეჩვენებინა; არა აბსტრაქტული ლეგენდა, არამედ ადამიანი თავისი ბუნებით... მეამბოხე, მაგრამ მართალი ხასიათით, ჩვეულებრივი ყოფით, ტკივილითა და სიხარულით. რამდენად შევძელი არ ვიცი. სიტყვის სისუსტე ავტორის შესაძლებლობების უძლურებაა და არა მისი ბუნების და შესაძლებლობების ნაკლი, ვისზეც იწერება. გამოხატო, აღწერო და სხვას აჩვენო ადამიანის სულიერი სამყარო, ეს ისეთივე ხელოვნებაა, როგორც მხატვრობაა მხატვრის სულის ბიოგრაფია, როგორც თავად პოეზიაა პოეტის გზა. ადამიანის სულში წვდომაც უდიდესი ხელოვნებაა, თითქმის შეუძლებელიც.

ყოველი მოთხრობა, წერილი, ჩანახატი თუ სტროფი დიდ ადამიანზე დაწერილი, თანაავტორობითია. მას თავად პერსონაჟი წერს, იგია საკუთარი ცხოვრების ავტორი. მწერალს ხომ უბრალოდ ეს ცხოვრება ქაღალდზე სიტყვებად გადააქვს. მეც ასე გადავიტანე დიდი ადამიანის შემოქმედებითი ცხოვრების პატარა ეპიზოდები ქაღალდზე. მის ტილოებთან გარინდებული სულის გარეგნული სიმშვიდე და შინაგანი შფოთი. ზამთრის პეიზაჟივით ერთი შეხედვით ცივი, მაგრამ სიყვარულით გამთბარი ბუნების სისპეტაკე.

მოკრძალებულიც და ძლიერიც.

მეამბოხეც და მშვიდიც.

მებრძოლიც და ფაქიზიც.

უთქმელი... და სათქმელი....

კიდევ რამდენი დარჩა!

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

ადამიანმოსანი

კაცი, რომელიც მიდის, მიღიღინებს თავის, სხვის თუ ქვეყნის სატკივარზე, გულით და არა ვინმეს თვალში სახვედრად რაიმე გარკვეული პიარისთვის, ასეთია კრედო უშანგი მოსიაშვილისა, რომლის პოეტურ ნიშაზე იარლიყად ალალ კალმოსნობაა ამოტვიფრული. სხვა თუ არა, მისი შემოქმედება იმითაცაა ყურადსაღები, არ იხედება პირადი პოეტური წყაროს სამდიდრებლად ან ვისმე საბაძავად სხვის შემოქმედებაში, რაოდენადაც თავად გააჩნია საკუთარი მხატვრულ სააზროვნო პირად პოეტური, ბერკეტ სახიერი წყარო და რაც მთავარია არც უცხო სიტყვათა ლექსიკონს მიმართავს მჟღერი სიტყვების მოპოეტოთსავით გადმოსაკუთრებ-გადმოსაცოდვილებლად.

მსოფლიოში რამდენი ადამინიცაა, იმდენი განსხვავებული ხელმოწერა არსებობს. ასევეა პოეზიაშიც. რამდენი პოეტიცაა იმდენი ლექსსაწერი ჟესტი, კილო და მუსიკალობა არსებობს, სხვა თემაა პლაგიატობა ანუ ლექს გადმოწერა. ასე, რომ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ლექს სააზროვნო თემაზეა მახვილი დასმული. რაზეც თავიდანვეა პრაქტიკულ-პრიორიტეტულ აღსაქმელი, რომ დღევანდელი ნებისმიერი პოეტისაგან განსხვავებით, ბატონი უშანგის შემოქმედების ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტის კონცეფცია პატრიოტული მოტივი, ანუ ხალხის გაერთიანებისკენ მომწოდებლური აზრია გადმოცემული ერის ინტერესების დასაცავად, მისეულ კალმისეულად ასახული. სწორედაც, მამულის დასაცავად, რომლებშიც ალალი, პირდაპირი, მშვენიერი პოტენციური პოეტური სულია გამოსახული.

ბატონი უშანგის მომდევნო გლობალურ-განზოგადოებული შტრიხია ცნობად პიროვნებათდამი მიძღვნილ ლექსთა დიდოსტატობაც და დიდ გულისმიერებაც. არ გამორჩენია მის გონსა და კალამს ქვეყნის მოწინავე, საამაყო შვილთა აღზევება- გაფეტიშება. ასე მიმართავს სამაგალითო პიროვნებას, ერში ცნობად ნუგზარ ნადარაიას მიძღვნილ ლექსში:/ მათ ხსოვნას გულით ატარებ,/ როგორც ვაჟკაცის წესია,/ ბევრს გაუღვიძე სურვილი/ რომ იყვეს უკეთესია./

ასევე გაზვიადების პოეტური ფერ-უმარილით შეკაზმვის გარეშე მიმართავს მამა-პაპური წესით პირად მეგობარს, ქვეყნის პატივსაცემ აშუღ პოეტს ბატონ შალვა ილურიძეს: /მინდა რომ ლექსი მოგიძღვნა/ ავახმიანო კალამი,/ ძმობილო მინდა მოგწერო/ დაუვიწყარი სალამი./

ქრისტესმიერი შემომქმედი, საფერ-საფეტიშო ლექსის ბოლოს, საყოველთაოდ პატივსაცემ პიროვნებას, მამა ამირან ამირანაშვილს, მისდამი მიძღვნილი ვრცელი ლექსის ბოლოს თითქმის ყველას სათქმელს ეუბნევა: /კაცს მარტო მისი დანახვა/ დარდიანს მისცემს შვებასა, /მის ვაჟკაცური იერი / ასხივებს ღვთიურ ვნებასა. /და ალალ მართალი პოეტი თავადაც ლოცავს ხალხის მლოცავ მამაოს, რომელსაც მართლაც ყველაფერი უხდება ქართულ-მამაკაცური იშვიათი ფიზიკური მშვენიერი გარეგნობის გამო, თანაც მრავალ სფეროში უნიჭიერეს, ერის კაცს, თავადაც პოეტს, აკადემიურ მომღერალს ანუ კაცს უნივერსალს და რაც უწინარეს ყოვლისაა მთავარი, ხალხის ემოციურ ფსიქოლოგიურ მშველელს: /დითხანს იცოცხლე მამაო,/ იყავი ხალხის მშველიო,/ ბევრი ვაჟკაცი შეგხვდება /შენზე სიკეთის მთქმელიო. /

დიდკაცობის აღმნიშვნელი ნიშან-სვეტიც არ გამოპარვია ავტორს და სულ ორიოდ შტრიხით სხარტად განადიდებს მეცენატეს სააგიტაციო ლექსში „ბატონ ანზორ ჯაფარიძეს“: /ანზორ ეგ შენი საქმენი/ ყველასთვის მისაბაძია, /ვინც სოფელს დაუბრუნდება,/ ყველაზე დიდი კაცია./

მიძღვნილთა შორის მოიაზრება შესანიშნავი ლექსიც დღევანდელი ინტელიგენციის ნიჭიერ ქართველ კაცისადმი, რომელსაც ფუნჯი და კალამი თანაბრად უჭრის და ასე მიმართავს ლექსში „ბატონ ნიკო ხერკელაძეს“: /შენ სააკაძის ცხოვრება/ ახლიდან გააჯირითე, /წუწკ თავადების ამქარი / კაცურად გააქილიკე./

მხოლოდ თანამედროვეებზე არა, უვიწყ, გმირ მეფე ვახტანგ გორგასალზეც აქვს მიძღვნილი მნიშვნელოვანი ლექსი ყურადღებიან ავტორს, რომელშიც ამბობს: /ჩვენ დაგვიტოვა სამშობლო/ სახელოვანი ძლიერი,/ მან ვაჟკაცურად ქვეყანას/ სულ შეუცვალა იერი./

რაც უკვე ავღნიშნე პოეტის შემოქმედებას მბრწყინავ წითელ ზოლად პატრიოტული მოტივი გასდევს, რომელსაც სწორედ საინტერესოდ განსაკუთრებულ პირად ლექსს ხლწერით გამოხატავს. სამშობლოს იღბალზე დაფიქრებულ ავტორს ქართული სიბრძნითა და შემართებით სურს, რომ მიწას უპატრონოს, რომ იგი სხვისი საბატონო არ გახდეს, რასაც კონკრეტულად გადმოსცემს გონივრულ ლექსში „როგორც არასდროს“: /დღეს საჭიროა როგორც არასდროს/ შემართება და სიბრძნე ქართული, /რომ ჩვენმა მიწამ იგრძნოს პატრონი /და არ გაუჩნდეს ვინმე ბატონი./

ამჯერად კი პოტენციურ პატრიოტიზმზე თავად ლექსის სათაურიც ღაღადებს „მე საქართველოს სიკეთე მინდა“, რომელშიც თანამოაზრეებს გულწრფელად, ტანჯულ ძმებს უწოდებს: /არ მიფიქრია რომ პოეტი ვარ/ და ამ სიკეთით დავიდგა ძეგლი,/ მე მხოლოდ ქვეყნის სიკეთე მინდა/ მსურს ვანუგეშო ტანჯული ძმები,/ მთავარ სათქმელს და საფიქრს კი, რომ ძმათაშორის არ იყოს შუღლი, საქართველოს ძლიერება რომ არასოდეს გაიყოს, ამას ვრცელ ლექსში დასასრულ ამბობს:/ მე საქართველოს სიკეთე მინდა/ რომ ძმათა შორის შუღლი არ იყოს,/ რომ საქართველო ძლიერი იყოს/ და არასოდეს აღარ გაიყოს./

ინდიფერენტულობისგან შორს მდგომი, პუნქტუალური, გამობრძმედილი ავტორი დარწმუნრბული იმაში, რომ მშობლიურ სურნელოვან მიწას დღესაც მრავალი ჰყავს თავგანწირვის მსურველი შვილი და რაც ბოლო წლებმა ჭეშმარიტად, სრულიად დაამტკიცა, მომწოდებლურ ლექსში „ მშობელ მიწას დავლოცავ“ ამბობს: / მიტომა აქვს ჩვენს მიწას/ ასე დიდი სურნელი / დღესაც ბევრი შვილი გყავს/ თავგანწირვის მსურველი./

იშვიათია პოეტი, რომელიც გონივრულ, თვითკრიტიკულად უდგება ჩვეულ გენურ გათითოკაცებას, რასაც შენების ნაცვლად ქვეყნის რეალური ნგრევა მოსდევს და აი როგორი კითხვის ნიშნის დასმით ამბობს ამას ლექსში „საქართველოს გასაჭირი“: /ასეთი ქცევით თითო კაცობით/ ჩვენ ჩვენს ქვეყანას დავასხით რეტი, /ქვეყანას ვანგრევთ კი არ ვაშენებთ / რა გავაკეთეთ ამაზე მეტი?/

(ნგრევა შორეულში კი არაა, ბოლო წლებში მამულის მესამედი რომ დავკარგეთ ისაა და ყოველ დღე თვალწინ ახალ-ახალ პირადწყვეტილ საზღვრებს რომ გვიზომავენ)....

პატრიოტული ლაიტმოტივი ბატონი უშანგის შემოქმედებაში არაერთი ლექსით დასტურდება. მათ შორისაა უსათაურო ლექსიც რომელშიც აღწერს: / თუ გიზგიზებს სამშობლოსთვის სულის ნათელი / შენს ნაკვალევს უნდა აჩნდეს ყველგან ნათელი / უნდა ტკბებოდე ქვეყნად ყველას ბედნიერებით / არ ერთობოდე მხოლოდ სულის ბედნიერებით./

აღნიშნული ლექსები სხვადასხვა პერიოდითაა დათარიღებული. რაზეც შეიძლება ითქვას – კალამს თითქმის არ იღებს თუ სტრიქონს მამულის სიყვარულის ხვაშიადი არ გაანდო და სხვადასხვა ხედვით ერთიდაიგივე, მომწოდებლურ სურათს გვიხატავს ყველა მათგანში. მაგალითად ლექსში „სიტყვა ნაღდი აღარ ფასობს“ კვლავ ერთად დგომას მოუწოდებს ხალხს მამულის გადასარჩენად: / ის სჯობია რომ გაიგონ / ხალხი ითხოვს სწრაფად შველას, / მოგიწოდებთ ერთად დავდგეთ / მამულის გადასარჩენად. /

ხალხზე და ქვეყანაზე მზრუნველი ავტორი ორსტროფაშიც ამბობს: / მინდა რომ ციდან ვწყვეტდე ვარსკვლავებს და ჩემს ქვეყანას ვუხდიდე ხარკად, / რომ მის წიაღში ყველა ხარობდეს / და ყველა კაცი ცხოვრობდეს კარგად. /

მზგავს ორიენტირების ლექსებიდან გვერდს ვერ აევლება ამ ლექსსაც „არას გვიშველის მარტო ჩივილი“. მასში ფოკუსირდება სამშობლოს ბრწყინვალებაზე და დაკარგული მიწების დაბრუნებაზე ოცნება: / მინდა რომ ციდან ჩამოვიყვანო მე ვარსკვლავების მთელი ამალა / რომ გააბრწყინოს ჩემი სამშობლო / და დაგვიბრუნოს რაც დაგვიმალა. /

ქართველობაზე გამიჯნურებული ავტორი წინაპართა საძვალეს მოვლის ადათწესებს წინა პლანზე აყენებს ლექსში „ქვეყნად ერთადერთი“: / ქართველი ხომ მუდამ იყო / სიყვარულის მთესავი / წინაპართა საძვალეს კი / დაჰყურებდა მზესავით. /

ერის ინტერესებისკენ ორიენტირებული, ხალხის გაერთიანებისკენ მომწოდებლური ყველა ლექსის ძირეული განხილვა გამორიცხულია. ასეთთა სათაურებს კი მხოლოდ ნაწილობრივ დავასახელებ: „არეულია ხალხის გონება“, „საქართველოს გაუმრავლოს“, „ამიტომ გაუძლო საუკუნეებს“, „ყველა ქართველი პოეტი არის“, „მუდამ ვფიქრობ“, „სამშობლოს“, „ო, როგორ გიჭირს კურთხეულო ჩემო ქვეყანავ“ და მრავალი სხვა ნაწილობრივ, ასე იმიტომ ვახსენე, რომ როგორც უკვე ავღნიშნე ისინი შემოქმედების ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტია ასეთ განსაცდელ სიუჟეტიანი ლექსების შემდეგ, რომლებშიც მაშინალური შეცდომაც კი არ არსებობს.

პოეტურ დელიკატესად შემოვინახე შედარებით ხალას შინაარს სათქმელიანი გულწრფელობის და თვითმყოფადობის კიდევ ერთი უტყუარი მაგალითი ლირიკულ გრანდიოზული ლექსი „ოჰ, ღვინოვ“, რომელსაც მინაწერში აქვს ხაიამისებური, ამიტომ შეიძლება ითქვას, ავტორს ომარის გვარად წრფელი, მეტყველი და ალალ მართალი კალამი უჭირავს.

თუმცა, ამჯერადაც ერთი შეხედვით მშვიდი და უსევდო, ავტორი სტრიქონით თავისთავს გასცემს ფიქრ-დარდიანი რომა და ფონეტიკის სრული მცოდნე, ღვინოს როგორც კაცს ისე სწორქართულით მიმართავს: / ოჰ, ღვინოვ თურმე მათრობელა რატომ ყოფილხარ, / გსურს რომ მოგენდოს დარდიანი გულის პატრონი. / და რადგან იცის დარდის განმფანტავი რომაა, ამჯერადაც ამას ქვეყანას უკავშირებს და აგრძელებს: / რომ შეგსვამს ამით დარდი გაფანტოს / და გახდეს უცებ ბედნიერი ქვეყნის პატრონი. /

ავტორი თვითმხილველია, თუ რა პათოსური ეტაპი მოსდევს დალევას, რაზეც განაგრძობს: / შენი წყალობით მას ხომ თავი გმირი ჰგონია, / სულ ავიწყდება თუ ოდესმე ჯავრი ჰქონია, / შემდეგ ანდაზის შესატყვისს უპირისპირებს: „მშიერს მშიერი რომ ჰგონია, მაძღარს მაძღარიო“ / მშიერი კაცი თავის მზსგავსად მთვარლი ჰგონია/ სულ დაუხარჯავს რაც ქისაში ფული ჰქონია. /ასეც განმარტავს ღვინის დამლევზე: / შენი წყალობით ზოგს თაგუნა ლომი ჰგონია, / ლომს რომ შეხედავს / მის თვალებში თაგვის ტოლია. / არ გამორჩენია ავტორს, როცა ნასვამს კაცი ორად ეჩვენება: / ერთ კაცს უყურებს, დაჟინებით ორი ჰგონია. / და მთვრალის ყველაზე ზეწარმატებული ხედვაც: / და მტკიცედ სჯერა რომ ის ახლა ღმერთის ტოლია. / რეალისტი ავტორი ღვინოს მკურნალის მოვალეობასაც უთავსებს: / ოჰ, ღვინოვ თურმე წამალი ხარ ჯავრიან გულის / ბევრჯერ მომლხენი და მშველელი მშფოთვარე სული. /

ღვინოზე პიარ ნათქვამისგან: / შენა ხარ ჩემი შვება და ლხენა, / შენგან არ მახსოვს ნამცეცი წყენა. / განსხვავებით ბატონი უშანგი ეპილოგში პარადოქსულ რჩევას აძლევს მსმელს, რადგან ნამცეცი კი არა, უამრავი წყენა ახლავს მოჭარბებულ ღვინოს, უნგრევია ოჯახები და ანდერძი უგია მრავლისთვის, ამიტომ ავტორი სწორად ბჭობს: / მაგრამ თუ კაცი მთლად მოგენდო და არ გაგიგო, / შენთან შეხვედრით მან ანდერძი თვითონ აიგო. / ეს ანაკრეონტული ლექსი ღრმად მწამს თავად დიონისესაც მოხიბლავდა.

აღნიშნული ლექსი რომ შეიძლებოდეს და დიაფანოსკოპით გაშუქდებოდეს, შიგ მხოლოდ ავტორის ალალ მჭევრმეტყველება და ალალ კალმოსნობა ამოიკითხება, რაოდენადაც არცერთი სიტყვა არაა ფალსიფიცირებული და სადაც არცერთ დისონანსსაც არა აჰვს ადგილი.

რაც შეხება უტოპისტი ავტორის შემოქმედების ძირითადი კონტურის სიუჟეტი უნიტალურია, რაც აბსოლუტურად შორსაა უტირებასთან.

ბატონი უშანგი მოსიაშვილის გზა რომისკენ კი არა, სამშობლოზე საფიქრ ლექსებისკენ მიდის, ამიტომ პირად სტრიქონებს ასეთს მივუსადაგებ:

„გულს გული იცნობს და ღონეს ღონე“
სიტყვები რომ ჰგავს გაფრენილ ისარს,
რადგან სამშობლო ასე შეგტკივათ
თქვენში ვაფასებ გულს პოეტისას.

ქართველის მომავალს

ოცდამეერთე საუკუნის თვრამეტიან წლებში საქართველოში კომპიუტერსივრცემპყრობელი და ლექს მწერი იმდენია თვლა აირევა. ყველა მათგანის ცნობაც გამორიცხულია. გაგაოცებენ. როცა იტყვი – ასეთი არ წამიკითხია ან მომისმენია, ხვდები შემდეგზე უკეთესს ისმენ და უნებურად გახსენდება თუმანიანის სიტყვები: „ყველა ქართველი პოეტია და პოეტი ორჯერ პოეტიო“. ისიც გახსენდება (თუმცა ყველაზე არ თქმული) „ის ურჩევია მამულსაო“. მითუმეტეს ჩვენი წინაპარი ფეხის ადგმისთანავე ლექსით სულდგმულობდა. მისი სულიერების წყარო იგი იყო. აკი ითქვა კიდეც: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. ისიც ითქვა: „ლექსი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს ტყვიით სავსე ყუმბარა“. ასე რომ ლექსი ჭირში, ლექსი ლხინში, თანაც თავად მასვე რომ უმღერდნენ: „ლექსი თითო-ორორაო ჩვენც გვასწავლე ტოროლაო“ და ვინ მოთვლის რა აღარ თქმულა ამ ცხოვრების მოაზროვნე, მოლაპარაკე, საუკუნო თანამგზავრზე, ან კი რა გასაკვირია იმ მიწის შვილთა მელექსეობა, სადაც ფეხი აუდგამთ ილიას, ვაჟას, გალას, საბას, შოთას, ვინც მემკვიდრეობად დაგვიტოვეს, წიგნი, ლექსი, ანდაზა, ბალადა, იგავი, არაკი, რაც სასწავლად ფეხის ადგმიდან მთელი ცხოვრება სჭირდებოდა და სჭირდება ადამიანებს და ის ვინ ლექსს ვერ ან არ წერს, აქ ისეთი ლექსზეპირ მხატვრულ-ტრადიციულ თამადობა იციან („სუფრაც აკადემიაო“) ერთ სათქმელად ეგეცა ღირს.

როცა პირველად გურამ გედევანიშვილის, იგივე გურა ანგურას შემოქმედებას გავეცანი, ისე აქვს დიდი ქართული სასიტყვეთის თვითოეული უნიკალურ-უმშვენიერესი სიტყვა, სტრიქონი ჩაჩუქურთმებ-ჩაგვერისტებული განმაცვიფრა. დავრწმუნდი, როგორც ფრინველთა თუ ჯუნგლების, ვინც ზედმიწევნით არ იცის ღრმა, მაგიურ პოეზის ენა, ის ანგურას ალეგორიას ძირეულად ვერც ჩაუწვდება...

კარგი სიმღერა კარგი ლექსწერა, კარგი ტანკენარ ცეკვა ეს ჩვენი გენიოლოგიის თანდაყოლილი ბუნებაა, რომელშიც მხოლოდ რჩეულები უნდა ამოირჩიო და უნებურად ხვდები, ბატონი გურამი ნამდვილად არაა გამორჩეული, ის სენსაციური, ღვთაებრივი, ნამვილ გასაოცარი ავტორია, რომ გაგიტაცებს ჩაუღრმავებლად რომ ვერ ამოხსნი მის გავაზივით მოქნეული სტრიქონების სიღრმისეულ, ბრძნულ ნააზრევს. მითუმეტეს კვალიფიციურ რითმულებს („ლექსი ძამიკო, რითმა პირველი“), რაზეც ადაბტირებული, ზედგამოჭრილი ანდაზა გახსენდება: „ადათია და წესია, ფეტვი ალაგზე თესია“.

კომპეტენტური მკითხველი ნაღდ პოეტს ერთი ლექსითაც გამოიცნობს. გურა ანგურას პოეტურ ორიენტირებას, რამის ლექსიც არ სჭირდება, სტრიქონითაც მიხვდები მის პოეტურ რეიტინგს.

თუმცა ნებისმიერ ლექსთაყვანისმცემლისთვის თვითოეული მათგანი სათუთია ოღონთ ავტორის უშაბლონო, გულის ძარღვის ტკივილი მანიპულირებდეს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მარტო ამდაგვარზე არაა აქცენტირება, რაოდენადაც უცაბედად თეოლოგიურ, გენიოსურ მეცნირებაში ჩაგაღრმავებს და ხვდები, რომ ლექსძლევის ასთი დიფერენცირებული ილეთი მხოლოდ კლასიკოსებს თუ ხელეწიფებოდათ, კლასიკოსებს რომლებიც თითქმის აღარ არინ და ინსტიქტური აქისომით, ასეთნი თითქოს იმ ხანად უნდა არსებულიყვნენ. გურა ანგურას ლექსტყვედქცეული ხვდები, რომ მითი დისკრედირებულია, რომ დღევანდელი კომპიუტერული ხანის განსაკუთრებული სიმაღლისა და დონის ზეციური პოეზიის არენის საჯილდაო ქვა მის გონივრულ, ღრმა, წონად სასიტყვეთის ინდიკატორულ კალმისგან ძლეულია...

საკმაო წლების უკან, ცნობილი, აშუღი პოეტი თანამედროვეობის ნაღდი ლეგენდა კახა ბაციკაძე, მკაცრად დადებულ უზუსტესი დოკუმენტებით, მგოსან ნიკოლოზ ბარათაშვილს შევადარე. სწორედ ამ დოკუმენტების ანუ მზგავს აზრ-წინადადებათა ფაქტობრიობით იმ გამოქვეყნებამდის აჟიტირებულ, ხმად აღებულ სტატიით კახასადმი საეჭვოობამ მაინც გაიკრთომა. თუმცა ვერაფრის თქმა ვერავინ გაბედა ნაწრთობ კალმიან, ავტორიტეტულ სერგი ლომაძის გარდა. აი რას წერს იგი ამ თემაზე ასმეშვიდე გვერძე აღიარებულ, ყველასათვის საყვარელ წიგნში: „გზა მწვერვალისკენ“. „ლიანა ოსიაშვილმა კახას შემოქმედებასა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას შორის ისეთი პარალელები გაავლო, რომ პირდაპირ ითქვას შეიძლება ზოგს ეს არასწორადაც გაეგო და ჩემი მეგობარი პლაგიატშიც დაედანაშაულებინა.

...მას ღრმად აქვს შესწავლილი, როგორც მსოფლიო კულტურის ასევე და უპირველეს ყოვლისა, ქართული კულტურის მიღწევები. ხოლო სწორედ ასეთ მიღწევათაგანია რუსთაველის, ბარათაშვილის, გალაკტიონის გრანელის შემოქმედება, ამიტომაც არაა გასაკვირი რომ მართლაც მოინახოს რაღაც პარალელები სრულიად დამოუკიდებელი და თანამედროვეობის ერთ-ერთი რჩეულ პოეტის კახა ბაციკაძის და ამ გენიოსთა ნაწერებს შორის, ახლა ისე ნუ გამიგებთ თითქოს გარკვეულ შედარებას ვახდენ. არა, არა! მე უბრალოდ ერთი სტატიის ერთ საკითხს გამოვეხმაურე“.

სტატიას, ზოგი რედწევრის მოწინააღმდეგეობის მიუხედავად, დღევანდელი ლიტერატურის ერთ-ერთმა მამამთავარმა ქ-მა გულნაზ ხარაიშვილმა ურედაქტირა, რაშიც ლომის წილი თავად ლომაძეს და ბაციკაძეს მიუძღვით, რომელთაც არ ეშლებათ პლაგიატისა და ერთნაირად მოაზროვნეობის განსხვავება, რაც მახსენებს ნათქვამს: „კარგ მთქმელს, კარგი გამგონი უნდაო“ და რაზეც აკადემიის სხდომაზე ვრცლად ისაუბრა პროფესორმა ლუარა სორდიამაც.

ამჯერადაც ვიქნები ჩემეულ კორექტული და დავძენ: როცა გურა ანგურას ზოგიერთ ლექსს ვკითხულობ, ყურში პირდაპირ თავის ხატოვან, დინამიური დიქციით გალაქტიონის ხმა ჩამესმის, რომლის მოსმენის ბედნიერებაც ხშირად მქონდა. ჩამესმის მისი ჟღერადობა, მუსიკალობა, ჟესტი, სალექსო მანერა და არა მისი სიტყვები, რაც ბატონი გურამის პოეტური კარმიდამოს სწორედაც უმნიშვნელოვანესი და უმშვენიერესი ერთ-ერთი ღირებული ხიბლია. მაგალითად ასეთი ლექსებია: „მომდევს სატევარით ჩემი მდევარი“, „მთები ჩვენი სულია“, „სულიერი მდუმარება მესტუმრა“, „და საქართველო ამირანმთით დაიგუგუნებს“ და სხვა.

ბატონი გურამის თვითეულ ლექსზე სამსჯელო ამოუწურავია. მათ შორის ერთ ერთი განსაკუთრებულია ლექსი სიმბოლური სათაურით: „გალაქტიონი“. რაზეც განვმარტავ – რთულია ასეთი ლექსის სრული სიდიადე მწირი სიტყვებით ამოიწუროს, რამეთუ ერთი სტრიქონის მიღმა ათასი შიდა სათქმელი იგულისხმება. ხან უკვდავ ტყეში რომ გახვედრებს მკრთალი ფითრებით, ხან ოცნებით ნიაღვარულ გულს ხეხილს რომ ამოაფეთქინებს, თეოლოგიურ სამყაროში ხედვით – მთაზე გაკრულ რითმის სილურჯეში რომ გახედებს, მკერდზე ლოცვით მინარწიებ ქნარზე, რომ გემასლაათება და ჟამთა უკუნში ტანჯვის გზებით გამოვლილ საქართველოზე ერთხელ კიდევ მწარედ რომ დაგაფიქრებს: / ის მომყივარი ახალ რითმების, / სანთლათ ინთების, ჟამთა უკუნით, / საქართველოა იმ დაფიქრების, / იმ ტანჯვის გზების სულის გუგუნი. /

პოეზიის უკვდავი აქსიომით პირველი და მესამე, მეორე და მეოთხე, ღირებულ შემთხვევაში ყველა სტრიქონთა ბოლო სიტყვები ურთიერთ თანმხვედრ გარითმულია. ეს ანგურას შემოქმედებაში რამის უმნიშვნელოცაა, რადგან ბოლო კი არა, თავად ცალკეულ წინადადებებშივეა ურთი-

ერთ გარითმული წყვილი თუ ცალკეული სიტყვები. მაგალითათ: / დიახ მოსწონდის, გზები კოსმოსის, / ხოლო აი თუნდაც პირველი სტრიქონი: / ის მომყივარი ახალ რითმების, / მომდევნო სტრიქონის სასრულ კი არა, საწყის სიტყვებთანაცაა გარითმული: სანთლად ინთების და რა თქმა უნდა თითქმის მთლიანი ლექსია ასე შიდა რითმებით გამდიდრებული და აი რატომ ჩამესმის გალაქტიონის ხმა რადგან სწორედ მას ჰქონდა შიდა რითმიანი ლექსები, რომლის ფასდაუდებელი ერთ-ერთი უნიკალური მაგალითია უკვდავი „ნიკორწმინდა“.

აღნიშნულ ლექსში გამოყენებულია აგრეთვე ქართულ-გრაციულ-ბარხატოვანი სიტყვები: მინარწიები, მკრთალი ფითრებით, ამოიფეთქა, მოციაგე, მოსწონდის, სხივთა მძივები, თითთა ზამბახნი, თმები დაირთო ნაწნავ გრეხილად, ცად გამხელილი, თვალთ გამხედავი, გზნებათა ქარში ზღაპართ ედემის, ნიაღვარული, გამახელები და სხვა. ამ უჩვეულო კოლოსარულ ლექსს, მკითხველის საამებლად ავტორმა სასრულად სიმბოლური გამოთქმულიც მიუსადაგა: / მოირხეოდა როგორც რიონი, მეფე, პოეტი გალაქტიონი. /

ხოლო ასეთი ინტერპრეტაცია, როგორიცაა ლექსში „მზე თუ მზე არის“, უიშვიათესობაა, როცა ავტორი ბჭობს: / ყველა მდინარე ზღვაში მძინარებს, / ზღვაში ტანჯვათა ნაკადს ერთვისო. / რაზეც სათქმელია, ასეთი ლექსწერა გურა ანგურასაგან თავისსავე დასახელებულ მდინარეებსა და ზღვებში ქარიშხლისას საპირისპირო ცურვის ტოლფასია, იმდენად ზუსტად აქვს ამოხსნილი სალექსო ალგორითმი, ხოლო რაც შეეხება თავად რითმწყობას, იგივე შიდა რითმებია, როგორც წინა ლექსზე ითქვა და მაგალითებიც: / მზე თუ მზე არის, დედვ დედაო... / უდაბნოს ლომი დაფეთდებაო, / ტყეში გამიშვი, / ფრთები ქარიშხლის / ...მზე ცდას არ იშლის, / ნაპირს გადიშლის. / და სხვა.

განსაკუთრებული კონცეფციისაა ლექსი: „მთები ჩვენი სულია“, მასში ავტორი გვიამბობს; მოტირალი წვეთები გუბით რომაა ვალმოხდილი, მოქსოვილი გუბე ტანგახდილი, დრონი გაოცებისგან გარეცხილი, სივრცეები კი თმავარცხნილი ქალწულებივით რომაა, თან თავის მათრობელა შედარებებით: ხარხარობენ ნაკადნი, ეს ორი სიტყვა კი თავადვე რომაა ლექსი: „შვავდებიან შვავები“, ან „მეხთა ისმის ჰანგები“, ბოლო სათქმელს ასე რომ ამბობს: / შემოჰქრიან ქორები და ლომები ფეთებით, / მთები ჩვენი არსია, / მთები ჩვენი სულია. / ეს პოეტის გენიალური, შეუდარებელი ხედვებია, რაზეც დასაწყისში აღვნიშნე: ერთი ლექსითაც შეიძლება პოეტი შეიცნოო, მთა რომაა მისი პრაგმატული სული, რითმულობაზე აღარას გავიმეორებ.

უსათაურო გალანტურ ორ სტროფაში ნათქვამი სტრიქონები: /მზე შორი დარდის მღვიმეში მიდის / და სიზმარეთის მოიწევს ბინდი, / უბადლო მეცნიერულ-ფილოსოფიური პოემის დარი თეოლოგიური ხედვებია.

უჩვეულო, შემეცნებითი ლექსის სათაური კი „სარკის მიღმიერი სამყარო“, თავადვე ასკვნის ლექსის თეოლოგიურობას, ვრცელი პოემის გვარი ლექსის ბოლო ორი სტროფი კი ჭეშმარიტებაზე რომ ღაღადებს, თუ როგორ დატანტალებენ კლდენი ზეცაში, ნეტარნი როგორ ჰკეცენ ლალისფერში ეპოქებს, ან რაზე იღიმიან გაოცებული ვაზები: / ...კლდენი ტანტალებენ ზეცაში / ზეცა მორეკლილი ეხვევა, / ნეტავ სად არიან ნეტარნი, / მხოლოდ ღვინით სავსე ქვევრებთან. /სხედან და ლოცავენ შემოქმედს/ ღიმილს გაოცებულს ვაზებთან, / ჰკეცენ ლალისფერში ეპოქებს / ბავშვთა ჟრიამულს რომ დასდევდა. / ასეთ სტრიქონებზეა ნათქვამი: „კომენტარი ზედმეტიაო“.

საოცრება ისიცაა შვიდ მარცვლიანშიც: „ატლანტები ვიდოდნენ ციკლოპედურ ლოდებით“, რვა, ცხრა, ათ და თექვსმეტ მარცვლიანშიც: „სტვენს გაშმგებით სიმი ჭიანურის“, რაც მეთორმეტე საუკუნელი გენიოსი მელექსის მარცვლის ოდენობისაა, პოეტურ-ოპტიმალური საჭის თითქმის არცერთი დაბრკოლება-შეფერხება, დეციმეტრული აზრ-გადახვევა, თითქმის არც ერთი მარცვლის ჩავარდნა, მუსიკალობის დარღვევა არ შეინიშნება, რითაც ყველა ისინი ქართული პოეზიის სრულფასოვანი დამაინტრიგებელი შედევრებია.

ბატონი გურამის შემოქმედებით ტკბობისას რთულია სტროფთა თუ წინადადებათა გამოყოფა. მაგალითად კი ლექსში „მე მიყვარს ფანდურის ჰანგები“, უიშვიათესი პოეტური პათოსით მკითხველი საოცარ აღმაფრენამდის ანუ ტკბობის ზენიტში აჰყავს:/ მე მხიბლავს „ქართულის“ ყისტები,/ და როკვა ხორუმით მაშტერებს,/ დაუკარ დოლი და გარმონი/ გახიე, ...გახეთქე .....გაწელე/ მესახება. ასეთ ჟანრში აღნიშნული სტროფი ამდაგვარი ნატური ხედვის კულმინაციაა, რომლის წაკითხვამაც ნათქვამი შემახსენა: „პროზა სიარულია და ლექსი ცეკვააო“.

თანაც, აი რა ისმინება თავად სიმივით და ჰანგივით უმგრძნობიარესი მგოსანი ავტორის სტრიქონებში ლექსიდან „შენ დოლ-გარმონი ჰა, მიდი ბახი!“/ ისმის წარსული ჩვენს დუდუკებში/ როს მთვარიანი შემოდის ღამე,/ ამ ხმებს თან ახლავს წასულთ ნუგეში/ თითქოს წავიდნენ ედემის მხარეს./ .....დიპლიპიტოებს შეუტევს ხელი,/ ხელში ხმოვანი გრძნება ღვივდება./ აქ ერთი და სავალდებულო საკომენტაროა, რომ ანგურას გულსა და კალამში ღვივდება გრძნება. რადგან დუდუკების ხმაში წასულთ ნუგეში ისმინება და როცა თავად ავტორს ელაპარაკება მუსიკა, აი როგორ მიმართავს ბახს: /შენ დოლ-გარმონი, ჰა მიდი ბახი, თუ კი მაგ ხმებით იტყვი ყველაფერს“./

ასეთი ლექსის „ქართული ცეკვა ცერზე შემჯდარი“ ტექსტში ჩახედვა აღარცაა აუცილებელი, რაოდენადაც დამაინტრიგებელი სათქმელი უკვე სათაურშივეა გამოხატული, რაც ლექსთა შორის უიშვიათესობაა. ლექსში კი „ო, ჰანგი ჰქმნიდა საოცრებებს“, მართლაც იმ საოცარ სალექსო რენესანსის გამოვლენაა, რომ ფიალასავით დაჭერილი მზით ოქროს საწმისიან უკვდავება გამოვლილ ერს აღიღინებს და ეს კი ის სალექსო კულმინაციაა, საოცარი თქმის პირდაპირ პროპორციული რომაა: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“. / ქართული ჰანგის ჟღერადობით მზე დავიჭირე/ მზე დავიჭირე, მზე დიადი, როგორც ფიალა,/ იმა სასმისით, ოქროს საწმისით ერი ღიღინებს,/ ერი რომელმაც უკვდავება გამოიარა,/ ო ..ჰანგი ჰქმნიდა საოცრებას, სიცოცხლის საწყისს“./ რითმიანობაზე აღარას გავაგრძელებ ამ საოცარ, უნიკალურ, თორმეტ მარცვალა პოეზიის მარგალიტ, ხაზგასმით დავძენ–ერთსტროფაზე.

კალამუღალატო ავტორის ლექს-შედევრია კვლავ ერთსტროფა „და საქართველო ამირანმთით დაიგუგუნებს“, როგორც ხშირ შემთხვევაში ავტორი სწორ სიტყვიან ზუსტ მარცვლიან რითმებს იყენებს: / ტყე რომ ბუბუნებს,/ ტყე რომ გრგვინავს,/ უტევს უკუნეთს,/ მაშინ პოეტი ცით მოსული დაიგრუხუნებს“,/ დასტური, მისი კალამი სწორედაც ერთსტროფა ლექსთა დაგრუხუნებაა.

ოთხ სტრიქონიან ლექსებში ბატონი გურამი კორიფე რომაა ამაზე ორი აზრი არ არსებობს. იგი აფორიზმის მაგვარ ორ სტრიქონიან ლექსებშიც დედამიწის საოცრების მსაზღვრელია, რაც სწორედ იმ სენსაციურობის ტოლფასია შესავალში რომ ავღნიშნე.

მაგალითად ლექსი სათაურით „ დედამიწა“ კოლოსალურ შინაარსით: / გაოცებული გორგალივით მიდი-მოდიხარ, მშვიდი თვალებით იმზირები, მშვიდი როდი ხარ! / ეს კი რაც მთელი კატაკლიზმების თეოლოგიური ხედვით ალეგრიული ამოხსნაცაა: / მორჩა, გათავდა, განქრა ყოველი,/ სამყარო დარჩა შეუცნობელი.

შემდეგ ორ სრტიქონში სურათის უზადო ხედვაა: / ულამაზესი გლუვი ფეხებით,/ მზე ჩამოვიდა ცვრიან ბალახზე./ ზამთრის მოლოდინში კი ასე ესმის ავტორს შემოდგომის ხმა: / რაღაც უცნაურს ველი, როდესაც შემოდგომები დაიკივლებენ. /

ქარის ბოროტი ბუნების შემცნობი პოეტი ვიღაცისგან შეკრთომით ულამზებს ქარს ყოფას: / ბოროტებით სულაც არ ჰქრის ეს ქარი, / ქარი არის ვიღაცისგან შემკრთალი. /

ჩრდილი ერთია, თავისთავად განმარტოებული და პოეტის ხედვით მოგონებებიც ჰქონია: / ჰქრება სიტურფე, იფერფლება ლანდი გორების, / ჩრდილი საუბრობს მოგონება განმარტოებით. /

კვლავ ჩასაღრმავებელი ორ სტრიქონაც: / ბალახი კვდება, ენატრება ფერი წარსულის, / იგი ტაძარი მშვენიერი ხნიერ წარსულის. /

შეუდარებელია ბატონი გურამის ტრისტიკული ლექსებიც. აი მაგალითად: / მოვედი გნახე / და თოვლობით გადაგიარე, / მე ვარ აპრილი. / ტრისტიკული ლექსთა მაგალითია აგრეთვე „წვიმა მიედინება მწუხარედ“ რომელიც ცხრა სტროფადაა დაწერილი. ყველა სამ სრიქონიანია, რომელიც ქართული ლიტერატურული კულტურის უნიკალური ნიმუშია, მუსიკალობით თუ წერის მანერით: მედინება, ყიამეთს, ვსხეულდები და სხვები. ასე ღრმა და უმშვენიერეს სიტყვათა გამოყენება კი ამ ლექსში, უცხო არაა ანგურას დიდ სიტყვათქმულ შემოქმედებაში.

ბატონი გურამის ლექსი „სალამურის ამოოხვრა ჩვენს არსობაზე“ რომლის მეორე სტროფში ვკითხულობთ: / ნელი სიმღერა თუ გსმენიათ სასაფლაოზე, / წყნარი ჩურჩული სიოს ქროლვა სივრცის დუმილი, / სალამურების ამოოხვრა ჩვენს არსობაზე / ხსოვნის მარადი ნისლეულით შემოსუდრული./ აგრეთვე პოეტ თამაზ ცაბუტაშვილის, ბატონი იოსებ კავსაძის ვაჟკაცებს ირაკლის და შოთას ხსოვნას და მიხო ხელაშვილის ყველა ოჯახში ნამღერი, ყველამ თითქმის ზეპირად

რომ იცის შეუდარებელი ლექსი „წუთისოფელი“, ქართული პოეზიის ამ ჟანრის უკვდავი კლასიკური ნიმუშებია.

ალოგიკურობა ბატონი გურამის ერთად-ერთ ლექსში იკითხება. მისი სათაურია: „დამიკრიფე ხელები ბინდო ღამისავ, რომლის მეორე სტროფში ბრძანებს: / მთანო ალერსი ჩამოასვენეთ, / ცანო თვალები ჩამოახედეთ, / მქრქალ წამწამებზე ცრემლი დაკიდეთ / გამოტირებულ ნიავქარისა. / თუ სათაურით ვიმსჯელებთ გამოტირებული ნიავქარი უკვდავია, უკვდავებას კი ცრემლი არ სჭირია.

მარად საამოა სატრფიალო ლექსები, თანაც იმ ერში სადაც სიყვარული გზად, ხიდად და დანგრეულის მაშენებლად მოუაზრებიათ.

მეტადრე როცა მწამს ანგურას რითმებით ყოველივეს გაშიშვლება რომ ძალულძს ანუ ქოთანს რითმით ყურს საიდანაც უნდა იქიდან რომ მოაბამს, მაგრამ ამჯერად არ გამოდის რა დაკეცილი ბედის მარაოს ცისფერი რეალობიდან ულტრალირიულ ლექსში: „ის გოგონები სამოციან ცისფერ წლებისა“ შეუფერადებლად განახებს მასში სარკის სტრიქონებივით პირად ნაოჭებს, ჭაღარას და დაღლილობას და აი თუ როგორ: / მოირხეოდნენ სამკაულა სატანჯველები, / ბიოსაწყისით, ბიოგენით.. ბიოველებით.., / ელაციცება თქვენს ჭაღარას და მოღლილობას / ნაოჭმა ნაოჭს გადაუსწრო.. გადაიღორა / წელთა დაბრუნებაზე კი ამბობს: / არა-არაო, იძახიან არა-არაო, გადაიშალა, გადიკეცა ბედის მარაო. /

ვინ იცის რამდენმა ინატრა გალაქტიონის მერისთანობა, რომ უკვდავყოფილიყო. ამ ლექსში „ნაწყვეტი გლოვის ბალადიდან“, მამკაცურ, გემოვნებიან ასეთი გონის ავტორისთვის რომ ეთქმევინებინა: / გამომაშრო როგორც ფიალა / და უცაბედად შემაჩერა ქალღმერთის ტანთან, / ..მარჯნის კერეტების სიტკბოებას ფუტკარი წოვდა.. / მერი შერვაშიძის სახე საზოგადოებისთვის ცნობადია, ვის შეეძლო მეორე ანუ ამ საუკუნის გალაქტიონის, ბატონი გურამის ყურადღება მიეპყრო ქალღმერთის ტანით? აქ მხოლოდ ცისფერი თვალებია ცნობილი..

თუმცა პერსონალური ხედვაა, რომ როგორც ქალაქს, თუნდაც ადამიანს სახელი, ლექსი უპირველესად სათაურის აზრობრიობის იდენტურობამ უნდა მიგიზიდოს, ამად მიმაჩნია რომ ერთერთ ლამაზთქმული, პოეტურხიბლიანია ლექსი სათაურით „ხეზე ვარსკვლავები დაეკიდა“, რომლის, ტანზე დღედაღამ გადაცმულ შორსმჭვრეტელ ავტორისთვის დიდფანტაზიური ხილვა ასეთია: / ტანზე გადავიცვი დღე და ღამე / ვარსკვლავნი გვიმზედნენ გაოცებით. / და ლექსის ფინალში რომ ამბობს: / ..ასე უცნაურად შუადღისას / ხეზე ვარსკვლავები დაეკიდა. / მოკლედ ავტორი შუადღისას ვარსკვლავებს თან ხედავს და თანაც ხეზე დაკიდებულს..

პირადი კრიტერიუმით პოეტთა სიდიადე მარტივად და დოგმატურად მაშინ შეიცნობა, როცა ერთიდაიგივე თემაზე აქვთ ლექსები დაწერილი. პოეზიის უკიდეგანო არენაზე ლომთა შეკრულ კამარად და ამოგმენად მოიაზერება ნათქვამები: ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის, ფოთლები მიქრიან ქარდაქარ და ანგურას შეპირაპირებული ნატქვამი: / ქარმა ჩუმად შემოაღო კარი / იგი იყო დამფრთხალი და მკრთალი, / შემოევლო შინას, მდუმარ კედლებს / და გავიდა ფანჯარიდან მზეზე / ..ქარმა ჩუმად შემოაღო კარი, / ქარი იყო უსაშველოდ მთვრალი. /

მრავალი ლექსი მსმენია წვიმაზეც და როგორც ყვავილში ზოგი სამკურნალოს ეძებს, წვიმასაც ათასგვარ გამოსაყენებლად უყურებენ ზოგს ჰაერის გასაწმენდად სჭირდება, ზოგს მინდვრის დასანამად და სხვა. ანგურას კი იგი მხოლოდ მზის საძებნად დასჭირვებია: / ოჰ მოდი წვიმავ წვიმაო, / უშენოდ მომეწყინაო, / მომიყევ ზეცის ამბავი მზეს საით ჩაეძინაო. /

მთავარ სათქმელს რომ თავი დავანებოთ თითოეული სიტყვა გარითმულია მშვენიერ ლექსში „ მომდევს სატევრით ჩემი მდევარი“, რომელშიც ნათქვამია: / გამშლის ხალიჩად, / მე კი ვეცემი, / ჩემი ედემით სამარადჟამოდ ვიცი განგების, / ნისლთა ჰანგების / მახვევს სამოსელს, / თეთრი ვარდების, / მკერდით მადნების სასაფლაოზე. /

მსოფლიო სენსაციურ ლექსთა შორისაა ლექსი სათაურით „მაგრამ მარაო ჰაეროვან სუნთქვაში გაჰქრა“, რამდენადაც მტკივნეულ კვნესადაა ამოგმენილი, მჭევრმეტყველ ანგურასაგან, მეტადრე როცა ავტორი განსაკუთრებულ ასაკიდან მშობელს დედის ნაცვლად დედილოთი რომ მიმართავს. თანაც იმ ყოფის აღქმით, როცა დედას ცისკრის ანუ სიცოცხლის მარაო ქონდა: / გახსოვს დედილო შენ რომ გქონდა ცისკრის მარაო? / დედის წარმოსახვით დიალოგური პასუხი: / დედა იხსენებს, მახსოვს ის დრო, როგორ არაო, / წარმოსახვითი იმად, რამდენადაც ფერთა გაშლილი ყანების მოპარვა დედის არყოფნას ნიშნავს: / ვინ მოიპარა გადაშლილი ფერთა ყანები / და

იგივე მარაოთი სიყმაწვილის დაბრუნებას პოეტურ ჯადოსნურ ჭიამაიას შესთხოვს აპოვნინოს / ჭიამაიავ მაპოვნინე დედა ბუნების, / იმ სიყმაწვილეს მარაოთი დავიბრუნებდი. / ბავშობის თუ დედის სუნთქვის მარაოთი ჰაეროვანი შეწყვეტით ლოდებს და სამარის კართან მთელი ცხოვრების სურათის ორ სტროფში ჩატევის სრული დასურათხატებაა: / მაგრამ მარაო ჰაეროვან სუნთქვაში გაჰქრა, / მდუმარებისა ცივ ლოდებთან, სამარის კართან. /

ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ პიველად ცხივრებაში მომესურვა კალამს მხოლოდ წერა კი არა ხმად აღქმაც ანუ კივილი შეძლებოდა, როგორც დედო ზარს, დიაფონს როგორც სირენის ან სხვა რამ მსგავსს, რადგან ლექსის ძალა კალმით გამოხატვაზე ზევით დგას.

დღევანდელი მშობლიური კი არა მსოფლიო პოეზიის რეიტინგული, სათაო და ბატონი გურამის კი არა, სრულიად ქართველთა საამაყო ლექსია „მზეში გაკვერილი ლილეთი იდგნენ საქართველოს შვილები“, ანუ იგი ლექსთა ლექსია, რომელიც ტანში გამცრელია. მისი თითოეული შენივთული სტრიქონი ცხრა ღიღინა მარცვალაა, ცხრა მილიარდ გულწასულ ლექსის თანაფარდობით, ქვითინ-ჩასაფიქრებელ, ჩასაღრმავებელ, შენივთულ აპელირებული სტროფებით: / ცეცხლში გულწასული აკვნებით / ფერფლში გაბნეული ღირინით, / ყველა აქ ესვენა განგებით, / ჟამსა შენივთული ქვითინით. / და არავითარი უჩვეულო ოპტიმიზმით, გაკვერილი კონდენცირებული რეალობით, ჩახატულ-მოგუგუნე სტრიქონებითაა ეს ყოვლად განსაცვიფრებელი გენიოსური ნააზრევი თუ მოგუგუნე ფერხულით როგორ იდგნენ საქართველოს შვილები: / მაგრამ სასწაულად შეკრული, / მზეში გაკვერილი ლილეთი, / ქარში მოგუგუნე ფერხულით, / იდგნენ საქართველოს შვილები. / იავარქმნილ სამშობლოსა და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე რისთვის იდგნენ საქართველოს შვილები ეს თავად მათ, ავტორმაც და ვარამნანახ ისტორიამაც კარგად იცის.

კვლავ ლომაძის აზრი უნდა მოვიშველიო იგივე წიგნიდან, სადაც ოცდამეორე გვერდზე წერს: „როდესაც გულნაზის ლექსებს ვკითხულობ, ვფიქრობ, აბა ნეტა რომელი ქალი პოეტი დაწერდა ასე?“ რაც ჩემს სათქმელს ეყავრჯნება: რომელი დაწერდა ამგვარად დღევანდელი პოეტი მამაკაცებიდან ასე არგუმენტირებულ, ეროვნული ცნობიერების ლექსს? იქნებ... მაგრამ მიზერული ოდენობით, ამ ყოვლად განსაცვიფრებელ მსოფლიო მნიშვნელობის ფავორიტ, ჩაწახნაგებულ სიტყვაწინადადებიან ლექსს „ ჩრდილნი ავედევნეთ ლანდის ლანდებს“ ჰქვია: / საით ან რაისთვის, ანდა რისთვის / ფიცხი გაფითრება გვაძალებდა / წყლისთვის..? თუ ისევ მიწის შარა / მიგვიძღვოდა საძვალესთან / იცით რა ტანჯვებით მოვდიოდით, / ცის ცით, ცხრა კლიტულის დანალეწით, / ქარით მსუსხავით და ნოტიოთი, კევრით მზის კალოზე განალეწით. / ლექსი რომ ჯვარედინ რითმიანია ამაზე აღარას გავიმეორებ, ერთი კი თუ მოჭარბებულად არ ჩაითვლება, ვინც ჩვენი უმონათესაო, ერის ისტორია არ იცის, უფლის განგებით როგორ ვმარადობდით, არცაა ამ ლექსის გაცნობის ღირსი. / მტერთა ვერა ძალით ამოგვკვეთეს, / უფლის განგებითა ვმარადობდით, / გონთა უხილავით ავაშენეთ, / ჩვენი მარაბდა და მარათონი. / მხოლოდ შეუდარებელი კი არაა, ზებუნებრივ საოცრებაა, ასიათასი კი არა, ერთი პოეტისგანაა ასეთი ხედვა, დიდებასთან ერთ წამს ჩამუხლულები ვერაფრით რომ აგვაწყვიტეს: / უცხო ქარაშოთტი გვიბერავდა, / ჩვენი იმერეთის ფერადებით, / ერთ წამს ჩავიმუხლეთ დიდებასთან, / და ვერ აგვაწყვიტეს ვერაფერით. / ამ ისტორიული ღრმა აზრის კი, ვინ იცის ლექსად კი არა, პროზად გადმოცემაც გაჭირდეს: / ბევრი გადვიხადეთ ტაშისკარი, / ბევრიც ბასიანის მისტერია, / მაგრამ დიდგორივით ამოვარდნილს / მხოლოდ კლდე-კარები იძლევიან. /

სწორედაც მხოლოდ თავად ასეთ ღვთაებრივ დიდკაცთ შეუძლიათ ასეთი დიდლექსხედვა ან სულნამცეცგაუცემლობა, როგორიც თავად ბატონი გურამია: / ხოლოდ დიდკაცები მეტყველებენ, / მას რაც ღვთაებათა ნაფიქრია, / გვფლითეს დაგვგლიჯეს და გვეძალადნენ / და სული ნამცეციც არ გაგვიცია. / გასაოცარია ისიც, თუ როგორი გენიოსური სიმარტივით გვესაუბრება პოეტურად ისტორიის ჟამგადანისლულ ერის დიდება საგანძურზე: / მაგრამ დავით მეფის სიმაღლისა, / აღმაშენებელის საგანძურით, / ჟამნი ისტორით გადინისლა, / ნახეთ გელათი და ანანური. / შემდგომ კი კვლავ საკვირველ გულმწვდომი საერო ათას სიმბოლურ ხოხბით ნაყივლებ ჭალაზე და საოცნებო მომავალზე თქმული საპოთეოზო სიტყვები: / ნახეთ, მოისმინეთ საკვირველი / ძლევა ქედის ქედზე გამავალი, / ჭალა ათას ხოხბით ნაყივლები. / და კვლავ საოცნებო მომავალი. / ღირსეული საპირველო, საქვეყნო ლექსი ღირსეულ ბოლოთქმით სრულდება: სადაც ბავშვნი საახალწლო ბასილებით საქართველოს მომავლად ასოცირდება და ნისლებსაც კი რომ ამჩნევს ღრმა ტანჯვებით ნატკივართ ეს უგენიალურესი ავტორი: / თასნი უფლის სისხლით გავსი-

ლები / ნისლნი ღრმა ტანჯვებით ნატკივარნი, / ბავშვნი სახალწლო ბასილებით / ღმერთო ეს სიმღერა დამიკარი. /

გავბედავ თქმას, რომ მსმენია შემფასებელს თხრობისას გამოსაცდელი შეუჩერებია და უმაღლესი შეფასება ასე მიუცია. მზსგავსი პოეზიაშიც რომ დაიშვებოდეს და ამის უფლებამოსილი გახლდეთ, ვიტყოდი ამ ფურორის მომხდენ აღნიშნულ ლექსზე მეტი აღარაა საჭირო მეთქი და პოეტური შკალის უმაღლეს ნიშნულს მოვხაზავდი. თუმცა ერთიცაა, მიუხედავად ჩემივე ასეთი თქმისა, ანგურას ყველა ლექსს სულ სხვადასხვა თავისი სურნელი და ხიბლი ახლავს. მაგალითად ლექსს „სულიერი გარინდება მესტუმრა“, აქ ისეთი ჯადოსნული, ცინცხალი, საჭაშნიკო რითმებია, არ წაკითხულ სმენილი, უხედნი და უხები როგორიცა: ფრინველი პირველი, ზეცისა ქვებისა, უცდიდა ფურჩნიდა, მძინარე მდინარე, მორთული კოლხური, ძახილი გახრილი, მოდგმისა ფლოქვისა და აი ლექსის ღვთიური დასასრულიც: / ზეციურში უკვდავება ლივლივებს, / თვალღიებში შრომობს ბზუის ფუტკარი, / სადღაც ტყეში შვების წყარო ლიკლიკებს / და სულიერს ეს ზღაპარი ვუთხარი. /

ბატონო გურამ! მე ის სულიერი გახლავართ, რომ მოგისმინეთ და რომ ფუტკარი ისე მომენიშნა: „თუმცა სუყველა ბზუისო“ დანარჩენი მოგეხსენებათ... თქვენი უკვდავება კი, მარტო ზეცაში კი არა, მთელ სამყაროში ლიკლიკებს.

რაც მეტია შემეცნებითი საზღვრები, მით მეტია თეოლოგიურ ესკალაციურ, ლექსთა ტკბობა, რომელთა რიცხვსაც მიეკუთნება: „ტბა ზამბახთა ლოდინის“, „მე ოცნებაში ბაბილონის კოშკი ავაგე“, „ბინდი დასწოლია მთებს“, „შიშველი მარტი“ „სამი დღით ადრე იწყებოდა ქეიფი“, „გასეირნება პლანეტა მარსზე“ და სხვა.

ერთხელ ჩვენს აკადემიაში სათანადო ლიტერატურას ვეძებდი. იქ იყვნენ ციცინო ჩხაიძე, ბატონი გურამი და სხვები, რომლებიც სამეცნიერო თემაზე საუბრობდნენ და ჩემს იქ ყოფნას ვერც ამჩნევდნენ, ბატონი გურამის წაბრძანების შემდეგ ციცინო ჩხაიძემ თავისთვის ჩაილიპარაკა: ნეტა შემეძლოს მის ნაცვლად ზეცაში მე წავიდე, რომ მან აქ სამეცნიერო მოღვაწეობა განაგრძოსო. გულში ჩამწვდა ეს დაუვიწყარი სიტყვები.

პოეზიაში მსგავსი ჩუქურთმოვან, ღრმა ბრძნულ, ოქროვარაყიანი თუნდაც ასეთ აზრ შიდა რითმ ზუსტ დაკალაპოტება, ასეთი საოცარი ჟანრი როგორიც ბატონი გურამის სალექსო ბერკეტია, მსოფლიო არცერთი ქვეყნის, არცერთი ენის პოეზიას არ გაჩნია არანაირ მარცვალსტროფიან სასიტყვეთში, სწორედ ამიტომ ვითარც მიწა და მამული ასე საშურველია ერში ასეთი დიდკაცის ყოლა.

ქართველებს კალასიკური დონის, საბავშვო ლექსსაც რომ წერდა მხოლოდ გენია ნოდარ დუმბაძე გვყავდა. ბატონი გურამი აღწერილ დიდებასთან ერთად, ყველაზე რთულად მენტალურ საწერ – საბავშო ლექსის დიდოსტატიცაა, გენიალური შტრიხებით მხატვარი რაც ფენომენობის სატყვისია.

სწორედ ამიტომ, ოქროს გვირგვინიც მემცირება მის შესამკობლად. შესაბამისად, შეიძლება ნამდვილად არ წამეშალა ვინმესთვის, ვარსკვლავი ვისთვისაც გაუხსნიათ, მაგრამ რომ ძალმიძდეს ერთად არებულ ყველა მათგანის ტოლ ვარსკვლავს კი ნამდვილად გავუხსნიდი პოეზიაში ფურორის მოხდენისთვის კოლორიტ ბატონ გურამ გედევანიშვილს.

დასასრულ კი მოკრძალებით მცირე სათქმელიან ლექსს ვუძღვნი, ერთი წამის ჩამუხვლით, საუკუნოდ დიდებასთან დარჩენილ, გენიოს, პოეზიის კორიფეს, მცხოვან პოეტს ბატონ გურამ გედევანიშვილს:

ჩაწახნაგებულ სასიტყვეთი იმად შეძელით,
რომ შეგაძრწოლათ აწმყომა თუ ქართვლის ვაებამ,
თქვენ უკვდავება დაიმკვიდრეთ თვითეულ ლექსით
ნიჭიერება რომ მოგმადლათ დიდმა ღვთაებამ.
სწორედ ამიტომ ამ საწუთროს მარად შვენოდეთ
ცისკროვან ლექსით ეპაექროთ მზეს ამომავალს,
რომ კვლავ გეღვაწოთ ისევ ბრძნულად, ვითარცა დღემდე,
რომ აუმაღლოთ ცოდნის თაღი ქართვლის მომავალს.

ვარაყნაჰკურ ბარხაცხიცყვოსანი

პროფესორ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ ტიტე მოსიას კალამს, მხოლოდ სრულიად საქართველოს კი არა, მის ფარგლებს გარეთაც იცნობენ. რაოდენადაც მის გამაოგნებელ, გამომგონებლურ რებუსმოცულ შემოქმედებით კალამს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მიეკუთვნება.

ასეთ მრავალ ტიტულოვან, უგონიერეს ავტორისთვის, მწერლობა იქნებ დიდ გასაკვირი არცაა, მაგრამ ის კი უკომპრომისო გამოსაკვეთია, რომ მის ნაღვაწს პროზაულიც და პოეტური ქმნილებებიც თანაბარ დონით ამდიდრებენ. ის რაც ითქმებოდა განსაკუთრებულ მიზერულ ერთეულებზე: ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე.

ბატონი ტიტეს ესოდენ საკვირველ მსოფლმხედველურ ნატიფ პოეზიის ცაფირონს, ეგზომ საინტერესო ხიბლს ჰმატებს ბრძნულ სათქმელიანი ლექსები, როგორიცაა: „ჟამი ტაძრის ნანგრევზე“, „მთვარის პირას“, „ისე ტიროდა“, „ფრაგმენტი სოხუმური დღიურიდან“, „ვალი“, „ასლი“, „მტკვარი“, „ეპისკოპოსი ჰენჯო“ და ვინ მოთვლის ასეთ მრავალთ, რომელთა სათაურნიც ტექსტ გაუცნობლად თითქმის რომ საზღვრავენ მათ ფაბულათა სამეცნიერო განზომილებას.

ასეთ განზოგადებას ეკუთვნის აგრეთვე მეცნიერული წერილნიც: „ციური იუანის მეუფენი“, „ბაგრატ შინქუბას მუჰაჯირული იავნანა“, „სულიწმიდის მიწიერი გამოცხადება“, „ეროვნული დიდხასიათობის პიროვნული გამოვლინება“, „ვეფხისტყაოსნის თარიღისათვის“, „ივანე გეგიას ვოდევილი: „სიყვარულის მონა“, „ბიბლიის ავტორები ქართულ ჰაგიოგრაფიაში“, „ბო ძიუ-ის გაზაფხულის სიცილი“, „უძველესი იაპონური პოეზიის მარგალიტები“, „გიორგი შერვაშიძის „გიორგი მესამის“ ზოგიერთი მცნების ინტერპრეტაციისთვის“, „ფედერიკო გარსიას ლორკა და მისი კანტე ხონდო“, და ვინ მოთვლის სხვა მრავალთ, რომელთა ლიტერატურული ეკვილიბრისტიკა ენიგმატიკურია იმისი, რაცაა მეცნიერება.

აქ კორექტულ, წრფელ სათქმელი ერთად-ერთია: ბატონი ტიტეს სამეცნიერო საკვლევ ნაშრომთა ატმოსფეროში განსაკუთრებულად კი არა, რიგითად შესულიც კი მისი რიტორიკიდან ცოდნა ამაღლებული გამოდის, როგორც მსიფლიო დონის უნივერსიტეტებიდან ფაქტ დიპლომირებულნი.

დიდ სურვილცდომაა ალბათ მცირედით დიდი კალმის წონადობის ზღვრა, რაც ეგზომ რამის უსაბამოცაა, მაგრამ მაინც გავბედავ თქმას, ბატონი ტიტეს ბოლო ჟამინდელი ლექსებიდან ერთ-ერთი ფასდაუდებელი, განსაკუთრებით ელეგანტურ მტკივნეულ-ღირებული ლექსია „ბეჟან ხარაიშვილის ხატება“. რომელსაც მხოლოდ მოჭარბებულ მგრძნობელობის კი არა, ვერც ერთი მკითხველი გულგრილად რომ ვერ წაიკითხვას, რამე თუ, სალექსოდ ორიენტირებულია დიფერენცირებული, კაც-პოეტურ დამფასებლური საპატიო თემა.

დოქტორის, განსაკუთრებულ მოაზროვნის, მრავალ საზოგადოდ ცნობილ ლექსთა შორის წონადობით, ბუნებრივია ურთიერთ მიმართებაში მრავლის თვალისთვის რთულ შესამჩნევი მეტ-ნაკლებობა არსებობს, მაგრამ მოცემულ ლექსში დიდ წონადობას თემის შესაბამისობა განსაზღვრავს, რაოდენადაც იგი გენიალური პოეტის, სტრიქონიდან სტრიქონში ლაღად მოაზროვნის, პოეტ ბეჟან ხარაიშვილის გახსენებას ეკუთვნის, პოემის მაგვარ, ერთი ამოსუნთქვით სევდიან სიმღერად ამოფეთქილ ლექსში.

წუთისოფლის უკომპრომისო დოგმაა, ვერავინ დაიკვეხის მომდევნო წუთის კი არა, წამის შედეგის არეალის განსაზღვრას კატაკლიზმათა გათვალისწინებითაც კი. ასეთია ამ ლექსის თემის ანუ სუბიექტის უიღბლო ბედისწერა, რომლის უდიადეს მსოფლმხედველობას, უძირო პოეტურ შესაძლებლობას, მჩქეფარე ახალგაზრდულ გულისცემას მოულოდნელად სწორედ ერთ წამში წერტილი რომ დაესვა. რაც დიდმა მოსიამ პროზაიკოს ნიკა აგიაშვილის მაგვარად: „ ჭაბუკები დარჩნენ მარად“, ლექსად აღწერა ახალგაზრდადვე დარჩენილ, სამშობლოს, მეგობართა და პოეზიის თაყვანმცემ ბეჟანზე. პირველსავე სტროფში მშობლიური მთის სახელით ტკივილიან აკორდად რომ მიმართავს: / ხვანის მთაზე დარჩენილო ნისლო. /

თუმცა არც ისაა გასაკვირი ბრძნულ სიტყვამწვდომ, ავტორისაგან, მეცნიერულ აზროვნებით ბეჟანის კოლორიტ ლექსსასიტყვეთით უაღრეს პროფესიონალურად რომ კინძავს თავისსავე

სტრიქონების სიტყვათა საატრიბუტო უძირო მარაგს ისე, რომ გაცნობილიც რომ არ გქონდეს ბეჟანის შემოქმედება, მიხვდები კალამრჩეული ავტორი როგორ და რატომ იყენებს სუბიექტისავე ნახსენებ ფავორიტ სიტყვებს: / ხვანის მთიდან გადომოსული მთვარე, / სიმინდებში ჩანამგლულა ხვნეშით. / შემდგომ კი მანამდის სალექსო ფარდაჩამოფარებულის ნათელფენა, რომ იგი პოეტი-სადმია მიძღვნილი: / შენი ლექსის ყვავილებით რთავენ, ჩვენი სულის კარმიდამოს ეშხით. /

რადგან ვერაფრით გვერდს ვერ აუვლის და ვერც შეალამაზებს, ავტორი საწუთროს მაღალ-მგრძნობელობის მწარე რეალობას, ასე გადმოსცემს გულის შემძვრელად დანით განგმირულზე პოეტური შტრიხით თუ ლესილი დანა როგორ ეღერებოდა ბეჟანს. (ის, რაც კონსტანტინე გამსა-ხურდიასაც აქვს აღწერილი „დიდოსტატის მარჯვენაში“, თუ რას უქადის ქართველი ქართველს როცა ერში დიდი კაცი გამოერევა. ან გნებავთ, თავად ბეჟანის ნაწინასწარმეტყველარ სტრიქო-ნებში რომ ვკითხულობთ იგივე აზრს: „და მერე იქნებ, ვინმე მადლიანმა, / მოგვთხოვოს სული იაკობივით.. / და მოგვჭრას მარჯვენა, / გაღმა-გამოღმა ნაშენები კედლებისათვის“. /) : / საწუთ-რომან ურო გირტყა გჟეჟა / გიღირებდა ცხვირწინ დანას ლესილს, / შემდგომ კი ვერ იმეტებს რა დიდ პოეტს სიკვდილისთვის სახელით და ლექსით ალეგორიულ დაბრუნებულად რაცხავს: / საი-ქიოს კი არ დარჩი ბეჟან, / დაგვიბრუნდი სახელით და ლექსით. / დოქტორის პოეტურ-უზენაე-სობა ფაქტია, მაგრამ „გაგონილს ნანახი სჯობიაო“, და გავიმეორებ, ბეჟანის ლექსებში ნახსენებ გამოწრთობილ სიტყვათა ბერკეტს ხევსურეთს, ფშავეთს თუ თუშეთს, როგორ განსაკუთრებულ დიდოსტატურად კვლავ უკვდავყოფს მომდევნო სტროფში: / ახლა ხშირად ენატრები თბილისს, / ხევსურეთსა ფშავეთსა თუ თუშეთს, / და ხიბლ, რითმ, სხივფენილი სტრიქონნიც: / მზე აცხუ-ნებს შენი მუზის ივნისს, / სხივებს გვაფენს გაუხუნარს უშრეტს. /

უცნობილესი, ერის საყვარელ სასიქადულო პოეტი, ბატონი ერეკლე საღლიანი, ხშირად საუბ-რობს და წერს თანატოლ, თანამოკლმე, თანაკურსელ ბეჟანის მეგობრობაზე, რაზეც შანსს არ უშვებს გამოცდილი, მახვილკალმოსანი ავტორი და ამ საამაყო ყოფაზე სტრიქონცხატვას აგრძე-ლებს: / ხდის ხეობამ გაგატანა ჩანთით, / უკაცრიელ ადგილების სევდა, / სვანეთში კი რა ამაყი ჩანდი, / ჩვენს ერეკლე საღლიანთან ეთად. /

ბეწინას წისქვილი, კოდის წყალი, სიყვარული იწყებოდა ასე, ეს ბეჟანის სამუდამოდ შეწყვე-ტილი შემოქმედების გამოყენებულ სასიტყვეთია, რასაც ავტორი ამრიგად ადიადებს: / ესიზმრება კვლავ ბეწინას წისქვილს, / კოდის წყალთან ხურჯინს ლექსით ავსებს, / სამშობლოა მწვანე ხეთა იქით, / პოეზია იწყებოდა ასე. /

ქართულში კი არა მსოფლიოში არ მეგულება პოეტი რომელსაც მეორე პოეტის სიტყვები სა-ატრიბუტოდ ასე ზომიერ, გონიერ, განზომილებად, სრულიად აზრ-კორექტულად გამოეყენები-ნოს, რადგანაც მას ჯერ მიგნება, მერე შესწავლა და შემდგომ გამოყენების უზუსტესი ლექსური ტექნიკა სჭირდება.

დოქტორისთვის შეიძლება არაა რთულ-საწერი, მაგრამ მაინცაა ძირეული აღსანიშვნელი თუ როგორ აბურთავებ-აგორავებინებს ჩაძირულ მთვარეს ძირულას ტალღას, თანაც გაზაფხულის დარების შაირ სიტყვით. თან ბეჟანის სულს ცისკენ როგორ ზეაღმატებულად აყვანინებს გაზაფ-ხულს: ძირულაში ჩაძირულა მთვარე, / აგორავებს, აბურთავებს ტალღა, / შაირსიტყვა გაზაფხუ-ლის დარებს, / შენი სული ცისკენ მიჰყავთ მაღლა. /

ყოველგვარ მტკივნეული, პირდაპირ თუ გამოყენებულ ალეგელიურ გრძნობათა შეფარდებით, მშობლიურ პოეზიაში, მიძღვნილთა შორის უნიკალურ შეძლების კი არა, შეუძლებლის გვარად შექმნილ ლექსში ავტორი ახერხებს ვერა დროის გასვლით დაუვიწყარ ბეჟანის გულამაჩუყებლად პოეზიის სიმაღლეზე აფრენილ არწივად დატოვებას და თან, მასვე ქვეყნის დამშინებელ, დაუნ-დობ სიკვდილის ალეგორიულ სულის ამომხდელად რაცხავს: / სულს ამოხდი სიკვდილსავე დღე-ჟამს, / სიტყვამ კაფა მისი ღრუბლის ჩვრები, / პოეზიის სიმაღლეზე ბეჟან / აფრენილი არწივი-ვით რჩები. /

იგივე, უმაღლეს კლასიკური ავტორობა ვლინდება ბატონი ტიტესგან, გამოხრული გულის თუ, საღალატო ალეგორიული ვარდის შმორად ნაქცევის სუნის პირად სტროფად გამოყენება: / საქართველოს გამოხრული გული, / და ნაყნოსი შმორად ვარდის სუნი.. / საყდრის თავზე ყო-რანთ გროვა კრულის, / გულის ლეშვა წიოკობა სულის. /

შემდგომ საწერით კი არა, მხატვრის ფუნჯით შესრულებული ფერწერაა. თანაც ფიზიკური თვალნანახის კი არა, ბეჟანის ცოცხლად დარჩენილი სულის გამომსახველობაზე რომაა აქცენტირებული, რომელშიც ავტორის რწმენით აქ მარტოდ დარჩენილთა გამო საფლავშიც რომ ვერ ისვენებს და იქ ყოფნას ბრძოლის ველზე მოცდად რომ უიგივებს: / საფლავშიაც არ გასვენებს ვიცი / სიკვდილის წინ როგორ დავრჩით მარტო, / საქართველოს ბრძოლის ველზე გვიცდი. / და ბეჟანის დამსახურებულ ლექსთა გამო მის ყოველივეზე გამარჯვებულის კვარცხლბეკზე აყვანა: / ვინ დაჯაბნის შენი ლექსის პატრონს. /

პოეზიის საუფლოში, მიძღვნილი ლექსი ერთ-ერთი თავისებური რთულ საწერ, საზუსტო საშრომია. მითუმეტეს როცა ლექსის საწერი დროის ჩართულ წამზომში მინიმალური უზუსტობა პოეზიის უკომპრომისო კანონით, (თუმცა ოქროს წესით,) გამორიცხულია და ამ კონკრეტულ ასპექტში რთულად წერა კი არ ვლინდება, რთული, ანუ მტკივნეული თემის ლაღად ამოკვნესაა უფრო.

როგორც მთლიანი ლექსი, ასევე განსაკუთრებულია მისი ბოლო სტროფიც. ლექსისა, რომელიც ამ საუკუნის მეთვრამეტე ათ მარტს შეიქმნა, ისტორიული ცამეტ სტროფა, რომლის სუბიექტის ბიუსტი მისივე მშობლიური სკოლის ეზოს მშვენებაა და რომელ სავალალო ფატალური შემთხვევიდან ოცდათორმეტი წელია გასული და ამიტომაა ბეჟან ხარაიშვილის მოგონება და მისი აღზევება საინტერესო, რომ იგი თავად ცნობად პრაგმატულ ტიტე მოსიასგანაა.

თუმცა სათქმელია, ბეჟანის უკვდავება გახსენებაზე ათასობით ლექსია დაწერილი. ამათგან ამჯერად მხოლოდ ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ცრემლნაპკურ ლექსიდან მოვიყვან მაგალითად ერთ-ერთ სტროფს: / ლექსით უმღერდი სამშობლოს ზეცას, / შენი სიტყვები მტერს მოთოკავენ, / იმ გზას შენს გავლილს დრო ვერ დაკეცავს, / რადგან ლექსს მაინც ხომ ვერ მოკლავენ./

პროფესორის ტრიუმფალური ლექსი, ტრიუმფალური ლოგიკურ-თანაფარდობით სრულდება, რომელიც ერთი წაკითხვის თანავე ზეპირად გახსოვდება, რაც ლექსწერის კლასიკურობის უპირველესი ნიშანსვეტია, სტროფი რომელიც ავტორის უმაღლესი გონის, გენიალობის მადასტურებელია, რაოდენადაც სალექსო მხატვრული სიტყვის უზენაესი მისია სრულკლასიკურად შესრულებულია და რაც დამაჯერებლობას, თვითმყოფადობას, სიამაყეს მატებს თავად მკითხველსაც კი, რომ ქართულ მიწას ასეთი ცნობადები ჰყავდნენ. მათს უმრავლესობათა ადეკვატური მისამართი გვარის გარეშე მარტო სახელით ან პირიქით, მარტო გვარით ან ფსევდონიმით რომ მიიგნება: ვაჟა, მირზა, ბეჟანა, ანა, ლადო, მუხრანი, გრანელი და ეს ქართული ერის სიმდიდრე, აუწონავი სახელები, ერთ ლექსის ვარსკვლავივით მანათობელ სტროფში რომაა „ჩანამგლული“, რომელიც ავტორის თქმით აღნიშნულთა სულის დასაცავად ლექს მეომრებად რომ დგანან. ლექსზე ისტორიაში რა არ თქმულა მის უკიდეგანო პოეზიის ცაფირონზე, მაგრამ მათზე მეომრად დგომა არ ყოფილა სმენილი. ამჯერად საერთოდ ლექსის და განსაკუთრებით ამ სტროფის დაკვესება იმ სამრეკლოს ზარის ჩამორეკვაა, რომელიც საუკუნეებს ლექს გვირგვინად გასწვდება და ამადაც ყურადსაღებია, თან ბეჟანს ცოცხალივით რომ ებაასება: / გიხმობს ვაჟას, მირზას, ლადოს სული, / გრანელი თუ მუხრანი და ანა, / ჩვენი სულის დასაცავად ბეჟან / ეს ლექსები მეომრებად დგანან./

პოეზია რუბიკის კუბიკივითაა, რომლის კუბიკები ქართულ ღრმა სასიტყვეთის რითმად აძერწვაა. ბატონ ტიტეს ასე კუბიკებივით ყოველი წახნაგიდან ზუსტ აძერწილი, ფოლადნაწრთობი, საისტორიო, კაცგულიდან ამოგვირისტებული ლექსი, პირველიდან ბოლო ბგერამდის ღმა დიაპაზონიან, მოკლე წუთისოფლიან, პოეტ ბეჟანის სახელის, ქვეყნად სანთლად ანთების, უკვდავ, სახსოვარ საგალობლადაა ამობრწყენილი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის, ქართვლის მომავლის არგუმენტირებული დამკვალიანებლის, ბატონი ტიტეს სახელი, მიმდინარე საუკუნის განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში, მშობლიური დიდი ქართული კულტურის, საამაყო ნათელი სახეა. სახე რომელიც შეუფასებელ წიგნს პირად სიცოცხლეზე მაღლა აყენებს: / კომპიუტერი შეცვლისო ვითომ, / წიგნებს, ხმა ისმის ბოდვათა დარი, უმჯობესია ჩვენ მოვკვდეთ თვითონ, / ვიდრე წიგნები გვენახოს მკვდარი./

ამჯერად კი ჩემს ლექსს მოვიყვან მაგალითად ბეჟანისადმი მიძღვნილი ლექსებიდან აქროსტიქით დაწერილს, რომლის სტრიქონთა თავკიდურ ასოებში იკითხება: „ბეჟან ხარაიშვილს“ და რომელიც გამოქვეყნებულია წიგნში „ ხვედრი პოეტთა“: / ბ-ედი რომელიც გერგო წილხვედრად /

ე-ს შენს ლექსებში როგორც მისანი, / ჟ-ინი რომ ჰქონდათ შენდამი მტრული, / ა-სე წინასწარ გამოიცანი. / ნ-ეტა „ქვეყანა რომ ნაცვალე“ / ხ-ან სტროფნი თავად ვარამს რომ სვავმდნენ, / ა-რ დაგიფასეს მათთვის „კვდებოდი“ / რ-ომ გაგინეს და დანას ლესავდნენ, / ა-ლბათ ნაკვალევს როგორც ირმისას, / ი-სე მისდევდი სატრფოს ხმას შორით, / შ-ენი კვალიც ხომ იმავ წამს ქრება, / ვ-არდის სუნში რომ იყნოსე „შმორის“, / ი-სევ შეგხარით „წითელ მიმინოს“, / ლ-ეგენდა სტროფნიც ხომ ჩემ წინა ძევს.. / ს-ტრიქონებს ბედს რომ წინასწარ მიხვდი / მ-ისხალ / მისხალ ვხსნით ვით ნაანდერძევს/..

P.S.

მიუხედავად იმისა ვიცოდი ბატონი ტიტეს სამეცნიერო წერილის შესახებ, სათაურით: „ბეჟან ხარაიშვილის პოეზია“ გატაცებული ვიყავი რა ზემოაღნიშნული ლექსაზრწვდომით, ვერ მოხერხდა მისი დროული გაცნობა.

შემდგომ კი, ლიტერატურულ ღალატად ჩავთვალე მის წაკითხვამდე გამოტოვებული თითოეული წუთიც და წამიც.

პოეზია პროზაზე მეტად რომ მაამებს გავამხელ და პირველად ჩემს ლიტერატურულ ცხოვრებაში წერილის პირველივე ფურცლის გაცნობისთანავე წინასწარ გადავითვალე გვერდთა რაოდენობა, რომ ასეთი ალტრუიზმით შესრულებული ნაშრომი მალე არ დასრულებულიყო. რადგან მსოფლიო ლიტერატურის მცნობელს ასეთი პოქთოგრაფიული არარა ქონდა წაიკიტხულ-სმენილი. რის ციტაციასაც არ ვაპირებ და უწვდომ სასიტყვეთის ალტაზიმუტის კვალიფიციურად კი არა, მამაპაპურ, სარწმუნო სიღრმისეულ ადათისა და წესის შემოფარგვლით მივმართავ: ბატონ ტიტეს!

დაგელოცოთ კალამი, რითაც ეს წერილი შექმენით რაოდენადაც ამ მგოსნურ, ვარაყნაპკურ ბარხატსიტყვოსან ნაშრომით, თქვენ შექმენით კიდევ ერთი მშვენიერ, ქართულ, პროზაულ-მეცნიერული საერო წმინდა ტაძარი.

დასასრულ კი, ბატონ ტიტესადმი მიძღვნილ, ამ მცირე ლექსს წარმოვაჩენ:

მშვიდი აურით იპყრობთ საწიერს
ივერთა ენის ექსპერტ-ბატონო!
სასიქადულო ერის კაცი ხართ!
სატიტულეთის, მბოჭავ-პატრონო!
მეცნიერული ბრძნულ კალმოსნობით
ხსნით სასიტყვეთის ქარაგმ-არაკებს,
თქვენი ნაშრომის ღრმა რიტორიკით
მალე მსოფლიოს ალაპარაკებთ.

Lali Ratiani
Professor, Doctor deutscher Philologie
Suchumer Staatlichen Universität

LEXIKALISCH-SEMANTISCHES PARADIGMA UND KONTEXT

Ausgehend von der Spezifik des lexikalisch-semantischen Paradigmas, kann die Antonymie im Kontext zusätzliche Bedeutungen gewinnen. Antonymischer Kontext solcher Art wird im Artikel als eine lexikalische Umgebung des Wortes und eine Distribution gezeigt. Der antonymischer Kontext bestimmt nicht so selten die Gegenüberstellung solcher zwei Einheiten auf der syntagmatischen Ebene, die auf der paradygmatischen Ebene als Antonymie nicht betrachtet werden können.

Man stimmt einer Meinung davon bei, die Antonymie als unzertrennlicher Teil der Sprache anzuerkennen. Die Wissenschaftler heben die mit dem Erlernen dieses Phänomens verbundene Schwierikgkeiten hervor. Die Antonymie als Eigentum der Sprachlexik ist ein Untersuchungsgegenstand der Semasioligie. Die semasiologische Forschung ist aber von einem subjektiven, intuitiven Moment weniger gesichert, wodurch nicht so sellten der durch die Untersuchung ergebene nicht objektive Charakter der Schlussfolgerungen bedingt ist, was die Antonymieforschung auch angeht.

In der Sprachwissenschaft domminiert solch eine Meinung, daβ es in nirgend einer sprachlichen Erscheinung die logischen und lexikalischen Kategorien miteinander so sehr verflochten sind, wie es im Falle der Antonymie ist. Eben darin besteht der Grund, dass ein Teil von den Forschern es zweckmässig hält, die Antonymie im Rahmen der Lexikologie, der andere Teil, aber sie als die Zugehörigkeit der Psycholinguistik zu behandeln. Dieser Standpunkt nimmt man nicht als völlig korrekt an. Als Grundlage der Gegenüberstellung der Glieder des antonymischen Paares soll nicht nur eine Sprach-, sondern auch eine Redeeinheit dargestellt werden. Ausgehend davon wird die Antonymie in der vorgelegten Forschung als ein sprachliches Phänomen bestimmt, das auf der Sprachebene realisiert wird. Was es aber die Antonymie anbetrifft, die man durch Winken der Psycholinguistik behandelt, wird sie auf der Textebene realisiert werden und ihr eine stilische Färbung gegeben haben. In solchem Masse ist es möglich, sie als Kategorie der Psycholinguistik darzustellen. Lexikologische Forschung beruht sich sowohl auf die aktiven synchcronischen Verbindungen der Lexemen, als auch auf die Relationen dieser Verbindungen mit der Wortblidung und der grammatischen Natur der gegenüberzustellenden sprachlichen Elementen. Öfter wird die Notwendigkeit des Wexels/der Versetzung der Mitglieder des antonymischen Paares bedingt. Auf Grundlage der im Kontext gewonnener Meinung wird dem auf paradigmatischer Ebene fixierten antonymischen Paar zusätzlich die durch den syntagmatischen Schnitt bedingte antonymische Relationen ausgesucht. Der Basis solcher Relationen stellt die Distribution des konkreten Wortes dar, der die lexikalische Ergänzung des antonymischen Paares präzisiert, genauer formuliert und eine Möglichkeit gibt, die Antonymie, als psycho-linguistisches Phänomen, ihr Verhalten zu den Einheiten der identischen Ebenen:Synonymie, Antithese und Enantyosemie zu zeigen. Der Kontext solcher Art wird als “antonymischer Kontext”benannt werden

Der antonymische Kontext wird im Artikel als eine lexikalische Umgebung des Wortes, eine Distribution gezeigt, die nicht so selten die Gegenüberstellung solcher zwei Einheiten auf der syntagmatischen Ebene bestimmt, die auf der paradigmatischen Ebene als Antonyme nicht betrachtet werden können. Als Fundament der Gegenüberstelung ist wesentlich, eine Erscheinung subjektiv wahrzunehmen, subjektive Kriterien einzuschätzen, die Pragmatität und die verschiedenen stilischen Ausdrucksmittel des Aufgefassten anzusehen. Die Klassifikation der lexikalischen Antonymie ist in der modernen Linguistik auf Grundlage verschiedener Merkmale verwirklicht. Sie stützt sich zwischen den morphologischen und semantischen Aspekte auf das Prinzip des Paralelismus _antonymische Relationen werden nur im Rahmen eines bestimmten Redeteiles zwischen den lexikalischen Einheiten mit gegenübergesetzten Bedeutung befestigt. Obgleich dieses Prinzip nach der Meinung der Forscher als vollständig nicht betrachtet werden kann, soll es ebenso verfeinert werden. Als Basis der abgesonderten Gegenüberstellung aller Art soll die Semantik betrachtet werden. Die Klassifikation einer Reihe der Antonyme _stützt sich auf die Struktur in unmittelbaren Verbindung mit der Semantik.

In den Arbeiten, die den antonymischen Problematik gewidmet sind, werden hauptsächlich identische-gleichstämmige Antonyme, differenzielle /verschiedenstämmige Antonyme abgeteilt. Zu den

gleichstämmigen Antonymen wird eine Klassifikation verwendet, die sich auf die im Rahmen der Antonymie wirkende wortbildende Typen stützt. Man unterscheidet einerseits, die auf die identischen Stämme durch das Hinzufügen der Affixen gebildete Antonyme und die Antonyme, derer strukturellen Bestand durch verschiedene Stämme und negierende Affixen dargestellt wird. Zufolge der Angaben der existierenden Forschungen, die der Beschreibung der strukturel-lsemantischen Typen der Antonymie gewidmet sind, können die Wege der Lösung der Antonymieprobleme abgetrennt, die Voraussetzungen der Untersuchung festgestellt und ihre vermutliche Folgen durchgedacht werden. Für die Forschung ist es vorallerdings nötig: die lexikonischen und kontextuellen Angaben der Untersuchungseinheit, sowohl einzeln genommene lexikonische als auch im Kontext realisierte Bedeutungen zu beherrschen. Hier wird auch der Moment der Gegenüberstellung auf Grundlage ihrer okkasionellen Bedeutungen in Betracht genommen. Die wortbildenden Modelle/einstämmige, einfache und mehrstämmige abgeleitete präfixal-suffixale Wörter/ zu präzisieren, in dennen die Opposition sowohl durch einstämmige, primitive, als auch mehrstämmige, abgeleitete Lexeme, präfixal-suffixale Wörter erzeugt werden. Die qualitativen, positiven und negativen Merkmale, Anzeiger auszusondern.Die Verbreitung des Potenzials der gegenübergestellten Einheiten festzustellen, auf welcher Grundlage ein-und mehrdimensionale Oppositionen abgetrennt werden.Die logischen Relationen zu konkretisiren, die funktionallen, semantischen, wortbildenden, grammatischen Marker, Anzeiger zu berücksichtigen.Spezifik der antonymischen Relationen in den Antithesen und Enantyosemien zu konkretisieren. Auf Grund der Analyse der semantischen Gegenüberstellung und Invariantität folgende strukturelle Typen der Antonymie / konträre, kontradiktorische, conversionelle, komplementäre Antonymie/ festzustellen.Der Grundstein der Antonymiefeststellung bilden eben die semasiologischen Eigentümlichkeiten der sprachlichen Elementen mit maximaler Präzisierung Als wahres Mittel der Aufzählung dieser Eigentümlich-keiten soll das entsprechende Lexikon anerkannt werden. Das Lexikon der antonymischen Einheiten wird richtig als Bereicherungsgarantie des Sprachewortschatzes und ihrer bewussten Beherrschung betrachtet.

Aufgrund der Organisierung der Prinzipien des empirischen Stoffes und der Srtukturierungsanalyse einzelner lexikonischen Artikel wird in der Arbeit das unterschiedliche Typ des antonymischen Lexikons, der Versuch der Feststellung des Musters seines einzelnen lexikonischen Artikels gegeben. Es wurden solche unbestreittbare Bedingungen formiert, derer Verteidigung obligatorisch ist, lexikographische Arbeit solcher Art zu bilden. Bei der Fixierung der oppositionellen Wörter soll allerdings usuell-lexikonische Bedeutung dieser Einheiten in Betracht genommen werden. Mit Hilfe diesen Einheiten sollen sie zu den antonymischen Paaren formuliert, die Objektivität der Gegenüberstellung der semantischen Strukturen der oppositionellen Einheiten durch Vergleichung und die Präzisierung ihres semischen Bestandes überprüft werden. In der Arbeit ist die Idee über die Bildung des antonymischen Wörterbuches “unterschiedlicher Art~ und die Vervollständigung der lexikonischen Artikel traditionellen Typs entwickelt. Unter dem Wörterbuch“unterschiedlicher Art”wird die Anordnung der antonymischen Einheiten nicht nur nach dem formellen Merkmal- der Alphabenordnung, sondern auch ihrer Systematisierung nach auf Basis der formell-semantischen Kennziffer gemeint: die Antonymie wird vor allem im Rahmen einzelner Redeteile auf Grund der verallgemeinerten semantischen Gruppen, nach der Alphabetenordnung fixiert. Es ist obligatorisch, für einzelne Bedeutungen oder semantische Varianten eine oppositionelle Einheit auszusuchen, im Falle wenn die Glieder des oppositionellen Paares durch die polysemantische oder durch die Einheiten mit der komplizierten semantischen Sruktur dargestellt sind.

Auβer der aufgezählten Momente ist es nötig, die distributionellen Eigentümlichkeiten der gegenübergestellten Einheiten zu verwenden. Unter Berücksichtigung der bezeichneten Momente ist in der Arbeit ein Musterstruktur des lexikonischen Artikels der antonymischen Paare dargelegt. Als Illustrationsstoff wurden die aus dem lexikalischen Wortschatz der deutschen Sprache auf Grundlage der usuellen Bedeutung gegenübergestellte Einheiten ausgewählt. Durch die Angaben der semantischen Strukturen wird die Grundlage der Gegenüberstellung der Glieder der antonymischen Paare im völligem Masse gezeigt. Ihre distributonellen Eigenartigkeiten, die Qualität Ihrer Antonymität können im lexikonischen Artikel semantisch auf folgende Weise dargestellt werden:

1.**absetzen**: etw.von einer gewohnten Stelle herunternehmen ≠ **aufsetzen**: etw. auf etw. setzen. z.B. J-m den Lorbeerkranz absetzen ≠ aufsetzen; **2**. **absetzen**: j-n ernennen, j-m ein Amt übertragen ≠ **einsetzen**: j-n seines Amtes entheben. z.B. die Regierung absetzen ≠ einsetzen; **3**. **absetzen**: etw. niedersetzen ≠ **aufheben**: etw. hochheben. z.B. Den Koffer absetzen ≠ aufheben; **4**. **absetzen**: nicht mehr verwenden, benutzen wollen ≠ **ansetzen**: etw. machen, verwenden wollen. z.B. Das Blasinstrument absetzen ≠ ansetzen; **5**. **absetzen**: sich entfernen, von etw abrücken ≠ **ansetzen**: sich annähren, etw(D)näher kommen. z.B. Sich vom Feind

absetzen ≠ ansetzen, sich dem Feind annähren; **6**. **absetzen**: etw streichen, Angekündigtes absagen ≠ **einschalten**: einschreiben.z.B. Einen Punkt von der Tagesordnung absetzen ≠ in die Tagesordnung einschalten; **7**. **absetzen** : J-n von etwas entwöhnen ≠ **anlegen**: j-n an j-n /etw an etw. legen. z.B. Das Kalb, Kind absetzen ≠ anlegen; **8**.**absetzen**: etw. abbrechen, nicht weitermachen ≠ **weiteführen**: etw. fortsetzen, weiterführen. z.B. Eine Therapie, Behandlung absetzen ≠ weiterführen; **9. absetzen** :Wertobjekte in grösseren Mengen verkaufen ≠ **ankaufen**: Wertobjekte in grösseren M engen kaufen. z.B. Aktion, Bilder, Getreide absetzen ≠ ankaufen ;**10**. **absetzen** : undeutlich werden, keine festumrissenden Konturen haben. ≠ **verschwimmen**: etw. deutlich von etw. anderem abheben. z.B. Die Farben sind voneinander abgesetzt ≠ miteinander verschwommen.

Den in der semantrischen Struktur des Verbs "**absetzen**~ fixierte zehn semantrische Varianten wurden im behandelten Fall eben so viele Varianten der semantischen Struktur des Verbs "**aufsetzen**~ gegenübergestellt. Derartige Gegenüberstellung deutet auf absolute Gegensäzlichkeit zwischen den beiden Einheiten. Die Antonymität analogischen Charakters kann auch bei den anderen Redeteilen ausgesondert werden.

Also, Der antonymische Kontext kann die Gegensätzlichkeit zwei lexikalische Einheiten auf der syntagmatischen Ebene bestimmen, die auf der paradygmatischen Ebene als Antonyme nicht behandelt werden können. In dem vorgelegten Arbeit haben wir uns von den lexikalisch-grammatischen Klassen der Verben auf die Analyse des einzelnen Musters der gegenübergestellten Einheiten beschränkt.

Um die Objektivitä der devinitiven Ergebnisse zu ermöglichen, wurde es zweckmässiger die Untersuchung neben der paradigmatischen Ebene mit den Angaben der syntagmatischen Ebene zu erweitern. Die Einschaltung der syntagmatischen Ebene in der Untersuchung ist wesentlich für die Realisation der Wortbedeutung durch die Relevantität ihrer Distribution, durch einen eingen und einen breiten Kontext bedingt.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Duden. Deutsches Universal Wörterbuch. A. Z. Dudenverlag Mannheim/ Wien/Zürich. 1983.**
2. **Görner H. Synonym-Wörterbuch. Leipzig. VEB. Bibliographisches Institut 1986.**
3. **Klappenbach R. Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache. Akademie Verlag. Berlin.1977**
4. **Wahrig G. Deutsches Wörterbuch. Mosaik. Verlag. GMBN. Lexikothek. 1980 .**
5. **З авъялова В.М. Антонимические отнашение в сфере однокорневых имен прилагателъны современного немецкого языка. АКД М. 1973.**
6. **Ярцева В.Н. Лингвистическии энциклопедический словаръ. М. 1990**

რატიანი ლალი

ლექსიკურ- სემანტიკური პარადიგმა და კონტექსტი

რეზიუმე

ლექსიკურ-სემანტიკური პარადიგმის სპეციფიკიდან გამომდინარე ანტონიმიას კონტექსტში შეუძლია შეიძინოს დამატებითი მნიშვნელობები. ამგვარი სახის ანტონიმიური კონტექსტი ნაშრომში განიხილება, როგორც ლექსემის ლიკსიკალური გარემოცვა და მისი დისტრიბუცია. ანტონიმიური კონტექსტი არც თუ ისე იშვიათად განსაზღვრავს ორი ისეთი ერთეულის დაპირისპირებას სინტაგმატიკურ დონეზე , რომელიც პარადიგმატიკურ დონეზე არც კი შეიძლება განიხილებოდეს ანტონიმებად.

Ratiani Lali

Lexical-semantic Paradigm and Context

Summary

Depending on the lexical-semantic paradigm specifics , antonymy is able to acquire additional meanings in the context. Such antonymic context is considered as a lexical entity of the lexem/ word and its distribuhtion. Antonymic contexts rarely define the confrontation of two groups as a syntactic level that cannot be considered as antonyms at the paradigmatic level.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ქართველები ირანში

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-27-ებში
და ანთოლოგიის მე-5,6 ტომებში)

ირანის გზამ დამიდაგა გული,
დამეხუთა ყაენთანაც სული.
ხალხური

1615 წელს ქართლში გ. სააკაძის დაბრუნების მიზეზები და მიზნები

ასეთი განხილვები ხომ გვეუბნებიან იმას, რომ სააკაძის თვით მიზანი არ არის ქართლის გამგებელი იყოს. მაგრამ, მეორე მხრივ, შევხედოთ მის პოზიციას, ქართლში წამოსვლის დიდი სურვილი აქვს და მტკიცე გადაწყვეტილებით ქართლში შემოდის, სადაც სამი წლის წინ სიკვდილს ძლივს გადაურჩა, ახლაც იგივე ელოდება, რაც ქაიხოსროსაგან სასიკვდილო გადაწყვეტილებით დადასტურდა.

გ. სააკაძე თავისი ნებით საქართველოდან რომ არ წავიდოდა, ამას განმარტება არ სჭირდება. ვინაც იგი სამშობლოდან გააძევეს, ამის გამო მათგან დიდი წუხილი და სინანული არასოდეს გამოჩენილა. მაგრამ სააკაძე დიდად სწუხს თავის ბედზე:

„სევდა მწვავს, გაცლა ქვეყნიდამ,
მით ვიყავ ცრემლთა მშრომელი.
სამკვიდროდან გაცლა ძნელია,
იყო დრო ჩემთვის სულ ულმობელი.“

რა განცდა თრთოდა მის სულიერ მდგომარეობაში, რის გამოც ასეთ რისკზე მოდიოდა, რა რწმენა ჰქონდა, რა აწუხებდა, რის სიყვარული ჰქონდა ასეთი, რომ ხიფათს არ ერიდებოდა. მარტო პირადი, საკუთარი, ფიზიკური მეს გამფრთხილებელი რომ ყოფილიყო, ასეთ სარისკო გზას დაადგებოდა? მით უმეტეს, ორივე მხრიდან სიკვდილი უთვალთვალებდა?

მაშასადამე, რაღაც იყო დიდი, ყველაფერზე აღმატებული, დროებით უხილავი, ბურუსით მოცული, მაგრამ მოძრაობაში მომყვანი მისი სულისა და გულისა, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია და მისი გადარჩენის აუცილებლობისათვის ფარული აჯანყება მოაწყოს. მისი გულის ხვაშიადის განდობა დიდებულთა ნაწილისათვის არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ შაჰ-აბასთან ფარული კავშირები აქვთ. მხოლოდ კონსპირაციული მოქმედებაა საჭირო გადამწყვეტ წუთამდე.

შაჰ-აბასთან სააკაძისაგან მხოლოდ დამაჯერებელი ნდობის მოსაპოვებელი საქციელია დასანახი, ძნელია, ძალზედ ძნელი, მაგრამ ძალზედ საჭირო. იმის გამო, რომ სამშობლოს მიწა-წყალს და გენეტიკურად არსებობის ადგილს ეხება და ესაჭიროება. ქვეყანა შველას ითხოვს, ყოფნა-არყოფნის პირსაა მისული, კახეთის ტრაგედია დიდი მაგალითია ქართული ცნობიერებისათვის, როგორ მოიძებნოს გადარჩენის გზა. ეს წესი ვინმემ უნდა აღასრულოს, დიდი მოსახდენი უნდა მოხდეს, და აკი მოხდა კიდევაც. ქეთევან დედოფლის მტკიცე სულმა შვება მისცა ქვეყანას, ტკივილები დაუამა, უდიდესი მსხვერპლია ამ მხრივ გაღებული, მაგრამ ქართულ სხეულზე მრავალი ჭრილობაა მიყენებული, ფიზიკურად გადარჩენა სჭირდება მას. ამაგიანი ხელის გამოღებით, მტერი უნდა მოისპოს, განადგურდეს. რომ მაოხარი ფეხი აღარ დაადგას ქართულ მიწაზე. ქართული მეობა თავის თავში ეძებს გადამრჩენი ძალების თავმოყრას. მტერი უშეღავათოა, მას მხოლოდ საპასუხო ადეკვატური ძალა თუ დაახევინებს უკან. წმინდანები საკუთარ თავს ვერ იცავენ, მაგრამ სულიერ სიმტკიცეს განსაზღვრავენ, როცა საქართველოს ფიზიკური გადარჩენა სჭირდებოდა, ვინ იყო ამ მისიის შემსრულებელი?

სწორედ აქ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სააკაძის გარშემო შექმნილ რთულ მოვლენებისადმი გათვალისწინებულ მის დიპლომატიას. მის ხასიათში იჯდა ძლიერი სამოკავშირეო გზების მოძებნის წესი, რომ საქართველოს მტრებს წინ აღსდგომოდა. ჩვენ გვექნება საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ ეძებს სააკაძე სამოკავშირეო გზას ოსმალეთთან ირანის წინააღმდეგ, ან თუნდაც იმერეთის მეფე გიორგი III-სთან, როცა სურს მისი შვილი ხვარამზე თავის შვილზე ავთანდილზე დააქორწინოს.

მაშ რა ხდება 1615 წლიდან 1620 წლამდის, ამ წლების მონაკვეთში, რას გვეუბნება სააკაძის პოზიცია ან მისი დიპლომატია. ამ წლებში სააკაძეს ქართლის გამგებლობა ან რომელიმე გამგებელთან თანაშემწეობა არცა სურს და არცა ხიბლავს. რატომ, რა არის ამის მიზეზი? სააკაძემ კარგად იცის, ქართლში მისი გამგებლობა, მისი სამტრო მხარისაგან აღიქმებოდა, როგორც ქართლის მეფობა. სწორედ ამას მოერიდა სააკაძე, რადგან მოძულე მხარესთან შერიგების გზა აქვს არჩეული, გამგებლობა გამაღიზიანებელი გახდებოდა იმის გამო, რომ ნაწილ დიდებულთან გამწვავებული მდგომარეობა უფრო არ გართულებულიყო. ქართლში ურთიერთსაპირისპირო ვითარება არასასურველი პირობა იქნებოდა აჯანყების სამზადისისათვის. აჯანყების წარმატებით დასრულებას კი ქართველი ხალხის ერთსულოვნება და მონოლითურობა განაპირობებდა.

1620 წელს შაჰ-აბასმა ქართლის გამგებლად სიმონ II დანიშნა, მის თანაშემწედ სააკაძე ჩანს. თავისთავად იბადება კითხვა – რახან სიმონ II-სთან თანაშემწეობაზე დათანხმდა სააკაძე შაჰ-აბასს, სააკაძეს რომ მოენდომებინა და შაჰის ურთიერთობა გამოეყენებინა, ფარსადან ციციშვილის თანაშემწეც გახდებოდა და ბაგრატ-მირზას თანაშემწეც.

ეს მდგომარეობა ასე აიხსნება: შაჰ-აბასმა, როცა სიმონ II ქართლის გამგებლად დანიშნა, მისი მოადგილეობა სააკაძეს ანდო, უნდა ვიფიქროთ, რომ შაჰი ფარსადანის თანაშემწეობასაც შესთავაზებდა და ბაგრატ-მირზას თანაშემწეობასაც. სააკაძისათვის მათთან თანაშემწეობა მიუღებელი იქნებოდა იმის გამო, რომ სამტრო მხარეს ილუზიები არ შექმნოდათ, სააკაძე განდიდებისათვის იღწვისო, მეორეს მხრივ, შესაძლოა, 1615 წლიდან 1620 წლამდის, მთელი ეს დრო შაჰი თვალ-ყურს ადევნებდა ქართლში მყოფ სააკაძეს, როგორ იქცეოდა, სანდო იყო თუ არა ქართლში მისი ყოფნა და როცა შაჰი დარწმუნდა სააკაძის სანდოობაში, სიმონ II-ესთან თანაშემწეობაც შესთავაზა.

შაჰ-აბასი ეჭვიანი მტარვალი იყო. მას რომ არ მოჩვენებოდა სააკაძის რაიმე საკითხში აქტიურობა და ამ მიზეზებით არ დაეჭვებულიყო, სააკაძე მოთმინებით დიპლომატიასაც ეწეოდა, ეს მოთმინებითი დიპლომატია 1615 წლიდან 1620 წლამდის და შემდეგ 1625 წლამდის გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე სააკაძისაგან არაფერი გართულება არ შექმნილა, სიმშვიდე იყო. დაბეჯითებით შეიძლება ერთი რამე ვთქვათ, ფარსადან-ციციშვილთან და ბაგრატ-მირზასთან სააკაძის თანაშემწეობა ნაკლებ წარმატებული იქნებოდა. უფრო მეტი წარმატების საშუალებას სიმონ II-სთან თანაშემწეობა იძლეოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ნაკლები უნარების მქონე სიმონ II-ის მაგიერ გადაწყვეტილებების მიღება ქვეყნის სასარგებლოდ სააკაძეს უხდებოდა რადგან სააკაძეზე იყო დამოკიდებული იმ დროის ქართლის და კახეთის ბედ-იღბალი, მას უნდა წარემართა ციხედარბაზების შენება და სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგება. იმ დროის მოვლენებში, რახან გ. სააკაძე სიმონ II-ის თანაშემწე იყო და მას უხდებოდა, სიმონ II-ის უნიათობის გამო (ეს უნიათობა სააკაძისთვის მისაღები იყო) გადაწყვეტილებების მიღება, ქვეყნის სასარგებლოდ და თან კონსპირაციული მზადება აჯანყებისათვის. იმ მოვლენებში, რახან სააკაძის აქტიურობას დაინახავდნენ ნაკლებად აქტიურ სიმონ II-ის გვერდით, მის მოწინააღმდეგეებს არ გაუჭირდებოდათ, იტყოდნენ და აიდგამდა ფეხს ასეთი ქირქირი, სააკაძე „უფროსობდა“ ქართლში, უფროსი სიმონ II იყო, მისი თანაშემწე სააკაძე ქვეყნის გადარჩენის საჭირო თადარიგს იჭერდა, სიმონ II-ის როგორც უფროსის სახელის გამოყენებით.

იმ ეპოქის სრული ვითარება უფრო ნათლად რომ წარმოვაჩინოთ, საჭიროა ახალი კუთხით შევხედოთ იმ მოვლენებს, როცა სააკაძემ 1612 წელს საქართველო დატოვა, მისი ერთგული თანამებრძოლები და მისი მრწამსის თანაგამზიარებლები საქართველოში დარჩნენ, მათს შორის იყვნენ: ზაზა ციციშვილი, ბაადურ ციციშვილი, თამაზ მაჩაბელი, სიძე თეიმურაზ მუხრან-ბატონი და სიმამრი ნუგზარ არაგვის ერისთავი და მრავალი სხვა.

როცა შაჰ-აბასმა ქართლის გამგებლად ფარსადან ციციშვილი დანიშნა, ხომ იცოდა – ფარსადანი სააკაძის მტერი რომ იყო. თუ შაჰი სააკაძეს ღრმად თანაუგრძნობდა, რატომ გამოხატა მისი საწინააღმდეგო პოზიცია ფარსადანის ქართლში გამგებლად დანიშვნით? თუ შაჰ-აბასს სააკაძის გულის მოგება ეწადა, რომელმაც ირანში შეიფარა, აქაც გამოეხატა ეს პოზიცია სააკაძის საამებლად და მისი მომხრე, საუკეთესო სარდალი ზაზა ციციშვილი, რომელმაც ტაშისკარის ომში თავი გამოიჩინა, ის დაენიშნა ქართლის გამგებლად, ან თამაზ მაჩაბელი, ან თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ან – ნუგზარ არაგვის ერისთავი, რომელიც სამი წლის წინ შაჰთან ჩავიდა ირანში და მას დიდი შეხვედრაც მოუწყვეს, ან ბაადურ ციციშვილი.

ეს პიროვნებები გ. სააკაძეზე აღმატებული თავადები იყვნენ თავიანთი წარმომავლობით, ქართლის გამგებლობას ცალ-ცალკე ყველა მათგანი შეძლებდა, ესენი ხომ სააკაძის მომხრეებიც იყვნენ და მისთვის ხომ უკეთესიც იქნებოდა, რომელიმე მათგანთან სააკაძის თანაშემწეობა და მეორეს მხრივ, მისი დასის რეპუტაციაც ხომ ამაღლდებოდა.

აქაც დაადასტურა ის, რომ სააკაძეს არც ფარასადანთან და არც ბაგრატ-მირზასთან თანაშემწეობა არა სურს და არც თავის მომხრეებთან თანაშემწეობა ხიბლავს, თან არცა ცდილობს, რომელიმე თავის თანამოაზრეს შაჰ-აბასთან რეკომენდაცია გაუწიოს, ქართლის გამგებლობაში ხელი შეუწყოს. აქაც ისევ დიდი დიპლომატიაა გამჟღავნებული სააკაძისაგან იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე დიდებულთა ჯგუფმა სააკაძის თანაშემწეობა თავის თანამოაზრეებთან არ დაინახონ და არ აღიქვან ისე, რომ საშუალო აზნაური სააკაძე, თავისი მომხრეებით, ხელმძღვანელ პოზიციებისაკენ მიიწევს.

სააკაძე თავისი დიპლომატიით ცდილობს შაჰ-აბასის თვალში ნეიტრალური პოზიციის კაცად გამოჩნდეს, რაც მისგან მეტი სანდოობის საფუძველს იძლეოდა. მეორეს მხრივ, სააკაძე ცდილობს, შაჰის თვალსაწიერში თანამდებობის ხელში ჩაგდების ნაკლებად მსურველი გამოჩნდეს.

იცის „ირანის ლომმა“, როცა ადამიანი თანამდებობისაკენ მიიწევს, ასეთ კაცს ბევრი ამბიციაც უჩნდება, თავის მიზნის მისაღწევად, ამიტომ შაჰმა, მხოლოდ მშვიდობიანი, უვნებელი კაცი უნდა დაინახოს სააკაძეში იმის გამო, რომ მშვიდობიანი და უპრეტენზიო კაცი მეტად სანდოა.

იმ ეპოქაში შადიმან ბარათაშვილი დიდებულთა შორის დიდი რეპუტაციით სარგებლობდა და ბევრიც რჩევას ეკითხებოდა.

საკითხავია, შაჰ-აბასმა რატომ ის არ დანიშნა ქართლის გამგებლად? არ არის გასაკვირი შადიმანსაც არ ესიამოვნებოდა შაჰისაგან მეტი პრივილეგიის მინიჭება ფარსადანისადმი ქართლში მისი გამგებლად დანიშვნით. ამითაც ხაზი ესმება მის ერთპიროვნულ ხასიათებს და გადაწყვეტილებებს, მას თავის თავი ალაჰის შემდეგ პირველ კაცად მიაჩნდა.

აქ რეზიუმე ასეთია

გ. სააკაძემ 1612 წლიდან 1615 წლამდის, სრული სამი წელი, ირანში დაჰყო. იმავე 1615 წელს ბრუნდება ქართლში. 1620 წლამდის მას ქართლში რაიმე პასუხსაგები თანამდებობა არ უკავია, მაგრამ ქართლში ყოფნის, დარჩენის და თავის ქვეყანაზე თვალყურის დევნების საშუალება აქვს. იმ ხანებში სააკაძემ შაჰ-აბასთან მოიპოვა დიდი ნდობა, რაც მისგან 1620 წელს სიმონ II-სთან სააკაძის თანაშემწედ დანიშვნაში აისახა. ეს მოვლენა ნათელი დასტურია იმისა, რომ სააკაძეს კავშირი არ შეუწყვეტია საქართველოსთან.

ჩვენ გვინდა, აქ მოყვანილი მაგალითებით ვაუწყოთ, პირველ რიგში, ქართველ საზოგადოებას გ. სააკაძის 12 წელი ირანში ყოფნა არ ნიშნავს მარტო ირანისათვის სამსახურს. მისგან ირანში სამსახური 1612-1615 წლები იგულისხმება. 1615 წლიდან 1624 წლებში იგი საქართველოშიცაა და სიმონ II-სთან ერთად განაგებს ქართლს, სადაც სტრატეგიულად საჭირო ციხედარბაზების აშენება და სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენებას აწარმოებს. იმ ხანებში სააკაძემ მოიპოვა დიდი ნდობა შაჰ-აბასთან, რაც საფუძველი გახდა 1625 წელს წამოსულიყო ყორჩიღა-ხანთან ერთად და ფარულად ნამზადები მარტყოფის აჯანყება მოეხდინა.

კავკასიელი და მათ შორის ქართველი ქალები ირანში შაჰ-აბასის კარზე

შაჰ-აბასს ჰარამხანა ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდა, დიდ ყურადღებას აქცევდა, დაინტერესებული იყო მისი მოვლა-პატრონობით და საგანგებოდ არჩევდა მოსამსახურე პერსონალს; ამით ისეთი ატმოსფერო იქმნებოდა, რომ ჰარემის უსათუოდ ყველა მოვლენა, უმნიშვნელო ნიუანსიც კი შაჰისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო. ამ ცნობებს მას განსაკუთრებით შერჩეული ჰარამხანის მეთვალყურეები აწვდიდნენ.

შაჰს თავის ჰარამხანაში 600-მდე ქალი ჰყავდა, უმეტესობა კავკასიიდან, კერძოდ, საქართველოდან, ჩერქეზეთიდან და სომხეთიდან იყვნენ. საქართველოს მეფეები, შირვანის გამგებლები, სომხეთისა და ჩერქეზეთის დიდებულები წელიწადში ერთხელ, გაზაფხულის ხანს, შაჰს ძღვნად უგზავნიდნენ საგანგებოდ შერჩეულ, უმეტესად დიდი გვარის ულამაზეს გოგონებს. აბასი ირჩევდა უკეთესთა შორის უკეთესს, დანარჩენებს კი თავის სარდლებსა და გამოჩენილ ადამიანებს უგზავნიდა საჩუქრადო, – მოგვითხრობს ირანელი ისტორიკოსი ფალსაფი.

ქართველ ქალებს ირანში განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ. ისინი დიდ მოწონებას იმსახურებდნენ როგორც გარეგნული იერ-სახით და სათნოებით, ასევე გონებამახვილობით და მაღალი ზნეობითაც, ამიტომ ირანელისათვის ქართველი ქალის ცოლად შერთვა წარჩინების ნიშნად ითვლებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ქალები ირანში, განსაკუთრებით ჰარამხანებში, უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ; პირველ რიგში მათგან სარწმუნოების შეცვლას მოითხოვდნენ და ხშირად საწადელსაც აღწევდნენ. გათათრების ორი გზა არსებობდა, – ძალისმიერი და სურვილისმიერი. სურვილისმიერნი, სამწუხაროდ, სჭარბობდნენ. ქრისტეს მოვლინებამდე და მის შემდეგ დღემდე სულმოკლენი რაოდენობით ყოველთვის ჭარბობდნენ სულგრძელთ; სულმოკლეთა მიზანი მხოლოდ უკეთესი ტკბილი ცხოვრების მოპოვება იყო, რაც თავისთავად მაჰმადიანობის აღიარებასაც ნიშნავდა.

ზოგიერთი ქართველის ბუნებაში ჩაბუდებული შური და მტრობა იწვევდა ეროვნული ქსოვილის რღვევას. საქართველოში გასაწირად გამეტებული, ირანში მომფერებელთან გარბოდა, – ირანული იდეოლოგიიდან წარმოქმნილი მაჰმადიანური ქარი სწორედ მათ წისქვილზე ასხამდა წყალს. სულგრძელნი ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას და ქართველობას, ასეთებთან ვერ ჭრიდა ტკბილი საუბარი და დაპირებები. ზოგიერთს ასეთი საქციელი სიცოცხლის ფასადაც უჯდებოდა; ბუნებრივია, ძნელი იყო მშობლიურ ქრისტიანულ ზნეობაში ჩაკირულ-შესისხლხორცებული ქართული რწმენისა და ტრადიციების უარყოფა. შაჰისაგან აკვამლებული დრო ქმნიდა ეროვნული სულის გადაგვარების ნიადაგს, რაც ქართული მიწა-წყლიდან აყრის, ფიზიკურად განადგურების საშიშროებასაც შეიცავდა. ერთი მახვილით და სიკვდილით მოდიოდა, მეორე – მაჰმადიანობით.

ქეთევან დედოფალი

აღმოსავლეთ საქართველოს შაჰ-აბასისგან გადაშენების საფრთხე რომ დაემუქრა და ქართველთა სულიერი სიმტკიცე შეირყა, სწორედ მაშინ, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, ქართველ ხალხს სულიერი და ფიზიკური ძალების განსამტკიცებლად ღმერთმა დედა ქეთევანი მოუვლინა.

კონსტანტინე-მირზას განადგურების შემდეგ კახეთის სამეფო საქმეებს ქეთევან დედოფალი განაგებდა, მალევე ირანში ელჩები გააგზავნა და შაჰს თეიმურაზის კახეთში მეფედ დაბრუნება სთხოვა.

როგორც ვიცით, თეიმურაზი შაჰის კარზე იზრდებოდა. წლების მანძილზე სპარსულ სულსა და ზნე-ჩვეულებებს უნერგავდნენ; აბასს თავისი გეგმის შემსრულებლად ეგულებოდა, ამიტომ 1606 წელს 16 წლის თეიმურაზი შაჰის ხელდასხმით კახეთის მეფე კი გახდა, მაგრამ ვერ აღმოჩნდა შაჰ-აბასის იდეების გამტარებელი. ცეცხლს აფრქვევდა „ირანის ლომი“, ცდილობდა, თავისი ხელისშემშლელი დაუმორჩილებელი თეიმურაზი როგორმე გაეყვანა კახეთიდან და თავის კარზე ჰყოლოდა.

თავის მხრივ თეიმურაზმაც კარგად იცოდა, რა შავბნელი აზრებიც ჰქონდა შაჰ-აბასს კახეთის მიმართ; თითქოს ახერხებდნენ გამოსავლის მოძებნას, მაგრამ ერთხელაც შეცდნენ თეიმურაზი და კახეთის მესვეურები, ირანში შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს ქეთევან დედოფალი თავის ორ შვილიშვილთან ერთად.

ისტორიკოსები არ ცდებიან, როცა ამბობენ, რომ ეს არ იყო თეიმურაზისაგან გადადგმული სწორი ნაბიჯი.

ფაქტიურად ქეთევან დედოფალი და თეიმურაზის ვაჟები ალექსანდრე და ლევანი ადამიანის ნიღაბაფარებული სისხლმოწყურებული ურჩხულის, საქართველოს დამაქცევარი შაჰის სამსხვერპლოზე აღმოჩნდნენ.

ქეთევანი, როგორც ელჩი, მცირე ამალის თანხლებით ჩავიდა განჯაში, – ასე მოიხსენიებს იმ დროს იქ მყოფი იტალიელი მისიონერი პიეტრო დელა ვალე ბართოლომეო ქეთევან დედოფალს.

მრავალი მაგალითია იმისა, რომ საქართველოდან ძალით თუ ნებით წაყვანილი თავადის ასულები, თუნდაც მეფეთა დებიც, შაჰ-აბასის ცოლები გამხდარან და სარწმუნოებაც შეუცვლიათ, შეიძლება ფორმალურად, მაგრამ შაჰის ნება-სურვილს დაჰყოლიან!.. სულ სხვაა ქეთევან დედოფალი! შაჰის ბრძანებით იგი თავის შვილიშვილებთან ერთად დააპატიმრეს და ირანში გაგზავნეს.

11 წლის მანძილზე ქეთევანი, დედა საქართველოსი, სპეტაკი სულით და ქრისტიანული რწმენით იღვწოდა მაჰმადიანურ ცისქვეშეთში.

შაჰ-აბასი ყველა საშუალებას მიმართავდა, რომ დედოფალზე გავლენა მოეხდინა და სარწმუნოება შეეცვლევინებინა, მაგრამ უშედეგოდ: „ოქრო და ძვირფასეულობა ყოველდღიურობაში გამომადგებოდა, მეცხოვრა და ჩამეცვა; ყველაფერი ეს წარმავალია, მე მინდა დავრჩე ქრისტიანად, ღვთის მონად და მომეცით ყველაზე მცირედი – ტილოს ნაჭერი, რომ სხეული დავიფარო; გაიმეტეთ წყალი და პური, რომ ვიარსებო!..“ თუ შაჰი ცოლობას შესთავაზებდა, ამბობდა: „მისთვის მხოლოდ ხასა ვიქნები, რომლებიც ისედაც ბევრი ჰყავს; თუ კანონიერი ცოლობით ჩემი მოტყუილება სურს, რომ გავხდები დედოფალი ირანისა, მე სარწმუნოების შეუცვლელადაც ვარ უკვე დედოფალი!

ყველა ის ქართველი ქალი, დედოფალი იქნება, ქალწული თუ დედა შვილებისა, თუ ისინიც ამდაგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და სიკვდილის ზღვარზე დადგებიან, ხომ წარმოიდგენენ თვალწინ რწმენაშეუცვლელ დედოფალს, ეს მათ განუმტკიცებს ზნეობას, ექნებათ მაგალითი და იდგებიან მტკიცედ, შეურყევლად აქ თავიანთ სარწმუნოებაზეო“.

უხმლო, უიარაღო, ზნემაღალი, კდემამოსილი ქეთევანი საქართველოს დაუმორჩილებელ სახედ წარმოჩინდა.

მორიელის ბუნების შაჰმა ვერ იქნა და ვერ გატეხა აქ კახეთი, იქ ირანში დედოფალს სარწმუნოებაც ვერ შეაცვლევინა, ცოლობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო.

ფაქტიურად დედოფალი ირანში უტეხი, დაუმორჩილებელი, ქართველთა საფიცარი კლდე-ქალის სიმბოლოდ იქცა.

ქეთევან დედოფლის წამებაში შაჰ-აბასმა საქართველოს წამება გამოხატა. გააკეთა ის, რაც მის ავკაცობას სურდა ქართველი ხალხისათვის.

შაჰი მრავალი ქვეყნის დამპყრობი იყო. უამრავი ტყვე და ალაფი ჩავარდნოდა ხელთ, მაგრამ ისტორიას არ შემოუნახავს ცნობა, ვინმეს ისეთი სისასტიკით მოქცეოდა, როგორც ქეთევან დედოფალსა და მის ქვეყანას. ამის ახსნა იმით შეიძლება, რომ ირანის მეზობელი სახელმწიფოები თითქმის ყველა მუსულმანურია და თავიანთ მაჰმადიანურ სამყაროში ცხოვრობენ.

ირანს ჯერ ქრისტიანული სომხეთი ესაზღვრება, მერეა საქართველო. სომხეთი ყოველთვის შაჰის მორჩილი იყო, ირანელი მმართველები განაგებდნენ, საქართველო კი არასოდეს ყოფილა ბოლომდე დათრგუნვილი და ხარკ-დადებული. „ქართველები შაჰ-აბასს ყველაზე დიდი სიძულვილით სძულდა და ყველაზე დიდი სიყვარულით უყვარდაო“, – ამბობს ლევან სანიკიძე.

ქალი, რომელმაც შაჰის აღზრდილი, შემდეგ კახეთში ტახტის დასაკავებლად გამოგზავნილი, მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე-მირზა გაანადგურა და ქვეყანა შვებით ამოასუნთქა, კი გახდებოდა შაჰის შურისძიების მიზეზი; მეორეც: მოსკოვიდან დიდი მთავრის მიერ ირანში გამოგ-

ზავნილმა ელჩებმა შაჰ-აბასს ქეთევან დედოფლის განთავისუფლება და საქართველოში დაბრუნება მოსთხოვეს. ეს მოთხოვნა შაჰ-აბასმა თეიმურაზის გავლენად ჩათვალა. ქეთევანის განთავისუფლებაზე არც უარი უთქვამს, არც თანხმობა. ცბიერი ქათინაურებით შემოიფარგლა, მოსკოვის ელჩობასთან დროის მოგება სჭირდებოდა.

1624 წლის სექტემბერი იდგა.

დიდებლურად ცხოვრების ამბავი, ეს იქნებოდა სათაყვანებელი დედოფლის მისაბაძი მაგალითი ირანში მცხოვრები ქართველებისათვის, ამიტომ ისინიც მტკიცედ ინარჩუნებდნენ ქრისტიანულ რწმენას, რაც წლების მანძილზე გრძელდებოდა. მათი წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი იყო, შაჰის ყურადღებაც მიუპყრია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თავისმა ერთ-ერთმა მოენემ ჩააწვეთა შაჰს, არ სურთ ისლამის მიღება, ამბობენ, თუ ქეთევანი ქრისტიანია, ჩვენ ქრისტეს რჯულს როგორღა ვუღალატებთო.

„მაშ, აქაც ისევე ქეთევან დედოფალს რჯული არ შეუცვლიაო?!“ – ბრაზით, ღვარძლიანად გამოსცრა შაჰმა.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ქეთევანს პატიმრობაში თან ახლდა პირადი მოძღვარი, სახელად მოსე, რომელსაც ვერ შეაცვლევინეს სარწმუნოება და ამის გამო სიკვდილით დასაჯეს შირაზის მოედანზე, მისი გმირული სიკვდილის მერე დედოფალი ხშირად დადიოდა ავგუსტინელი ბერების კათოლიკურ მონასტერში, რომლის მოძღვარი პორტუგალიელი მამა ამბროზიო დუშ ანჟუუში იყო. ქეთევანის თხოვნით ის მაშინვე გაემართა მისკენ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანის წამების მძიმე წუთებში მის გვერდით ყოფილიყო.

დედოფალი სპეტაკი სახით, რწმენაგანმტკიცებული დიდი სათნოებით, თეთრ ნათელ სვეტად იდგა შირაზის ბრბოთი სავსე მოედანზე.

„ღმერთო, ჩვენო დამბადებელო, ყველაფერი შენით ხდება, იყოს ნება შენი!..“

მუხრანის ველ-მინდორი მოაგონდა ქეთევანს. ლურჯი ცა, ბავშვობის სიტკბო. შვილი თეიმურაზი, ბედ გამწარებული. შვილიშვილები ალექსანდრე და ლევანი, სხვებიც, ცოცხლები. „თქვენს სანაცვლოდ მივდივარ იესო ქრისტეს სამწყსოში, მარიამ ღვთისმშობელთან.

ღმერთო, სამშობლო გადამირჩინე!..“

ცრემლები მარგალიტებად ბრწყინავდნენ ქეთევან დედოფლის უსათნოეს სახეზე.

ქართლში, ცასა და მიწას შუა, მუხრანშია ჩაწნული ქეთევან დედოფლის ფესვები, ასე თბილ ქრისტიანულ სალბუნად რომ დაედო ქვეყანას იმ დროიდან დღემდე.

ასე სატანისტურად არ გაგონილა ქალის დასჯა ჩვენს მზისქვეშეთში!

– უდანაშაულოდ ქრისტეს სიყვარულისათვის და კიდევ იმის გამო, რომ კახეთის დაუმორჩილებელი მეფის თეიმურაზის დედა იყო.

ნაკვერჩხლებზე გავარვარებული მარწუხებით დედოფალს სხეულის ნაწილებს აგლეჯენ ცეცხლმოკიდებული სხეულიდან; არცა ვედრება, არცა კვნესა! არანაირ შეღავათს არ თხოულობს მისი ჯვარცმა, მხოლოდ და მხოლოდ სანამ სული ამომაღლდებოდა სხეულიდან, საქართველოს, უფლის შეწევნით მის გადარჩენას, ზნეგანმტკიცებას მავედრებელი ცრემლით შესთხოვდა მამა ღმერთს!

სანთლის სიწმიდედ ეფინებოდა ქეთევანის თეთრი სისპეტაკე შირაზის ზნეგამშრალ უგულობას. გააშიშვლეს, მერე ვინ? ქალი, ქეთევანი დედოფალი, ეს უსპეტაკესი ღვთისმოსავი, კრძალული, ცოცხალი სიწმინდე!.. ჰარამხანებს გაჩვეულმა უზნეობით განთქმულმა შაჰმა ყველაზე დიდი კდემამოსილება სანახაობად, ირგვლივ შეკრებილი ბრბოს საცქერლად გამოფინა: გასატეხი ძალა რომ აღარ შესწევდა კახეთის და საქართველოსი, ბოღმა ქეთევან დედოფლის წამებაში ამოანთხია; ვერ მოერია ქართულ სიმტკიცეს და მორევა სცადა იმით, რომ ქალს, ქეთევანს, ქართული ზნეობრივი სიწმინდე შეულახა.

სიშიშვლე ქეთევანისთვის მართლაც იყო სატანჯველი, რომელშიც ყველაზე მტკიცე, მძლავრი მოთმინებით იყო შემოსილი, სულისა და ზნეობის მოთმინებით. ქალი იყო და გამოიყენეს მისთვის მართლაც მტკივნეული – ხალხის წინაშე გაშიშვლება.

ეს მეორე, უფრო მტანჯველი სულიერი წამება!

ქალის გმირობა ყველა ქვეყანაში დიდად სამაგალითოა, ახლა თავისი ქვეყნის, თითოეული ქართველისთვის როგორი სულის-დამსუსხავი ტკივილი იქნებოდა ქეთევან დედოფლის წამებით სიკვდილი. გასაგებია, თუ როგორ სძულდა შაჰ-აბასს საქართველო და მთელი ჯავრი ქეთევან დედოფალზე იყარა, მისი მოწამებრივი აღსასრულით უფსკრულისკენ დაეშვა შაჰის ზენიტში მყოფი დიდებაც.

ბოროტებისაგან და სიძულვილისგან დაბრმავებული შაჰის გონება ვერ ჩასწვდებოდა იმ სიღრმეს, რაც დედოფლის მოწამეობრივი აღსასრულით ეროვნული გმირის და წმიდანის მოვლინება იყო. ალაჰის მოციქულად აცხადებდა თავს და ალაჰის შთაგონებით მოვიმოქმედეო, – ამართლებდა თავის საქციელს.

ობიექტურად, მშვიდი გონებით გადავავლოთ თვალი მე-17 საუკუნის პირველ ნახევარს. იმ ურთულეს ეპოქაში ცოტა ვინმე თუ შეძლებდა ესოდენ მძიმე ზნეობრივი ტვირთის იმ სიმაღლეზე აწევას, რაც ქეთევან დედოფალმა შეძლო! მისი თავდადება მართლმადიდებლობის უმტკიცეს დუღაბად იქცა. დედოფლის მოწამებრივი აღსასრული, მისი სულიერი სიმტკიცე საქართველოს ზეციური მფარველია, მისი გადარჩენა სწორედ ქეთევან დედოფალს დააკისრა უზენაესმა ძალამ.

იმავე ეპოქაში გვყავს მეორე ნიშანსვეტიც, გიორგი სააკაძე – თავისი თავგანწირული საომარი შემართებით, შვილების, პაატასი და ავთანდილის, ძმის ქაიხოსრო სააკაძის შეწირვით, თავისი სიცოცხლითა და სიკვდილით.

ცნობილი სომეხი ისტორიკოსი რობერტო გულბენკიანი, რომელიც ამჟამად პორტუგალიაში ცხოვრობს, ნაყოფიერ და სასარგებლო მუშაობას ეწევა სომეხთისა და საქართველოს შუასაუკუნეების ისტორიის დარგში.

რ. გულბენკიანმა არაერთი ახალი საინტერესო დოკუმენტი და მასალა გამოაქვეყნა ქეთევან დედოფლის სპარსეთში ტყვეობისა და შირაზში მისი მოწამებრივი სიკვდილის შესახებ; მისი ნაყოფიერი და დიდი შრომის შედეგად ხელთა გვაქვს წიგნი, რომლის ღირსებათა შორის უპირველესი ისაა, რომ ისტორიკოსმა თავი მოუყარა მდიდარ საარქივო მასალას, რითაც საზოგადოებას გააცნო ის დიდი რეზონანსი, რაც მაშინდელ თუ შემდეგდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში ქართველი ქალის სამაგალითო ცხოვრებამ და აღსასრულმა გამოიწვია (დავით ჟღენტი).

რ. გულბენკიანმა მოიძია ქეთევან დედოფლის წამების თვითმხილველი მოწმის მამა ამბროზიო დუშ ანჟუუშის მიერ გამოქვეყნებული ცნობები, ამ აღწერილობის მიხედვით ეს ღვთისმოსავი ქალბატონი ტანდაბალი გახლდათ, ხელთ მლოცველის კვერთხი ეპყრა, შავად მოსილი იყო, პირმშვენიერი და დარბაისელი; არა მხოლოდ ერთი სამეფოს, არამედ მთელი იმპერიის მბრძანებლობის ღირსი იყოო. უმწიკვლო და სასიამოვნო პიროვნება განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრიდა მხილველთ; მისი ლამაზი დიდი შავი თვალები ირეკლავდნენ ყოველივეს, რაც მის სულში ხდებოდა, ვინაიდან ღვთის მსახურთა სულში დაბუდებული ღვთიური მადლი მათ სახეზეც აშუქებს. შირაზში მცხოვრები ქართველებისაგან ამბროზიო დუშ ანჟუუშს მოუსმენია, დედოფლის წამების ადგილას დიდი ნათება ბრწყინავდა, შემდეგ ეს ნათება მის საფლავთანაც ინაცვლებდა ხოლმეო.

ეს ამბები მაშინ საქართველომდეც აღწევდა. რობერტო გულბენკიანის მოძიებული წყაროებით, ამბროზიო დუშ ანჟუუში ამბობს, რომ მან 1628 წელს საქართველოდან გაგზავნა წერილი, რომელიც მორჩილმა ძმამ პედრო დუშ სანტუშმა გოაში ჩაიტანა. წერილი მოგვითხრობს, რომ მათ თავრიზამდე ერთი სომეხი დაემგზავრათ, მათ შემდეგ სომხეთის ტერიტორიაზე გაიარეს და იმავე 1628 წელს ჩავიდნენ ალინჯაში, რომლის მახლობლადაც დომინიკელი სომეხი ბერების მონასტერს შეეკედლნენ. ამ მონასტრის წინამძღოლი, ავგუსტინელი მამა ბაჟენცი, შემდგომში ნახიჭევანის კათოლიკე სომეხთა არქიეპისკოპოსი გახდა. თურმე ახალგაზ-რდობაში იგი ერთხანს პორტუგალიელ ბერებს ემსახურებოდა ისპაჰანში. სომეხმა პრელატმა მგზავრებს გაუმხილა, რომ მას გამოეცხადა წამებული ქეთევან დედოფალი და უთხრა, რომ მისი მოწამებრივი აღსასრულიდან რამდენიმე თვეში გურჯისტანში ჩასული ირანული მაყრიონი ქრისტიანების დღესასწაულზე დამარცხდება, შემდეგ ამას სპარსეთის სამეფოს გაცამტვერება მოჰყვება; ამ საქმეს გურჯისტანელები დევნილი გურჯის თავგანწირვით აღასრულებენ და ქეთევან დედოფლის ნეშტსაც საქართველოში დააბრუნებენო.

მამა ამბროზიო იმავე 1628 წლის თებერვალში საერო პირის, მორჩილი ძმა პედრო დუშ სანტუშის თანხლებით საქართველოსკენ გამოეშურა. სამი თვის მგზავრობის შემდეგ საქართველოს საზღვრებს მოსდგომიან. მათ თეიმურაზ მეფის ნახვა უნდოდათ. როდესაც მამა ამბროზიომ აუწყა, დედოფლის ცხედარი თან ჩამოვიტანეთო, თეიმურაზმა მიუგო, „მთელი მსოფლიოს განძიც რომ ჩამოგეტანათ ჩემთვის, დედაჩემის სხეულის ჩამოსვენებას ვერ შეედრებოდაო“.

თვითმხილველმა დუშ სანტუშმა თეიმურაზს უამბო, როგორი წამება არგუნა ვერაგმა შაჰმა ქეთევან დედოფალს; როგორ მოძებნეს სამი თვის მერე ქეთევანის საფლავი და როგორ ამოიღეს ცხედარი. მამა ამბროზიო ამბობდა, ჩემი ხელებით ამოვასვენე წმიდანის ნეშტი და იქაურობა ვარდის სურნელით აივსოო.

მეფე თეიმურაზმა საჯაროდ განაცხადა: „პორტუგალიელი ბერების კეთილშობილური საქმე და საქციელი მთელ მსოფლიოში განდიდების ღირსია, არც მე და არც საქართველო არ დაივიწყებს მათ ჭეშმარიტ ქრისტიანულ საქმიანობასო“.

თეიმურაზმა ნება დართო ავგუსტინელ ბერებს საქართველოში თავიანთი სურვილისამებრ შეერჩიათ ადგილი ეკლესიის ასაშენებლად. ბერებმა არჩევანი გორზე შეაჩერეს. მათ პირველ რიგში სამლოცველო ააშენეს, შემდეგ კი ორი საცხოვრებელი სახლიც ავგუსტინელი ბერებისათვის. ეს მოვლენა დიდად სასიხარულო აღმოჩნდა. მორჩილი ძმა პედრო შემდეგ გოაში გაემგზავრა ამ სასიამოვნო ამბის შესატყობინებლად.

ავგუსტინელები იმედოვნებდნენ, რომ ვატიკანი ქეთევან დედოფალს რომაული კათოლიკური ეკლესიის წამებულად გამოაცხადებდა და ამისათვის სრული სამი წელი იღვწოდნენ.

1640 წელს რომში ყოფნის დროს მამა ამბროზიომ ბოლო მოუღო ეჭვებს და საჯაროდ აღიარა, რომ ქეთევან დედოფალს ქართული ეკლესია არ მიუტოვებია. მან განაცხადა: „დედოფალი ზეცაშია და ღვთის დიდებით ხარობს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს მისდევდა, იგი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა წმინდა კათოლიკურ ეკლესიას, მხურვალედ უყვარდა ისინი და რითაც შეეძლო, ეხმარებოდა. გარდა ამისა, ჩვენთან ისეთ კარგ ურთიერთობაში იყო, რომ შეუძლებელია, კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგე ყოფილიყოო“. თავის მხრივ, პედრო დუშ სანტუში 1660 წელს ვატიკანში წარდგენილ მოხსენებაში ადასტურებს, რომ იგი მამა ამბროზიოსთან ერთად ეხმარებოდა და ანუგეშებდა ქეთევან დედოფალს. აზიარებდა მას და ყველაფერს აკეთებდა მისი სულის სახსნელად.

რაც მოვინდომეთ ჩვენ სხვისთვის, იგივე მოგვაგო ჩვენ ღმერთმა.

ქეთევან დედოფლის გმირობამ და წამებით აღსრულებამ მთელ საქართველოს გლოვის მანტია შემოახვია.

დამწუხრდა სრულიად ქვეყანა, სამშობლო ქეთევანისა. თავისი საქართველოს მტერსა და დამანგრეველ შაჰ-აბასს, დაუპირისპირა ქეთევან დედოფალმა თავისი სპეტაკი სული; როგორც 1609 წელს სულმნათმა ბერმა თევდორემ, უფლის გზაზე დამდგარმა ააცილა ცხირეთში მყოფ მეფე ლუარსაბ II-ს ოსმალური ურდო, გიორგი სააკაძეს კი მოქმედების გზა გაუხსნა და თავისი თავის ზვარაკად შეწირვით აღმოსავლეთ საქართველოს მტერზე გამარჯვების წინაპირობა შეუქმნა, რაც ტაშისკარის ბრძოლის მოგებით დაგვირგვინდა.

ქვეყნის დამშვიდება ჯერ ითხოვდა სამაგალითო ზნეობრივი სიწმიდის საფუძვლის ჩაყრას, ბერი თევდორეს სახით, მერე კი მის აღსრულებას, ფიზიკური პრაქტიკული ენერგიული გონის მოქმედებას – ქართული ჯარის მობილიზაციას, საბრძოლო სტრატეგიის ტაქტიკურ გათვლას, რომ სააკაძის მეთაურობით მცირე დანაკარგებით, მტერზე სრული გამარჯვებით დამთავრებულიყო; შემდეგ ლუარსაბ II-ის თავდადება, მისი ზნეობრივი თავგანწირვა თავისი ქვეყნის სამსახურად, – მრისხანების ჩასაცხრობად ზვარაკად შესაწირავი კრავივით, მორჩილად გაჰყვა შაჰს, ვითომ სანადიროდ; სინამდვილეში იცოდა მეფემ, რა ბედიც მოელოდა, მაინც წავიდა, ამიტომაც ემსგავსება იგი თავის ღირსეულ წინაპარს დემეტრე თავდადებულს.

(გაგრძელება იქნება)

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
სეუ. პროფესორი

მარიამ გიქოშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
სეუ. ბაკალავრიატი

უცნაური და საგანგებო გადასახადები მსოფლიო საგადასახადო ისტორიაში

გადასახადების წარმოქმნის ისტორია ფესვებს ძველი დროიდან იღებს. გადასახადები სახელმწიფოების, სასაქონლო წარმოების და სახელმწიფო აპარატის (მოხელეები, არმია, სასამართლოები და ა.შ.) გაჩენასთან ერთად წარმოიშვა და დროთა განმავლობაში, მათი ბიუჯეტის შევსების მთავარ წყაროდ იქცა. ისინი აუცილებელნი იყვნენ სახელმწიფო ინსტიტუტების შესანახად.

გადასახადებისა და საგადასახადო ურთიერთობათა ხასიათი, მათი დაწესებისა და საგადასახადო ტვირთის განაწილების პრობლემები ყოველთვის იყო ეკონომისტების, ფილოსოფოსების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში გამომდინარე იქიდან, რომ გადასახადი – ეს არის აუცილებელი და ნატურალური გამოსაღები, რომელსაც იღებს სახელმწიფო ფიზიკური და იურიდიული პირებისგან დადგენილი კანონმდებლობის ფარგლებში.

გადასახადის როლსა და მნიშვნელობაზე საკუთარი შეხედულებები გამოთქვეს ცნობილმა მოაზროვნეებმა. **თ. აქვინელი:** აღნიშნავდა, რომ გადასახადი არის ძარცვის ნებადართული ფორმა. **შ. მონტესკიე:** არაფერი არ საჭიროებს იმდენ სიბრძნესა და ჭკუას, როგორც განსაზღვრა იმ ნაწილისა, რომელსაც ქვეშევრდომებს ართმევენ და იმისა, რასაც მას უტოვებენ. **ა. სმიტი:** გადასახადი იმათთვის, ვინც მას იხდის – მონობის კი არა, თავისუფლების ნიშანია.

ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, ხაზინის შესავსებად, ხელისუფლება კანონებს იღებდა და დღესაც იღებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს კანონი ძალიან უცნაური და შეიძლება ითქვას, აბსურდულიც კი არის. მაგალითად:

ძველი რომი. უცნაური გადასახადები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. მაგალითად, რომის იმპერატორმა ვესპისიანემ, პირველ საუკუნეში, რომაელებს საზოგადოებრივი ტუალეტებით სარგებლობისთვის დაუწესა გადასახადი, ხოლო შვილს, რომელსაც ტუალეტებით გამდიდრება სამარცხვინო „ბიზნესად“ მიაჩნდა, ცხვირთან ოქროს ფული მიუტანა და ჰკითხა: უსიამოვნო სუნი ხომ არ უდისო? ამ დროიდან დამკვიდრდა ფრაზა: „ფულს სუნი არ აქვს,“ რომლითაც სიმდიდრის მოხვეჭის ნებისმიერ ხერხს ამართლებენ.

თანამედროვე სახელმწიფოს ბევრი ნიშანი ჩაისახა ძველ რომში. მშვიდობიანობის დროს, როგორც წესი, რომის მოქალაქეები არ იხდიდნენ ფულად გადასახადს. მაგრამ ომიანობის დროს რომის მოქალაქეები იბეგრებოდნენ გადასახადებით მათი შემოსავლების მიხედვით. გადასახადის მოცულობა განისაზღვრებოდა არჩეული მოხელე-ცენზორების მიერ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. რომის მოქალაქეები ცენზორს აწვდიდნენ ინფორმაციას საკუთარ ქონებრივ და ოჯახურ მდგომარეობაზე, რის საფუძველზეც განისაზღვრებოდა მათი გადასახადის მოცულობა. ამრიგად, ამ ფორმით საფუძველი ეყრებოდა შემოსავლებზე დეკლარაციის ფორმას.

ძველ რომში გადასახადი თავისუფლებაზე იყო დაწესებული. მონას, რომელსაც თავისუფლების ყიდვა უნდოდა, გადასახადი უწესდებოდა.

ინგლისი. გადასახადი მშვიდი ცხოვრებისათვის 1991 წელს დანიელი ვიკინგებისთვის გამოსასყიდის გადასახდელად ინგლისში შემოღებული იყო სავალდებულო გადასახადი, რომელიც იძლეოდა

მშვიდი ცხოვრების პირობას. ეს გადასახადი ორი საუკუნის განმავლობაში არსებობდა. გამოდის, ისე რომ დანიელებმა სხვა ქვეყნის მოქალაქეებს დაუწესეს გადასახადი. სინამდვილეში კი დიდი ხნის განმავლობაში გადახდილი თანხა დანიაში კი არ მიემართებოდა, არამედ თვით ინგლისში რჩებოდა და ქვეყნის სამხედრო გაძლიერებას ხმარდებოდა.

მე-14 საუკუნეში, ინგლისელმა მონარქმა ხაზინის შევსების უნივერსალური ხერხი მოიფიქრა. შემოიღო „გადასახადი სიცოცხლისათვის", ანუ უკლებლივ ყველა ბრიტანელს ფული უნდა ეხადა მანამ, სანამ ცოცხალი იყო, მხოლოდ იმისათვის, რომ ცოცხლობდა. გადასახადის შემოღებას სახალხო აჯანყება მოჰყვა.

1655 წელს, ინგლისის რევოლუციის მეთაურმა ოლივერ კრომველმა მონარქიის მომხრეთათვის „მიუმხრობელთა გადასახადი" დააწესა. გადასახადს იხდიდა ყველა, ვინც ხმამაღლა აღიარებდა მონარქისტობას. აღებული თანხით კი სახალხო ლაშქარს აყალიბებდა, რომლითაც მონარქიის მომხრეებს უსწორდებოდა. ეს თავად მონარქისტებმაც იცოდნენ, მაგრამ, თავისი პრინციპების ერთგულნი, მაინც განაგრძობდნენ გადასახადის გადახდას.

იორკში კი შუა საუკუნეებში მოქმედებდა კანონი, რომელიც ინგლისელს ნებას რთავდა მოეკლა შოტლანდიელი ნებისმიერ დღეს კვირის გარდა, ხოლო კვირასაც იმ შემთხვევაში, თუ ჰაერის გაფუჭებისას წაასწრებდა.

1660 წელს გადასახადი ბუხრებსა და ღუმელებზე დააწესეს. გადასახადს მოსახლეობა იმის მიხედვით იხდიდა, თუ რამდენი საკვამური გამოდიოდა მათი სახლიდან. ამან გამოიწვია ის, რომ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ინგლისელებმა სახლებში საკვამური მილების ერთმანეთთან გაერთიანება და გადაბმა დაიწყეს, რაც ხანძრით დაგვირგვინდა. შედეგად, 1684 წელს, ლამის ნახევარი ლონდონი დაიწვა. მოგვიანებით გადასახადი გააუქმეს.

1696 წელს ლონდონში დააწესეს „გადასახადი ფანჯრებზე" – სახლების მფლობელებს კედელში გაჭრილ ყოველ ფანჯარაზე ფული უნდა ეხადათ. ამის გამო ღარიბებმა ეკონომიის მიზნით, ფანჯრების ამოშენება, ანდა მათი ბუტაფორიების კეთება დაიწყეს კედლებზე (ასეთი სახლები დღესაცაა შემორჩენილი ბრიტანეთის ქალაქებში), მდიდრებმა კი პირიქით, საკუთარი სიმდიდრის ხაზგასასმელად, ყოველ მეტრში ფანჯრები დაატანეს სახლებს. გადასახადმა 1851 წლამდე იარსება.

XVII საუკუნის ინგლისში გადასახადი იყო დაწესებული შლაპებზე. ქალაქის მაცხოვრებლებს ამ ტიპის ქუდის ტარებითვის წელიწადში 2 ფუნტი უნდა გადაეხადათ, სოფლის მოსახლეობას კი 5.

1712 წელს ინგლისში გადასახადი დაწესდა, იმ დროს, მოდაში შემოსულ, სურათებიან შპალერებზე. მაგრამ, ხაზინისთვის ამ კანონს დიდი შემოსავალი არ მოუტანია — ხალხს არ უნდოდა მსგავსი გადასახადის გადახდა და ამიტომ, ისინი უბრალო, ერთფონიან შპალერს ყიდულობდნენ, ხოლო ნახატებს მასზე, თავადვე აკეთებდნენ.

ინგლისში, ჰენრიხ I დროს, არსებობდა „მშიშრობის გადასახადი». ფაქტიურად, ეს იყო ომში წასვლისთვის თავის არიდების ლეგალური გზა. ხაზინაში გარკვეული თანხის შეტანის შემდეგ, პირი სამხედრო ვალდებულებისგან თავისუფლდებოდა.

ინგლისში ბოლო შიდა სათვისტომო ომის დროს, მთავრობამ ჯარის შენახვის მიზნით დააწესა, რომ ყოველ ქვეშევრდომს ერთი დღე არ ესადილა კვირაში და დაზოგილი თანხა გადაეხადა სახელმწიფო ხაზინაში.

აშშ. საინტერესო და ჩვენთვის საგულისხმო კანონები მოქმედებს კანადაში, კერძოდ კვებეკში. იქ მაღაზიის აბრაზე წარწერა აუცილებლად ფრანგულ ენაზე უნდა იყოს, ხოლო თუ ინგლისურადაც გინდა დააწერო, ასოები ორჯერ უფრო პატარა ზომისა უნდა გამოიყვანო.

რადიოში გაჟღერებული სიმღერებიდან კი სავალდებულოა, ყოველი მე-5 შემსრულებელი კანადის მოქალაქე იყოს.

დენვერში აკრძალულია საკუთარი კბილის პროთეზის ლომბარდში ჩაბარება.

ჰოლივუდში დაგაჯარიმებენ, თუ წაგასწრეს, რომ აბაზანაში ორ ბავშვს ერთად აბანავებ.

მასაჩუსეტსში, ქელეხში 3 სენდვიჩზე მეტის შეჭმის უფლება არ გაქვს და ხვრინვისთვისაც დაგაჯარიმებენ, სახლის ყველა ფანჯარა თუ არ დაკეტე.

ნიუ-ჯერსიში დაგაპატიმრებენ პოლიციელს არაკეთილმოსურნე მზერით თუ შეხედე, ასევე, სასტიკად იკრძალება მძინარე მეხანძრის გაღვიძება.

ოკლაჰომაში სხვისი ჰამბურგერის მოკბეჩაა აკრძალული.

ვაშინგტონში კი თუ საყაჩაღოდ მიდიხარ, გევალება ამის შესახებ ტელეფონით შეატყობინო პოლიციის უფროსს.

ილინოისის შტატში ქალებს ეკრძალებათ მაღაზიაში ერთ ჯერზე 6-ზე მეტი კაბის მოზომება, ხოლო თუ მანქანის საჭეს მიუსხდნენ, მანქანას წინ მეუღლე უნდა წაუძღვეს საფრთხის მანიშნებელი წითელი დროშით. იმავე ილინოისში მამლებს ეკრძალებათ ყივილი, თუ საცხოვრებელი სახლიდან 300 ფუტით არ არიან დაშორებულნი, ხოლო ქათმებს – 200 ფუტზე ახლოს კაკანი.

სხვადასხვა უცნაური გადასახადები. გადასახადების ისტორიაში ცნობილია გადასახადი სახლზე. აღნიშნული გადასახადის სიდიდე განისაზღვრებოდა სახლის მიერ დაკავებული ფართობისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. მაგ., ინგლისში აღნიშნული გადასახადის სიდიდე განისაზღვრებოდა ორი შილინგით ყოველ სახლზე. მაგრამ სახლზე, რომელსაც ჰქონდა ათი ფანჯარა, დამატებით უნდა გადაეხადათ ოთხი შილინგი, ხოლო ოცი და მეტი ფანჯრის შემთხვევაში _ რვა შილინგი. შემდგომში სახლებზე ოციდან ოცდაათ ფანჯარამდე იხდიდნენ ათ შილინგს, ხოლო ოცდაათი ფანჯრის და მეტის შემთხვევაში – ოც შილინგს. დროთა განმავლობაში სახლზე გადასახადი გაუქმდა და შემოღებულ იქნა ე.წ. ფანჯარაზე გადასახადი.

1780-1839 წლებში პაკისტანში არსებობდა გადასახადი, რომელიც სამყაროს ისტორიაში ყველაზე საზარელი გადასახადი გახლდათ. მაშინდელი პაკისტანური კანონების თანახმად ხარკის სახით აუცილებელი იყო წელიწადში 100 ადამიანის მოჭრილი თავის წარმოდგენა.

შუა საუკუნეებში, ევროპაში, ყველაზე ხშირად, საპონზე იყო დაწესებული გადასახადი. დიდ ბრიტანეთში მსგავსი კანონი 1835 წლამდე ძალაში იყო.

გადასახადების ისტორიაში ასევე ცნობილია გადასახადი მარილზე, ტყეზე, საპონზე, სანთელზე. მარილზე გადასახადმა მნიშვნელოვანი, მასშტაბური კვალი დატოვა ზოგიერთი ქვეყნის განვითარების ისტორიაში. მაგალითად, ამ გადასახადმა თავის დროზე ჩინეთის იმპერია დაკნინებამდე მიიყვანა, საფრანგეთში ხელი შეუწყო რევოლუციის დაჩქარებას. ინგლისელების მიერ მარილზე 4000 პროცენტიანი გადასახადის შემოღებამ იმდენად დიდი მღელვარება გამოიწვია ინდოეთში, რომ მახატმა განდი კი გახდა ამ გადასახადის საწინააღმდეგო დემონსტრაციების მონაწილე. ყველა ჩამოთვლილ ქვეყანაში მარილზე გადასახადმა მძლავრი საპროტესტო ტალღა წარმოქმნა და ამის შედეგად ის მაინც გაუქმდა.

მარილზე გადასახადი არსებობდა ძველ რომშიც, რომელიც მეფეთა განდევნის შემდეგ სენატმა გააუქმა, თუმცა რომის იმპერიის პერიოდში კვლავ იქნა შემოღებული. ამასთან, თვით ქალაქი რომი ამ გადასახადისგან გათავისუფლებული იყო.

ასევე დაწესებული იყო გადასახადი (მოსაკრებელი) გზებზე, რომლის სიდიდე განისაზღვრებოდა ცხენების რაოდენობით ან ეტლის სიმძიმით (გადასახადს უკავშირებდნენ იმ მიყენებული ზარალის სიდიდეს, რაც გზებს ადგებოდა).

გადასახადი ქორწინების ოფიციალურად გაუფორმებლობაზე. გადასახადი შემოიღეს ჩინეთის საპორტო ქალაქ ტიანძინში. წყვილი, რომელიც ოფიციალური ქორწინების გარეშე ცხოვრობს, ყოველწლიურად იხდის 120 აშშ დოლარის ოდენობის (1 000 ჩინური იუანი) გადასახადს.

საოცარი აღმოსავლური „სიბრძნითაა“ აღბეჭდილი ჩინეთში მოქმედი კანონი, რომელიც მოქალაქეებს წყალში დასაღრჩობად განწირულის დახმარებას უკრძალავს. იქ ასეთი საქციელი, ადამიანის ბედისწერაში „უხეშ ჩარევად“ ითვლება.

1722 წელს, რუსეთის იმპერატორმა პეტრე პირველმა თავის ქვეშემვრდომებს წვერის ტარებისთვის გადასახადი დაუწესა – წელიწადში 30-დან 600 მანეთამდე, წოდებისა და ჩინის მიხედვით. გლეხებს მხოლოდ საკუთარი სოფლის ფარგლებში შეეძლოთ წვერის ტარება, ქალაქში შესვლისას 1 კაპიკი უნდა გადაეხადათ. ყველას, ვინც წვერს ატარებდა, ბაჟის გადახდის დამადასტურებელ სპილენძის ჟეტონს აძლევდნენ, რომელიც შემოწმებისას უნდა წარმოედგინა. ჟეტონის ერთ მხარეს ეწერა „ფული აღებულია,“ ხოლო მეორე მხარეს განთავსებული იყო „სარეკლამო“ წარწერა: „წვერი ზედმეტი ტვირთია".

საბჭოთა კავშირში 20-დან 50-წლამდე ასაკის დაუოჯახებელი ადამიანები ვალდებული იყვნენ სახელმწიფოსთვის გადაეხადათ საკუთარი შემოსავლის 6%.

ნიუ-იორკში გადასახადები საკვების მომზადებაზე იყო დაწესებული. ასე, მაგ., თუ ბლითებს პირველად მოამზადებდნენ, მასზე გადასახადი, როგორც უბრალო საკვებზე წესდებოდა, ხოლო მისი განმეორებით მომზადების შემთხვევაში _ როგორც კერძზე. რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ კერძზე ორი სახის გადასახადი იყო დაწესებული.

კანადაში 1885 წელს „ჩინელებზე“ დაწესდა გადასახადი, რომელიც სავალდებუო იყო იმიგრანტი ჩინელებისთვის. 1923 წელს, ეს კანონი ახალი კანონით შეიცვალა, რომელიც ჩინელების კანადაში შესვლას საერთოდ კრძალავდა.

1975 წელს დიდ ბრიტანეთში გადასახადები დაწესდა სურნელოვან ნივთიერებებზე, რომლებსაც მოდას აყოლილი ქალბატონები პარიკებზე წასასმელად იყენებდნენ. მაგრამ, ამ კანონს დიდ ხანს არ უარსებია. ის მანამდე მოქმედებდა, ვიდრე პარიკები იყო მოდაში.

ჩიკაგოში ყველანაირ ტკბილეულზე გადასახადი იყო დაწესებული. ღირებულების 6% უნდა გადაეხადა ადამიანს ხაზინისთვის, თუ მის მიერ შეძენილი ტკბილეული ფქვილის არ შეიცავდა, ხოლო თუ ფქვილით იყო მომზადებული _ 1%.

დანიაში გადასახადი არის დაწესებული მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე _ ერთ სულ ძროხაზე, 110 დოლარის ოდენობით. ამ გადასახადის შემოღების მიზეზი ატმოსფეროს დაცვა არის სათბური გაზებისგან, რომელსაც ძროხა მეტეორიზმის დროს გამოყოფს.

შვეიცარიაში ახალშობილის მომავალ სახელს საგადასახადო სამსახურს ატყობინებენ და ოფიციალურად ბავშვს სახელს მას შემდეგ არქმევენ, რაც იქიდან დადასტურების საბუთს იღებენ.

თაბაშირის გადასახადი.გადასახადის გადამხდელები არიან ავსტრიის სამთო მოთხილამურეები. გადასახადი მას შემდეგ შემოიღეს, რაც სტატისტიკოსებმა დათვალეს, რომ წელიწადში საშუალოდ 150 000 ტრავმას ჰქონდა ადგილი.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ტიბეტი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. სახელმწიფო ხაზინა იმდენად დაცარიელდა, რომ არმიაც კი დაშალეს. გამოსავალი ესევ დალაი ლამამ მონახა: 1926 წელს, მან ტიბეტელებს „ყურების გადასახადი“ დაუწესა, რომელსაც იხდიდა ყველა, ვისაც ყურები ჰქონდა. კანონი გამონაკლისსაც ითვალისწინებდა – ცალყურები თანხის ნახევარს იხდიდნენ. შესაბამისად, უყუროები საერთოდ გათავისუფლებულნი იყვნენ გადასახადისაგან.

ლიბანში მამაკაცებს უფლება აქვთ მხოლოდ მდედრობითი სქესის ცხოველს „დაუმეგობრდნენ", მამრთან კავშირის შემთხვევაში, დამნაშავეს სიკვდილით სჯიან. ანდორაში კი ადვოკატის პროფესიაა აკრძალული, ვინაიდან ითვლება, რომ მათ ყველა ნაძირალას გამართლება შეუძლიათ.

ნობელის პრემიის გადასახადი. ალბათ ბევრისათვის უცნობია, რომ მეცნიერებაში დიდი მიღწევისა და შეტანილი ღვაწლისათვის ნობელის პრემიით დაჯილდოებუი გამოჩენილი მოღვაწეები ვალდებულნი არიან პრემიიდან გადაიხადონ შესაბამისი გადასახადი, ვინაიდან 1986 წლიდან ეს პრემია მიეკუთვნება ფულადი საჩუქრის კატეგორიას და ექვემდებარება დაბეგვრას. გამონაკლისი კეთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პრემიის ლაურეატი ქველმოქმედებისათვის შესწირავს კუთვნილ ფულად სახსრებს ან მათ გადასცემს იმ სასწავლო დაწესებულების მხარდასაჭერად, რომელსაც მიუთითებს სახელმწიფო.

საგანგებო გადასახადები. ისტორიაში ცნობილია ე.წ. საგანგებო გადასახადები, შუა საუკუნეებში ასეთი გადასახადები საკმაოდ მიღებული იყო. მაგალითად, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს თითქმის მთელ ევროპაში შემოღებულ იქნა სალადინის გამოსაღები, რომლის სიდიდე განისაზღვრებოდა 1/10 ნაწილით იმ მამულიდან, რომლის მესაკუთრეც არ ღებულობდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას. შუა საუკუნეებში საგანგებო მოსაკრებელი იყო ასევე დაწესებული მეფეების სასარგებლოდ ბავშვის დაბადებისას და მისი ქალიშვილის გათხოვებისას.

საქართველოში არსებული უცნაური გადასახადები. როგორც უმეტეს ძველ ცივილიზებულ ქვეყნებში, საქართველოშიც საგადასახადო ურთიერთობებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ისტორიული წყაროები მიანიშნებენ გადასახადების 4-ათასწლიან ისტორიაზე. მიუხედავად ამისა, უნდა

აღინიშნოს, რომ დადასტურებულად გადასახადების შემოღება საქართველოში XI საუკუნიდან იწყება.

გვიანფეოდალურ პერიოდში საქართველოში არსებობდა:

1. შრომამიგებითი რენტა, კერძოდ გლეხებს მებატონეებისთვის გაზაფხულზე იმდენი უნდა დაეხნათ, რამდენიც მებატონეებს სურდათ – ბატონის ნათესების, ხორბლის, ფეტვის, სიმინდის, ქერისა და ცერცვის დასათესად უნდა მოერწყათ, გაემარგლათ და დაემუშავებინათ;

2. რენტა პროდუქტით, კერძოდ გლეხების გაყრის დროს მათი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით მებატონე იღებდა გასამრჯელოს პირუტყვით, ნივთით. მებატონე აჯარიმებდა დამნაშავეს შეძლების მიხედვით ჩხუბისთვის, ლანძღვა-გინებისა და სხვა დანაშაულისთვის. საბატონო მიწაზე გლეხს რაც მოსავალი მოუვიდოდა, მებატონე ახდევინებდა ღალას და კულუხს, ხოლო ცხვრებისა და ღორების საძოვრებისთვის – საბალახოს;

3. ფულადი რენტა. გლეხს ეკისრებოდა ფულადი ვალდებულებაც. კერძოდ, მებატონე გლეხს შეაწერდა მათი შესაძლებლობის მიხედვით თავის საქორწილო ხარჯებს 5-დან 50 მანეთამდე ვერცხლით. თუ გლეხის ქვრივი გათხოვდებოდა, მებატონე საქმროს ახდევინებდა 10-დან 50 მანეთამდე ე.წ. `საქვრივოს". გლეხის ქალის გათხოვებისას მებატონე ან მოურავი ღებულობდა სამი აბაზიდან 4 მანეთამდე `საჩექმეს". საბატონე გლეხები – ვაჭრები, რომლებიც ქალაქად ცხოვრობდნენ, შეტანილი იყვნენ გამოსაღებთა განაწილებაში და ახდევინებდნენ ფულად გამოსაღებს.

საქართველოში ხაზინის სასარგებლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემდეგი გადასახადები იკრიბებოდა: სურსათი, კოდის პური, მახტა ფულადი, მახტა პურეულით, მალი, ღალა, საბალახე, ყალანი, კულუხი, საკომლო, სააღდგომო, საშობაო, სამასპინძლო, გასამყრელო, საქვრივე, საჩექმე, შევარდენი, ნაბადი და სხვა. ამ გადასახადების სახე, მოცულობა და წარმოშობა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მაგრამ ისინი თავისი შინაარსით ადგილობრივი ხასიათის იყო და რუსეთთან შეერთებამდე ბევრად ადრე არსებობდა საქართველოში. ჩამოთვლილი გადასახადების გარდა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, გარკვეულ შემთხვევებში და არა მუდმივად, იკრიბებოდა `სარუსო“ და `სალეკო“ გადასახადები.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ზოგიერთი გადასახადის სახე:

სურსათის გადასახადი ერთ-ერთი ძირითადი და საყოველთაო სახელმწიფო გადასახადი იყო. იგი სხვა გადასახადებთან (კოდის პური, ყალანი) შედარებით უფრო გვიან უნდა იყოს შემოსული. გასათვალისწინებელია, რომ სურსათი წარმოშობით არაბული სიტყვაა და ნიშნავს ხარკს, ომიანობის დროის გადასახადს. სურსათი ქართული ჯარის გამოსაკვებად იკრიბებოდა XVIII საუკუნის 40-იანი წლებიდან. სურსათის აკრება მელიქებს ევალებოდათ. იგი იკრიბებოდა როგორც ქართული, ისე რუსთა ჯარისთვისაც. სურსათის გადასახადის გადამხდელი იყვნენ როგორც სახელმწიფო, ისე საბატონო და საეკლესიო გლეხები და მას ძირითადად ხორბლეულით იხდიდნენ. მისი გადახდისგან თავისუფალი იყო საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა.

კოდის პური ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ძველი გადასახადია. იგი, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, პურის გადასახადია, ხოლო კოდი – საწყაო, რომელშიც 10 ლიტრი ჩადის. თუმცა კოდი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი საწყაო არ ყოფილა, იგი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომის იყო. კოდის პურს თანაბრად იხდიდა როგორც სახაზინო, ისე საბატონო და საეკლესიო გლეხობა. წელიწადში კომლზე 4 კოდი პური ყოფილა დაწესებული. გადასახადი ივლისიდან ნოემბრამდე უნდა აკრებილიყო და დავთარში აღნიშნულიყო.

მახტა ცნობილია გვიანფეოდალურ საქართველოში. იგი წარმოადგენდა ნატურალურ და ფულად გამოსაღებს, იკრიბებოდა როგორც პურეულით, ისე ფულად. დაბეგვრის ობიექტი იყო მიწათმოქმედება, ხელოსნობა და ვაჭრობა, ხოლო დაბეგვრის სუბიექტი – სახაზინო გლეხები, ხელოსნები და ვაჭრები. მახტა უნდა გადაეხადათ თითოეულ ოჯახს 3 კოდი პურეულის რაოდენობით (2 კოდი ხორბალი, 1 კოდი ქერი). ფულად მახტას, როგორც სახელმწიფო გამოსაღებს, ახდევინებდნენ ვაჭრებსა და ხელოსნებს ქალაქად და სახელმწიფო გლეხებს ქალაქად და სოფლად. მას იხდიდა ასევე მუსულმანი მოსახლეობა, რომელიც ხაზინას ეკუთვნოდა. ის, როგორც სახელმწიფო გადასახადი, სამეფო ხაზინის მნიშვნელოვან შემოსავალს შეადგენდა და იხდიდნენ წელიწადში ერთხელ, შემოდგომაზე.

მალი არაბული სიტყვაა და გადასახადს ნიშნავს. იგი მონღოლების მიერ იქნა შემოღებული და თავდაპირველად (XIII-XIV სს.) მიწაზე დაწესებული გადასახადის აღმნიშ-ვნელ ტერმინს წარმოადგენ-და. მაგრამ უკვე XV საუკუნეში მალი კომლზე წესდება, უფრო გვიან კი სულადობრივ გადასახადად იქცა. ოჯახის პატრონზე სრული მალი (6 აბაზი) იკრიბებოდა, ხოლო ახალნაქორწინევზე – ნახევარი მალი (3 აბაზი). შემდგომ პერიოდში (XIX საუკუნის დამდეგისთვის) მალი, როგორც ფულადი გადასა-ხადი, უმთავრესად ქალაქის მცხოვრებლებზე დადებული სახელმწიფო ფულადი გადასახადია იყო.

ყალანი, როგორც გადასახადი, საქართველოში XIII საუკუნიდან შემოდის და თავდაპირველად სა-ლაშქრო მოვალეობა (სამხედრო ბეგარა) ყოფილა, ხოლო შემდეგ გადასახადად ქცეულა. ყალანი სხვა გადასახადებთან ერთად სამეფო ხაზინაში შედიოდა და მეფის `საკითხავს“ წარმოადგენდა. იგი წარ-მოადგენდა საადგილმამულო გადასახადს, რომლითაც დაბეგრილი იყო გლეხთა მიწის ნაკვეთები, ე.წ. საკომლოები. მას თავდაპირველად ნატურით იხდიდნენ: ცხვრით, ბატკნით, ციკნით, ქათმით, ერბოთი, ხორბლით, ქერითა და თივით. XIX საუკუნეში ყალანი უკვე ფულით იკრიბებოდა და უმთავ-რესად მთიან რაიონებში ყოფილა შემორჩენილი.

ღალა ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი უძველესი გადასახადია. იგი ყანაზე, ანუ მარ-ცვლეულზე დადებული გადასახადია. ღალა მარტო სახელმწიფო ანუ სამეფო გადასახადი არ იყო, მას იხდიდნენ საეკლესიო ყმები ეკლესიის სასარგებლოდ და საერო ფეოდალების ყმები თავისი ბა-ტონის სასარგებლოდ.

კულუხიც ერთ-ერთი უძველესი გადასახადია საქართველოში. იგი ღვინის გადასახადია იმ მიწით სარგებლობისთვის, რომელზეც ვენახია გაშენებული. გლეხი კულუხს ღვინით იხდიდა მას შემდეგ, რაც ღვინოს დაამზადებდა, ხოლო ახლად გაშენებული ვენახი, ვიდრე მოსავალს არ იძლეოდა, თავი-სუფალი იყო ამ გადასახადისგან.

საბალახე ხაზინის სასარგებლოდ საქართველოს ზოგიერთი კუთხიდან იკრიბებოდა. მას იხდიდა ყველა, ვისაც საძოვრები სჭირდებოდა. სახელმწიფო მიწაზე ჯოგის გამოკვებისთვის მოკრებილი სა-ბალახე მეფის ხაზინაში შედიოდა. ახლად მოსული კაცი ამ გადასახადისგან ერთი წლის განმავლობა-ში თავისუფალი იყო, ხოლო შემდეგ 100 ცხვარზე 2 ცხვარს და 1 ბატკანს იხდიდა.

საკომლო _ კომლი გარკვეული ოჯახია, რომლის წევრები ერთად ცხოვრობენ, ერთად ეწევიან მეურნეობას და მიწის გარკვეული ფართობი უჭირავთ. ამიტომ საკომლო ამოიღებოდა იმის სასარ-გებლოდ, ვის მიწაზეც კომლი იყო დასახლებული. სადედოფლო მამულების და სოფლების 1801 წლის ნუსხაში ვხვდებით საკომლო გადასახადს, რომელიც კომლზე ორი აბაზის ოდენობით ყოფილა დაწე-სებული. ამ დროისათვის ეს გადასახადი იკრიბებოდა როგორც ნატურალური, ისე ფულადი ფორ-მით.

სამასპინძლო გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს გადასახადია. ტერმინიდან გამომდინარე, იგი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო არა გადასახადი, არამედ გარკვეული დამოკიდებულების სა-ხე, რომელიც შემდგომში გადასახადად იქცა. სამასპინძლო გულისხმობს როგორც ბატონის გამას-პინძლებას, ბატონისთვის გაწეულ სამსახურს, ასევე გადასახადს.

შევარდენი საქართველოს მოსახლეობაში ხაზინის სასარგებლოდ იკრიბებოდა. როგორც სამას-პინძლო, ისიც თავდაპირველად გადასახადი არ იყო, არამედ – ყმის მოვალეობა ბატონის მიმართ და გულისხმობდა გარკვეულ სამსახურს, რომელიც ზოგიერთმა სოფელმა მეფეს უნდა გაუწოს. კერ-ძოდ, შევარდენის ბუდეები ებარათ და მათი მოვლა ეკისრებოდათ. ზოგიერთ მხარეს (კლდეკარი, ჯა-ვახეთი) ევალებოდა მეფისთვის ორი შევარდენი მიერთმია.

საქვრივეს იხდიდნენ საბატონო, საეკლესიო და სახაზინო გლეხთა ქვრივზე დაქორწინებისას, მაგრამ ამ შემთხვევაში გადასახდელს ღებულობდა არა ხაზინა, არამედ მათი მფლობელი, ანუ იგი ბა-ტონის სასარგებლოდ გლეხის ქვრივის წამყვანს უნდა გადაეხადა.

საჩექმეც მსგავსი სახის გადასახადი იყო,რომელიც გლეხის ქალის გათხოვებისთვის იკრიბებოდა ბატონის სასარგებლოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნიკოლეიშვილი ო., მესხია ი., – გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი 2004.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., – საგადასახადო საქმე. თბილისი 2007.
3. მოსიაშვილი ვ. ჭელიძე მ. _ ფინანსები. თბილისი 2016.
4. ცაავა გ., ხანთაძე გ., – საჯარო ფინანსები. თბილისი 2014.

ჯუმბერ ხარაიშვილი

ნოდარ ხარაიშვილი

საინვესტიციო საბანკო საქმიანობის განხორციელების ძირთადი მექანიზმები

საბანკო დაწესებულებებში საინვესტიციო საქმიანობის თეორიული საფუძვლების კვლევა უნდა განხორციელდეს მისი განხორციელების მეთოდებისა და მექანიზმების შესწავლის მიმართულებით. ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა იმასთან მიმართებაში, თუ რა ჩაითვალოს ინვესტირების მეთოდებად და როგორ უნდა იქნენ ისინი კლასიფიცირებული და დაჯგუფებული.

მაგალითად, ხშირად ინვესტირების მეთოდები იყოფა ხანმოკლე, გრძელვადიან ინვესტირების მეთოდებად და საკუთარი კაპიტალის ფორმირებად. კრედიტორებისა და აქციონერების ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის პოზიციებიდან წინა პლანზე გამოდიან ინვესტიციებში მოთხოვნილებების გარეგანი (ნასესხობებისა და აქციათა ემისიის ხარჯზე) და შინაგანი (გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე) დაკმაყოფილების მეთოდები.

ინვესტირების მეთოდების რიცხვს, რომლებიც ახასიათებენ კაპიტალის ბაზარზე სუბიექტების ურთიერთქმედების მექანიზმს აგრეთვე, მიაკუთვნებენ, პირდაპირი და არაპირდაპირი ინვესტირების მეთოდებს. პირდაპირი ინვესტირების დროს იმ სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულებები, რომლებიც განიცდიან დაფინანსების დეფიციტს ან სახსრების დროებით სიჭარბეს, მყარდება პირდაპირი გზით, დამატებითი საფინანსო ინსტიტუტების ამოქმედების გარეშე, რომლებიც ახორციელებენ შუამავლობას ლიკვიდურობაში. არაპირდაპირი ინვესტირების მეთოდები, როგორც წესი, გამოიყენება პირდაპირი ინვესტირების შესაძლებლობების ამოწურვისას თანხებითა და განხორციელების ვადებით მისი შეზღუდულობის გამო. ინვესტიციების ფინანსური უზრუნველყოფის ძირითად არხად იქცევიან ფინანსური შუამავლები, რომლებიც ახდენენ ჭარბი ლიკვიდურობის აკუმულირებას და სთავაზობენ მას დეფიციტურ ეკონომიკურ სუბიექტებს. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსების მეთოდები განიხილებიან ან, მთლიანობაში, ეკონომიკის დონეზე, ან ეკონომიკის არაფინანსური სექტორის საწარმოებთან მიმართებაში, გვესახება, რომ მათ ადგილი აქვთ ფინანსური ინსტიტუტების, მათ შორის ბანკების, საქმიანობაშიც. ბანკების მსესხებელთა რიცხვში მნიშვნელოვანი კუთრი წონა აქვთ სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს – ბანკებს, მათ გაერთიანებებს, ბიუჯეტს, ცენტრალურ ბანკს, საპენსიო და საინვესტიციო ფონდებს, რომელთა სახსრები ბანკის მიერ გამოიყენება დაფინანსების წყაროდ.

ბანკის საინვესტიციო საქმიანობის ობიქტთა დაჯგუფებისას ცხადი ხდება, რომ ინვესტირების ობიექტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ ბანკის მიერ ინვეს-

ტიციებში კლიენტების მოთხოვნილების დაფინანსების თუ სხვა ისეთი ხერხებით მათი დაკმაყოფილების შედეგს, რომლებიც არ საჭიროებენ დაფინანსებას. ეს გარემოება შეიძლება წარმოადგენდეს საფუძველს დასკვნისთვის იმის შესახებ, რომ ბანკის საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების მეთოდებს წარმოადგენენ:

❖ ინვესტიციებში ბანკის ფინანსირებადი მონაწილეობის მეთოდები, რომლებიც დაკავშირებული არიან ინვესტორის ან კრედიტორის უფლებებზე პროექტების რეალიზაციაში ბანკის მონაწილეობასთან;

❖ კონსულტანტის, ორგანიზატორის, ბროკერის, დეპოზიტარის ან ნდობით აღჭურვილი მმართველის უფლებებზე ინვესტიციებში ბანკის არაფინანსირებადი მონაწილეობის მეთოდებს.

ეკონომიკაში ბანკების ფუნქციური როლიდან გამომდინარე, რომელიც, მათ შორის, მდგომარეობს ინვესტიციებში ეკონომიკის სუბიექტების მოთხონილებათა ფინანსურ უზრუნველყოფაშიც, ინვესტირების მეთოდებს შორის წამყვან როლს ჩვენ ვაკუთვნებთ ინვესტიციებში ბანკის ფინანსირებადი მონაწილეობის მეთოდს.

ის გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი ურთიერთქმედებს ეკონომიკის იმ სუბიექტებთან, რომელთა საქმიანობა წარმოადგენს ბანკისთვის ინტერესს და განიხილება მის მიერ როგორც ობიექტი გრძელვადიანი ინვესტიციებისთვის. კლიენტებთან ბანკის ურთიერთქმედების ხარისხი შეიძლება იყოს სხვადასხვა. ერთ შემთხვევაში ბანკი ცდილობს არა მარტო დააფინანსოს კლიენტის მოთხოვნილება, არამედ შეიძინოს ამ დროს საინვესტიციო აქტივები, რომლებიც ბანკს ანიჭებენ საკუთრების უფლებას და კლიენტის საქმიანობაზე კონტროლის უფლებას.

წილობრივი ინვესტირების მეთოდის დახასიათება განხორციელების ფორმებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ჭრილში წარმოდგენილია ნახაზზე 1.



ნახაზი 1. წილობრივი ინვესტირების მეთოდის დახასიათება

წილობრივი ინვესტირების მეთოდი ხასიათდება შემდეგი განმასხვავებელი ნიშნებით:

▪ სამართალურთიერთობები ბანკსა და კლიენტს შორის წარმოიქმნება სავალდებულო-სამართლებრივი ბუნების მქონე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, რადგან პირს, რომელმაც მიიღო ინვესტიციები, უჩნდება ვალდებულება შეასრულოს ბანკ-ინვესტორთან მიმართებაში განსაზღვრული მოქმედებები: საკუთრებაში გადასცეს ქონება, ამ დროს ასეთი ურთიერთობები არ არიან სავალო, რადგან არ არსებობს ფულადი სახსრების მიღებული ოდენობის უკან დაბრუნების ვალდებულება;

- ინვესტიციების რეალიზაცია ევალება კლიენტს – პირს, რომელმაც მიიღო ინვესტიციები, ან სხვა პირს, რომელიც მოქმედებს მასთან ერთად ხელშეკრულებით;
- ბანკი, როგორც ინვესტიციების მონაწილე, მოქმედებს სხვა ინვესტორებთან ერთად;
- ბანკი,როგორც წილობრივი ინვესტირების მონაწილე, ელის შემოსავლის მიღებას, რომელიც გამომდინარეობს ბანკის მიერ შეძენილი საკუთრების უფლებიდან საწარმოს საქმიანობაში;
- სახსრების დაბანდებები დაკავშირებულია ბანკინვესტორისთვის დაბანდებული სახსრების დაკარგვის რისკთან, რადგან ის მოკლებულია მათ გამოყენებაში მონაწილეობის შესაძლებლობას (ამიტომ ინვესტირების აღნიშნულმა მეთოდმა საზღვარგარეთის პრაქტიკაში მიიღო სახელწოდება „მონაწილეობა ინტერესში“).

სხვა მიზნებს ისახავს ბანკი, როდესაც იყენებს სავალო ინვესტირების მეთოდს. აქ პრიორიტეტი ენიჭება არა კონტროლს მსესხებლის საქმიანობაზე საკვანძო ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, არამედ იმას, რომ წინა პლანზე გამოდის ინვესტირებისაგან რეგულარული შემოსავლის მიღება, რომელიც წინასწარაა განსაზღვრული. სავალო ინვესტირება გამოიყენება ბანკის მიერ მსესხებლებთან ურთიერთქმედებისას, რომლებსაც ვალის მოთხოვნის უფლების სანაცვლოდ აძლევს ფულად საშუალებებს მათი დაბრუნების პირობით საშუალებების გამოყენების დადგენილი ვადის ამოწურვისთანავე. სავალო ინვესტირების განხორციელების განხორციელების ფორმებისა და ინსტრუმენტების სახეობრივი სტრუქტურა მრავალფეროვანია. მისთვის დამახასიათებელია ინვესტიციების განხორციელების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა დაბანდება სავალო ფასიან ქაღალდებში (ობლიგაციებში), საინვესტიციო დაკრედიტება, ფინანსური ლიზინგი, რომლებსაც, მიუხედავად სპეციფიკური თავისებურებების არსებობისა, გააჩნიათ ზოგადი თვისებები. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ: ვალის ოდენობა ფიქსირებულია; საშუალებების გამოყენების ვადის ამოწურვისთანავე ისინი დაბრუნებულ უნდა იქნენ ბანკი – კრედიტორისთვის გადასახდელ პროცენტებთან ერთად; ბანკს არ ენიჭება მსესხებლის საქმიანობაზე კონტროლის უფლება, მაგრამ გააჩნია ინფორმაცია მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც საჭიროა საკრედიტო გარიგების მონიტორინგისთვის და საინვესტიციო დაბანდებების გაუფასურების (პრობლემურობის) ხარისხის ადრეული დიაგნოსტიკისთვის.

დამოუკიდებელი ადგილი ინვესტიციებში ბანკის ფინანსირებადი მონაწილეობის მეთოდების სისტემაში უკავია შერეულ ინვესტირებას. მის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ბანკის მიერ ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებშიც შეუღლებულია წილობრივი და სავალო ინსტრუმენტების ნიშან – თვისებები (მაგალითად, სუბორდინირებული სესხები) ან ბანკს ანიჭებს სავალო ინსტრუმენტების წილობრივზე გაცვლის უფლებას განსაზღვრული, დამატებით შეთანხმებული, მოვლენების დადგომისას (მაგალითად, ოფციონები). შერეული ინვესტირება წარმოადგენს ეკონომიკის იმ სუბიექტებთან ბანკის ურთიერთქმედების ორგანიზაციის ყველაზე პერსპექტიულ ხერხს, რომლებიც განიცდიან მოთხოვნილებას ინვესტიციებში. ბანკს, რომელიც იყენებს ამ მეთოდს თავის საქმიანობაში, ეძლევა შესაძლებლობა „იმოქმედოს გარემოებების მიხედვით“ და მიიღოს გადაწყვეტილება ინვესტიციებში თავისი მონაწილეობის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ მოვლენათა სასურველი განვითარებისას.

ბანკების მონაწილეობით შერეული ინვესტირების ფორმებს შორის ამჟამად ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვეს სუბორდინირებულმა სესხებმა. მათი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბანკი აძლევს მსესხებელს კრედიტს, რომლის პირობები განსხვავდება ტრადიციული პირობებისაგან. მაგალითად, სუბორდინირებული სესხები არ არიან უზრუნველყოფილი, საპროცენტო განაკვეთი მასზე უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო განაკვეთს ანალოგიურ საკრედიტო პროდუქტებზე, ბანკს არ შეუძლია ვადამდე წარმოადგინოს კრედიტი დასაფარად. უფლებებში ასეთი შეზღუდვების სანაცვლოდ იძენს სტატუსს, რომელიც გათანაბრებულია სტრატეგიულ ინვესტორთან და შემდგომში შეიძლება გახდეს ის, რადგან სუბორდინირებული ნასესხობები განიხილებიან როგორც კაპიტალში „შესვლის“ წინამორბედი სტადია.

ვახასიათებთ რა ინვესტიციებში ბანკის ფინანსირებადი მონაწილეობის მეთოდს, საჭიროდ ვთვლით ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ინვესტიციებში ბანკის ფინანსირებადი მონაწილეობის ყველა მეთოდის შემადგენლობაში შედის ინვესტირების ისეთი ფორმა, როგორიცაა საპროექტო ფინანსირება. ეს აიხსნება იმით, რომ საპროექტო ფინანსირებაში ბანკის ფუნქციები მრავალფეროვა-

ნია და ბანკი, საპროექტო დაფინანსების გარიგების ორგანიზაციის ხერხის მიხედვით, ერთდროულად შეიძლება გამოდიოდეს კრედიტორადაც და ინვესტორადაც, აგრეთვე, შეიძლება ჯერ გამოდიოდეს პროექტის კრედიტორად, ხოლო შემდეგ იძენდეს ინვესტორის სტატუსს.

ინვესტირების აღწერილი მეთოდები, მთლიანობაში, ასახავენ ინვესტირების შესაძლო ობიექტების, ინსტრუმენტებისა და ფორმების მთელ სპექტრს, რომლებიც ერთობლიობაში გვაძლევენ წარმოდგენას ინვესტირების მექანიზმების შესახებ, რომელთა საშუალებითაც ბანკს შეუძლია დააბანდოს საშუალებები შემოსავლის მიღების მიზნით. ინვესტირების მეთოდის არჩევა უნდა ეფუძნებოდეს გარიგების ძირითად პარამეტრებს და მათ გავლენას მაჩვენებლებზე, რომლებიც ახასიათებენ ბანკ-ინვესტორის საქმიანობას და რომლებიც წარმოადგენენ საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის საგანს. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ: ინვესტიციების ობიექტი და მისი ღირებულებითი შეფასება; სახსრების დაბანდების სავარაუდო ვადა; ინვესტირებული საშუალებების დაკარგვისა და შემოსავლის ხელიდან გაშვების შესაძლებლობა ე.წ. ინვესტირების რისკები.

მსესხებლებთან კავშირის სიმტკიცის ხარისხის მიხედვით ინვესტირების მეთოდების გამოყოფა ისევ უნდა განიხილებოდეს ინვესტირების ხერხების ასპექტში, რადგან პარტნიორული ურთიერთობები გულისხმობენ ურთიერთმოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ინვესტირების ინსტრუმენტების რაც შეიძლება ფართო ნაკრების გამოყენებით. მაგალითად, დღეს ოპერაცია საპროექტო დაფინანსებაზე იქცა კომპლექსურ მომსახურეობად, როდესაც კლიენტს უწევენ მომსახურეობათა სრულ კომპლექსს პროექტის შეფასებაზე, ინვესტორების ძიებასა და საშუალებების უშუალო გაცემაზე სხვადასხვა ფორმით.

ბიბლიოგრაფია

1. ბერიძე რ. საბანკო მენეჯმენტი. – თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.
2. ინგოროყვა ა., ცაავა გ. ფინანსური მენეჯმენტი. თეორია, მეთოდები და პრაქტიკა, სახელმძღვანელო, ტომი II: საწარმოს ფინანსების მართვა. – თბილისი: გამომცემლობა „გრაალი“, 2011.
3. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. სახელმძღვანელო. – თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი“, 2014.
4. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ. საბანკო საქმის საფუძვლები, სახელმძღვანელო. – თბილისი: გამომცემლობა „დანი“, 2013.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში. 2016: Error! Hyperlink reference not valid.annual_report_2015.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 03.04.2018.
6. საქართველოს ეროვნული ბანკი. 2006-2017 წლების წლიური ანგარიშები: https://www.nbg.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 23.05.2018.
7. Кейнс Дж. М. Общая теория занятости, процента и денег / Пер. с англ. – М.: Прогресс, 1978.
8. // http: //www.bibliotekar.ru, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 23.03.2017.
9. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 23.05.2018.
10. https: //www.nbg.gov.ge და www.inf.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 23.05.2018.

ვანო შუშტაკაშვილი

საქართველოს საბანკო სისტემაში გამოყენებული რისკების მართვის მეთოდები

კომერციული ბანკი, გარდა იმისა, რომ არის ბიზნესის სახეობა, ატარებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფუნქციას და ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი რგოლია, საბანკო რისკების ცოდნა, აღმოჩენა, იდენტიფიკაცია და კონტროლი სახელმწიფო ინტერესის ობიექტებს წარმოადგენენ. კომერციულ ბანკს საქართველოში აქვს იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოზიდვის ექსკლუზიური უფლება, რათა შემდეგ გასცეს ისინი თავისი სახელით კრედიტების სახით. 2013 წლის ბოლოსათვის საქართველოს საბანკო სისტემაში კონცენტრირებული იყო 9.7 მლრდ ლარის არასაბანკო დეპოზიტები, ანუ იურიდიული (ბანკების გარდა) და ფიზიკური პირების ფულადი სახსრები. აღნიშნული დეპოზიტების წილი საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 53%-ს, ხოლო მთლიანი ვალდებულებების 64%-ს შეადგენდა.

ბანკების მიერ საზოგადოებისაგან მიღებული ფულადი სახსრები არაა უფასო და კომერციულ ბანკს უწევს ისე გამოიყენოს (დააბანდოს) ეს სახსრები, რომ გაისტუმროს მათ მოზიდვასთან დაკავშირებული პროცენტული ხარჯები, დაფაროს მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები და დარჩეს მოგება, რათა დააკმაყოფილოს აქციონერთა ინტერესები. სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან (ეროვნული ბანკის სახით) მთავარი საზრუნავია ამ სახსრების მფლობელთათვის დროულად და სრულად დაბრუნების გარანტირების მექანიზმების არსებობა, ვინაიდან კომერციული ბანკის (ბანკების) მენეჯმენტის მხრიდან არასაკმარისი პროფესიონალიზმის ან შედარებით მაღალრისკიანი ოპერაციების განხორციელებამ მეტი მოგების მისაღებად შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი, ფიზიკური პირებისათვის, ფულადი სახსრების დაბრუნება. ამიტომ ეროვნული ბანკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, აკონტროლოს კომერციული ბანკები, „მოთოკოს“ მათი მეტისმეტად რისკიანი ოპერაციების განხორციელების ცდუნება, ვინაიდან კომერციული ბანკი მუშაობს „სხვისი“ ფულით და ამ ფულის უკან დგას საზოგადოება.

როგორც ვიცით საქართველოში კომერციულ ბანკებს ზედამხედველობას საქართველოს ეროვნული ბანკი უწევს, მაშინ როცა ევროპაში საფინანსო ინსტიტუტების ზედამხედველობა ხორციელდება ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის მიერ, რომლის საქმიანობაც დამოუკიდებელია და რეგულირდება „ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის შესახებ აქტით“. ფინანსური ზედამხედველობის სამსახური ანგარიშვალდებულია ქვეყნის პარლამენტისა და ეროვნული ბანკის წინაშე.

როგორც ნებისმიერი ცენტრალური ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი და ესტონეთის ეროვნული ბანკი, ფინანსური ზედამხედველობის სამსახური საზედამხედველო პოლიტიკის გატარებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კომერციულ ბანკებში რისკების მართვის სისტემების ადეკვატურობას, რათა ეს სისტემები იძლეოდნენ რისკების გონივრული მართვის, დროული იდენტიფიცირების, ადეკვატური შეფასების, ეფექტიანი მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას.

თანამედროვე ქართულ პრაქტიკაში ეროვნული ბანკის მხრიდან საზედამხედველო ფუნქციის შესრულებისას კომერციული ბანკების რისკების მართვისათვის ძირითადად გამოიყენება სამი მიმართულება: 1. საბანკო ზედამხედველობა CAMEL-ის სისტემით; 2. საბანკო ზედამხედველობა თემატური შემოწმებით; 3. სავალდებულო ნორმატივები კომერციული ბანკებისათვის.

1. *საბანკო ზედამხედველობა CAMEL-ის სისტემით.* საქართველოში CAMEL-ის სისტემით კომერციული ბანკების რისკების შეფასების საფუძველს წარმოადგენს „კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის

CAEL-ის სისტემით ანალიზისა და შეფასების მეთოდური სახელმძღვანელო“[29]. სახელმძღვანელოს მიხედვით, „საბანკო ზედამხედველობის ძირითად არგუმენტს მეანაბრეთა დანაკარგის რისკის შემცირება და ამ გზით ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს“.

როგორც ვიცით, CAMEL-ის სისტემით ჩატარებული ანალიზის შემდეგ ხდება კომერციული ბანკისათვის შესაბამისი რეიტინგის დადგენა 1-დან 5-მდე. მინიჭებული რეიტინგი უნდა ასახავდეს კომერციული ბანკის არსებულ ფინანსურ მდგომარეობას, მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით, თუ როგორ იცავს ბანკი დადგენილი კანონებისა და წესების დაცვას. ამასთან, აუცილებელია, დაბალი რეიტინგის (3, 4, 5) მქონე ბანკების ზედამხედველობის დასკვნა მოიცავდეს ინფორმაციას ბანკში არსებული პრობლემებისა და ნაკლოვანებების შესახებ, მათ დონესა და სერიოზულობას. დასკვნაში ასევე მითითებული უნდა იყოს არსებული პრობლემების წარმოშობის მიზეზები, მათი აღმოფხვრისათვის გასატარებელი ღონისძიებები და რეკომენდაციები. მთლიანობაში დასკვნამ უნდა მოიცვას ბანკის არსებული ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, ბანკის საქმიანობისა და რისკის პროფილის შეფასება, ანუ რომელ რისკებთან გვაქვს საქმე.

ანალიზისა და რეიტინგის მინიჭების დროს უმთავრესია დადგინდეს ბანკის წინაშე მდგარი რისკები, ვინაიდან ბანკი დღეს შეიძლება სტაბილური და უსაფრთხო იყოს, მაგრამ მაღალი რისკის ფაქტორებმა, მათი არასწორი და არაკომპეტენტური მართვის შემთხვევაში, შეიძლება მისი ფინანსური მდგომარეობის სწრაფი გაუარესება გამოიწვიოს. როგორც გვახსოვს, CAEL-ის რეიტინგული სისტემით ხდება კაპიტალის, აქტივების, მოგება-ზარალისა და ლიკვიდობის მდგომარეობისა და მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების შეფასება.

2. *საბანკო ზედამხედველობა თემატური შემოწმებით.*

თემატური შემოწმება შეიძლება განხორციელდეს ადგილზე გასვლით (ინფორმაციის მიღება უშუალოდ ბანკში) ან ადგილზე გაუსვლელად (ბანკების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების დეტალური შემოწმება). ასეთი მიდგომა განიხილება, როგორც ურთიერთშევსების მექანიზმი და არა როგორც ალტერნატივა. ამასთან, ამ ორი მიმართულების სინთეზით იქმნება ძლიერი კომბინაცია, თუ, რა თქმა უნდა, მათი განხორციელება ხდება კოორდინირებულად. ამ მხრივ თვალსაჩინოა „კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვანელო“[30], რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორების მიერ კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების სამუშაოების ეფექტიანად ორგანიზებისა და წარმართვის ინსტრუქციას. ეს არის საკმაოდ მოცულობით დოკუმენტი და შედგება 7 თავისა და 31 პარაგრაფისაგან. თვალი გადავავლოთ ამ ჩამონათვალს, რაც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის მიმართულებების მრავალფეროვნებასა და განსახილველი საკითხების სირთულეზე:

თავი პირველი – შემოწმების პოლიტიკა და ადმინისტრირება: შემოწმების საერთო პოლიტიკა; შემოწმების ადმინისტრირება;

თავი მეორე – კაპიტალი: კაპიტალის ანალიზი და მისი ადეკვატურობის სტანდარტები;

თავი მესამე – აქტივების ხარისხი: საკრედიტო პორტფელის ანალიზი, განხილვა და კლასიფიკაცია; შეფასების ამოცანები; სავალო ფასიანი ქაღალდებისა და აქციების რისკის მართვის შეფასება; სავალო ფასიანი ქაღალდების პორტფელის რისკის მართვის შეფასება; აქტივების ხარისხის რეიტინგი;

თავი მეოთხე – მენეჯმენტის შეფასება: ადმინისტრაციის ადეკვატურობის შეფასება; შიდა კონტროლის სისტემის შეფასების პროცედურები;

თავი მეხუთე – მოგება: ცნებები და ტერმინთა განმარტებები; მომგებიანობის შეფასება და ადეკვატურობა; მომგებიანობის ფინანსური ანალიზი; მოგების ფინანსური ანალიზის პროცედურები;

[29] დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 25 სექტემბრის №251 ბრძანებით.

[30] დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 25 სექტემბრის №250 ბრძანებით

თავი მეექვსე – ლიკვიდობა: ლიკვიდობის ანალიზი; ლიკვიდობის შემოწმების პროცედურები;

თავი მეშვიდე – სხვადასხვა შესამოწმებელი საკითხები: სასამართლოში საქმეთა წარმოება და სხვა იურიდიული საქმიანობა; ჰეჯირების შეფასება; გარესაბალანსო ოპერაციები; სალარო, ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე (ფულადი დოკუმენტები), ძვირფასი ლითონები; საკურიერო მომსახურება, მისი შემოწმების პროცედურები და შედეგები; საერთაშორისო სესხები / ვაჭრობის დაფინანსება; უცხოური დებიტორული დავალიანების დაფინანსება და მისი შემოწმების პროცედურები; საერთაშორისო საბანკო აქცეპტები, მისი შემოწმების პროცედურები და შიდა კონტროლის კითხვარი; საერთაშორისო აკრედიტივები და მათი შემოწმების პროცედურები; საერთაშორისო გარანტიების შემოწმების პროცედურები და შიდა კონტროლის შემოწმების კითხვარი; საერთაშორისო საკრედიტო და სავაჭრო ტერმინოლოგია; კომპიუტერული მომსახურება და შიდა კონტროლის შემოწმების კითხვარი; სახსრების ელექტრონული გადარიცხვა, მისი შემოწმების პროცედურები და შიდა კონტროლის შემოწმების კითხვარი; გარე აუდიტი; შიდა აუდიტის სამსახურის შეფასების პროცედურები.

ბანკების ზედამხედველობის აღნიშნული მიმართულების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს დეპოზიტორთა ინტერესების დაცვა და ცალკეული ბანკების კეთილსინდისიერებისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნება. ამგვარი ნდობა აუცილებელია, რადგან კლიენტები საბანკო სისტემის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენენ და ამის გარეშე ბანკები ვერ შეძლებენ თავიანთი ყველაზე მთავარი დანიშნულების – ფინანსური მომსახურების განხორციელებას. შემოწმების დროს აუცილებელია, შეფასდეს, თუ რამდენად ადეკვატურად იცავს კონკრეტული ბანკი ნორმატიულ აქტებსა და რისკების მართვის და მინიმიზაციის მიზნით დადგენილ პროცედურებს, ლიმიტებსა და ნორმებს.

3. *სავალდებულო ნორმატივები კომერციული ბანკებისთვის.* საბანკო ზედამხედველობის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს რისკების ზედმეტი კონცენტრაციისაგან დაცვა, რომელიც დაკავშირებულია კომერციული ბანკის კონკრეტულ კონტრაგენტებთან, სექტორებთან ან ქვეყნებთან, რადგან რაც უფრო დიდია რისკების კონცენტრაცია, მით უფრო მაღალია დანაკარგების პოტენციალი.

საბანკო ზედამხედველობის დარგში ტრადიციულ გადაწყვეტილებად ითვლება ოპერაციების მოცულობის შეზღუდვა ცალკეულ კონტრაგენტებთან ან კონტრაგენტთა ჯგუფებთან, საკუთარი სახსრების განსაზღვრული წილის (საზედამხედველო კაპიტალის) ეკვივალენტურ დონემდე.

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების მდგრადი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და მათ მიერ საკრედიტო რისკის მართვისათვის, მსხვილი რისკების რეგულირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი პირველ ნაბიჯებს დგამს 1995 წლის დასაწყისიდან, როცა ძალაში შედის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში კომერციული ბანკების საქმიანობის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების შესახებ“[31].

ამის შემდეგ აღნიშნულ დოკუმენტში შევიდა ბევრი ცვლილება და დამტკიცდა ახალი რედაქციით. ისინი, ერთი მხრივ, ეხებოდა სავალდებულო ნორმატივების ახალი სახეობების გაჩენას ან ძველების გაუქმებას, მეორე მხრივ – ზღვრული მაჩვენებლების ცვლილებას (გამკაცრება ან შესუსტება). ზოგიერთი ტიპის ან სახეობის ნორმატივის „გაჩენა“ ან „გაქრობა“ განპირობებული იყო იმ როლით, რომელიც მას ეკუთვნოდა საბანკო სისტემის რეფორმირების კონკრეტულ ეტაპზე.

სანამ შევუდგებით დღეს არსებული კოეფიციენტების სრული ნაკრების დეტალურ დახასიათებას, უნდა განვმარტოთ ტერმინი „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“.

1988 წელს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებასთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრაქტიკა, რომელსაც „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“ ეწოდა. აღნიშნული პრაქტიკა საქართველოში გამოიყენება 1998 წლიდან. რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები გულისხმობს საკრედიტო და საბაზრო რისკებით შეწონილი აქტივების ჯამს.

[31] დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობის 1995 წლის 27 იანვრის №10 დადგენილებით.

აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნით ბანკის აქტივები იყოფა 4 კატეგორიად და თითოეული კატეგორიის აქტივებს შეესაბამება საკრედიტო რისკის შესაბამისი კოეფიციენტი:

- 1 კატეგორიის აქტივები, 0%-იანი საკრედიტო რისკი – კოეფიციენტი 0;
- 2 კატეგორიის აქტივები, 20%-იანი საკრედიტო რისკი – კოეფიციენტი 0.2;
- 3 კატეგორიის აქტივები, 50%-იანი საკრედიტო რისკი – კოეფიციენტი 0.5;
- 4 კატეგორიის აქტივები, 100%-იანი საკრედიტო რისკი – კოეფიციენტი 1.0.

დებულებით დეტალურადაა განმარტებული, თუ რა შედის თითოეულ საკრედიტო რისკსდაქვემდებარებულ კატეგორიის აქტივებში. მაგალითად, 0%-იანი საკრედიტო რისკსდაქვემდებარებული 1 კატეგორიის აქტივებს განეკუთვნება:

ა) ბანკში არსებული ნაღდი ფულადი სახსრები ლარებით და „ეგთო“-ს (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია,) წევრი ქვეყნების ვალუტით;

ბ) საქართველოს ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო და მინიმალური რეზერვების ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები;

გ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;

დ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;

ე) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;

ვ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია ამავე ბანკში დაჯავშნილი დეპოზიტებით.

შესაბამისად, განსაზღვრულია 20%-იან, 50%-იან და 100%-იან საკრედიტო რისკსდაქვემდებარებული 2, 3 და 4 კატეგორიის აქტივები.

აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის შედეგად მიიღება სხვადასხვა კატეგორიის აქტივი, რომლებიც დაჯგუფებული არიან მათი რისკის ხარისხის შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ შეიძლება არსებობდეს მუხლები, რომლებიც არ ექვემდებარება შეწონვას გაანგარიშების მეთოდოლოგიის თანახმად.

უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო რისკების მიხედვით შეწონვას (კატეგორიებად დაყოფა და შესაბამის კოეფიციენტებზე გამრავლება) ექვემდებარება ბალანსგარეშე ვალდებულებებიც. ამ შემთხვევაშიც, მსგავსად აქტივებისა, გვაქვს 4 კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომლებიც ასევე შეიწონება 0, 0.2, 0.5 და 1.0 კოეფიციენტებით.

ბუნებრივია, საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისა და ბალანსგარეშე ვალდებულებების დაჯამებით მიიღება ერთიანი საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, რომელთაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა დაემატოს შესაბამისი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები.

ქართული რეგულაციით, საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მეთოდოლოგია საბაზრო რისკად მიიჩნევს მხოლოდ სავალუტო რისკებს. სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ ვალუტაში ფორმირებულ აქტივებს შეესაბამება 50%-იანი რისკის კატეგორია და სავალუტო რისკის კოეფიციენტია 0.5. ინფორმაციისათვის: ეს მაჩვენებელი 2008 წლამდე იყო 1.0, ხოლო 2009 წლის ივლისამდე 0.75-ს შეადგენდა.

ამგვარად, ჯამური რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მოცულობაში შედის შესაბამისი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული სამი კომპონენტი:

- საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები;
- საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი ბალანსგარეშე ვალდებულებები;

❖ საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები.

ზემოაღნიშნული სამი კომპონენტის დაანგარიშებით და დაჯამებით მიღებული რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ჯამური მაჩვენებელი გამოიყენება კაპიტალის ადეკვატურობის ორი სავალდებულო ნორმატივების გაანგარიშებისათვის.

უკვე შესაძლებელია დავახასიათოთ დღეისათვის საქართველოში მოქმედი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი 12 სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივი (კოეფიციენტი), რომელთაც აქვთ შემდეგი შინაარსი:

კაპიტალის კოეფიციენტები:

❖ კკ1 (პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი) – ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 8%-ისა;

❖ კკ2 (საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი) – ბანკის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 12%-ისა.

❖ სესხების კოეფიციენტები:

❖ სკ1 (ერთი ინსაიდერის კოეფიციენტი) – ბანკის მიერ ერთი ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს;

❖ სკ2 (ყველა ინსაიდერის კოეფიციენტი) – ბანკის მიერ ყველა ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს;

❖ სკ3 (ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტი) – ბანკის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს;

❖ სკ4 (ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა კოეფიციენტი) – ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს;

❖ სკ5 (მსხვილი სესხების კოეფიციენტი) – ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას;

❖ სკ6 (საბლანკო სესხების კოეფიციენტი) – ბანკის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25%-ს.

ლიკვიდობის კოეფიციენტი: ლკ (საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი) – საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივები უნდა იყოს საანგარიშგებო თვის საშუალო ვალდებულებების არანაკლებ 30%-სა.

ინვესტიციების კოეფიციენტები:

❖ იკ1 (წილობრივი ინვესტიციების კოეფიციენტი) – იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 50%-ს;

❖ იკ2 (ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი) – ბანკის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხასთან ერთად, არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 70%-ს.

სავალუტო პოზიციის კოეფიციენტი: პლ2 (კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიცია) – ბანკის კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20%-ს.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების ტიპები, სახეობები და პროცენტული მნიშვნელობა დამოკიდებულია საბანკო სისტე-

მის განვითარების იმ ეტაპზე, რომელზეც იგი იმყოფება და ცენტრალური ბანკის მიზნებზე კონკრეტულ ვითარებაში, რაც გამომდინარეობს მისი მიმდინარე პრიორიტეტებიდან.

სწორედ აღნიშნული კოეფიციენტები გულისხმობს ცენტრალური ბანკის მიერ გარკვეული „თამაშის წესების“ მიღებას, რითაც დგინდება გარკვეული „ჩარჩოები“, რომელთა შიგნით უნდა განახორციელონ თავიანთი საქმიანობა კომერციულმა ბანკებმა. ეს ჩარჩოები წარმოადგენს „რისკების ზღვრებს“, რომელთა გარეთ გასვლა კონკრეტული ბანკისათვის უკვე სახიფათო რისკის ზონად ითვლება, რაც საფრთხეს უქმნის ბანკს, ანუ მის მეანაბრეებს და აქციონერებს.

ასევე არაერთხელ აღინიშნა, რომ ეს მექანიზმი უზრუნველყოფს კომერციული ბანკების ზედმეტად რისკიანი ოპერაციების შეზღუდვასა და ამით საბანკო სისტემის მდგრადობის შენარჩუნებას. მათი მეშვეობით ივლება გარკვეული „წითელი ხაზები“, რომელთა გადალახვა კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ. თუ მათ სურთ თავიანთი საქმიანობის გაფართოება, ანუ „წითელ ხაზებს“ იქით ლეგალურად გადასვლა და მათი გადაწევა, ამის ერთადერთი გზა კაპიტალის გაზრდა და აქტივების ხარისხის ამაღლება, ანუ დაბალი რისკის დონის უზრუნველოფაა.

ბიბლიოგრაფია

1. გრიგალაშვილი ნ., საბანკო დაკრედიტების სისტემის სრულყოფის გზები საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2011, 130 გვ.;
2. კაკულია რ., ბახტაძე ლ., კანდელაკიშვილი ლ., საბანკო საქმე, თბილისი 2010, 473 გვ.;
3. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბილისი 2014, 548 გვ.;
4. ცაავა გ., და სხვა ,რისკოლოგია, თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2017.
5. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 25 სექტემბრის #250 ბრძანება „კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვანელო ~;
6. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, 1996წ.;
7. საქართველოს პარლამენტი, „საბანკო ზედამხედველობის სისტემები საზღვარგარეთის ქვეყნებში“, თბილისი 2015, 5 გვ.;
8. შიუკაშვილი მ., რისკების მართვა საბანკო სისტემაში, თბილისი 2015.
9. Basel Committee on Banking Supervision (2006), Studies on credit risk concentration;
10. CRISI, Global Research & Analytics, „Credit Risk Estimation Techniques~, 2015, p.31;
11. <http://www.sabanko.com/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 04.06.2018;
12. <https://www.nbg.gov.ge/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 04.06.2018;

სოფლის მეურნეობა

ონერ ძაძუა
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

სუბტროპიკული ხურმის გაშენებისა და მოვლის ტექნოლოგია.

სუბტროპიკული ხურმის სამშობლოდ ჩრდილოეთ ჩინეთი ითვლება. ჩინეთიდან სუბტროპიკული ხურმა შეტანილია იაპონიაში. იაპონიიდან ხურმის კულტურა გავრცელდა სხვა ქვეყნებში. საქართველოში ის 1888-89 წლებში იტალიიდან შემოიტანეს. სუბტროპიკული ხურმის პლანტაციების უმეტესი ნაწილი გაშენებულია აჭარასა და აფხაზეთში, ასევე გურიის, სამეგრელოს, იმერეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს თბილ რეგიონებში.

ხურმის ხე: ხურმა 5-დან 17 მ-მდე სიმაღლის ფოთოლმცვივანი მცენარეა. ხურმა შედარებით გამძლეა დაავადებებისა და პარაზიტების მიმართ. იგი იზრდება სწრაფად, რასაც მისი კოლონიზებული ფესვთა სისტემა ძალიან უწყობს ხელს.

ნაყოფი: ხურმა არის საკვები ხილი, რომელიც ერთიანდება Diospyros-ის გვარში. Diospyros-ის ყველა სახეობის ნაყოფი საკვებად ვარგისია. მსგავსად პომიდვრისა, ხურმას არ მიაკუთვნებენ კენკრას, თუმცა გარკვეულწილად ბოტანიკური მორფოლოგიით მაინც კენკრის მსგავსია. მწიფე ხილის ფერი მერყეობს ღია ყვითელ-ნარინჯისფრიდან მუქ წითელ-ნარინჯისფრამდე, რაც დამოკიდებულია სახეობასა და ჯიშზე. ფორმით ხურმა შეიძლება იყოს სფეროსებრი, გოგრის ფორმის და სხვ. დაკრეფის შემდეგ ჯამი ნაყოფზე რჩება, მაგრამ მწიფე ნაყოფს ადვილად შორდება.

ჯიშები.

საქართველოში ძირითადად გავრცელებული სამრეწველო და სამომხმარებლო დანიშნულების ჯიშებია: ჰაჩია, ჰიაკუმე, ფუიუ, ჩინებული, როხო ბრილიანტი, ტანენეში, ზენჯი-მარუ, XX საუკუნე, ტამოპანი და სხვ.

ამათგან მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებულია: ჰიაკუმე, ანუ კარალიოკი, და ჰაჩია, ანუ „ალიაღა“, როგორც მას აჭარის მოსახლეობაში უწოდებენ. ქვემოთ მოცემულია საქართველოში არსებული ხურმის ზოგიერთი ჯიშის მოკლე დახასიათება.

ჰიაკუმე „კარალიოკი“ – არამწკლარტე, დამოკიდებული დამტვერვაზე, ზოგჯერ ნახევრად ან მთლიანად მწკლარტე, ოვალური, მრგვალი, უნივერსალური მოხმარების, საშუალო ან მსხვილი. სიმწიფის პერიოდი სექტემბრის მეორე ნახევარი – ოქტომბერი.

პაჩია „იაპონური ხურმა“ – მწკლარტე, არ არის დამოკიდებული დამტვერვაზე, ოვალური, გამოკვეთილი წვეტით, უნივერსალური მოხმარები, მსხვილი, სიმწიფის პერიოდი ოქტომბრის მეორე ნახევარი – ნოემბერი.

ფუიუ – არამწკლარტე, არ არის დამოკიდებული დამტვერვაზე, თეთრი რბილობით, მრგვალი გამოკვეთილი წიბოებით, ნედლად მოხმარების, საშუალო ან მსხვილი. სიმწიფის პერიოდი: სექტემბრის მეორე ნახევარი – ოქტომბერი.

ხურმის ბაღის გაშენება

ბაღის გაშენებისას განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის სწორად შერჩევას, რადგანაც ხურმა ვერ იტანს 18-20 ც ყინვას და ნალექების რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 1, 000 მმ-ს, ხოლო, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი – 3, 000-3, 500 –ს. ვეგეტაციის პერიოდში. მცენარე კარგად ხარობს ნოყიერ, წყალგამტარ, ნეიტრალურ და სუსტი მჟავე რეაქციის მქონე ნიადაგში.

ხურმის ბაღის გაშენებისათვის, როგორც ყველა სხვა მრავალწლიანი კულტურისათვის, ნიადაგი უნდა დამუშავდეს ღრმად 40-45 სმ-ის სიღრმეზე. 15 –ის მეტი დაქანების ფართობებზე უნდა მოეწყოს ტერასები. მცენარეები ირგვება 6 6, 6 7, 6 8 მეტრის დაშორებით. შემჭიდროვებული წესით, სადედე ბაღის გაშენებისას, მცენარეები ირგვება 5 4, 5 5 მეტრი კვების არით.

დასარგავი ორმოები იჭრება 30-40 სმ სიღრმეზე. 40-50 დიამეტრით. ორმოში აუცილებელია შეტანილ იქნას 20-25 კგ წინასწარ მომზადებული ორგანული სასუქი (ტორფ-ნაკელიანი კომპოსტი ან გადამწვარი ნაკელი და სხვა). მძიმე და თიხა ნიადაგებში სასურველია სილისა და ნახერხის შეტანაც.

დარგვის წინ, როგორც წესი, თითო ძირის ქვეშ შეაქვთ 60 გრ. ფოსფოროვანი და 40 გრ. კალიუმიანი სასუქი. დარგვისას უნდა მოხდეს მცენარის 70-80 სმ სიმაღლეზე გადაჭრა და დარგვა. ახალდარგული ნერგი აუცილებლად უნდა მოირწყას და აიკრას ჭიგოზე. ნერგების დარგვის საუკეთესო დროა გვიანი შემოდგომა (ნოემბერი) და ადრე გაზაფხული (15 აპრილამდე). დიდი პლანტაციის (1 ჰა-ზე მეტი ფართობი) გაშენებისას აუცილებელია ქარსაცავი ზოლების მოწყობაც.

ვარჯის ფორმირება

მცენარის განვითარების საწყის ეტაპზე ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვარჯის ფორმირებას. ფორმირების ძირითადი ტიპებია:

1 . ცენტრალურ – ლიდერული ფორმა

2. ჯამისებური ფორმა

გასხვლის ხერხებია:

დამოკლება – იგულისხმება ტოტის დამოკლება წვერიდან 1/3-1/2-1/4 – ით. აღნიშნული პროცედურის მიზანი ტოტების დამოკლება (ხის ზომის შემცირება) და ზრდის სტიმულირებაა. ერთწლიანი ტოტის დამოკლებისას წვეროს კვირტი გარეთ ან იმ მხარეს უნდა იყოს მოქცეული, სადაც თავისუფალი ადგილია.

გამოხშირვა – წარმოებს იმ ტოტების მოსაცილებლად, რომელიც მდებარეობს არახელსაყრელ ადგილას. ხელს უწყობს სინათლის რეჟიმის გაუმჯობესებისა და ხის ზომის შენარჩუნებას.

გასხვლა ქუსლის დატოვებით - „ჰოლანდიური გასხვლა“. ტოტის გადაჭრა სეკატორით რგოლთან ირიბად. ტოტთან ახლოს რჩება წამახვილებული 15-20 მმ-ის სისქის ქუსლი, ეს ხერხი ხშირად გამოიყენება ვერტიკალურად მიმართული ტოტების ამოსაჭრელად, შპინდელის ტიპის ფორმირების დროს.

ხურმის შტამბის ქვედა ზოლში უნდა გაეცალოს ზედმეტი ყლორტები და სხვადასხვა მხარეს დაუტოვონ 4-5 ყლორტი, რომელთაგან ერთს უნდა მიენიჭოს ლიდერის მნიშვნელობა. როგორც წესი, მომდევნო ადრე გაზაფხულზე საჭიროა გასხვლითი სამუშაოების ჩატარება, რომლის დროსაც მცენარეს უნდა მოცილდეს ზედმეტი და გამხმარი ტოტოები.

მეორე წელს, როდესაც წარმოიქმნება გვერდითა ტოტები, შტამბის ჩამოსაყალიბებლად არჩევენ პირველი რიგის 3-4 ჩონჩხის ტოტს, ტოვებენ 2-5 კვირტს (ყლორტების სისქის მიხედვით).

1 . გასხვლა დარგვის შემდეგ

2. გასხვლა დარგვის 6 თვის შემდეგ

ცენტრალურ ღეროს სხლავენ იმ კვირტზე, რომელიც უზრუნველყოფს მის ვერტიკალურ გაზრდას.

3-4 წლის მცენარე უკვე იწყებს ნაყოფის მოცემას. პირველი რიგის ტოტებზე გაიზრდება მეორე რიგის ტოტოები, რომელთა რაოდენობა ყოველ პირველი რიგის ტოტისთვის არ უნდა იყოს 2-ზე მეტი. ამგვარად იქმნება ვარჯის მეორე იარუსი, 4-5 წლის ასაკში ყალიბდება შემდეგი იარუსი.

შემდეგ წლებში საჭიროა ვარჯის გამოხშირვა, რათა მცენარე იყოს ნათელი და არა დაბურული, მოძრაობდეს მეტი ჰაერი, არ შეიქმნას მის ვარჯში ტენის დაგროვებისა და შესაბამისად, დაავადებების განვითარების საშიშროება. მანძილი პირველსა და მეორე იარუსს შორის უნდა იყოს დაახლოებით@70 სმ, მეორე და მესამე იარუსს შორის – 50 სმ. ძირითადად, გასხვლა-ფორმირებისთვის საუკეთესო თვეა თებერვალი.

მცენარის ფორმირება 2-ე და შემდგომი წლები.

განოყიერება

ახალგაზრდა ნარგავებში 8-10 წლამდე შეაქვთ მინერალური სასუქები, ერთ ჰა-ზე გაანგარიშებით, აზოტოვანი 90-100 კგ. ფოსფოროვანი 70-80 კგ. და კალიუმიანი 30-40 კგ. მოზრდილი ხეების ქვეშ შესატანი სასუქების რაოდენობა უნდა გაიზარდოს 30-40%-ით. ფოსფოროვან-კალიუმიანი სასუქები შეიტანება ადრე გაზაფხულზე ნიადაგის დამუშავების წინ, ხოლო აზოტოვანი სასუქები სასურველია შეტანილ იქნას ორჯერადად. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფოთოლში საკვები ელემენტების სასურველი დონე ნაყოფწარმოქმნის და მოსავლის აღებამდე ერთი თვით ადრე.

ხურმის მავნე ორგანიზმები და მათთან ბრძოლა

ხურმის მცენარეზე გავრცელებულია შემდეგი მავნებელ-დაავადებები: ფარიანები, ცრუფარიანები, თრიფსები, წითელი ტკიპა, ნაყოფის ნაცრისფერი სიდამპლე, ფოთლების ხშირი სილაქავე და ხურმის ქეცი. მათ წინააღმდეგ გამოიყენება მინერალური ზეთის ემულსია, სპილენძის შემცველი და ფოსფორ-ორგანული პრეპარატები, პრეპარატების დოზები და გამოყენების ვადა ყველა კონკრეტულ სიტუაციაში უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, მცენარის ზრდა-განვითარების და მავნე ორგანიზმების განვითარების ფაზების შესაბამისად.

ხურმის ბალიშა ცრუფარიანა (ზულვინარია პერეგრინე ბორცჰს.) მავნებელი აზიანებს სუბტროპიკულ ხურმას, მსხალს, პანტას, ციტრუსებს, ლიმონს, დეკორატიულ მცენარეებს და ა. შ. ხურმის ბალიშა ცრუფარიანა ზამთარს მეორე ასაკის მატლის ფაზაში, თავისი მკვებავი მცენარეების გამერქნიანებულ ორგანოებზე ატარებს. ის წელიწადში მხოლოდ ერთ თაობას იძლევა, რასაც კომპენსირებას უკეთებს კვერცხის საკმაოდ დიდი პროდუქცია.

ბრძოლის ღონისძიებები: ფოსფორ-ორგანული პრეპარატების შესხურება მატლების მასობრივი გამოჩეკისთანავე. ეს ღონისძიება უნდა ჩატარდეს არა მარტო ხურმაზე, არამედ ყველა მკვებავ მცენარეზე, რომლებიც პლანტაციის ტერიტორიასა და მის მიდამოებში გვხვდება.

ხურმის ყავისფერი ლაქიანობა, ანუ ანთრაქნოზი (ცოლლეტოტრიცჰუმ კაკი მაფფეი) ხურმის ყავისფერი ლაქიანობა ნაყოფებსა და ფოთლებზე გვხვდება. ფოთლებზე ის ყავისფერ ლაქებს იწვევს, უმეტესად – წვეროსა და კიდეებზე, რომლებიც თანდათან ნაცრისფერი ხდება. ლაქებზე შეიმჩნევა შავი წერტილები, რაც სოკოს ნაყოფიანობაა. ნაყოფი უმეტეს შემთხვევაში ავადდება მომწიფების პერიოდში.

ბრძოლის ღონისძიებები: კარგ შედეგს იძლევა ვეგეტაციის პერიოდში 1% ბორდოს სითხით ან მისი შემცვლელებით შესხურება.

ხურმის მოსავლის აღება

ხურმის მოსავლის აღების დრო დამოკიდებულია ჯიშზე და მისი გამოყენების პირობებზე. მაგალითად, ჰაჩია იკრიფება მაშინ, როდესაც ნაყოფის ზედაპირის ორი მესამედი გაყვითლებულია. ამაზე ადრე მოკრეფილი ნაყოფი ცუდი გემოსია. ჰიაკუმეს ნაყოფის კრეფა დასაშვებია მათი სრული სიმწიფის შემდეგ. ჯიში ჩინებულის ნაყოფი ტრანსპორტირებადია და შენახვასაც კარგად უძლებს, ამიტომ ნაყოფის კრეფა უნდა მოხდეს მისი სიმწიფეში გადასვლამდე, კრეფის დროს აუცილებელია ხურმის ნაყოფს არ მოსცილდეს ყუნწი და ნაყოფის კანი არ დაზიანდეს.

სრულ სიმწიფეში შესვლის შემდეგ ნაყოფი კარგავს სიმწკლარტეს, რბილობი რბილდება და ნაკლებად ტრანსპორტირებადი ხდება. მსხვილნაყოფა ჯიშები ტარაზე ეწყობა ერთ რიგად, ვინაიდან ხურმის ნაყოფის მომწიფება თითქმის ერთდროულად მიმდინარეობს, ხოლო მისი რეალიზაცია გართულებულია, აქტუალურია მისი ნაყოფისაგან სხვადასხვა სახის ჩირის დამზადება და რეალიზაცია.

შემეცნებითი საუბარი

მამა ამირან ამირანაშვილი



საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ

გაგრძელება.
დასაწყისი ანთოლოგიის № 6-სა
და ჟურნალ „ათინათის“ №26,27-ში

ქრისტიანობა და ევოლუცია

ორგანული სამყაროს წარმოშობის საკითხი ბოლო წლებში ძალზე აქტუალური გახდა, რისი დასტურიცაა სხვადასხვა ენაზე გამოცემული ათეულობით წიგნი, რომლებიც ცოცხალი (და არა მარტო ცოცხალი) სამყაროს წარმოშობისა და განვითარების პრობლემას ეხება. ერატურის დუალისტური ტენდენცია: ავტორთა (მათ შორის არიან როგორც სასულიერო პირები, ისე მეცნიერები) ერთი ნაწილი კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ ევოლუციონიზმს, აღიარებს ბიბლიური შესაქმეს ტექსტის პირდაპირ გაგებას და სამყაროს 6 კალენდარულ დღეში შექმნილად აცხადებს, ხოლო ორგანული სამყაროს სახეობებს ერთბაშად (ოღონდ ცხადია სხვადასხვა დღეს) შექმნილად და უცვლელად მიიჩნევს. ამ თეორიის მიმდევრები ძირითადად დასავლელი (უპირატესად პროტესტანტი) ავტორები არიან. თუმცა სიცოცხლის ამდაგვარ წარმოშობა–განვითარებას ზოგიერთი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველიც უჭერს მხარს. მეორე ნაწილი კი პირიქით, ცდილობს ბიბლიური შესაქმე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (გეოლოგია, პალეონტოლოგია, ბიოლოგია) მონაცემებს შეუსაბამოს და ერთგვარი „ქრისტიანული ევოლუციის“ ცნება დაამკვიდროს. ამავე დროს, როგორც ერთნი, ისე მეორენი ხშირად ერთი და იმავე მეცნიერული მონაცემის თავისებური ინტერპრეტაციით ამყარებენ თავიანთ პოზიციას, რაც ამ ორ მხარეს შორის არსებულ დაპირისპირებას კიდევ უფრო ამწვავებს. პირველთათვის შეიძლებოდა „კრეაციონისტები“ გვეწოდებინა ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, ხოლო მეორეთათვის „კრეაციონისტული ევოლუციონისტები“. მათ შორის საერთო ისაა, რომ როგორც ერთნი, ისე მეორენი მკვეთრად უპირისპირდებიან დარვინიზმს, რომელსაც თავის მხრივ ბევრი მიმდევარი გააჩნდა და დღესაც (მიუხედავად მისი თითქოს მოდიდან გასვლისა) გააჩნია.

აქვე საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ცნებები: „ევოლუცია“ და „დარვინიზმი“. ისინი ხშირად სინონიმებად იხმარებიან, რაც სწორი არ არის. საქმე ისაა, რომ დარვინიზმი ორგანული სამყაროს წარმოშობისა და განვითარების შესახებ არსებული კერძო სწავლებაა, რომელიც მატერიალიზმისა და ათეიზმის პოზიციებიდან არის გაშუქებული. მეტიც, ევოლუციური თეორიები დარვინამდეც არსებობდა (ჟ. სენტ-ილერი, ჟ.ბ. ლამარკი და სხვები). დარვინს ეკუთვნის იდეა, რომელიც ევოლუციას მატერიალისტური მსოფლმხედველობის პოზიციიდან განმარტავს, ლამარკისაგან განსხვავებით, რომელიც ევოლუციის იდეალისტურ ინტერპრეტაციას ახდენდა. სხვათა შორის ევოლუციის მამოძრავებელ ძალად „ბუნებრივი გადარჩევის“ გამოცხადება მარტო დარვინის „აღმოჩენა“ არ გახლავთ. მსგავსი აზრი რომელიც, როგორც ბიოლოგი ბევრად აღემატებოდა დარვინს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ევოლუციის მატერიალისტურ თეორიას უოლესისათვის ხელი არ შეუშლია შემდგომში ცნობილი სპირიტისტი გამხდარიყო.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ერთი შეხედვით თითქოსდა ქრისტიანობისათვის მიუღებელი სიტყვა „ევოლუცია“, სათავეს სწორედ სამყაროზე ბიბლიური ტრადიცია (როგორც ინდურ-ჩინური, ისე ანტიკური) განვითარების ეტაპობრივ გაგებას არ იცნობს. მათთვის მატერიალური სინამდვილე ან მირაჟი და ილუზიაა (ინდუიზმი), ან მარადიულ წრებრუნვაში მყოფი რეალობა. ამგვარი ციკლურობა სავსებით უცხოა სამყაროს შექმნის ბიბლიური (და ე.ი. ქრისტიანული) გააზრებისათვის. სწორედ ბიბლიის პირველ თავებში აღწერილი 6 დღის შესაქმე არის პირველი „ევოლუციური თეორია“, რომელიც მთელი ხილული სამყაროს შექმნა – განვითარებას გარკვეული წერტილიდან იწყებს და 6 დღის განმავლობაში ანაწილებს.

ბიბლიური მსოფლაღქმისათვის უცხოა ანტიკური ფილოსოფიის მიერ ვერ გადაჭრილი სულისა და მატერიის დაპირისპირების პრობლემა, ქრისტიანულ მოძღვრებაში წინა პლანზე სხვაგვარი რეალობა წარმოჩინდება – შემოქმედისა და ქმნილებისა. აქ ათვლის წერტილი ღმერთია, რომელიც არაფრისაგან „კეთილად“ ქმნის არა მარტო სულიერ, არამედ მატერიალურ სამყაროსაც, რომელიც მართალია უფრო დაბალი რანგის (სულიერთან შედარებით), მაგრამ მაინც გარკვეულ ფასეულობას წარმოადგენს, რომელსაც ღმერთი განვითარების უნარს ანიჭებს. იგი ანიჭებს მიწას მცენარეთა აღმოცენების, ე.ი. შემოქმედებითი აქტივობის უნარს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შესაქმეს ტექსტში ქმნადობის აღმნიშვნელი ორი ებრაული სიტყვა იხმარება: „ბარა“ და „ყასა“. პირველი ნიშნავს რაღაც თვისობრივად ახლის ქმნას და იგი სამჯერაა გამოყენებული: დასაწყისში, როდესაც ღმერთი არაფრისაგან ქმნის მატერიას, სიცოცხლის შექმნისას და ბოლოს ადამიანის შექმნისას. სხვა დანარჩენ შემთხვევაში ნახმარია სიტყვა „ყასა“, რაც ნიშნავს უკვე არსებული მასალისაგან რაიმეს შექმნას, კეთებას. სწორედ ამგვარი „შექმნა“ იგულისხმება მაშინაც, როცა ლაპარაკია ცალკეულ დღეთა მიხედვით ორგანული სამყაროს სხვადასხვა ჯგუფის შექმნაზე. რაც შეეხება „დღეების“ ხანგრძლივობას, ზოგიერთი წმიდა მამა მიიჩნევს, რომ ისინი კალენდარული დღეების მიხედვით უნდა გავიგოთ, ზოგს კი (მაგ. ბასილი დიდს) მიაჩნია, რომ ბიბლიური შესაქმეს დღეები დროის გარკვეულ პერიოდს (შესაძლოა საკმაოდ ხანგრძლივსაც) მოიცავს. საქმე ისაა, რომ ებრაული სიტყვა „იომ“ ნიშნავს როგორც ჩვეულებრივ დღეს, ისე დროის განუსაზღვრელ პერიოდსაც. ამას ქრისტიანისათვის პრინციპული მნიშვნელობა არცა აქვს, რადგან ღმერთს, როგორც აბსოლუტურად ყოვლისშემძლე არსებას, სავსებით ერთნაირად ძალუძს შექმნას სამყარო, როგორც მყისიერად, ისე თანდათანობით – მილიონი წლების განმავლობაში.

ამგვარად გაგებული „ევოლუცია“, რომლის მამოძრავებელიც ღმერთია, მისი ბრძანებაა, რასაკვირველია ქრისტიანული აზრისათვის სავსებით მისაღებია და მას ბევრი თანამედროვე მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი იზიარებს.

რაც შეეხება დარვინის „თეორიას“, იგი ევოლუციის მამოძრავებლად ღმერთსა და მისგან ცოცხალი ორგანიზმებისათვის მინიჭებულ აღორძინება-გამრავლების უნარს კი არ მიიჩნევს, არამედ მათ ადგილზე „ბუნებრივი გადარჩევის“ ცნებას აყენებს. ეს უკანასკნელი კი უკვე არსებულ, გარკვეული რაოდენობის ინდივიდს გულისხმობს, მაგრამ დარვინი ვერ პასუხობს კითხვას, თუ როგორ წარმოიშვა სიცოცხლე. ამდენად, ბუნებრივია იგი ვერც იმ კითხვას უპასუხებს თუ როგორ გაჩნდა ის საწყისი რაოდენობა ცოცხალი ორგანიზმებისა, რომელთა შორისაც დაიწყო ბუნებრივი გადარჩევის პროცესი.

დარვინის მიხედვით, არსებობისათვის ბრძოლაში გადარჩენის მეტი შანსი იმ ორგანიზმებს აქვთ, რომელთაც ე.წ. „სასარგებლო ნიშანთვისებები“ გააჩნიათ. ეს ბრძოლა ორმხრივია: გარემო პირობებთან ბრძოლა და შიდა სახეობრივი კონკურენცია. ამ პირობებში, უკეთშეგუებული ინდივიდი იმარჯვებს, ხოლო ნაკლებშეგუებული ისპობა. დარვინიზმი ადვილად მოერგო ეპოქის სულიერ მისწრაფებას, თუმცა მას მაშინვე კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ, რომლებიც მის უსაფუძვლობასა და არამეცნიერულობაზე მიუთითებდნენ.

დარვინის მიხედვით, უკეთშეგუებულ ორგანიზმთა გადარჩენა ცოცხალი სამყაროს პროგრესს განაპირობებს და ამგვარად იქმნება აღმავალი კიბე, რომლის პირველ, უმდაბლეს საფეხურზე ერთუჯრედიანი ორგანიზმები დგანან, უკანასკნელზე კი ადამიანი, მაგრამ ფაქტები საპირისპიროს ამტკიცებენ. სწორედ განვითარების გაცილებით დაბალ საფეხურზე მდგომი არსებანი არიან ყველაზე უკეთ შეგუებულნი მკაცრ გარემო-პირობებს (მაგალითად ვირუსები). გამოდის, რომ ვირუსი უფრო პროგრესულია ვიდრე ადამიანი. ამას გარდა ვირუსებსა და ბაქტერიებს უმაღლესი ორგანიზმების გარეშე ცხოვრება არშეუძლიათ, მაშ როგორ არსებობდნენ ისინი იმ დროს (დარვინიზმის მიხედვით, მილიონობით წლის განმავლობაში), როცა უმაღლესი ორგანიზმები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ. დარვინი ბუნებრივი გადარჩევის დამადასტურებლად ხელოვნურ გადარჩევას ასახელებდა. ამ დროს ადამიანს გამოყავს ერთი და იმავე სახეობის ცხოველის განსხვავებული ჯიშები, მაშინ როდესაც ბუნებრივი გადარჩევის დროს თითქოს ერთი სახეობიდან სხვა სახეობა წარმოშობა. მართლაც რაც არ უნდა განსხვავებული ზომის, ფერის, ფორმის, ხასიათის მქონე ძაღლის ჯიში გამოვიყვანოთ, მას სხვა სახეობის ცხოველად ვერანაირად ვერ ვაქცევთ და ყველა ეს ჯიში ადამიანის ჩარევის გარეშე კვლავ უნიფიცირებას განიცდის. ბუნებაში გარდამავალი სა-

ხეობები არ არსებობენ, სახეობა მყარი, „ჩაკეტილი“ სისტემაა, რომელსაც საკუთარი მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, გეოგრაფიული და რაც მთავარია გენეტიკური კრიტერიუმები გააჩნია. სწორედ ეს უკანასკნელია ამა თუ იმ სახეობის სტატიკურობის ყველაზე მყარი მცველი. პირველ რიგში სწორედ გენეტიკური შეუთავსებლობის გამო არ ეჯვარებიან ერთმანეთს თვით ერთმანეთთან ახლოს მდგომი სახეობები და თუ ეჯვარებიან მათი ჰიბრიდი ან უნაყოფოა (მაგ. ჯორი), ან მხოლოდ ერთი სქესის (უპირატესად მდედრი) ცხოველთა ნაყოფიერი, რომელიც შთამომავლობის მოსაცემად კვლავ ერთ-ერთ თავის წინაპარ სახეობას უნდა შეუჯვარდეს, რასაც შედეგად კვლავ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა მოჰყვება.

დარვინის მიერ ევოლუციის, როგორც მარტივიდან რთულისაკენ თანდათანობით პროგრესირებადი ორგანიზმების წარმოქმნის პროცესმა ბუნებრივად დააყენა ადამიანის წარმოშობის საკითხი, დარვინმა ამ უკანასკნელს წინაპრად მაიმუნი გამოაცხადა.

თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ მაიმუნის ადამიანის წინაპრად მიჩნევას არ ადასტურებს პალეონტოლოგიური მონაცემები, თანამედროვე ე.წ. „ადამიანის მსგავს მაიმუნთა“ (შიმპანზე, გორილა, ორანგუტანგი, გიბონი) და ადამიანს შორის არსებული ბიოლოგიური განსხვავებანი იმდენად დიდია, რომ დარვინიზმს ჰიპოთეზური, ადამიანის უშუალო წინაპარი არსების – ნახევრად მაიმუნისა და ნახევრად ადამიანის ოდესღაც არსებობის დაშვება უხდება, რომელსაც ცხადია, არასოდეს უცხოვრია დედამიწაზე, ხოლო რაც შეეხება, ცალკეულ ძვლებსა თუ ჩონჩხებს (პითეკანთროპი, ავსტრალოპითეკი და ა.შ.), მათი მეშვეობით ცოცხალი არსების სულიერი მდგომარეობის შესახებ დასკვნის გაკეთება უაზრობაა. გარდა ამისა, ექსპონატების გამოფენის დროს ხშირად ჰქონია ადგილი ფალსიფიკაციის ფაქტებს.

ადამიანი იმდენად სპეციფიკური, თავისთავადი და ყველა სხვა ცოცხალი ორგანიზმისაგან განსხვავებული არსებაა, რომ როგორც ზოგიერთები მოსწრებულად აღნიშნავენ მისი წარმოშობა ევოლუციური კი არა, მხოლოდ „რევოლუციური გზით“, ანუ უშუალოდ ღვთის მეოხებით იყო შესაძლებელი.

ადამიანის შესახებ გაუკუღმართებული სწავლება დარვინიზმის ყველაზე ანტიქრისტიანული მხარეა. მართლაც, თუ სახეობათა ევოლუციის გზით წარმოშობას უბრალოდ მცდარად, ჰიპოთეზურ თეორიად მივიჩნევთ, ისე რომ ამით ქრისტიანის სულიერ ცხოვრებას ზიანი არ მიადგება, ადამიანის წინაპრად მაიმუნის გამოცხადებით ხდება ადამიანის, როგორც ღვთის ხატისა და მსგავსის იგნორირება, რაც მიუტევებელი ცოდვაა. ამიტომაც იყო, რომ დარვინის ეს დებულება ძალზედ მოსწონდა ფ. ენგელსს და საერთოდ დარვინიზმი მარქსიზმის საბუნებისმეტყველო საფუძვლად იქცა – ადამიანი, როგორც ცხოველი ხომ მშვენიერი მასალაა პროლეტარული რევოლუციისათვის. მეორე მხრივ, დარვინის მოძღვრება თავისებურად გააგრძელა ფ. ნიცშემ, რომელმაც მაიმუნის მსგავს გარდამავალ ეტაპად თვით ადამიანი მიიჩნია, ეტაპად, რომელიც უნდა დაიძლიოს, გადაილახოს, რათა მოვიდეს ზეკაცი, არსება, რომლისთვისაც ყოველივე ნებადართულია. იგი სიკეთისა და ბოროტების მიღმა დგას. როგორც ვხედავთ, ძნელი არ არის ნიცშეს ზეკაცში მსოფლიოს მომავალი მბრძანებლის – ანტიქრისტეს კონტურები დავლანდოთ.

(გაგრძელება იქნება)

წმინდა მამათა დარიგებანი

ადამიანები, ურთიერთობა

როგორ უნდა მოვექცეთ ადამიანებს?

ახალ მცნებას გაძლევთ: გიყვარდეთ ერთმანეთი.და როგორც მე შეგიყვარეთ, ასევე გიყვარდეთ ერთმანეთი (იოანე.13,34)
პატივი ეცით ყველას, გიყვარდეთ საძმო, ღვთის შიში გქონდეთ და პატივი მიაგეთ მეფეს (1პეტ.2,17).
მე ჯერ კიდევ მაშინ, როცა სტუდენტი ვიყავი, ჩემს სულიერ მამას და მასწავლებელს ვკითხე: საერთოდ როგორ უნდა მოვექცეთ ადამიანებს?მან, ისე, რომ ერთი წუთითაც არ გაძნელებია პასუხის გაცემა და არ დაფიქრებულა, მიპასუხა თითქოს და ეს მისთვის სრულიად ნაცნობი რამ იყო: მოწიწებით!
მე გავვოგნდი ასეთი პასუხით, როგორც არარსებულით.მაგრამ მან ამიხსნა ამის რელიგიური აზრი და მიზეზი: ყოველი ადამიანი ღვთის ხატია, ღმერთს და ხატებს ჩვენ მოწიწებით ვცემთ თაყვანს.

მიტროპოლიტი ბენიამენი (ფედჩენკოვი)(1880-1961)

ყველა ღვთის ხატად მიიჩნიე, ყველას შენი ძალების შესაბამისად კეთილად მოექეცი და სიკეთე უსურვე, ყველას წინაშე მორჩილი იყავი და ყველას ასიამოვნე სიკეთის საზღვრებში.გაიხარე მოხარულებთან ერთად და დამწუხრდი მწუხარეებთან ერთად, არავინ განიკითხო და დაამცირო, აზრით და გრძნობითაც კი, მათგან კი, ვინც შენგან რჩევას და შთაგონებას ელოდება არ დაფარო ჭეშმარიტება, თუკი იცი ის, შენ თვითონ კი არავის დაუდგე მასწავლებლად.ყველასთან მშვიდობა და თანხმობა შეინარჩუნე და ამისათვის ნებისმიერ მსხვერპლზე იყავი მზად შენი მხრიდან და ყველანაირად მოერიდე ვინმეს ცდუნებას.

ღირსი ნიკოდიმ მთაწმინდელი (1749-1809)

გახსოვდეს უხუცესთა მიერ ნათქვამი სიტყვები: ახლობელი გაცოცხლებს და ახლობელი გკლავს. იფიქრე იმაზე, რომ შეიძინო ცხოვრება და მოერიდე სიკვდილს, ცხოვრობ რა მათთან, ვისთანაც ცხოვრობ და ცდილობ, რომ გქონდეს მოციქულთა მიერ შთაგონებული მადლი, გულმოწყალება, თანაგრძნობა და სიყვარული (იხ.გალ. 5, 22), რაც არის რჯულის აღსრულება (რომ. 13,10) და როგორ?იმავე მოციქულს მოუსმინე: ურთიერთარს სიმძიმე იტვირთე და ასრეთ აღასრულეთ შჯული იგი ქრისტესი (გალ. 6,2).

ღირსი ამბროსი ოპიტნელი (1812-1891).

ყველანაირი ადამიანი უნდა გიყვარდეს და მასში ღვთის ხატი უნდა დავინახოთ და ყურადღება არ უნდა მივაქციოთ მის ნაკლოვანებებს.არ შეიძლება, რომ ცივად მოვიცილოთ ადამიანები.

ღირსი ნიკონ ოპტინელი (1888-1931).

არავისთან არ უნდა გქონდეს მტრული ურთიერთობა, არამედ შემწყნარებლები, მომთმენნი, ყოვლის მიმტევებელნი, სიყვარულით სავსენი უნდა ვიყოთ, რომ ღმერთმა ჩვენც შეგვინდოს.
გვიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი, რადგანაც თუ გიყვარს მოყვასი, ე.ი.შენი თავი გიყვარს და თუ გეჯავრება მოყვასი, უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს აყენებ ზიანს და შენ სულს ვერ იტან.
გიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი, თანაუგრძნო მას სიყვარულსა და მწუხარებაში, გამოკვებო, ჩააცვა, თუ კი მას სჭირდება საჭმელი და ტანსაცმელი, ისუნთქო მასთან ერთად, ანუ

ისუნთქო ერთი ჰაერით, ისეთივე ჩვეულებრივ საქმედ ჩათვალე, როგორც ის, რომ გამოკვებო და გაათბო საკუთარი თავი და არ იფიქრო ამაზე, როგორც სათნოებაზე.
გესმის?რომ შენი ბაგეებიდან არასოდეს ამოვიდეს სიტყვა: „არ მიყვარს“.
წმინდა მართალი იოანე კრონშტადტელი (1829-1908)

გიყვარდეს ცოდვილები, მაგრამ გძულდეს მათი საქმეები, ნუ უგულვებელყოფ ცოდვილებს მათი ნაკლოვანებების გამო. რომ შენ თვითონ არ ჩავარდე ცდუნებაში, რომლებშიც ისინი არიან.
შენი ძმისადმი სიყვარული არ გაცვალო რაიმე ნივთის სიყვარულზე, იმიტომ, რომ ძმისადმი სიყვარულით მას უხმობ შენში, ვინც მთელ ქვეყანაზე ძვირფასია. დატოვე მცირედი, რომ შეიძინო უფრო დიდი.
ღირსი ისააკ სირიელი (VIIს.).

როგორია ჭეშმარიტი სიყვარული?

სიყვარული სულგრძელია და კეთილმოწყალე; სიყვარულს არ შურს, არ ქედმაღლოვბს, არ ზვაობს; არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ იზრახავს ბოროტს; არ შეჰხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს;ყველაფერს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს. სიყვარული არასოდეს არ გადავა (1კორ. 13, 4-8)
სიყვარული, რომელიც რაიმე ნივთიერით არის შთაგონებული, გავს წვიმის ნიაღვარს, რომლის დინებაც წყდება მისი შემადგენელი ნაწილების გაიშვიათების გამო.სიყვარული კი, რომლის მიზეზიც ღმერთია, მიწიდან ამოხეთქილ წყაროს ჰგავს, რომლის დინებაც არასოდეს წყდება.
ღირსი ისააკ სირიელი (VIIს.)

ხორციელი სიყვარული, რომელიც სულიერ განცდასთან არ არის დაკავშირებული, როგორც კი რაიმე უმნიშვნელო მიზეზი გამოჩნდება, ძალიან ადვილად ქრება, ორთქლდება.სულიერი სიყვარული კი ასეთი არ არის, თუნდაც რაიმე წყენის მოთმენა რომ მოგვიწიოს, ღვთისმოყვარე გულში, რომელიც მუდამ ღმერთის გავლენის ქვეშ არის, სიყვარულის კავშირი არ წყდება.
ნეტარ დიადოხ ფოტიკიელი (V ს.)

სიყვარული, რომელიც მთლიანად ღმერთისკენ არის მიმართული, მოყვარულებს ღმერთთან და ერთმანეთთან აკავშირებს.
ღირსი ფალასი (VII ს.)

თუ გულში სიყვარულია, ის გულიდან ყველა გარშემომყოფზე იღვრება და ყველა შეცოდებაში გამოიხატება, მათი ნაკლოვანებების და ცოდვების მოთმენაში, მათარ განსჯაში, მათთვის ლოცვაში და როცა აუცილებელია, მატერიალურ დახმარებაშიც.
იღუმენი ნიკონი ვორობიოვი (1894-1963).

შეუძლებელია, რომ უფლისმიერი სიყვარულით საკმარისად გაძღეთ მოყვასისადმი! პირიქით, შეიძლება სწრაფად გავიაროთ გზა, შეიძლება სწრაფად გავძღეთ მოყვასისადმი სიყვარულით, როცა სიყვარულის საგანი მხოლოდ ადამიანია. სიყვარულის ცეცხლი ბევრ საკვებს მოითხოვს იმისათვის, რომ სულ ენთოს და გაძლიერდეს. როცა სიყვარულს ღმერთი კვებავს, ის უსაზღვროა, მაგრამ როცა ის ადამიანმა უნდა გამოკვებოს, სწრაფად გამოილევა ცეცხლის საკვები, ცეცხლი შემცირდება და ჩაქრება.

ნორჩი ათინათელები

ნათია ჯანგავაძე

ინტერვიუ გიორგი კვაშილავასთან

1 . ბატონო გია თქვენ ბრძანდებით აღიარებული მკვლევარი საერთაშორისო მეცნიერებათა წრეში, ამიტომ მოვედი თქვენთან, როგორც ჟურნალ „ათინათის კორესპოდენტი და გთხოვთ რამდენიმე შეკითხვაზე მიპასუხოთ თქვენს შესახებ...

– კეთილი, გისმენთ ყურადღებით.

1 . გვითხარით როდის დაიბადეთ და სად?

– დავიბადე საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს, მთაგორიან კუთხეში – მარტვილის რ-ნ სოფელ კურუზში 1972 წელს.

2. ბატონო გია, დასაწყისშივე გვიამბეთ თქვენი განათლების შესახებ სკოლიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით?

– 1978 წელს შემიყვანეს ჩვენი სოფლის საშუალო სკოლაში, 1985 წელს სწავლა გავაგრძელე ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახ. ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1989 წელს.

1989-1995 წლებში ვსწავლობდი და წარჩინებით დავამთავრე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ხოლო 1998 წელს ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა მათემატიკური ფიზიკის სპეციალობით.

3. ვინ იყო თქვენი მშობლები, რამდენი ხართ დედამამიშვილები?

– მამა – კვაშილავა დურუ, სპეციალობითაიყო აგრონომი, დედა ავლინა ეკონომისტ-ბუღალტერი. მშობლებს სამი შვილი ვყავდით, ორი ძმა და ერთი და. დედამამიშვილებში უმცროსი მე ვარ. ყველა დაოჯახებულები ვართ, უმაღლესი განათლებით. მამა ადრე გარდაგვეცვალა, შვილების აღზრდის ყველა სიმძიმე დედას დააწვა, იგი დღესაც ჩვენი და ჩვენი შვილების კეთილდღეობაზე ზრუნავს.

4. მოსწავლეობის პერიოდში რითი განსხვავდებოდით თქვენი თანატოლებისგან?

– მოსწავლეობის ადრეულ პერიოდში მე-5 კლასამდე, თითქმის არაფრით. შემდეგ წლებში კი არითმეტიკა – მათემატიკურ საგნებს მეტ ყურადღებას ვუთმობდი. ამ საგნებისადმი ჩემს გააქტიურებას ყურადღება მიაქცია მათემატიკის მასწავლებელმა ინდიკო პაპავამ. სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი საფუძველი ჩემი ჩამოყალიბებისა ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერების მიმართულებით.

5. გვითხარით, თქვენს მიერ ამოკითხული „ფესტოხის დისკოსა“ და ამ A კლასის ხაზოვანი დამწერლობის ისტორიაზე, მათ მნიშვნელობაზე?

– 1908 წლის 3 ივლისს საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე ფესტოსის მინოსური ხანის სასახლის გათხრების დროს იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ აღმოაჩინა „მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი დოკუმენტი“ (ინგლისი ელინისტი – ჯონ ჩედვიკი) - „ფესტოსის დისკო“ მრგვალი ფორმის თიხის ფირფიტა, რომლის დიამეტრიც 16-სმ-ია, სისქე – 1,5სმ, ხოლო წონა 380გრ. ფირფიტის ორივე მხარეს ოქროს ყალიბების საშუალებით დაბეჭდილია ნახატ-ნიშნები. ფირფიტაზე წარწერები დათარიღებულია ძვ.წ. 1850-1600 წ.წ. ასევე მე-20 საუკუნის დასაწყისში (1900-1913წ.წ) იმავე კუნძულ კრეტაზე, არქეოლოგიური ადგილების გათხრების დროს ინგლისელმა და იტალიელმა არქეოლოგებმა სერ არტურ ევანსმა, ფედერიკო ჰალბერმა და სხვებმა აღმოაჩინეს ეგოისის ზღვის პირეთში გავრცელებული ბრინჯაოს ხანის A-კლასის ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული წარწერები, რომელიც წარმოუდგენელია თიხის ფირფიტებზე, საბეჭდავებზე, სარიტუალო მაგიდებზე, ჭურჭლეულებზე, ოქროსა და ბრინჯაოს სამკაულებსა და სხვა ნივთებზე. წარწერები სპეციალისტების მიერ დათარიღებულია ძვ.წ. 2000-1450 წ.წ.

ეს ისტორიული დოკუმენტები ამჟამად ინახება კუნძულ კრეტის მთავარ პორტ-ქალაქ ირაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმში.

გია კვაშილავა ფესტოსის დისკოსთან.
ჰერაკლიონის არქეოლოგიური მუზეუმი, კრეტა.

6. ბატონო გია, როდიდან დაიწყეთ ზემოთაღნიშნული წარწერების ამოკითხვა, რატომ დაინტერესდით, ამ პრობლემებით, როცა მათი ამოხსნა მთელი 100 წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს მსოფლიოში ცნობილმა სპეციალისტებმა?

– როცა დავამთავრე ქუთაისის ანდრია რაზმაძის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, მაშინ ვიყავი 17 წლის ყმაწვილი. 1989 წლის 13 დეკემბერს ვიყიდე გაზეთი „სახალხო განათლება“, სადაც წავიკითხე ისტორიკოს ნინო კიღურაძის სენსაციური სტატია სათაურით „ფესტორის დისკოს საიდუმლო ამოხსნილია“? როგორც ხედავთ,სათაური კითხვის ნიშნით მთავრდებოდა. სტატია ეხმა-

ურებოდა ავსტრიელი მეცნიერის ჰერბერტ ძეზიშის ხანგრძლივი და მიზნობრივი კვლევების მოსაზრებებს ფესტოსის დისკოს შესახებ, როგორც პროტო-ქართველური დამწერლობის ნიმუში. იგი წერდა, რომ ეს ბეჭდვითი სიტყვის დოკუმენტი ეკუთვნის ხმელთაშუა ზღვის აუზის ეგეოსური კულტურის წინაბერძნულ მოსახლეობას. ხოლო ცნობილი მეცნიერების გამოკვლევებით უკვე განსაზღვრული იყო, რომ კუნძული კრეტისა და მთლიანად ეგეოსის ზღვის აუზის მოსახლეობა, ბერძნების მიგრაციამდე ავტოქტონური ანუ ქართველურ წარმომავლობის, ტომები გახლდათ, კერძოდ ლელეგები, მაკრალები, მაკრონები, დოლიონები და სხვა. ზოგიერთი მეცნიერის მიერ ეს ტომები „პელაზგებად“ იწოდება. ჰ. ძებიშმა ამ საკითხების კვლევის არა ერთი წიგნი მიუძღვნა, მათ შორის „იბერიული-ღმერთების ენა“ „პელაზგური – იბერიული ენა“, სადაც ის ასკვნის - „პელაზგური ქართველურ ენათა დედაა“. სწორედ ძებიშისა და ზოგიერთი სხვა მეცნიერების მოსაზრებებმა გადამაწყვეტინა წარწერები გამეშიფრა საერთო ქართველურ ენაზე.

7. ბატონო გია, რამენხანს მოუნდით „ფესტოსის დისკოს“ და A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვას?

– 1990 წელს დავიწყე მეცნიერული გამოკვლევები და დავამთავრე 2005 წელს. შემდეგ წლებში ვახდენდი გამოკვლევებზე ბეჭდვა-გამოქვეყნებას, სამეცნიერო მოხსენებებით გამოსვლას როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთის უნივერსიტეტების კონფერენციებსა და კონგრესებში. კერძოდ ფესტოსის დისკოს გაშიფრვის შესახებ მოხსენება გავაკეთე ლონდონში, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიაში, რომელიც შედგა 2008 წლის 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს, იგი მთლიანად მიძღვნილი იყო „ფესტოსის დისკოს“ აღმოჩენის 100 წლისათვის.

8. ფესტოსის დისკოზე აღბეჭდილი წარწერის ტექსტის შინაარსზე რას გვეტყით?

– ქართველური ენების შესწავლით და ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა-ძიებით მივედი იმ დასკვნამდე რომ წერილი-ფირფიტის – „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა ქართველურია, კერძოდ „კოლხური ოქრო დამწერლობა“ მისი ტექსტი წარმოადგენს საგალობელს – „ნენანას“. რომელიც ეძღვნება „აია-ნეშკარის“ მფარველ პელაზგურ – კოლხურ დიდ დედახვთაებას ნანას.

9. ბატონო გია ამჟამად რით ხართ დაკავებული, რაზე ამახვილებთ ყურადღებას?

– ფესტოსის, დისკოს ამოკითხვის შემდეგ, დავიწყე ინტენსიური გამოკვლევები ა კლასის ხაზოვანი დამწერლობების ამოკითხვაზე, რომელთა რაოდენობა ჯერ-ჯერობით დაინტერესებულ სამეცნიერო საზოგადოებას ამასთან დაკავშირებით მოხსენებები მქონდა 2017 წელს ჯერ კემბრიჯის ხოლო შემდეგ აშშ-ს ჰარვარდის უნივერსიტეტში. კემბრიჯის უნივერსიტეტის კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ სიმონ ზაქარაიასა და გოგი ფაცაციას სტატია დაიბეჭდა ჟურნალ „ათინათში“.

10. როგორ იცნობთ ჯუმბერ ლეჟავას?

– ჯუმბერ ლეჟავა მსოფლიო მოგზაური და მოქალაქეა. იგი იყო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ინფორმატიკის დარგში. რამდენიმე გზის გინესის რეკორდსმენი. ბატონი ჯუმბერი საოცარი გულთბილი მოქალაქე და მეგობარი გახლდათ. მისმა მოულოდნელმა დაღუპვამ აუნაზღაურებელი ტკივილი მიაყენა იმ ფართო საზოგადოებას, რომლებისათვისაც იგი ადამიანობის ეტალონს წარმოადგენდა. ჯუმბერის უკვდავსაყოფად მისმა უახლოესმა მეგობრებმა შექმნეს მრავალპროფილიანი სამეცნიერო აკადემია, ჟურნალი „ათინათი“, რომლებსაც უნარიანად ხელმძღვანელობს პოეტი და საზოგადო მოღვაწე გულნაზ ხარაიშვილი.

11. რას იტყვით ჟურნალ „ათინათზე“, მის რედაქტორზე გულნაზ ხარაიშვილზე?

– ჟურნალი „ათინათი“ ჯერ კიდევ ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლის პერიოდში 2011 წელს დაარსა პოეტმა გულნაზ ხარაიშვილმა. ჟურნალი დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. რედაქტორის სასახელოდ უნდა ითქვას ის ფაქტი, რომ ჟურნალი ერთგულად მასპინძლობს, ცნობილ მწერლებს, მეცნიერებს, ხელოვნებს, მუშაკებს, ამავე დროს გ. ხარაიშვილმა საკუთარი ინიციატივით შექმნა და ჩამოაყალიბა სხვადასხვა სულის პერსპექტიული მოსწავლეებისგან ახალგაზრდა ათინათელები, რომელთა შორის ბევრმა თავი გამოიჩინა, როგორც კარგი მომავლის მქონე თაობამ.

აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ ჟურნალის ადრეული ნოემბრის, სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში მე და ჩემი მომავალი მეუღლეც ვიყავით, სწორედ მახსოვს, რომ ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლას დაემთხვა ჩემი და ელისო ცანავას დაქორწინება, ასე რომ ჩემი ოჯახი „ათინათიდან“ მოდის. ჟურნალ „ათინათს“ მის რედაქტორს, ქ-ნ გულნაზ ხარაიშვილს ვუსურვებ ჩვეულ წარმატებას.

12. ბატონო გია, თქვენი მეცნიერული კვლევის მანძილზე თუ გყავდათ მხარდამჭერი და როდის გრძნობთ მათ დახმარებას თქვენს საქმიანობაში?

– მხარდამჭერი და ერთგული ადამიანები ჩემი ოჯახის წევრების გარდა მრავლად მყავს, რომ არა მათი მორალური და მატერიალური დახმარება, ალბათ ჩემი აღმასვლა შეუძლებელი იქნებოდა. ჩემი მრჩეველი და ერთგული მეგობრებია: პოეტ – აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი, რომელმაც თავის გაზეთ „დიოსკურიაში“ ჩემს გამოკვლევებზე პირველი სტატია დაბეჭდა (ს. ზაქარაიას ავტორობით) ასევე მინდა პატივი მივაგო ფაზისის აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახ. აკადემიების პრეზიდენტებს ნუგზარ ნადარაიას, გულნაზ ხარაიშვილს, ჯუმბერ ლეჟავას, სიმონ ზაქარაიას, ნუგზარ კვაშილავას, ალიოშა კვაშილავას, გიზო ჭელიძეს, ჯუმბერ ჯიშკარიანს, ემილ დიხამინჯიას და სხვებს.

13. რას უსურვებთ მომავალ თაობას?

დღევანდელ თაობას ურთულეს ეკონომიურ, სოლიალურ და პოლიტიკურ პერიოდში უხდებათ სწავლა და მოღვაწეობის დაწყება, მაგრამ ნიჭიერება მუდამ აღწევს მიზანს, თუმცა ეს ხდება თავდაუზოგავი შრომის ხარჯზე.

ბატონი გია, გმადლობთ გულთბილი და ამომწურავი ინტერვიუსათვის, გისურვებთ მომავალშიც დიდ წარმატებებს.

ილია ძმანაშვილი

ინტერვიუ ციალა ღვინიანიძესთან

ქალბატონო ციალა მე გახლავართ თბილისის საჯარო 36-ე სკოლის მოსწავლე ილია ძმანაშვილი.

თქვენ როგორც კულტურის სფეროს ამაგდარ მუშაკს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთ-ერთ მესაძირკველეს, არაერთი ჯილდოსი და რელიგიის ქომაგსა და მიმდივერს მინდა დაგისვა კითხვები რათა უფრო კარგად ჩავწვდე თქვენი პიროვნების ლამაზ ისტორიას.

როდის დაიბადეთ, მიამბეთ თქვენს შესახებ.

დავიბადე, 1932 წელს 8 – აპრილს ქუთაისის რაიონის სოფელ ოფშევთში. მამა გიორგი ირაკლის ძე ღვინიანიძე მკერავი იყო. დედა – ელენე კონსტანტინეს ასული დათიაშვილი-სტახანოველი კოლმეურნე. ვართ შვიდი დედმამიშვილი: ორი ძმა, ხუთი და. ყველანი უმაღლესი განათლებით. დავამთავრე ოფშკვეთის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ისტორიის ფაკულტეტი 1956წელს. საქართველოს განათლებით სამინისტროსა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელთა რესპუბლიკური სკოლა 1957 წელს.

ვმუშაობდი ოფშკვეთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში რიგითად, პედაგოგიური ინსტიტუტის სტამბაში მკინძველად. ოფშკვითის საშუალო სკოლაში უფროს ხელმძღვანელად, ბროწეულას სკოლა-ინტერნალში უფროს ხელმძღვანელად, ისტორიის მასწავლებლად, აღმზრდელად სტალინის სახელობის სკოლა-კოლმეურნეობის თავმჯდომარედ: წყალტუბოს მე-3-2, სოფელ წყალტუბოს საშუალო სკოლებში ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის სამართალმცოდნეობის მასწავლებლად. 1969 წლის 1 თებერვლიდან 2007 წლის აგვისტომდე წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად.

წყალტუბოს რაიონში შექმნილი მაქვს ხუთი მუზეუმი: ქუთაისის რაიონის სოფელ ბროწეულას სკოლა-ინტერნალში (სასკოლო მუზეუმი) წყალტუბოს აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის და აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახლმუზეუმები ჩუნეშსა და დერჩში, ჯარისკაცის სახლ-მუზეუმი სოფელ ოფშკვითში.

ვარ სახალხო განათლების წარჩინებული და საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ღირსების ორდენის კავალერი, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე. დერჩისა და ოფშკვითის საზოგადოების საპატიო წევრი, „იმედის გმირი“ დაჯილდოებული ვარ მედლებით: „მამაცური შრომისათვის”, „შრომის ვეტერანი”, „სამოქალაქო თავდადებისათვის“. სამკერდე ნიშნებით: „საუკეთესო ხელმძღვანელი”, „სახალხო განათლების წარჩინებული“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელებით და დიპლომებით ვიყავი გაზეთ „მალადოი სტალინედს“ კორეპოლენტი ქუთაისის რაიონში. ფართო პროფილის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, საზოგადოება, „ცოდნის“ ლექტორი. მაქვს პირველი თანრიგი ტურიზმში გამოქვეყნებული მაქვს 300-მდე საგაზეთო სტატია.

ავტორი ვარ 33 წიგნის (ძირითადად სოფლის ისტორიების) მუზეუმის შრომების 8 კრებულის, 35 სამეცნიერო ნაშრომის.

ვიყვავი ქალთა საბჭოს თავმჯდომარე. ქალთა სპორტული საბჭოს თავმჯდომარე, ერთაშორის ურთიერთობის საბჭოს თავმჯდომარე...

ამჟამად ვმუშაობ ჩემს მიერ დაარსებულ წყალტუბოს აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოცემების კორდინატორად...

და მაინც მოსწავლეების პერიოდიდან, ხომ არაფერს გაიხსენებთ?

მოსწავლეობის პერიოდიდან ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი, მაგრამ მკითხველთა ყურადღებას რამდენიმეზე შევაჩერებ.

1946 წლის მაისი იდგა. სკოლის გამორჩეულ მოსწავლეებს ექსკურსია მოგვიწყვეს საჩხერეში. მატარებლით საჩხერეში ჩავედით. შესანიშნავი გზა იყო. ამწვანებული კორდები, ფერად-ფერადი ყვავილები კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა ჩვენს მოგზაურობას. დიდი ინტერესით დავათვალიერეთ აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი სხვიტორში, შემდეგ სავანეს ვესტუმრეთ, სადაც ბავშვობის წლები გაატარა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა. ექსკურსიის დამთავრების შემდეგ საჩხერის სადგურში მოვგროვდით. მატარებლის მოლოდინში უცხო ვაჟები შემოგვესივნენ. ერთმა ებრაელის ვაჟმა ჩვენს უფროს კლასელს მიტუშა ნემსიწვერიძეს სახეზე ბრიტვა გაუსვა. სისხლი რომ დავინახეთ, ძალიან შევშინდით. ჩვენს იღბლად მილიციამ გვიშველა. მას შემდეგ ექსკურსიის სახელი არ გვიხსენებია.

სკოლის დრამწრემ, რომლის აქტიური წევრიც გახლდით, ქალბატონ მარიამ მამრიკიშვილის ხელმძღვანელობთ, მრავალი საინტერესო საღამო მოამზადა და ჩაატარა ოფშკვითში და მის მეზობელ სოფლებში. 1948 წლის ივნისის ერთ მშვენიერ დღეს, საღამოს ჩასატარებლად ვეწვიეთ გეგუთს. საღამოს დაწყების წინ გეგუთელი ახალგაზრდების ჯგუფმა ქვებით გამოგვყარა სასოფლო კლუბიდან (აღდგომის სახელობის ეკლესიიდან). შეშინებული ჩვენს სოფელში დავბრუნდით.

მე-11 კლასში ვართ. ჩვენს ჯგუფში ასაკით ჩვენზე დიდები სწავლობდნენ, ახალგაზრდა მასწავლებლებს ხელს უშლიდნენ გაკვეთილის ჩატარებაში. კლასის ხელმძღვანელი, შესანიშნავი პიროვნება, ერუდირებული, თავისი საგნის შესანიშნავი სპეციალისტი, ბავშვებზე უსაზღვროდ შეყვარებული ბატ. ლავრენტი ბეშკენაძე იყო. ის მამასავით დაგვტრიალებდა თავს. ჩვენს ყველა მოქმედებას აკონტროლებდა. ყველა ჯგუფს (გამოცდების პერიოდში ჯგუფებად ვმეცადინეობდით) ამოწმებდა ჩვენდა შეუმჩნევლად. ლავრენტი მასწავლებლის ჯგუფში შემოსვლა, მისი საჩვენებელი თითის დარტყმა მაგიდაზე და ჯგუფის გარინდვა ერთი იყო. დღესაც ძალიან ვუმადლი მას, თუ რაიმე ვიცი და ვწერ, მისი დიდი დამსხურებაა. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ლავრენტი მასწავლებელი აქვე დაოჯახდა ოფშკვეთის სასოფლო სამედიცინო ამბულატორიის მედდაზე და შესანიშნავი ოჯახი შექმნა. გარდაცვალებამდე ოფშკვეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და ყველა ოფშკვითელისათვის საყვარელ პიროვნებად დარჩა. იგი რამდენიმე წლის წინ წავიდა ამ ქვეყნიდან და ყველას გული დაგვწყვიტა. განვიცადეთ ისიც, რომ ის არა ოფშკვითში, არამედ ქუთაისში დაკრძალეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული! ამინ!

დამამთავრებელ კლასში ვართ. რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი მიმდინარეობს. რუსულს ქუთაისელი (ვიწრო თვალებიანი) ზინაიდა ფურცხვანიძე გვასწავლიდა. ბავშვები აბრაზებდნენ, არ აცლიდნენ გაკვეთილის ჩატარებას. მეორე მერხზე ვისხედით მე და გივი ლალიაშვილი, როგორც მახსოვს, გივი მე-10 კლასში თბილისიდან გადმოვიდა ჩვენთან, იგი ობოლი იყო და თბილისში უფროს ძმასთან იზრდებოდა. გივი განათლებული პიროვნება იყო. კარგ ლექსებს წერდა. მეთერთმეტე კლასის გამოსაშვებ (ქართული ენისა და ლიტერატურის) გამოცდაზე მან დაწერა თავისუფალი თემა „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“ და ფრიადი დაიმსახურა.

რუსული ენის გაკვეთილზე გივიმ შიშველი ქალი დახატა და ჩემს თავთან კედელზე გააკრა. ამის დანახვაზე მთელი კლასი ახარხარდა. ეს რომ დაინახა, ზინაიდა მასწავლებელმა მე მომვარდა, მითხარი ეს სურათი ვინ გააკრაო. მე გივი არ გავეცი. ზინაიდა მასწავლებელმა გარეთ გამომაგდო, ძალიან შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი (აქამდე უბრალოდ შენიშვნაც არ მქონდა მიღებული), ტირილი დავიწყე. დირექტორის კაბინეტის წინ დავდექი. ჩვენი სკოლის დირექტორი აწ გარდაცვლილი ალექსანდრე (ლექსო) კეზევაძე დიდებული პიროვნება იყო. ყველას ძალიან გვიყვარდა, ბიოლოგიას გვასწავლიდა. დირექტორი სახტად დარჩა მე რომ მტირალი მნახა. დამიყვავა, მომეფერა, კაბინეტში შემიყვანა, ამდროს ზარი დაირეკა, გაკეთილი დამთავრდა. დირექტორმა

თავისთან უხმო ზინაიდა მასწავლებელს და ჩემი თანდასწრებით უსაყვედურა, რასაც ძალიან განვიცდი ახლაც.

არასოდეს დამავიწყდება კომკავშირში მიღების დღე. დეკემბრის სუსხიანი დილა იყო. რამდენიმე ბავშვი დიდი გაჭირვებით ჩამოგვიყვანეს ქუთაისში, კომკავშირის რაიკომში (რაიკომი მაშინ ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის უკანა მხარეს იყო). ღამის პირველ საათზე გამოვედით კომკავშირის რაიკომის ბიუროდან. სასტიკად ციოდა, შუქი არ იყო, ძლიერი ქარი გადაადგილებას გვიშლიდა. ღამე ჩვენი თანაკლასელის აწ გარდაცვლილი მერი მამაგეიშვილი ოჯახში გავათიეთ. მერის დიდებული ოჯახი ჰქონდა. დედა ოფშკვითელი ინანეიშვილის ქალი იყო, მამა ფეხსაცმელების მკერავი, შესანიშნავი სპეციალისტი. მერი დედისერთა იყო. იგი ქუთაისიდან მედლისათვის მე-10 კლასში გადმოვიდა ჩვენთან. მასთან ერთად გადმოვიდნენ ქუთაისიდან: მედეა ლორთქიფანიძე და ნოდარ სანებლიძე, თბილისიდან მერი ჩხობაძე. მერი ჩხობაძე ობოლი იყო. ის და მისი და ელენე (პუწკია) შემდეგში ექიმი, მამიდასთან თბილისში იზრდებოდნენ. მერიმ ვეტერინარული ინსტიტუტი დაამთავრა და ქუთაისში დაიწყო მუშაობა. იგი ბავშვობის შეყვარებულს ტყაჩირელ დურიკო აშვეთიას გაჰყვა ცოლად. ორი შვილი აღზარდეს, ორივე ექიმები.

მერი 1999 წელს გარდაიცვალა, დურიკო კი 2011 წელს საუბედუროდ მათი გარდაცვალება ვერ გავიგე, რასაც ძალიან განვიცდი.

აქვე უნდა ავღნიშნო ისიც, რომ მე, მერი ჩხობაძე, მედეა ლორთქიფანიძე განუყრელი მეგობრები ვიყავით და ყველგან ერთად დავდიოდით.

გამოსაშვებ გამოცდებისათვის ჯგუფებად ვმეცადინეობდით. ჩემი ჯგუფი (გუგა მარგველაშვილი, ავთანდილ დოლაბერიძე, გურამ ძოძუაშვილი, მედეა ლორთქიფანიძე, მერი ჩხობაძე) თანაკლასელი ნოდარ ხაფავას ოჯახში ვმეცადინეობდით, ნოდარის დედა ვერიჩქა და მამა ამბროსი ხაფავები დიდ პატივს გვცემდნენ, ნოდარის ორი და და ორი ძმა ჰყავდა. ყველაზე უმცროსი ჯოჯია იყო, რომელსაც ჩვენი ბიჭები ძალიან აწვალებდნენ. ნოდარის უფროსი და ნაზი ახალცხოვრებაში იყო გათხოვილი, კოღუაშვილს ჰყავდა ცოლად. ერთ საღამოს ნოდარიმ მისი დის ბლის მოსაპარავად წაგვიყვანა. ბევრი ბალი წამოვიღეთ. ბევრი ვიცინეთ და ბევრი შიშიც ვჭამეთ.

ჩვენი ჯგუფის წევრის გუგა მარგველაშვილის მამას – გალაქტიონს (გუგა და მე ჯგუფში ასაკით ყველაზე პატარები ვიყავით) ბევრი ფუტკარი ჰყავდა. გუგას ხშირად ჩვენთვის მოჰქონდა თაფლი, რასაც გემრიელად შევექცეოდით.

ჩვენს თანაკლასელ გურამ ძოძუაშვილს სტუმართმოყვარე ოჯახი ჰქონდა. გურამის დედა ნუცა და მამა გრიგოლი შვილებივით გვიცქერდნენ, გურამს ერთი და ცამბალა და ძმა ნოდარი ჰყავდა.

გურამთან ხშირად ვიკრიბებოდით, როგორც ჩემთან. ნუცა დეიდა ხელად ხაჭაპურებს დააცხობდა. სუფრას გაგვიშლიდა და გვითამადებდა. ერთხელ ისე დაგვათრო არაყით მე, გურამი და ნოდარი, ძლივს მოვედი სახლამდე. დღეს ისინი არცერთი ცოცხლები არ არიან, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

მოიშალა ორი ძირძველი ოჯახი – ამბროსი ხაფავასა და გრიგოლ ძოძუაშვილის. ამბროსი ხაფავას სახლში თამაზ ძოძუაშვილი ცხოვრობს, ღმერთმა აბედნიეროს, ხოლო გრიგოლ ძოძუაშვილის ოჯახს ხშირად სტუმრობს შვილიშვილი თამაზ ძოძუაშვილი.

მე-11 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე შევედი. ბილეთი ავიღე და მოსაფიქრებელ მერხზე დავჯექი. ამ დროს გამოცდაზე ქუთაისის რაიონის განათლების გამყოფილების ბრიგადა (ხელ-ი განყოფილების გამგე მ. თუმანიშვილი) შემოვიდა. სხვა საკითხებთან ერთად ბილეთში გ. ტაბიძის „მე და ღამე“ შემხვდა, რაც კარგად არ ვიცოდი (ციება მქონდა და გაკვეთილები ხშირად მიცდებოდა) გვერდით ერთ-ერთი სტუმარი მომიჯდა, როცა საპასუხოდ გამომიძახეს მითხრა: ციალა, აბა დაიწყე, რაც შეგეშლება მე გიკარნახებო. მე ამაყად დავდექი დაფასთან და რიხიანად დავიწყე თხრობა. სტუმრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მოხერხებულად შევცვალე ლექსი. ლავრენტი მასწავლებელი შიშისგან ცახცახებდა თურმე, მაგრამ ვერავინ ვერაფერი გაიგო ჩემი მასწავლებლის გარდა. ამ დღეს ჩემმა დედამ – ელენე დათიაშვილმა სკოლაში კარგი სადილი მოიტანა (ყველა გამოცდაზე მშობლებს დაჰქონდათ სადილები). სკოლამ დიდი სახელი მოიპივა. ჩემი ქება – ციალამ გვასახელაო დიდხანს ისმოდა. ამ ამბის გამო ლავრენტი მასწავლებელმა „მელაკუდა“ შემარქვა.

დამთავრდა გამოცდები. დიდი გამოსაშვები საღამო გადავიხადეთ. ჩემი თანაკლასელის ნათელა კაპანაძის სახლში. ნათელას მამა ერმილე კაპანაძე მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ლენინის ორდენოსანი იყო. დედა ნინო ნიჟარაძე კდემამოსილი, სათნო ქალბატონი, ჩვენი დიდი მეგობარი გახლდათ. შემდეგში ნათელა ჩემი უმცროსი ძმის ელგუჯას ნათლია გახდა.

ასევე ჩვენი დიდი მეგობარი იყო თანაკლასელი ეთერ გვანცელაძის ოჯახი. ოლია და ივანე გვანცელაძეები ყოველთვის სიყვარულით გვეპყრობოდნენ.

საშუალო სკოლის დამთავრება მამამ შვეიცარული საათით მომილოცა, ხოლო დეიდა ტუნამ კრევდეშინის კაბა, ფეხსაცმელები მიყიდა და ექსკურსიაზე წამიყვანა ვარძიაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჩემი ზოგიერთი თანაკლასელი უმაღლეს სასწავლებელში წავიდა, ზოგი კოლმეურნეობაში დარჩა სამუშაოდ. მე კი ეკონომიური პირობების გამო (ამ წელს მამის ძმა გავიდა ოჯახიდან და უამრავი თანხა წაიღო) იძულებული გავხდი კოლმეურნეობაში მეცადა ბედი, მაგრამ თავისუფალ დროს ენერგიულად ვმეცადინეობდით მე და ზაირა სანებლიძე. ზაირა ობოლი იყო, ბებია ნინო ზრდიდა. ერთი ძმა ვახტანგი ჰყვდა, ბევრი სიკეთე მახსოვს ნინო ბებოსაგან. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ზაირა შეყვარებული იყო ტყარჩირელ ლეო ბაღდავაძეზე (ამჟამად აკადემიკოსი) ორივემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. მათი სიყვარული ოჯახის შექმნით დამთავრდა. ამჟამად ოჯახით თბილისში ცხოვრობენ.

თქვენთვის ლექსი ხომ არავის მოუძღვნია?

კი ნამდვილად ამით ბედნიერი ვარ რომ მე გავხდი ქალბატონი ნანა კბილაშვილის მუზა

ფეხდაფეხ შემოიარეთ
ბილიკები გაბმული,
მისხალ-მისხალ მოაგროვეთ
ჩვენი მხარის წარსული,
დაუღალავ შემართებით
განადიდეთ მამული.
გამოზარდეთ თაობები,
შრომა-გარჯა ასწავლეთ,
ჩვენო დიდო მეგობარო,
სამშობლო შეგვაყვარეთ.
მკაცრის და სამართლიანის
მორიდება სულ გვქონდა,
თქვენი დიდი დახმარებით
ლელო მუდამ გაგვქონდა...
თქვენი ტვირთი, შემართება
არ ყოფილა ადვილი,
კიდევ დიდხანს იქართველეთ,
დაგვდეთ დიდი პატივი.
დაილოცა თქვენი კალთა,
თქვენი წმინდა მანდილი,
საუკუნე ისე განვლეთ,
ვერ გიხილოთ დაღლილი.

სხვა პოეტს ხომ არ მოუძღვნია?

ქალბატონი ჩხობაძე წილნაყარია პოეზიასთან მან 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ასეთი ლექსი მომიძღვნა:

სიცოცხლე ღვთისგან ნაჩუქარი
სამშობლოს მიუძღვნა მთლიანად,
ბევრია ერთი ქალისგან,
ბევრია, ქალბატონო ციალა.
აღზარდო მოსწავლე ამდენი,
და მარტო მოსწავლე კი არა,
ამდენი წიგნით თქვა სათქმელი,
დიდო ქალბატონო ციალა.
დაუნთო უკვდავების სანთელი
ქართველს, ვინც გმირულად იარა,
უკვდავყო ქართველი ამდენი
კალმით – ქალბატონო ციალა.
რამდენი – მუზეუმი შექმენით,
რამდენი აღნიშნეთ თარიღი,
ამდენ ძიებაში, საქმეში,
თქვენი მუზეუმი დაიდგით.
დღეის სიხარული გვაჩუქეთ
და თქვენთან ვზეიმობთ ზიარად,
ასაკი ჯილდოა ბუნების,
ჩემო ქალბატონო ციალა,
თქვენი შრომითა და სიკეთით
რაოდენ სიმაღლეზე ახვედით,
კრძალვით მადლობას მოგიძღვნით,
ერთი უბრალო ქართველი.
თქვენ გამიცოცხლეთ წარსული,
მასწავლეთ – რა გზით მეარა,
თაობებს ეხმიანებით
თქვენ, ქალბატონო ციალა,
თქვენი ცხოვრება ეყოფა
დღეს საქართველოს პიარად,
დიდ იუბილეს გილოცავთ
თქვენ, ქალბატონო ციალა!

ქალბატონო ციალა, იცნობდით ჯუმბერ ლეჟავას?

ჯუმბერ ლეჟავვა ეს მსოფლიოში ცნობილი ადამიანი, რომ არ ვიცოდე სირცხვილიც არის. ის საქართეველოს სიმდიდრე იყო. სამწუხაროა რომ აღარ გვყავს.

რას იტყვთ ქუთაისელ ქალბატონზე, ქალბატონ ნაირა ნიჟარაძეზე.

ნაირა ნიჟარაძე, განათლებული და ნიჭიერი პოეტია, მისი პოეზია, სათუთია, აღმზრდელობითია, ქალურია. ის საამაყო ქალბატონია, როგორც ქუთაისელების, ასევე მთლიანად საქართველოსათვის.

იცნობთ ჟურნალ „ათინათს"?

გამიგონია, მასზე ბევრი კარგი რამ, სახალხო განათლების გაზეთში წავიკითხე, მგონი ბორის მიშველაძის მიმართვა: სკოლის მოსწავლეებმა უნდა იკითხონ „ათინათი", ეს ჟურანალი სიახლეა XXI საუკუნის დასაწყისის ახალ ერაში.

გმადლობთ რომ დამითმეთ დრო და მიამბეთ თქვენი ლამაზი ისტორიის შესახებ.

ნია ჯანგავაძე

ინტერვიუ მამა გიორგისთან

მოგესალმებით მამა გიორგი! დამლოცეთ!

– დალოცვილი იყავი შვილო

მე ვარ თბილისის 29 საჯარო სკოლის 111 კლასის მოსწავლე ნია ჯანგავაძე ჩემი ნათლობის სახელია ნინო.

მამაო, ჩემი სკოლა აქვეა, ეკლესიის გვერდით და გამოგიტყდებით ვერ ვახერხებ ლოცვებზე დასწრებას, თუმცა სურვილი მაქვს მეტი გავიგო ამ ეკლესიის შესახებ, და თქვენი კურთხევით თუ შეიძლება რამდენიმე კითხვა დაგისვათ.

მამა გიორგი როგორც ვხედავ ეს ეკლესია ახალი აგებულია, როდის დაიწყო მისი მშენებლობა?

– ეკლესია, რომელიც თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში ჩუბინაშვილისა და კლდიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარეობს ყაზანის ყოვლისწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელითაა წოდებული.

რატომ დაერქვა ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესია და ვისი იდეით აიგო?

– მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ამ ადგილს რუსული ტაძარი იყო ამ სახელწოდებით. ამას მოწმობს ეკლესიის ეზოშივე, მარჯვენა მხარეს ძველი ტაძრის დარჩენილი ნაშთი-ბაზალტის ქვისგან ნაშენი კედლის ნაწილი თავისი არქიტექტურით რომელიც ერთ-ერთი ნივთმტკიცებაა იმისა, რომ აქ ამ ადგილას რუსული ტაძარი იყო. საბჭოთა პერიოდში, მოხდა ამ ეკლესიის დანგრევა, მაგრამ მისი სიმძლავრისა და სიდიდის გამო მისი საძირკველი ვერ დაანგრიეს.

წმინდა ადგილზე ჯერ პურის საცხობი შემდეგ სპორტული მოედანი იყო განთავსებული. დღემდეა შემორჩენილი ტაძრის კედელი.

ეკლესიის განახლება – აღმშენებლობის დაწების მიზნით, ამჟამად ბერად აღკვეცილმა ვალერიმ, კახაბერმა და აკაკიმ ითავეს. იმდროინდელმა თაობამ გაიხსენეს ძველი ტაძრის არსებობის შესახებ და გამოთქვეს სურვი-

ლი აღედგინათ და აეგოთ ტაძარი. მათმა თხოვნით მიმართეს პატრიარქის არქიდიაკვანს მამა დემეტრეს თუ როგორ შეიძლებოდა ამ ტაძრის აღდგენა და განახლება. უწმინდესის კურთხევით სახელის შეუცვლელად დაიწყო ძველი ტაძრის განახლება ქართული იერსახით.

2003 წლის 26 დეკემბერს უწმინდესის ლოცვა-კურთხევით გაიჭრა პირველი საძირკველი და ის ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ აკურთხა. ტაძრის საძირკველის ჩასხმის დღიდან მშენებლობის დასრულებამდე პატრიარქის ლოცვა კურთხევით მეთვალყურეობდა მშენებლობაზე მე ჩამაბარა ვცდილობდი სიყვარულით შემესრულებინა უწმინდესის ლოცვა-კურთხევა, გამემართლებინა მისი ნდობა და ამეგო ისეთი ტაძარი რომელსაც ახლა ვუყურებ ჩემო ნინო.

ვინ მონაწილეობდა ამ ეკლესიის მშენებლობაში და ვინ ააგო ის?

– არქიტექტორ რევაზ ჯანაშიას დაპროექტებისა და დაგეგმის შემდეგ ტაძრის მშენებლობა დაიწყო უბნის შემოწირულობებით და კეთილი ადამიანების დახმარებით, ტაძრის მშენებელს პაატა ხარაიშვილს მთელი უბანი დიდი თუ პატარა ყველა გვერდით ედგა, ყველა ღებულობდა მონაწილეობას აგური აგურს ემატებოდა და გული სიხარულით მევსებოდა. საბოლოოდ ტაძარი ქართული აგურით აიგო. ეზოში მდებარე ცალკეული ნაგებობა და ბაღი რომელიც მარადმწვანე მცენარეებითა გაშენებული პაატა ხარაიშვილის დამსახურებაა და დიდი მადლობა მას.

როგორც ვხედავ ეკლესიის ირგვლივ მჭიდრო დასახლებაა, როგორ შეხვდა ადგილობრივი მცხოვრებნი ეკლესიის მშენებლობის დაწყებას?

– სიხარულით, აკი ავღნიშნე კიდეც დიდი თუ პატარა ყველა ღებულობდა მონაწილეობას ტაძრის მშენებლობაში.

ვინ იყო ეკლესიის წინამძღვარი?

– უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ტაძრის საძირკველის კურთხევიდან ვარ დადგენილი ამ ტაძრის წინამძღოლად.

პატარებს ხშირად გვავიწყდება ეკლესიაში ქცევის წესების დაცვა, თუმცა ზოგმა ისიც არ იცის რატომ უნდა იაროს და რას გვაძლევს ტაძარში სიარული?

– ნინო ყურადღებით მომისმინე, მინდა ყველა შენს მეგობრებს გადასცე რომ ეკლესიაში ხშირად უნდა ვიაროთ და მოძღვარი დაგეხმარებათ თუ როგორ უნდა მოიქცეთ ტაძარში. ტაძარი ხომ რწმენისა და ღვთისმოსაობის სასწავლებელია, დედამიწაზე წმინდა ტაძარი ერთადერთი ადგილია, სადაც შეიძლება თავი დავიცვათ განსაცდელისა და გაუკუღმართებისაგან. ბევრს კარგავს ის ვინც იშვიათად დადის ეკლესიაში, უფრო მეტს სცოდავენ ის მშობლები რომლებიც არ ზრუნავენ იმისათვის რომ თავიანთმა შვილებმა იარონ ეკლესიაში... „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა (მათე 18.20) ჭეშმარიტად ქრისტიანს, ამ ქვეყნად მოსულ ადამიანთა განსანათლებლად სკოლა ვერ შეუცვლის ტაძარს. მაცხოვარი ამბობს „არა პურითა ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღვთისა (მათე 4, 4). ე. ი. სულიერი საზრდო ისე ესაჭიროება ადამიანის სულს, როგორც ხორციელი საკვები ფიზიკური ძალის შენარჩუნებისათვის.

სხვაგან სად მოისმენს ქრისტიანი უფლის სიტყვას თუ არა ტაძარში სადაც იქადაგება ჭეშმარიტი გზა, სიცოცხლე, სიბრძნე, სინათლე თითოეულ ადამიანთა გასანათლებლად.

მამა გიორგი რას გვეტყვით მარხვასთან დაკავშირებით?

– ღმერთმა ადამიანს მარხვა ჯერ კიდევ სამოთხეში დაუწესა თავად უფალი იესო ქრისტემ იმარხულა 40 დღე. ყველა ქრისტიანი უნდა მარხულობდეს პატარებს კი მოძღვარი ურჩევს რა ასაკიდან და როგორ დაიწყონ მარხვა.

მართლმადიდებულ ეკლესიაში ძირითადად დაწესებულია დიდი მარხვა, საშობაო მარხვა, მარიამობის მარხვა და პეტრე-პავლ. მარხვა. სწორედ დიდი მარხვაა, რომელიც იესო ქრისტეს 40 დღიანი მარხვის შესაბამისად დადგინდა, რათა ღირსეულად შევხვდეთ ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს;

მაინტერესებს რა არის აღსარება და რა უნდა გავაკეთოთ აღსარების დროს?

– შვიდი ქრისტიანული საიდუმლოთაგან ერთ-ერთია აღსარება. აღსარებისათვის ადამიანი უფლის წინაშე უნდა ემზადებოდეს სინანულით და ცდილობდეს გულწრფელად აღიაროს თავისი ცოდვები, უფალმა ისედაც იცის ადამიანთა ცოდვების შესახებ, მაგრამ თითოეული ჩვენგანისაგან მოელის მათ აღიარებას, მოძღვარი ისეთივე ადამიანია როგორიც თითოეული თქვენგანი, ამიტომ არ უნდა დაუმალოთ სულიერ მოძღვარს, ზოგს მორიდება და შიშიც კი აქვს კეთილგან-

წყობის დაკარგვის; პირიქით სულიერი მოძღვარი, სულიერი მამაა, იგი უფრო მეტად განიმსჭვალება შენდამი სიყვარულით როცა დაინახავს როგორ გულწრფელად და სინანულით აღიარებ შენს ცოდვებს, მოგცემს საჭირო რჩევა-დარიგებას; თუ შენ ერთი სულიერი მოძღვრის წინაშე გერიდება შენი ცოდვების აღიარება, მაშინ ქრისტეს სამჯავროზე როგორ წარსდგები უფლის ანგელოზებისა და ყველა შენი ნაცნობი თუ უცნობი ადამიანთა წინაშე? ხშირად უნდა ვთქვათ აღსარება, რადგან ის ვინც იშვიათად ამბობს აღსარებას ავიწყდება ჩადენილი ცოდვები და თავად ხდებიან დამნაშავენი, უფალმა კი გვასწავლა ყოველთვის გვახსოვდეს ჩვენი ცოდვები.

ეკლესიაში როცა შევდივარ ხშირად ვუყურებ უფროსებს, როგორ ისახავენ პირჯვარს და ეამბორებიან ხატებს რას ნიშნავს ეს?

– ტაძარი ჩვენი ზეციური სახლია ქრისტიანები უძველეს დროიდან თაყვანს სცემდნენ ხატებს, როგორც სიწმინდეს და პირველ სახეს მასზე გამოსახული წმინდანებისა. სიყვარულის ყველაზე მკაფიო გამოხატულება ამბორია. ხატების ამბორით ვეამბორებით თავად ქრისტეს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და ხატებზე გამოსახულ წმინდანებს.

ძველად ჯვარი სირცხვილის და წამების ნიშანი იყო ახლა კი დიდებისა და პატივის საგნად იქცა. ჯვარი ჭეშმარიტად დღესასწაულია ჩვენთვის, მან გაგვიღო სამოთხის კარი. ჯვარი ისე უნდა ვატაროთ, როგორც გვირგვინი, რამეთუ მისი ძალით და მეშვეობით სრულდება ყველაფერი რაც ჩვენთვის და ჩვენი სულისათვისაა საჭირო თუ სწორად ისახავ პირჯვარს ვერცერთი არაწმინდა სული ვერ გაბედავს მოახლოებას, რადგანაც დაინახავს იმ მახვილს რომლითაც იგი მოწყლული იქნება (წმ. იოანე ოქროპირი)

დედაჩემი, როცა ლოცვებს კითხულობს იხსენიებს ცოცხლებისა და გარდაცვალებულების სახელებს, რა ძალა აქვს მას?

– იმისათვის რომ მოვიხსენიოთ ჩვენი ცოცხლები და გარდაცვლილი ახლობლები საღამოს ლიტურგიის დაწყების წინ სეფისკვერთან ერთად ვაგზავნით მოსახსენებელს. საღვთო ლიტურგიაზე მოხსენიება უდიდესი სიკეთეა. მის გარეშე შეუძლებელია ცხონება და სასუფევლის დამკვიდრება.

სეფისკვერს დიდი მნიშვნელობა აქვს, ბერძნულად „პროსფორა“ ჰქვია რაც ძღვენს-შესაწირავს ნიშნავს, რომლის გარეშეც შეუძლებელია წირვის აღსრულება. მოხსენიებას მღვდელი აღასრულებს ამ დროს მსხვერპლშეწირვის ჟამს ქრისტეს გვერდით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან, ანგელოზებთან წმინდათა სულებთან ერთად ჩვენი ახლობლებიც იმყოფებიან, ამიტომაც, მიმადლებს უფალი მიცვალებულებს განსვენებას, ცოცხლებს კი მფარველობასა და კურთხევას.

რას იტყვით ტაძრის მედავითნეებზე?

ტაძარში გვყავს მედავითნე მარიამ ჭითანავა. იგი ამავე დროს მღერის მგალობლებთან ერთად მარიამი ტაძარში მოსვლის პირველივე დღიდან ერთგულად მსახურობს, არის განათლებული კეთილსინდისიერი აქვს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, შრომისმოყვარეა, ფლობს რამდენიმე უცხო ენას იგი სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტია.

გყავთ თუ არა მგალობლები და ვინ არიან ისინი?

– რა თქმა უნდა გვყავს მგალობლების ჯგუფი. ლელა ჯაბუა, მარიამ ჭითანავა და თამილა ფალიანი. აგრეთვე გოგონათა გუნდი თამილა ფალიანის ხელმძღვანელობით, რომელიც ამეცადინებს პატარებს და ისინი დღესასწაულებზე გალობენ კიდეც. თამილა ძალიან უშუალოა, თბილი, შრომისმოყვარე მისთვის არ არსებობს დაღლა, როცა ვინმეს სჭირდება მაშინაც კი სიყვარულით და თავდაუზოგავად შრომობს. მიტომაცაა დიდი

სიყვარულით სარგებლობს როგორც მრევლში ისე პატარებთანაც, რომლებიც მის გვერდით არიან.

რამდენი მღვდელია ეკლესიაში?

– ჩვენს ტაძარში ამჟამად ორი მღვდელმსახური ვართ მე და მამა გიორგი პოღოსოვი.

სტიქაროსნები?

– სტიქაროსნებია იოანე ღუდუშაური, თადეოზ ხითარიანი, ირაკლი ჯანბურაძე, ბავშვებიდან კი გიორგი თეთრუაშვილი და ოთარ პოღოსოვი.

ორიოდე სიტყვა თქვენი მრევლის შესახებ.

– განსაკუთრებულად მიყვარს ჩემი ტაძარი, შესაბამისად ამ ტაძრის მრევლიც, ისინი ხომ ჩემი სულიერი შვილები არიან, როგორც ოჯახი, თავიანთი საცხოვრებელი, სადაც, ისინი იძინებენ, ეკლესია – ტაძარი მათი სახლია. მრევლში არაა მხოლოდ ჩვენი უბნის წამომადგენლები აქ ამ ტაძარში არიან სხვადასხვა უბნელებიც.

გთხოვთ გაიხსენოთ თქვენი ბავშვობა

– დავიბადე თბილისში. ჩემი მშობლები უმაღლესი განათლებით იყვნენ. მყავს ორი ძმა, რომლებიც არიან დაოჯახებულები, ჰყავთ შვილები და შვილიშვილები. ბავშვობა მართლაც უდარდელი მქონდა. ჩემი მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის რომ ჩვენთვის ყველაფერი მოეცათ რაც ჩვენ გვჭირდებოდა.

ბავშვობაში ძალიან მიყვარდა წიგნის კითხვა და დავდიოდი სპორტზე, როგორც ყველა ქრისტიანი მეც დავდიოდი ეკლესიაში 1996 წელს ჩემი მოძღვრის ლოცვა – კურთხევით ჩავაბარე სასულიერო სემინარიაში, მანამდე ვსწავლობდი და ვმუშაობდი.

თქვენი შვილი გიორგი სტიქაროსანია, ბევრისგან მსმენია უნიჭიერესია, თავის ასაკთან შედარებით ძალიან განათლებული რას იტყვით მის შესახებ და აქვე მინდა შეგეკითხოთ თქვენი მეუღლის შესახებ, სად გაიცანით, კიდევ გყავთ შვილები?

– არასოდეს არ მიყვარს ზედმეტად საუბარი ჩემს ოჯახზე, მე მადლობელი ვარ უფლის რომ მყავს ასეთი ოჯახი...

ერთს კი ავღნიშნავ არაფერი შემთხვევით არ ხდება ესეც უფლის ნებაა დღეს, შენ რომ მოხვედი ჩემთან ინტერვიუსთვის მე და მარინეს ქორწინებიდან ოცდამერვე წელი გვისრულდება და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს გავიგე ათინათის ოცდამერვე ნომერში დაიბეჭდა ეს სტატია. მყავს სამი შვილი დავითი, ნიკოლოზი და გიორგი. ორი შვილიშვილი მარიამი და გიორგი, მარიამი ყაზანის ღვთისმშობლის დღესასწაულზე 21 ნოემბერს დაიბადა. დავითს და ნიკოლოზს ჰყავთ მოძღვარი, აზიარებენ შვილებს, და ცდილობენ წმინდა ქრისტიანული ოჯახი ჰქონდეთ.

თქვენს უმცროს შვილზე, გიორგიზე რას იტყვით?

– კი ოჯახში სამი გიორგი ვართ. გიორგი პირველი, გიორგი მეორე და გიორგი მესამე;

რაც შეეხება ჩემს უმცროს შვილს გიორგის ის 11 წლისაა, იგი მართლაც გამორჩეულია თავისი ბუნებით. ასაკთან შედარებით უფრო მეტი იცის ვიდრე მგონია. ბევრი რამ აინტერესებს, ყველა მის მიერ დასმულ კითხვებზე ამომწურავ პასუხებს ითხოვს, ბევრს კითხულობს, დადის რამდენიმე წრეზე... ხშირად ვსაუბრობთ რელიგიურ თემებზე, ნებისმიერ საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება.

– მამაო თქვენი კურთხევით მინდა გავესაუბრო გიორგის და თქვენს მეუღლეს მარინეს. მომცემთ კურთხევას?

– სიამოვნებით შვილო, ნინო.

სად სწავლობ გიორგი? ეკლესიის გარდა თუ გაქვს რაიმე დატვირთვა, სკოლა არა მაქვს მხედველობაში.

– მე ვარ გიორგი თეთრუაშვილი ვსწავლობ საერო გიმნაზიაში „შავნაბადა“ – დირექტორი ავთანდილ აბდუშელიშვილი. ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა, ჩემი აღმზრდელები. სკოლა ჩემთვის მეორე ოჯახია.

ნინო, იცი, არ შემიძლია არ ავღნიშნო ჩემი დაწყებითი კლასის მასწავლებელი, რომელმაც ჩამინერგა სითბო, სიყვარული, მეგობრობა და ყველაფერი ის, რასაც დაწყებითი განათლება ჰქვია. რუსუდან ლომთაძე თბილი, დედასავით მზრუნველი, სიყვარულითა და სიკეთით სავსეა, ამბობენ ბავშვის თვალს არაფერი გამოეპარებაო და მართლაც მის თავდადებასა და სითბოს, არა მარტო ჩემს მიმართ, არამედ ყველა მოსწავლის მიმართ იჩენდა ყურადღებას და მთელს კლასსაც ამიტომ გვიყვარდა და გვეყვარება მთელი ცხოვრება. აქვე მინდა ჩამოვთვალო ის საუკეთესო მასწავლებლები, რომლებიც ამჟამად 5 კლასში მასწავლიან ზრუნავენ და ჩემს საუკეთესო სკოლაში ასწავლიან: მათემატიკაში პედაგოგი მერი ონიკაშვილი, ქართულში – მადონა ფოჩხუა, მუსიკა – ლელა გოლიაძე, ისტორია – ნელი ბარაბაძე, რუსული – თინათინ ჭრიკაშვილი, რელიგია – ნათია ხერჯელაძე და ჩემი კლასის დამრიგებელი სოფო გარაყანიძე – ეს ის ადამიანები არიან რომლებიც ცდილობენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის რომ მე აღვზრდილიყავი ისეთი ადამიანი როგორიც ვარ და არა მარტო მე მათი ეს თავდადება ყველა მოსწავლეში ჩანს.

დავდივარ ძალიან ბევრ წრეებზე: თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩება.

ხომ ვერ ჩამომითვლი რომელ წრეებზე დადიხარ?

– დავდივარ ქართულ-ხალხურ ცეკვებზე, ხალხურ საკრავებზე, ხალხურ სიმღერებზე, ფორტეპიანოზე, ვსწავლობ ხატწერას, ვარ სტიქაროსანი, ვმუშაობ მგალობლებთან და შეძლებისდაგვარად ვგალობ კიდეც.

ძალიან მიხარია, მეც ფორტეპიანოზე დავდივარ და ახლახან გამართულ კონკურსში საპრიზო ადგილი მხვდა წილად, გიორგი თუ გიყვარს უცხოენები და რომელ ენას ფლობ?

– მიყვარს და ვსაუბრობ ინგლისურად და რუსულად, თუმცა სურვილი მაქვს კიდევ დავეფლო სხვა ენებსაც.

როგორ უთავსებ ამ ყველაფერს, გეხმარება ვინმე?

– მართალია, თითქმის თავისუფალი დრო არ მრჩება, მაგრამ ვცდილობ ჩემი თავისუფალი დრო მამიკოსთან ერთად გავატარო რადგან მისგან ბევრ რამეს ვგებულობ, შესაბამისად დიდ დახმარებას მიწევს მშობლები და ძმები დავითი და ნიკოლოზი ისინი ცდილობენ მიმაღებინონ კარგი განათლება და როგორც მამა მეტყვის ხოლმე გავიზარდო მისაბაძი ქრისტიანი შრომისმოყვარე ადამიანი.

გიყვარს წიგნების კითხვა, თუ მეტ დროს კომპიუტერთან ატარებ?

– ძალიან მიყვარს წიგნების კითხვა, რასაც დღის განმავლობაში ვერ ვახერხებ და ხშირად კითხვის დროს ჩამძინებია კიდეც, წიგნი კი ბალიშის ქვეშ დამრჩენია, განსაკუთრებით მიყვარს ისეთი წიგნების კითხვა, რომელიც საქართველოს ისტორიასა და რელიგიას ეხება. კომპიუტერთან კი – არის ისეთი ინფორმაცია, რომლის გაგებაც სწრაფად მჭირდება და მის საშუალებით ბევრ საჭირო ინფორმაციას მცირე დროში ვგებულობ.

შეგიძლია გაიხსენო ბოლოს რა წიგნი წაიკითხე?

– გითხარი კიდეც ძალიან მაინტერესებს წიგნების კითხვა რელიგიურ თემებზე. აქედან გამომდინარე წელს დავიწყე დეკანოზ ზაქარია მაჩიტიძის „წმიდათა ცხოვრებანი“-ს რომელიც გამომცემლობა „ბაკმიმ“ გამოსცა 2006 წელს უწმინდესის ლოცვა-კურთხევით. აი რას ამბობს მამა ზაქარია: წმინდანები არიან ეკლესიის სხეულის ძვლები, რომლებიც სიმაგრეს აძლევენ ხორცს, ხორცი კი ვერასოდეს შეიმოსავს ძვლებს და ამიტომაც ეკლესია განსაკუთრებული სიფრთხილით და პატივით ინახავს წმიდათა ხსოვნას, ეკლესიაში კი წმინდანთა ცხოვრების მათი ხსენების დღეებში მათი ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები იკითხება. ამ წიგნში წმინდანები კალენდარული თანმიმდევრობითაა შეტანილი და მეც თვეების მიხედვით ვკითხულობ.

როგორია მამა გიორგი სახლში ეკლესიის გარეთ ხშირად რაზე საუბრობთ?

– დავიწყებ იქიდან, რომ მამა ჩემთვის მხოლოდ მშობელი არ არის, ის ცდილობს მიმაღებინოს სულიერი განათლება. შესაბამისად ბევრს ვსაუბრობ რელიგიურ თემებზე, მამასთან ვმეგობრობ ის საუკეთესო მეგობარია ჩემთვის. მიუხედავად იმისა რომ ის დაღლილი მოდის სახლში, ჩემთვის ყოველთვის იცლის მადლობა უფალს რომ ჩემი მამიკო სასულიერო პირის წარმომადგენელია.

დედაზე რას იტყვი, ქალბატონი მარინე მკაცრი დედაა?

– თუ მამა ჩემი სულიერი მეგობარია, დედა განსაკუთრებულია ჩემთვის, გვერდით მიდგას საერო ცხოვრებაში, ძალიან ლამაზი, თბილი მოსიყვარულე, განათლებული და მზრუნველი დედაა. არა მარტო ჩემთვის, ჩემს ძმებზეც იგივეს ვიტყვი; ჩვენს დიდ ოჯახში დიდი სიყვარული სუფევს, ვფიქრობ, ეს ჩემი დედ-მამის დამსახურებაა. დედა ასეთი სითბოთი და სიყვარულით გამოირჩევა ჩვენი ეკლესიის მრევლთან ურთიერთობაშიც. დედა, ჩემი დიდი მესაიდუმლეა და როგორც ყველა ვაჟკაცისათვის ჩემთვისაც ძალიან ძვირფასი ადამიანია რა თქმა უნდა მამასთან ერთად.

გიორგი ახლა მინდა დედას გავესაუბრო, მოგესალმებით ქალბ მარინე. რას იტყვით მამა გიორგის შესახებ?

– იყო დრო როდესაც მამა გიორგი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გაეგრძელებინა სასულიერო აკადემიაში, მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით გადაწყვიტა. მე ჩემი ცხოვრება 1989 წელს დაუკავშირე. 28-ე წელია ერთად ვცხოვრობთ, ერთობით და სიყვარულით განვლეთ ჩვენი ცხოვრება, თუმცა იყო წყენაც, გაბრაზებაც მაგრამ უფრო დიდი იყო მიტევება და სიყვარული და ასე მოვდივართ დღევანდელ დღემდე. არასოდეს არ მიგვრძნია თავი მარტო. როგორც პატარა გიორგი ამბობს მართლაც, მამა გიორგი ძალიან მზრუნველი მამა და სიკეთით სავსე მეუღლეა. მამა გიორგი ყოველთვის ისე ანაწილებს დროს რომ ოჯახს არ მოაკლოს სულიერი ყურადღება. ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და ვცდილობთ სიყვარულით ვაკეთოთ ყველა საქმე.

მრევლში მამა გიორგის მიმართ მორიდება, მოკრძალება და დიდი სიყვარული სუფევს თუმცა არ დაგიმალავთ და ისიც კი გამიგია მკაცრიაო, რაში გამოიხატება მისი სიმკაცრე?

– მე არ ვთვლი, რომ მამა გიორგი მკაცრია, როგორც ვიცი მრევლი სულიერად უნდა უერთდებოდეს მოძღვარს და ყველა სულიერი მშობელი ფიქრობს საუკეთესო შვილი აღზარდოს. ჩვენს ეკლესიაში დიდი სიყვარული სუფევს მას ძალიან უყვარს თავისი მრევლი ბევრ დროს უთმობს ეკლესიას, ვინც კარგად იცნობს, მამა გიორგის, ის არასოდეს იტყვის მკაცრიაო, თუმცა ძალიან უყვარს წესრიგი. იგი მოსიყვარულე, დამთმობი და მიმტევებელია, მე ვთვლი რომ ის საუკეთესო წინამძღვარია, ის ხომ ეკლესიის საძირკველის შემდეგ ტაძრის წინამძღოლია სიყვარულით და სიხარულით შესცქერით ყველა დეტალს, მამა გიორგის კურთხევით გაშენდა ტაძრის ეზო ლამაზი ბაღით. სულ ახლახან დასრულდა საკურთხევლის მოხატვა რომლის ავტორია ხატმწერი მამა-შვილი გურამი და ლექსო მღებრიშვილები. შეიცვალა და განახლდა კანკელი ყოველთვის ცდილობს რაღაც შემატოს ტაძარს ბავშვივით უხარია ყოველი ახალი საქმის დაწყება და შეძლებისდაგვარად მალევე მოჰყავს სისრულეში.

– ტაძარი მშვენიერი და ლამაზია, მაგრამ სხვა ტაძრებთან განსხვავებით აქ უფრო მეტი სიმყუდროვე, სიმშვიდე და სისუფთავეა, ეზოც ლამაზი და მოვლილია მარადმწვანე მცენარეებია.

– მართალია, ჩემო პატარა, ნამდვილად ასეა ეს ყველაფერი მამა გიორგის კარგი კეთილსინდისიერების შედეგია, ის ცდილობს მრევლს სულიერი საზრდოსთვის, ლამაზი სულის დამკვიდრებისათვის, ყველა პირობა შეუქმნას ეკლესიაში ხომ ადამიანები სიხარულით უნდა მოდიოდნენ.

– ტაძრის ეზოში რამდენიმე ცალკე მდგომი ნაგებობაა იქვე, ეკლესიის შესასვლელთან პატარა სასანთლე.





ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

– დიახ, აქ იყიდება სანთლები, ხატები და ბევრი სხვა საეკლესიო ნივთები, რომელსაც ძირითადად გიორგი ბაკურაძე კურირებს იგი ტაძრის ერთგული მსახურია, კეთილსინდისიერი.

მამა გიორგის ლოცვა-კურთხევით ხშირად ვეხმარებით გაჭირვებულ ადამიანებს, აგრეთვე, მამა გიორგის ზედამხედველობით მორწმუნეებში სულიერი სარგებლობისათვის შექმნილია ფსალმუნთა კითხვის ჯგუფები, ამით ტაძარში სუფევს მეტი სიყვარული, თანადგომა, მრევლი უფრო უახლოვდება ერთმანეთს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სულიერი გაძლიერებისა და ამაღლებისათვის.

– მართალია მე იშვიათად დავდივარ ეკლესიაში მაგრამ გაოცებული ვარ, როცა წირვა-ლოცვებს ვესწრები ტაძარში შუახნის ადამიანებთან, ახალგაზრდებთან, პატარებთან, ვხედავ ჩვილ ბავშვებს, ჯოხით მოსულ ღრმა მოხუცებსაც კი რაც დიდ სიხარულს მანიჭებს.

– გეთანხმები ჩემო კარგო, ეს სიძლიერეა არა მარტო ჩვენი ეკლესიისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. მე არ შემიძლია არ ავღნიშნო ჩვენი ტაძრის ყველაზე პატარა და ერთგული ქრისტიანი ნანული სოხაშვილი, რომელსაც არც ერთი მსახურება არ გაუცდენია. ის ხომ 5 თვისაა, ასევე ჩვენი მრევლი თბილისის სხვადასხვა უბნებიდან მობრძანდებიან აქ ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესიაში, კერძოდ დიდუბიდან, დიღმიდან, ვარკეთილიდან...

– ამ ინტერვიუს გაკეთება ჯ. ლეჟავას სახ. მეცნიერებათა მრავალპროფილიანი აკადემიის პრეზიდენტ ქალბ. გ. ხარაიშვილმა დამავალა, სანამ თქვენამდე მოვიდოდი ძალიან ვნერვიულობდი, ბევრს ვფიქრობდი, რა იცით მამაო ამ აკადემიის შესახებ?

– ამ აკადემიის შესახებ მსმენია, ცოტა მოგვიანებით კი მომეცა საშუალება გავცნობოდი მის არსებობას.

– მე ამ აკადემიის ათინათელი ვარ იცნობთ ამ აკადემიასთან არსებულ ჟურნალ ათინათს?

– დიდი ხანი არაა რაც ამ ჟურნალსა და ანთოლოგიას გავეცანი, იგი ჩემი აზრით სამეცნიერო-შემეცნებითი ჟურნალია და მასში თითქმის ყველა დარგია გაერთიანებული, ეს ჟურნალი ახალ მომავალ თაობას შესაძლებლობას აძლევს ჩამოაყალიბონ თავიანთი მომავალი პროფესიონალურ სპეციალისტად. ძალიან მომწონს მოსწავლეთა ჩართულობა, პატარების ინტერვიუები ცნობილ ადამიანებთან, ჩემში დიდ ინტერეს იწვევს ის ახალგაზრდები, რომლებიც ლიტერატურულ-შემეცნებით გზას ადგანან. ვისურვებდი ყველა სკოლა და მისი აღსაზრდელები ჩართული იყვნენ ამ ჟურნალის გამოშვებაში, უფრო მეტმა მოსწავლე-ახალგაზრდობამ წამოადგინოს მის მიერ შექმნილი ლექსები, ჩანახატები, პიესები, მოთხრობები, რომლის საშუალებითაც შეექმნებათ მეტი დაინტერესება წიგნის მიმართ, გაუმჯობესდება სწავლის დონე, განუვითარდებათ დახვეწილი გემოვნება... ამით კი შესაბამისად გაძლიერდება ჟურნალიც.

– იცნობთ ჟურნალ „ათინათის“ მთ. რედაქტორს? თუ შეხვედროხართ მას?

– წილად მხვდა ეს ბედნიერება, ეკლესიაში სადაც მე ვმსახურობ, ამ წმინდა ადგილას გამეცნო გულნაზ ხარაიშვილი. იგი გამოირჩევა თავისი სიდინჯით, მე პირადად ჩემს მეუღლესთან ერთად ქალბატონ გულნაზის იუბილეზე მირზა გელოვანის სახ. ბიბლიოთეკაში ვიყავი.

– შეხვედრიხართ თუ არა ჯ. ლეჟავას? იცნობდით თუ არა მას პირადად?

– შევხვედრივარ, ვიცნობდი როგორც მსოფლიო მოგზაურს, როგორც ბრწყინვალე ადამიანს, ქართველ კაცს, სულით და გულით პატრიოტს, ქართული ტრადიციების მატარებელს...

– გიყვართ თუ არა პოეზია?

– რა თქმა უნდა ბავშვობიდანვე მიყვარს კითხვა ეს ხომ ხელოვნების ნაწილია, ხელოვნება კი ქართველი კაცის სულის განუყოფელია როგორ შეიძლება ვაჟას, ილიას, აკაკის... ქვეყანაში პოეზია არ გიყვარდეს.

– კიდევ ხომ არ დაამატებდით რამეს?

– დავამატებდი იმას, რომ ისეთი პედაგოგი როგორიც ქალბატონი ციური ხუჭუა ბრძანდება, იშვიათია, იგი არის უფლის მორჩილი, თავმდაბალი და სულით ამაღლებული პედაგოგი, ვისურვებდი რომ შემატოს უფალმა ასეთი აღმზრდელები საქართველოს.

– გამოგიტყდებით მამაო და ჩემი ნერვიულობა ფუჭი აღმოჩნდა დიდი მადლობა თქვენ, ეს დრო რომ დამითმეთ.





დამლოცეთ მამაო...

– გფარავდეთ უფალი!..

ოჯახური ბედნიერება

სიმონ ზაქარაიას ოჯახი



ბაბუკის წერილები შვილიშვილებს

მენატრებით, მენატრებით,
თქვენი ნახვა მინდა
თქვენსკენ გარბის თქვენსკენ მიჰქრის
ჩემი სული წმინდა!
თქვენმა შობამ ამიშენა
ჩემი სულის მთები
და ამ მთების მწვერვალებზე
დამაქროლებს ფრთები.

* * *

მე თქვენს სიყვარულს ჭუჭყს არ ვაკარებ
და მას სათუთად ვრეცხავ და ვწურავ.
მიდგას მე თქვენი სიყვარულის ზღვა
ჰოდა ამ ზღვაში ვყვინთავ და ვცურავ.
ჩემი სულის სიმღერა ხარ
ჩემი გულის მალამო
ძუსტად ასე გადაეცი
გეხვეწები კალამო.

გახსენება

ლუბა ნოზაძე-ხარაიძვილი!

ლუბა მამიდა, რატომღაც მომინდა შენთან საუბარი. გამახსენდა ის ლამაზი დღე, როდესაც სასკოლო ტანსაცმელი მიყიდე და გამაგზავნე სახლში. თვალწინ მიდგას თეთრი ბაფთით მოფუჩქული ჩემი თავი, ყავისფერი ფერის ფორმის კაბა, თეთრი წინსაფარი, თეთრი ფეხსაცმელი, მხრებზე დაყრილი გრძელი თმებით როგორ შევაღე სკოლის კარები და როგორ ვამაყობდი იმით, რომ ეს ყველაფერი შენი ნაჩუქარი იყო.

მომიკითხე მამიდიკო
მშობლები და ჩემი ძმები,
ბედისწერა ბევრჯერ მბრიყვობს,
დავიღალე შვილის ძებნით.
ქმარიც მანდ მყავს, ჩემი შვილიც,
ნათესავი უამრავი.
აღარ მაქვს მშვიდი ძილი,
ბედთანა ვარ მომდურავი.

მილოცვა

ჰოეტ მანანა თარაშვილის ვაჟს,
მიხეილ თარაშვილსა და რძალს, თამარ ლაბაძეს,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია
უღოცავს ბედნიერებას

***

იოანე ლობჟანიძე – ჩემი პირველი შვილთაშვილი

დაიკოს ელოდები იოანე,
სინაზის მშვენების ყვავილს.
თვალები ექნება ალბათ მწვანე,
თმები მამიკოსავით შავი.
ექიმი გამოვა, ლაშას გზას აირჩევს,
ბებიკოს პატარა კოკორი
ორი წლის არა ხარ,
ხელში რას დაიჭერ
თუმცა ხარ რაჭველების ბოკვერი.

გულნაზ ხარაიშვილი, შენი დიდი ბებო

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
მადლის მთესველო უნეტარესო 2
მამა გაბრიელი 3
წმინდა გიორგი (ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე) 4
ბზობა (ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე) 5
ხარება (ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე) 6

გულნაზ ხარაიშვილი
იმედის სარკე 7
მამა მერაბი 8
სიმშვიდის მამავ (მამა გიორგი თეთრუაშვილს) 9
სიკეთის წყარო (მამა ამირან ამირანაშვილს) 10
„ათინათო“ 11

პოეზია

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)

* * * მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით... 12
დიდებულ უწმინდესს 12
წმიდა გიორგისადმი 12
* * *ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდო, ღმერთო მაღალო... 12
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა 13
სად ყვავილი სამოთხის 13
მთები 13
მამა ამირან ამირანაშვილი
გულნაზ ხარაიშვილს 14
შვილო პაატა 14
72-ე შემოფეთება 15
გიორგი სააკაძეს 15

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე
ვესტერნი 16
სიშორის წაშლა 16
სევდით სნეულო 16
ლეგენდა – ნანა 17
სიტყვა 17
კახა ბაციკაძე
სხვა სიცოცხლე 17
ახლებური მუხამბაზი 18
სევდა 18
გიორგი ზუხბაია
მზის ცეცხლი 18
ბრძოლაც არა ღირს 18
ერთდროულად დაწერილი ორი ლექსი 19
1 . უწყვეტად და არასოდეს 19
2. ლექსი და წერტილი 19
ერთხელ 19
გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული)
აპრილი 20
მოსაგონარი 20

იბერთა მოდგმავ! 21
ნატურმორტი 21
ნაწვიმარზე 21

თეა კანდელაკი

*** ვაღმერთებ – უფალს... 22
და იწვა ქალი, ეით ანგელოზი 22
*** მე შენს წინაშე 22
საღამი არის საოცარი 22
გულანდილი საუბარი ღმერთთან 23
სიყვარული ასე მწამს 23

ლალი ასაბაშვილი

********** შეხეთ ხეებს, დასკდომიათ კვირტი... 24
გაზაფხული !!! 24
აფხაზეთო !!! 24
კარგ მეგობარს !!! 24
საქართველო!!! 24

იზო სანთელაძე

სოხუმს 25
იასამანი 25
მე შენ გაგცვალე მარტის წვიმაში 25
კვლავ ბავშვად ვრჩები... 25

ნაირა ნიჟარაძე

ლორდი ბაირონი და ქართველი გოგონა 1810 წ. 26
გაზაფხული 27
ჯიხაიში 27

მანანა თარაშვილი

აღსარება 28
* * * აღარაფერი მაკვირვებს... 28
გულნაზი ხარაიშვილს 28
გიორგი სააკაძეს 29
მეუღლეს 29

შორენა სამხარაძე

სიმარტოვე 30
ბებია 30
ჩემი საქართველოა 30
მონატრება + ... 30
იხარეთ მართალნო + ... 30
9 აპრილი 31
ქრისტეშობა 31
როდემდე შევძლო 31
მერე 31
რად დაღვრემილხარ სულო ჩემო + ... 31

მარიამ მოგელაშვილი

* * * როგორ გაილია წუთები... 32
* * * ჩემი ფანჯრის წინ ეფიცხება 32
* * * გარეთ სველი მაისია 32
* * * სანამ მოლოდინს სული ამოხდეს 33
* * * დღეს მოსვენება დამიკარგე... 33
* * * მოდი, იანვარს გავატანოთ გულის ყინული... 33

გურა-ანგურა (გურამ გედევანიშვილი)

ჯაზმა მძლავრ შეჰკივლა კოსმოსის ერას 34
ქალს სამფერად დასდებოდა მზე 39
მომენატრე მომეწყურე ...ლი 39

ასე იციან ყვავილებმა 39
„ვერის უბნის ზმანებანი“ 39
ჰარმონია ჩელოების 41
აპრილივით შემოვარდა გოგო 41
ნიკო ბაღაშვილი
ღვთაებრივი ლერწამი 43
მანანა ზაზიკაშვილი 43
საქართველო ვერ გაიყვეს 43
სანთელივით ნელა ვიწვი 43
მე შენ გაღმერთებ ისევა 43
ნუკრი ლობჟანიძე
ვინ ვარ მე შენთვის?! 44
* * * შებინდებისას შენთან... 44
ნასახლარებზე 45
* * * მოსვენება დამიკარგა ქარმა... 45
რაჭისაკენ 45
* * * ვდგავარ მინდორში... 45
* * * ჩემი მინდა სავალი გზები... 45
ვინ ვარ?! 45
დათო ყანდაშვილი
სულსწრაფობა 46
ელეგია 46
სულიწმიდას 46
სადღეგრძელო 47
ფაქტი ჯიუტია 47
სასოება 47
ლეილა გაფრინდაშვილი
რაჭას ვსტუმრობ 48
ვიტირე! 48
მხატვარი 48
წარსულის ექო!... 49
* * * ლექსის სახლის კარს გაჰყურებს... 49
ქალი, ყველაზე ლამაზი 49
ახალგაზრდებო 49

ხაშურელი პოეტები

გივი გელაშვილი
რით განვსხვავდებით 50
სამშობლო 50
მზია მაღალდაძე
ო, პოსეიდონ 50
შოთა დარბუაშვილი
* * * დრო... 50
ჟუჟუნა ცენგირაშვილი-ქვრივიშვილი
ორი 51
სევდა 51
თინათინ კაპანაძე
დედას 51
მაია წიქარიშვილი
გეჩურჩულები 52
* * * ხან სულელივით ვიცინი ჩემთვის... 52
* * * ცის ყურებაში 52
მანანა მიქაძე
წმინდა ნინოს! 53
ავთო ხარაიშვილი

აღსარება 54
***ცაზე ვარსკვლავო... 54
მამა და ვაზი 54
გოგოვ ჩემში შემოიჭერ 55
ვერ შეველევი 55
იქნებ მე ის ბიჭი ვარ 55

ზურაბ ჯაფარიძე

* * * ქაჯეთის ციხედ მუცო მეზმანა... 56
არაგვს 56
*** ბაჟახის ძირში ვარ, ვიცანი სიცოცხლე 56

ქეთევან დოლიძე

ლაზარეს აღდგინება 57
უფალო 57
ქეთევან 57
...და მერე კვართის პატრონიც მოვა 57

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ჩემი ლექსების პირველ მასწავლებელს ბატონ, რეზო მიშველაძეს! 58
*** მე მენატრება ახალგაზრდობა – თავისუფლება ამქვეყნიური... 58
ვუძღვნი გულნაზ ხარაიშვილს, მის შემოქმედებით საღამოზე, შენი და მზიური. 59
გარეჯი – ბატონ რეზო მიშველაძეს! 59

შორენა მამფორია

სულის წარწყმედა ღვთისთვის 61
არსი ცხოვრების 61
და მაინც 61
და თითქოს ჩამწყდაო ძარღვი 61

უშანგი მოსიაშვილი

არ დავაფასეთ იმ კაცის ღვაწლი 62
რატომ აჩქარდა წუთისოფელი 62
სულელთან მეგობრობასა 62
საქართველოს გასაჭირი 62
ქართველი აღარ დარჩება 63
ლამაზ ქალს 63
შურიან კაცს 63

ანზორ ჯაფარიძე

ვაჟამ დაწერა ხიზანი 64
ხოტბა ვაზს 64
ბომბორა და ფისო 64
ჩემი ზვარე 65
ჩემ საფიცარ კახეთს 65
ჯაფარიძენი 65

ლეილა ვადაჭკორია

ნისლო შენ მაინც დამინდე 66
აქ დამაბრუნე უფალო 66
გახსენი გული 66
ეული 66
რაც ვარ, ესა ვარ 66
ოცნების კოშკის ავაგე 67
ლექსი 67
გაორება 67
სიყვარული მიანდერძეს 67
*** რამდენი უნდა იბრძოლო... 67
*** ღრუბელს ნუ მოეფარები... 67
*** როგორ მწვანობდნენ, როგორ ლაღობდნენ... 67
სიყვარულის პასუხი 68
მიყვარს! 68
კოწახური 69

ბროწეული 69
ვაჟას 69
ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი

ვუძღვნი ზეინაბ ასისტიშვილს 70
„გილოცავთ! სიყვარულით დამიბერდით“ 70
„იხარეთ, იბედნიერეთ ჩემო მარი და ტატო“ 70
„ბედნიერებას გილოცავთ“... 71
* * *იღვიძეთ ხალხ... 71
ზეინაბ ასისტიშვილი
ჩამქრალი კერა 72
ნაილი ხეთერელი-ხარაიშვილი
სიტყვა 73
ძირულას ხევი 73
შური 73
*** სულ ერთია... 73
იზა ჭიკაიძე
ახალი სამყაროდან 74
ობიანი პური და ფული 74
გაზაფხული 74
სიასამურის მსგავსად მაცხოვრე 74
ასე უბრალოდ არ დამთავრდები 74
სამშობლოს როგორ მოეფერები 74
დედას პურები 74
თანამედროვე ადამს 75
კვლავ ძველებურად 75
ვაი-პატრიოტებს! 75
ბედის ირონია 75
ხათუნა ჩიტაძე
ლამპარი 76
* * * ქარბუქისფერი მოდის ტალღები 76
* * * გასავლელ გზებზე 76
ნაქარგი 76
გმირებს 77
წვიმის ხმაური 77
* * * სხვათა ცოდვები მე უნდა ვზიდო... 77
ბეჟან ხარაიშვილი
* * * ისევ გინატრე ყვავილობისას... 78
სიზმარი 78
* * * ცა რომ მტრედისფერობს... 78
სიყვარული იწყებოდა ასე 79
ეს ცხოვრება 79
სხვაობა 79
გამოთხოვება 79
* * * ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი... 79
გულნაზ ხარაიშვილი
რუსუდან გრიგოლავას 80
ქალბატონ ციური ხუჭუას 80
მათი გზა არის 80
რა რისხვაა 80
მე ჩემი მიყვარს 80
ზღვათა შტორმები 80
ნინოს სახელი 81
მადლობის ნიშნად 81
ფიქრს შეეხიზნე 81
თავდაბალი ვარ 81

რაა სიმდიდრე 82
გამოისხამს ნაყოფს 82
მოდი! 82
ქართველებო 82
პეპლების ხროვა 82
გიორგი სააკაძე 82
უნდა შეეგუო 82
ახლა ცაში 83
გაუჭირდებათ 83
ცხრა თვალა მზევ 83
ძველ ბილიკებზე 83
ღამეს დავშორდი 83
მე 83
რატომ 83
გულნაზ ხარაიშვილი 84
ფიქრის სახლი 84

ამირან ჯანჯღავა

ხვლიკები 85
წვერის გაპარსვა 85
მე შეიძლება 85

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

გახსენება დავიწყებულს სჭირდება, ასეთები ყოველ წამს თვალწინ დგანან. ჟუმბერ ლეჟავას 86
მეუფე თადეოზს 86
გელა სხირტლაძეს (გულნაზ ხარაიშვილის ვაჟს) 86
ბეჟან ხარაიშვილს 87
ნანა გოგსაძეს (დის შვილს) 87
ჩემი სხეულის მწარე ნაწილს, მიწა საბნად დაფარულ 87
ტრაგიკულად განწირულ შვილს დათოს 88

გურამ ჭავჭანიძე

აპრილი 90

ლამზირა შეყილაძე

აპრილი 90

გურამ ჭავჭანიძე

პატარა სიყვარული 91
მინდა მიყვარდე 91

ლამზირა შეყილაძე

ურჩი ფიქრი ხარ 91
მინდა გიყვარდე 91

გურამ ჭავჭანიძე

რა მეშველება 92
აპრილის დილას 92

ლამზირა შეყილაძე

რატომ დამიგე თვალებით მახე 92
რომ სიმარტოვე გამიამინდო 92

გურამ ჭავჭანიძე

არ დაიჯერო 93
რა დავუშავე 93

ლამზირა შეყილაძე

სიყვარულის აღმაფრენა 93
შენი ნეკნია 93

ანზორ ჯაფარიძე

გულნაზი დედიკოს 94

გულნაზ ხარაიშვილი

პასუხი ჯაფარიძეს (ხუმრობით) 95

სერგი ლომაძე
რაინდი მთაში (პოემა (მირაჟიზმული სურათი)) 96

ხაბავშვო განყოფილება

„მეზღაპრე“ ლალი კახიძე
გოგონა და ძაღლი „ზღაპარი“ 97
მეგობრობა „ზღაპარი“ 99

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი
მარ ბაჯიევი (პოემა) 100
ბახირ გაფუ (ბახირ გაფუს ძე კოირბეკოვი)
მუნჯი ლოცვა 105
* * * ჰო, სწორედ ასეა... 105
* * * სამყარო უსასრულო... ალუბლის ბაღები... 106
Ratiani Lali
Weg des Ruhmes 107

პროზა

რევაზ მიშველაძე
წამება 111
რეზო ემელიანე ადამია
მ ზ ე – პატარა წიგნი დიდ მოვლენებზე 123
გარი ჩაფიძე
სიყვარულის ლაბირინთი 128
გულნარა შოთაშვილი-ტაბატაძე
* * * (გაგრძელება, დასაწყისი ჟურნალ „ათინათის“ №1(27)-ში) 133
თეა კანდელაკი
ოხთოოს NIKA 137
საწუთრო 138
გერონტი მესხი
ადამის გაცოცხლება 139
„ავტობუსმა ჩაიარაააა!..“ 139
...დროა! 140
...კიდევ საკითხავია?! 140
როლანდ გიორგაძე
ყვავილებმა გადამარჩინეს 141
პენსია 142
სიმონ ზაქარაია
შეხვედრა გულნაზ ხარაიშვილთან 144
გულნაზი ხარაიშვილს 145
სერგი ლომაძე
დიდი დღე ჩაფიქრებისათვის (თბილისი-ქვათახევი-კასპი-თბილისი) 146
5 მაისი მირზა გელოვანის ბიბლიოთეკაში 152
ოცდაცხრა მაისის აკადემიური შეკრება 160
სტუმრობა სკოლაში მაისის ბოლო დღეს 162
ანზორ ჯაფარიძის მიერ შექმნილი დღე კახეთში 164
ანზორ ჯაფარიძე
აღსარება 169
გულნაზ ხარაიშვილი
სიყვარულის ჯაჭვი 176
დედაო იოანა ონიანი
გულნაზი ხარაიშვილს 191
ციცინო ჩხაიძე
ანბანური ინტეგრალები 192

ჯუმბერ ლეჟავა
დიდი მოგზაურობა 194

ხელოვნება

მზიური დათიაშვილი-აფციაური
ნამდვილი ამბავი – ოჯახი 197
გულნაზ ხარაიშვილი
ძველი და ახალი თაობა (პიესა) 201
გოგი ფაცაცია, სიმონ ზაქარაია
ავტობიოგრაფია 204
ქანდაკება – ეძღვნება მოქანდაკე გიორგი ლარიაშვილს 205
რომელ ქვეყნებში და რომელ ეპოქებში ბრწყინავდა ქანდაკება 206
ფიდიასის მიერ შექმნილი რამდენიმე ქანდაკების შესახებ – „ათენა პრომაქოსი“, „ათენა ლემნია“ და „ოლიმპიელი ზევსი“ 207
ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება 208

მ ე დ ი ც ი ნ ა

ადამიანის ორგანიზმის გამოჯანმრთელება მღვდელმოწამე სერაფიმეს (ჩიჩაგოვის) მეთოდის მიხედვით. ნაწილი II 210

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი
სულიერ ფასეულობათა ანბანი 214

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ტიტე მოსია
მუშნი ლასურია და „ვეფხისტყაოსანი“ 218

ლუარა სორდია
გვანცა ხარაიშვილი. მზის ქვეყანასთან მიახლოვება 225
მანანა კვატაია
„კოსმიური შეგრძნებების“ ექსპრესიონისტი დრამატურგი 235
თამარ ჯაჭვაძე
სულის დაბადება 238
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე
ალალ კალმოსანი 241
ქართვლის მომავალს 244
ვარაყნაპკურ ბარხატსიტყვოსანი 251
Lali Ratiani
Lexikalisch-semantisches Paradigma und Kontext 255

ი ს ტ ო რ ი ა

ნიკო ხერკელაძე
ქართველები ირანში 258

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, მარიამ გიქოშვილი
უცნაური და საგანგებო გადასახადები მსოფლიო საგადასახადო ისტორიაში 266
ჯუმბერ ხარაიშვილი, ნოდარ ხარაიშვილი
საინვესტიციო საბანკო საქმიანობის განხორციელების ძირთადი მექანიზმები 271
ვანო შუშტაკაშვილი
საქართველოს საბანკო სისტემაში გამოყენებული რისკების მართვის მეთოდები 276

ხოფლის მეურნეობა

ონერ ძაძუა
სუბტროპიკული ხურმის გაშენებისა და მოვლის ტექნოლოგია 282

შემეცნებითი სამყარო

მამა ამირან ამირანაშვილი
საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ, ქრისტიანობა და ევოლუცია..... 286
წმინდა მამათა დარიგებანი
ადამიანები, ურთიერთობა..... 289

წორჩი ათინათელები

ნათია ჯანგევაძე
ინტერვიუ გიორგი კვაშილავასთან..... 291
ილია ძმანაშვილი
ინტერვიუ ციალა ღვინიანიძესთან 295
ნია ჯაგავაძე
ინტერვიუ მამა გიორგისთან 299

ოჯახური ბედნიერება

სიმონ ზაქარაიას ოჯახი 308

გახსენება

ლუბა ნოზაძე-ხარაიშვილი! 309

მილოცვა

მიხეილ თარაშვილი და თამარ ლაბაძე..... 310
იოანე ლობჟანიძე 311

ავტორთა ყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;
0341227287.
790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი. გარეკანის ბოლო გვერდზე რეზო ადამიას ხატი მთავარანგელოზი მიქაელი.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი და ალადინ გარაბაგლი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული აკადემიის ვიცეპრეზიდენტი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.
ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე, ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი.
საბავშვო განყოფილების რედაქტორები:
ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
ყამარ ბლიაძე – ჟურნალ „ლამპარის“ დამფუძნებელი
სოფლის მეურნეობის განყოფილების რედაქტორები: ანზორ ჯაფარიძე, ონერ ძაძუა

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე და თამარ სხირტლაძე
ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge